

მამია ფალავა

# მუკაჯირთა უთამოგაგლგებთან



ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო  
უნივერსიტეტი  
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი  
ქართველოლოგიის ცენტრი

მამია ფაღაფა

# მუკაჯირთა უთამოგაგლეგთან



ს.ს. „გამომცემლობა აჭარა“  
ბათუმი - 2016

**საგამომცემლო საბჭო: პროფესორი მამია ფაღავეა**

ასოც. პროფესორი **ზაზა შაშიკაძე**

პროფესორი **მადნაზ ჩოხარაძე**

პროფესორი **თინა შიოშვილი**

პროფესორი **ნუგზარ მგელაძე**

პროფესორი **შოთა მამულაძე**

პროფესორი **რამაზ ხალვაში**

ასოც.პროფესორი **თამაზ ფუტკარაძე**

პროფესორი **მერი ცინცაძე**

პროფესორი **მარინე გიორგაძე**

ასოც. პროფესორი **მამია ბარამიძე**

წიგნში მოთხრობილია ბსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ქართველოლოგიის ცენტრის მიერ თურქეთის რესპუბლიკის პროვინციებში ჩატარებული კომპლექსური ექსპედიციების შესახებ. ავტორი ექსპედიციასთან ერთად „მოგვატარებს“ მუჰაჯირთა დასახლებებს, გვესაუბრება ემიგრანტ აჭარელთა, შავშთა და კლარჯთა შთამომავლების ყოველდღიურობაზე...

ნაშრომი დაინტერესებს ქართული დიალექტოლოგიით, ფოლკლორით, საქართველოს ეთნოლოგიითა და, ზოგადად, ისტორიული სამხრეთ საქართველოთი დაინტერესებულ მკითხველს.

**რედაქტორები:** პროფესორი **მალხაზ ჩოხრაძე**  
ასოც. პროფესორი **ზაზა შაშიკაძე**

**რეცენზენტები:** პროფესორი **თინა შიოშვილი**  
ასოც. პროფესორი **ნანა ცეცხლაძე**  
ასოც. პროფესორი **მაია ბარამიძე**

**ISBN 978-9941-460-25-8**

**© ს.ს. „გამომცემლობა აჭარა“ - 2016**

## წინასიტყვაობა

ყველაფერი დიდი ხნით ადრე დაიწყო. ერთ დღესაც ფიქრი დავიწყე ისტორიულ სამხრეთ საქართველოზე, თურქეთის საქართველოზე, ჭოროხის ქვეყნებზე: სპერი, ტაო, კლარჯეთი, შავშეთი... მაინც რამდენი ქვეყანა მოექცა თურქეთის შემადგენლობაში, რამდენმა ქართულმა კუთხემ დაკარგა იდენტობის უპირველესი ნიშანი – ენა და სხვა კულტურას შეერწყა, სხვა კულტურის მატარებლად იქცა. დრო ძალიან ცუდად მოექცა ჭოროხისა და მტკვრის ზემოწელის ქართულ ქვეყნებს... ვიკვლევდი/ვსწავლობდი ქართულ ენას და უფრო მეტად მიღვივდებოდა ინტერესი: როგორი ქართულით ლაპარაკობდნენ სპერელები, ტაოელები, კლარჯები, შავშები... წავიკითხე გ. ყაზბეგის ჩანაწერები, მაშინ ახალგაზრდა, დამწყებმა მკვლევარმა, ამოგარიბე ცნობები ქართული ენის მოღწეულობის შესახებ... ბევრი არაფერი, მაგრამ მაინც საინტერესო... ვერც გაამტყუნებ, გ. ყაზბეგი ქართული ენის, თუნდაც ფოლკლორის შესასწავლად არავის მიუვლინებია იქ. თურქეთის საქართველოში (სინტაგმა გ. ყაზბეგისაა – მ.ფ.) იგი სხვა მისიით მოგზაურობდა, ეთნოლოგიური თუ ლინგვისტური ცნობები მის ნაწერებში მეორეულია, უფრო ცნობისმოყვარე მოგზაურის დაკვირვებებია და არა პროფესიონალის ჩანაწერები. ჩანაწერები საინტერესოა, განსაკუთრებით მაშინ, სხვა ბევრი რომ არაფერი გაქვს...

შემდეგ დ. ბაქრაძის მოგზაურობის ჩანაწერები წავიკითხე, თითო-ორიოლა ცნობაც გაბნეული XIX საუკუნის ბოლო მეოთხედისა და XX საუკუნის დასაწყისის პრესაში... ასპირანტურის წლებში „ქართული დიალექტოლოგიის“ კურსს ვამზადებდი, საკანდიდატო მინიმუმის გამოცდისათვის ვემზადებოდი. მახსოვს, ბ-ნმა ივანე ქავთარაძემ მირჩია, წამეკითხა ნიკო მარის „შავშეთსა და კლარჯეთში მოგზაუ-

რობის დღიურები“. მაშინ ნიკო მართან ერთად „მოვიარე“ შავშეთი და კლარჯეთი, ათორმეტ სავანეთა მხარე, „დავათვალიერე“ დროისა და კაცისაგან შელახული ეკლესია-მონასტრები და მატერიალური კულტურის სხვა ძეგლები, გავიგონე იქაურთა ხმები, ვიგრძენი ჭოროხის ქვეყნების მომავალი, არც თუ სახარბიელო... რამდენიმე დღეში წავიკითხე „დღიურები“, დიალექტოლოგიური და ფოლკლორული მასალა მთლიანად ამოვიწერე, ჩემთვის საინტერესო ნაწილები ვთარგმნე ქართულად... შემდეგ კარგა ხანს ამ ამონაწერებით ვსარგებლობდი, ნ. მარის წიგნი ბიბლიოგრაფიული იშვიათობა გახდა, ბათუმში ხელმისაწვდომი ეგზემპლარი არ იშოვებოდა. დიდი ხნის შემდეგ გადავწყვიტე, გამომეცა ეს მართლაც იშვიათი წიგნი.<sup>1</sup> ეს ის დროა, გასული საუკუნის 80-იანი წლები, ინტენსიურად რომ იკვლევენ ქართულ კილოებს, ფოლკლორს, ყოფას... საქმეში ჩართულია საქართველოს ყველა უმაღლესი სასწავლებელი, სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტები. ექსპედიციები ძვირფას მასალას კრებენ, იქმნება ფოლკლორული-დიალექტოლოგიური და ეთნოლოგიური ფონდები. თურქეთის საქართველოში მოგზაურობაზე თუ იოცნებებდა მკვლევარი. სარფს გაღმა ყველაფერს ტაბუ ედო. ხანდახან შემოადწევდა ხმები, არცთუ სასიამოვნო. ახალგაზრდობაში გავიგონე ახმედ მელაშვილის სახელი, მისი მოღვაწეობის შესახებ, მალე მისი ტრაგიკული აღსასრულის ამბავიც...

ლინგვისტურ ქართველოლოგიაში დამკვიდრებული იყო მოსაზრება, რომ თურქეთის საქართველოს მკვიდრნი მეტყველებენ **იმერხულ კილოზე** (ტერმინი ნიკო მარისაა – მ.ფ.). არავის ჰქონდა საშუალება დამატებითი მასალები შეეგროვებინა, ან თუნდაც არსებული – გადაემოწმებინა.

საქართველოში ცნობილი იყო, რომ თურქეთის რესპუბლიკაში ცხოვრობდა ქართველთა ორი შტო – ჭოროხის ხე-

---

<sup>1</sup> იხ. ნ. მარი, შავშეთსა და კლარჯეთში მოგზაურობის დღიურები. რუსულიდან თარგმნა ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატმა რევაზ დიასამიძემ, რედაქცია და წინასიტყვაობა მამია ფალავასი, ბათუმი, 2012.



ობის მკვიდრი მოსახლეობა და მუჰაჯირები თურქეთის სხვადასხვა პროვინციაში და ლაზები შავი ზღვის სანაპიროზე და პონტოს/კახკარის მთების კალთებზე გაშენებულ სოფლებსა და ქალაქებში.

გასული საუკუნის 80-იანი წლებიდან ქვეყანაში პოლიტიკური კლიმატის ცვლილებას მოჰყვა საბჭოთა კავშირ-თურქეთს შორის ურთიერთობის დათბობა, გამოჩნდა გურამ პატარაიას ფილმი „ტაო-კლარჯეთი“ (იმდროისათვის უცნაური და წარმოდგენელი, გმირობის ტოლფასი იყო ასეთი ფილმის გადაღება), რომელმაც შეძრა ქართველი მაცურებელი. 30 წელზე მეტი გავიდა, რაც ეს ფილმი ვნახე და დღესაც არ გამწვლავია ის ემოციები, რაც იმ დღეს დამეუფლა. ავტორმა „შემოგვატარა“ ისტორიული ქართული ქვეყნები, გაგვაცდევინა მათი სიდიადე, გაგვაგონა იქაურ ქართველთა ქართული...

დიდი ფილმია „ტაო-კლარჯეთი“, დიდი რეჟისორი – მისი შემოქმედი!

80-იანი წლების მეორე ნახევრიდან შესაძლებელი გახდა ტურისტული ვიზებით თურქეთში მოგზაურობა. უფრო შავი ზღვის სანაპირო ქალაქებში დადიოდნენ; დაიწყო ორი ქვეყნის ქართველთა შორის კონტაქტების აღდგენა-ჩამოყალიბება. გაიხსნა ტაბუდადებული თემები. შევბედეთ თურქეთის საქართველოს პრობლემებს, – ჯერ ქნმა შუშანა ფუტკარაძემ, შემდეგ მე, ნუგზარ ცეცხლაძემ, სხვებმაც. განსაკუთრებულია ცნობილი მწერლისა და დრამატურგის, ბატონი ალექსანდრე (მოშია) ჩხაიძის, დაინტერესება მუჰაჯირთა შთამომავლებით...

ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტში „თურქეთის საქართველოსა“ და მუჰაჯირთა შთამომავლების პრობლემები ჰუმანიტარული კვლევის პრიორიტეტად იქცა. ზოგადად პრობლემა ასე ჩამოყალიბდება: სამხრეთ საქართველოს ისტორია, ეთნოლოგია, ფოლკლორი, დიალექტები (სამხრული მეტყველება ზოგადად), მატერიალური კულტურის ძეგლები (ზოგადად – არქეოლოგია)... სამხრეთ საქართველოში ვგუ-

ლისხმობთ აჭარას, შავშეთს (მაჭახელი, იმერხევი, საკუთრივ შავშეთი), კლარჯეთს, ტაოს, სპერს... აქვე მოიაზრება მუჰაჯირთა შთამომავლებიც იმ კუთხესთან ერთად, საიდანაც გადასახლდნენ მათი წინაპრები. აქვე აღვნიშნავ, რომ სამხრეთ საქართველოს კონტექსტში ახლებურად დგება აჭარის პრობლემებიც, რამდენადაც ჭოროხის აუზი ერთიანი კულტურული სივრცეა საერთო ისტორიითა და ყოფით, მეტყველებით, ფოლკლორით, ზოგადად, ქართული კულტურის ტიპი, რომელმაც დიდი წვლილი შეიტანა საქართველოში ყოფის ჩამოყალიბებაში...

მორიდებით, კრძალვით შევუდექით პრობლემების დამუშავებას. 90-იანი წლებიდან თურქეთის ქართველობასთან შეხვედრები ინტენსიური გახდა: ვიყენებდით ყოველ მომენტს, დავეძებდით ცალკეულ პიროვნებას, რომ მასალა მოგვეპოვებინა, თუმცა ეს არ იყო საკმარისი. საჭირო იყო პრობლემების კომპლექსური კვლევა. ბევრს ვფიქრობდით, საიდან დაგვეწყო და რა სახსრებით. გაჭირვებული დრო იყო. არ იყო იმის ფუფუნება, ხშირი და ჯგუფური გასვლები გექონოდა თურქეთის ქართულ „ქვეყნებში“ თუ მუჰაჯირთა შთამომავლებით დასახლებულ პროვინციებში. სადოქტორო დისერტაციაზე მუშაობისას მახსოვს, ბატონმა აღ. ჩხაიძემ მათხოვა მის მიერ გადაღებული ვიდეოკასეტები (ხუთსაათიანი მასალა), გადავიწერე მუჰაჯირთა შთამომავლების მეტყველების ნიმუშები, ცოცხლად განვიცადე მათი ყოფა თურქეთში. დავინახე განსხვავებაც სხვადასხვა კუთხიდან წასულთა შთამომავლების მეტყველებასა თუ ფოლკლორში. თანდათან განმიმტკიცდა აზრი, რომ მუჰაჯირთა შთამომავლების ყოფა, მეტყველება და ფოლკლორი არაა ერთიანი; მუჰაჯირობა შეეხო მთელ სამხრეთ საქართველოს, შესაბამისად, მუჰაჯირებმა წაიღეს თავიანთი კუთხისათვის დამახასიათებელი ყოფისა და კულტურის ელემენტები, მათმა შთამომავლებმა გარკვეულად შეინახეს მშობლიური კუთხის სურნელი. გამომდინარე აქედან, ჭოროხის ქვეყნების შესასწავლად ძვირფასი მასალაა მუჰაჯირთა შთამომავლებთან



შეკრებილი ფოლკლორული, დიალექტოლოგიური თუ ეთნოლოგიური მასალები. უფრო მეტიც, ჭოროხის ქვეყნების კვლევა ვერ იქნება ამომწურავი მუჰაჯირებთან შეკრებილი მასალების გათვალისწინების გარეშე.

ბარემ აქვე ვიტყვით, რომ ფილმის შექმნას ფიქრობდა ბატონი შოშია ჩვენებურებზე, ვერ მოასწრო, წიგნი კი დაწერა – „ჩვენებურები“, საინტერესო და არტისტული.

დავუბრუნდეთ თხრობას! უპირველესად ვსვამთ კითხვას:

რა ვიცი ისტორიული სამხრეთი საქართველოს შესახებ?

ვიტყვით, ვიცი ძალიან ცოტა. აუცილებელია კომპლექსურად შევისწავლოთ სამხრეთ საქართველოს თითოეული ქვეყანა, შემდეგ კი ვიფიქროთ განმაზოგადებელ ნაშრომზე-ნაშრომებზე. აქამდე ჯერ შორია. ჯერ ძნელი და გრძელი ძიების გზაა გასავლელი. პირველ რიგში უნდა შეგროვდეს ემპირიული მასალები, საჭიროა კომპლექსური ექსპედიციების მოწყობა, ჭოროხის თითოეული ქვეყნის პირველადი სურათის შექმნა...

ჩვენში მუდამ ასე იყო: თუ ახალი საქმე დაიწყებოდა, იდეის ავტორს დაბლოკავდნენ, „უჩემოდ ვით იმღერეთაო“, გაბრაზდებოდნენ... და ბრაზდებოდნენ ისინი, ვისაც არათუ სიმღერა, დგომაც არ შეეძლოთ მომღერალთა შორის. გამო-ნაკლისი არც ჩვენი საქმე იყო. ხელიშემშლელი ჭარბობდა ხელისშემწყობს, მოშურნე – მოკეთეს. ბევრი ცდილობდა ხელი აგველო დაწყებულ საქმეზე, მათ შორის ისინიც, ვინც თითქოს გვერდით გვედგა და „გვამხნევებდა“... ჩვენ „ვერ ვხვდებოდით“, ჯიუტად ვემზადებოდით, ნაბიჯ-ნაბიჯ მივი-წევდით წინ...

პირველი წარმატება სამეცნიერო პროექტის „შავშეთი“ გამარჯვება იყო. მოგვეცა მატერიალური და სამეცნიერო სტიმული, კომპლექსურად შეგვესწავლა შავშეთის ქვეყანა. პრობლემის დამუშავება ადრე გვქონდა დაწყებული. მეცნიერთა ჯგუფმა ორ წელიწადში შევძელით, შეგვექმნა და გა-

მოგვექმნებინა ვრცელი მონოგრაფია „შავშეთი“<sup>2</sup>, ჩვენი წიგნი „შავშური ჩანაწერები“<sup>3</sup> მოგვიანებით მ. ჩოხარაძის „ხანძთა“<sup>4</sup>, რამდენიმე ათეული სამეცნიერო სტატია, შავშური დიალექტისა და ფოლკლორის მასალები... მკითხველმა მიიღო შავშეთის ქვეყნის პირველადი სურათი. ეს უკვე საინტერესო განაცხადი იყო.

შავშეთს სხვა ქვეყნების შესწავლა უნდა მოჰყოლოდა. 2012 წელს შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის კონკურსში გაიმარჯვა ჩვენმა პროექტმა „კლარჯეთი“ (ხელმძღვანელი, პროფესორი მ. ფაღავა, მენეჯერი, პროფესორი მ. ჩოხარაძე). საკვლევაძიებო საქმიანობამ მიგვიყვანა მუჰაჯირობის პრობლემაზე. აჭარის არ მთავრობამ დაგვიფინანსა სამეცნიერო პროექტი „მუჰაჯირობის (გადასახლების) ისტორია და ქართველ მუჰაჯირთა შთამომავლები თანამედროვე თურქეთში“ (სამეცნიერო ხელმძღვანელები: პროფესორი მამია ფაღავა, ასოც. პროფესორი ზაზა შაშიკაძე, მენეჯერი, პროფესორი მალხაზ ჩოხარაძე). დათქმულ დროს მკითხველი მიიღებს ვრცელ მონოგრაფიას „მუჰაჯირები“ (ისტორიულ-ფილოლოგიური გამოკვლევა), სხვა წიგნებსაც, რაც შეავსებს ჩვენს ცოდნას სამხრეთ საქართველოს შესახებ.

დაბოლოს, ვსარგებლობ შემთხვევით და პროექტში მონაწილეთა სახელით მადლობას ვუხდით აჭარის არ მთავრობას მატერიალური და მორალური მხარდაჭერისათვის.

2012 წლის თებერვლიდან მოქმედებს პროგრამა, მომზადდა და დაიბეჭდა ჯუმბერ ვარდმანიძის მონოგრაფია „მუ-

---

<sup>2</sup> იხ. მ. ფაღავა, თ. შიოშვილი, შ. მამულაძე, მ. ცინცაძე, მ. ჩოხარაძე, ზ. შაშიკაძე, ნ. ცეცხლაძე, თ. ფუტყარაძე, მ. ბარამიძე, ჯ. კარალიძე, ვ. ჩოხარაძე, შავშეთი, თბ. 2011, გვ. 5-617.

<sup>3</sup> იხ. მ. ფაღავა, შავშური ჩანაწერები, თბ. 2011, გვ. 3-361.

<sup>4</sup> იხ. მ. ჩოხარაძე, ხანძთა და „ათორმეტ სავანეთა“ მხარის ძველი სალოცავები, ბათუმი, 2015, გვ. 3-307.

ჰაჯირობა სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში<sup>5</sup>, დამუშავდა მუჰაჯირობის ბიბლიოგრაფია, მომზადდა და ჩატარდა ექსპედიციები, სამეცნიერო კონფერენციები, დაიბეჭდა რამდენიმე ათეული სამეცნიერო სტატია, სამეცნიერო მიმოქცევაში შევიდა ექსპედიციის მიერ შეკრებილი მასალები...

პირველი ექსპედიცია თუქეთის შავიზღვისპირეთში (უნი-ე. ორღუ, სამსუნი) მცხოვრებ მუჰაჯირთა შთამომავლებთან დაიგეგმა...

ქართული მეცნიერებისათვის მნიშვნელოვანია:

ა. რა „წაიღეს“ მუჰაჯირებმა მშობლიური კუთხიდან და რა „შეინახეს“ მათმა შთამომავლებმა დღემდე.

ბ. რა შეიძინეს მუჰაჯირთა შთამომავლებმა კულტურათა დიალოგის პროცესში.

გ. რამდენად შეინარჩუნეს უცხო გარემოში მუჰაჯირთა შთამომავლებმა ქართული ენა და ცნობიერება, თავიანთი იდენტობა...

სხვაც მრავალი!

კულტურათა დიალოგი, ზოგადად, რთული პროცესია, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც ერთი კულტურა მძლავრობს მეორეზე, ძლიერი ცდილობს „სუსტის“ შთანთქმას. ასეთ პირობებში სუსტი იბრძვის თვითდამკვიდრებისათვის, იბრძვის გადასარჩენად... ამ პროცესების ძიება, ვფიქრობთ, მნიშვნელოვანია.

2012 წლიდან მუჰაჯირთა შთამომავლების დასახლებებში ოთხი ექსპედიცია მოეწყო. მოვიარეთ თურქეთის რესპუბლიკის სხვადასხვა გუბერნია, სადაც მუჰაჯირთა სოფლები გვევლებოდა. მუჰაჯირთა დასახლებები იმაზე ბევრად მეტი აღმოჩნდა, ვიდრე წარმოგვედგინა. ვფიქრობთ, დაწყებული საქმე უნდა გაგრძელდეს და ბოლომდე მივიდეს. თუნდაც იმიტომ, რომ თურქეთელ ქართველებთან შემკრებლობითი მუშაობა საშური საქმეა, რომ დღეს ფაქტობრივად მუჰაჯირ-

---

<sup>5</sup> იხ. ჯ. ვარდმანიძე, მუჰაჯირობა სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში, ბათუმი, 2013, გვ. 5-179.

თა შთამომავლების ქართულის მცოდნე ბოლო თაობა ცხოვრობს. ხვალ გვიან იქნება, საქმე დასწრებაზეა.

მკითხველს ვთავაზობთ მუჰაჯირთა დასახლებებში მოგზაურობის დღიურებს, ეპიზოდებს მუჰაჯირთა ცხოვრებიდან. წინამდებარე წიგნი ჩავთვალოთ ექსპედიციის ხელმძღვანელის ვრცელ ანგარიშად.

**9 ოქტომბერი, 2015 წელი.  
ბათუმი**

# თავი I. ექსპედიცია თურქეთის შავი ზღვის რეგიონში, ანუ ჩანაწერი პირველი

2012 წლის 3 ივლისს ექსპედიცია თურქეთში მიემგზავრება.

ექსპედიცია კომპლექსურია, მის შემადგენლობაში შედიან:

პროფესორი მამია ფაღავა, ასოც. პროფესორი მამია ბარამიძე, თამარ ჩოხარაძე, ლინგვისტიკის მაგისტრანტი – დი-ალექტოლოგია.

პროფესორი თინა შიოშვილი, ფილოლოგიის დოქტორი გიორგი მახარაშვილი – ფოლკლორისტიკა.

პროფესორი ნუგზარ მგელაძე, ისტორიის დოქტორი რუსლან ბარამიძე – ეთნოლოგია.

ასოც. პროფესორი ზაზა შაშიკაძე, პროფესორი მალხაზ ჩოხარაძე – ისტორია.

ნიაზ ზოსიძე – უხელმძღვანელებს საინფორმაციო სამსახურის საქმიანობას. მომავალში ბ-ნი ნიაზი დოქტორანტურაში აპირებს სწავლის გაგრძელებას და საექსპედიციო გამოცდილება წაადგება სამეცნიერო საქმიანობაში. ეს მნიშვნელოვანი სიახლეა ჩვენი ექსპედიციის მუშაობაში.

ტარიელ დიასამიძე – მძღოლი, ლაშა თავდგირიძე – ოპერატორი.

წელს ექსპედიციას მოყვებიან და ჩვენს საველე მუშაობას გააშუქებენ აჭარის ტელევიზიის ჟურნალისტი რუსუდან აბაშიძე და ოპერატორი მინდია კუპრაძე.

წინ დამდგელი, მაგრამ საინტერესო სამი კვირაა მუჰაჯირების შთამომავლებთან სამუშაოდ.

\* \* \*

**3 ივლისი, სამშაბათი.** დილის 11 საათისათვის უნდა გავიდეთ უნივერსიტეტის ეზოდან. რაღაც დაგვრჩა მოსაგვარებელი და უფრო ადრე ვერ ვახერხებთ.

დაგვაგვიანდა გამოსვლა. ჯერ მე დავიგვიანე უნივერსიტეტის ეზოში მისვლა, დაიგვიანეს სხვებმაც, – ნიაზმა, რუსუდანმა...

12 საათი ხდებოდა, გზას რომ დავადექით.

სარფის ქართული საბაჟო იოლად გადავლახეთ, რამდენიმე წუთი დასჭირდა საბაჟო ფორმალობებს. გზა დაგვილოცეს ჩვენმა მებაჟეებმა. მართლაც კარგადაა ქართული საბაჟო მოწესრიგებული, რასაც ვერ ვიტყვით თურქულ მხარეზე: იქ სულ სხვა მდგომარეობაა – ქაოსი, გაუგებრობა, ბიუროკრატია... სამ საათზე მეტი ვიდექით თურქეთის საბაჟოზე. ლოდინი, ლოდინი... მომბეზრებელი წუთები, საათები... როგორც იქნა, გავვისტუმრეს.

გზა სანაპიროს მიუყვება. შორია უნიამდე...

ზღვა, ზღვა, ზღვა... ერთნაირი პეიზაჟი.

ჩვენი ახალი „ფორდი“ „ვაჟაკაჯურად“ მიიკვლევს გზას, ტარიელიც უწყობს ხელს...

ფეიქრობ. სხვა რა საქმე მაქვს.

ზღვა უკიდევანო სივრცეა...

ქართველი კაცის წარმოდგენაში:

ზღვა – ბევრია: ზღვა ხალხი!

ზღვა – უსასრულობაა, საზღვარია, რომლის იქითაც თვალი ვერ წვდება: ზღვას იქით; ცხრა ზღვას იქით, – კიდევ უფრო გაართულებს ქართველი, ზოგჯერ სიშორის წარმოსადგენად არც ეს კმარა და დაუმატებს: ცხრა ზღვასა და ცხრა მთას იქით...

ზღვა... არასოდეს იტაცებდა ქართველს. არ ვიყავით ქართველები მეზღვაური, ზღვაზე შეყვარებული ხალხი. ზღვის გაღმა არაფერს ეძებდა ქართველი, არც ზღვას ებრძოდა. თუმცა არის „ამირანის“ ეპოსში ერთი პასაჟი: ყამარი ხომ ზღვის გაღმა ცხოვრობდა... აქაც ალბათ დიდი წყალი იგულისხმება და არა საკუთრივ ზღვა თანამედროვე გაგებით. „ვეფხისტყაოსანშიც“ არის ზღვა. ინდოეთის მეფეს ჰყავს ამირბარი, საზღვაო ძალების სარდალი, რომელიც ამირსპასალარია ამავედროულად. ჩანს, არც მისთვისაა ზღვა

განსაკუთრებული ასპარეზი. შოთა რუსთაველმა იცის ხომალდი, ნავი და კატარღა,<sup>6</sup> სხვა საზღვაო ტრანსპორტს არ იცნობს... ღარიბი გვაქვს საზღვაო ტერმინოლოგიაც, თუმცა როგორი მეზღვაურებიც ვიყავით, ისეთივე გვაქვს ტერმინოლოგიაც... ქართველი მიწის კაცია, მიწას ეფერება, მიწაა მისი ასპარეზი...

აი ბერძნებისათვის ზღვა ყველაფერია. ელინი ებრძვის ზღვას, ზღვის სტიქიონს, ხშირად მისი მსხვერპლიც ხდება, მაგრამ მაინც ებრძვის... ქართველი – არა. ზღვა ღამაზია შორიდან საცქერლად... წყნარია დღეს იგი. გაბრაზებული და გაავებული ზღვაც მინახავს, წალეკვით რომ ემუქრება ჩვენს ქალაქს... მე ხომ ზღვის პირას ვცხოვრობ, ზღვის პირას ვმუშაობ, – ჩვენი უნივერსიტეტიც ხომ ზღვისპირას დგას ზღვისგან დატოვებულ სანაპიროზე. ზღვას უყვარს ბათუმი, უყვარს უნივერსიტეტი. ბათუმის მთელი ველი ხომ ზღვისა და ჭოროხის თანამშრომლობითაა შექმნილი, მათი გარჯის შედეგია...

საუკუნეებია ჭოროხი ეზიდება სპერის, ტაოს, კლარჯეთის, შავშეთის ნაშალ ქანებს, ზღვა ანაწილებდა და ანაწილებს მას მთელ სანაპიროზე, იქამდე, სადამდეც უწევს ჭოროხის ძალა. კენჭობითაა ნაგები მთელი სანაპირო. საუკუნეებია შესმატებილებულად საქმობენ ჭოროხი და ზღვა. ჭოროხი მთის ამბებსაც უამბობს ზღვას, თავის გასაჭირსაც უყვება ხოლმე, შემდეგ ზღვის სტიქიონში იკარგება თავადაც. ბოლო წლებია ზღვას ადიდებული ჭოროხი აღარ უნახავს, ჭოროხი, რომელიც წალეკვით ემუქრებოდა ხეობას... ერთხელაც ვიღაც ბოროტმა კაცებმა ჭოროხს არტახები შე-

---

<sup>6</sup> „ვეფხისტყაოსანში“ „ხომალდი“ სამჯერაა ნახსენები, „კატარღა“ – ერთხელ, „ნავი“ – ორმოცდაერთჯერ. იხ. ვეფხისტყაოსნის სიმფონია, შედგენილი აკაკი შანიძის ხელმძღვანელობით, მისივე წინასიტყვაობით და გამოკვლევით, თბ. 1956. იოსებ თბილელს „ვეფხისტყაოსნის“ მისეულ დამატებაში ნათქვამი აქვს: „გზაზე მეკობრე ამინდა ხომალდ-კატარღა-ნავითა“ იხ. ვეფხისტყაოსანი, ვრცელი რედაქცია, დედნის კრიტიკული ტექსტი და რუსული თარგმანი არჩილ ხალვაშისა, თბ. 2015. 72(2081),2.



უკრეს, ჩაკეტეს, „ბარაუები” მოაწვევს... დადუმდა ჭოროხი, აღარ ხმაურობს... ზღვამდე ველარც აღწევს ჭოროხი, წვალობს, გუბდება, სუნთქვა ეკვრის, იხრჩობა უმოძრაობით... ზღვამ მოიწვინა. ერთხელაც იქნება ადამიანებზე გულმოსული უკანვე წაიღებს თავისივე ნაწყალობებს, დაანგრევს და ჩაყლაპავს სანაპიროს... მაგრამ ჯერ ითმენს, ეგებ მოეგოს ადამიანი გონს და ჭოროხს შეუხსნას არტახები, ეგებ ისევ მოახერხოს ჭოროხმა, საზრდო ჩამოუტანოს ზღვას და ასაზრდოოს უძღები უფსკრული...

ზღვა დუმს, არაფერს ამბობს, ნაწყენია ადამიანებზე. მათ არ დააფასეს მისი საუკუნოვანი შრომა, არად ჩააგდეს მისი გარჯა. ახლა შორს მიდის ადამიანებისაგან, გაურბის მათ, აღარ ენდობა...

ადამიანებს უყვართ ზღვა, სანაპირო, მწველი მზე... გორაობენ მზის გულზე, ირუჯებიან, ენერგიას იკრებენ მზისა და ზღვისაგან, მაგრამ არ ესმით ზღვის, მასთან არ მეგობრობენ, ფიქრობენ, რომ ზღვა ვერ გრძნობს ამას, ზღვას არ ტკივა, არ უხარია... ზღვა ცოცხალია, ზღვას სტკივა ადამიანის უგუნურება, ამიტომია რომ ხანდახან ბრაზობს, ბობოქრობს, ტანში ვერ ეტევა, ტალღას ტალღაზე აგზავნის, უნდა წაღეკოს ყველაფერი... ცდილობს, გააგებინოს ადამიანს, მტრულად ნუ მექცევიო, მაგრამ არაფერი გამოდის...

ქართველებმა ზღვის ენა არ ვიცით, ან ვიცით ძალიან ცუდად. ქართველმა მაინც ვერ შეიყვარა ზღვა – ვერც ისტორიულად, ვერც – ახლა. ვერ გახდა ქართველი ზღვის კაცი, ვერც საქართველო – საზღვაო ქვეყანა.

ქართველებს ბუნება კი არ გვიყვარს, ბუნებაში ჩვენი თავი გვიყვარს უფრო. გვავიწყდება, რომ ჩვენც ბუნების ნაწილი ვართ და ისიც უნდა გვიყვარდეს, როგორც საკუთარი თავი...

ფიქრიდან გამოვერკვიე. კვლავ სანაპიროს მივუყვებით. გზადაგზა ვჩერდებით, მუხლს გავმართავთ, ბიჭები სიგარეტს მოწვევენ, ხუმრობენ... გზა არ იღევა, თუმცა დაიღევა მაინც...

ღამდებოდა, უნიაში რომ ჩამოვედით. „გრანდ ოტელში“ დავიდეთ ბინა. თითქოს სამგარსკვლავიანი სასტუმროა, თუმცა დიდი ვერაფერი... ფასი კი აქვს შესაბამისი – 90 ლირა ოთახი (45 ლირა საწოლი), საკმაოდ ძვირი ფუფუნებაა, ჩვენთვის მაინც.

სალამოს უნიეს ქუჩებში გავისეირნეთ – ძველებური, ვიწრო შუკები, თუმცა ქვაფენილით მოპირკეთებული და სუფთად მოვლილი. ინფორმაცია გვაქვს, უნიეს გარშემო სოფლებში მუჰაჯირთა შთამომავლები ცხოვრობენ. ვნახოთ, ხვალდან დავიწყებთ მათთან სტუმრობას.

ხილი შევიძინოთო მალხაზმა და მარკეტში შევედით. ერთი გამყიდველი ქართველი აღმოჩნდა, ქართულად ლაპარაკობდა, თუმცა უჭირდა.

– საიდან ხარ?

– **აქაური ვარ!**

– ქართველი ხარ?

– **ჰო, გურჯი.**

– ესკი სოფელი?

– **არ ვიცი, ძველიდან აქ ვცხოვრობთ!**

– საიდან მოვლა შენი ბაბოა? – ვცდილობ, მისთვის გასაგები ენით შევეკითხო.

– **ბათუმიდან!**

– რომელი სოფლიდან?

გაკვირვებული მიეურებს. იცის, რომ ბათუმიდან იყვნენ მისი წინაპრები... რა სოფელიო, უკვირს, ბათუმი ჰგონია თავად სოფელი...

ხილი ვიყიდეთ, დავემშვიდობეთ პირველ უნიელ ქართველს და სასტუმროში დაებრუნდით.

**4 ივლისი, ოთხშაბათი.** დილით ადრე ავდექი. ცვალებადი ამინდია, – ღრუბელი, შიგადაშიგ მზე ანათებს. ადგილობრივი დროით შვიდი საათია. სძინავთ ექსპედიციის წევრებს. სამგარსკვლავიანი სასტუმროაო, გვეუბნებიან, მაგრამ ოთახში ჭიქა არ უდევთ, წყალი რომ დალიოს კაცმა... სხვაგვარად რომ ვთქვათ, სასტუმროს ფასი, „ვარსვლავები“ და პი-

რობები ვერ შეესაბამება ერთმანეთს... უნდა ვეძებოთ ახალი საცხოვრებელი, მისაღები ფასით და პირობებით. მაგრამ არც ესაა მთავარი, უპირველესად, საქმე უნდა დავიწყოთ, სოფლებში გავიდეთ, მასალის მოპოვებას შევუდგეთ...

დილით ქალაქში გავედით ტელეფონის აპარატისა და ნომრის შესაძენად. უბრალო აპარატი, ბათუმში 40-50 ლარად რომ შეიძენს კაცი, აქ 150 ლირა მაინც ღირს (1 ლირა 89 თეთრი იყო გუშინ ბათუმში, ჩვენი წამოსვლის წინ – ავტ.), ძვირია ნომერიც. უნდა შევიძინოთ, სხვა რა გზა გვაქვს, ოჯახებთან და აქაურებთანაც კავშირი გვჭირდება... ფაქტით შეწუხებული ზაზა ამბობს: ამიტომაც არ მუშაობს მთელ თურქეთში სხვა ქვეყანაში შეძენილი ტელეფონი. თავისი ფასები აქვთ და სხვა ტელეფონები დაბლოკესო. აქვე ვიტყვი, რომ კავშირის სხვა საშუალებაც გვაქვს, ინტერნეტი, სკაიპი, ფეისბუქი, მაგრამ ისინი არაა ყოველთვის მოსახერხებელი, ყოველ შემთხვევაში, ტელეფონს ვერ გვიცვლის ინტერნეტი...

შევიძინეთ ტელეფონი, ნომერიც, ჩავრთეთ... ოჯახში დავრეკე, ნარგულის ვესაუბრე გუშინდელი მგზავრობის შესახებ. გუშინ საპატიო „ოცი მიზეზის გამო“ (ტელეფონი არ გვქონდა, სხვა – რაღა საძიებელია) ვერ დავურეკე, ვიცი, ინერვიულებდნენ. ჩემი შერყეული ჯანმრთელობის გამო წუხან ოჯახში, დარდობენ, თუმცა არაფერი მიჭირს სადარდებელი და საწუხარი...

ზაზა მურად შაჰინს ესაუბრა სტამბულში. დაგვპირდა, მამაჩემი მოვა და დაგვემარებათო, თუ საჭირო იქნება, მეც ჩამოვალო უნიეში!

კარგია! მურადი კარგად იცნობს უნიეს და უნიელ ქართველებს. იგი ჩვენი მომავალი მონოგრაფიის თანაავტორადაც წარმოგვიდგენია, ვნახოთ, რას გადაწყვეტს თვითონ.

ახლა ეს არაა მთავარი, ახლა უნდა გავიდეთ სოფლებში და მუშაობა დავიწყოთ. პირველ სოფელში შესვლაა მთავარი, შემდეგ გავიკვლევთ გზას.

ლოდინსა და სასტუმროს ძეგნაში შუადღე გახდა. მალე აღმოვაჩინეთ სასტუმრო „ანკარა“. მისი მეპატრონე ქართველია, სასტუმროც მშვენიერ ადგილას დგას, ქალაქართ, ზღვის სანაპიროზე (ზემოდან დაჰყურებს ზღვას), თუ იმასაც დაეუმატებთ, რომ ჩვენი ოთახი, 902-ე, პირდაპირ ზღვას გადაჰყურებს... მშვენიერი პირობებია, ფასიც – მისაღები.

შუადღე გახდა. დავიღალეთ მოლოდინით. ვისადილოთო, გადავწყვიტეთ და ქალაქში წავვდით, სადაც ქართველები გავიცანით.

მუზაფერ ბერიძე – გაგვეცნო ბრგე, დაკუნთული ახალგაზრდა. კარგი ქართულით საუბრობს. ეტყობა საქართველოსთან აქვს მჭიდრო კონტაქტი. მუზაფერის მეტყველება არაა უცხო გარემოში გაზრდილი მუჰაჯირი აჭარელის შთამომავლის მეტყველება. არც შევძცდარვარ. აღმოჩნდა, იგი ოცი წელია საქართველოში ბიზნესით ყოფილა დაკავებული. აგვიხსნა, ამდენ ხანს თბილისში ვსაქმობდი, ახლა ბათუმშიც მინდა გავაკეთო რამე, ბათუმშიც უნდა წამოვიწყო ბიზნესიო...

კარგი მოსაუბრეა მუზაფერი. გაიგო რა ჩვენი ჩამოსვლის მიზეზი, დახმარება აღგვიქვა, დაგეხმარებით, „ბაზარი არააო“, მოუქცია „ჩვენებურად“.

მუზაფერი **ჩათალფინარიდანაა**. სოფელი სამ კილომეტრშია უნიედან. წაგიყვანთო, დაგვიპირდა, ჩურუქსუელების სოფელია, გაგაცნობთ იქაურ გურჯებსო!

სადილის შემდეგ ჩათალფინარისაკენ წავვდით. პირველად ვიფიქრე, ღირდა კი დღეს მუშაობის დაწყება? უკვე გვიანია, დამდება, აწი რას მოვასწრებთ? ჯობს, წავიდეთ, შევხვდეთ იქაურებს, დავიწყოთ საქმე...

ჩრდილოეთისაკენ წავვდით, გავცდით ქალაქს და მალე ჩათალფინარში ვიყავით. სოფლის ცენტრში გაჩერდით...

თითქოს გველოდნენ, ჩათალფინარელი ჩურუქსუელები შეკრებილან ჯამიკარზე. ჩანს, მუზაფერმა იზრუნა...

ჩურუქსუელები შეგხვდნენ სიხარულით, უცხოობა მალე დაგძლიეთ, გავეცანით! მალე მუზაფერიც მოვიდა, ღიმილიანი და ამაყი...

ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორები ვართ, ჩვენთან ერთად არიან აჭარის არ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი ზაზა შაშიკაძე და უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ნიაზ ზოსიძე, აჭარის ტელევიზიის მუშაკები... სათითოდ ვაცნობთ ექსპედიციის წევრებს მასპინძლებს. თქვენზე წიგნის დაწერას ვაპირებთ, ვაგრძელებ მე, გვსურს გაგიცნოთ და გაგაცნოთ თქვენი ცხოვრება საქართველოს-მეთქი, – ვუმხელ ჩვენს მიზანს ჩურუქსუელებს, – ასე უწოდებენ თავისთავს ჩათალფინარელი ქობულეთლები.

ყურადღებით მოგვისმინეს, ცოტაც გაიკვირვეს, მაგრამ გაგვიგეს და გვერდით დაგვიდგნენ.

საქმეს შევუდექით. რამდენიმე წუთის შემდეგ ჩათალფინარის ცენტრში ასეთი სურათი გადაიშალა:

– თინას შემოუკრებია მოამბეები და იწერს აქაურთა ფოლკლორს. ცდილობენ ჩურუქსუელები, თავს არ ზოგავენ, იხსენებენ, მღერიან კიდევ...

– ნუგზარი განცალკევებულია რამდენიმე ქობულეთელ-ჩათალფინარელთან, ყოფის საკითხები, ნათესაობის ტერმინოლოგია, ყველაფერი აინტერესებს...

– ზაზა იწერს რაღაცებს, ნაცნობს აზუსტებს, ახალს კიბებს...

– რუსუდანი გარემოს ზვერავს, სწავლობს, არჩევს მომავალ რესპონდენტს.

– მე ჩემს ჯერს ველოდები. ბოლოს გავიხმე რამდენიმე ადგილობრივი გურჯი, მაგიდასთან ჩამოვსხედით და საქმეს შევუდექი...

გავიცანით ერთმანეთი:

– **ხუსეინ ნინიძე – ბილგინი!** – გამეცნო ერთი.

– **ერქან ბეჟანიძე – ოსსი!** – წარმომიდგა მეორე...

– მამია ფაღავა – გავეცანი მეც.

– საიდან მოვიდნენ თქვენი დედები აქ? – ვეკითხები მათ.

– ნინიძეები ხუცუბნიდან ვართ. ვოთხი ძმად წამოსულა მუჰაჯირათ: გულჩიტაძე/გურჩიტაძე, ოსმანაძე, დილბერაძე, სულეიმანაძე. გურჩიტაძე ჩემი ბაბუაა იყო, – ბრძანა ბატონმა ხუსეინმა. ოსმანაძე – ოსმანაძეს ბაბუაა, – მიმითითა იქვე, მეორე ჯგუფთან მთხრობელ ბიძაშვილზე. დილბერაძე უშვილო ყოფილა, არც სულეიმანის ბაღიშები ვიცით...

უჭირს ქართული ხუსეინ ნინიძეს. საუბრისას ჩერდება, ფიქრობს, როგორ თქვას ქართულად ესა თუ ის ფრაზა, ზოგჯერ თურქულად აბოლოებს სათქმელს. ასე იქცევა ხუსეინი, ასე იქცევიან სხვებიც. უფრო მართებული იქნება ვთქვათ, ხუსეინი და სხვებიც, ჯერ თურქულად მოიფიქრებენ ფრაზას თუ წინადადებას, შემდეგ ქართულად თარგმნიან და გამოთქვამენ, ზოგჯერ თარგმანსაც ვერ ახერხებენ და თურქულადვე ამბობენ. ეს იმიტომ, რომ მათთვის თურქულია საბაზისო ენა და არა ქართული, სხვაგვარად, თურქულად ფიქრობენ და არა ქართულად.

ბარემ ვიტყვი, რომ ხუსეინი სამოცდაშვიდი წლისაა, უკვე ემეკლია, მაგრამ კვლავ მუშაობს, ბენზინმზიდს მართავს, ბენზინგასამართ სადგურს ამარაგებს.

– როდის წამოვიდნენ შენი დედები ბათუმიდან?

– ბინ სექიზ იფუ დოქსან უჩ (1893?) წელს წამოვიდენ!

მცირე ხნის შემდეგ ხუსეინმა გაიხსენა:

– დილბერაძეს გოგო ფაშაძეს ქალი იყო ისტამბოლ, ვათტეთინ ფაშაძეს ქალი!

მთხრობელმა ჯერ თქვა „უშვილო იყო დილბერაძე“, შემდეგ – „ფაშაძეს ქალი“ იყო დილბერაძეს გოგო. აქ არანაირ წინააღმდეგობასთან არა გვაქვს საქმე, არც არაფერი შეშლია ინფორმატორს. საქმე იმაშია, რომ ბ-ნმა ხუსეინმა

როცა გვითხრა „დიღბერად უშვილო“ იყო, იგულისხმა ვაჟი არ ჰყავდაო, „გოგოშვილი ხომ შვილი არაა!“<sup>7</sup>

ისლამ ბეჟანიძე გვისმენდა, იშვიათად თუ შეაშველებდა ხუსეინ ნინიძეს აზრს.

ბ-ნი ისლამის წინაპრები სოფელ ქობულეთიდან წამოსულან, აქ დასახლებულან. ჩანს, ხუსეინი ძუნწადმეტყველია, მოკლე პასუხს იძლევა კითხვაზე, უფრო „კი“ ან „არა“...

ღამაზი სოფელია ჩათაღფინარი, რაღაცით ქობულეთურ სოფელს გვაგონებს: ხეობაში გაშლილი მდინარის ორივე მხარეს. ჩანს, მშრომელი ხალხი ცხოვრობს აქ. ძირითადი კულტურა თხილია, თესვენ სიმინდსაც, სხვა ბაჩყულსაც, ინახავენ საქონელს, მაგრამ თითო-ოროლა სულს. აქაურების განმარტებით, თხილი შემოსავლიანი კულტურაა, არც შრომა უნდა განსაკუთრებული: „ორი თვე იმუშავე, ათი თვე გავდევნი ფეხი-ფეხზე.“ – ხუმრობს ბატონი ხუსეინი.

მაინტერესებს, მუჰაჯირებმა ახალ საცხოვრისში ხომ არ მოიტანეს მშობლიური სოფლის გეოგრაფიული სახელები. ვკითხულობ. ამ სოფელში ასეთი არ ჩანს...

– რატომ ქვია ამ სოფელს ჩათაღფინარი? – ვეკითხები ისლამ ბეჟანიძეს.

– ჩათაღფინარი მადარადან მუა. იმის სახელი ქვია. აქ წყალი არიო, იმისთენ დარჩენილან. აქაურობაში ჩამოსულან, სულ ბზიკი იყო. ქართველები ასი კილომეტრი(?) ზედათ წესულან. იქა აჭარლები არიან. აქ აჭარლები და მაჭახლელები არ არიან.

ჩანს, მუჰაჯირები ახალ საცხოვრისში კუთხეების მიხედვით დასახლდნენ. განსხვავებასაც კარგად ხედავენ მათ შორის. მოვუსმინოთ ისლამ ბეჟანიძეს:

**ჩვენ თხილ ვჩივით, ივინმა კაკალი ჩივიან;**

**ჩვენ ნიგოზი ვჩივით, ივინმა კაკალი ჩივიან;**

---

<sup>7</sup> „შვილის“ სემანტიკის შესახებ იხ. მ. ფაღავა, მასალები „შვილის“ სემანტიკისათვის ქართველურ ენებში. რსუ სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი, კრებული, VI, 2009, გვ. 3-27.



ჩვენ ვაშლი ვჩვიით, იგინიც ვაშლი ჩვიან.  
იგინი ყოლიფერ კაკალი ჩვიან, სიმინდიც კაკალი ჩვი-  
ან...

ამ სხვაობას ხედავს ისლამ ბეჟანიძე და დასძენს:

**აჭარელი სხვა არი;**

**მაჭახლეელი სხვა არი;**

**ჩურუქსუ სხვა არი...**

ქობულეთელი ახლაც განასხვავებს ქობულეთსა და აჭა-  
რას..., ბათუმელი – ორივეს.

აქვე განვმარტოთ ისლამ ბეჟანიძის გამონათქვამიც: „ი-  
გინი ყოლიფერ კაკალი ჩვიან, სიმინდიც კაკალი ჩვიან“. სამხრულ კილოებში, ასევე გურულსა და იმერულშიც, **კაკა-  
ლი - ცალი, მარცვალია, ერთის** მნიშვნელობა აქვს. ისლამ  
ბეჟანიძისათვის ეს უცხოა, ამიტომაც ამბობს გაკვირვებული:  
„იგინი ყოლიფერ კაკალი ჩვიან“. ვიტყვით, რომ ქობულეთუ-  
რისათვის „კაკლის“ ეს მნიშვნელობა უცხო არ არის. ამის  
დასტურია ამ კუთხეში გავრცელებული გამოთქმა: „ერთი  
კაკალად ბაღანა ხავს“ (ნიშნავს ერთი შვილი ყავს), „ერთი  
კაკალი არ მოიბა“ (იტყვიან ხილზე – მანდარინი, მსხალი,  
ვაშლი...).

წინაპართა ხსოვნა გამძაფრებულია მუჰაჯირში. ეს არ-  
ცაა გასაკვირი. მშობლიურ ფესვებსმოწყვეტილი კაცი მშობ-  
ლიურის ხსოვნით ცხოვრობს, აღმერთებს მას, ხშირად უმ-  
ნიშვნელო მოვლენას აღმატებულ ფერებში წარმოიდგენს...  
განსაკუთებით ეს ითქმის ემიგრანტთა პირველ თაობაზე.  
სამშობლოდან გადახვეწილი ახალ სამკვიდრებელს გაიჩენს  
უცხო მხარეში, ოჯახს შექმნის, შვილებს დაზრდის... მაგრამ  
გონებით ვერ სცილდება მამულ-დედულს, იქ „ათენ-აღა-  
მებს“. გავიხსენებ მუჰაჯირის ერთი შთამომავლის ერთ მო-  
ნათხრობს:

*მუჰაჯირში წამოსული ჩვენი ოჯახი მთებში ცხოვრობ-  
და. ბაღნები ეზოში ვითამაშებდით. მზის ჩასლიხან ნენუ  
გადმოგვასხებდა: ამოდთ ახლა სახში, მზედ ზღვაში ჩველა  
უკვე, დაღამდაო. მიკვირდა, ჩვენთან მზე მთებს ეფარება სა-*

*ღამოლობით, მთებს უკან ჩადის, ნენეა ზღვას რატომ ამბობსო. მერე მივხვდი, ნენეს მისი სოფელი ახსოვდა ქობლეთში. იქ ხომ ზღვაში ჩადის საღამოლობით მზე.*

ტიპური შემთხვევაა. „ნენეა“ უცხო მხარეში გადაიხვეწა ოჯახთან ერთად, სხვა ქვეყანაში დაიღო ბინა, მაგრამ წავიდა ხორციელად, გონებით, ფიქრით, ქობლეთში დარჩა.

ემიგრანტთა მეხსიერებაში დაილექება და თაობებს გადაეცემა მშობლიური ეზო-კარის, სოფლის ორღობის რაღაც მახასიათებელი: ეზოში მდგარი ხე, ბაბაძს დარგული ბალი თუ ეზოში – ბებერი ხეჭექური, ძელური სახლი, თუ დემირაჟ ვაშლი... საუკუნის შემდეგ მათი შთამომავლები კითხულობენ, ისევ დგას თუ არა ის ხეო... ზოგჯერ ისე ცხოვევლია განცდა, რომ ზოგიერთი გეტყვის: „ახლა ჩვენ სოფელში რუმ ჩევდე, ჩვენს სახლს ვიცნობ, ეზოში ჭანურაჟ სხალი დგას...“

ამით სურს ემიგრანტის ჩამომავალს ხაზი გაუსვას თავის იდენტობას...

ბარემ ვიტყვი: მუჰაჯირი უცხო მხარეში ჩართულია „კულტურათა დიალოგის“ რთულ პროცესში. ამ დიალოგში ერთი კულტურა მძლავრობს მეორეზე, შედეგად ვღებულობთ ერთი კულტურის მეორეთი ჩანაცვლებას. ეს არის უმძიმესი პროცესი. განსაკუთრებით, როცა საქმე ეხება ლინგვისტური ასიმილაციის (სინტაგმა ნიკო მარისაა – ავტ.) პერიოდს. ნებისმიერ შემთხვევაში უჭირს ადამიანს თავისი იდენტობის მთავარი ნიშნის, მშობლიური ენის დაკარგვა. მუჰაჯირებში ჩვენ სწორედ ამ პროცესის მომსწრე და მხილველნი ვართ... უფროსი და საშუალო თაობა ჯერ კიდევ ინარჩუნებს თავის მეობას, ახალთაობა უმეტეს შემთხვევაში კარგავს მას, რაც, უპირველესად, ქართული ენის არცოდნაში გამოიხატება.

– შენი დედე-ბაბუაიდან რამდენის გახსენებას შეძლებ?

– ჩემი ბაბუაჟს სახელი ხუსეინაჟ, იმის ბაბაჟს სახელი რიზმანაჟ!

ბაბუას, „დიდი ბაბაძს“ იქით ვერ მიდის ბატონი ხუსეინის გენიალოგიური ცოდნა. ის კი იცის, რომ რიზმან ნინიძე ჩამოსულა ჩურუქსუდან.

– ჩემი ნენეა შუბალიძე იყო, – იხსენებს ხუსეინ ნინიძე. **შუბალიძეები არიან იქა? –** მეკითხება.

ვერაფერს ვპასუხობ, ასეთი გვარი ქობულეთში არ გამიგონია, ეგებ იყო ოდესმე. შესაძლებელია, გვარის ნაწილი მუჰაჯირად წავიდა, ნაწილი კიდევ საქართველოს სხვა კუთხეში გადასახლდა და შუბლაძედ (<შუბალიძე) იქცა, გავიფიქრე.

– შუბალიძე არ გამიგონია, ეგებ შუბლაძეები იყვნენ შენი ნენის ხისიძეები?

– **შუბლაძეები? –** იკითხა ხუსეინმა, **მე შუბალიძე ვიცი!**

– შეიძლება შუბალიძე ახლა სხვა გვარს იწერება, არც ესაა გამოსარიცხი, – ვამბობ მე.

ჩემი პასუხი მთლად ვერ აკმაყოფილებს ხუსეინ ნინიძეს, მაგრამ ახლა სხვა რაიმეს თქმა არ შემიძლია, მოვნახავ-მეთქი ბათუმში, ვპირდები.

– სხვა რა გვარები ცხოვრობენ ჩათალფინარში?

– **ამ სოფელში გოგიტიძეები/გოგიტიძეები არი სამი სახელი. თამაზაიშვილები არიან, ბრეველი არიან. ინაიშვილი არის ბრეველი, ბეჯანიძე არის, მოწყობილი არის, ბასილაძეები არიან, კილაძეები არიან, ხახუტოძეები//ხახუტაიშვილები, სეიდიშვილები (სეიდი ბაირახტარო იტყვიან), ჟავანაძეები – მელ ანმედოძეები... ამ სოფელში სამასი სახლი არის ქართველი, გურჯი.**

– დიდი სოფელი ყოფილა!

– დიდია, ჰო!

ყურადღებას იქცევს აქაურთა გამოთქმა, ისმის პარადელური ფორმები: **ჟავანაძე/ჯავანაძე, ბეჯანიძე/ბეჯანიძე...** ჟღ თანხმოვანთმონაცვლეობის საინტერესო შემთხვევებია ქობულეთურში.

ხუსეინ ნინიძესთან საუბრიდან გავიგეთ, რომ **ბეჯანიძეები უფრო ზემოთ ცხოვრობენ, მენგელში, აუჯელერ ქოფში,**

**სულ „აჭარელი არიან იქანაჲ“. იქიდან (ბათუმიდან – ავტ.) ჯერ თამაზაჲშივილები/თამაზოლლები მოსულან, მერე - ჩვენ.**

ჩანს, აქ მოსულ ქობულეთელ ემიგრანტებს თამაზაშივილები დახვდნენ. საინტერესოა, ისინი უფრო ადრე წამოვიდნენ მუჰაჯირად, თუ გზაში დაწინაურდნენ? სხვაგვარად, მუჰაჯირთა სხვადასხვა ტალღის წარმომადგენლები არიან, თუ უბრალოდ სხვა გვარებზე ადრე მოვიდნენ ამ კუთხეში თამაზაშივილები? ბუნებრივად ჩნდება ჯერ პასუხგაუცემელი კითხვები.

– **საფრიელოლები არიან იქ?** – მეკითხება ისლამ ბეჟანიძე და აგრძელებს: **აქ არიან. საფარიძე – ვოთხი ბაღანაჲ მოსულან: ალი ბუძიეჲ, ხალილ ბუძიეჲ (მისი ბადიში ვარ მე – აზუსტებს მთქმელი), მემედ ბუძიეჲ, სულეიმან ბუძიეჲ, წყავროკაიდან მოსულან.**

– ახლაც ბევრი არიან აქ?

– **ახლა აქ ვართ ვოზდახუთი სახლი, ბევრი ვართ ჩვენ ბეჟანიძეები. სულ ყველას ვოთხი-ხუთი ბაღანაჲ, ბევრი ვართ. აქანაჲ სამი გვარი ქნენ: ქუთლუ, ეროლ, სუერ. უქუმეთმა ასე დასწერა. ერთ ძერზე არ მოვდენ, არ იგი ქნანო.**

**ნინიძეებიც სამათ დასწერა უქუმეთმა: ბილგინი, სეზერი, ჩელიგი.**

ვსვამ კითხვას: რატომ დაანაწევრა მთავრობამ გვარები? ნუთუ მართლა იმიტომ, რომ ძმები და მათი შთამომავლები დაეშორებინათ, და მხოლოდ ეს იყო მიზეზი? ამ ეტაპზე რაიმეს მტკიცებისაგან თავს შევიკავებთ, შესაბამისი მასალის არქონის გამო. ვნახოთ, იქნებ დაიძებნოს განსხვავებული პასუხი ან პასუხები. იქნებ მუჰაჯირთა შთამომავლებმა გვიპასუხონ ამ კითხვაზე. ერთი კია, დანაწევრებული ოჯახისა და გვარის ასიმილაცია თუ აღრევა სხვა კულტურაში გაცილებით იოლია...

აქაური ქართველი ცდილობს, შეინარჩუნოს ქართული გენი, ამიტომაც ერიდებოდა, უფრო კრძალავდა სხვა ტომის წარმომადგენელთან ქორწილს. თუმცა ახლა გახშირდა შერეული ქორწინებაც, რაც ასევე ბუნებრივი პროცესი ჩანს.

დიდი ქვეყანა და დიდი ქალაქი არღვევს ნაციონალურ ჩარჩოებს.

– **თურქს** (იგულისხმება თურქეთში მცხოვრები ყველა ტომი, ქართველის გარდა – ავტ.) **გოგოს არ მივსცემთ, გლახა საქმეა. იგინის ადეთები არ მოგეწონდება. ჩვენ საჭმელებში ბევრი ნიორი, ხახვი, ქინძი, პრასა ვურთობთ, იგინმა არ იციან, –** გვიხსნიან აქაური გურჯები.

იწუნებს ხუსეინი თურქულ ადათებს, ყოველ შემთხვევაში საკუთარი ურჩევნია, იწუნებს მეზობლის სამზარეულოს... ასეთ ხალხზე გოგო არ მიიცემა. „**ჩვენ მოსლამდე თურქებმა სახლი არ იცოდენ,**“ ჩვენ ვასწავლეთო სახლის გაკეთება... ჩვენ ახლაც „**ისე ვაკეთებთ ღობიას, თქვენთან რომ აკეთებენ**“.

– მაინც როგორ აკეთებთ თუნდაც მაღახტოს?

– **ღობიად ქარა, მოხარჩვენ, კაკადად იყოს’და ღობიად, ქინძი, ნიორი, პიტნა-მიტნა, ჭახე ყურძნის წვენი** (ისრიმი – ავტ.) **უნდა, ისე არ იქს... კიტრის ერთგან იჭმება...** ხის გობზე უნდა შეაზავოთ მაღახტო ღობიო და კეცის მჭადთან ერთად მიირთვაო, – დაამთავრა მაღახტოს ქება ხუსეინ ნიძემ.

იციან ჩათაღფინარელმა ქობულეთლებმა მაღახტოს გაკეთება, ჩანს, კარგი გურმანებიც არიან. დღემდე შეუნახავთ მაღახტოს ქობულეთური ვარიანტი. მახსენდება ბატონი აზიზ ახვლედიანის მადისაღმძვრელი მონათხრობი (გემრიელი თხრობა იცის ბატონმა აზიზმა – ავტ.):

– დედანემი ინაიშვილის ქალი იყო ქობულეთიდან. ზაფხულში ხშირად ვსტუმრობდი ბიძებს. ბებიანემი მაღახტოს გააკეთებდა – ნიგვზით, შაშტრამით, ქინძით, პრასით, კუხის წვენით (ისრიმს ეძახიან ქობულეთში კუხის წვენს – ავტ.) ხის გობზე შეაზავებდა, პიმპილი და მარილი უნდა კბენდესო. გამზადებულ ღობიოს ხის სუფრაზე მოუქცევდა, კეცის მჭადის ნატყეხებს, კიტრსა და მწვანე პილპილს შემოუწყობდა... და შევესვოდით. ერთმანეთს ვერ ვხედავდით, გორასა-

ვით იდგა ღობიო. მალე გვირაბებივით გაჩნდებოდა და... ერთი გობი ღობიო შეიჭმებოდა...

ეს მაღახტოს ბატონი აზიზისეული ქებაა. გემრიელია მაღახტო, ბებიას შემზადებული განსაკუთრებით და სასიამოვნო ბავშვობის მაღლიანი წლების გახსენება...

„თურქს გოგოს არ მივსცემდით, არც ვითხოვდით. გლახა საქმეა. იგინის ადეთები არ მოგვწონდებოდა...“ – მარტივად და გასაგებად აგვიხსნა ბატონმა ხუსეინმა, სხვა არაა მთავარი, მეორეხარისხოვანია. „ადეთებშია“ შენახული ხალხის მეობა. სწორედ ადეთის მოშლას ერიდება ემიგრანტი ქართველი. სხვა გულუბრყვილო მსჯელობაა, თუმცა ეროვნული სამზარეულოც არაა უმნიშვნელო საკუთარი მეობის მტკიცებისას...

– თქვენი მეუღლეები (ქალები) ვინ არიან?

– **აჭარლები არიან ჩვენი ქალები, სხვას არ ვითხოვთ!** –

გვეუბნება ხუსეინ ნინიძე.

ჩანს, და ბუნებრივიც არის, ძნელი იყო ახალ სამოსახლოზე დამკვიდრება...

შეენიშნავ, რომ მუჰაჯირებს საცხოვრებლად აურჩევიათ მშობლიური სოფლის მსგავსი ადგილები, ამიტომაცაა აჭარისწყლისხეობელთა და მაჭახელთა სოფლები უფრო მაღლა, ქობულეთელთა, ჩურუქსუელთა – უფრო დაბლა. კლიმატიც მიმსგავსებულია მუჰაჯირთა სოფლები ქართულს.

ჩურუქსუელი მუჰაჯირები მოგვითხრობენ წინაპრების თავგადასავალს უცხო მიწაზე. მოგვითხრობენ ქობულეთური აქცენტით, ქობულეთური თხრობის მანერით. საინტერესოა, როგორ შეინარჩუნეს ქობულეთური გამოთქმა საუკუნის შემდეგ მუჰაჯირთა შთამომავლებმა, მით უმეტეს, უცხო კულტურულ გარემოში. მეორეცაა და აქცენტი, ჩანს, აღამიანში გენეტიკურადაა მოცემული:

საუბარში ხუსეინ ნინიძე ჩაერთო. თვისი ოჯახის ამბებს იხსენებ:

– ჩვენი დიდი ნენედ იყო, მე იმას შევხდი. ხუთი წლის ბაღანად იყო, რუმ მოვდა. *ფაშა-ბიბი ეტყოდით მას*. მე ასი წელიწადი გამოვიარე, ვორი კიბილი გამოვდაო, იტყოდა.

სახვასმულ ფორმებს თუ დავუმატებთ ქობულეთურ მოქცევას, მოყვანილი ტექსტი ქობულეთური მეტყველების ტიპური ნიმუშია.

თავდაპირველად მუჰაჯირები და მათი შთამომავლებიც სოფელში ცხოვრობდნენ. ჯერ სოფელში უნდა დაემკვიდრებინათ თავი და მოეპოვებინათ არსებობის უფლება. ასეც მოიქცნენ. შემდეგ მოძლიერებულებმა ქალაქსაც მიაშურეს. სოფელი და სოფლის ცხოვრება ვეღარ აკმაყოფილებდა მათ მოთხოვნებს. ქალაქში ეძებდნენ სამუშაოს, მაგრამ სოფელთან კავშირს არ წყვეტდნენ. ასე იყო წინათ, ასეა ახლაც:

– **ზამფხულში სოფელში მუხალთ, ზამთარში ქალაქში მიალთ**, – ამბობს ხუსეინ ნინიძე. ეს ცხოვრების ნაცადი წესია მუჰაჯირთათვის. ბუნებრივია, ქალაქში წამსვლელმა თურქული უნდა ისწავლოს, სხვაგვარად ვერ გაიკვლევს გზას ამ ვეებერთელა ქვეყანაში. აუცილებელია, შვილები სკოლაში შეიყვანოს. სკოლაც მოითხოვს თურქული ენის ცოდნას. ქართულად მოზარდი მხოლოდ ოჯახში საუბრობს მშობლებთან და დაძმებთან. ხშირად გაიგონებთ მუჰაჯირებისაგან: „*სკოლაში რუმ შევედი, თურქული ერთი ღერი არ ვიცოდი, მერე ვისწავლე...*“ სკოლაში კიდევ მკაცრობენ. სჯიან ყმაწვილებს ქართულად ლაპარაკისათვის, ათასგვარ სასჯელს იგონებენ მშობლიურ ენაზე მოლაპარაკეთა დასასჯელად. მასხენდება კლარჯეთში კლარჯისაგან გაგონილი:

**სკოლაში ბაღანამ წამაქცია. გაჰქერსლი, ქართულად დავაგინე. მასწავლებელმა გიმბღეზდა და ენაზე ლემსი დამასო, გურჯულად რატომ დეილაპარიკეო...**

ასე იყო თურქეთში, ასე იყო რუსეთის იმპერიაში (გავიხსენოთ აკაკის ნაამბობი). ჩანს, დამპყრობლური თუ ასიმილაციური იდეები ხშირად ერთგვარია.

ქალაქში ჩავიდნენ, ცდილობენ იქ დამკვიდრებას, მაგრამ თურქთან (ზოგადად სხვა ერის წარმომადგენელთან) დანა-



თესავებას ერიდებიან, რაც ბევრ წინააღმდეგობას უქმნით, მაგრამ ეს ერთადერთი გზაა მათი მეობის გადასარჩენად. საკუთარი იდენტობის შენარჩუნება გაცილებით იოლია ქართველებით დასახლებულ სოფელში, ვიდრე მრავალეროვან ქალაქში. ქალაქი ხომ სხვადასხვა კულტურების შეხვედრის ადგილია, სხვაგვარად, „კულტურათა კოქტეილია“:

მაღახტოს ერთი კარგი ვარიანტი მასწავლა ბატონმა ხუსეინმა, სხვა კერძების მომზადების წესების მოკითხვასაც ვაპირებდი, მაგრამ ჩვენი კულინარიული ვარჯიში ვეღარ გაგრძელდა. ყურადღება მიიქცია ეზოში მყოფთა მოძრაობამ: დავინახე, ყველა ერთ ადგილას იკრიბებოდა, ვიდაცას საზი მოჰქონდა, ჩანდა, სიმღერისათვის ემზადებოდნენ, უფრო სწორედ, ზოგი სიმღერისათვის ემზადებოდა, ზოგიც – „სასეიროდ“. მთავარია, ორივე მხარე ემზადებოდა... კარგია, უფრო ძვირფასია, თუ მუსიკალური ფოლკლორი შენახულია მუჰაჯირებში. თუმცა საზზე დაკვრა, ბუნებრივია, არაა ქართული მუსიკალური ფოლკლორი.

ჩანს, მუჰაჯირებს დიდი დაპირისპირება ჰქონიათ დამხედურებთან – თურქებთან, ბერძენ-რუმებთან, სომხებთან... (აქვე ერთი განმარტებაცაა აუცილებელი: რატომღაც აქაური ქართველი ბერძნებს რომაელებად, რუმებად მოიხსენებს: რომი>რუმი, რომაელი). ამ დაპირისპირების მიზეზებს სხვადასხვაგვარად ხსნიან, მაგრამ მთავარი ერთია: სარწმუნოებისათვის ღტოლვილები ცდილობდნენ, არ შერეულიყვნენ სხვებთან, თუნდაც ისინი ერთმორწმუნე თურქები, სომხები ან რუმები ყოფილიყვნენ. ღტოლვილები კარგად აცნობიერებენ, ერთმორწმუნეობა არ ნიშნავს, რომ ერთნი არიან; ისინი განსხვავდებიან ცხოვრების წესით, განსხვავდებიან ენით, საკარმიდამოს მოწყობით, ქორწინების, დაკრძალვისა და საჭმლის მომზადების წესებით, ბევრი სხვა ნიშნით. მოვეუსმინოთ მთხრობელებს:

– ჩვენი ბაღნობაში აქა ერთი თურქი არ იყო, სულ ყველა ჩვენები იყვენ. აქაურობა ყოფილა ტყეჲ, ტყეში ჩამოსუ-

ლან, დამჯღარან. აქა რუმები ყოფილან, ფაშას უთხრობია, იქიდან მონავალი კაცები დაჟდენ, აგინი გავდენოთ.

„გადანეს“ აქედან სხვები, მაგრამ წინააღმდეგობა ამით არ დასრულებულა. „ფაშამ კი თქვა, „მონავალი კაცები დაჟდენო“ აქ, დასხდნენ კიდევ, მაგრამ ახლა მოპოვებულისა თუ ბოძებულის შენარჩუნებაა საქმე, ამასთან საკარმიდამოსა თუ, ზოგადად, ცხოვრების მოწყობაა საჭირო ამ უკაცრიელ ხეობაში.

დამახასიათებელია ასეთი მონათხრობიც: **თურქები იტყოდენ, ზეიდან ჩამოვიართ, ჩათაღფუნარიდან რაფერ'და გეგდეთ'და, მადა ზოფა ვჭამოთ, მადა ად ფულები მივცოთ უნდა. მუცელი გეიძლოს'და. თუ არ მისცემ, ზოფას ჭამ, ზოფაში ვერ გადაჩრები. შიერი არიან კაცები, რა ქნას უნდა? ჭამა უნდა კაცებს...**

მოსასმენად არც თუ სასიამოვნო ამბავია, მაგრამ ვერაფერს შევცვლით, ესაა რეალობა. ჩანს, ზოგჯერ ძალადობასაც არ ერიდებოდნენ უცხო მხარეში გადახვეწილები...

აღსანიშნავია, რომ აქ, ამ კუთხეში საცხოვრებელი ძელურები მუჰაჯირებმა ააშენეს, ბაღები გააშენეს, სოფელს სოფლის სახე ქართველმა ემიგრანტებმა მისცეს: თავდაპირველად ჯარგვალები გაიკეთეს, ძელური სახლები, ისეთები, როგორებიც მემღექეთში ჰქონდათ - მოგვიანებით, გააშენეს მსხალი, ვაშლი, ტყემალი, ნიგოზი, წყავი, ყოლი, ბალი, ღვევი..., დათესეს პურეული, ბოსტნეული და ბახჩეული... თხილი, რომელიც დღეს პირველი კულტურაა ამ მხარეში, სწორედ მუჰაჯირებმა მოიტანეს, ყოველ შემთხვევაში ასეა მათი მონათხრობიდან.

დაბლობია აქ, ზღვის პირი. ზაფხულში მაღარია (ცხრო) აწუხებთ, კოლო და ბუზი არ ასვენებთ, ზამთარში სიცივე. ამიტომაც მრავალმა დატოვა დაბლობი და მაღლა აიტანა სოფლები, იქ სადაც ცივი წყალი და ჯანსაღი ჰაერია, სადაც არ არის კოლო და ბუზი, არ არიც ციებ-ცხელება. ზოგიერთებმა გაუძღეს გაჭირვებას და დაბლა დარჩნენ.

რესპონდენტის მონათხრობიდან კიდევ ერთ ფაქტზე მივაქცევ ყურადღებას: **აქ ბევრი შავი ყურძენიც არის. ყურძენსა (დემექ ჩვენებ მუშტანიან) მუაჯირ უზუმს ეტყვიან...**

შავ ყურძენს, ჩვეულებრივ ადესას, „მუაჯირ უზუმს“ უწოდებენ აქ, სხვაგან – ბათუმურას. ყურძენი და თხილი წამოიღეს ემიგრანტებმა და გააშენეს ახალ საცხოვრისში, შესაძლებელია, ზოგიერთი სხვა ხილიც, მათი მშობლიური კუთხისათვის დამახასიათებელი, რაც არაა შემთხვევითი... თუმცა ნუ გავუსწრებთ მოვლენებს, მიყვებით ექსპედიციის მსვლელობას, ვნახოთ, რა ინფორმაციას მოგვცემს სხვა სოფლები.

მუჰაჯირები ხილს იყენებენ საჭმელად, სხვადასხვა კერძსაც ამზადებენ ხილისაგან, რაც უცხო იყო ადგილობრივთათვის:

– **ყურძნის წვენიდან ფაფას ვიქო;**  
– **ბუღილიდან, ვაშლიდან, ყურძნიდან ბექმეზს გაგაკეთავთ.**

– **ბიაჟდან ლეჩერს (//მურაბას) გაგაკეთავთ, „ძალუან კაჟა“, ლელვის ლეჩერი გაგაკეთავთ...**

სახლი აიშენა პირველმა მუჰაჯირმა, ძელური, ბაბაძის სახლის მსგავსი: „**ზედო სახლი, ქვედო – ახორი**“, ახორს გვერდით ჰქონდა საბძელიც (სამაღლელი), ეზოში – „**ნალიეჟ კილაუ**“. „**ჩვენ არაფერი არ გვქონდა კი, ნალიაში შეგვენახა.**“

ღიახ, ნალია ღარიბ კაცს არ სჭირდებოდა, მასში შესანახი უმრავლესობას არაფერი ჰქონდა, ფუხარა იყო, „ფუში არ უძღებოდა“, მაგრამ საკარ-მიდამოს აუცილებელი ატრიბუტი იყო და ყველა იშენებდა...

ცოტანი იყვნენ ზენგილები. ვნახოთ, ვინ ითვლება მდიდრად: „**ზამთარში ვისაც სიმინდი აქ, ზენგილი კაცი იყო**“.

სრულიადაც არაა საჭირო ბევრი ქონება, ზენგილად რომ ჩაითვალოს ოჯახი.

- ბედელი თუ იცოდით?
- **ბედელი იშტე ნალიეჟა, ჰემ ბედელი, ჰემ ნალიეჟა.**

ნალია – ბელის ფუნქციას ასრულებსო, მუჰაჯირმა. ასეცაა. ფუნქციას, რისთვისაც სხვაგან ბელელი გამოიყენება, აჭარაში და მუჰაჯირთა სოფლებშიც ნალია ასრულებს; ორიგინალური ნაგებობა მარცვლეულისა და სხვა სანოვაგის შესანახად, სათავსო, სადაც „ვერ იმუშავენს თაგვი“...

„ქართველი“ სალანძღავ სიტყვად ქვეულა მუჰაჯირებში. ქართველი, ემიგრანტის გაგებით, არამუსლიმანია, ქრისტიანია. არამუსლიმანს კიდევ ცუდი თვალთ უყურებს მუსულმანობისათვის დევნილი: „ჩვენი დედები იტყვიან: ეპიდი, ქართველო...“ გვეუბნება ხუსეინ ნინიძე და იქვე განმარტებასაც მოაყოლებს: „ქართველი აქა გდავრ ეტყვიან, ქართველი გდავრ ჩივიან...“

ახლა, ვგონებ, გასაგებია, რატომ ლანძღავდნენ მუჰაჯირები ერთმანეთს: „შენ ქართველიშვილო“; იგივე დატვირთვით გამოიყენებოდა – „შე მოსკოველო“.

სალამოა უკვე, მაგრამ არავინ აპირებს მუშაობის შეწყვეტას, არც მასპინძლები გვაძლევენ ამის საშუალებას.

ქორწილის შესახებ ვეკითხები რესპონდენტებს:

– როგორ ქორწილს გააკეთებთ-მეთქი აქ ჩვენებურები?

– მოგვითხავთ. იმ კაცს კამ გოგო ხავს. წვევალთ დიდი კაცები, დაფინანსავთ, მერე ორი დღე ქორწილ ვიქთ.

– ქორწილში რა კერძებს მოამზადებთ?

– გავაკეთებთ: კარმა, ბურიანი (კართოფით და ხორციით იქნება), სუ ბორედი, სარმა, ძანნი, ფილაფი, ტათლი... ღვინო არაა!

– ქორწილის სუფრის დაკავება იცით?

– ჰოო, დოდოფაღ რომ წეფყანებენ, სუფრას დედაკაგებენ, – ფილაფში კოვზ დაასობენ, მითხნოვენ: ახლა მოვდეს-და რახნი, ქათმები, სიგარეტები... რაცხას მითხნოვ, მითხანებენ.

საუბარში რიხალ ბერიძე (მოლიშვილი, მოლაზადე) ჩაერთო:

– ქორწილში ხორომს ისამებდენ, „ხორომი არ დეფლეოდა, ასე ისამებდენ. აჭარლები ქორწილზე წვედი, დევნახე: ჰოდა, ჰოდა... ასე ისამებენ სამი, ოთხი, ხუთი კაცი ერთგან...

ცეკვის სხვა სახეობას ვერ იხსენებენ ჩათალფუნარელი ჩურუქსუელები. ჩანს, „ხორუმი“ ყველაზე განთქმულია აქ. ზოგჯერ ვფიქრობ, „ხორონი“ ზოგადად ცეკვას ხომ არ ნიშნავს აქაურთა ქართულში?

ერთი ლექსიც გაიხსენეს ჩემმა თანამოსაუბრეებმა:

**ნენემ კაბა შიმიკერა,**

**წელზე მოჭირებული,**

**ნენეგ, მალე გამათხუე,**

**ძალგან ვარ გაჭირვებული...**

დავუბრუნდეთ საქორწილო რიტუალს:

– იმ დამეს დილამდე გავათენებდით ბიჭის სახში. რაცხა გვინდა მოგვიტანონ და, არ მედგან... ჰაერში ვისროდით. არ მოიტანდა, თავანი დეფხრიტებოდა. გვევზობას ვეცხოდით. გაკუჭება არ არი. გაკუჭტები, სახლი წააქცევენ...

ხშირად მაყრის ჭირვეულობა ყველა ზღვარს სცილდებოდა, საქმე საბძლის გადაწვამდე ან ნალიის, სადაც ოჯახის წლის სარჩო ინახებოდა, წაქცევამდე და მეწველი ძროხის დაკვლამდეც მისულა. მაყარს ხარის დაკვლაც მოუთხოვია... მასპინძელი არ უნდა გაბრაზდეს, თუ გაბრაზდა, უარესი მისთვის.

ზოგჯერ ქალ-ვაჟს ერთმანეთი შეუყვარდებოდათ, მშობლები „არ იყაბულებდენ“ სასიძოს. ასეთ შემთხვევაში „გოგო გექცეოდა“. ხშირად საშინელი ბოლო ჰქონდა ასეთ გადაცდომას: „გოგო რომენ გექცევა, მაშინ კაც მოკლიან,“ – გვეუბნება მთხრობელი. სიყვარულით დაწყებული საქმე მტრობაში და კაცთაკვლაში გადაზრდილა ხშირად. ქალზე შესება ოჯახის შეურაცხყოფად აღიქმება, ოჯახის შეურაცხყოფა, მისი ღირსები შელახვა, კი არავის ეპატიება...

ძნელია გასაგებად, მაგრამ ასე იყო...

ხუსეინ ნინიძე კარგი მოსაუბრე გამოდგა, თუმცა სიტყვაძუნწი. თავს ძალას ატანდა, ცდილობდა, გაეხსენებინა სო-

ფელში ნახულ-გაგონილი და დაეკმაყოფილებინა ჩვენი ინტერესი.

დავემწვიდოზე ხუსეინ ნინიძეს: მადლობა ვუთხარი, შეწუხებისათვის ბოდიში მოვუხადე!

– **კიდევ მოდიოთ, –** მოხოვა, **ქითაბს რუმ დასწერავთ, მეც მინდა, კადა, მქონდესო.**

– ქითაბს დავწერთ და აუცილებლად „გახვედრებ-მეთქი“, – დავპირდი.

მეორე მაგიდასთან გადავინაცვლე, რომელსაც უსუფ ძალჩინი (ინაიშვილი) და ხასან ნიჟარაძე უსხდნენ და ნუგზარ მგელაძეს მასპინძლობდნენ.

ნუგზარი კითხვებით ავსებდა რესპონდენტებს, გენეალოგიას აღგენდა მათს. ნათესაობის ტერმინები აინტერესებდა, იწერდა, აზუსტებდა, ხშირად ჩაკითხავდა ხოლმე, რამეს კარგად თუ ვერ აღიქვამდა. ზოგჯერ არ ესმოდათ მისი კითხვა ბატონ უსუფსა და ხასანს... ნუგზარმა მოახერხა და ჩაიწერა ნიჟარაძეებისა და ინაიშვილებისაგან ვინ წამოვიდა აქ, ვინ დარჩა ქობულეთში, როგორ წარიმართა ემიგრანტი ნიჟარაძეებისა და ინაიშვილების ცხოვრება... რაც იცოდნენ, უთხრეს.

ნუგზარი აძალეებს:

– იქ ხომ დარჩა ვიღაცა, ყველა ხომ არ წამოსულა? ვინც დარჩა, იმას რა ერქვა? (სურს, გენეალოგიური ხის ფესვებისაკენ წავიდეს უფრო ღრმად).

– **იქ რუმ დარჩა, იმის სახელი საიდან მივხტოთ ჩვენ?** – გაკვირვებით კითხულობს უსუფ ნიჟარაძე...

ნუგზარის კითხვებს ვეღარ აუვლენ, ვატყობ. ჯობს, საუბარი სხვა თემაზე გადავიტანო.

სოფელში შესულებს ყველაფერი გვაინტერესებს. ვფიქრობთ, რაც შეიძლება მეტი ინფორმაცია მოვიპოვოთ.

დაკრძალვის წესზე ვეკითხები, მოკლედ მპასუხობენ:

– **კაცმა სახში მოკტა, ვორი დღედ დარჩება. ხვალ თუ ბაღნებმა მოუდა, ჩაფლიან, თუ არ მოვდა, დუუცდიან იშტე. ბაღანა იტყვის, მუალო, დუუცდიან...**

აღარ ჩაეძიებებივარ, ვატყობ, ხალისით არ საუბრობენ დაკრძალვის საკითხებზე.

– ნადირი ბევრია თქვენს ტყეებში?

– აქ ბევრი ღორია, მოკლენ, გადააგდებენ. თხად არი, თხად მოკლა, მასაღია, იმა ვერ მოკლი. ღორი – სერბესია (ნებადართულია – ავტ.). დათვის ვერ მოკლი, იგიც მასაღია. აქა მოკლა'ნდა კურდღელი, შაშვი... ტყეში წყდ, თხად ნახე, იმა სახში ვერ წვიდღეფ, უქუმეთს მიცე'ნდა.

– ღორი სოფელში არ ჩამოდის?

– ღორი სიმინდში შევა სულ გააწარწალებს ძირში, იმას ძროხა არ ჭამს. ტურამ დეიღია. ტურა კი დეიღია, ღორები გაბრევლდა. ღამე აგინში მარებიან...

– ღორის ხორცს არ ჭამთ? ამბობენ, გემრიელიაო ტახის მწვადი, გოჭის ხორციც კარგიაო – გამომცდელად ვუყურებ პასუხის მოლოდინში.

– ჩვენზე ხერამია. ჩვენში მუსლიმანობაა, ღორი ხერამია. იმის ხორცსა ვინცხა ჭამს, გონჯა გახდება, მიკრობია შით. წინდაწინ ღორი მოკალე, უქუმეთ კიბილი მუუტად, ფიშედ მოქცემენ...

– დიახ, ღორი შავშეთშიც ბევრია, მაჭახელშიც, კლარჯეთშიც, იქაც ხოცავენ, ყრიან...

შეძლებულად ცხოვრობენ ჩათალფუნარელი ქობულეთლები. თხილი მოჰყავთ, შემოსავალიც კარგი აქვთ, ბედს არ უჩივიან. მოსწონთ თხილის კულტურა, მუშაობა ბევრი არ უნდაო... სახლებიც კარგი აუშენებიათ. ძველებურ ოდა-სახლებს სოფელში თითქმის ვეღარ ნახავთ.

ვათვალიერებ ჩათალფუნარს. მომწონს ხეობაში გაშლილი სოფელი. ყველგან თხილია გაშენებული, ალაგ-ალაგ ვხედავთ სიმინდის ყანებს, ღობიოს, კიტრის, პომიდორის ნათესებს. ხილიც ჩანს საკარმიდამოში: მსხალი, ვაშლი, ქლიავი, ტყემალი... მდინარისპირებზე ხარობს თხმელა, ცხემელა, ეწერი, ბარდი, ტაბელა... რაღაცით ქობულეთს გვაგონებს ჩა-

თაღფუნარი, თუმცა ეს საქართველო არ არის. თუმცა რატომ, სადაც ქართველია, იქაა საქართველოც.

– **ძველათ სახში ვორი კარი იქნებოდა, მუსაფირის და ოღადს ცალკე,** – იწყებს თხრობას უსუფ ინაიშვილი.

– ოღაში თქვენ ცხოვრობდით? – კითხულობს ნუგზარი.

– კი!

– სახლში რა გქონდათ? (ავეჯზე ვეკითხები).

– **სახში? სექვები გგქონდა, მინდერი** (კალხოთურად – დააზუსტა მთხრობელმა – ავტ.), **ლეგენი, სუფრა, გობი... რა ვიცი, გგქონდა.**

– მოსაფირი რომ მოვიდოდა, ლეგენს და წყალს რომ მოუტანდნენ ხელის დასაბანად, როგორ ეტყოდნენ: „ხელი დედაბა“ თუ „ხელი დეფშენიტე“/„ხელი დეამშენე“?

– **მუსაფირი მოვდოდა, ხელს დააბანიებდენ, რა ვიცი, რას ეტყოდენ...**

– ძველად თურქებს როგორი სახლები ექნებოდათ?

– **თურქეფს ფოთორო სახლი ხქონდა, პატვანი, საქათმე-სავენ. ამხელვანი ფენჯერე ხონდა** (ხელით მაჩვენებს პატარაო – მ.ფ.). **ჩვენზე ზენგინი არიან ახლა. ჩვენებმა არ იმუშავენ. ათი ტონა თხილი გაგაკეთე, ვირი ვერ ვიყიდე, იმან ჩემთან იმუშავა, მანქანა იყიდა. შემხდება, გიმჩერებს, მცხვენია...**

ამ პატარა მონათხრობშიც ჩანს ქობულეთელი კაცის ხასიათი...

ჩაის მთავაზობენ მასპინძლები. უარს ვეუბნები, დავლიემეთქი უკვე რამდენიმეჯზის.

ჩვენი წამოსვლის დრო მოვიდა. შებინდდა. სასტუმროში უნდა დავბრუნდეთ. ჩათაღფუნარელები გვაცილებენ, სათითოოდ გვართმევენ ხელს, გვეპატიუებიან, დარჩითო ჩვენთან, „დედრჩინებო ჩვენს სოფელში“, კიდევ მოდითო, ვილაპარაკოთო...

ვემშვიდობებით. ბევრი სოფელი გვაქვს მოსავლელი ექსპედიციის დღეებში. თუ მოვახერხებთ, კიდევ ვეწვევით ჩათაღფუნარს.



**5 ივლისი, ხუთშაბათი.** საუზმის შემდეგ **სოფლამაზისაკენ** წავედით, რომლისთვისაც ახლა სახელი შეუცვლიათ და **პანიალი** უწოდებით. სოფელი არცთუ შორსაა ჩვენი სასტუმროდან. ბენზინგასამართ სადგურთან ვაჩქერდით. აქ ნიათ თაში, ახალგაზრდა გურჯი გველოდება. დღეს ის იქნება ჩვენი მეგზური.

ნიათმა ქართული კარგად არ იცის, თუმცა ჩვენი საუბარი ესმის, გაჭირვებით თავადაც გვაგებინებს.

ოფისში მიგვიწვია ნიათმა. ჩაი შემოგვთავაზა, სოდა, აირანი... რას მიირთმევთო, აირჩიეთ. ამასობაში მისი მშობლებიც მოვიდნენ: მერიემ თაში, დედა და სულეიმან თაში, 87 წლის ბაბუა.

ბაბუა სულეიმანს უჭირს ქართული, სიტყვაძუნწიცაა. ჩანს, უქეიფოდაა მოხუცი. მერიემი კი მკვირცხლი ქალბატონია, კარგად საუბრობს ქართულად, არ ჩერდება, ცდილობს, მიიქციოს ჩვენი ყურადღება. ერთი რამ თვალში საცემია: აქაური კარგი მექართულეც კი ხშირად, ისე რომ ვერც ხედება, გადადის თურქულზე. ამიტომაც გვიხდება შესხენება: „გურჯიჯე გველაპარაკე, თურქას ვერ ვგნებულობთო“. ეს ბუნებრივიცაა. ისინი ხომ ორი ენის მატარებლები არიან და ხშირად საოჯახო ურთიერთობაში ქართულთან ერთად თურქულსაც იყენებენ. ახალმა თაობამ, შვილებმა, შვილიშვილებმა ხშირად ხომ არ იციან ქართული. ქალაქში გაიზარდნენ, იქ ისწავლეს, იქ საქმობენ, ქართული ვერ, ან არ ისწავლეს.

შეგვატყო რა ჩვენი განწყობა ქალბატონმა მერიემმა, გვითხრა: **დიდგანებმა მოკტენ, გამოწყედენ. ახლებმა არ იციან, თურქებურად იწავლეს, იმისთინ...**

წვიმდება. ვჩქარობთ. ქ-ნი მერიემი გვეპატიუება: **ჩაი სვით და ისე წედთ, ჩვენთანაც მობძანდით, აფრან-მაფრან გასვამთ...**

მომწონს მისი სხარტი საუბარი, დიქცია. რაღაცებს ვინმნავ რვეულში:

– რა ლამაზათ წერავ! ომ, გმავ?! – აღფრთოვანებას ვერ ფარავს ქალბატონი ჩემი ჩანაწერის ხილვისას.

– შენი დედებიდან აქ ვინ მოვიდა? – ვეკითხები სულე-  
იმან თაშს.

– ბაბაა!

– რას იტყვოდა, აქ როგორი ადგილი და ხალხი იყო?

– ბაბაა იტყვოდა, გურჯისტანიდან რომ მოვედი, აქავერო-  
ბა გაფხეკილი ფერები იყო. მემრე აქ მოსულან მეგემ დიდ-  
ვანები, ფერები თურქებ ავართვით. ფული მივეცით, ავარ-  
თვით.

– ვინ ცხოვრობდნენ ამ მაჰალეში თქვენამდე?

– ურუმები! ბაბაა იტყვოდა, ურუმები მოვდოდნენ, საჭმელ  
ჭამდნენ, წვევდოდნენ. ჰამა ჩვენთან ზიანქარი არ ყოფილანო...

– რამდენი შვილი გყავთ?

– ხუთი მყავს, ბიჭები არიან, გოგო არ მყავს. ქალიც  
მომიკდა. ქალი აჭარელი იყო თურქებში გაზდილი... ბაბაა  
კამ კაცი ყოფილა, კამ ფერებში ჩამჯდარა, ქალი უთხოვია  
იქ..

სულეიმან თაშის დედა თურქი ყოფილა, ამიტომაც ცუ-  
დად იცის ქართული თურქი დედის გაზრდილმა. უჭირს მო-  
ხუცს ქართულად ლაპარაკი და მოძრაობა. ჩვენთან საუბარი  
უხარია, სიამოვნებით გვპასუხობს კითხვებზე..

მოხუცს დავემშვიდობეთ. ნიათ თაში ჩაგვიჯდა მანქანა-  
ში და მუჰაჯირთა სოფლებისაკენ გზას დავადექით.

სოფელი ახბაბა მაჭახლელებითაა დასახლებული. ლა-  
მაზი სოფელია, მთის ფერდობებზე შეფენილი. თხილის ბა-  
დები, სიმინდის ყანები, ხეხილი... ჩანს სოფელში. პირველად  
ჩილოდლების ეზოში გავჩერდით. ფართე ეზოა. სახლს აშე-  
ნებენ ჩილოდლები. ღიმილით გამოგვებება მასპინძელი, მა-  
ლე მეზობლებიც შეიკრიბნენ. თავს დაგვტრიალებენ მასპინ-  
ძელი ოჯახის ახალგაზრდა ქალბატონები, დები, დილარა  
და დარია ჩილოდლები.

დილარა უფროსია, ორდუს უნივერსიტეტის სტუდენტია, სახელმწიფო მართვის სპეციალობაზე სწავლობს. თორმეტი წლის დარია კი სკოლის მოწაფეა. სტუმართა გამასპინძლებას დილარა თაობს: ღიმილიანმა მოგვართვა დარჩეული თხილი, ნამცხვარი და ჩაი... გოგონები ქართულად ვერ ლაპარაკობენ, თუმცა ჩვენი ლაპარაკი ესმით. მალე დაძლიეს უცხოობა, შეგვეჩვივნენ, სიამოვნებთ ჩვენთან ყოფნა. ღიმილსა და სითბოს არ გვაკლებენ ოჯახის უფროსები... ტიპურ ქართულ ოჯახში ვართ, უცხო კულტურით გაჯერებულ, მაგრამ მაინც ქართულ ოჯახში.

– ქართული ისწავლე, ვეუბნები დილარას, დარიასაც ასწავლე, სხვაგვარად გურჯობა არ იქნება. დედ-მამასთან ქართულად ისაუბრე და ისწავლი...

– ვისწავლიო, – ღიმილით მპირდება დილარა.

მე მჯერა მისი...

დილარა და დარია თუ შეასრულებენ დაპირებულს და ახალგაზრდა ჩილოღლებს სხვებიც მიბაძავენ, მაშინ გადარჩება მუჰაჯირთა შთამომავლების ქართული გენი, გადარჩება დღემდე სათუთად შენახული ქართული, დედეების მოტანილი და რამდენიმე თაობის შენახული ადათ-წესები, რითაც სიამაყით უპირისპირდებოდნენ „კუდიანებს“, მეზობლად მცხოვრებ ერთმორწმუნე უცხოტომელებს და ინარჩუნებდნენ ნაციონალურ მეობას.

ვეცნობით სოფელს. გვანტერესებს ახბაბელმა მაჭახლელებმა რამდენად შეინახეს ქართული. ვესაუბრებით ეზოში შეკრებილებს.

ჩემი რესპონდენტი მურად გელიოღლი ორმოცი წლისაა, ოსმალობამდელი ქართული გვარი არ იცის; იცის, რომ მისი წინაპარი მაჭახლიდან მოვიდა, იქ მოლლოღლის ეტყოდენ. მურადს ჰგონია, რომ მოლლოღლი მისი ქართული გვარია. ჩავეკითხე. მაინტერესებს, რა იცის წინაპართაგან გადმოცემული:

– ბათუმიდან მოვსულვართ, აქ დავსახლებულვართ. ამას ზეით ვერ ნახავ ჩვენებურ... ჩვენ იქავრებ, ქვაბითაველებ გვეტყვიან. ქვაბითაველებ ჭუხას დიგვიძახებენ აქ...

ქვაბითაველი მოლლოლები ჩემთვის საინტერესოა. ვიცი, ჩემი წინაპარიც მოლლოლი იყო ოსმალობის ხანაში. გამიგონია, ჩემი გვარის რამდენიმე ოჯახი ქვაბითაველი ცხოვრობს. ვფიქრობ, აქვს კი მურადს საერთო ჩემს მაჭახლელ ნათესავეებთან? (თავად არაფერი იცის მაჭახლელ ნათესავეებზე). ვინ იცის, რამდენი მოლლოლი თუ მოლაშვილ-მოლიშვილია ამ კუთხეში მუჰაჯირად წამოსული. ვისი წინაპარიც მოლა იყო, მოლლოლი უწოდა თავისთავს და შთამომავლობასაც გადასცა ეს ზედწოდება.

„ჭუხა“ ქვაბითაველების ძეგლია, სიგელია. რას უნდა ნიშნავდეს? რატომ ჭუხა? მურადი მისხნის:

– ძალი გუუფენიან ქვაბითაველებს და შაშვ შუუჭამია. მაშინ ჭუხა დიგვიძახეს ჩვენ...

შაშვის „ჭუხ-ჭუხის“ გამო შეარქვეს ქვაბითაველებს „ჭუხა“? შეიძლება, რატომაც არა. ძეგლის შერქმევის საბაბი ხომ კონკრეტული შემთხვევაც ხდება.

– რა ხდება, რა გჭირთ ამ მაჭახლელებს, ღიმილით ვეუბნები მურადს. მაჭახლელის მიერ „ძალის გაფენაზე“ ხუმრობენ შავშეთში, ბაზგირეთში განსაკუთრებით. არ მჯეროდა დღემდე, რომ ასე იყო საქმე, მაგრამ აგერ შენც მისხნი, რატომ ეძახიან ქვაბითაველებს „ჭუხას“...

ახლა ყველაფერი ნათელია ჩემთვის...

– ასეა, ღიმილით მეუბნება მურადი, ასეა და მე რა'ნა ვქნა?!

მურადს ბურსაში უმუშავია, ახლა – ემეკლია.

– როდის გადმოსახლდით ახაბაში მაჭახლელები?

– 1893 წელს!

რატომღაც 1893 წელს ასახელებენ სხვაგანაც. რატომ 1893 წელი? ვფიქრობთ, რაღაც საფუძველი აქვს ამ თარიღს, შემთხვევითი არ უნდა იყოს. საინტერესოა, გავარკვიოთ, რა-

იმე ცდომილებასთან გვაქვს საქმე, თუ ამ წელსაც იყო გადასახლება?

ჩილოდელების ეზოში შეკრებილ ახბაბელ მაჭახლელებთან მუშაობს ექსპედიცია:

– მაღსახს გადასახლები მოედანი გაუმართავს, შუა ხნის მამაკაცისაგან ინტერვიუს იწერს...

– ეზოს კუთხეში ნუგზარს მიუმწვევდევია ვიღაცები და აქაური მაჭახლელების ცხოვრების წესებს იწერს თუ აზუსტებს...

– რუსლანი სურათებს იღებს...

– თინა და გიორგი ფოლკლორულ ნიმუშებს აგროვებენ: ანდაზები, ლექსები, შელოცვები, წყევლის ფორმულები, ნოეს კიდობანი და კიდევ რა აღარ აინტერესებთ...

– თამარს ისევ კერძები და მათი „რეცეპტები“ აინტერესებს...

– ნიაზს – ლექსები, სხვა ამბებიც.

– მაიკო ინტერესით აკვირდება აქაურთა მეტყველებას, იწერს საინტერესო ფრაზებს თუ გაბმულ ტექსტებს.

– ზაზა ახბაბელ მაჭახლელებს ესაუბრება ნიათთან ერთად...

ფუსფუსებენ ექსპედიციის წევრები. მეც ვაკვირდები მაჭახლელთა მეტყველებას:

სასადილო მაგიდას „სუფრას“ ეძახიან ახბაბელი გურჯები. საინტერესოა! სუფრა – ერთიანი ხიდან გამოთლილი დაბალი მაგიდაა (ჯორკოებით რომ მიუსხდებოდნენ გარშემო), კარგად ცნობილი მთელს აჭარაში. თანდათან ხის სუფრა მაღალმა მაგიდამ შეცვალა, სახელი ძველი დარჩა: სასადილო მაგიდას სუფრას ეძახიან ქვემოაჭარაში, ჩანს, არა მარტო აქ. „სუფრა“ ჩვეულებრივ სასადილო მაგიდის საფარს ჰქვია. ამდენად, ქართულში:

ა. **სუფრა** = ტაბლა;

ბ. **სუფრა** = სასადილო მაგიდა;

გ. **სუფრა** = სასადილო მაგიდის გადასაფარებელი. აქედან „სუფრა გაშალა“, „გზებზე სუფრის გადაფენა...“

„სუფრასთან მისხდომა“ ეს სინტაგმა ძველია, იმდონდელი, როცა სუფრად ხისაგან გამოთლილ პატარა მაგიდას იყენებდნენ.

„ძველებური სუფრა გვალი იყო“ აზუსტებენ მაჭახლელები.

ზოგიერთი ლექსიკური ერთეული იქცევეს ყურადღებას:

**ბუღერი** – ბრინჯის მსგავსია (შდრ. ბურღული: **ბუღერ<ბუღერ<ბურღულ**).

მაჭახლელები ახბაბაშიც აკეთებენ *მთორეველა ლობიას*. „მთორეველა – მაღახტოჲ იშტე“ – განმარტავს ერთი ქალბატონი.

მაჭახლელებს არც აქ დაუეიწყიათ „ფხალის ჟაგე“, „ზამთარში იჭმის იშტე“.

ისე, კაცმა რომ თქვას, რატომ მარტო ზამთარში? ნიგვზით შეკმაზული „ჟაგე ფხალი“ წელიწადის სხვა დროს რატომღა ვითომ შეუფერებელი? – აპროტესტებს ზაზა, ბათუმელი მაჭახლეელი ახბაბელი მაჭახლელის განმარტებას და განაგრძობს: რა ჯობია: ბუხართან სუფრას, სუფრაზე ამოღესილ ლობიოს, მჟაგე ფხალს ნიგვზით შეკმაზულს, კეცის მჭადს, ყველს, კარგ ღვინოს... სუფრასთან 3-4 მეგობარს (ბუხართან მეტი ზედმეტია: ბებიაჩემი იტყოდა: ოჯახი და სამი კაცის, მონარჩენი კარში გადით – ეს ძველქობულეთური სიბრძნე, გამოცდილებით მიღებული, დღესაც ძალაშია – ავტ.). რა თქმა უნდა, ბუხარში ცეცხლი უნდა ენთოს, გარეთაც შესაბამისი ამინდი იყოს... კარგი თამადა, სიმღერა და შექცევა.

– შენს მონათხრობში ზამთარი თუ არა შემოდგომა ან გაზაფხული მაინცაა, ზაზა, ბუხართან მიფიცხება და ქეიფი სხვა დროს ვის გაუგონია? აბა რატომ აპროტესტებ აქაური მაჭახლელის ნათქვამს, „ფხალის ჟაგე ზამთარში იჭმებაო?“ – ამბობს ნახევრადხუმრობით გიორგი.

– შენ რა იცი „მჟაგე ფხალი“, უკან არ იხევეს ზაზა.

კამათი ამოიწურა. ჩვენი ყურადღება კიდევ ერთმა კერძმა მიიქცია, – „წიხა“ ასე უწოდებენ მუჭაჯირები:

**მოზელავენ პურის ფქვილ, სუფრაზე გაწვევენ, შექერ დააყრიან, ნიგოზ გაჭიჭყავენ, დააყრიან, გემრიელი იქნება.**

„წიხა“ არ გამოიგონია ჩვენს კუთხეში, დაახლოებით ამ რეცეპტით „ბურმეს“ გააკეთებენ ჩვენთან, ოღონდ ნიგოზ და შაქარმოყრილ ცომის ფენას რულეტით დაახვევდნენ (შეგრაგნავდნენ), დამდნარ კარაქს (ერბოს) მოასხამდნენ, სინზე დააღებდნენ, დაჭრიდნენ მოზრდილ ნაჭრებად, საჯს დაახურავდნენ, ნაკვერჩხალს დააყრიდნენ (დაახვეტებდნენ) და შეწვავდნენ; შემდეგ ცხელ „შერბეთს“ დაასხამდნენ, გააციებდნენ და მიირთმევდნენ...

გემრიელი ტკბილეული იყო. მახსოვს, სოფელში ახალი წლის წინა დღეებში გააკეთებდნენ (ქორწილებშიც იცოდნენ ბაქლაგასთან ერთად). ოჯახში გვიყვარდა ტკბილეული, განსაკუთრებით ბავშვებს, ზოგჯერ არც „მოპარვაზე“ ვამბობდით უარს.

ფიქრობთ, „წიხა“ (წირეხა?) იგივე „ბურმეა“ სახელ-შეცვლილი: „ბურმე“ თურქულია, „წიხა“ – ქართული.

მუჰაჯირთა ყოფის კიდევ ერთ ნიუანსს მივაქცევთ მკითხველის ყურადღებას.

სამშობლოდან აყრილებმა წამოიღეს სახლის მშენებლობის ტრადიციები. ახალ საცხოვრისში დაიწყეს ისეთი სახლების შენება, როგორც სამშობლოში ჰქონდათ, და არა ისეთების, როგორსაც ადგილობრივები აშენებდნენ, – უფანჯრო ჯარგვალებს:

**ფიცრით აკეთებდენ სახლს. ხიზრით დახერხევდენ. თქვენი სახლების ანია (მსგავსია – ავტ.), მოსულან, ანი გუუკეთებია. ახორი სახლის ქვეშ იყო, ზედან სახლი. ზეთ ქირემეთი (კრამიტი - ავტ.) არ იყო. არ ჩამეძაროსო, ყავარს დახურევდენ: ყავარს დააწყობდენ, ყავარზე – ქვებს. სახლი ოღებათ იყო დაყოფილი, ყველა ოდას ფენჯერი ექნებოდა.**

– ყავარს მუხით (ლურსმნით – ავტ.) არ დააჭედებდნენ?

– არა, მუხი არ იცოდენ! – გვეუბნება ძუქსელ ჩილოლი.

ბატონი ეუქსელი ხუროა, თავადაც უშენებია ძეგური ოღები.

ამ მონათხრობში საინტერესოდ გვეჩვენება სახლის წყობა: ქვეშ ახორი, ზემოთ – საცხოვრებელი სართული.

მოგვწონს ჩვენი რესპონდენტი: კარგი მოსაუბრეა, ბევრის მნახველიც...

– თქვენბური ქორწილის შესახებ მიაბზე, – ვთხოვ ბ-ნ ეუქსელს.

– **გოგოს დეგნახავთ, მევწონებთ, მივალთ, მის ბაბას მოვთხოვთ. მომცა მომცა, არ მომცემს, გავაქცევ!**

– რომ „გააქცევდი, გოგოდს ბაბად არ გაჰკერსდებოდა?“ – ვცდილობ მათივე კილოზე მოვუქციო.

– **გაბღეზდებოდა, შიმირიგდებოდა!**

**ქალი გავაქციე, ლივერით მომღვევენ, გავქეცი. ვიცი, ზოფადა ვჭამო, არ გავქცევი?**

– დიახ, გალახვას გარიდება ჯობია, – ვუწონებ საქციელს ბ-ნ ეუქსელს. მით უმეტეს, თუ თავს დამნაშავედ გრძნობ.

ვუსმენ მაჭახლელთა მეტყველებას, ვცდილობ, საინტერესო ფორმები არ გამომრჩეს და ჩავიწერო. აი ეუქსელი მეკითხება:

– **კი მარა, მაგის დრო გექნება?**

უცნაური ფორმაა – **გექნება**. ბოლოკიდურა ა' კითხვითი ნაწილაკი უნდა იყოს, მისი წინამავალი **ე** კი ფონეტიკურად სახეცვლილი ა: **გექნებაა>გექნება** (აა>ეა დისიმილაციით).

მაჭახლელ მუჰაჯირთა მეტყველებაში კითხვითი ა-ს პოვნიერება საყურადღებო ფაქტია. ჩანს, იგი იხმარებოდა მაჭახლურ კილოკავშიც, თუმცა დღევანდელმა მაჭახლურმა მაჭახელში კითხვითი –ა' არ იცის.

დილარა და დარია დედასთან ერთად გაგვიძღვენენ მეზობლად მცხოვრებ ზულფიე ჩილოდლისთან, 86 წლის ქალბატონთან: კარგი მექართულეაო, გვიმტკიცებდნენ. გზად



ვსაუბრობთ, მცენარეების სახელებს ვკითხულობ. დები ცდილობენ, ამიხსნან ქართულად, ზოგჯერ ახერხებენ კიდევ.

ეზოში მისულებს ქნი ზულფიე ყანაში დაგეხვდა, მუშაობდა.

დილარამ დაუძახა, სტუმრები არიანო გურჯისტანიდან, შენი ნახვა უნდათო.

რამდენიმე წუთში გამხდარი, ჩია ტანის ქალბატონი მოადგა ღობეს. გაგვეცნო, მოგვიკითხა:

– **საიდან მოსულხართ?**

– ბათუმიდან მოვედით, ჩვენებურების გაცნობა გვინდამეთქი.

– **კადა რომ მოდით!** – მოგვიწონა საქციელი.

ქნი თინა ჩაერთო საუბარში:

– ამბობენ, შელოცვები იცისო ზულფიე ნენემ ქართული, გვასწავლე, დაწერაფო, ჩვენც შევულოცავთ...

უარი თქვა მოხუცმა შელოცვების სწავლებაზე. მისი მტკიცებით, თუ შელოცვას სხვას ასწავლი, აღარ გაჭრის...

ასე სწამს ზულფიე ნენეს და ძნელია, აზრი შეაცვლევი-ნო.

თინა და ქნი ზულფიე საუბრობენ. მე ვიწერ მათ დიალოგს. შენიშნა ჩემი ქცევა მოხუცმა და გააპროტესტა: „**ამა ხედავ, გო, მაღაპარაკოს’და, აკრიფოს’და და დაწეროს’და...**“

ამ მცირე კომენტარის შემდეგ სულაც უარი თქვა საუბარზე, მოიმიზეხა: „**არ ვიცი, არაფერი არ ვიცი, დაგბერდი, დამაბიწყდა**“.

მაინც ვთხოვ, მოგვიყვეს რამე.

– **დამაბიწყდა, ვერ ვიტყვი,** – უარს ამბობს მოხუცი, ბევრი ხანმა გეძარა, დამაბიწყდა.

– ჰექია მოგვიყვე, ნენეები რომ იტყოდენ, იმფერი! – ვთხოვ ქნი ზულფიეს.

– **ჰექიასაც ვიტყოდი, ჰამა ვერ ვიტყვი, ცოდვაა, მოგკტე’და, ნენი, ერთი ფენი მიწაში მაქ.**

ახალი მიზეზი მოიგონა მოსუცმა. რაღას გავაწყობდით, დავემშვიდობეთ და უკან გამოვბრუნდით, მურადის ეზოში, სადაც ექსპედიციის წევრები გველოდებოდნენ.

ჩვენი წამოსვლის დრო მოვიდა. დავემშვიდობეთ ჩილოდლების ოჯახს. დილარამ პარკში თხილი ჩაგვიყარა, ნამცხვრები ჩააღაგა მეორე პარკში, გზაში მიირთმევთო, გამოგატანა.

გზას დავადექით. რამდენიმე კილომეტრი გავიარეთ. გზაზე მიმავალი მოსუცი შეგვხვდა. ნიათმა მანქანა გააჩერებინა, გურჯია, დაელაპარაკეთო.

სარი თოფალოდლი აღმოჩნდა, 89 წლის ვარო, გვითხრა გაცნობის შემდეგ.

- რაგაა ხარ? - მეკითხება ბატონი სარი.
- კარქა ვარ. თქვენ „რაგაა ხართ?“
- კად ვარ, კად!
- საიდან მოსულან თქვენი ძველები?
- იქიდან მოსული არიან, ბათუმიდან.
- თქვენი გვარი? სოფალი, - დავუზუსტე ბნ სარის.
- ჩვენ თოფალოდლები ვართ!

შემდეგ განაგრძო მოსუცმა:

- ჩვენები რომ მოსულან, თურქებმა არ იცოდენ მეგრემ სახლი გაკეთება, ყანი გათონნა... აქ ერმენები ყოფილან, იმათ ურტყენ, ჩვენებმაც ურტყენ, მემრე გეჟცენ. ერმენებმა მათი სახლები დაწვეს... იმტონი არ ვიცი.

მორწმუნე კაცია ბატონი სარი. ჰაჯად ყოფილა, წმინდა ადგილები მოულოცავს და დღესაც ერთგულად ემსახურება მაჰმადის სჯულს.

- ბაბუ, ძველად ნადს რომ გააკეთებდით, იმღერებდით ნადში?

- ჩვენებურად იმღერებდენ, აბა! იმტოლ ვერ ვიტყვი:  
... ჰეფვა, ჰეფვა, ჰეფ, ჰაფვა ჰეფე...

მერე სიტყვები არ ვიცი. ნადები ათი კაცი, ოცი კაცი იქნებოდენ. ფაქვაში, დედე, ისე ვიტყოდით... ერთმანებ ვაშე-

**ლიგებდით. ჩვენ ხუთი-ექსი აგზე ვიტყვოდით, ხუთი-ექსი გად-  
მა ქედზე...**

ნადური სიმღერების შესახებ ხსოვნა ცოცხლობს აქაუ-  
რებში, ჯერჯერობით მომღერალს ვერ შეგხვდით. ვნახოთ,  
ეგებ წავაწყდეთ ვინმეს, ვისაც ჯერ კიდევ ახსოვს ძველებუ-  
რი სიმღერები. ერთი რამეც უნდა გავითვალისწინოთ: ახალ  
დროში მოიშალა ძველი, ტრადიციული მეურნეობა, ძველე-  
ბურად აღარ ითესება ყანა, არც ნადს იწვევენ, შესაბამისად,  
დავიწყებას ეძლევა ნადური სიმღერებიც. ჩემი აზრით, ფასე-  
ულია ნადში ნამღერი ნადური, თოხი რომ უწევს აკომპანი-  
მენტს, სიმღერას ოფლის სუნი რომ ახლავს, მომღერლის  
ყელიდან დაღლილი ხმა ამოდის... სულ სხვაა სცენაზე ნამ-  
ღერი იგივე სიმღერა, დედნის სუროგატი, თეატრალიზებუ-  
ლი, დაყენებული ხმითა და თეატრალური კოსტუმებით...

საარის ნაამბობიდან კიდევ ერთ დეტალს მივაქცევ ყუ-  
რადღებას: თურქებმა „**თელი დემწავლეს, იმათ სახლი გაკე-  
თება, ნალიადს გაკეთება არ იცოდენ, დედე. გარცხვა, გაკე-  
თება ჩვენგან იწავლეს, დედე...**“

აქაურთა საუბრიდან ჩანს, რომ მუჰაჯირებმა ამ კუთხე-  
ში ახალი კულტურა მოიტანეს, რომელიც დამხვდურებმაც  
აითვისეს. ზოგჯერ გადაჭარბებულადაც შეიძლება მოეჩვენ-  
ოს კაცს რესპონდენტთა მონათხრობი, მაგრამ უნდა გავით-  
ვალისწინოთ ერთი ფაქტიც: მოსულებმა ვერ იგუეს ადგი-  
ლობრივთა ტრადიციული ყოფა, სხვა მიზეზებთან ერთად,  
ამიტომაც მოიზღუდეს თავი, ჩაიკეტნენ უცხოთათვის, რითაც  
გადაარჩინეს საკუთარი იდენტობა...

ბ-ნი სარის მეტყველებაში დავაფიქსირეთ საყურადღებო  
ზმნური ფორმა – **გარცხვა**. გვხვდება იგი შავშურშიც, დ.  
გურამიშვილის ენაშიც, სხვაგანაც.

ჩვენი რესპონდენტი კიდევ ერთ ფაქტს მიაქცევს ჩვენს  
ყურადღებას:

**ჩურუქსუელებმა წმინდა ლაპარიკი იციან!**

ღიას, ქობულეთელ მუჰაჯირთა შთამომავლები გამოირ-  
ჩევიან ჩვენებურთა შორის, როგორც კარგი მექართულები.

ძველად, სკოლაში წასვლამდე, ბავშვი ოჯახში ქართულად ლაპარაკობდა. ხდებოდა ისეც, რომ ზოგიერთი, განსაკუთრებით ქალი, მთელი ცხოვრება არსად გადიოდა და ვერც თურქულს სწავლობდა, იცოდა მხოლოდ ქართული. სარი თოფალოღლი გვეტყვის: **წინ-წინ თურქულაჲ ვერ დეჲლაპარიკებდი, ახლა ოქული გამოვდა, ჩვენებურ ვერ დეჲლაპარიკებ.. თურქულაჲ... ჩვენებურაჲ. ჰემ თურქულაჲ, ჰემ ჩვენებურაჲ.**

ორივე ენა უნდა იცოდეთ, გვიხსნის მოხუცი: ოჯახში ჩვენებური, გარეთ – თურქული. ორენოვნება ჩვენებურისათვის რეალობაცაა და ბედისწერაც, უფრო საბედისწერო რეალობა. სკოლაში ახალგაზრდა იწყებს ახალი კულტურის გაცნობას... და ეს ახალი თითოეულ ემიგრანტში ებრძვის საკუთარს, იწყება კულტურათა გაუსაძლისი დიალოგი პიროვნებაში: თანდათან უცხო კულტურა თრგუნავს მშობლიურს, შესაბამისად, იცვლება მეტყველების მანერა, ღარიბდება ლექსიკა, ადამიანი ეჩვევა უცხო ადათ-წესებს, ხშირად ივიწყებს მშობლიურს... ეს ფსიქოლოგიური სტრესია თითოეულისათვის. საბოლოოდ მეხსიერებაში დაიბინდება, დაილექება მშობლიური, ქართული, გააქტიურდება შექენილი, მეორეული... შედეგი კი ასეთია: ახალთაობამ იცის, რომ „დედე ბათმიდან მოვდა“, რომ „ესკი გურჯია“... თავად კი არ იცის მშობლიური ენა, იგი თურქული კულტურის ნაწილია.

ესაა მუჰაჯირთა დღევანდელიობა, ესაა მუჰაჯირობის, როგორც მოვლენის საბოლოო შედეგი...

მუჰაჯირთა ცხოვრების წესი, მეურნეობა განსხვავებული იყო წინათ. ახლა შრომისუნარიანი ქართველი ქვეყნის შიგა რეგიონებში მიდის, იქ მუშაობს, იქ იწყობს სამოსახლოს, იქ გადის პენსიაზე. ზაფხულობით თუ მოიკითხავს სოფელს სოფლიდან გადასახლებული. შესაბამისად, ძველი საყანეები და სათიბები თხილის პლანტაციებმა დაიკავა, დავიწყებას მიეცა მეცხოველეობა, აღარავის ახსოვს მემთვერობა და **მაილები** მთაში: **წინ-წინ ბევრ ძროხებ ვიჯებოდით, ახლა აღარ ვიჯებით** – გაიგონებთ მუჰაჯირებთან. სოფელს

დიდი შრომა და ჭაპანწყვეტა ახლავს, მაგრამ მაინც ფუხრობაა მისი თანმდევი. ქალაქში წასულმა გაჭირვებას დააღწია თავი, წელში გაიმართა. **წინ-წინ დასაწვენი ლოგინები არ გვქონდა, აბლი, ახლა გვაქ. იმდღევანი გვქონდა, სტუმარი მოვდოდა, მეზობლებ ავართვამდით. ახლა ოცი ლოგინი გვაქ--**

კარგა ხანს ვისაუბრეთ სარი თოფალოდლისთან. საინტერესო მოხუცია, ბევრი რამ გადახდენია, ცხრა ათეულს მიღწეული ხვალინდელ დღეზე ფიქრობს, იმედით უქურებს მომავალს.

სეზარ სომოდლი, 58 წლის მუჰაჯირთა შთამომავალი გვეახლა, გაგვეცნო, გვესაუბრა.

სეზარმა ქართული გვარი არ იცის. ვარაუდობს, „ცომოდლები“ ვიყავითო უწინ. ბაბუამისი, სულეიმან სომი, მოსულა აქ 1910 წელს. სეზარის თქმით, **ქოქლეკი** ერმენების სოფელი ყოფილა. მისი წინაპრები ბათუმიდან რომ მოსულან, „**ათაშ ხაინარ ფულაში**“ დამჯდარან, თეთრი ყურძენი დუურგიან, ხეზე ევდოდა. „ღვარი გამოსულა, წედლო, წევდა წყალმა“. ეფრატიდან (მაჭახლის ხეობაშია – ავტ.) ოთხი ძმა წამოსულა „ბაღან-ბუნით“: დაყუფი (სეზარის ბაბუა), ოსმანი, დუსუფი, ყადირი. პირველად ისინიც სანაპიროზე დაუსახლებიათ, „**ბეთვანი ბუზები ყოფილან**“ იქა, დაუტოვებიათ იქაურობა და აქ, მთებში გაუშენებიათ ახალი სოფელი.

მუჰაჯირთა მონათხრობებში ხშირად ვხვდებით ბრძოლის ეპიზოდებს. ჩანს, ძნელი იყო უცხო ქვეყანაში ფუძის ჩაყრა და დამკვიდრება. მუჰაჯირთა ყოველდღიურობა იყო ბრძოლა თავის გასატანად; ბრძოლა გარემოსთან, დამხვედურებთან... მოდუნება დაღუპვის ტოლფასი იყო. ამიტომაც იბრძოდნენ, ზოგჯერ მძლავრობდნენ, უკადრებელსაც კადრულობდნენ ზოგჯერ, ოღონდ თავი გაეცანათ, ოღონდ გადარჩენილიყვნენ.

დამახასიათებელია ასეთი ეპიზოდები მუჰაჯირთა მოთხრობებიდან:

– წინ-წინ აქ რომ ერმენები იყვენ, ჩვენებ ეტყოდენ, რომე ხარი მომიყვად, დაგვლა'დაო. არ მუყყვანდენ, ურტყამდენ! სიმინდი მოიტადო, არ მიიტანდენ, ურტყამდენ!

ერმენს უთხრობია ახმედადსთვინ, ხუთი ბათმანი დააფქვიე, მოიტადო. ვერ უშოვინია. ერმენებმა დაკლეს ორი კაცი, თავი ყაზულზე წამოდვეს, თუთხმეტი დღე ყოფილა...

– ერთი ემიად მყოლია, უნიედან მოვდოდა, თხები ყოლია. თხები მომცე'და, არ მომცე'და... დუშუკლიან...

ირგვლივ ძალადობა ბატონობდა. ასეთ პირობებში არც მუჰაჯირს უნდა ეჩვენებინა თავი ძაბუნად, მასაც უნდა გამოელო ხელი, პასუხი გაეცა მოძალადისათვის, მაგრამ არც თოფის სროლა და კაცის კვლა იყო იოლი: **ბაბაებმა წევდენ, ვერ ესროლენ იმ კაცს. ერთი ბიბიად გეყავდა, კაცზე-კაცი, ვედა ოჯახზე, ბრავდამიცა, მოკლა მეგერ.**

მკვლელს პასუხი უნდა გაეცეს. თუ საჭირო გახდებოდა, ჩვენებურები ერთიანდებოდნენ და ისე სჯიდნენ უცხოტომელ მოძალადეს...

სასტუმროში დაბრუნებულებმა ექრემ გურგენიძე (ხოხნელი), სასტუმროს დირექტორი გავიცანით.

ექრემმა იცის დედების ენა, თუმცა უჭირს. მშობლებმა უკეთესად იციანო ქართული...

ვთხოვეთ ექრემს, ეგებ ვახშამი აქვე მოგვიმზადოთო. დაგვიპირდა. ერთი უღუფა თხუთმეტი ლირა დაჯდებო. ძვირია, მაგრამ სხვა გზას ვერ ვხედავთ, უნდა დავთანხმდეთ:

– ზღვისპირა ქალაქია უნე, ფასებიც შესაბამისია, – ამბობს ზაზა.

– სიძვირეა მთელ თურქეთში, სიძვირეა უნიაეშიც, გამოწაკლისი ხომ ვერ იქნება ეს ქალაქი? – ვამბობ მე.

ნომერში ავედით. საღამოს სასტუმროს მეპატრონეს, ასლან ათაბეგს უნდა შევხვდე. იქამდე ჯერ დროა. საღამომდე ქალაქში გავლასაც მოვასწრებთ.

ქალაქში ფეჰმი ჯერაჰოღლის შევხვდით, აჭარელ მუჰაჯირთა შთამომავალს. ქუჩაში გაგვეცნო, გაიგონა რა ქართული საუბარი, გამოგველაპარაკა:

– ჩვენებური ხართ? საიდან მოხვედით?

– ბათუმიდან ჩამოვედით, აქაურ ქართველებს ვეძებთ, „გეგცნოთ“და,“ – მივუგე მე.

ფეჰში ფეხზე წამოვდგა. სათითოოდ ჩამოგვართვა ხელი, შემდეგ ოფისში მიგვიწვია, ჩაიხე დაგვპატიჟა.

სამოცდაათს მიტანებული კაცია ფეჰში, შეიძლება მეტიც. კარგად გამოიყურება. ჰაჯადაც ყოფილა, მორწმუნე კაცია, სხვაგვარად ვერ მოიქცეოდა. ბევრი „უსაქმია“, შემდეგ სკოლა და საავადმყოფო აუშენებია სამადლოდ, დიდი ფული დაეხარჯეო, მოხუცმა. ახლა ეს მადაზია გავესენი, მიცვალებულის მომსახურებისათვის საჭირო ნივთებს ვყიდი, გაჭირვებულებს უფასოდ ვაძლევო...

სამადლო საქმეს აკეთებს ფეჰში!

– სად დგახართ?

– სასტუმრო „ანკარაში“, ქალაქგარეთაა!

– მაგ ოტელის პატრონი ჩემი არხატაშია, ასლანად ათაბეგი, მის ბიჭსაც ვცნობილოფ, ატილას, ჩემი არხატაშია...

ბ-ნ ასლანს დაურეკა ფეჰშიმ, შენი სტუმრებიანო ჩემთან, ბათუმელი პროფესორები, სალამოს, ახშალამაზის (<ახშამნა-მაზის) შემდეგ ამოვალო...

შეთანხმდნენ!

ჩაი დავლიეთ, ვისაუბრეთ. მასპინძელი გვათვალთვინებინებს სურათებს, გვიხსნის, გვიყვება...

ვუსმენთ. ჩვენს საუბარში რუსლანმა ქალაქი „მოიარა“, სხვებს რული მოერიათ. მე ვუძღვებ. ვუსმენ მოხუცის მონათხრობს. ჩანს, ფეჰში რაღაცას მაღავეს, გვაეჭვებს მისი ამჟამინდელი საქმიანობაც: მაინც რა ცხოვრებით იცხოვრა, რომ მთელი მონაგები ქველმოქმედებას მოახმარა, ისე რომ შეიძლება არაფერი დაუტოვა?!

ვინ იცის!

ვახშმის შემდეგ სასტუმროს პოლში შევიკრიბეთ: ასლან ათაბეგი, ფეჰში ჯერაპოვლუ, ზაზა, მალხაზი, რუსლანი და მე. მალე ატილა ათაბეგიც შემოგვიერთდა.

ბატონი ასლანი ღრმა მოხუცია. სასტუმროს ატილა მართავს. მამა ამაყობს ვაჟით. საუბარში თქვა: „ჩემი ატილა მგარია, ვალთან ლიფერით შევა, თუ დაჭირდა. უფროსმა ბიჭმა ათი დილი (ენა – ავტ.) იცის, ქართული არ ისწავლა, რათ მინდაო“.

ასლან ათაბეგი ათაბაგების დიდი გვარის ჩამომავალია. გვესაუბრება თავის წინაპრებზე, ათაბაგებზე, თავდგირიძეებზე, სხვებზე...

სასტუმროს მოსამსახურეს დაუძახა ასლან ათაბეგმა, მისი ოთახიდან ძველი სურათები ჩამოატანინა.

– **ეს ჩემი ხანუშია!** – გვანუხნებს ახალგაზრდა, სანდომიანი ქალის სურათს, **ფაყვადის ქალი იყო ბათუმიდან, გვამცნობს.**

ფაყვადეები ფაღავეების აგარის არცთუ რიცხვმრავალი შტოა. დავინტერესდი. ჩაკითხე ბატონ ასლანს, ხომ არავინ გახსოვთ თქვენი ხანუმის ნათესავი-მეთქი.

ვერაგინ გაიხსენა.

– **ქალი მომიტა, მერე – შვილიც, დეშალა ცხოვრება-ო,** – ჩაილაპარაკა შეწუხებულმა.

ძველი დოკუმენტები, ნივთები, სურათები ხომ არ დაგრჩათ? – შევცვალე საუბრის თემა.

– **ბევრი იყო, გაჩნთა, არაფერი მაქვსო,** – მომიგო, თან დაუმატა: **ბოდრუმში არის ჩემი ძველი წიგნების ნაწილი, ბიჭმა წეფლო, ძველი ქაღალდები ერთმა პროფესორმა წეფლო, წერს რაცხას, გაგაცნოფთ იმ ქალსო,** – დაგვიპირდა ბატონი ასლანი.

იქნებ მართლა კქონდეს რაიმე საინტერესო სიგელ-გუჯარი ათაბაგთა შესახებ, იქნებ ფაღავეების შესახებაც, დღემდე უცნობი. ყველა შემთხვევაში საინტერესო იქნება ათაბეგთა „არქივის“ ხილვა...

გვიანი დამე იყო მოხუცებს რომ დავემშვიდობეთ და დასაძინებლად წავედით.

არ მეძინება, უფრო არ მინდა დაძინება. რვეულში ვიწერ დღევანდელი დღის შესახებ... მალხაზიც რუკებს უყურებს,



აღნიშნავს დღევანდელ მარშრუტს, შემდგომ რომ შეადგინოს მუჰაჯირთა სოფლების რუკა.

**6 ივლისი, პარასკევი.** დილით **ქუშნაში** წავედით აჭარელ მუჰაჯირთა შთამომავლების სანახავად. ამჟამად ქუშნაში ცხოვრობს:

ჩიკვაიძე – ხუთი ოჯახი. ვაიოელი ხასან ჩიკვაიძის ჩამომავლები;

ლორთქიფანიძე – კარააჰმედოღლი;

გონიოღლი/ღონიოღლი – ორივე ფორმას ამბობენ.

სირაბიძე;

გოგიაშვილი.

აქაურთა მონათხრობიც ტიპურია, დიდად არ განსხვავდება სხვათაგან:

– **ძმები ყოფილან, პირველად ქვეითებში ყოფილან. იქა ბუზი ყოფილა, სივრისირელი. მერე კად იყოსო და აქ ამოსულან. უნიეში ჩვენი ახრახები არიან.**

ბუზი და ცხრო, – ორი უმთავრესი მიზეზი, რამაც მუჰაჯირები აიძულა ბარიდან აყრილიყვნენ და მადლობში ექებათ სამოსახლო.

უფროს თაობას ჯერ კიდევ ახსოვს ქართული.

– **ჩვენი ლაპარიკი რაფრა არი?** – კითხულობს გოგიაშვილების ჩამომავალი და ინტერესით მიყურებს პასუხის მოლოდინში.

– კარქა არი თქვენი ლაპარიკი, გვაგნებიეფ ყველაფერს, – ვუქცევ მეც.

ეზოში ვსხედვართ. ექრემის მეუღლე სახლში ფუსფუსებს, მალე ისიც შემოგვიერთდა, ყავა და ტკბილეული მოგვართვა.

ნიაზი ცდილობს, ააღაპარაკოს ექრემი. ხუმრობს, თავის სოფელში გაგონილ ტყუილ-მართალს იხსენებს, ეგებ დავაცდენინო რაიმე სიტყვაძუნწ მასპინძელსო.

– ნიაზი აჭარის მიღლეთ ვექილია, ვაცნობ სტუმარს მასპინძელს. აჭარის უმადლესი საბჭოს თავმჯდომარის მო-

ადგილზე. ვფიქრობ, ეგებ ნიაზის თანამდებობამ გაჭრას-მეთქი.

გაჭრა ჩვენმა მცდელობამ, თანდათან ალაპარაკდა ექრემი.

– რამე ძველ, ზათინდელ ამბავს ვერ გაიხსენებ? წიგნს ვწერთ თქვენზე, მინდა, ვიცოდეთ თქვენი ამბები, – ვეუბნები მასპინძელს.

– **ჰო, რა ვთქვა? მე ოცი და ხუთი წელიწადი სამსუნ ვისაქმე. აღმანიას ვიყავ, მაქმან მანქანას აკეთებდენ, იქ ვისაქმებდი. მერე წამუელი, ემექლი გაგხდი.**

ერთი ამბავი გაიხსენა მასპინძელმა ფიქრის შემდეგ (ჩანს, ფიქრობდა, ეთქვა თუ არა, უფრო გენდობოდა თუ არა. სიფრთხილზე უცხო მხარეში გადახვეწილი კაცისათვის დამახასიათებელი თვისებაა):

– **აქოფრობის დედამ შიერი დარჩა და... თურქს პური მოთხვა, არ მიცა თურქმა. შამუშარა, ჰემ მოკლა, პურიც აართვა. შიოდა, რა ექნა...**

– შიერი კაცი რას არ იკადრებს, – ვეუბნები, ვცდილობ, „გავამართლო“ „დედემს ნაქმარი“, თუმცა რა გამართლება შეიძლება მოეძებნოს კაცის კვლას? „შიოდა, რა ექნა“ თითქოს ამართლებდა ბაბუას ექრემი, მაგრამ აკლდა დამაჯერებლობა, იგი არ იყო ამაყი ბაბუას საქმით.

თანდათან მოგვენდო ექრემი. ჩვენც შევაგულიანეთ, „ამფერი ამბები გვინდაო“, ნიაზმა.

– **ტადა მყავდა, ტად, პაწად კაცი იყო, ჰამა ძალგანი. ყველას აშინებდა. იგი არ ყოფილიყო, აქ არ ვიქნებოდით...**

უკვე რამდენიმე დღეა ვუსმენ მუჰაჯირთა ჩამომავლობის მოთხრობებს და ვფიქრობ, ბეწვის ხიდზე დადიოდნენ მუჰაჯირები, ვიდრე ახალ სამშობლოში დაიმკვიდრებდნენ ადგილს. ყოველი ფეხის ნაბიჯზე ფათერაკი იყო ჩასაფრებული, შიმშილი კი – ყოველდღიური თანმდევი. ასეთ პირობებში „გაბედულება“ და „ვაჟკაცობა“ დიდად ფასობს. თუმცა ეტყობა, თხრობა ზოგჯერ გაზვიადებულია. წინაპრისაგან

გმირს ქმნიან შთამომავლები, აღიდეგენ წინაპრებს. აქვს ასეთ ქმედებას გამართლება...

– **ყაჰვე სვი**, – მთავაზობს მასპინძელი.

– „შექერი მაქ, შექერიან ყაჰვეს ვერ ვსვამ“, – მივუგე ქალბატონს.

– **ამის ქალი ძალგანი ბღეზი ყოფილა, კაცი შექრით გამხდარა ავათ**, – შემიცოდა ექრემის ცოლმა.

– ამის ქალიც მიღლეთ ვექილია, – ჩაურთო ნიაზმა.

– **ავათ გახდება, აბა რა იქნება: სახში საქმე, გარში საქმე, ავათ გახდება კაცი, აბა რა იქნება. ქალი მიღლეთ ვექილი, კაცი – სახში, რა კადა?** – ნიშნისმოგებით ბრძანა მასპინძელმა.

საკმაოდ ენაკვიმატი ქალბატონია, მოჭარბებული იუმორით.

– შენ კაცს შექერი არ აქ? – კითხულობს ნიაზი.

– **ჯერ არ აქ!**

– აქ თურქები ცხოვრობენ, კაი ხალხი არიან? – კითხულობს ნიაზი, თან ეშმაკურად იღიმება პასუხის მოლოდინში.

– **თურქებს კუდიანს ვეტყვოდი, იგინიც კოზახს** (დუუმ-წიფებელს, ჭახეს) **დიგვიძახებენ**, – გვეუბნება ექრემი.

არც მაჭახლელები მოსწონს ექრემს მაინცდამაინც.

– **ხაჯობაზე წვეყვანეა? ახლა ბღეზდება, რატომ წიმიყვადო, პაწად საქმე დარჩა**, – საუბარში ჩაერთო ექრემის ცოლი.

– თქვენ ხუმრობთ, აგი იცინის, – ჩაურთო ნიაზმა, ვერ ხედავ არ ბრაზობს?

– **თქვენ აქ ხართ და იმიზა, წესვალთ, გაჰერსდება**, – ბრძანა ქალბატონმა.

კარგა ხანს ვისაუბრეთ ექრემის ეზოში... ვპირდებით ოჯახს, რომ წიგნში შევიტანთ მათ საუბარს.

გურგენიძეების ოჯახიდან წამოსულები ჯამიკარზე ავედით. ყავახანის წინ დავსხედით, ვსაუბრობთ. ჩვენთან არიან:

ჯემილ ჩიკვაიძე (ქესკინი), იაშარ ბაირახტაროღლი (დევაძე), ნეჯათ იღმაზი (მოლლოღლი), დურსუნ აჰმედ ქიუნ-

ჯუ... ოსმან ბაირახტაროღლის შთამომავლებიდან – მემედ ბაირახტაროღლი-დევაძე.

მოგვითხრობენ, რომ ვაიოდან მუჰაჯირად მოსულა რამდენიმე დევაძე ერთი ოჯახიდან: ალი ჩაუში, შერიფ ჩაუში, სულეიმან ჩაუში, ფადიმე ჩაუში. „დედეებმა ქალებით მოვდე-ნო“, ამბობენ. „შერიფ დედეს ყავდა ორი ბაღანა (ბიჭი)“.

ამ კუთხეში ბევრი დევაძეა, – სოფელში ოცდახუთი, გარეთ – ასოცდახუთი ოჯახი.

ჩემთვის, როგორც მკვლევრისათვის, საინტერესო იყო აქაურთა დიალოგი:

- ჩემი დედემ მოვდა, ბათუმი თურქეთი იყო.
- რას ებლაყუნები და ხარ, თურქები არ იყო!
- ბათუმი რომ ჩვენი იყო, მაშინ ოსმან დედე დუნიაზე არ იყო. რომ არ იცი, მე შემატიე.
- რომელ წელს წვედა ბათუმი რუსიაში?
- ენვერ ფაშის დროს. ჰუქუმათმა მეფისვა, იმანაც მიცა. ფერები მოგვცა, დაფჯექით აქა, მაშინ ჩვენი დიდი თავი ვაჭდელი ფაშა [იყო].

სხვებივით ქუშჩელი მუჰაჯირებიც ჩაიკეტნენ თავისთავში: „ჩვენ აქა არც გარეს მივცემდით, არც მოვყვანდით...“ – აცხადებენ ქუშჩელი აჭარლები.

ბარემ აღვნიშნავთ, რომ მუჰაჯირად წამოსულებს ქელიდან წამოუღიათ *შავი ყურძენი, თეთრი ვაშლი, ხაჭიჭურა*.

უთხოვეთ რესპოდენტებს, იქნებ გაიხსენოთ რაიმე ძველი ამბავი, თავგადასავალი თუ გაგონილი. ერთი ასეთი ამბავი მოგვიყვა ქუშჩელმა ქედელმა, რომელიც, ვფიქრობ, მკითხველსაც დააინტერესებს:

- გოგოს ფეშინში წაყვებოლით. სუფრას დევაკავბოლით. კუმალი არი, უნიაფს სოფელი, იქ ვიყავით. სუფრა დევაკავთ. მიორე სართულზე ხარი ამუყვანიე.
- იმ მერდევანზე ხარი რაფერ ეფყვანეს, კაცი ძლივ იარებოდა?!
- რა გაკლიანო სუფრაზე? – მოიკითხა მამამთილმა.

– ხარი გვაკლიაო, – ვუთხარით. წვედენ, მეფეფანეს.

„გვევხოების“ ტიპური შემთხვევაა, აჭარული ქორწილისათვის დამახასიათებელი. რას აღარ მოიფიქრებდა ჭირვეული მაყარი...

ჯამიკარზე ხალხი შეგროვდა. ვცდილობთ, საუბარში გამოვიწვიოთ მასპინძლები.

ერთმა წაიმღერა:

**შუხტი, ბიჭო, მოგიხდება,**

**დანიშნული მოგიკდება.**

აჭარაშიც მომისმენია მსგავსი სიმღერა, თუნდაც ასეთი:

**შუხტი, ხუსიაგ, ხორონში,**

**დათვი ცეკვობს ყანაში,**

**ცხვირ-ბუკი მოგვეგრიხა,**

**წიფლი ქერქის ჭამაში.**

მეორემ ერთსტრიქონიანი ლექსი თქვა:

**მაღლა, მაღლა ქორი ფრინავს,**

**თვალუჟუნა თეთრი ქალი,**

**ხელსაც მიქნევს, აქ ამოდი,**

**შინ არ არი ჩემი ქმარი.**

შევუქეთ ლექსი. გაიხარეს. გახალისდნენ. ცდილობენ, სხვაც გაიხსენონ რამე. ნიაზი აქტიურობს, აქეზებს მთქმელებს, თვითონაც იხსენებს ლექსებს სხვაგან თუ ჩვენებურებთან გაგონილს. თანდათან ეშხში შევიდა გალექსება. იაშარ აილდიზს დაურეკეს, ბოლქვაძეს, ვაიოელი მუჰაჯირის შვილთაშვილს.

რამდენიმე წუთში მოვიდა მანქანით. გაგვეცნო. ავად ვარო, დაიწივლა, ჰამა თქვენთან მაინც მოვედიო. **ქართული დამიწყებული მქონდა, თუთხმეტი წელია მისლა-მოსლა იქნა, მერე დეწავლეო, –** გვითხრა.

– შენზე ამბობენ, სიმღერები იცისო, ლექსები იცისო, გვითხარი რამე! – სთხოვს ნიაზი.

იაშარმა წაიმღერა:

**ტულულ, ფაციაგ, შენ გიხდება,**

**დანიშნული მოგიკდება.**

ჩვენი ბერები იმდერებდენ, სხვები იტყოდენ: **ვაჰაჰაჰა, ვაჰაჰაჰა...**

საქმე კარგად მიდის. ნიაზი კონკურსს აცხადებს კაფიობაში, პრიზს აწესებს სამახსოვროს. პირველი თავად ამბობს ლექსს, შემდეგ სხვები მორიგეობით. ერთგვარი აზარტით ჩაერთვნენ კონკურსში. ბოლოს ნიაზმა გამარჯვებული გამოაცხადა და ყველანი „დააჯილდოვა“ ბათუმიდან წამოდებულ სუვენირებით. გაიხარეს იაშარ აილდიზმა, ომერ ჩიკვაიძემ და დურსუნ-აჰმედ ჩიკვაიძემ.

– აქ გურჯები არ იცეკვებდით? ქორწილი, მოყრილობა უსამურაჲ ხომ არ იქნებოდა? – ახალი თემა შემოვიტანე. შეიძლება, აქაურთა ცეკვა გადავიდოთ, ფოლკლორზე სიუჟეტს რომ მოამზადებს რუსუდანი, მასაც გამოადგება.

დაგვთანხმდნენ. ჩაებნენ ხორუმში დურსუნ-აჰმედი, იაშარ აილდიზი და ჰაჯი აჰმედ ილდიზი. იცეკვეს როგორც შეეძლოთ. ჩვენ ტაშს ვუკრავთ, ემოციებს ვერ ვფარავთ, სიმღერას ვაყოლებთ სხვებთან ერთად... დასრულდა ცეკვა, დაიღალნენ მროკავეები, დავიდალეთ ჩვენც...

რამდენიმე წუთის შემდეგ გამოგვაცილეს.

შუადღეა. შეიძლება კიდევ ერთ სოფელს ვეწვიოთ. **აქჩაიში** წავედით მაჭახლეღთა სოფელში. სოფლის მამასახლისი, ხუსეინ ნაგერვაძე (უზუნი) ჩხუტუნეთელი მუჰაჯირის, ომერ ნაგერვაძის, ჩამომავალია.

ომერი დაოჯახებული ყოფილა, მუჰაჯირად რომ წამოსულა. ცოლი და ორი შვილი ჩხუტუნეთში დაუტოვებია. აქ ჩამოსული დაქორწინებულა სხვა ქალზე, იმასთანაც ორი შვილი შესძენია. ცოლ-შვილი მონატრებია, წასულა ჩხუტუნეთში, ვეღარ დაბრუნებულა, დარჩენილა მაჭახელში...

შთამომავლებმა აღარ იციან სახლში დაბრუნებული წინაპრის ბედი. არც ჩხუტუნეთელ ნაგერვაძეებთან აქვთ ურთიერთობა. საინტერესოა, მაჭახლეღმა ნაგერვაძეებმა თუ იციან ომერ ნაგერვაძის მუჰაჯირული ცხოვრების შესახებ, თუ აქვთ ინფორმაცია ბაბუას აქჩაიში დარჩენილ შვილებსა და მათ შთამომავლებზე.

– ნაგერვაძეები ბევრი ხართ აქ? – ვეკითხები ბატონ ხუსეინს.

– ჩემმა დედემ ოთხმოზღათუთხმეტი წელი იცოცხლა. ბაბას ექვსი ძმა და სამი და ყავს. მეც ერთი ძმა მყავს, ორი – და.

ექვსი ნაგერვაძის ნამრავლი სახლობს დღეს აქჩაიში.

ბარემ ისიც ვთქვათ, რომ ხუსეინის დედა ემინე ჩელებადეა, ცოლი – ნიჟარადის ქალი ვაიოდან. უჭირს ხუსეინს ქართულად ლაპარაკი, თითქოს რცხვენია, თავს იმართლებს: **დედა-ნენად ერთად რომ ვიყავით, მაშინ ვლაპარაკობდით, ახლა აღარ ვლაპარაკობთ.**

რომ აღარ ლაპარაკობს ქართულად, ამიტომაც დაავიწყდა!

აქჩაიში სხვა ქართული ოჯახებიც ცხოვრობენ: ლომინაძეები (ლომანოღლები), ხახუტაიშვილები, ჩელებადეები.

– ხომ არ დაივიწყებენ შენი შვილები, გურჯები რომ არიან? – ვეკითხები ბატონ ხუსეინს

– მათ რომ დაამიწყდენ, თურქები არ დაამიწყებენ... ასე წელი იქნა, ას ოცი წელი იქნა ჩვენი აქ ჩამოსვლიდან, გულში ვერ ჩეიდვენ...

თურქებმა „გულში ვერ ჩეიდვენ“ ემიგრანტები, ვერც ქართველებმა „ჩეიდვენ გულში“ „კუდიანები“.

თურქების ქართველებთან დამოკიდებულება კარგად გამოსატა ბ-ნმა ხუსეინმა ერთი წინადადებით: „სახეში გიგოცინებს, უკენდან ან შეგაგინებს, ან რაცხა... ჩუმათ, ხმით – ვერა.“

საუკუნეზე მეტი გავიდა. ეს დრო არ დარჩა საკმარისი მუჰაჯირების ამ მხარეში დასამკვიდრებლად: მუჰაჯირი მანინც მოსულია, არაა აქაური. ვერც მუჰაჯირი შეეგუა უცხო გარემოს, უცხო კულტურას, ბოლომდე ვერ გაითავისა იგი.

შევთანხმდეთ: მძიმეა გადასახლებულის, ადგილნაცვალის ხვედრი!

სადამოს სასტუმროში მუზაფერ ოსანაძე გვეწვია, აქაური მაჭახლეელი.

ცემენტის ქარხანაში მუშაობს მუზაფერი, მომარაგების სამსახურის უფროსია. მურად შაჰინმა დამირეკაო თქვენს შესახებ სტამბოლიდან. ხვალ შაბათია, თავისუფალი დღე მაქვს, მე გაგიწევთ ვიდობას.

ქართულად მშვენივრად ლაპარაკობს მუზაფერი...

გვიანობამდე ვისხედით ტერასაზე ვანშმის შემდეგ. კარგა ხანს ვისაუბრეთ. ბათუმშიც დავრეკეთ, ოჯახები მოვიკითხეთ...

შუადამე იყო, სასტუმროს ნომერში რომ ავედი. აივანზე საწერი მაგიდა გავმართე და დღიურის ჩაწერა ვცადე. ვფიქრობ მუჰაჯირად გადასახლების მიძიმე დღეებზე; წარმოვიდგინე მშობლიური კუთხიდან ნებით თუ მოტყუებით დედაწულიანად აყრილი ასობით ოჯახის სვლა უცხო მხარისაკენ: ვინ ურმით, ვინ გემით, ვინ ფეხით... გაჭირვება, შიმშილი, ავადმყოფობა, სიკვდილი... დაღლილი, გატანჯული სახეები... ყველა ფეხის ნაბიჯზე ჩასაფრებული ფათერაკი... მაინც მიიწვევენ წინ „აღქმული ქვეყნისაკენ“, უკან დაბრუნების ეშინიათ, იქნებ ნებასაც არ აძლევენ. თითო-ოროლა თუ ახერხებს დაუბრუნდეს მშობლიურ კერას, კერას, რომელიც გაღვივებული დატოვეს, ღადარი ნაცარში შეინახეს, საჯიღზე ქვაბით რძე დატოვეს, ძროხა საბაღახოდ გაუშვეს, კარი გამოიხურეს, არ დაუკეტავთ, ეზო-კარს თვალი შეავლეს, ერთხელ კიდევ მოეფერენ და... უკანმოუხედავად წავიდნენ. წავიდნენ ფიზიკურად, ოცნებით ისევ აქ ათენ-აღამებდნენ. წასულები შვილებს მემღვქეთის ამბებს უყვებოდნენ, ძველ ადათებს ასწავლიდნენ, მშობლიური ეზო-კარის სიყვარულს უნერგავდნენ. შვილებმა ზედმიწევნით იცოდნენ, დედებს ეზოში სად იდგა ხეჭეჭური და ქირეხაი ბალი, სად ხარობდა დემირაი ვაშლი... იცოდნენ, დაბლა, ცხმელებზე რამდენი ძირი ჩხავერი თუ საწური იყო გაშვებული, დიდნენეს საფლავიც იცოდნენ სოფლის სასაფლაოზე... ბევრი რამ იცოდნენ იმათ, ვინც არასოდეს ყოფილა აჭარაში, ვისაც არასოდეს უნახავს აქაური სოფელი...



ვფიქრობ მუჰაჯირთა ბედზე. გადაადგილებულები მიადგნენ უნიეს თუ ორდუს სანაპიროებს: ირგვლივ ჭაობებია, ბუზი და კოლო, გამეფებულია ყოველისმმუსრაი ცხრო, ციებ-ცხელება.

აქ უნდა დასახლდეთო, უბრძანეს, ასეთია უზენაესის, სულთანის ნება.

სხვა რა გზა იყო, უნდა დასახლებულიყვნენ. მაღე იგრძნეს ცივ წყალსა და ჯანმრთელ ჰაერს შეჩვეულებმა აქაური ჰაეის სიმძიმე, თავი იჩინა ავადმყოფობამ, გახშირდა სიკვდილის შემთხვევები...

აქ განჩერება აღარ შეიძლება. უნდა აიყარონ, ახალი საცხოვრისი ეძიონ, ვიდრე ზამთარია და ცხრო და კოლო მიძინებულია...

ძნელია აყრა, უფრო ძნელია, გადაწყვიტონ, საით წავიდნენ, რა ბედს ეწიონ?

ნუ დავივიწყებთ, რომ დამხვდურები, მომთაბარე მეჯლოგენი თუ მეცხვარენი, მთიდან გამოსაზამთრებლად ჩამოსულები, კარგი თვალთ არ უყურებენ. უკვირთ, საიდან მოვიდა ეს ხალხი ამ ჭაობებში, რა უნდათ აქ. ამის უარეს ადგილას სად ცხოვრობდნენ, რომ აქ დასახლებას დასთახმდნენ? ესენი თუ აქ დარჩებიან, მათ ცხვარ-ძროხას გამოსაზამთრებელი აღარ ექნება... საზამთრო სადგომების გარეშე მათი არსებობა წარმოუდგენელია, ამიტომაც ავად შეხედეს ახალმოსულთ, გადამთიელთ, რომელთაც მათი ენაც კი არ იციან წესიერად, თუმცა მაღე იგრძნეს, რომ ამათთან ხუმრობა არ იქნებოდა. იციან მხოლოდ, რომ მუსულმანები არიან, მაგრამ ვერაფრით გაიგეს, რატომ მოვიდნენ ამ უცხო მხარეში, რატომ დასახლდნენ ამ ჭაობებში...

მუჰაჯირები აღრე გაზაფხულზე მთებისაკენ დაიძრნენ. მიდიან ახალ მიწებს ეძებენ სოფლები რომ ააშენონ, სახლი და საკარ-მიდამო გამართონ, ასე უცხო დამხვდურთათვის, საქონელი გაიჩინონ, ყანა დათესონ, ვენახი გააშენონ...

ვფიქრობდი. წერას ვერ ვახერხებდი. თავში ათასგვარი აზრი მიტრიალებდა, ყველაფერი მერუოდა... რამდენიმე ჩანაწერი გავაკეთე და დასაძინებლად დავწვი.

**7 ივლისი, შაბათი.** დილით ჩვეულ დროს ავდექით. სასტუმროს ტერასაზე ვისაუზმეთ. მალე მუზაფერიც მოვიდა და **თექქირაზში** წავედით. საათზე მეტი მივიღოდით მაღლა-მაღლა, ბოლოს ავედით დაბაში, სადაც შეგვხვდნენ ნეჯეთ ჩილოღლუ, ისმაილ ბუდუქი, ჯავეთ თურქოღლი.

თექქირაზი მაჭახლელების დაბაა. ისმაილ ბუდუქია აქაური მუხტარი, მამასახლისი.

ჩაი მოგვართვეს. ვცდილობთ, რაიმე ჩავიწეროთ.

– მაღხაზი გადასაღებ „მოედანს“ ამზადებს.

– ნუგზარი პატარა ვიდუოკამერით იღებს რაღაცებს.

– რუსლანი და გიორგი მაღაზიებს ათვალიერებს ინტერესით.

– მე, თინა და მაია ინფორმატორს ვეძებთ.

– ტარიელი ჩაის მიირთმევს.

– ზაზა და ნიაზი მუზაფერს ესაუბრებიან...

ჯავეთი და ნეჯეთი დასხდნენ ჩვენთან.

– გვიამბეთ რამე, დედე და ბაბაა რომ მოგიყვებოდით ის ხებერი, ჩევწეროთ გვინდა, ტელევიზორში'და ვაჩვენოთ. მემლექეთში ვასწავლოთ'და თქვენი ამბავები, – ვეუბნები ნეჯეთს.

– **რა მოგიყვებო, არ ვიცი, იტყოდა იშტე!**

– საღამოს, ერთად რომ შედურებოდით, ძველები არ იხებრებდნენ?

– **არა. დედე საღამოს არ ილაპარაკებდა ქი, ჩვენ დედეს ერთათ არ დავჯდებოდით ქი... ჩვენ იქიდან მოვედით, საქმე ვქენით, ჩვენ არ გვიყვებოდა ქი... – გვეუბნება ჯავეთი.**

მოდი და გაარჩიე, რა გვითხრა ჯავეთმა. ჩავეკითხეთ. აღმოჩნდა, სამუშაოდ ყოფილა ჯავეთი წასული ქალაქში, იქ უსაქმია, დაბრუნებულს კი ბაბუა არაფერს უყვებოდა.

ერთი ამბავი მოგიყვა ჯავეთმა:

**დედე ამის (ნეჯეთის) დედეს ღუუნახია, ხუთი წლის ბაღანა, წამუყყანია, გუუზდია, გოგო მიცა...** ასე დამოყვრებულან თურქოლღები და ჩილოლღები.

უცნაური ამბავია, ოჯახში შენსავე გაზრდილს ქალი მიათხოვო, მაგრამ ხდებოდა მუჰაჯირებში ასეთი უცნაურობაც, სხვაც ბევრი. ახლო ნათესავეებს შორის ქორწილსაც ხომ უშვებს აქაური ადათები.

– რაფერ ცხოვრობთ, ხომ არ გაშინებენ „კუდიანები?“

ნეჯეთი წამოენთო, გაცეცხლდა, შემდეგ თქვა:

– **პაწაი ვართ, ჰამა საღლაში ვართ. აქ ვერ მოვლოდენ** (თურქები – ავტ.).

ვატყობ, საუბარი არ უნდა გამოგვივიდეს, რაღაც არ აეწყო.

– სხვა რა გვარები ცხოვრობენ აქ?

– **რა ვიცი, ცხოვრობენ!**

ერთი რამ შეიმჩნევა. აქაურებმა თითქმის არ იციან მეზობლად მცხოვრები გურჯების ძველი გვარები, არ ინტერესდებიან.

მალაზიის გამყიდველი გავიცანით, ქიქავა ვარო, ბათუმიდან. გამეხარდა, ორთაბათუმელიც ვნახემეთქი ვიღაც. ვიფიქრე, რაიმეს გავიგებ-მეთქი ჩემი სოფლისას ძველ ამბებს. იმედი გამიცრუვდა. ქართული თითქმის არ იცოდა სეის ქიქავამ, ამბები მით უმეტეს. მისი ცოდნა იმით ამოიწურებოდა, რომ ბათუმიდან იყო და იყო ქიქავა...

ჩანს, თექქირაზში ვერაფერს ჩავიწერთ. უმჯობესია, ექინჯიქში წავიდეთ. მუზაფერი გვაიმედებს, „იქ ქართულეფ ლაპარიკობენო“.

ვნახოთ!

თექქირაზელებთან საუბარში ერთი საგულისხმო ნიუანსი გამოიკვეთა (თუმცა კარგა ხანია ვაკვირდები), კერძოდ:

1. მუჰაჯირად წამომსვლელებს ოჯახი მთლიანად არ დაუცარიელებიათ: ერთი დარჩა (უმეტეს შემთხვევაში), სხვები წამოვიდნენ.

2. მუჰაჯირები ჩხუბობენ, ხშირად უთანხმოება აქვთ ერთმანეთში, უბრად არიან, „გაბუკვილები“, მაგრამ სხვასთან თუ საქმე გაუფუჭდებათ, გაერთიანდებიან, სხვა სოფელში გადავლენ, გვერდით დაუდგებიან ჩვენებურს, მარტო არ დატოვებენ, დაიცავენ. ერთიანობით იმკვიდრებდნენ ადგილს უცხო ცის ქვეშ, სხვა საშველი არც იყო: გათითოკაცებულნი დაიღუპებოდნენ...

შუადღე იყო **ენიკენტში** რომ აველით.

ენიკენტი მაჭახლელოთა დასახლებაა მადლა, მთის ფერდობებზე. მუზაფერი ამ სოფლიდანაა. ნათესავებთან მიგვიყვანა. მასპინძელი, ჯემალ გიორენი მუზაფერის ბიძაა. მისი ცოლი, აიშე, აჭარელია. ჯემალი სეით ბაირახტაროღლის ჩამომავალია; იგი ამაყოფს წინაპრით.

გველაპარაკება. ბევრი უნახავს და გადახდენია გზაზე მდგარს...ჯემალ გიორენი 75 წლისაა. მძლოლად უმუშავია, ახლა ემეჭლია. ავადაა ბ-ნი ჯემალი, მოძრაობა უჭირს, საწოლიდან

ვათვალიერებთ გიორენების ეზო-კარს. ეზოში ძველი სახლი და ნალია დგას. ორივე ნაგებობა საინტერესოა, როგორც კულტურის ელემენტი, რომელიც მუჰაჯირებს სამშობლოდან წამოუღიათ. მიგვაჩნია, რომ ადგილმონაცვლეებმა ახალ გარემოში შექმნეს ქართული კულტურის კუნძულები. ამ თვალსაზრისით მართლაც მნიშვნელოვანია მუჰაჯირთა ყოფის ყველა ელემენტი, ნალია და საბძელიც მათ შორის.

ნუგზარი დიდი ინტერესით იღებს ნალიას: ჯერ ხომ ოთხივე მხრიდან გადაიღო, მერე აძვრა და ინტერიერიც დააფიქსირა... იშვიათი ნალიააო, დაასკვნა. როდესაც გვეგონა, დაასრულაო ნალიის გადაღება, მოულოდნელად დაფიქრდა, ვიდეოკამერა გამართა და ახლა ვიდეოგადაღება დაიწყო...

ექსპედიციის გაკვირვებული წევრები ვუყურებდით ნუგზარის საქმიანობას. „გვიხაროდა“, რომ ახალი „ადმოჩენის“ მომსწრენი ვიყავით.

ეზოში ძველი სახლი დგას-მეთქი, აღვნიშნე. ცნობიმოყვარეობამ შეგვიყვანა მიტოვებულ ორსართულიან ოდაში.

სახლში სამი ბუხარი აღმოჩნდა, ერთიანი ქვითა და ქამრით (ქამარს ბუხრის თაროს ეძახიან ჩემს სოფელში – ავტ.), ფორმით ისეთივე, მამისეულ სახლში რომ გვაქვს ყოროლის-თავში, ორთაბათუმის თემში. ვიტყვი, რომ ჩვენი ბუხარი უფრო მდიდრულია, აქვს ნახატები, ორნამენტები და წარწერა არაბულ ენაზე. თუმცა დღემდე არ ვიცით, რა წერია ბუხრის ქვაზე. ვერავინ ამოიკითხა, წერია კი რაღაც. მახსოვს, მომწვანო ფერის, გათლილი, ორნამენტებიანი ქვებით იყო ნაშენი მთელი ბუხარი ყელემამდე, ბუხრის ყელამდე. მოგვიანებით თაროს ზემოთ ქვები შელესეს, ოჯახის ქვა კი გადაღებეს...

– საიდან მოიტანეს ეს ქვები? – ვეკითხები ქალბატონ აიშეს, რომელსაც უკვირს ჩვენი განსაკუთრებული ინტერესი მიტოვებული სახლისადმი.

– აქ აკეთებენ ქვებს, გურჯისტანიდან არ მუუტანიან! – იყო პასუხი.

საინტერესო ფაქტია. ჩანს, ბუხრის ქვების დამზადების ტრადიცია საქართველოდან წამოიღეს, ქვითხურონიც ქართველი მუჰაჯირები იყვნენ, ქვა კი ყველგან ქვაა.

ქ-ნი აიშე გვეუბნება:

– ერმენებიდან ჩემ ბაბას ყანა დარჩენია. იქ ქვები ყოფილა, ჰო, ჰო... ამოვდა ბევრი ქვები, კეცებ აკეთებდენ, სანარწყალს (მუსლულს – ხელსაბანს)...

მნიშვნელოვანი ინფორმაციაა...

– კეცი რად გინდოდათ? – ვეკითხები ქ-ნ აიშეს.

– კეცზე ვაცხოვრებოდი პურ, ჭად... დაგაკრავდით, თენექას დაგახურებდით, შევწვადით...

ესეც ქართული ტრადიციაა – კეცის მჭადი და პური...

დენიკენტში დაახლოებით ისეთივე ჰავაა, როგორც მაჭახელში. აქაც იზრდება: ცხმელა, თხმელა, აკაცია, წყავი, წაბლი, წიფელა, ლელვი, მსხალი, აღუბალი, კაკალი, ტყემალი... აღარაფერს ვამბობ თხილზე, რომელსაც ამ „ქვეყნის“ სავარგულების დიდი ნაწილი უჭირავს. ძველ გამოთქმას ვიხსენებთ, ისტორიის სახელმძღვანელოში რომ ამოგვიკითხ-

ავს ბავშვობაში: „ცხვარმა შეჭამა ინგლისი“, პერიფრაზით: „თხილმა წალეკა თურქეთის შავიზღვისპირეთი“, ყარა დენი-ზი. გზისპირებში მრავლადაა ძარღვაძარღვა, როგორც აქ უწოდებენ – ბრავალძარღვა (შდრ. მრავალძარღვა), ანწლი, ეწერი... მართალია, ეს მაჭახელი არ არის, მაგრამ რაღაცით მოგვაგონებს მას.

ენიკენტში ჯორიც შეგვხვდა.

– **წინ-წინ ვირი და ჯორი იქნებოდა, ახლა ასე არაა, ერთი-ორი თუა,** – გვისხნის მუზაფერი.

ენიკენტი მურადის სოფელია, შაჰინის.

მურად შაჰინი მალე შემოუერთდება ჩვენს ექსპედიციას. დღეს უმურადოდ მოვიარეთ ენიკენტი.

ენიკენტიდან **იქინჯუხში** გადავედით. მთის სოფელია: წარმოვიდგინოთ წავგრძელებული გორაკის თავზე ორღობე და მის ორივე მხარეს სახლები, ფერდობებზე კი თხილის ბაღები. თუმცა ეზო-კარში სხვა ხილიც ჩანს.

სოფელში შევედით, მანქანა გავაჩერეთ და ორღობეს ფეხით გაეუყევით. მე და ნიაზი დაეწინაურდით. ვხედავ, ორი ქალბატონი მოდის, ქართულად ლაპარაკობენ, ვიღაცას ჭორავენ... ჩვენ ხმამაღლა ვლაპარაკობთ, გვსურს, მათი ყურადღება მივიქციოთ. არ ელოდნენ ქართულად მოლაპარაკე უცხოელებს, გაჩუმდნენ, ფეხს აუჩქარეს და გაგვშორდნენ...

გზას ვაგრძელებთ. ჩვენგან მარცხნივ, სახლის ეზოში, ფუსფუსია, სამზადისში არიან. საქოწილად ემზადებიანო, ვიფიქრეთ: ეზოში ასამდე სკამი იდგა, გასაშლელი მაგიდები, სეფა... მამაკაცი და რამდენიმე ქალი ხორცს ჭრიდნენ. მივუახლოვდით, მივესალმეთ, მოვიკითხეთ, რის სამზადისში იყვნენ:

– **სუნნეთ დუგუნი გვაქ ხვალ, საჭმელებ ვაკეთავთ, ხალხი მუა, მივართუამთ.**

– ხალხი ბევრი იქნება?

– **იქნება!**

– რა საჭმელებს გაამზადებთ?

– **ბევრს, რა ვიცე: ძაჰნი, სარმა, ფილავი, ბორეგი...**

– ძროხა დაკალით?

– **ჰო, ხორცმა პაწად მოგვივდა და...**

კარგი სიტყვათშეხამებაა „ხორცმა პაწად მოგვივდა“, ჩვენს კუთხის მეტყველებისათვის დამახასიათებელი.

ვხედავ, ქნ თინას ყასაბი, ოსმან ყარაყაში გაუყვანია გვერდით: შაკიკისას ულოცავს თინას მასპინძელი და რაღაც მანიპულაციებსაც უტარებს. ოსმან ყარაყაში შელოცვების კარგი მცოდნეა, ასევე მზარეული (არჩი – ასე უწოდებენ ამ კუთხეში მზარეულს - ავტ.) – ცნობილი.

წყავნარაიდან ყოფილა მისი წინაპარი, ლომანოვლი აჭარიდან.

– იპოვა ქალბატონმა თინამ სამისო მთქმელი-მეთქი, გადავულაპარაკე ნიაზს.

– ხედავ, მარტო კი არ ულოცავს... ექიმბაშია ოსმანად, რამდენი რამე ცოდნია, ნახა თინამ საქმე...

ორლობეს გაუყევით მე და ნიაზი. გიორგი თინასთან დარჩა დასახმარებლად, ამასობაში რუსლანს სოფელი მოუვლია...

ჩანს, ჟურნალისტებმაც იშოვეს კარგი საკბილო. მშვენიერი სიუჟეტია თინა მკითხავთან.

მემიოდლების ეზოსთან შევჩერდით. ეზოში ჰამაკი გაუბამთ ბავშვებს, თამაშობენ ხის ჩრდილში. ჩვენს დანახვაზე თამაშს თავი დაანებეს და ეზოში მიმოიფანტნენ. ჩანს, ამ ოჯახის შვილიშვილები არიან, არდადეგებზე ქალაქიდან ჩამოსული. არ შევმცდარვართ. ბავშვები ქალაქში იზრდებიან, ქართული არ იციან, „გედგებენ, ჰამა ვერ უთქმიან“.

შეგვიპატიყეს. შევედით, ეზოში მაგიდას მივუსხედით. მამა-შვილი, ოსმან და ფაარ მემიოდლები გამოვიდნენ, მოგვესალმნენ და გვერდით ჩამოგვისხდნენ. იქვე ქალბატონი ტრიალებს, გვესმის მისი ლამაზი ქართული, მაგრამ ახლოს არ მოდის, გვერიდება უცხოებს.

– საიდან ხართ, თქვენი ძველები საიდან მოვიდნენ აქ?

– **ბათუმიდან გამოვდენ, ვიცით, სხვა არაფერი, –** გვპასუხობს ოსმანი.

– ძველები იქიდან მოვდენ და... კურთხელიდან მოვდენ. ერთი მოვდენ და მაქფერი სოფელი არ ვიცითო, – ჩაერთო საუბარში ფაარი.

– კურთხელი? არ ვიცი, რომელი ხეობის სოფელია, იქნებ უბანია, რომელიმე დიდი სოფლისა. შეიძლება დადგენა, – გადავულაპარაკე ნიაზს. ამათ მეტყველებას რომ ვაკვირდები, ვფიქრობ, მაჭახლის ხეობაში უნდა ვეძიოთ კურთხელი.

– თქვენ საიდან მოით? – გვეკითხება ფაარი.

– ბათუმიდან ვართ, ესენი პროფესორები არიან, წიგნს წერენ თქვენზე... აცნობს ჩვენს თავს ნიაზი.

– თქვენ კამ ყოფილხართ, დარებით! – მოგვიწონა საქციელი ოსმანმა.

– ძველებიდან ვინ მოვიდა მუჰაჯირად?

– ჰესრეთალაა, მისი ბიჭი ოსმანაა (ჩვენი დედე), იმის შვილი ალი (ჩემი ბაბაა), მეჩე – მე, ოსმანაა ჩემი ბაბანა, – გვაცნობს ფაარი თავის გენეალოგიას.

ოჯახის მეხუთე თაობა ცხოვრობს ამ კუთხეში.

– დედე მეგერ უნიას'და დამჯდარიყო, სივრისინეგებმა, ბუზებმა შეგვჯამენო და ამოვდენ აქა. ზაფხული კადა და ზამთარში ვერ გეხედავ გარეთ, – სხარტად ახასიათებს სოფელს ოსმანი.

ნიაზი კითხვებს უსვამს მასპიძლებს. მე აქაურთა მეტყველებას ვუსმენ:

– შირინოღლები ახსები არიან, ლაპარიკი ბეთი იციან, ლამაზი ლაპარიკი არ იციან. მეზიოღლები მოვდენ, ჰამა არ წამოვდენ წინ, მოკლებიან... – ვიწერ ფაარის საუბრიდან ფრაზებს. ვცდილობ ქაღალდზე ზუსტად გადავიტანო, რაც მესმის, ვწუხვარ, რომ ინტონაცია ვერ გადადის ქაღალდზე. არადა, ინტონაცია დიალექტური მეტყველების მნიშვნელოვანი ელემენტია...

ზემოთ ვთქვი, ქალბატონი მოშორებით ჩამოჯდა, ახლოს არ მოვიდა, უცხოებს მოგვერიდა-მეთქი. ახლა იმანაც დაძ-



ლია უცხოობა, მოვიდა, გვერდით დაგვიჯდა. სახელი მოვიკითხეთ მისი:

– ფატმა ნაზლი, სამოცდაათი და ორი წლის ვარო, – გვითხრა.

– რაიმე მოგვიყევი თქვენს სოფელზე-მეთქი, ვთხოვ.

– ლოცვის დროა, ვილოცო’და, წვედე’და, – მოიმიზეზა ქნმა ფატმამ, მაგრამ წასვლამდე ერთი ამბავი მოგვითხრო:

აქ გადავრები გუუძიან და მემრე დასხდენ. აქ ალთუნის ქონიათ და მემრე ვერავენ ნახეს. აქ მუზარექიაო, თქვეს და მეგემ დერგი იყო, შიან ალთუნი იყო მეგემ. ამედეს და წედეს. დამეში მეგემ ძაღლებმა ყეფენ, გარეთ არ გეძხედენ. ამაზბავი გაღმა თეფეზე მოხდა...

ერმენები გააძეს, ამათ მოვდენ, გურჯებმა დაშენდენ. ერთი გადაერი დარჩენილა, მოწამლო’ნდა, დაალევიო’ნდა; მუსაფირათ დააყენეს. წამალი დაალევიეს. იმა გუუგნია. ნაცარი გუუხსნია, დუულევია, მორჩენილა. მერე იმიდან იწავდეს ჩვენებმა, მუცელი ეტკინებიან, ნაცარ გახსნიან, დალევენ, მორჩებიან...

ასეთი ქართულით გვესაუბრებოდა ფატმა ნაზლი. ამბის მოყოლის შემდეგ სალოცავად წავიდა ფაშფაშითა და კაბის ბერტყვით...

ბევრი ვისაუბრეთ იმ დღეს მემიოდლების ეზოში. ქორწილზე ჩამოვუგდე სიტყვა. ნამაზის შემდეგ დაბრუნებულმა ქნმა ფატმამ აგვიწერა აქაური ქორწილი, რომელსაც ბევრი საერთო აქვს ჩვენი კუთხის საქორწილო ტრადიციასთან. მოვიყვანთ ფატმა ნაზლის ნაამბობს უცვლელად:

ახლა დასასახლებელი ბიჭი გყავს, გაგაგნებია. მეც ახლა გოგო მყავს, ორ კაცს გამომიგზანნი. თუ მოცემა მინდა, მოგცემ. ბეჭედ წამოაცემენ. დღეს გადაწვევტენ. ერთ მოვდენ, ორ მოვდენ. თხუთმეტ დღეში ქორწილი. მოვა მაყარი, დუნია. დადიანი იყო, ახლა არ არი, ეძწია. ზამან იყო ცხენზე შეჟდებოდენ. სიძე მოვა, სუფრას დედაკავებენ. ბახშიშ მედთხოვენ: ერთ პროხას მიცემ, ორ პროხას მიცემ, ხობოს მიცემ, ლოგინი, საბანი, ბალიში... მიცემ.

გზას გასკინან, ფარას მიცემენ, გახსნიან გზას. დედოფალს გუმიშის ქემერი ქონდა, შეირტყამდა წელზე. ბიჭი კუთხემ, სიძემ გუშუკეთა.

დედოფალი წეიყვამ, სუფრას მომართვამ. არ მომართვამ, გოგოს დავტევო, წევალო...

დედამთილი დედოფალ შექერ გადააყრის. სახში შესლამდი დანებ მიასობენ იქეთ-აქეთ, შუშას მედაპარვენ, უკაკუნებენ კარზე...

**სულ წინწინამ, ქემერის დროის არ ვარ...**

ამ მოთხრობაში განსაკუთრებული ყურადღება მიიქცია „გუმიშის (კამბეჩის) ქემრის წელზე შერტყამამ...“ ვერავინ აგვიხსნა, რატომ შეირტყამდა დედოფალი „გუმიშის ქემერს“, იქნებ დაზუსტდეს სხვაგან. ჩანს, ეს წესი ძველია. 72 წლის ფატმა გვეუბნება, რომ „ქემერის დროდს არ ვარ“.

გვანტერესებს მუჰაჯირთა სამზარეულოც, როგორც კულტურის ნაწილი. ჩვენი ცნობისმოყვარეობა შეძლებისგარად დააკმაყოფილა ფატმა ნაზლიმ:

– **მაღახტოს გავაკეთავ... ზოგი ქართველი მაღახტოს ეტყვიან, ზოგი მოთრეველას ვეტყვით. თურქებმა არ იციან ჰინ.**

– **ქათამს გავაკეთავ კაკლით, – გურჯიჯე (შნშ. გურჯიჯე – აქ ქათმის კერძია – ავტ.).**

– **ლობიო-ფხალას გავაკეთავ, – ქინძი, სურინჯი/სურუნჯი, კაკალს არ იხმარებენ (შნშ. აჭარაში ფხალ-ლობიო კაკლითა და ნივრით კეთდება – ავტ.).**

– **ქესმა ჩორბას გავაკეთავ...**

– **ჰასუთას, ფაფას, ფილაგ გავაკეთავ...**

სხვა ვეღარ გაიხსენა ქალბატონმა.

ბატონი ფაარი მოგვიბრუნდა ფატმას წასვლის შემდეგ. როდესაც მეუღლე ლაპარაკობდა, ფაარი იჯდა და გვისმენდა, არ ჩარეულა საუბარში. ერთგვარი კანონზომიერებაა: თუ ოჯახში მამაკაცი სიტყვაძუნწია (ზოგადად არაა აქტიური), ქალი სიტყვამრავალია. ასეა ფაარის ოჯახში, ასეა სხვაგანაც.

საუბრის თემა შეეცვალე:

- უწინ აქ ხის ჯილდას აკეთებდნენ?
- **ჰო, წინ-წინ ხის ჯილდას აკეთებდნენ. ახლა ყათირებს უბმენ, ძველათ ხარებ უბმიდენ...**
- ძველად პურს თესავდით?
- **პურს დაეთესდით, ახლა ეძწია.**
- პურის გაღეწვა იცოდით? კალო გქონდათ?
- **პურ გაფენდენ, ხარმან ვეტყოდით, დუგენზე (კვერი – ავტ.) დაფუძებოდით, იტრიალებდენ ხარები, მარცვალი (ზოგი კაკალ ებნევიან მარცვალ – განმარტავს ფაარი) რომ გაცვინდებოდა, უწინავებდით, გახდებოდა პური...**

„კაკალი“ „მარცვლის“ მნიშვნელობით შეუნახავთ აჭარულ მუჭაჯირებს. საინტერესო სინტაგმად გვეჩვენება „პურის განიავება“. იგი დღეს აჭარულმა არ იცის. იცის „განიავება“ – „გაფანტვის“, „დაფანტვის“ მნიშვნელობით. იტყვიან: „ქონება გაანიავა“, „ფარა გაანიავა“, „გაანიავა“ – „ქარს გაატანა...“ პურს არ თესენ და ამ უბრალო მიზეზის გამო, ვერც „უწინავებენ“.

მემიოდლებს დავემშვიდობეთ და ორღობეს დაუქვეით. ვათვალთვრებთ სოფელს, თან რესპონდენტს ვეძებთ. ვხედავთ, ერთ ეზოში მოხუცი ქალბატონი ზის, მზეს ეფიცხება, თვლემს... გადავწყვიტეთ, შევსულიყავით.

ჩელებოდლების ეზოში აღმოვჩნდით მე და ნიაზი, მოგვიანებით სხვებიც მოვიდნენ.

ეზოში მჯდომი ქალბატონი ჩელებოდლების რძალი (ასე გაგვეცნო თავად – ავტ.), ფადიმე იურთი აღმოჩნდა. იგი ოთხმოცდახუთი წლისაა, თუმცა მკვირცხლი, კარგი მოსაუბრე. ზოგი რამ ახსოვს ძველი დროებიდან. არ დაგვზარდა, მოგვითხრო, რაც გაახსენდა ეპიზოდები მისი თუ მუჭაჯირთა ცხოვრებიდან.

- რამდენი წლის ბრძანდებით? – ეკითხება ნიაზი ქნ ფადიმეს.

- **ქემალ ფაშა რომ მოკტა, რვა წლის ვიყავი!**

– მიგანიშნა და ახლა გამოიანგარიშე, – გადავულაპა-  
რაკე ნიაზს.

უნებლიედ ბებიჩემი გამახსენდა:

– რამდენი წლის ხარ? – შევეკითხებოდი შვილიშვი-  
ლები/ბადიშები.

– ბიბილაჲ ჩემზე შვიდი წლით იყო უმფოსი!

– ბიბილაჲ როდის დაიბადა?

– კვირიკეში, ჩვენ ეზოში ალა-მელექი ბალი რომ მოს-  
კდა, იმ წელიწადს, – დაგვიზუსტებდა ბებია.

ჰოლა, „გამოიანგარიშეს“ ჩვენს სასოფლო საბჭოში და  
ბებიჩემი 1882 წელს დაბადებულად ჩაწერეს პასპორტში თუ  
დაბადების მოწმობაში (საინტერესოა, რატომ მაინცდამაინც  
1882 და არა 1885 ან სხვა რომელიმე). სინამდვილეში არავინ  
იცოდა მისი დაბადების თარიღი. აქ მხოლოდ რეალური იყო,  
რომ ბიბილაზე (ერთადერთი მამიდა ჰყოლია – ავტ.) შვიდი  
წლით იყო უმცროსი.

ასეც ხდებოდა!

დავუბრუნდეთ ფადიმე იურთს. მორწმუნე ქალია და ვერ  
უპატიებია ისმეთ ფაშისათვის, „ლოცვის აკრძალვა“. წერა-  
კითხვა არ იცის, ნანობს, რომ არ ისწავლა: **მე ხათმ ვიჯები,  
წერვა არ ვიცი, ყელემ ვერ ვიჯები.**

– ეზანი ძახნა მასალი ქნა ისმეთ ფაშამ. არაბულაჲ ძახ-  
ნა ასწია, ახლა თექრენ იძახიან...

საყურადღებო სახელზმნური ფორმაა ძახნა (<ძახილი).  
გეხვდება ნეტავი იგივე ფორმა მაჭახლურში? დასტურდება  
ძახვა (<შეძახვა), მაგრამ სულ სხვა მნიშვნელობით.

ფადიმე ნენეს (ასე მიმართავდა ნიაზი, ჩვენც ასე მოვიხ-  
სენებთ – ავტ.) ზოგჯერ ავიწყდება რალაცები, მაგრამ მისი  
რა ბრალია, უკვე ასაკშია და „ქემაც გადმუუარა“.

– ნენი, რა საჭმელებს გააკეთებ? მასწავლე, მინდა, ვი-  
ცოდეთ, სახლში რომ ჩავალ, ჩემს ქალს (მეუღლეს – ავტ.)  
ვასწავლი, გაგაკეთებინებ, – ვეუბნები ფატმა იურთს.

– ფხალ-ღობიას ვაკეთავ, ჭამე, გააკეთებული მაქ, თითო  
კოფეს ამოიღავ.

ფხალ-ლობიოზე დაგვკატიუა და საყურადღებო ზმნური ფორმებიც გამოიყენა ქნმა ფატმამ: **ვაკეთაფ, ამოილაფ.** -ავ თემის ნიშანი -ებ'ის ნაცვლად.

ჩვენს საუბარში ოჯახის რძალიც დაბრუნდა ყანიდან.

- **ეს აჭარელადა, მე მაჭახლელადა ვარ,** - გვეუბნება ფადიმე ძურთი.

**აჭარელადა, მაჭახლელადა** - საინტერესო სახელური ფორმებია. შდრ. აჭარულადა, მაჭახლურადა. **-ურ/-ულ** ქალის წარმომავლობის სახელის მაწარმოებელი სუფიქსის მონაცვლედ **-ელ.**

- თქვენს სოფელში ნადში, ღუგუნში... არ იმღერებდნენ?

- **კი იმღერებდენ, ჩემი ბაბაა კადას იმღერებდა, ხმად ღამაში ქონდა ბაბას.**

- თქვენც ხომ იმღერებდით, ქალები, ბაღანას რომ აძინებდით, ხომ უმღერებდით?

- **ვუმღერებდი, იშტე, აბა არაა?!**

- გვითხარით, თუ შეიძლება, რას იმღერებდით.

- **ახლა მეცოდინება და არ მახსენდება!**

ვერ გაიხსენა მოხუცმა, ვერ შეგვისრულა თხოვნა...

ეზოში ახალგაზრდა შემოვიდა. მოგვესალმა. ქნ ფადიმეს მოეხვია. „გაუწყრა“ მოხუცი მოსულს: „უამი შენ ხახაში, ჰა! რატომ დიგვივიწყეთ, ჰა?!“

ეს წყევლა ისეთი ინტონაციით იყო ნათქვამი, ისეთი ემოცია იყო მასში ჩადებული, კი არ წყევლიდა, ღოცავდა მოსულს ქნი ფადიმე. „ჩვენი დეგანი არისო,“ - გაგვაცნო, გული რომ იჯერა „ღანძღვით.“

- წყევლა იცით? ჩაგვაწერინეთ წყევლები. ჩვენ ერთი ქალბატონი გვახლავს, მაღლაა, გაუხარდება, დავასწავლოთ.

- **წყევლა აბა არ ვიცი?!**

- აბა, თქვი, რამდენსაც გაიხსენებ! - აქეზებს ნიაზი.

- **ეზრავლი შენ ხახაში!**

- **ჩიგიკტა ხმამ!**

- **ჩორი შენ ხახაში!**

– **ჰა ჟამში იყავ?**

წყველის ასეთი ფორმულები ჩემს სოფელშიც გამიგონია ბავშვობისას. ჩვენს მეზობლად ცხოვრობდა ერთი ქალბატონი, წყველების ოსტატი, განსაკუთრებით მაშინ „დაულოცავდა“ ბავშვებს გზასავალს, თუ დაინახავდა, რომ ხილი მოპარეს... პირს რომ მოიშლიდა, მტრისას, რას აღარ მოიგონებდა...

ქნი ფადიმე თანდათან ჩაერთო საქმეში. ნიაზი აქეზებს, კითხვებს უსვამს, ზოგჯერ პროვოკაციულს.

– კაცი რომ დიგობახებდა და ვერ გაიგონებდი, გაჰქერსდებოდა, აბა, რა იქნებოდა. რაფერ გიყვირებდა?

– **გაფეროლლი გაფერო, ჰა ჟამში ხარ და ყურ არ მაძლევ?**

– თუ შენ დაუძახებდი და გაბრაზდებოდა, რას გეტყვოდა? – ჩაკითხა ნიაზმა.

– **ღა მლო რა გინდაო? – ასე მეტყვოდა.**

მამა-პაპურად შეიგინა ქნმა ფადიმემ, ღიად, რიდის გარეშე და დააკმაყოფილა ნიაზის ცნობისმოყვარეობა.

რა ექნა, სტუმრებს აინტერესებდათ და ხათრს ხომ ვერ გაუტეხდა?

ახლა რძალს მიუბრუნდა ნიაზი, უკვე გამხიარულებული:

– დედამთილი არ გაგაბღეზებს?

– **დედამთილი ახსია, მუზირია... ვებნევი ყურ არ მაძლევს, მის ნათქვამია, – ამბობს ხუმრობით.**

აშკარაა, კარგი ურთიერთობა აქვთ რძალ-დედამთილს.

– მამამთილი კაი გყავდა?

– **მამამთილმა შიშა მოგვიტანა, წისქვილი დიგვიფქვია, ყათირით შიშა მოგვიტანა კალოზე... კად მყავდა, აბა!**

– თქვენ „კალოს“ იტყვით? – ჩაკითხე მე.

– **ესანი მაჭახლელები არიან, „კალოს“ იტყვიან, ჩვენ – „კუნხეს“ ვიტყვით, – აგვიხსნა აჭარელა რძალმა.**

ბაღანა რომ გაგაბღეზებდა, რაფერ დეესსრიკებოდი? – უქცევს ნიაზი „მათებურად“.

– გაქცვითონა, შენ, ჰა წეხეველ, მამაშენ’ნა დაგაბეზლო’-  
ნა-მეთქვი, ვებნევი...

– შეეშინებოდა?

– პაწას შეაშინებ, დიდს რადს’და შეეშინოს...”

– ბაღნობაში რას ითამაშებდით?

– კუკუს ვითამაშებდით, კენჭობილაჲ... ვიდელეზდით, ვი-  
თამაშებდით...

საინტერესო მასალებს ვიწერთ-მეთქი, – ვეუბნები ნიაზს. კარგი რესპონდენტები აღმოჩნდნენ ჩელებოღლების რძალი, ფადიმე ძურთი და მისი რძალი...

საინტერესოდ მეჩვენება აჭარულში „კუნხე“ „ეზოს“ მნიშვნელობით. გამიგონია „კუნხე-კუნჭული“ თუმცა სხვა მნიშვნელობით.

როდესაც ჩვენ ამ საუბარში ვართ, ვხედავ, რუსლანი ნა-  
ლიაზე ამძვრალა, რაღაც ძველი ნივთები უპოვია, სათითო-  
ოდ გამოაქვს მზეზე და უღებს სურათებს, თან ინიშნავს,  
რას რა სახელი ჰქვია. უკვირს ფადიმეს, მის რძალსაც, რაში  
სჭირდებო ეს ნივთები, უკვე დავიწყებული და გადასაყრე-  
ლად ვერგამეტებული მხოლოდ იმიტომ, რომ ყველას რაღაც  
მოგონება უკავშირდება, ვიღაცას ახსენებს ოჯახს. გასაგე-  
ბია, რომ ოჯახი ვერ შეეღია, მაგრამ რუსლანს რაში სჭირ-  
დება? – ეს ვერ გაუგია ქ-ნ ფადიმეს... უკვირს, მაგრამ არა-  
ფერს ამბობს, არც ჩვენ „ვაქცევთ“ ყურადღებას რუსლანის  
ფუსფუსს.

– ღუნის ხებრები იცით რძალ-დედამთილმა, რამე ლექ-  
სიც გვითხარით, გეცოდინებათ, – ითხოვს ნიაზი.

დავკარქე ვირი,

დაფჯე და ვტირი...

გელინ კიკილო,

რაფრა გიტირო.

ცხვრებმა მოვდენ,

შენ არ მოხველ,

**ფაფა ბეკეოთე,  
ყლაპდამივეცი!**

წაუშდერა დედამთილმა, რასაც რძლის კომენტარი მოჰყვა:

– **გელინი გელს შუუჭამია და დედამთილი ტირის მეგერ!**

– კარგად რომ ისაქმებს, რძალს მოეფერები ხომ? – ეკითხება ნიაზი დედამთილს.

– **შენი თვალების ჭირიმე, ნენულავ, რა ღამაზი საქმე გიქნია; ფული’ნა მოგცე, კამ საქმე რომ გიქნია, ზითვალავ, ტავშანთვალავ...**

კარგი შედარებაა „ზითვალა“ (<მზისთვალა). პირველად გავიგონე ქალისადმი ასეთი მიმართვა. „მზეგული“ გამიგონია, „გულთამზეც“, „მზისადარი“, „მზია“... „ზითვალა“ – არა. არც „ტავშანთვალა“ (ტავშანი – ბაჭია – ავტ.) გამიგონია. მაინც რამდენი რამ არ გამიგონია, რამდენ საიდუმლოს ინახავს ხალხის მეტყველება, ენა ზოგადად. ხანდახან ისეთ შედარებებს გამოიყენებს მთხრობელი, გული გაგითბება, პირდაღებული უსმენ და გავიწყდება, რომ უნდა ჩაიწერო, დააფიქსირო, რომ აქ ჩასაწერად ხარ მოსული და არა მოსასმენად. ჩაიწერ უბრალო ადამიანის „მზექართულს“, მაგრამ ქაღალდზე არ „გადაგყვება“, სიტყვა „არ ჩაგეწერება“...

„თესლის გატანა“ აქაც მარტ-აპრილში ხდება, სავსემთვარეობის დროს:

– **მარტ-აპრილში თესლი’ნა გეიქნო, მთვარემ დაძველდეს’ნა!** – გვეუბნებიან მუჰაჯირთა შთამომავლები. ასეთია ტრადიცია.

გვალვა აქაც აწუხებს მოსახლეობას, შესაბამისად, ამინდის მართვის მაგიურ წესებს აქაც იყენებენ:

– **ხარ-მარ დაკლიდენ წინ-წინ მეგერ, ბაღან-ბუღანას მიართმიდენ კურაღისას!**

ამინდის მართვის ხალხურ ტრადიციებში საკლავის, შესაწირავის დაკვლა იშვიათია საქართველოში. შემთხვევა ბოწმინდაზე (ტაო) დავაფიქსირეთ. ხარის, ზოგადად საქონ-



ლის, ყურბნად დაკვლა მუსულმანური კულტურის გავლენა უნდა იყოს.

ქალბატონების მონათხრობში კიდევ ერთი წესი იქცევის ყურადღებას, კერძოდ, მთვარის დაბნელებისას თოფის სროლა. ამბობენ, **თვარეს გველეშაპი უახლოვდება, ჩაყლაპოს-დაო**. ამ დროს იწყებენ თოფის სროლას. სწამდათ, შეაშინებდნენ ბოროტ ძალას და იხსნიდნენ მთვარეს. „თვარეს გველეშაპი გედევფარებოდა, შეშინდებოდენ, სრიდენ. სრიდენ წინ-წინ, ახლა არ სრიან.

გველეშაპისგან თოფის სროლით იხსნიდნენ მთვარეს ბათუმშიც, შესაძლოა სხვაგანაც.

საყურადღებო ლექსიკური მასალა ჩავიწერეთ:

**ერთობირად** – ერთობირად (პ:ბ მონაცვლეობა).

**ფხიკინა** – წიწილის დაავადება. ხმაბაძვითი სიტყვაა, ყელში უჭერს და ახრჩობს სენი წიწილს, აფხიკინებს (შდრ. აჭარული ხიაპა): „ფხიკინა ჭირს ჭუჭულსო, ვიტყვით“.

**ახალბაღანა** – ახალგაზრდა: „ახალბაღნებმა არ იციან გურჯული“ (შდრ. ახალმოზდე – მოზარდი).

**ჭახე ლაპარიკი** – „ასე ჭახე ლაპარიკი არი აქ“.

**პუწაწაღა** – პატარა: „პუწაწაღა (ჭუნჭრუქა) ჩიტს უთქმია, დუნიაშ-და (სხვაგან – ცაშ-და) დედქცესო და ზურგზე დაწოლილა, ტოტებით ცაშ-და დეეკავოო“.

**ტოტი** – ფეხი, იხმარება აჭარულშიც, სხვა კილოებშიც, ჭლიკის სინონიმად (შდრ. ტოტები/ჭლიკები მოხდა მისი...).

**სრის** – ისვრის.

წამოვედით ექინჯუქიდან. მალე „ჩილადერეჟს ქვედან“ ნური თაშს შევხვდით. იგი მეფუტკრეა. სკები ამოუყვანია მთაზე და მეუღლესთან ერთად თვალყურს ადევნებს.

ნურის წინაპარი მაჭახლიდან, ქვაბითავიდან წამოსულა:

– ჩემი დიდი ნენეჟ, ყირმეთაჟ, ჩამოსულა. ძიმეთ ჩამოვ-და, კაცო იქ მუშუკტა. ბაღანაზე მუითინაჟ (შდრ. მუიდინი/მო-ვდინი) დუშრქმია.

სწორედ ამ მუითინაჟს ჩამომავალია ნური თაში.

– ძველი გვარი რა არის თქვენი?

– ჩვენი სოფალი რა ყოფილა თუ? ასი ხანე გაგხითი. იქ ნუმანეფენდიები (შდრ. ნუმანეფენდიენთი) იყვენ. ჩვენი ერთი კაცი იყო, ყველაფერი იცოდა.

ღიას, ვილაცამ იცოდა ყველაფერი, ახლა აღარავინ იცის. დავიწყებას ეძლევა ბევრი რამ, იბინდება გონება, ძველს ახალი ცვლის, ოღონდ ახალი სხვა კულტურისაა.

როდესაც დიალექტოლოგიურ მასალას იწერ, უმჯობესია, შორიდან უსმინო ადგილობრივთა საუბარს. ასეთ პირობებში უფრო იკვეთება დიალექტური კოლორიტი:

– კარი წამოძრა? – დაუძახა ნურის ცოლმა.

– წამოძარ, ფუტკარი შევა!

მოძრა – დახურვის მნიშვნელობით იხმარება აჭარულშიც...

დღესვე ქაბა-ქულაქში ავედით. ახლა სოფელს ახალი სახელი აქვს – ესენთეფე. ჩვენ ქაბა-ქულაქად მოვისხენოთ იგი.

ქაბა-ქულაქი მთის სოფელია, საკმაოდ მაღალი. დასახლებაში მისვლამდე ტყე გავიარეთ: წიფელი, ცხმელა, ალაგ-ალაგ წაბლი და სხვა მცენარეები ჩანს. საკარმიდამოში თხილი ჭარბობს. მშვენიერი ბუნებაა, მტირალას ტყეებს მაგონებს რაღაცით. რაც მაღლა მივიწევთ, იკლებს თხილი. სადაც თხილი არის, იქაც გული ჯერ არ აუვსია, მაშინ როცა ბარში თხილი წარბშია და მალე დამწიფდება, მოსაკრეფი გახდება. აქ მთაა. ჯერ კიდევ შემოუსვლელია სხვა ხილიც: ვაშლი, მსხალი...

ქაბა-ქულაქში ოსმან-ეფენდის მეუღლე, ჰევაჲ გავიცანით.

– საიდან მოვიდნენ თქვენი დედები? – ვეკითხები დამხვდურებს.

– ჩვენი დიდვანები ბათუმიდან გამოსულები არიან, ლომანოღლები. იმდენი არ ვიცი, ჩემი დედამთილი ლაზებიდან არი... ნენეს სოფელია აქავერობა, ნენეჲ ქვაბითაველია, მაჭახ-ღელი.

– თავიდანვე აქ ცხოვრობდით, თუ სხვა სოფლიდან მოხვედით?

– გაღმა, ჩოლახდერეს ვიყავით, აქ გამოვბარეთ.

– რამდენი შვილი გყავთ? აქ მარტო ცხოვრობთ?

– კაცი მომიტა. ნენეს ჰურიედ ერქვა... გოგეები მყავს: ფატმა, ემინა, ჰურიედ, ზეიჰანი, ჰაჯერი. ორი ბიჭი მყავს: ისმაილად და აჰმედად. ჰაჯერად აგერაა, გათხვებული არ მყავს...

დიდი ოჯახი აქვს ქალბატონ ჰევას, შვიდი შვილის დედაა, მათი ნაგრამი კიდევ ბევრი.

ჰევა სხვადასხვა ფორმით დასტურდება სამუსლიმანო საქართველოში: ხევა, ხავა, ჰავა, ჰევა... ჰევა კიდევ იგივე ევაა, კაცთა მოდგმის პირველი ქალბატონის სახელი.

საუბარში ქნმა ჰევამ გაიხსენა ხოჯის ნათქვამი: **ბათუმიდან ხარბი იქნა, გამოქცეულან, აქ დამჯდარან, ურფან დედე ყოფილა, მემედ დედემს ძმად, ჩამოვდენ იქიდან.**

„პეტრე ბადანა მოსულა“ ურფან დედე ამ კუთხეში. უცნაური ფორმა გავიგონე, „პეტრე“, ჩავკითხე, „პატარა მოსულაო“ მიმახვედრა, შემდეგ დარდიანმა გაგვანდო: **გარე ემიამს შვილები ვართ, თლათ დაკდენ, ჭო, აღარ არიან.**

რა მოხდენილად გამოიყენა „თითობის და“ – დაკდენ ფორმაში.

თანდათან გვეჩვევა ქნი ჰევა, გენდობს, იჭვით აღარ გვიყურებს. ნიაზმა თავისი ქორწილის ამბავი მოკითხა (ამდენ ხანს რომ მოითმინა, ისაა გასაკვირი).

– **ზეჰმერი იყო, რემეზანი იყო, ჰემ თოვლი იყო. მეტი არ მომწონდა, მარა სანდა წეხვიდე. დანახული არ მყავდა... ხაჯობაზე წვევდით, შინ ვერ ამოვდა, უნიას ხასტახანაში მოკდა...**

– ლამაზი კაცი იყო? – ჩაკითხა ნიაზმა.

– მე რა ვი ლამაზი – ბეთი. სილამაზე მეტი არ ქონდა იმა აღრე... ამა ისე ზენგინი იყვენ. მამამისმა ცხვრები წყვანა, გადავარდა, მოკტა...

– ელჩობა რაფერ იქნა? – „ეშმაკობს” ნიაზი.

– **ხალაებიდან ელჩი იყო, თანაც სოფლიდან ელჩათ ჩამოვდენ. ფეთიმათ დავრჩი კია, ნენესთან ვერ გაგრიგდით, ნენეს ხათრი ვერ გუშტეხეთ...**

„ნენეს ხათრი ვერ გუშტეხეთ“ ისე თქვა ქალბატონმა ჰევაძე, რომ თუ არა დედის ხათრი, ეს საქმე არ მოწყვებოდა, – გადავუღლაპარაკე ნიაზს.

ჰევა ჩქარობს, ოჯახში მიეჩქარება:

– **ჩემი შინი აქებში არაა, ზეით არიო,** – თქვა და წასვლა დააპირა. დამშვიდობებისას გვითხრა:

– **თქვენ აქ რაღაზა მოდით?**

– თქვენზე წიგნი უნდა დავწეროთ, ტელევიზორშიც უნდა ვაჩვენოთ თქვენი სოფლები...

– **თელევიზიონში გამოგვწიოთ’და? ისეიროთ’და ჩვენზე, ჰა!** – ამბობს ქნი ჰავას გაბრაზებით.

ნიაზი თხოვს ქნ ჰავას, მცირე ხნით კიდევ გაჩერდით. ჭრის ნიაზის თხოვნა.

– ნენი, ბაღანას რომ რამე ეტკინებოდა, არ შუულოცავდი?

– **შუულოცავდი:**

**ალელისა მალელისა,**

**თვალი გეცა ქალებისა,**

**შევაყარე ნაცარი...**

რადაც ჩაილაპარაკა ქნმა ჰავამ, ჩანიშვნა ვერ მოვახერხე, არც გაიმეორა, რომ ჩამეწერა.

– **ჩვენებურებს ცნობილობთ?** – გვეკითხება ქალბატონი.

– ბევრს ვცნობილობთ, აგერ მუზაფერმა მოგვატარა ეს მხარე!

– **მა, მთელი სოფლები მოგარუნია? ქოქი ერთი გვაქ. შენ იქ დაშენდი, მე აქა დავშენდი.**

– ასეა, ასეთი იყო ჩვენი ბედი, რაც გიწერია, ვერ აცდები!

– ბაღანას თვალწაკრავდა, არ უხრჩოლებდი? – ვეკითხები ქნ ჰავას.

გაკვირვებული ნიაზი მომაშტერდა, ფიქრობს, ახლა რამ გაახსენაო „თვალწაკრა“ და „ხნოლება.“

– **წუხსნოლებდით. ფუჭი (ფიჭა – აგტ.) ფუტკრისა, ნიორი ფუჩენი, სიმინდის ქვილი, მუაპნიო’და ნაკვერჩხალზე, შუხსნოლებ!**

– რომ შუხსნოლებ, მორჩება?

– **კად განდება!**

– ძველად მიწას ჯილდით დახნავდით თუ კავით? – ჩაერთო საუბარში ნუგზარი, აქამდე ფოტოგრაფირებით დაკავებული.

– **ჯილდა არი. ერთი ბადიში მყავს მე, დეგანი, იმა, ესკი რაცხა არი, სახში აქ. ზათი რა ზორში ვიყავით. ახლა ფათ-ფათაით ვხნავთ.**

– ძველად ბევრ საქონელს შეინახავდით?

– **ქომუში გვყავდა, ცხენი, ცხვარი, ძროხა... ქომუშის ძალიც კადა, ფენირიც კადა. ყველიდელა თხისა ფენა კადა.**

საყურადღებოა: ჩვენთან, აჭარაში **ყველიდელა** არ იცინან, იტყვიან „კვეთი“ (<მკვეთი, შდრ. ჩამკვეთა//ჩაკვეთა). ჩანს, აჭარულში ძველად „ყველიდელას“ იყენებდნენ „ყველის ჩასამკვეთად.“

შემდეგ, ქნმა ჰევამ „ყველიდელის“ სინონიმად „მადა“ იხმარა:

– **ნენე ძეს პუწად მადას დაასხემდა, მადას ჩაასხემდა, ემჭრებოდა... ამოიდებდა, ძადის ქულელებში ჩატენიდა...**

მოსალამოვდა. დროა, ვიფიქროთ სასტუმროში დაბრუნებაზე. კარგად ვიმუშავეთ, დავიღალეთ კიდევც...

დღეს აჭარის ტელევიზიისათვის მოკლე ინტერვიუ ჩავწერე მაღლა სოფელში.

– **რატომ დაინტერესდით მუჭაჯირების ყოფით? – მეკითხება ჟურნალისტი რუსუდან აბაშიძე.**

– *უკვე ოცი წელია, შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში პუმანიტარული კვლევის ერთ-ერთ პრიორიტეტად იქცა ისტორიული სამხრეთ საქართველოს, ჭოროხის*

ქვეყნების კვლევა. განვმარტავ, სამხრეთ საქართველოში ვეულისხმობთ აჭარას, შავშეთს (მაჭახლითურთ), კლარჯეთს, ტაოს, სპერს... მუჰაჯირთა შთამომავლების ყოფის, ფოლკლორის, მეტყველების, მუჰაჯირობის ისტორიის კვლევა ამ დიდი პრობლემის ნაწილია. მუჰაჯირობის პრობლემების კვლევა, ვფიქრობთ, მოგვაპოვებინებს დამატებით მასალას აჭარისა და მისი მომიჯნავე ქვეყნების შესახებ, რაც მნიშვნელოვანია ქართული მეცნიერებისათვის. მიგვაჩნია, რომ ჭოროხის ქვეყნების კომპლექსური შესწავლა ჩვენი თაობის პრიორიტეტია. კვლევას მივყავართ ახალი პრობლემისაკენ, – განმაზოგადებელი კვლევებისაკენ...

**რ.ა. მაყურებლისათვის საინტერესოა, ოთხი დღის მუშაობით ექსპედიციამ რა მასალა მოიპოვა?**

– დავიწყებ იმით, რომ მუჰაჯირების ამ მხარეში გადმოსხვეწას მოჰყვა მათი ახალ კულტურასთან შეხვედრა და, შესაბამისად, კულტურათა დიალოგი. ეს იყო უაღრესად რთული პროცესი: მუჰაჯირები ძნელად, მაგრამ მაინც იმკვიდრებენ ადგილს უცხო გარემოში ისე, რომ შეინარჩუნონ თავიანთი იდენტობა, პარალელურად კი ითვისებენ ახალ კულტურას. დღეს ეს „დიალოგი“ შორსაა წასული და რით დასრულდება იგი არაა ძნელი წარმოსადგენი. დღეს მუჰაჯირთა შთამომავლებს უდვათ „ლინგვისტური ასიმილაციის ხანა“ (სინტაგმა ნიკო მარისაა – ავტ.). ესაა ყველაზე ძნელი და რთული პროცესი...

უკვე მოპოვებული მასალებიდან იკვეთება, რომ ამ მხარეში მუჰაჯირთა სამი ნაკადი დასახლებულა:

ა. აჭარლები, სხვაგვარად აჭარისწყლის ხეობიდან გადმოსახლებულები.

ბ. ჩურუქსუელები, იგივე ქობულეთლები.

გ. მაჭახლელები.

მუჰაჯირთა თითოეული ნაკადი კომპაქტურად დასახლებულა და ცალკე სოფლები შეუქმნია. იშვიათადაა შერეული დასახლებები. ახლა მნიშვნელოვანია გაირკვეს:

ა. რა წამოიღეს ახალ საცხოვრისში მუჰაჯირებმა.

ბ. როგორ დაიცვეს და განავითარეს იგი.

გ. რა შეითვისეს დამხვედური კულტურისაგან.

ეფიქრობთ, მოპოვებული ფოლკლორული, დიალექტოლოგიური და ეთნოლოგიური მასალა დაგვეხმარება ერთიანი სამხრული კულტურის განსაზღვრაში. მეორე მხრივ, მოპოვებული მასალა საინტერესოა ქართული ფოლკლორის, დიალექტოლოგიის, ეთნოლოგიის და საქართველოს ისტორიის რიგი პრობლემების საკვლევად.

**რ.ა. დიალექტოლოგიურად რამდენად საინტერესოა მოპოვებული მასალა?**

– უაღრესად საინტერესოა მოპოვებული მასალა. კერძოდ, იგი დაგვეხმარება აჭარულისა და შავშურის ფონეტიკის, გრამატიკისა და ლექსიკის საკითხების კვლევაში, როგორც დამატებითი მასალა; მნიშვნელოვანია იგი ასევე სამხრული კილოების კილოკაური შედგენილობის განსაზღვრისათვის, სხვა კონკრეტული საკითხების საკვლევად...

ძიება წარმოაჩენს სხვა დეტალებს, რაზეც სხვა დროს ვისაუბრებთ...

**რ.ა. მადლობა!**

სასტუმროში დადღილები დავბრუნდით. ვქარობდით, გვევასშია და დაგვეძინა. მაგრამ არც თუ იოლი აღმოჩნდა ჩვენი უბრალო სურვილის ასრულება. სასტუმროს რესტორანში და ღია ტერასაზე ქორწილი გაეჩაღებინათ უნიელებს. შუადამემდე შეუსვენებლად უკრავდა ორკესტრი, როკავდა მთელი ქორწილი, რაღაც ერთფეროვან აღმოსავლურ მუსიკაზე ცეკვავდა ყველა...

რას ვიზამდით, ქორწილი ზემია და ჩვენც მოთმინებით ველოდით მის დასრულებას. ლოდინი შუადამის სამ საათამდე გაგრძელდა...

**8 ივლისი, კვირა.** მზიანი დილაა. საუზმის შემდეგ ქალაქში გავედით, ვიდუოკამერა გაფუჭდა ჩვენი, ხელოსანს ვაჩვენოთო, გადავწყვიტეთ. არც ჩემი ფოტოაპარატი უკეთეს დღეში. ერთ სახელოსნოში მივედით, შეხედა ხელოსანმა ვიდუოკამერას, ვერაფერი გაუგო, „შითიდანაა გაფუჭებული“

და დაგვიბრუნა. შემდეგ ფოტოაპარატი გახსნა, უყურა, ვერც იმას გაუგო ვერაფერი, ბოლოს გვითხრა: უსტა სოფელშია წასული, ორშაბათს იქნება, იმას აჩვენეთო.

სერდერმა ვიღაცას დაურეკა. შემდეგ მოგვიბრუნდა და გვითხრა, ნახევარ საათში მოვალ ხელოსანი.

– უსტა თუ სოფელშია, აბა თვითონ ვინ იყო? – გვითხულობ გაკვირვებული.

– აქ მუშაობსო, – მიხსნის სერდერი.

ბარემ გეტყვით, რომ დღეს სერდერ ბერიძე (აქარსუ), უნიველი ქართველი მიგვყვება მეგზურად.

ახალგაზრდა კაცია სერდერი, კეთილშობილი, მეოცნებე. როგორც ბევრი სხვა, ცოტა ზარმაციც. მცირე ბიზნესი აქვს სერდერს, რამდენიმე მსუბუქი მანქანის პატრონია, აქირავენს და ამით ცხოვრობს. ფიქრობს, მომავალში ხურმის ჩირი აწარმოოს, კარგად ფასობსო თურქეთში. საწარმოს შექმნასაც გეგმავს, საჭირო ფართი აქვს, დანარჩენის შექმნას მომავალში აპირებს. უმჯობესია, სერდერს მოეუსმინოთ:

– **მაღ ჩირი ბათუმში დვენახე მე, ვაკეთონა მე ჩემ სახში. გავაკეთონა, გაფვიდონა. ბრეველი თურქები უნდა მაგიჭირო (sic. ჩირი – ავტ.) იშტე, ცხრად მილიონი ღირს...**

წარმატება ვუსურვოთ სერდერს საქმეში...

ქალაქის ცენტრში გავედით. ცენტრალურ მოედანზე დიდი სამზადისია, დღესასწაულისათვის ემზადებიან, საგამოფენო პავილიონებს აწყობენ, ფუსფუსებენ... ჭადართან მივედით. აქ ვაპირებთ თავმოყრას ქალაქში გაფანტული ექსპედიციის წევრები.

ვსაუბრობთ, ბუნებრივია, ქართულად. ინვალიდის ეტლით მამაკაცი მოგვიახლოვდა, შავგრემანი, მზით გარუჯული. თქვენი „**ლაპარკი გეგონე, ვიფიქრე, ჩვენებურები არიანო**“ და გამოგყვითო, გვითხრა.

გაგვეცნო: აჰმედ ალთუნი - თვარიძე ვარო, უნიადან.

ჩვენც ჩვენი ვინაობა ვუთხართო.



აჰმედი კარგად ლაპარაკობს ქართულად. ვიდრე დაინვალიდებოდა, საქართველოშიც უსაქმია, რაც მის მეტყველებასაც ეტყობა.

გვარი თვარიძე აჭარაში აღარ გვხვდება. ვკითხე, რომელი სოფლიდან ხართ-მეთქი.

– თვარიძე ქელიდან, წონიარისიდან. სამი ძმა ყოფილან, აქ ჩამოვდენ, თურქეთში: ერთი აქ მოვდა, ერთი – გირესუნშია, ერთი – სინოპში: ოსმან, სულეიმან (ჩემი დედე იყო), მერჯან. ჩვენი გვარიდან იქ არავინ დარჩენილან. ქალებმა იქ დარჩენ, კაცებმა – წამოვდენ...

ახალგაზრდა მამაკაცი მოგვიახლოვდა, ჩია, შავგრემანი. ქართულად მოგვესალმა, მუჯათ გურენ – გაგვეცნო, ადგილობრივი გაზეთის, „Ynye..“ კორესპოდენტი.

ინტერვიუ მოითხოვა მუჯათმა გაზეთისათვის. ზაზა ესაუბრა ჩვენი ექსპედიციისა და, ზოგადად, ჩვენი საქმიანობის შესახებ. მოგვიანებით გამოქვეყნდა კიდევ გაზეთში ინფორმაცია ჩვენს კოლექტიურ სურათთან ერთად.

ბარემ ვიტყვი, გურენი ქართულად ისე ლაპარაკობს, როგორც ბევრი „ჩვენებური“.

– თქვენი წინაპრები საიდან მოვიდნენ აქ? – ვეკითხები გურენს.

– მე აქაური ვარ, არა ვარ ჩვენებურიო, – მომიგო. „ჩვენს სოფელში ოთხი თურქული ოჯახი იყო, მოვდა ორმოცი ოჯახი ქართველი, ჩვენც ქართველი გავმხტარვართ...“

საინტერესო ისტორიაა. ჩვენ ვსაუბრობთ ხოლმე ქართველის გათურქებაზე, თურქის გაქართველების შემთხვევის ფაქტს დღემდე არ შევხვედრილვართ.

აჰმედ ალთუნი გვესაუბრება, თავადასავალს გვიამბობს. ყურადღებას იქცევს ზოგიერთი ლექსიკური ერთეული თუ სიტყვის ფორმა:

**ახალმოზდე** – ახალგაზრდა;

**გავსკლით სიცილით** – მოკვდით სიცილით//დავიხოცეთ სიცილით;

**დიგიჭირებენ** – დაგიჭერენ;

**გაგლახებენ** – გაგლახავენ;

**ენამ არდა დაგავიწყდოს** – ენა არ უნდა დაგავიწყდეს...

დავემშვიდობეთ ბატონ აჰმედს. ზღვისპირა პარკში გავედით, იმ იმედით, რომ სანამ „კამერის უსტა“ მოვა, ჩაის დავვლევთ, ვისაუბრებთ, ვეგებ ჩვენებურიც ვნახოთ ვინმე.

ცხელა. ჩაი შევუკვეთეთ. სერდერს ვესაუბრები:

– **ჩვენი დედები იტყოდენ, თხილი და ხუმბრა ბათუმიდან მოგტადთო. თურქიეში ორდუში არი მარტო ხუმბრა, ისტამბულში, ანკარაში ვინმემ არ იცის...**

თხილის საქართველოდან მოტანის შესახებ სხვა მოხრობლისაგანაც გავიგონეთ. საინტერესო ფაქტია. აქვე ერთი კითხვა გამიჩნდა:

თხილი, ხეჭეჭური, ხურმა... მუჰაჯირებმა გადასახლები-სას წაიღეს თუ შემდეგ?

პირველს მეორე კითხვა მოჰყვა:

გადასახლების შემდეგ ჰქონდათ მუჰაჯირებს ურთიერთობა მემლექეთთან თუ არა?

ფიქრობთ, ჰქონდათ, თუმცა ეს მხოლოდ ვარაუდია, სიმართლის დასადგენად მასალები გვჭირდება. ერთი კია, წარმოუდგენელია, რომ ახალ „სამშობლოში“ წვალებით მიმავალმა ღტოლეილმა, რომელმაც სხვადასხვა მონათხრობით ყველაფერი დატოვა, თხილისა და ხეჭეჭურის ნერგები წაიღო, სხვა მონათხრობით ვაზისა და ხურმისაც...

სერდერისათვის არაფერი მითქვამს, ფიქრებიდან გამოსული ვისმენ ერთ ტკივილიან ისტორიას, უფროსებისაგან რომ გაუგონია ჩემს ინფორმატორს:

– **თურქ შუუყვარდა ქართველის გოგო, ჩვენებური, არ მიცა ბაბამ, თურქი ხარ, კუდიანი ხარო. იმის მემრე ათი კაცი აწია და ორდუში ვინ ჩვენებური ცხოვრობს, მოკლა... ჩვენებურები ადგა, მად კაცი მოგკლათო. თამაზოღლეები არიან დიდი გვარი... იმის სურათია აქ, ვინც მოკლა, იმის სურათი. მად კაცი მოკლენ, ლექსი გამუთქვეს. თურქეთში თველი იცის მად ლექსი...**

სურათი აქვე არისო, ავტოსადგურში, სერდერმა, წამო-  
ლი, გაჩვენებო.

მეც გავყევი. ორმოციოდე ნაბიჯშია „მეტროს“ სადგური  
საჩაიედან, სადაც ვსხედვართ. თამაზოღლები ჩამომავალს  
ჩარჩოში ჩაუსვამს 1910 წელს გადაღებული ფოტო, კედელზე  
დაუკიდია. სიამაყით ავსებს სურათზე ასახული სცენა: იარა-  
ღასხმული ათამდე კაცის წინ ორი ცხედარი ასვენია. თამა-  
ზოღლებს მოუკლავთ ყაჩაღები, დახოცილებს ჩვენებურთა  
ჯგუფი ადგას თავზე.

გუნება გამიფუჭდა. რაში სჭირდებათ ამ სურათის  
თვალსაჩინო ადგილას გამოფენა? ნუთუ კაცისკვლა, თუნ-  
დაც ყაჩაღის, საამაყოა? ვფიქრობთ, არა. ბუნებრივია,  
მკვლელს პასუხი უნდა გაეცეს, მაგრამ მისი აფიშირება  
არაა სწორი საქციელი. ამ სურათს ერთი დატვირთვა შეიძ-  
ლება მიეცეს: იგი ავისმოსურნეთა გაფრთხილებაა...

ჩვენს საუბარში შუადღემ მოაწია. ხოჯამ ნამაზის სა-  
ლოცავად მოუხმო მორწმუნეებს. გადაგვეწერა ხელოსნის  
მოსვლის იმედი და **მეტროპოლში** წავედით.

**მეტროპოლი** უნიეს განაპირა სოფელია, გზისპირას გა-  
შენებული. რამდენიმე წუთში დასახლებაში ვიყავით. სერდე-  
რის დეიდას ოჯახია, ას წელს გაცილებული ბებია ჰყავთ  
სახლში.

ქალებს ეზოში ცეცხლი დაუნთიათ, სამფეხზე თუნუქის  
ფურცელი (საჯი – ავტ.) დაუფარებიათ, ბიშებს (გათხელე-  
ბულ, გაყვანილ ცომს – ავტ.) აკეთებენ: ერთ ქალბატონს  
ცომი გაჰყავს, მეორე – აცხობს. ნიაზი გაერია ქალბატონე-  
ბის საზოგადოებაში, ბიში აიღო, მიირთვა. კარგად იცის,  
როგორ შევიდეს კონტაქტში და გაშიანურდეს უცხოთა შო-  
რის.

თინა მიუჯდა ქალბატონებს. იქნებ ლოცვა იცითო რო-  
მელიმემ, კითხულობს.

– **თვალნაცემი ხარ? ლოცვა რომ არ ვიცით?** – შეწუხ-  
და ერთი.

– რაფერი ბიჭია სერდელაჲ? – ვეკითხებით ქალბატონებს.

– ჩვენთვის კაჲა!

ჩვენს ამ საუბარში რუსუდანმა ხელთ იგდო ცომი და „ოქლაჲო“//„ოხლაჲო“ (ცომის გასაყვანი/გასაბრტყელელებელი ჯოხი – ავტ.) და დაიწყო „ღოხის“ გაყვანა. ჩანს, ჩვენი ჟურნალისტი გავარჯიშებულია ამ საქმეში. რამდენიმე წუთში გაიყვანა ცომი და ოსტატურად მიაწოდა ქალბატონს...

ამასობაში ახალგაზრდებმა ჩვენთან შესახვედრად გამოიყვანეს უმუხან//უმუჰან მუსტაფოღლი (ბერიძე, არსლანი), დოლოგნელი მუჰაჯირის ჩამომავალი. უჭირს საუკუნესგადაცილებულ ქალბატონს დამოუკიდებლად გადაადგილება, ზოგჯერ გონება ეფანტება, „ვერ ჭუჭკავს“.

გასაკვირია განა?!

წამოვედით მუსტაფოღლების ოჯახიდან. იქვე ჩავუხვიეთ და რამდენიმე წუთში მეტროპოლის ზემო მაჰალეში ავედით. სოფელში კირქვის საბადოებია, მძიმე მანქანებით ეზიდებიან ქანებს ცემენტის ქარხანაში... ჯგუფებად დავიყავით და სოფელს შევესიეთ. მე და ნიაზი ჯგუფს გამოვეყავით, სოფელს ვათვალიერებთ, თან ვზვერავთ, ეგებ ვინმემ გამოგვხედოსო...

კარგი სოფელია მეტროპოლის ზემო მაჰალე, ხუცუბნის ცენტრი რომ წარმოვიდგინოთ განვითარებული სოციალიზმის ხანაში, ისეთი.

ერთ სახლს მივადექით. ეზოში რამდენიმე ახალგაზრდა მუშაობს, აბათქაშებენ სახლის ახალმიშენებულ ნაწილს. შედარებით ასაკოვანი მამაკაცი ფანჯარასთან ზის და იქედან ადვენებს თვალს ახალგაზრდების საქმიანობას. ეზოში ბავშვები თამაშობენ. ტიპური ქართული საკარმიდამოა.

დაგვინახეს რა უცხოები, ეზოში შეგვიპატიჟეს. მაგიდასთან დავსხედით. მოხერხებულად ვზივარ, იოლად მოვახერხებ ჩაწერასაც...

მალე ოჯახის უფროსი გამოვიდა, სამოცდაათს გადაცილებული ჯინჭარაძე ხასანაჲ (ასე გავგეცნო) ჩურუქსუდან.

– ჩემი ბაბაა აქ დაბადულია. ჩემი დედე ჩამოსულია, დელ-ისმაილაა, ჩურუქსუდან, – მოგვაწოდა პირველი ინფორმაცია ხასან ჩელიქმა.

ჩვენს საუბარს შორიდან ყურს უგდებდა ბ-ნი ხასანის ვაჟი, იბრაიმი. ერთ მომენტში ჩარევაც მოინდომა, სურდა, რაღაც შეესწორებინა, მაგრამ მამამ მკაცრად მიმართა: „წაყურდი, იბრაიმ, დადექი ერთი!”

ვაჟი უსიტყვოდ დაემორჩილა მამის ბრძანებას და მუშაობა განაგრძო.

– ჩემი ბაბაა ნენე ბედინაძეა, ასარმაიდან ჩამოსულია. ნენეს ბაბაა რეზგიოღლია, – განაგრძო მასპინძელმა.

მეუღლემ გადმოსძახა ბ-ნი ხასანს, სადილის დროა, იქნებ ისადილონ სტუმრებმაც.

– გამოდგანე, კითხვა რათ უნდა! – ახსახა ხასანმა ქალბატონს.

მაღე ეზოში სუფრა გაშალეს: აირანი, სუთლი, ჩაი, მაღახტო... მოგვართვეს.

მართალია, ჯერ არ მშიოდა, მაგრამ სიამოვნებით მივირთვი სუთლი, რძეში მოხარშული ბრინჯის ფაფა. მისმა გემრიელმა სუნმა ბავშვობა გამახსენა, სოფელი, მოხუცი ბები, რომელიც ჩინებულად ამზადებდა ყოველგვარ კერძს და სუთლსაც მათ შორის.

მაღე მოვრჩით სადილს. ეს მე, თორემ ნიაზს არაფერი გაუსინჯავს...

ბ-ნი ხასანს მივუბრუნდი:

– წიგნს ვწერთ მუჰაჯირებზე, მასალებს ვაგროვებთ, თქვენთან მოვედით, იქნებ გაიხსენოთ რამე, ძველი ამბავი, ჰექია, ლექსი... წიგნში რომ შევიტანო.

– ჰო, მუჰაჯირებზე, ჩვენებურებზე წიგნს თუ დასწერ, მეც და ვიყიდო, მქონდეს სახში, კადა. ქართულად რუმ დასწერ, თურქულადც დასწერე. აქ ბოვრი ქართველია, ჩვენებური, წედეკითხვენ.

– აუცილებლად მოგართმევთ წიგნს, როცა დაგბეჭდავთ, მოკლე შინაარსი თურქულადაც იქნება, თქვენც რომ წაიკითხოთ-მეთქი, – დავპირდი მასპინძელს.

დაფიქრდა ბ-ნი ხასანი. იოლი არაა, ვიღაც გამგლელის, თუნდაც პროფესორის თხოვნით სახელდახელოდ გაიხსენო ამბავი, მოუთხრო, ჩააწერინო. მეორეცაა და ვინ არიან, ითქმის კი ყველაფერი მათთან? – დაეჭვდება კაცი. არც უთქმელობა იქნება...

გარკვეული ფიქრის შემდეგ ხასან ჯინჯარაძემ დაიწყო ერთი ისტორიის მოთხრობა:

– ჩემი დედემ სამ თვეს მიწის ქვეშ დამალულა, ჩემ დედეს შვიდი ჯანდარმა მუუკლია, წყალი რომ გამთბარა, ღორის კუდზე გამუუბშია მისი თავი, გამოსულა თურქეთში... სამ თვეს მემრენ, ზამთარი რომ გამოსულა, გამოსულა თურქეთში...

ისმაილა დედემ აქ დასახლებულია. რეზგიოდლის ვრივი-ა, უსუფ ჩელიქს, ვოთხი შვილი ხოლია, ვოთხი გელინი იქ დუშტევია. რეზგიოდლი ქურუკ უსუფად პირველი მოსულია. მაგარი კაცი ყოფილა. ჩემი ნენემს ნენემ ჩემ ნენეზე ძიმეთ ყოფილა, მუუკლიან ქურუკ უსუფად... ექსჯერ დასახლებულა, ექსი ქალი ხოლია, სულ გოგეები ხოლია. ვორი ვიცი: ასიემ და აიშემ. ბიჭი არ გუშინდა. ნენემს ნენემ გათხვებულა, ჩემი ნენემ იქ წუუყვანია. იქა სხვად კაციდან ბიჭი ხოლია. მისთვინაც ბევრი კაცი მედკლა, დიდი მაფია ყოფილა: ვოთხი ჯანდარმა და ერთი მათი თავი მუუკლია ფაცადს აქეთ.

დედეს, ლეზგიოდლი უსუფას, ძმად ხოლია, ხოშორი კაცი ყოფილა: ქორ-ხასანად ნალიას დაამხოზდა, იმფერი იყო. ყარაყოლზე (სარჩობელა (?)-ავტ.) დასარჩობი ხოჯა გამუუყვანია, შვიდი ჯანდარმა მუუკლია, გამოქცეველა. ჩემი ბაბადან დედემ, უსუფად ოჯახზე მუუყვანიან აქა ერთ ქალზე. სხვადს მოყვანას ბუძიემს ოჯახზე მუუყვანიან...

დრამატული ამბავი მოგვითხრო ხასან ჯინჭარაძემ. მსგავს ისტორიებს ბევრს ვისმენთ მუჰაჯირებისაგან. ეს მოთხრობები ჰგავს რაღაცით ერთმანეთს და განსხვავდებიან კიდევ. მთავარი მაინც ისაა, რომ მათში მუჰაჯირობის ტრაგედია იკითხება. ისინი ერთგვარი ანდერძია წინაპართაგან შთამომავლობისათვის დატოვებული: მამიდან შვილზე, და ასე თაობებზე, გადადის იგი. გზად, ბუნებრივია, იცვლება, ტრანსფორმაციას განიცდის. თქმულება-გადმოცემების მთელი ხიბლიც ამაშია...

დაკვირვებული კაცია ხასან ჯინჭარაძე. მუჰაჯირთა მეტყველებასაც „აკვირდება“ ხოლმე, მასში უცხო ლექსიკის დამკვიდრებასაც ამჩნევს, ხედავს ამის მიზეზსაც:

– **შენ ამას პერანგ ეტყვი, ჩვენ გომლელს ვეტყვით.**

– **შენ გარგანს ეტყვი, აქა ბასტონს ვეტყვით.**

– **ახლა ჩვენ, კაცო, თურქულზე მიჩვეული ვართ...**

თურქულს რომ მიეჩვივნენ მუჰაჯირები და მათი შთამომავლები, ამიტომ შეცვალა პერანგი – გომლელმა, გარგანი (არგანი) – ბასტონმა და ა.შ. მოხრობელისათვის ნათელია მიზეზი და ესაა მთავარი.

– თურქებს „კულიანებს“ რატომ ეტყვი? – შეაწყვეტინა „ლინგვისტური დაკვირვებები“ ნიაზმა ხასანს.

– **კულიანებს რატომ ვუძახით და ჩვენფერი ხალხი არაა და იმისთვის. ჩვენებურსავენ კად ხალხი მათშიც არი, მარა გაქნეველ სიტყვას რუმ იტყვიან, რაზე მუუხტება ჩვენ არ ვიცით...**

„**გაქნეველი სიტყვა**“ – ლამაზი სიტყვათშეხამებაა, რახუნის, უაზრო ლაპარაკის მნიშვნელობით. ჩემს სოფელში გაიგონებს კაცი: „იტყვის რაცხას, მარა სად მოხდება, არ ფიქრობს, უაზრო ლაპარაკი იცის, როხროხი...“ სწორედ ესაა ხასან ჯინჭარაძისეული „გაქნეველი სიტყვა“.

– **იგინი ჩობანი არიან, ცხვარი აწევენ, თაში წეფყანებენ, ჩადირში არიან. იმათი სახლი ჩადირია, – განაგრძო თურქების დახასიათება ხასანმა.**

აღმოჩნდა, ხასანი მორწმუნე მუსულმანია, ამასთან ხალხური სიბრძნის მატარებელიც. ჩვენი ყურადღება მისმა მონათხრობმა მიიქცია. საინტერესოა, ერთის მხრივ, მოთხრობების შინაარსი, მეორეს მხრივ, მასში ჩადებული მოთხრობების მსოფლმხედველობა.

– **ახირზამანი რატუმ ჩივიან იცია?”** – გვეკითხება ბ-ნი ხასანი და თავადვე პასუხობს: „ჩვენ ფეიღამბერის (იგულისხმება მუჰამედ წინასწარმეტყველი – ავტ.) მეტი ფეიღამბერი რომ აღარ არი, ფეიღამბერი რომ მოკდა, დემერთმა მეტი ფეიღამბერი აღარ გამოგვიგზანა. ხალხი იმიტომ ამბობს, ახირზამანი მოვდაო. მე რომ შენ გიგნები, ყველაჲ სტორია. მე ასი წლის კაც მოვეწარე.

**ახირზამანი** – სიტყვასიტყვით ნიშნავს – ბოლო დრო, დასასრული.

ბ-ნი ხასანის მონათხრობში რამდენიმე სიტყვა-ფორმამ მიიქცია ყურადღება:

**გიგნები** – გეუბნები, ქობულეთურისათვის დამახასიათებელი ფორმაა, სხვაგან ვერ გაიგონებთ (შდრ: მიგნები შენ, მე; გიგნები მე, შენ; უგნება ის, მას).

განსაკუთრებული სიახლე იყო კითხვითი ა ნაწილაკის პოენიერება ქობულეთურში: „რატომ ჩივიან იცი’ა?” „რეზგიოლლის ვჩივი’ა?” მახვილი ბოლოსწინა მარცვალზე და კითხვითი ა’ ნაწილაკის დადასტურება ქობულეთელ მუჰაჯირთა შთამომავლების მეტყველებაში საყურადღებო ფაქტია. ჩნდება საფუძველი ვივარაუდოთ, რომ აჭარულისათვის, სხვა სამხრული კილოების მსგავსად, დამახასიათებელი იყო ტონური მახვილი და კითხვითი ა’ ნაწილაკი...

ბევრი ამბავი იცის ბატონმა ხასანმა. მისი მონათხრობიდან კიდევ ერთ ეპიზოდს მივაქცევ მკითხველის ყურადღებას:

– ერთი კაცი წუყყვანიან, ერთი ჯეჰნემი დაგარუნიოთ’დაო, უთქვიან. რუმ დაარუნიეს, უთქვია, აქა ხალხ წვენო და ცეხლი ჰად არიო?



– შეშა, ქომური (ნახშირი – ავტ.), ცეხლი იქიდან თუ მედტან, მაშინ დემწებო.

ამ თქმულების გამგონეს მახსენდება დავით გურამიშვილი. ნიაზს გადავუღაპარაკე: „სულს წაჰყვება ხორცთ ნაქმარი, კარგსა – კარგი, ავსა – ავი“.

ერთი საინტერესო არაკიც მოგვითხრო ხასან ჯინჭარაძემ. ძალიან მომეწონა, ვფიქრობ, მკითხველსაც მოეწონება:

– ცოლ-ქმარი ყოფილან, მორწმუნეები. ერთმანებ ყველაფერ მუუყვებოდენ. ქალი ღამაში იყო. ერთხელ უცხო კაცმა თხოვა, ღმერთი გულისთვინ, ერთი მაკოცნინეო. ქალმა ღოყა მუუშვირა, კაცმა – აკოცა.

სახში რუმ მოვდა, კაცმა უთხრა, რამე ხუმ არ გიქნიაო?

ღმერთი გულისთვინ უცხო კაც ვაკოცნინეო, – არ დუუმაღავს ქალს.

კაცს არაფერი უთხრობია. დაანთო ცეხლი, გაახურა ფურუნი, ქალზე უთხრობია: ღმერთი გულისთვინ შედი ფურუნშიო.

ქალი არ დაფიქრებულა, ისე შევდა გახურებულ ფურუნში. კაცმა კარები დუუნურა, იფიქრა, დემწვასო. თუთხმეტი-ოცი წუთის მემრე გააღო კარი და რას ხედავს: ფურუნი აყვავებულა, მწვანით დაფარულა, ქალი დამჟღარა და ყვავილებს ეფერება...

ღმერთის გულისთვინ გაკეთებული საქმე ასეა. ქალი უფნებელი გამოვდა ფურუნიდან...

ამ არაკის აზრიც ესაა: გულით უნდა გწამდეს კაცს.

ბ-ნმა ხასან ჯინჭარაძემ იცოდა თქმულება „სადაც ოთხმოცდაცხრამეტი, იქაც ასიო“. ეს ამბავი აჭარაში გამოგონია, მაჭახელშიც. ჩანს, ქობულეთშიც იცოდნენ და მუჰაჯირებმაც წაიდეს ახალ სამშობლოში.

მოვიყვანო ამ თქმულებასაც:

– ერთი კაცი ყოფილა მეგერ, ოთხმოცდაცხრამეტი კაცი უუთავდა მოკლული. ხოჯასან მიუდა, უთხრობია, ამდენი კაცი მოგკალი, იმ დუნიას ჯენნემში მოვხდები, მიშველე, ჭკვა მასწავლეო.

ხოჯას უთხრობია: წედი, სამი გზის გასაყარზე სახლი ააშენე და გზავერებს ეხიზმეთე. სახლის უკან გარგანი დაასე, იგი რუმ აყვავდება, ნაპატივები იქნებიო.

ამ კაცმა ააშენა სახლი. ეხიზმეთება გამლელ-გამომლელს. ერთ დღესაც ხედავს, აქაფებული ცხენით მორბის კაცი, დადლილია, სულს ვერ ითქვამს.

გადუუდება ამ კაცი, სახლის პატრონი, თხუა, ჩამობანდი, დემსვენე, ცხენიც მუასვენე და წაბზანდიო.

მეჩქარება, არ მცალია შენთან სალაპარკოთო და ხელიც უუქნია.

სახლის პატრონმა კიდევ თხუა, ჩამობანდი ცხენიდან, დემსვენე, ხევის ჭამე, ცხენსაც ეხიზმეთე და წაბპანდიო.

თავი დამანებე, წევდე'დაო და შეაგინა...

გაკუჭდა სახლის პატრონი, იფიქრა: საცხა ოთხმოცდაცხრამეტი, იქ ასიო, მუუქნია ყამა და მოკლა.

შეხედა და რას ხედავს, გარგანი აყვავებულა!

თურმე ამ მოკლული გოგო-ბიჭის საქმის დასაშლელათ გარბოდა. იმხელა ცოდვა ყოფილა ქორწილის ჩაშლა, რუმ დმერთმა ასი კაცის კლელობა აპატივა...

– ეს თქმულება საიდან იცით? – ვეკითხები მასპინძელს.

– ბაბადან გიმიგონია, დიდნენეც მოყვებოდა.

მორწმუნე, ღვთისმოშიში კაცია ბატონი ხასანი. მისი აზრით, „გარეთ კაცი არ მედკლება, შინ თუ მოგივარდა, ცოდვა არაა“.

მოძალადის მოკვლა დასაშეებად მიანჩია ხასან ჯინჭარაძეს: „მე თუ'ნდა მომკლა, შენ მოკტი...“

ახალგაზრდა ქალბატონი ტრიალებს ეზოში. გელინიაო ჩემი, ბ-ნმა ხასანმა, ჩვენებურიო.

– შენი გელინი რა გვარის ქალია? – ვკითხულობ მე.

– ჩემი გელინის ბაბა ანეჲ ჯინჭარაფხე იყო. მიორე გელინი ქათამიფხეა, მისი ნენეჲ შაქარაფხეა.

– შაქარაფხე იყო ჩემი დიდნენეც (ასე მივმართავდით ბებიას, დედის დედას – ავტ.), – ვამბობ მე.

-ფხე სუფიქსიან სახელურ ფორმებს იმდენად ბუნებრივად წარმოთქვამენ აქაური ჩურუქსუელები, რომ დაბეჯითებით შეიძლება ითქვას: -ფხე ცოცხალი აფიქსია ქობულეთელ მუჰაჯირთა მეტყველებაში.

- ეს რა ჯიშის ყურძენია? - ვეკითხები თუთაზე გაშვებულ ვაზზე.

- **ამ იქიდანაა ჩამოსული. აქაგრებმა არ იცოდენ ამ ყურძენი.**

მუჰაჯირთა ყველა სოფელში ვეკითხულობ, რა გვარები სახლობენ-მეთქი აქ. ბატონ ხასანსაც დავუსვი იგივე კითხვა:

- **ჯინჭარაძე არი, ქათამიძე არი, ანანიფხე არი, მორჩილაძე არი (ფაცაში), ბედინაძე, ყადიოღლი, მემიშოდლი, მოღლა მამუდ-ოღლები არიან, ინაიშვილი არი (ფაცაში), კობოღლი არი (აჭარელი), შაქაროღლი არი (ფაცაში).**

მასპინძელი შეეცადა გაეხსენებინა უნიესა და ფაცაში მოსახლე ქართული გვარები...

ჩვენს საუბარში ნიაზმა მოიწყინა, არ უყვარს პროზაული თემები. მოულოდნელად ბ-ნ ხასანს ეკითხება:

- რამე ლექსი გაიხსენო იქნებ, ქორწილში ან ნადში რომ იმღერებდით!

ჩაფიქრდა ხასან ჯინჭარაძე, კარგა ხანს იფიქრა, შემდეგ ერთმანეთის მიყოლებით რამდენიმე ლექსი გვითხრა:

**ბედვეიარე ყუშნაშიო  
და შევედი ბახჩაშიო,  
ვჭამე პრასა და ფხალიო,  
დავდექ და ვყლიპე თვალიო.**

\* \* \*

**ყესლი ბუძიეფ, მიმყევ-მომყევ,  
წედი-მოდი, მე მოვად!**

(ნადში იმღერებდენ - ინფორმატორის განმარტება).

- რამდენი შვილი გყავთ?

- **მე? ორი შვილი და ერთი გოგო:**

**ნურდანე - გოგო, მორჩილაძის რძალია;**

**ისმაილაფ - აინურაფ რძალია;**

**იბრაიმა – შაადუმანა რძალია, მორჩილაძის სახლის შვილი...**

ხასან ჯინჭარაძეს „გორი შვილი“ და ერთი „გოგო“ ყავს, ყველა დოჯახებული. დღეს ყველა მასთანაა შვილიშვილებთან ერთად. ბედნიერი კაცია ბატონი ხასანი, გულის ოპერაცია გადატანილი მოხუცი მხნედ გამოიყურება, ამაყია, რომ გურჯია, „ქობლეთელი“.

დროა დამშვიდობების. ექსპედიციის წევრები კარგა ხანია გველოდებიან. წამოვდექით. გზას გვილოცავენ ჯინჭარაძეები. ჭიშკართან მივვლით. გზაზე ძაღლები იდგნენ, ჩვენ გვიყურებდნენ. შევჩერდი. იგრძნო მასპინძელმა ჩვენი გაჩერების მიზეზი, ძაღლებს გაუწყრა, დააფრთხო. შემდეგ მომიბრუნდა, „**გაქნეული ძაღლებია**“ (გაგდებული ძაღლები), ნუ გეშინიაო...

\* \* \*

მეტროპოლიდან **გუზელდალში** აველით. თავდგირიძეების ოჯახში მიგვიწვიეს.

ლამაზი, გაშლილი ეზო აქვთ თავდგირიძეებს; ეზოში ოთხსართულიანი სახლი დგას ოთხი ძმისათვის.

თავდგირიძეებს აქვთ თხილის დიდი ბაღები და შესაბამისი – შემოსავალი. ახლა ძმები პენსიონერები არიან, ქალაქში უსაქმიათ, ემეკლი გამხდარან...

ეზოში მაგიდაა ძელსკამებით.

– მაგიდასთან მე, ზაზა და ნიაზი ვსხედვართ ორ თავდგირიძესთან ერთად.

– იქით თინა და თამარი სხედან ჩრდილში დაფენილ ხალიჩაზე, თავდგირიძის ქალბატონებს ელაპარაკებიან;

– მაია ტელეფონით იწერს ვიდეოსაგან ქვეყნის ამბებს;

– ზემოთ ნიკას გაუმართავს კამერა, მალხაზი ინტერვიუს იწერს სერდერ ბერიძისაგან.

– ერთი ხის ძირას ნუგზარს დაუმარტოვებია ერთ-ერთი თავდგირიძე და კითხვებით ავსებს.

– რუსლანი სურათებს იღებს, გიორგი ეწევა ტარიელთან ლაპარაკით გათული...

გავიცანით ძმები თავდგირიძეების (ილდიზების) ოჯახები:

საბრია – მერიემი მისი მეუღლე.

ფარეთდინი – მერიემი მისი მეუღლე.

ნურეთდინი – ემინე მისი მეუღლე.

იბრაჰიმად – ფატმა მისი მეუღლე.

ოთხ ძმას თერთმეტი შვილი ჰყავთ.

ეზოში ქედელი ხასან ვარშანიძე შემოვიდა.

თავდგირიძეების წინაპარიც ქედიდან წამოსულა მუჰაჯირად.

ვიდრე თავდგირიძეები ჩვენს გასამასპინძლებლად ემზადებიან, ხასან ვარშანიძეს ველაპარაკებით.

დარდიმანდი კაცის შთაბეჭდილებას ტოვებს ხასანი მნახველზე: ორმოცდაათ წლამდე მამაკაცი, მაღალი, კარგი მოლაპარაკე, უარს არ ამბობს ალკოჰოლურ სასმელებზე...

– კარგად ლაპარაკობთ ქართულად, – შეეუქე ქართული ხასანს.

– აქ ბევრი ლაპარაკოფს, კარი არ გახსნილიყო, დაამიწყებოდა, ახლა აღარ დეეკარქვის. იმფო ადრე გახსნილიყო, იმფო კად იყო.

– შენი ძველებიდან ვინ ჩამოვიდა ამ კუთხეში?

– აქ სამი ძმა ჩამოსულან ას ოცდაათუთხმეტი წელია, ახლა ასი კაცი იქნება: აჰმედად, მემედად, თეფფიყად ჩამოსულან. მემედადდან მე ვარ. მეოთხე თუ მეხუთე ვარ: ბაბად აბდულაჰ, მისი ბაბად – ისმაილად, იმისიც – მემედად. აქ ჩამოსულან, ვორდუში დამეჯარან 1880 წელში.

ტიპური ისტორიაა.

ნურეთდინ და ფარეთდინ თავდგირიძეები დასხდნენ ჩვენ წინ. ნურეთდინმა მოგვითხრო მათი ოჯახის თავგადასავალი:

– ბაბადს დედედ წამოვდა, ღომან თავდგირიძე. რუს უთხრობია, მუსლიმანობა თუ გინდა, წედიო, თუ არ გინდა, დარჩიო.

მუსლიმანობა მინდაო და წამოსულა. ჩვენ იქიდან წამოვსულვართ ეზუბალთმიშ წლის წინ: ორდუს ესულან, გოლქოფს, არ მოწონებთან, მერე აქ წამოსულან...

– კარგი ადგილი შეურჩევიათ სამოსახლოდ! – მოვუწონე საცხოვრისი ძმებს.

– კადა. სულ ჩვენი მიწებია აქ. თხილი გვაქ, სხვა ხილიც არის.

– აქ ქედვლები ხართ მარტო თუ ქობულეთლებიც არიან ამ სოფელში?

– აქ არა. პაწად ქიბარი არიან ჩურუქსუელები, არ მოწონდებთან ვარაჟულა. ჩვენები უფრო მუსლიმანები არიან, იგინი უფრო – არა.

მოსულთა ხვედრი მსუბუქი რომ არ ყოფილა, ნურეთდინ თავდგირიძის მონათხრობიდანაც ჩანს. ჩვენებურებს, განსაკუთრებით პირველ თაობას, თავი ერთიანობით გაუტანიათ. ამის მაგალითებს ბევრს იპოვით მუჰაჯირთა შთამომავლების მოთხრობებში:

– ერთმანები დუჟკავიან. ერთ თურქ უთქმია, ხარი მუჟპარიან, ჩვენებური'და მთეკლათ. მთეკრეფილან გურჯები. სამი კაცი გამუჟრჩევიან, უთქმიათ, მთიყვანთ'და ის თურქიო, კუდიანიო. მუჟყვანიან. ჯილღაზე მუჟბმიან ერკენ ხარი, ერკენ – თურქი, ყანა დუჟხნიან. ასე დედაკავებდენ ერთმანებ...

ამის შემდეგ გურჯის მოკვლის სურვილი გულშიც არ გაუვლიდა მეტოქეს.

– თავდგირიძეები ბევრი ხართ ამ მხარეში?

– ერთი კაცი ჩამოსულა, 35-40 სახლი ვართ ახლა.

თავდგირიძეები სხვაგანაც შეგვხვდნენ, მურღულშიც ვნახეთ, ბაშქოში.

– თქვენ თურქებს „კუდიანებს“ რომ უძახით, ისინი რამეს არ გეტყვიან? – კითხულობს ნიაზი მთელი სერიოზულობით.

– „კოზალიო“ გვეტყვიან თურქები, კუდიანები. ჩვენ რომი ორი ენა ვიცით, თურქულს დევლაპარიკებლით, ჩვენი სხვაფერული იქნებოდა, იტყოდენ – კოზალიო.

ჩანს, „კოზალი“ (სხვაგან გვითხრეს კოზახი – უმწიფარს, შემოუსვლელს ნიშნავსო) *მეტსახელად/ძველად* ცუდი თურქულის გამო შეარქვეს, გამოთქმა არ უვარგოდათ თურქული და იმიტომ. მეტსახელსაც ხომ რაიმე ნიშნის მიხედვით შეარქმევდნენ. პოდა, ესეც ნიშანი.

მალე ხილი, ყავა და ჩაი მოგვართვეს ქალბატონებმა. კარგა ხანს ისმოდა თავდგირიძეების ეზოში ხასან ვარშანიძის ხმამაღალი ხუმრობა.

ბნელდებოდა, უნიეში რომ დაებრუნდით.

**9 ივლისი, ორშაბათი.** წვიმს. მთელი ღამე ქუხდა, ზღვა დელავდა, ტანში ვერ ეტეოდა. სანიაღვრე არხები წყალს ველარ იტევდა. აქეთ ზღვა, იქით ნიაღვარი წალეკვით ეშუქრებოდა ქვეყანას... განწყობაც შესაბამისია: სვედიანი, ნაცრისფერი, ღრუბლიანი. ვისაუზმეთ ტრადიციული, ერთფეროვანი საუზმით: ყველი, კიტრი, პომიდორი, ზეთისხილი და უშაქრო ჩაი.

ვემზადებით სოფელში წასასვლელად. დღეს მურად შაჰინი უნდა ჩამოვიდეს სტამბულიდან.

მურადი უკვე დიდი ხანია იკვლევს მუჰაჯირთა შთამომავლების ყოფასა და მეტყველებას, ფოლკლორს. აგროვებს მასალებს, წერს სამეცნიერო გამოკვლევებს. ფასეულია მის მიერ შეგროვებული მასალები და შედგენილი მაჭახლური ლექსიკონი ქართული მეცნიერებისათვის. მურადის ჩანაწერები კარგად ასახავს მაჭახლელთა მეტყველებას. თავად ხომ ოდენ მაჭახლური კილოკავი იცის და მის ქართულზე ნაკლებად ახდენს გავლენას სალიტერატურო ენა.

მალე სასტუმროს ფოიეში შევიკრიბეთ. წინასწარ არაფერს ვგეგმავთ, დღეს მურადი გაგვიძვება ქართველთა სოფლებში.

დაახლოებით შუადღის 12 საათი იყო, მურად შაჰინი რომ მოვიდა. მოვიკითხეთ, მოგვიკითხა და გზას დავადექით.

**ქაინარ თაშით** დავიწყებთ დღევანდელ დღეს.

ქაინარ თაში სოფელია უნიეს მახლობლად. ქოდალების ოჯახს მივადექით, ოსმან ქოდალის ოჯახს. ვსაუბრობთ. უფ-

რო სწორედ სხვები საუბრობენ, მე – ვისმენ, ვაკვირდები, ვინიშნავ ჩემთვის საინტერესო მომენტებს. ოსმანი ყვება:

– **ოთხი ძმა ჩამოსულა. სახელი ა' ვიცი. დახთაში დაჯდენ, კიდევ დახთაში ვართ. ე'თად მოსულან იქიდან. ად (=არ) ვიცი...** მოსულ დედეს შვილები: **უსუფად, რემზი, ამედად, ჰავაა. უსუფას ბადიში ვარ მე. უსუფას შვილი ცხრა: ორი ბიჭი, ცხრა გოგო...**

– **ოსმან რა იჯები?**

– **ვწერავთ!**

– **ნაკლები მითქმია სიფთე, ათი და ერთი იყვენ...**

ქაინარ თაში მაჭახლეღთა სოფელია, მოყვანილი დიალოგიც – მაჭახლური მეტყველების ნიმუში.

მაჭახლელ მუჰაჯირთა მეტყველებაში ყურადღებას იქცევს:

ა. რ-ს დაკარგვა. კარგა ხნის წინ ერთ შრომაში ვწერდი, რომ სამხრულ კილოებში, უპირატესად აჭარულში, სისტემურად მერისის მეტყველებაში, სიტყვაში იკარგება რ, შედეგად კი „გრძელდება“ მისი წინამავალი ხმოვანი. მოვლენა მეტ-ნაკლები სიხშირით მთელ სამხრულ მეტყველებაში დასტურდება<sup>8</sup>. მაჭახლელ მუჰაჯირთა შთამომავლების მეტყველებაში მისი პოზიციერება მნიშვნელოვანია ჩვენი დებულების დასამტკიცებლად. მოყვანილ დიალოგში რამდენიმე ასეთი შემთხვევაა: სახელი ა' ვიცი; ე'თად მოსულან იქიდან...

ბ. ერთ შემთხვევაში რ>დ-ს. ამ საინტერესო ფონეტიკურ მოვლენას აჭარულში ადასტურებს შ. ნიჟარაძე<sup>9</sup>. მაჭახლურში მისი პოზიციერება საყურადღებო ფაქტია, მომავალმა კვლევამ შეიძლება მოვლენა მთელს სამხრულ მეტყველებაში დაადასტუროს: **ად (<არ) ვიცი...**

---

<sup>8</sup> მ. ფაღავა, რ'ს დაკარგვა სამხრულ კილოებში. ბსუ მემედ აბაშიძის სახელობის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი, კრებული, III, ბათუმი, 2002, გვ. 189-198.

<sup>9</sup> შ.ნიჟარაძე, აჭარული დიალექტი, ბათუმი, 1975, გვ. 60, სქ2.



ოსმანის წინაპრები იგივე მიზეზით წამოსულან მუჰაჯირად, რითაც სხვები: „სავაში რომ გახდებოდა, ჩვენი კაცები იქ დარჩებოდნენ, უთქვიან: და ხრისტიანი გახდეთ'ნა, და წესვიდეთ'ნა. უთქვიან, მუსლიმანი ვართ, წამოსულან...“ თქმულში იმდროინდელ რეალობასთან ერთად თავის მართლებაც ჩანს შთამომავლების წინაშე. ესაა პასუხი შთამომავლების მიერ დასმულ პასუხგაუცემელ კითხვაზე: რატომ დატოვეთ მემლექეთი? რატომ იქცით ლტოლვილად ამ უცხო მხარეში, სადაც გიხდებათ ბრძოლა, სისხლისღვრა, წვალება? საუკუნე-ნახევარია მოსული ხართ აქ და მაინც უცხოა ეს მხარე თქვენთვის, მაინც არ არის ის თქვენთვის მშობლიური!

გაქრისტიანებით „ემუქრებოდნენ“ მუსლიმან ქართველებს, ამიტომაც აიყარნენ და წამოვიდნენ აქ, სადაც ერთმორწმუნე მუსლიმანები ეგულებოდათ. წამოვიდნენ აქ, სადაც არავინ ელოდებოდა, სადაც არავის ესმოდა მათი. მოვიდნენ უცხონი უცხო მხარეში უცხოთა შორის. მოვიდნენ ისე, რომ უკან დაბრუნების შანსი ფაქტობრივად არ დაიტოვეს. რწმენის ერთობა არ გახდა საკმარისი აქ დამკვიდრებისათვის. ჩანს, მეტი მოითხოვა ახალმა სამშობლომ, ვიდრე რწმენაა, და ეს მეტი იდენტობის უარყოფაა. ეს გაუჭირდა ლტოლვილს, ვერ სძლია თავს, ამიტომაც შემოიზღუდა, სხვას არ ეკარებოდა, არც იკარებდა...

– დედემ რა იქნა? – ვეკითხები ოსმანს.

– ზათი დედემ დაკარქულია, იქიდან მოსული დედემ აქ მუუკლიან კუდიანებ.

– რუმებს მუუკლიან, კუდიანებ – არა! – უსწორებს მეუღლე.

– მოკლიდენ ზათინ, მასაც მუუკლია, დარჩენილა იშტე...

– თქვენ „კუდიანებს“ ეძახით, ისინი არაფერს გეძახიან?

– კითხულობს ნიაზი.

– კოზახს გვეტყვიან, ჰამა ივინი ჩვენზე ჭახე არიან. მოგილს გვეტყვიან. ჩვენი კაცები ახსი ყოფილან, კუდი მუუბმიან.

– სახლში საჭმელებს რას გააკეთებთ, გვასწავლეთ, ჩვენც გვინდა ვიცოდეთ!

– **მაღახტო, ლობიო-ფხალა, გურჯი ყაურმა, ჩვენებურად სახელი ა' ვიცი იშტე...**

მუჰაჯირებთან ერთი „კანონზომიერება“ აღმოვაჩინე: მთელს აჭარასა (განსაკუთრებით ქედაში) და მაჭახელში, სადაც ამ კერძს ამზადებენ, **ფხალ-ლობიოს** უწოდებენ (აქ ფხალის უპირატესობაა საზგასმული), ზოგიერთი მუჰაჯირი და მისი შთამომავლები კი პირიქით, ლობიოს უპირატესობას გაუსვამენ ხაზს და **ლობიო-ფხალას** უწოდებენ...

წამოვედით ოსმან ქოდალის ოჯახიდან და სოფლის მეორე მაჰალეში გადავედით, მოხუცი ქალბატონი გავიცანით, შაქარ-ოღლი ვარო, გვითხრა, ძველი გვარი არ ახსოვდა.

– შაქარ-ოღლი დიდნენე მყავდა-მეთქი, – ვცდილობ, საუბარში ავიყოლიო ქალბატონი.

– **შენ ვინებიდან ხარ? ალი-ბექ დედე ვიცი. ჩემი დედე მიკითხვდა...**

რა აუუხსნა ქალბატონს, შაქარ-ოღლის რომელი ოჯახის ჩამომავალი ვარ? მაინც ვპასუხობ თავაზიანად:

– ხასან შაქარ-ოღლის ბაღიშიშვილი ვარ, მერიემის ბაღიში, ფატის შუათანა ბიჭი-მეთქი.

– **კაა რომ ყველა იცი, იცოდენა ზათი!** – მომიწონა ჩემი გენეალოგიის ცოდნა.

– ამბობენ, გაქცეული ყოფილხარ, რაფერ მოხდა მად საქმე, ბაბადს არ შეგეშინა? – მოვუქციე აქაურულად.

– **ორ წელიწად ა' დემელაპარია ნენემ, კაცმა ასკერში წევადა... გაქცეული ვიყავი, რა'ნდა მექნა?**

კარგი მოლაპარაკება შაქარ-ოღლის ქალი; უჭირს ქართული, მაგრამ „მაინც უხლართავს“, მაგებინებს.

მე რომ ამ გარჯაში ვიყავი, ექსპედიციის წევრები მოედგნენ ეზო-კარს და ჯერ მხოლოდ შემთვალული მსხალი მიერთვეს...

მოვლივართ ქაინარ-თაშიდან. წინ საკმაო გზა გვაქვს უნიაძღე. ვსაუბრობთ, მურადს ვაყრით განსაკუთრებით კითხვებს...

ავტობუსში ჩემთვის ჩვეულ სავარძელში ვზივარ კარებთან, არც თუ კომფორტულად; ვფიქრობ, მადარდებს ოსმალეთში გადმოსახლებულთა შთამომავლების ხვედრი, უფრო მომავალი... ჩანს, აქ ქართული უცხო კულტურის ნაწილად იქცევა მალე. ეს მადარდებს მე, ამასვე დარდობს მთელი ექსპედიცია.

**10 ივლისი, სამშაბათი.** დილა ჩვეულებრივ დავიწყეთ: მოსამზადებელი ფუსფუსი, ტრადიციული საუზმე ტერასაზე, შეკრება სასტუმროს ჰოლში და გზა ყორღანისაკენ. **ყორღანი** იღწეს სახელწოდებაა **ორღუს ილში**. წინ საკმაო გზა გვიდევს. მუხტარი ანანიძეა, დაბა ყორღანში შეგვხვდა მხლებლებთან ერთად, გაგვეცნო და სოფელში მიგვიწვია. წავედით. წინ მამასახლისის მანქანა მიდის, უკან ჩვენ მიყვებით. გზა მალდა-მალდა მიიწევს. მშვენიერი ბუნებაა: ტყე, თხილის ბაღები, სხვა ხეხილი... ირგვლივ მშვენიერი ხედებია, გაჩერდით, სურათებს ვიღებთ. გზის ქვეშ ერთი ჩვენებური თიბავს. ჩავედით მთიბავთან, ცელიც მოვიქნიეთ, ვაჩვენეთ, ჩვენც შეგვიძლიაო თიბვა... ჩვენს ამ ყოფაში მამასახლისი მოვიდა, სოფელში ასული უკან დაბრუნებულა, რადგანაც ასვლა დაგიგვიანეთ, იფიქრა, გზა აებნათო. ისე ტყუილად ეშინოდა ჩვენს მასპინძელს, აქ გზა არავის აებნევა, რადგან ერთი გზაა და იმასაც ჩურუქსუელთა სოფლისაკენ მიყავართ...

სოფელში დაგხვდნენ ანანიძეები, მიქელაძეები, ქათამიძეები, ბაუჟაძე/ბაუჯაძე, პაპიოღლები, ჯინჭაროღლები. დატრიალდნენ მასპინძლები ქობლეთურად.

სოფლის ცენტრში ჯამეა მედრესეთი, ახალი, თანამედროვე შენობა მინარეთით, ვრცელი ეზოთი.

ახალგაზრდა ხოჯა „საზაფხულო სკოლაში“ ყურანს ასწავლის დასასვენებლად ჩამოსულ ახალთაობას. მიღებულნი წესია თურქეთის სოფლებში ზაფხულობით, სასკოლო

არდადეგების დროს, მეცენატები ბავშვებისათვის სკოლებს აწყობენ ყურანის შესასწავლად. ასეთი „სკოლის“ ერთ დილას შეგვხვდით დღეს. ხოჯა ყურანის „სურებს აკითხებს“ ბავშვებს:

ბისმილლაჰი რახმანი რახიმ,  
ელჰამდუ ლილლაჰი რაბინ აალემინ,  
ო, რაჰმანი რაჰიმ... („ფათიჰა“, სურა 1:1-2).  
მოწყალე და მწყალობელი ალლაჰის სახელით,  
ქება-დიდება ალლაჰს, სამყაროს ღმერთს...

მონდომებით იმეორებენ მოზარდები მათთვის უცხო ენაზე საღვთო წიგნის თავებს.

შევედით საკლასო ოთახში. ხოჯამ უცხოთა დანახვაზე შეწყვიტა მეცადინეობა, ღიმილით შეგვხვდა, ნება დაგვერთო, გადაგველო სასწავლო პროცესი. ბავშვებს გავესაუბრეთ. უმეტესობამ ქართული იცის... სასიამოვნო ფაქტია.

ჯამის ეზოში მიმოვიფანტეთ: განვმარტოვდით მთხრობელებთან და საქმეს შევუდექით. შემოგვეხვივნენ **თაღნაღელები** (ძველად ასე უწოდებდნენ ამ სოფელს – ავტ.), უფრო ქალაქიდან დასასვენებლად ჩამოსული ახალგაზრდა და უფროსი თაობის „ჩვენებურები“.

ქალაქიდან გამოქცეული მუჰაჯირები აქ დამსხდარან, ექვსი ოჯახი ყოფილა თავდაპირველად, ახლა დიდი სოფელია.

– რამდენი ოჯახი ცხოვრობს სოფელში?

– **ახლა ორასი სახლია სოფელში. სამას სამოზდაათი იყო. ყორღანს მიაბეს ძაზღული. აქ, ამ მაჰალეებში – ყურღანი/კუნდანი, ფისილთამი ახლა ორასი სახლია.**

ენაწყლიანები არიან ყორღანელი ქობულეთლები, ქობულეთური მეტყველება მესმის, გამორჩეული ქობულეთური აქცენტით, ქობულეთის სოფლებში რომ გაიგონებთ ისეთი.

ახმედ ქათამიძე მეუბნება:

– **ზაფხულ აქ ვარ, ზამთარში იქ მიაღ!**

– ქალი ქართველია?

– **აბა, თურქი რათ გინდა, თაბი!**

– თქვენი ძველებიდან ვინ წამივიდა მუჰაჯირად?

– დედემს ბაბაა ჩამოსულა, ქიბარაა, ძალის ერთგან, აი-შეღაა ერქვა. ხარბი რომ ქნილა, გამოქცეველან, ქალაქში არ გაჩერდენ, აქ გამოქცეველან, ცივ წყალზე, აქა ვჯდნვართ, ყაზახო. ქიბარაა ბიჭი ოსმანაა; ოსმანას ვოთხი შვილი ეყოლა: დურსუნაა, ახმედაა, ნიაზაა, ისმაილაა, გოგვები აღარ დარჩენილან, ყაზახო.

ცუდია, რომ ჩანაწერში არ გადადის ქობულეთური გამოთქმა, განსაკუთრებული ინტონაციის მეტყველება. დიალექტური მრავალფეროვნება ყველაზე კარგად კუთხურ აქცენტუაციაში ჩანს, რაც, ბუნებრივია, ვერ ჩაიწერება. ვუსმენ ახმედ ქათამაძის ქობულეთურს და ყურში ქობულეთელი, კვირიკელი ბებიას ხმა მესმის, მშობლიური და ახლობელი ჩემთვის.

– აქავრობა სულ ტყემ ყოფილა, ყაზმათ გუუტეზვან აგინი. ერთქვანებს ეხმარებოდენ, ისე გუუტეზვან. აქა გარეთაა კაცები ვერ გეძარდენ. ჩვენი კაცები ძალვან ახსი არიან, ყაზახო, – განაგრძობს ახმედ ქათამიძე.

– ქობულეთლებმა კარგი სიმღერა იციან, აქ არ იმღერებთ ჩურუქსუელები? სამღერებელი გვითხარით რამე!

ალი რიზა ანანიძე ჩაგვეერთო საუბარში:

გედევხედე ბახჩაში,  
ვარდსა ვიკრეფ კალთაში,  
ძროხამ შევდა ჭარხალშიო,  
გეყურბანე ჭრელ თვალშიო,  
შენ თუ ვერ გითხუე,  
არ წევალ იმ დუნდაშიო...  
ახორ უკან თიკნები,  
ვიტირებ და ვიქნებიო,  
წეხვალ, გეგებუტებიო,  
მოსვალ – ჩეგეხუტებიო...  
დედე, დედე გადაგხედე,  
გამოვყარე ტურები,  
ერთი ფაციაა დევნახე,

დავაცქმეტიე ყურები...

სიმინდ გამარგლიდენ ცხრა-ათი, ვოცი კაცი მოვლოდენ.  
მარგლიხან იმღერებდენ, გადასძახებდენ ერთმანებს...

– კიდევ გურჯი ხორუმს ისამებდენ, – ამბობს ახმედ ქა-  
თამიძე, ჰემ იმღერებდენ:

ვაჰაჰაჰა, ეწრი ფაცხაჰ,

ვაჰაჰაჰა, ვითამ რაცხა...

ასე იბახდენ, ჰემ სამობდენ, ჩეებმებოდენ სამი-ხუთი კა-  
ცი და ისამებდენ.

– ახმედ ბატონო, ხორუმს ქალები თუ ისამებდენ?

– არა, ხორუმში ქალი არ დიმინახავს!

ძველი, მრავალხმიანი ნაღური სიმღერებისა და ხორუ-  
მის შესახებ ფრაგმენტული ხსოვნაღა გადარჩენილა ყორღა-  
ნელ ქობულეთლებში. ახსოვთ, დედეები რომ იმღერებდენ  
ნადში, ან ისამებდენ ქორწილში... ახალთაობას არც ეს  
ემახსოვრება. აქაურთა ცნობიერებიდან იშლება ძველი, სა-  
ნაცვლოდ შემოდის ახალი, სრულიად უცხო კულტურის  
ელემენტები. სხვაგვარად: ხდება მშობლიურის გაუცხოება  
და უცხოურის გამშობლიურება.

მუჰაჯირთა სოფლებში ზოგჯერ ქართულ ტოპონიმებ-  
საც შეხვდება კაცი: **ბოზის** (ბოლაზის) **თავი**, **ანათიანი**,  
**ჯოღლის** (შდრ. ქობულეთური – ჯო) **ნაყვერაფი**, **წიფლნა-  
რი**, **ბარღნალი**, **ქერიელი** (<ქერიფერი), **ჯოღლობახჩა**... მაწე-  
რინებს გეოგრაფიულ სახელებს ჩაქველი რომანოვლი (რო-  
მანაძე).

ჩვენებურთა ამ კუთხეში დამკვიდრების განსხვავებულ  
ვერსიებს ყვებიან. დიდი დედეების მონათხრობი ტრანსფორ-  
მაციას განიცდის შთამომავლებში, ერთი რამ კია, ამ მოთხ-  
რობებში ჩანს ბრძოლა დამკვიდრებისათვის, ბრძოლა გა-  
დარჩენისათვის... ძნელია უცხო მხარეში დამკვიდრება, მით  
უმეტეს მაშინ, როცა დამხვდურიც მტრულად გიყურებს,  
სხვა ხარ მისთვის, მისებური არ ხარ და იმიტომ. რამდენიმე  
ეპიზოდს მოვიყვან ყორღანელთა მონათხრობიდან:

– აქა ენ წინ ფადიშაჰობა იყო და... ნური ფაშა მოეკლა'ნდა ვინცხას... ხასანავო, მე აქიდან ჰაცხან გიდიმიყვამ, აქ მომკლა'ნდაო. ჭოროხში გადმოიყვანა. ფეხით წამოსულა ხასანამ, ერთი გოგო გზაში მომკტარა. მივლა ფაშასთან. აქ რუმე ჩამოსულა, უთხრობია, მა ად მინდორი შენი იყოს, მა ი მინდორი, მე არ მინდაო. ევლა სოფელში. ევლა ი თაში, უთხრობია, ამის იქითა თქვენია, აქითა – ხასანადსო...

აქ ჩანს, თითქოს ეს მამულები აჩუქეს მუჰაჯირებს, მაგრამ პაუზის შემდეგ მთხრობელი იტყვის: აქოვრობა წართმეულია. მოვდონ თურქებმა, გევესით ჯოხი... აქოვრობა ჯოხით დეკავეთ...

ძალადობას ზოგჯერ ძალადობა მოსდევდა:

– აქა ძველათ ამოსულა ასკერი. დიდი ბაბუამს სახში შესულან, უთხრობიან:

თქვენ, გარეთ გედით კაცებმა, ქალებმა – გვეხიზმეთონ!

ჩვენებს უთხრობიან:

ქალები წასული არიან, შემოითო!

ასკერებმა არ შამოვდენ, ქალებმა მოვდონო...

ხედავენ, ასკერები არ მიდიან. ცუტა ხნის მერე ასკერებზე უთხრობიან: ქალებმა მოვდონ და მოგეხიზმეთონ'ნდაო.

შევდენ სახში!

მეგერ კაცებმა გედეიცვენ ქალების ურუბა, წაართვენ ლივერები, მოკლენ...

მემრე ამოვდენ ასკერები, გადაწვენ სახლები...

თანდათან გაეშინაურდით. შუადღის ლოცვის დროც მოვიდა. მლოცველები ჯამის ეზოში შეიკრიბნენ. მასპინძლები გვებოდიშებიან, სალოცავად მიეჩქარებათ, „ვახტს" ვერ გაცდენენ.

შუადღის ლოცვა თითქმის ერთ საათს გაგრძელდება. საკმაო დრო გვაქვს, სოფელი დავათვალიეროთ, ვნახოთ სახახავი. ლოცვის შემდეგ განვაგრძობთ დაწყებულ საქმეს...

ჯამის გადაღმა, გზის ქვეშ სასაფლაოებია. გავდივართ იმ მხარეს; დაბლა მოხუცი მამაკაცი ახალ სასაფლაოს აწყობს. სარი-აჰმედ ბაუჟაძე აღმოჩნდა. ძველი ამბები მაგან

იცისო ბევრი, მაგას კითხეთო, გვითხრეს იქ შეკრებილმა ქალებმა.

– ვის სასაფლაოზე მუშაობს? – ვიკითხე მორიდებით.

– გუშინ ქალი მუუკტა, დაასაფლავა და საფლავს აკეთებსო, – გვიპასუხეს.

– უხერხულია ახლა მემედ ბატონთან მისვლა და საუბარი, მგლოვიარეა-მეთქი, გადავულაპარაკე ზაზას.

– არ აქვს ახლა მაგას ჩვენი თავი, ჯობს, სხვა ვნახოთ ვინმე, – დამიდასტურა ზაზამ.

ვცადეთ ქალებთან საუბარი. არ გვიუცხოვეს, დაგველაპარაკნენ, მაგრამ უჭირთ ქართული, ქალაქიდან ამოსულან დაკრძალვაზე... იქვე ხის ჩრდილში დავდექით, ვეწვეით, ვსაუბრობთ და ქალების ერთმანეთში საუბარს ვუგდებთ ყურს. ქართულად ელაპარაკებიან ერთმანეთს, ეგებ ჩვენს გასაგონად, რამდენიმე ფრაზა გარკვევით გავიგონე, ჩავიწერე კიდევ:

– მე არაბისტანს გიგნები!

– ვყაშმერობდით ერთქმანებში...

– აქა აფსილია ამფერი...

– ჩვენ აქ მეზელულზე ამიედით!

– ჩემი კონდო ხტომილოფს, ვერ ილაპარაკებს ჰამა...

ქობულეთურად უქცევენ ქალბატონები: გიგნები (გეუბნები), ვყაშმერობდით (ვხუმრობდით), ამიედი (ამოვედი), კონდო (გოგო) და მისთანა ფორმები ქობულეთურში დასტურდება მხოლოდ.

ლოცვა დასრულდა. მლოცველები გამოიშალნენ. ჩვენც ჯამის ეზოში გადავედით. ჯელალ ჯინჭარაძესთან ჩამოვჯექი ძელსკამზე.

ჯელალი ახალგაზრდა კაცია, 50 წლამდე, ეტყობა საქმიანიც. არაბეთში ვმუშაობო, ჯამეების მშენებლობას ვხელმძღვანელობო. ბევრი ჩემი სოფლელიც წავიყვანე, იქ ვასაქმებო.



წესად ჰქონიათ ჩვენებურებს, ერთი თუ წარმატებას მი-  
აღწევს საქმეში, სხვებსაც წაიყვანს, დაასაქმებს, შემოსა-  
ვალს გაუჩენს...

ჯეღალის მონათხრობიდან რამდენიმე ეპიზოდი დამრჩა  
გონებაში, მსურს მკითხველსაც მოეუთხრო ორიოდ, უკეთ  
რომ გავიცნოთ ჩვენებური:

**– რუსიამ რომ დაგარტყენ, ნენე, ბაბაე ტიროდენ, გულ-  
მა წევდა, ჰამა ვერაფერს ვაკეთებდით...**

„გულმა წევდაო“ მემღეჭეთის გაჭირვების გამო. ჩვენე-  
ბურები განიცდიან ისტორიული სამშობლოს მდგომარეობას,  
გაჭირვების უამს გულისყური ჩვენკენ აქვთ მოპყრობილი,  
გვიყურადებენ, გვდარდობენ...

მუჰაჯირად წამოსვლაზე ჩამოვუგდე სიტყვა ჯეღალს,  
საოცარი რამ მიაბო, თხრობისას აუცრემლდა თვალები:

**– სახლი ხონდა, კარი ხონდა, დუუტევა, ქითაბი წამოი-  
ლო, დატია ყოლიფერი.**

დილას ამდგარან, შაჰმელი რაცხა იყო უჭამიან, ქომუ-  
შები მუუწველიან, ძედი ოჯახში ცეხლზე დუუდგმიან, ნუგუ-  
ზალი უკან გამუუწვევიან, ცეხლი გამუუნელებიან, ძემ არ  
გადმოფაროს, ვინცხა მოვა, სვამსო.

ძროხა გუუშვა საბალახოთ. რაცხა ხონდა ზოგი წამოი-  
ლო, რაც ზიდა, ბევრი დატია, წამოვდა...

**ამ რუმ გამახსენდება, გულზე ცეხლი მაქ...**

მშობლიური ეზო-კარი, სოფელი, კუთხე... მუჰაჯირის  
დაუწყებელი ტკივილია, ტკივილი, თაობებს რომ გადაედე-  
ბა.

დიდი სოფელია თაღნალი. სამოცდაათამდე ოჯახი მარ-  
ტო ჯინჭარაძე (//ჯიმჭარაძე // ჯინჭაროღლი) ცხოვრობს.

ყორდანელი ქობულეთლები აქაც აგრძელებენ ქობულე-  
თურ ტრადიციას: „ყაშმერობით“ „სიგელებს“ არქმევენ და  
„აჯადინებენ“, აჯავრებენ, ერთმანეთს. ყორდანში შეხვდე-  
ბით: **სარი აჰმედს, თოფალ ხუსეინს, ჭატაე ჯემალას, ხო-  
ხოლ ჯემალასა და სხვებსაც.**

უცხო მხარეში გადასახლებულები ისევ ქობულეთზე ფიქრობენ: ჩვენ აქ კარქათ ვართ, ჩვენ იგინს ვფიშმანობთ, – გვეუბნება ბატონი ჯელალი გულწოფელად.

ჩანს, ძლიერია უცხო ქვეყანაში გადასახლებულის სამშობლოს განცდა. მუჰაჯირი, თავად სხვას შეხიზნული მშობლიურ სოფელზე ფიქრობდა, სიზმარში თავის ეზო-კარს ხედავდა, გონებით ვერ სცილდებოდა სოფლის ორღობეებს... ყველაფერი, ზოგჯერ უმნიშვნელოც, თავს ახსენებდა... და თხზავდა მითებს შთამომავლებისათვის, რომელშიც მოქმედება მამისეულ სოფელში, ეზო-კარში ვითარდებოდა. მშობლიურ კუთხეს მოშორებული მითიურ სამოსელში გახვეულ სამშობლოს ხსოვნას გადასცემდა თაობებს, ამ მითებით ზრდიდა, აყვარებდა ადგილის დედას. შვილებსაც უყვარდათ მამის უნახავი სოფელი, ამაყობდნენ თავისი გურჯობით, სათუთად უფრთხილდებოდნენ ოჯახის ტრადიციებს, ოჯახის სიწმინდეს. იცოდნენ მამისეულ სოფელში ვინ იყო განთქმული ვაჟკაცი, ვინ იყო ნადურის გამორჩეული მომღერალი – ბაუჟაძე თუ ბეჟანიძე... და ყველაფერი ეს ხელშესახები იყო მანამ, სანამ მუჰაჯირის შთამომავალი ქალაქში არ წავიდა და ახალ კულტურას არ ეზიარა, შესაბამისად, არ გამძაფრდა ჭიდილი საკუთარ იდენტობასთან.

შუადღე გადაიარა. არ ვჩქარობთ წამოსვლას. ვსაუბრობთ, ვიწერთ, ვიღებთ... ყორღანელები ყურადღებას არ გვაკლებენ. ჩვენთვის მოიცალა მთელმა სოფელმა.

სადილზე მიგვიწვიეს თაღნაღელმა ჩურუქსუელებმა, „პირის გუუქანებელი ვერ გაგიშვებთო“, – გამოიდვეს თავი.

უარი ვუთხარით მოკრძალებით; არ მიიღეს, სოფლიდან ვერ წახვალთო უსადილოდ.

ჯელალ ჯინჭარაძის ეზოში მიგვიწვიეს.

ტყისპირას უდგას ჯელალს ორსართულიანი სახლი მოზრდილი ეზოთი, იქვე, მეზობლად, მეორე ძმის სახლია. მშენებელსა და ინჟინერს გემოვნებით მოუწვია სახლ-კარი.

სუფრა ეზოში გაშალეს თურქული წესით, მაგრამ ქობულეთური სტუმართმოყვარეობით. ვეებერთელა ხალიჩა გაფინეს ეზოში, ახალთ-ახალი და ზედ დააღაგეს:

ა. კიტრისა და პომიდვრის საღათა;

ბ. შემწვარი ქათამი;

გ. ყველი, რამდენიმე სახეობა;

დ. პალვა;

ე. ჩირბული (მელემეს ეტყვიან – ავტ.), მაგრამ არა ქობულეთური.

ვ. შემწვარი კარტოფილი ხორციით;

ზ. სიმინდი;

თ. ლობიო;

ი. ზეთისხილი;

კ. პური;

ლ. ჩაი...

შეიძლება გამოძრჩა რაიმე. სახელდახელოდ მდიდრული სუფრა გაგვიშალეს. რაც უფრო მთავარია, ალალი გუდით მოგვართვეს სადილი.

სუფრასთან მიგვიწვიეს. ზოგმა შეძლო და მოიკალათა აღმოსავლურად, ზოგიც კიდევ სკამზე იჯდა და ისე მიერთმევდა. უხერხული მდგომარეობა შეიქმნა. შეწუხდა მასპინძელი, ასე მცოდნოდა, სუფრას მაგიდაზე გავშლიდო.

ასე ჯობიაო, გავამხნევეთ ჯელალი.

ნიაზმა და მალხაზმა, ნიშნად იმისა რომ არ გვიჭირსო, ჩაიმუხლეს, ფეხმორთხმით დაჯდნენ მასპინძელთან ერთად.

ქალბატონებს – რუსუდანსა და თამარს პატარა მაგიდაზე გაუშალეს სუფრა, ნუგზარაც მათ მიუჯდა.

თინა და მაია ჩაიმუხლნენ, ასეც ახერხებენ სადილობას.

მე და გიორგი სკამებზე ვსხედვართ და ვწვავლობთ, არც ზაზაა უკეთეს დღეში.

ტარიელი და მინდია მადიანად ილუკმებიან.

ლაშა „წვავლობს“, ზარმაცად ილუკმება, გუშინდელი „ნაწვავლებია“ ჭაჭითა და რახით.

რუსლანი და მურად შაჰინი გვიან შემოგვიერთდნენ, მოხერხებულად მორთხეს ფეხი სუფრასთან და შეექცნენ სადილს, სულ ბოლოს სოფლის მამასახლისი მოვიდა.

მამაკაცები გვემსახურებიან აქაური წესისამებრ...

თავს დაგეტრიალებს მასპინძელი, სუფრას თვალს არ აშორებს, არაფერი მოაკლდეთო სტუმრებს. თან გვებოდიშება: ადრე გვცოდნოდა, ამოხვიდოდიო, ცხვარს დაკვლავდითო, მოვემზადებოდითო უკეთესად.

მასპინძლის ამ ფუსფუსში ქობულეთურ სტუმარ-მასპინძლობას ვხედავ, ჯერ კიდევ გადარჩენილს ჩურქსუელ მუჰაჯირთა შთამომავლებში.

დასრულდა სადილი. დავემშვიდობეთ მასპინძლებს, ყორღანელ ქობულეთლებს...

**ყურღანში** ჩამოვედით. „ჯინჭარაძეების ბიძიშვილს“, აჭარელ ალი ქათამაძეს შევხვდით. ადგილობრივი გაზეთის კორეპოდენტმა, ილმაზ პაპუნაიშვილმა მიგვიყვანა მასთან. ბ-ნი ალის ოცნებაა, ააშენოს მუზეუმი ღია ცის ქვეშ, – ქართული სოფელი, საამისოდ აგროვებს მასალებს.

მივედით ალის „მუზეუმში“. აქ მრავლადაა სამუზეუმო ექსპონატი, სათითოოდ გამოაქვს პატრონს და გვაჩვენებს, გვიხსნის თითოეულის წარმომავლობას. ზოგიერთი მოთხრობა იმდენად შთამბეჭდავია, გამიჩნდა სურვილი, მკითხველსაც გავაცნო.

სუფრა: „ჩვენებურები იქიდან წამოსულან. შვიდი დღის დაქორწილებული ქალი ყოფილა, აჲ (სუფრა – ავტ.) ნენეს მუუცია, უთქმია, გქონდეს, ვინმე რომ გესტუმრება, ამ სუფრაზე მთავრი საჭმელიო. ქალმა იგი ზურგზე მოკიდული წამოიღო. სუფრა ასოზდათხუთმეტი წლისაა. ქალს სახლი გაახსენდებოდა, გამოიტანდა, დადგამდა და იტირებდა. ძმის, დედის, მამის უნახავი მომკტარა,“ – მოგვითხრობს ალი.

სუფრა ძველებურია, ერთიანი ხისაგან გამოთლილი. მთავარი ისაა, რომ იგი დედის იადგარია ახლადგათხოვილი ქალისათვის, რომელიც ემიგრაციაში წასულს ოჯახსა და სამშობლოს აგონებდა...

ვუყურებთ ნივთებს, ხმამაღლა გამოვთქვამთ აზრებს, ზოგჯერ ვხუმრობთ კიდევ. „გაჩერდით-და, მე ვილაპარაკო,“ – გესაყვედურობს ალი. ჩვენც ვუსმენთ, სხვა რა გზაა:

„ფილინთა თოფი“ ასოცი წლისააო, საჩიტე თოფიაო. „ჩვენ რომ ვიცით, საჩიტე თოფიაო,“ – გვიზუსტებს მასპინძელი.

კიდობანი – ერთიანი ხისაგან გამოთლილი.

ხის გობი;

„ხედიკები/ჰედიკები“ – თხილამურები.

„ჭური“ (ჯვრით) – 800 წლისააო, „ათარიღებს“ ალი.

„გეღწი მაქიდან“ გაუწერა ალი მეზობელს, უკვე ხანდაზმულ ასლან პაპუნაიშვილს, რადგან ნივთს წაეტანა ასაღებად.

გადავიღეთ სურათები ალის მუზეუმში ალისთან და მის გარეშე. წამოვედით ყურდანიდან. ხმამაღლა ვსჯდით ნახულს, ვთანხმდებით: კარგია, რომ ალი აქ ფიქრობს ქართული მუზეუმის დაარსებას. მუზეუმი ხელს შეუწყობს ქართული ცნობიერების გადარჩენასა და, უფრო მეტიც, ემიგრანტთა მეხსიერების გამოცოცხლებას ამ კუთხეში. ეს კი მნიშვნელოვანი მოვლენაა.

ყურდანს გამოვცდით და ოსმან კენჭადის სახლთან გავეჩერდით. ვარჯანაულიდან (ქედა) წამოსულან ოსმანის წინაპრები მუჰაჯირად. ეზოში დავსხედით. მალე ჯემილ პაპუნაიშვილი, სამსუნის უნივერსიტეტის თანამშრომელი და მისი ვაჟი შემოგვიერთდნენ. ვსაუბრობთ. თინა შემთხვევას არ უშვებ და ღოცვას „უკვეთავს“ ოსმანის მეუღლეს:

**ადაზე, მადაზე,**

**ბეწვო გამოე ფაჭაზე,**

**გამოე და გეეფინე,**

**გაღმა კორდის ბალახზე.**

**ამოისვამ ხელს თვალში, მოგირჩება.**

ოსმან კაკალოღლიც მოვიდა, ქობულეთელი, წაღლითა და ნამგლით...

დიდხანს არ გაქვრებულვართ. წამოვედით და მალე **ბაჯანაღში** (ფაცის სოფელია) ვიყავით.

ქობულეთელ მუჰაჯირთა დასახლებაა ბაჯანაღი. სოფელში მისულებს პირველად მეხფულე (ზოგჯერ ისმის – მეხბულე) ინაიშვილი შეგვხვდა:

– **ინაიშვილის ქალი ვარ, ინაიფხე, კაციდან ჯაფარიძე, ახმედ საბრი შიმშექი** – გაგვეცნო ქალბატონი.

„**ინაიფხე**“ იმდენად ბუნებრივად გამოთქვა ქნმა მეხფულემ, რომ ჩანს, -ფხე ცოცხალი სუფიქსია ქობულეთელი მუჰაჯირების მეტყველებაში, რაც ასევე გვაფიქრებინებს, რომ ცოცხალი იყო იგი XIX საუკუნის ბოლოს ქობულეთურსა და სხვა კილოებშიც.

– რამდენი შვილი გყავთ? – ვკითხვებით ქალბატონ მეხფულეს.

– **ვორი შვილი და ერთი გოგო!** – მპასუხობს ქალბატონი.

საინტერესო ფაქტია: რესპოდენტმა „შვილი“ „ვაჟის“ მნიშვნელობით იხმარა, მის ანტონიმად გამოიყენა – „გოგო“. ფაქტის დასაზუსტებლად ჩემ გვერდით მჯდომი საბრიე ნოღაიდელის შესახებ ვკითხვები მეხფულე ინაიშვილს:

– რამდენი შვილი ჰყავს ქ-ნ საბრიეს?

– **სამი შვილი და ერთი გოგო** – იყო პასუხი.

ყველაფერი ნათელია: ბაჯანაღელ ქობულეთელთა მეტყველებაში „შვილი“ „ვაჟის“ მნიშვნელობით იხმარება.

საუბრის თემას ვცვლი.

– თქვენი დედებიდან ვინ წამოსულა მუჰაჯირად? – ვკითხვები ნოღაიდელის ქალს.

– **ახმედ ბუძიფე მოვდა ალამბრიდან, მას ხკითხე, მე რავი** – მპასუხობს ქ-ნი საბრიე.

– და სად ვნახავ ახმედ ბუძიფეს?...

ჯაფარიძეების მამულში ვართ. ორი ძმა ჯაფარიძე ცხოვრობს აქ. ვრცელი ეზოა, ფანჩატურითა და კალათბურთის მოედნით. შუა ეზოში ნაღია დგას, ძველებური, ჩვენებური. სახლები ეზოს ორ კუთხეში დგას. ჩანს, შექმნილი

ოჯახი აქვთ, დასტურად გემოვნებით მოწყობილი კარ-მიდამო და თხილის დიდი ბაღიც გამოდგება. ბარემ ვიტყვი, ჯაფარიძეების ოჯახი ახლა ქალაქში ცხოვრობს. დღეს ჩამოსულან სოფელში, შვილები და შვილიშვილები ჩამოდიან არდადეგებზე და დასახვედრად ემზადებიან.

აჰმედ ჯაფარიძე (ვამჯობინებ ახმედ ჯაფარიძე, ეს გამოთქმა უფრო ქობულეთურია) გავიხმე სასაუბროდ.

– რა გვარები ცხოვრობენ ბაჯანაღში? – ვცდილობ, დავიწყო საუბარი.

– **შაქარ-თელი არი, კვირიკეიდან, ჯაფარიძე არი, ქათამიძე, ჯაყელი, ოთიოღლი, ჯინჭარაძე, ნოღაიდელი... თელი არიან!**

– თქვენ აქ, სოფელში, გაიზარდეთ. ძველებური საჭმელები გაიხსენეთ, „ნენე რუმ გააკეთებდა“.

– **შავ ლობია, მალახტო, ზეთიანი ქათამი, ტათლი (ბაქლაგა, ბურმე), მაკარინა, ბორელი, ჩირბული, ყველ-მთლილი (დაღში ყველი – დააზუსტა მთხრობელმა), ბორანი... დასურ კად შაჭმელები იყო. ად ნალიეუ სამოცი წლის არი...**

– ძველად საქონელი გყავდათ ალბათ, აბა სოფელში ისე როგორ იცხოვრებდით.

– **ვორი-სამი უღელი ხარი გყავდა, ცხენი, ძროხები, ქომუში, ყოლიფერი გყავდა...**

კარგა ხანს ვსაუბრობდით ჯაფარიძეებთან. დავღალეთ მასპინძელი. მალე აჭარის ტელევიზიაც მოადგა ბ-ნ ახმედს ჩასაწერად. ვიდრე ოპერატორი კამერას გამართავდა და ქ-ნი რუსუდანი მოემზადებოდა, დავემშვიდობეთ მასპინძელს და დაბლა, ჯამესთან ჩამოვედით.

ჯამის წინ ტრაქტორის მისაბმელზე მამაკაცები რაღაცას ტვირთავენ: ორი მუშაობს, ერთი უყურებს. მაყურებელთან მივედით. ქართულად მივესალმეთ, გამოველაპარაკეთ.

– ბათუმიდან ჩამოვედით, თქვენი გაცნობა გვინდა-მეთქი, აგუხსენი. ჩანს, სამუშაოს მაძიებლები ვგონივართ. მალე თხილის კრეფა დაიწყება და აქაურ სოფლებში ბევრი მოვა სამუშაოდ.

– **ჯერ ადრეა თხილის კრეფა!** – გვითხრა ისე, რომ წესიერად არც შემოუხედავს.

– თხილის საკრეფად არ მოვსულვართ, უნივერსიტეტის პროფესორები ვართ, სხვა საქმისთვის მოვედით-მეთქი, – ვახუსტებ.

ახლა მოგვიბრუნდა, გაგვეცნო.

– **შერეფ ჯაყელი ვარ, სოფლის მუხტარი!** აგერ სახლს რუმ ხედავთ, ჩემია. აქ ვმუშაობ, გასაწმენდი იყო აქაფრობა და ვწმენდთ.

– თქვენი ძველებიდან ვინ წამოვიდა მუჰაჯირად? – ვეკითხები ბ-ნ შერეფს.

– დედემ, დინნემისი ხოლია დედაბერი, იმის ერთგან წამოსულა, ცეცხლაძნების ხისიმი ყოფილა, იმის ერთგან მოსულა. დიდნენემ გოგიტიძე იყო...

– აქ სულ ჩვენებურები ცხოვრობთ?

– ჩვენ ბაბუაებს გარიდან არ შამუშუშვიან ხალხი, გარეელი არ ვართ!

– შვილებთან ერთად ცხოვრობთ აქ?

– ერთი გოგო და ერთი ბიჭი მყავს, უნიას ცხოვრობენ, მე იქ ვდგავარ.

შერეფს ერთი ბიჭი ყავს, ახმედ ჯაფარიძეს – *შეილი*.

დიდხანს ვიტრიალეთ ბაჯანაღში. კარგი სოფელია. რუსუდანი ინტერვიუებს იწერს, დღეს ბოლო სამივლინებო სამუშაო დღე აქვს, ხვალ მინდიასთან ერთად ბათუმში ბრუნდება. უნდა მოასწროს მასალების ჩაწერა...

ქნმა თინამაც კარგი მოსაუბრე იპოვა ჯაფარიძეების ოჯახში, ახმედ ჯაფარიძის მეუღლე, ინაიფხე, ასე რომ დროს არ კარგავს.

– მაია ინტერვიუს აძლევს ტელევიზიას, სხვები ეზო-კარს ათვალიერებენ...

დღეს კარგად ვიმუშავეთ, საღამოს დასვენება დავიმსახურეთ...

**11-12 ივლისი, ოთხშაბათი-ხუთშაბათი.** დღეს ჩვენი ექსპედიციის ნაწილს, კერძოდ, ნიაზ ზოსიძეს, გიორგი მახარაშ-



ვილს, რუსუდან აბაშიძესა და მინდია კუპრაძეს ბათუმში ვაცილებთ.

დასრულდა ექსპედიციის ერთი ეტაპი.

პარასკევიდან მაინც ტელეარხი „აჭარა“ გააშუქებს ჩვენი მუშაობის ეპიზოდებს. რუსუდანმა და მინდიამ საინტერესო მასალები შეაგროვეს, ვფიქრობთ, კარგი რეპორტაჟები გამოუვათ. მნიშვნელოვანია, ხალხმა გაიგოს, რას ვაკეთებთ, რას ვეძებთ და, საერთოდ, რას ვიკვლევთ სოფელ-სოფელ... მავანნი ფიქრობენ, რომ ტყუილად დავდივართ უცხო მხარეში, დროს ვატარებთ მხოლოდ. მათი ნებაა, დაე, ილაპარაკონ. საბედნიეროდ, არის საზოგადოების ნაწილი, რომელსაც სწამს, რომ კარგ საქმეს ვაკეთებთ და წარმატებებსაც გვისურვებს გულწრფელად. იმათ ხომ გავახარებთ ჩვენი საქმიანობით. ესაა მთავარი, ეს გვაძლევს შრომისა და ძიების სტიმულს. აქ ერთ ამბავსაც გავიხსენებ: 2011 წელს წიგნები დავესტამბეთ, ჯერ კოლექტიური მონოგრაფია „შავშეთი“, შემდეგ ჩემი – „შავშური ჩანაწერები“. ახლო მეგობრებსა და კოლეგებს ვაჩუქეთ. გაიხარეს! თითქმის ყოველდღე მოდიოდა ჩვენთან ბ-ნი ვლადიმერ ხალვაში, ძველი უნივერსიტეტელი და გულწრფელ მადლობას გვკუბნებოდა ამ საქმიანობისათვის. უნდა გითხრათ, რომ ბ-ნი ვლადიმერი მარტო არ ყოფილა. ღირს წანწალი მთა-ბარში, გაჭირვების ატანა და შრომა ასეთი ადამიანების გასახარად...

მთელი დილა სასტუმროში ვიყავით. ვისაუზმეთ. ვწერე ცოტა, მალევე დავიღალე. ცუდია. წავვლით უნიეს ავტოსადგურში წამსვლელთა გასაცვილებლად. ნიაზი ავადაა, მოიწამლა, წვალობს, მთელი ღამის უძინარია...

უნიეში, „მეტროს“ ავტოსადგურთან შუახვევლი დურსუნ ქათამაძე შეგვხვდა: ქართველები რომ დაგვინახა, მოვიდა, გაგვეცნო. გაიგო რა ჩვენი აქ ყოფნის მიზანი, დახმარება სცადა.

დურსუნი უნიელი ჩვენებურია, კარგად იცის ამ რეგიონში მუჰაჯირთა დასახლებები, მოვლილი აქვს ქართველთა სოფლები. მისგან გავიგეთ, რომ სამსუნის ოთხ რაიონში, –

თერმეში, ჩარშამბაში, ბაფრასა და ლაადიქში ქართული სოფლებია, უმეტესად ბათუმელებით დასახლებული.

– რომელ სოფლებში ცხოვრობენ ჩვენებურები? – ვიკითხე.

– სოფლის სახელები არ მახსოვს, ადგილზე მოიკითხავთ და გასწავლიან. ვიცი, ლაადიქში ჩალოდლები ცხოვრობენო.

მნიშვნელოვანი ინფორმაციაა. ჯერჯერობით ბათუმელ მუჰაჯირთა შთამომავლებს არ შევხვედრივართ: ქობულეთი (ჩურუქსუ), აჭარა, მაჭახელი, მხოლოდ ამ სამი „ქვეყნიდან“ გადასახლებულთა შთამომავლებს ვხვდებოდით დღემდე. მნიშვნელოვანია, რომ იკვეთება მუჰაჯირთა მეოთხე ნაკადიც – ბათუმელები. ამ ნაკადებს, ვფიქრობთ, მნიშვნელობა აქვს აჭარის „ქვეყნებად“ დაყოფისა და აჭარული კილოს კილოკაური შედგენილობის საკითხისათვის.

აუცილებლად წავაღოთ სამსუნის ილის ქართულად მოლაპარაკე ილჩეებში და ვიმუშავეთ იქაურ ჩვენებურებთან. საბოლოოდ გვეჩვენება თურქეთის შავიზღვისპირეთში (ყარადენიზი) მუჰაჯირთა განსახლების სრული სურათი.

**12 ივლისი, სუთშაბათი.** მშვენიერი დილა გათენდა, ცა მოწმენდილია, მზე ზღვიდან ამოდის. დიახ, ჩვენგან განსხვავებით, აქ მზე ზღვიდან ამოდის და ზღვაშივე ჩადის. ჩვენი ჯობია. ერთი კია, ყველგან ლამაზია მზის ამოსვლა. ლამაზია მზის ამოსვლა ზღვიდანაც. მზე ყველგან ლამაზია, თბილი, მწველი, მაცოცხლებელი. აქ მზე ბათუმის ზღვიდან ამოდის. ამიტომაც უფრო ლამაზია. საუკუნის წინ ორდუს ზღვის სანაპიროზე მოჩენებული მუჰაჯირი თვაღცრემლიანი ეგებებოდა მზის ამოსვლას. იქ, საიდანაც მზე ამოდის, მისი მემღეკეთია, იქ ბავშვობაში ძროხას საძოვარზე რომ მიდენიდა, უყურებდა მთიდან ამომავალ მზეს... ყოველ დილით ელოდება მუჰაჯირი მზის ამოსვლას. მემღეკეთი მზის სხივებს უგზავნის ფესვებმოგლეჯიდ შვილს, რომ გაათბოს, ძალა მისცეს, რომ ფესვები გაიმავროს ამ უცხო მხარეში. მზე

აძლიერებს, მშობლიური მზე, გადახვეწილს, მზე კურნავს ჭაობის სენისაგან, აძლევს ილაჯს...

წინათ, ზღვისპირას ცხოვრობდა, უფრო წინათ მისი წინაპარიც, მაგრამ ზღვა არ უყვარდა, ეშინოდა ზღვის: ზღვამ აზვირთება იცოდა, მიწას ემუქრებოდა, მის მკვებავ მიწას. არც მის წინაპრებს უყვარდათ ზღვა. ახლა სხვა თვალით უყურებს მუჰაჯირი ზღვას. ზღვა ინახავს საღამოს მის მზეს, მაღავს, დილით რომ ამოვიდეს და სოფლის ამბები ჩამოუტანოს. მზესთან ლაპარაკი ისწავლა მუჰაჯირმა, უყურებს მას, ესაუბრება; ბედნიერია, რომ დილით უღიმის მზე... სევდა შემოაწვება გულზე, დილით გამოღვიძებულს ზღვა ნისლით დაბურული რომ დახვდება, მზის თვალს რომ ვერ დაინახავს... დარდიანია იმ დღეს, ჯავრობს ნისლზე, მზე რომ დააბნელა, იმიტომ ჯავრობს. თვითონაც გულნისლიანია უმზეოდ დარჩენილი, მაგრამ ეს დიდხანს არ გრძელდება. ზღვიდან ნისლი აკალიბდება, მზე გამონჩდება, სიმძიმე მოეხსნება მუჰაჯირსაც, გახალისდება, ძალას მოიკრებს და განაგრძობს ყოველდღიურ საქმეს...

ღამაზია მზის ამოსვლა: მზე ზღვიდან ამოყოფს თავს, თანდათან ამოდის მაღლა, მისი სხივები ეფინება ზღვას და მიწას, სიცოცხლესა და სინათლეს უგზავნის მზე დღეამიწას...

დღესაც მზე დანიშნულ დროს ამოვიდა: ჯერ ზეცა განათდა, შემდეგ პირველი სხივი დაეცა ზღვას, მიწას... ძალა ჩაიღვარა მუჰაჯირის მოღუნებულ სხეულში, ადგა, თოხი აიღო, და იქვე ახლოს ყანაში წავიდა, ახლადამოსული ყანის სამარგელში მოწვეულ ნაღს რომ შეუერთდეს. დღეს აქ ოცდაათამდე კაცი მოიყრის თავს. ქალები შუადღით სადილს მოუტანენ. მმარგველები ერთმანეთს სიმღერით გაამხნევენ, მემღვექეთში რომ ისწავლეს, იმ სიმღერით. აქ ისეთივე ნადია, ქობულეთში რომ იცოდნენ. შორს ისმოდა მონადეთა შეძახილი:

**„ნადირაძეს ნადი ხონდა,  
გადიარა სადილობა,**

გორდელა, გორდელააა...  
ვიყავ ქალი აზნაური,  
გლენმა კაცმა მითხუა,  
დღეს მითხუა, ხვალ მიყვავარ,  
ნანინა, ნანაა და...

ჩიტი ჩიტსა მაბზაკუნსა,  
შამოგვარი ხელკოდალი,  
მიამტრიე თაგ-ბარკალი,  
მისი გვერდის დაჩეხაზე  
ორი ცული შემომაკლდა,  
ორვე იყო ოთურადო,  
ნანინად ნა დაა...

ზეცას ევდოთ, ზეცა ვნახოთ,  
მარსკლაგებსაც დევენახვოთ...

ბზემა კაცი მომიგზანა,  
მაქ თუ იყავ რატმარ მოდი,  
რატმარ მნახე?!

აწე მუალ, აწე გნახავ  
ნანინად ნააა !!!"

(მზ. ხახუტაიშვილისა და შ. ფუტყარაძის ჩანაწერები-დან).

ჩვენი მუშაობის პროცესში რამდენიმე კითხვა გამოიკვეთა, რომელთა პასუხებს ვეძებთ:

1. რა არის მუჰაჯირი ქართველისათვის ნაციონალური მეობა? რითი დაუპირისპირდა იგი დამხვედურ კულტურას?

2. რამდენად აწუხებთ აქაურ გურჯებს ქართული ენის დავიწყება?

3. რატომაა მუჰაჯირთა შთამომავლების მეხსიერება „ისტორიის ფრაგმენტები“ და არა გაბმული მოთხრობა?

დასმული და სხვა კითხვები არ მასვენებს...

ფიქრებში დილაც გაიღია. დროა, მოვემზადოთ და გზას დავადგეთ. დღეს რამდენიმე სოფელში ვიმუშავებთ:

**თეფექო** – ჩურუქსუელების სოფელი;

**ბაშქო** – აჭარლების სოფელი;

**გოლიანი** – აჭარლების სოფელი.

მუშაობის პროცესში თანდათან გამოიკვეთა მუჰაჯირთა კიდევ ერთი ცდა, დასახლებულიყვნენ არა მარტო „ქვეყნების“ მიხედვით, არამედ სოფლების მიხედვითაც. ამიტომაცაა, რომ ამ კუთხეში შეხვედებით **ხოხნელების, საღორეთლების, აგარლების** (სამივე ქედის რაიონი) სოფლებს. ჩანს, პირველად „ქვეყნებად“ დასახლდნენ მუჰაჯირები, შემდეგ „ქვეყნის“ შიგნით სცადეს სოფლების მიხედვით დასახლება. საინტერესო ფაქტია.

**ჩუბუქლუში** (დენი აქჩაალარი) აველით. ჩვენი გიდი, ბატონი ოსმან დევაძე შეგვიძღვა დიდ, გაშლილ ეზოში. ეს მახარაძეების ეზო-კარია. ოჯახის თავი, ოსმან მახარაძე სოფლის მუხტარია: აქტიური, მოძრავი ახალგაზრდა. ოსმანმა თავად გამოიტანა ეზოში მაგიდები და სკამები, მოგვართვა ჩაი... შეგვიქმნა სამუშაო პირობები.

– თქვენი ძველებიდან ვინ წამოსულა მუჰაჯირად? – უკვე მერამდენედ ვსვამ ამ კითხვას.

– **დედეის ბაბაი, ხოხნაიდან, აჭარაიდან წამოსულა. ისე მომეტარა, წოვდონდაო, უბახია, ვერ წოვდა...**

– ბათუმში დადიხართ ნათესავეებთან? იცნობთ ხოხნაში ვინმეს?

– **ვცნობილობთ, გუშინ წოვდონ ბათუმში, იქ არიან...**

– შენი მშობლები აქ ცხოვრობენ?

– **ჰო! ბაბაი ხასანაია, სახშია, მოვა მალე, ნენეა დიასამიძეა, გულებიდან...**

ოსმანი სტუმრებთან წავიდა, ჩაი მიართვა აქაური წესისამებრ. გაგვიწყდა დაწყებული დიალოგი. საუბარი მის ბიძაშვილთან, ექრემ მახარაძესთან გავაგრძელე.

კარგი მექართულეა ექრემად, ადვილად შემოვიდა კონტაქტში. ჩანს, ექრემი იუმორთანაც წილნაყარია. ერთი ძველი ამბავი მომიყვა, აჭარაშიც რომ გაიგონებთ, ხოხნელებმა გირი რომ მოკლეს, ის ამბავი.

„– ბიძაჩემი მესტუმრო, ყველა ექრემი, აჭარადან, ბევრი ვილაპარაკეთ, იქავრი ამბევები მოყვა, მეც ჩემი ვუთხარი, აქ გაგონილი:

ჩამოსულა რიზეიდან კალაფჯი მეგრელი. ვირი ყოლია გვერდზე. რომ გათოვლებულა, ვირი ჩამალულა ქურცხის უკან, თოვლში ჩამალულა, ყურები უჩანდა მეგრემ. ხოსნელებმა დეინახეს: ერთს უთხრობია, შველიაო, მეორემ – არ არისო. შველიაო და მუჟელიან. გუჟურიან ტყავი, თავი დუჟმადიან, ჭლიკები დუჟმადიან, უჭმევნიანი ხალხითვინ. ერთი ქვედო ჩესულა მოსაფსმელად, უნახია ჭლიკი, ამუჟტანია. უთხრობია:

– ად ვირია!

– არა შველიაო, – უთხრობია „მონადირეს“.

– კინა აქ ფეხზე, კაცო!

– გამჩენელმა ღმერთმა გააჩინა და კინა ვერ დააჭედა თუ რაფერაა საქმე? – უთხრობია.

ად რომ მოყვევი, გაბღეზდა ბიძა, აქაც ვინ მოიტანა ად ამბავიო, აღარ დუჟულაპარიკია...“

– კარგი ისტორიაა. ხოსნელების მიერ ვირის მოკვლის ამბავი ბათუმშიც გამიგონია-მეთქი, ვუთხარი.

– ექრემ ბატონო, აჭარიდან მოსული რა გვარები ცხოვრობოთ ამ სოფელში?

– მახარაძე, დიასამიძე, ქათამაძე (ბოვრი არიან), ცეხლაძე (რატომღაც ასე წარმოთქვა ექრემმა, მეც ისევე დავტოვე – ავტ.), ბაირახტაროდლი, შაველიძე (ტურადები), კიკნაზე, ლეზიოდლი... ბოვრი ხანა აქ, 400 სახლი, ბოვრი არიან.

– ბევრი გვარი ყოფილა ამ სოფელში. რა მაინტერესებს იცით? თქვენთან სიგელებს თუ დაუძახებენ ერთმანეთს?

– კი, სიგელები ვიცით!

– გაიხსენეთ, ჩამაწერინეთ ზოგიერთი, თუ შეიძლება.

– დელი ხოჯა, ზავერ ხოჯა (ყური აკლია – განმარტა მოქმედმა), იუსუფ ონბაში, დურადები, ზადადაები, ტიდაები,

**ფლანცო, ბოზხადლი, ყარაღაები, იხდი ხუსეინა, შუქრისი-  
ები, ალიოღლები...**

ჩამოთვლილი მეტსახელებიდან ზოგიერთის მნიშვნელო-  
ბა გასაგებია, ზოგის კიდევ გაურკვეველი.

– კიდევ ვერ გაიხსენებ?

– **კაცო, იმდენი არ ვიცი ქი... ჩვენ სისხლი სტორე გვაქ,  
ამა კარქათ ვერ ვილაპარაკეფთ.**

ღიახ, ამათ „სისხლი სტორე“ შეინახეს, ლაპარაკი კი  
უჭირთ, „თურქულში გედეღრია“ მათი გურჯიჯა. რა ქნან,  
ასეთია მათი წუთისოფელი, დაუნდობელი და ყოველისმომ-  
სერელი. სხვაგვარად არც იყო მოსალოდნელი...

ოსმან დევაძემ, ჩვენმა გიძმა, შეასრულა რა შუადღის  
ნამაზი, გვერდით მომიჯდა, ისმენდა ექრემის მონათხრობს,  
თავდაც ჩაერთო და ასეთი ამბავიც მოგვიყვა. ბარემ ვიტყ-  
ვი, ოსმანის წინაპარი აგარიდან წამოსულა, ქედის აგარი-  
დან:

– **დედეებმა ჩამოვდენ, გვეტყოდენ, ქი ხისიმობაში, ემი-  
აშვილი, ხალააშვილი მიიციემა. ბაღანა ბაღნობიდან რომ გა-  
მოვდოდა, აღარ დემანხდენ. ჩვენთან ძმობილი და დობილი  
ერთმანებ არ მიციემენ, სხვები გადარეველია. იგინი და-ძმანები  
არიან. ფვიღამბერს ასე დუშუწერია, და-ძმანების (დობილ-ძმო-  
ბილები – აზუსტებს ოსმანი – ავტ.) გარეთ ერთმანებზე შე-  
იძლება...**

– კაცო, და-ძმის, დების, ძმების შვილები შეიძლება და  
დობილ-ძმობილის (სუთდა და სუთძმა, ძუძუმტე) შვილები  
არა? ეს უკანასკნელი რომ არ შეიძლება, გასაგებია, წმინ-  
დაა ძუძუმტეობა ყველგან და აქაც, მაგრამ სისხლით ნათე-  
სავების ქორწილი რატომ არ იკრძალება, ესაა გაუგებარი.

– **მეც წინააღმდეგი ვარ, მარა მარტო რა'ნდა ვქნა? –  
ამბობს ბ-ნი ოსმანი.**

ჰასან ალიოღლისთან გადავინაცვლე. ბატონი ხასანის  
(ვამჯობინებ ამ ფორმას, ჰასანი არაქართულად უდერს) წი-  
ნაპრებიც „აჭარადან მოვედითო,“ – იტყოდენ თურმე.

– როდის მოვედითო, რას იტყოდნენ?

- მოსლი დღე ა' ვიცი, ქი!
- ვინ მოსულა აჭარიდან?
- სახელი ა'ვიცი, არა. აქა ჩვენი ხისიმები, კირჩხელოდ-  
ლები ეტყვიან, ისინიც აჭარადან არიან. ნენე ლეზგიოდ-  
ლია, ჰამა აგიც გვარია? ა' ვიცი, გვარი ა' ვიცი! ხანუმი ბა-  
დახტაროდლია.

ხასანს შვილები ჰყავს, - ორი ვაჟი და ერთი ქალი. „თეელი დაქორწილებულია, ბეჰარი აღარ“ მყავსო, - გვითხ-  
რა. სამი შვილიდან ექვსი ბაღიში ჰყავს. ბაღიშებმა ქართუ-  
ლი არ იციან. ამაზე წუხს ბაბუა: „ჩვენ დიდვანებმა ვიცით, თვარა წვიტებმა არ იციან, დედაკარქა-და ქართული“, თუმცა იმედს არ კარგავს: „წვიტი არიან, გეზდებიან, ვასტავლი“.

ვევედროთ უფალს, აუხდინოს ხასან ბაბუას ნატვრა.

კიდევ ერთი მომენტი იქცევს ხასანის მონათხრობიდან ჩვენს ყურადღებას: „სომეხები ამდგარან, ჩვენები დამსხდა-  
რან“. სხვა შემთხვევაში ამ ცნობას ყურადღებას არ მიაქ-  
ცევდა კაცი, მარტო ხასანი რომ ამბობდეს ამას. სხვა სოფ-  
ლებშიც გვეუბნებიან იგივეს. უნებლიეთ ჩნდება კითხვა: რა-  
ტომ მაინცდამაინც სომხების ნასახლარი? გარკვეული პასუ-  
ხი არ ჩანს!

რამდენიმე ფონეტიკური ფორმა იქცევს ყურადღებას: **გოვდოდა, ბოვრი...** ქობულეთურში გვხვდება ასეთი გამოთ-  
ქმები, უფროსი თაობის მეტყველებაში მხოლოდ. ექრემი კი-  
დევ ქედელია.

ექრემ მახარაძის მონათხრობიდან კიდევ ერთ ამბავს გა-  
ვიხსენებ:

- ერთი ყოფილა ქილისეს ფაფაზი, მეორე - ჯამის ხო-  
ჯა. ახლოს ყოფილა ერთმანებზე ჯამე და ქილისა. ჩხიკვი  
ჯამეში ღვინოს დაღვედა მეგემ, ქილისეში დაპილწევდა მე-  
გემ. ხოჯა და ფაფაზი დაფიქრებულან, უთხრობიან: ად ჩხიკ-  
ვი მუსლიმანი იყოს, ჯამეში ღვინოს არ დაღვეს, ქრისტიანი  
იყოს, ქილისაში არ დაპილწავს. ეს იყოს, იყოს... ქობულეთ-  
ლი იქნება!



დიდია ლოგიკის ძალა! გახსოვთ ალბათ, ძმებმა კახელებმა ლოგიკით რომ გამოიციან, ყუთში ლიმონიაო.

კარგა ხანს გაგჩერდით ბაირახტაროდლების ეზოში, წამოსვლის დროც დადგა. დღეს **დივანეში** უნდა ავიდეთ, მაღლა, მთის სოფელში.

„დივანე – **მაღალზე ვარო, იმას ნიშნავს**“ – „გვიხსნის“ ოსმანი.

„მაღალზე ვარო, ისე იტყვიან“ – ადასტურებს მურად შაჰინიცი. მაღალი სოფელი კია დივანე, ზღვის დონიდან 1000 მეტრზე მაღლაა გაშენებული.

divane - 1. გიჟი, შმაგი, შეშლილი, გადარეული; 2. სულელი, იდიოტი... ვკითხულობთ „თურქულ ქართულ ლექსიკონში“<sup>10</sup>. თუკი სოფლის სახელი იქნება divan-i, მისი მნიშვნელობაა: 1. უმაღლესი სათათბირო, დარბაზი; 2. იურ. სასამართლო ტრიბუნალი<sup>11</sup>. როგორც ვხედავთ, არც **დივანე** და არც **დივანი** „მაღალზე ვარო“ არ ნიშნავს, თუმცა გადატანით მეორე მნიშვნელობა შეიძლება დაუეკავშიროთ **მაღალს, სიმაღლეს**.

დივანესაკენ მიმავალ გზაზე ოსმან დევაძეს ვესაუბრები.

ვიტყვი, რომ ჭკვიანი კაცია ოსმანი, ამასთან მორწმუნე მუსულმანი, ჰაჯადაც ყოფილა მეუღლესთან ერთად. უყვარს საქართველო და ამაცობს, რომ ქართველია. ბევრი რამ იცის ოსმანმა აქაური ქართველების შესახებ, ბევრს იცნობს, ბევრთან მეგობრობს. გაიგო რა უნიეში ვიყავით ჩასული და დახმარება გეჭირდებოდა, არ დაიზარა, თავისი საქმე მიატოვა, გვერდით დაგვიდგა და ჩვენი ექსპედიციის წევრად იქცა: დაგვატარებს აქაურ სოფლებში, გვაცნობს ორდულელ მუჰაჯირთა შთამომავლებს, თავადაც მოგვითხრობს მათ შესახებ... ალბათ, არ შევცდები თუ ვიტყვი: მომავალში თუ რა-

---

<sup>10</sup> თურქულ-ქართული ლექსიკონი, ღია ჩლადის რედაქციით, სტამბოლი, 2001.

<sup>11</sup> იქვე.

მეს დავწერთ ორდუელი მუჰაჯირების შესახებ, ოსმანის  
წვლილიც დიდი იქნება ამ შრომაში.

ჩემი და ჩვენი ექსპედიციის სახელით ვიტყვი:

მადლობა, ბატონო ოსმან, ჩვენზე ზრუნვისათვის, ჩვენ-  
თვის რომ გაისარჯეთ, იმისთვის მადლობა!

ბარემ იმასაც დავსძენ: თუ არა ოსმან დევადის მსგავსი  
კაცები, ვერ იქნება წარმატებული ჩვენი ექსპედიციის მუშა-  
ობა...

ოსმან დევადე მომითხრობს:

– **ნენეს დუუჯდებოდი, ვკითხავდი, ნენე, საიდან ხარო,  
ვინ ხარო?**

– **ჩვენ ჩხეიზე ვართ, ზოზოფლიდან!**

**ბურჰან ხოჯა ჩამოვდა აქ, სამი გოგოთ და ერთი ბი-  
ჭით, სულეიმანით. სულეიმანმა მისი დედამისი წვეყვანა,  
უკან წვედა... ახლა ცოცხალი არის მამუღაა და ომერაა...**

ბატონ ოსმანს, ბევრისაგან განსხვავებით, აინტერესებს  
თავისი ისტორიული სამშობლო, „წინაპართა მიწა“, უმოგზა-  
ურია ბათუმში, მოუვლია ქედის სოფლები, წინაპართა საფ-  
ლავები მოულოცავს...

შუადღის ოთხი საათისათვის დივანეში ვიყავით.

დივანეში უპირველესად დივანელთა მეტყველება მიიქ-  
ცევს სტუმრის ყურადღებას: დინჯად, თავისებური აქცენტით  
საუბრობენ დივანელი აჭარლები:

– **გორ უსუფაა, მოლა სულეიმანის ბაბაა ამოსულან  
აქა... მაშინ ძალგანი ცხროს ეტყოდენ... ამ სოფელში თელი  
გურჯები არიან. ჩვენ აქა მოლა სულეიმანის ბაღვებ გვეტყ-  
ვიან... თოფმა გასკდა მეგემ და ქალმა გითლი...**

„თოფმა გასკდა მეგემ და ქალმა გითლი“ – ჩამესმის მო-  
ლა სულეიმანის ჩამომავლების ხმა. „თოფმა გასკდა“ ნუთუ  
კოლხურის გავლენაა დივანელთა ქართულში? და ეს დივა-  
ნელი ემინ ბაირახტაროღლია, ოსმან აღის ბადიში კუჭუ-  
ლაიდან (კუჭულა ქედის სოფელია – ავტ.), „ანანიძე **ნენეს  
კუთხე**“ – ჩერუქსუდან. არა მგონია ასე იყოს. „თოფმა გას-  
კდას“ ტიპის კონსტრუქციები, არ უნდა იყოს კოლხურის

გავლენა, იგი ენის შინაგანი განვითარების შედეგია. სხვაგვარად ვერ აიხსნება მისი გავრცელების გეოგრაფია...

ემინ ბადრახტაროღლის მონათხრობში მუჰაჯირთა ისტორიის მნიშვნელოვანი ეპიზოდები ჩანს. ვფიქრობთ, საინტერესო იქნება ჩვენი დიალოგის ზოგიერთი მომენტის აქ მოტანა:

– აჭარის რომელი სოფლებიდან წამოსულები ცხოვრობთ აქ?

– მეძიბნელი არი აქა, აქუცელი, სამძიალი არი აქა, მელისლი – ხუთი სოფელიდან არი აქა თუთხმეტი გვარი. იმ ადგილს *აქუცლები* დავარქვით, ასე იპოვოთ. ჩვენი ყაბილედიდან ვინმე არ დარჩენილან. ექსასმა კაცმა ერთპილად გამეძქცა, სტალინმა დეფუყო მეგემ თავი დაჭრა, გამეძქცა მეგემ, აქ დასახდენ...

ბატონი ემინის მეტყველებაში ყურადღებას იქცევს რ ს დაკარგვის შემთხვევები: „იმ[რ]ფათ სიმინდი იქნა, იმფ[რ]ათ ხაპი, იმფ[რ]ათ ლობია...“; „ზამფხულში ვე[რ] ჩევა; ებბელი იმა ა[რ] ჩავთლი ა[რ]აფრათ“; „ზოგი ფუხარაა, ა[რ]ვის ვე[რ] წეფეანს“...

ყურს მოხვდა ასევე ზმნური ფორმა „მცოდნიყო“ (=მცოდნოდა - ავტ.): „მე რომ თქვენი მოსლა *მცოდნიყო*...“;

**მოძმე მეგობრის** მნიშვნელობით: „ვინცხა რომ მოყვა, იგი დედეს **მოძმე** გამხდარა“.

დროშიც ეშლება მთხრობელს: სტალინმა თავების დაჭრა რომ დაიწყო, მაშინ გამოიქცნენო...

სასტუმროსაკენ მომავლების ყურადღება მიიქცია ქორწილში მიპატიჟების წესმა, ჩანს, ძველმა ადათმა: მასპინძელი მუსიკოსებისა (დოლი, ზურნა...) და მოცეკვავეების თანხლებით ქუჩებში დადიოდა, ძახილით ამცნობდა მოქალაქეებს ქორწილის შესახებ და იწვევდა ხალხს ლხინში. ერთი ახალგაზრდა აღმოსავლური „მუცლით ცეკვის“ მსგავს ცეკვას როკავდა; როკავდა სერიოზული გამომეტყველებით, დაბაბული, ტრიალებდა, მალაყებს გადადიოდა... მიმპატიჟებლე-

ბი პირდაპირ ქუჩაში დგამდნენ სანახაობას გამეღელთათვის.

ამ ამბავზე ყურადღებას არ გაავამახვილებდი, რომ არა ერთი ნიუანსი: ჩვენს კუთხეშიც ყოფილა ქორწილში მოწვევის მსგავსი წესი: დოლის დაკვრით ჩამოუვლიდნენ მეზობლებს, მიუღებდნენ და ასე დაპატიუებდნენ ქორწილში:

სელამ-ქელამს მოგახსენებთ

ახმედ-ალა ჯიმჭარაძე,

ამ ხუთშაფათს ქორწილი გვაქ.

გვეწვიე და დაგვამშვენე!!!

ხასან ფემი ბაქას (მოღლოლი) შეეხვდით იქვე, რამდენიმე ლექსი ჩაგვაწერინა, რომელთაც აქვე გთავაზობთ:

**გოგოფ, გოგოფ, პიწკინაო**

**შენმა ხელმა მიპწკინაო.**

**იგერ მიღმა თიკნები,**

**ვიტირებ და ვიქნებიო,**

**წესვალ გეგებუტებიო,**

**მოსვალ ჩეგებუტებიო...**

ახლოს ბავშვები ხმაურობდნენ. გაბრაზებულმა ხასანმა ცოლს დაუძახა: „მაგინი გადენე მაქიდან, ნუ ლაპარაკობენო“ და თავად განაგრძო:

**ბერო, ბერო, ჩანჩალავ**

**გამოირბინე ჩქარ-ჩქარა...**

„ეჰ, რაღა მახსოვს მე, აღა'რ მახსოვს“... მიუხედავად ასეთი განწყობისა ერთი ლექსი კიდევ გაიხსენა:

**გედევხედე ბახჩაში,**

**ვარდს ვიკრეფდი კალთაში...**

**ნენემ კაბა შიმიკერა,**

**წელზე გამოჭირებული,**

**ნენეგ, მალე გამათხუე,**

**ძალვან ვარ გაჭირვებული...“**

ამ ლექსს მოჰყვა ოსმან დევადის ხუმრობანარევი კომენტარი: „ნეტად რა გუუჭირდა იმფერი?“

– გუუჭირდა და რა ვიცი! ნუ მახლავებ ერთი... – უსაყვედურა ხასანმა.

**დევიარო'ნა დუნია,  
ვნახო'და უნია!**

გალექსა ოსმან დევაძემ.

**მოგივლია დუნია,  
გინახია უნია!**

უპასუხა ხასან ფემიმ.

დივანელთა მეტყველებაში **ნაჭარი** (//ნაჭერი) ფულის მნიშვნელობით იხმარება: „ნაჭარი არ მაქო, თქვა;“ „მივეცი ნაჭარი, გუუში...“

12 ივლისი დივანეში დავაღამეთ. უკვე ბნელოდა, ოსმან დევაძე სოფელში რომ დავტოვეთ და სასტუმროში დავბრუნდით.

**13 ივლისი, პარასკევი.** დილაა. მურად შაჰინს ველოდებით. ჩვენ უკვე მზად ვართ წასასვლელად.

მურადმა დარეკა, წამოდით, უნიეში დამელოდეთო. წავედით.

გუშინ ერთ საინტერესო ფაქტზე მიგვაქცევინეს ყურადღება: სადაც ქართველ მუჰაჯირთა შთამომავლები ცხოვრობენ, სოფლის სახელწოდებას დაუმატეს ენი (ახალი), ასე დაუპირისპირეს დასახლების ძველი და ახალი უბნები: ძველი – თურქული, ახალი – ქართული/ჩვენებური.

11 საათზე ოსმან დევაძეს მივაკითხეთ ბაშქოში. იქვე, სოფლის ცენტრში ბავშვებს ვესაუბრეთ. ზოგიერთი ცუდად, მაგრამ მაინც ლაპარაკობს ქართულად, უმეტესობა – ვერა. ბავშვები „ყურანის საზაფხულო კურსებიდან“ მოდიოდნენ ყურანით ხელში. ჩვენს საუბარში სოფლის იმამი, ხასან ვარშანიძე გამოვიდა. მისი წინაპრები ქედიდან წასულან მუჰაჯირად. ხასანს უმაღლესი განათლება მიუღია, ახლა აქ „ალოცებს **სოფელს და აკითხებს წვიტებს**“, ყურანში წერთნის. ხოჯა კარგად ლაპარაკობს ქართულად: „ქითაბ **არაბულაჲ ვაწავლი და გურჯულაჲ ვუხსნი**“, ასეა ჩვენთანო, გეიხსნის.

დღეს ფაცაში წავალთ, იქ ვიმუშავებთ, სადამოს მურადს გავაცილებთ სტამბოლში...

ფაცაში ხასან გოხიძეს შეეხვდით. მახუნცეთიდან ვართო, „დედე თუთხმეტი წლისა წამოიყვანა მისმა დედემო“. „იქ ჩვენი ქოქიდან არავინ დარჩენილაო“, ყველა წამოიყვანესო.

ცნობისათვის: გოხიძეები//ტაკიძეები//კახიძეები ქობულეთში სახლობენ. ხასან გოხიძის ცნობა საინტერესოა გვართა მიგრაციების შესასწავლად.

ფაციდან მაღლა წავედით, **ტახტაბაშში** (თახთაბაში?), – გურჯების (ჩურუქსუელების) სოფელიაო, გვითხრეს. გაღმით – **კაბადღაღია** (//კაპახდაღი?), – „ჩურუქსული სოფელი“.

ტახტაბაშში ქართულად ცუდად ლაპარაკობენ, უჭირთ გაბმით ამბის მოყოლა, ამიტომაც ცალკეულ ფრაზებს ვიწერ:

- ერთი ბერია, *სულმა დენკავს*;
- რაცხას ვჭამ, იმას – *ვაჭუმ*;
- *შენ ახლა მიკუჭტები მე, რეფზა კადრულოფ?*
- **იქანად ვოთხი ბიჭი ხოლია სულეიძან ცეხლაძეს. უფროს შვილს არ მოსწონებია, წესულა.**
- **ვცნობილობ იქა კაცს, დეგენმარება.**
- *ჩამოვდო, აგინთან საქმე მაქ...*

ხაზგასმული სიტყვები საყურადღებოა გრამატიკულად და ლექსიკურადაც. დაკვირვებით კიდევ ერთ დასკვნამდე მივდი: აქ, ამ სოფლებში ქართული ენა დავიწყებას ეძლევა, ფრაგმენტებად შემორჩათ აქაურებს ქართული ტრადიციები და ფოლკლორი, მაგრამ კუთხური გამოთქმა, კუთხური ინტონაცია, სრულადაა შენარჩუნებული, რაც, ვფიქრობთ, მნიშვნელოვანი ფაქტია ნაციონალური მენტალობის შესასწავლად.

ტახტაბაშიდან **დუაერში** ჩამოვედით.

ჩურუქსუელების სოფელია დუაერიც. პირველად ასლან შავიშვილი გავიცანით.

- რომელი გვარები სახლობენ დუაერში?

– კონწელიძე//კონწელიფხე, შავიშვილი//შავიფხე, მუავანაძე//შავანაძე//შავანაფხე, მორჩილაძე, კაკალაძე//კაკალოდლი//კაკალაფხე, მამულაძე//მამოდლი, მეგრელიძე // მეგრელი, ბეჟანიძე//ბეჟოდლი//ბეჟიფხე, ტაკიძე, ანანიძე//ანანიფხე.

ბ-ნი ასლანის მეტყველებაში -ფხე ცოცხალი სუფიქსია. კარგად უპირისპირდება ერთმანეთს გვარსახელი ზოგადად და ქალის წარმომავლობის სახელი. ბუნებრივია, -ფხე მუჰაჯირებმა სამშობლოდან წაიღეს და შეინახეს.

ასლან შავიშვილის საუბრიდან მკვეთრად იკვეთება მემლექეთის მონატრება. მუჰაჯირს ენატრება მშობლიური სახელ-კარი, მისგანვე მიტოვებული ნებით თუ ძალდატანებით, იგი ოცნებით სულ ქობულეთშია: „ჩემი დიდი ნენე თორმეტი წლის ჩამოსულა. იტყოდა, აღამბარში რუმ ევდე, ჩემ ნასახლევე ვნახაო“. ანალოგიური ფაქტები მრავლადაა მუჰაჯირთა შთამომავლების მოთხრობებში.

ერთი რამ ნათელია: გამძლეა ის ძაფები, გადახვეწილს მამაპაპისეულ სოფელთან რომ აკავშირებს.

ბატონმა ასლანმა ერთი ლექსიც გვითხრა, რომელსაც აქვე გთავაზობთ:

**ასლანდელი სახლის რძლები**  
**გინც იყოს და გინც არა,**  
**ოზოს დახვეტს, სახს – არა,**  
**ჯამს მორეცხავს, გობს – არა,**  
**ასლანდელი სახლის რძლები**  
**გინც იყოს და გინც – არა.**  
**პიტნას მოკრეფს, ქინძს – არა,**  
**ასლანდელი სახლის რძლები,**  
**გინც იყოს და გინც – არა...**

მუჰაჯირთა შთამომავლების მოთხრობებში მსმენელი მუჰაჯირობის ტრაგედიასაც გაიგონებს, ტკივილს, რომელიც თან ახლდა გადასახლების პროცესს:

უნიას ხისიმი გვყავდა, იტყოდა: იქიდან რუმ წამუედი, ბაღნებმა დეაწყეს ტირილი, მინდოდა ჩასლა, მარა ვეღარ

**ჩვევდი. დამჩა ბაღნები იქა...** – მოგვითხრობს ასლან შავიშვილი. ვინ სახლ-კარი დატოვა, ვინ – საქონელი, ვინ – ცოლ-შვილი... ამიტომაც ყველა მუჰაჯირი გულით ატარებს სევდასა და ტკივილს. და, რაც მთავარია, ეს ტკივილი არ ყუჩდება და თაობებს გადაეცემა.

ყოფილა შემთხვევები, რომ მუჰაჯირს მშობლიური სოფელი მოუნახულებია: „**ჯინჯაროვლი ისმაილ ბუძიამ თქვა, ერუში ჯარში ვიყავი და გეგქეც ქობლეთში. ცხემლვანში ბუძიამისები ხოლია. რუმ ჩვევდი ბაირამი იყო. აქიდან იქა ფეხით ჩესულა იშტე.**“

მაინც რა ძალაა, ერუშიდან ქობლეთში ფეხით რომ ჩავიყვანს? ჰოდა ჩავიყვანა ისმაილ ჯინჯაროვლი ქობლეთში სიყვარულმა, მონატრებამ. ბაირამი მოულოცა ნათესავეებს და დაბრუნდა უკან. მერე რა რომ დეზერტირად იქცა უნებურად და უსიამოვნებაც შეხვდა ამის გამო. უკვე ხანდაზმული უსიამოვნებას არ ახსენებდა, აღარც ახსოვდა ალბათ, ქობლეთში რომ ჩავიდა და მამისეული კერა მოინახულა, იგი შემორჩა მის მესხიერებას...

სოფლის სასაფლაოზე გავედით მე და რუსლანი. ჩვეულებრივი, ტრადიციული წარწერებია საფლავის ქვებზე თურქულ-ოსმალურად შესრულებული, თუმცა განსხვავებასაც ნახავს კაცი: **აიშე ჯინჯარადის საფლავის ქვაზე წაუწერიათ:**

– ჩურუქსუ, ქობლეთი, ვარჯანაულის სოფლიდან.

მეორე ქვაზე ვკითხულობთ:

– **ფადიმე გენჯიოვლი (კენჭოშვილი) ზარაბოსელიდან...**

ჩანს, ეპიტაფიებში ხსენებულნი მუჰაჯირთა პირველი თაობის წარმომადგენლები არიან, მშობლიური სოფლის ნატვრა რომ წაიღეს იმქვეყნად; ისინი, ვინც სიზმარში მხოლოდ საქართველოს ხედავდნენ და ქობლეთის სოფლებში დადიოდნენ. გვითხრეს, სასაფლაოს ქვებზე ქართული წარწერებიც იყო, ადგილზეც მიგვითითეს, აქ იყო ქართული ეპიტაფია. ვერ მივაკვლიეთ, მაგრამ რადგან ამბობენ, გვჯავ-



რა. მუჰაჯირთა პირველ თაობაში ქართული დამწერლობის მცოდნენიც იყვნენ...

ყურში ჩამესმის ქემალ ტაკიძის მონათხრობი: „**ღურსუნ ბუძიე იშტე, ბაბაჲს ბაბაჲ, ბაღანაჲ მოსულა. ფადიშაჰს უთხრობია, წყითო აქიდან და სული გედედრჩინეთო**“.

„სულის გადასარჩენად“ წამოსულა „ბაღანაჲ“ ამ უცხო მხარეში, სხვა გაუძევებია, თვითონ, სხვა მისთანებთან ერთად, აქ დამჯღარა, აქ გაუგრძელებია ცხოვრება...

ამ მოთხრობაში კიდევ ერთი რამ იქცევეს ყურადღებას: „ღურსუნ ბუძიე იშტე, ბაბაჲს ბაბაჲ...“ ბაბუას შვილიშვილი „ბუძიეს“ უწოდებს. ასეთი გამოთქმა მხოლოდ ქობულეთურში შეიძლება შეგვხვდეს, იშვიათად – სხვაგანაც. ჩანს, ქემალ ტაკიძემ ვისგანაც გაიგონა ეს ამბავი, „ღურსუნ ბუძიედ“ მოიხსენებდა თავისი მოთხრობის გმირს, იგივე წოდებით მოიხსენებს ბაბუას შვილიშვილს.

„შუადღემ გედეღარა“ ტახტაბაშელ ქობულეთლებს სახლში მიექაჩრებათ, თუმცა ერიდებათ ჩვენი დატოვება:

– ერთი მუსაფირი მყავს, არ გაკუჭტე, წოვლოღა, – გვეუბნება ფიქრი კონწელიძე და გვემშვიდობება. მოხუცის მძიმე ნაბიჯებით მიდის სახლისაკენ ოთხმოცს მიტანებული ფიქრი, ჯაფითა და ფიქრით დაბერებული. მძიმე ცხოვრება გამოუვლია, მაგრამ შიმშილთან ბრძოლა ახსოვს უფრო ყველაზე მეტად: „მაშინ სიმინდ სა ნახავდი, ყოლიფერ ჭამდენ. სიმინდი მარტში დეიდუღდა. ჩვენ შვიდს არ გვეყოფნიდა მაშინ. ბახჩაში ერთი ვორმოზდაათი კილო თხილი მოვდოდა, ფარას არ იზამდა“.

– პურს ვერ იყიდლით ხომ, ალბათ არც იყო?

– სა იყო პური, ან ფული სა იყო, რუმ გეყიდა?

– ყანას ვერ მოთხრილით ტყეში? ჩვენთან ასე იყო, ტყეში „დეიდებდენ“ ყანას.

– ტყეს გავტეხავდით, სიმინდ დაფეთესავდით, მარა არ გვეყოფნიდა, არ მოვდოდა იმდენი...

მუჰაჯირობას, უცხო მხარეში ცხოვრებას, დაუფიქრებია ბატონი ფიქრი. საკუთარ მეტყველებასაც დაჰკვირვებია. ჩვენ-

თან საუბარში ხაზგასმით აღნიშნა: „ჩემი ლაპარაკი ქობლეთური ლაპარაკია“.

ასეა, მისი საუბარი ტიპური ქობულეთურია, ვადასტურებ მეც.

წუხს ფიქრი, რომ მისმა ბადიშმა ქართული არ იცის: „**გული მეწვის, ჰამა რა ვქნა, ვეღარ დეფწავლის**“.

ბაბუას შვილიშვილთან სასაუბროდ შუამავალი რომ დაჭირდება, გული ეტკინება, აბა რა იქნება: „ბაბა-ე, მოდი ერთი რას მიჩივო: დაუძახებს ფიქრის შვილიშვილი მამას, როდესაც ქობულეთელი ბებია თუ ბაბუა ქართულად დაელაპარაკება. ბადიშს ბაბუა და ბებია თურქულადაც დაელაპარაკებიან და კონტაქტს ასე დაამყარებენ, მაგრამ ეს არაა მთავარი; მთავარი ისაა, რომ შვილიშვილმა იცის, რომ ქართველია, გურჯია, მაგრამ გურჯობის მთავარი ნიშანი, ქართული ენა არ იცის: „გურჯი ვარო, ჩემ ბადიშ გუუხარდება, ჰამა გემოს ვერ მუუხტება, ვერ გეფგებს და...“

გურჯობას რომ „გემო გაუგო“, ქართულის ცოდნაა აუცილებელი, ასე სწამს ბატონ ფიქრის.

ჩვენთან შეხვედრამ კიდევ ერთხელ აუშალა ფიქრები ფიქრი კონწელიძეს გურჯობაზე და გურჯულზე; ხვალ იგი დაბეჯითების მოთხოვნს შეიღს, ასწავლოს ბადიშს ქართული, რომ ქართველობას „გემო მუუხტეს...“

ღმერთმა ინებოს და ფიქრის ბადიშებმა ისმინოს ბაბუას მოთხოვნა და ისწავლონ ქართული ენა და „გემო მუუხტენ“ ქართველობას...

ბინდდება. უნიეში ვბრუნდებით.

**14 ივლისი, შაბათი.** დილით **თახთაბაშში** წავედით. ქობულეთელ მუჰაჯირთა შთამომავლები ცხოვრობენ ამ სოფელში. ნელ-ნელა მივიწვევთ მალღა. სოფლის სანახებიც გამოჩნდა. პირველი თახთაბაშელი ქობულეთელი, რომელიც გავიცანით, ჯემალ ბაუჟაძეა, შუა ხნის მამაკაცი წაღლით ხელში. ყანაში სამუშაოდ მიდიოდა ბ-ნი ჯემალი. მივესალმეთ.

– თახთაბაშში ვართ? – ვეკითხებით.

- **ჰო, თახთახაშია. მაღლა გადით, იქ ნახათ ხალხს.**
- **დაბრძანდით მანქანაში, წაგიყვანთ! – ვეპატიუებით.**
- **თქვენ წადით, მეც გამუაღ, ჯერ პაწაი საქმე მაქ, ყანა-ში'და გვეღე.**

გზა გავნაგრძეთ. რამდენიმე წუთში სერზე ვიყავით, საბაათდინ გოგიტიძის ეზოში. იქვე დავსხედით მაგიდასთან, ჩვენთან შეიკრიბნენ ახლომანოს მცხოვრებნი: გოგიტიძე, გოგიტიფხე, ბაუჟოლი/ბაუჯოლი, ბაუჯაფხე, ცეხლაძე, ცეხლაიფხე, შევარდნაძე //შავარდნაძე, შევარდნაფხე, ჟავანაძე//ჯავანაძე//შუავანაძე, შუავანაფხე...

აქეთ მომავლებს მოგვასწავლეს, საბაათდინ გოგიტიძე კარგი მექართულეა, „ქართულადაც წერავს,“ ძველი ამბები იცის, ჭკუასაკითხავი კაცი. სოფელში მისულებმა, ბუნებრივია, ბატონი საბაათდინი ვიკითხეთ. ჩანს, მოსვლა დავიგვიანეთ.

საბაათდინი უკვე ღრმა მოხუცია, 90-ს გადაცილებული, უჭირს მეტყველება, გულმავიწყობაც დასწამდა მოხუცს. რაღას გავაწყობდით, აღარ შევაწუხეთ, მის ჩამომავლებთან და მეზობლებთან გადავწყვიტეთ საუბარი.

ბაჰრი შევარდნაძე გაგვეცნო, შეგებულებას ვატარებ სოფელში, – გვითხრა.

- დიდი ხანია ამ სოფელში ცხოვრობთ?

- **ბაბა ექსი წლის ყოფილა, უნიედგან მოსულა დიდენემს ერთგან, ფადიმე ერქვა, ზაბით აღის ქალი იყო, მოწყობილის ქალის შვილი. ჩემი ნენე ცეხლაძე იყო; ჩემ ნენეს ხაჯერა ერქვა, ნენემ ნენეს – ხაჯერა...“ – დაწვრილებით გვაცნობს ბაჰრი თავის ოჯახს.**

- აქ სოფელში ყანები ჩანს. ყანის მოთხრისას ან სამარგელში ნადს არ გააკეთებთ?

- **ახლა ნადი აღარაა, ემწია, უწინ იცოდენ.**

- ამბობენ, ყანის ნადში სიმღერა იცოდნენო ქობულეთლებმა.

- **ვოლო, ყაძახო, კად სიმღერა იცოდენ. ბაუჯოლი ახმედ ბუძიე იყო, გაღმა დედწყებდა სიმღერას... გუუყივლებ-**

და... ივინიდან არიკაცი არაა ცოცხალი! ეგერ ბუძიეს ელაპარაკე, იმან უმფო იცის.

ასმედ გოგიტიძე ჩაგვეერთო ლაპარაკში:

– რეჯებ ბუძიე რუმ დეწყებდა ლაპარიკს, ხემ იტირებდა, ხემ ილაპარიკებდა. ასკერობას ექცეოდა მეგერ, მისი ძმად ვინცხას მუჟკლავს მეგერ, მკლელი მუჟკლავს, გამოქცეველა. იქ გოგო და ქალი დასჩენია, მოკტენ ვორიფე...

– რეჯებ ბუძიეს ამბავი ასე კარგად საიდან იცი?

– იმ რეჯებ ბუძიეს ნენე და ჩემი ნენე დანები ყოფილან. ხავა ბიბილა ზათი იმფო ქალი იყო...

– რაიმე ლექსები, ჰექიები არ გახსოვს?

ეგერ მუა ჩემი ქმარი,  
დუჟულურძავს თვალებით,  
ღმერთო, იგი მომიკალი,  
დიგიკლა'და ყურბან ხარიო!

იმტოლი მახსოვს იმტე...

მშენიერი და მდიდარი სოფელია თახთაბაში. სხვა სოფლებისაგან განსხვავებით, აქ თხილთან ერთად ვხედავთ სიმინდის ყანებს, ხეხილს... სახლებიც ლამაზი უდგათ თახთაბაშელებს, გემოვნებით ნაგები.

– ბახჩაში რას დათესავთ, დარგავთ?

– ფათლიჯანს, კიტრს, ღობიას, მაკიდო, ქინძი, ფხალი, ჭარხალი-მარხალი... რაცხა არი, ყოლიფერი ირგვება. მეფაც გუაქ ბეური: ლედვი, კორკიმელი, ბჟოლი, ატამი, ბალი... მანდარინიც დავრგით, მარა თლათ კად არ იქნა.

– წინ-წინ ალბათ სიმინდს დათესავდით უფრო.

– მაშინ ასე სამოზდაათ დღეს ხარს ვხედნიდით (აქ ვხნავდით – ავტ.), დახნას დაამთავრებდი, მარგლას დეწყებდი ქვედან, მარგლას დაამთავრებდი – მიოროდს!

– სხვას არაფერს დათესავდით?

– ღომის ვთესვიდით ჩვენ, დიდნენე თესვიდა.

– გელინ, სუზანავ, მოდ, ნენი! – გასძახა ვესილე მოწყობილმა რძალს. ჩად მუართვი სტუმრებს, ტათლიც!

შემდეგ ჩვენ მოგვიბრუნდა ქნი ვესილე, ისე რომ დაწყებული საქმე არ დაუგდია (რალაცას არჩევდა), დაიწყო:

– ჩემი ნენე ძალუან მღერელი იყო, ჩვენ სა ვიცით!

– ბაღნებმა ხომ იციან ცეკვა-სიმღერა?

– ახლანდელი ბაღნები ისამებენ, იმღერებენ, ჩვენ გენჯობაში ასე არ იყო, სირცხვილია.

– რატომაა ცეკვა-სიმღერა სირცხვილი?

ჩაფიქრდა ქნი ვესილე. ცდილობდა მოკლე პასუხები გაცვა ჩვენს აბეზარ კითხვებზე. მოულოდნელად თავად წამოიწყო:

– ახლა რაფერაა აქანამ იცი? ამ სოფელის აისეღ დევლეთმა იცის.

– აქ ჩხავერი არისო, ბაჰრიმ გვითხრა, ვინ მოიტანა აქ ეს ყურძენი?

– მეც ვიცი, აქანამ ჩხავერა რუმ არი, საიდანაა მე რა ვიცი?!

ქალბატონი ვესილე სევდანარევი იტყვის: „ჩვენმა დიდგანებმა ხიჩ არ იცოდენ თურქზე, ბაღნებმა ხიჩ არ იციან გურჯი. გიყურებენ პირში, რას ილაპარაკებ. დეგზარდენ კოსკოჯა გოგვები, არ ისწავლებენ. ნენემის, მამამის ელაპარიკენ, იქნებოდა...“

ახლებმა ქართული რომ არ იციან, მშობლების ბრალია. შვილებთან ქართულად რომ ელაპარაკათ, დაისწავლიდნენ შვილებიც წინაპართა ენას. ოჯახი კი, პირიქით, ცდილობდა შვილს თურქული ესწავლა, სკოლაში და ლიცეუმში წარმატებული ყოფილიყო... ამ განწყობას შეეწირა ქართული ენა მუჰაჯირთა შთამომავლებში. თანდათან ჩამოყალიბდა ახალი მენტალიტეტი: „ისწავლოს? რათდა ჭირია ქართული!“ მუჰაჯირებში საჭიროება აღარაა ქართულის ცოდნის. იგი მთლიანად ჩაანაცვლა თურქულმა: საოჯახო ენადაც თურქული იქცა უმეტეს შემთხვევაში.

ვესილე მოწყობილის საუბარში ერთ ფაქტსაც მივაქციე ყურადღება:

„ქალი კაცის ბაბას ეტყვის – სიმავრიო, კაცი ქალის ბაბას ეტყვის – სიმავრიო“.

სიმავრიო//სიმაური მამამთილის მნიშვნელობით ქობულეთურში იხმარება მხოლოდ.

ერთი მოთხრობაც ჩავიწერე ქ-ნ ვესილესაგან, სახუმარო და დასაფიქრებელი:

– ხოჯა მეგემ ჯეხენნემში ჩევდა. ჩააგდეს ქვაბში. გეხედა მეგემ ქვეშ ცეხლი ინთის, ხოჯა შით იხარჩვის. უცფათ ხოჯამ სიცილი დეიწყო.

– ხოჯაჲ, ქვაბში იხარჩვი, რა გაცინეფსო?

– იმამი მიხინიეფს ფეხის გულებში და იმიზა ვიცინიო, – უთხრობია ხოჯას.

ენამახვილი ქალია ქ-ნი ვესილე, სასიმოვნოა მასთან საუბარი.

ამასობაში გელინმა ჩაი მოგვართვა, მალე ხილიც მოიტანეს. ჩაი მივირთვიოთ, სოფელი დავათვალიერეთ: მსურს, კარგად აღვიქვა გარემო, დავიმახსოვრო სოფელი: საადრეო მსხალი დამწიფებულა, ატამი მალე შემოვა, შემთვალულია, ბალი – მოლეულა, ქლიავი ახლა იმთვალეობა... ვათვალიერებ ბაღ-ბახჩებს. მუშა კაცის ხელი ეტყობა ყველაფერს.

ტიპური ქობულეთური სოფელია, რელიეფითაც ჰგავს თახთაბაში ქობულეთს...

მალე ზაფხული გაივლის. შევბუღება და არდადეგები დამთავრდება, შვილები და შვილიშვილები ქალაქს მიაშურებენ, დაიცლება სოფელი, მოხუცების ამარა დარჩება მომავალ ზაფხულამდე. ასეთია აქაური კაცის წუთისოფელი...

წამოვედით თახთაბაშიდან. დღეს კაპაღდაღშიც ავალოთ, იქაურებსაც გავიცნობთ.

ფაცადან მარჯვნივ შევუხვიეთ, ჯერ კონაკბაშია, 11 კილომეტრში – კაპაღდაღი. გზა მაღლა-მაღლა მიიწევს. სოფელი გაშენებულია მთის ფერდობებზე. ძირითადი სამეურნეო კულტურა აქაც თხილია, თუმცა საკარმიდამოებში სხვა ხილიც ჩანს... სოფელში უმეტესად ახალი, ქვითკირის სახლებია, არის თითო-ოროლა ძველი, ფიცრული სახლიც: ქვემოთ

ქვა, მეორე სართული – ხე, კრამიტის სახურავითა და აივნით. რაც ყველაზე თვალშისაცემია, – ყველა სახლს ამშვენებს ვრცელი, გაშლილი ეზო...

სოფელში არავინ ჩანს. ველოდებით, ეგებ ვინმემ გამოიხედოს გარეთ. ჯამესთან გავეჩერდით. ახალი ჯამეა, დიდი, ქვის პერანგში ჩასმული. ჯამის გარშემო ვტრიალებთ, სასაფლაოებს ვათვალიერებთ: ბეჩიოლლი, ხუსეინოლლი... მსგავსი წარწერები გვხვდება საფლავის ქვებზე...

– ხუსეინოლლი შეიძლება სხვაც იყოს, მაგრამ ბეჩიოლლი ნამდვილად ქობულეთელია, – გუუბნები რუსლანს, საფლავების გადაღებით გართულს.

– აბა, ბეჩიოლლი სხვა ვინ იქნება? – მიდასტურებს რუსლანიც და ეშმაკურად იღიმება.

**კაპაღდალი** ქობულეთელ მუჰაჯირთა სოფელია. ამ სოფლიდანაა სამსუნის უნივერსიტეტის პროფესორი ბილალ დინდარი, „ვეფხისტყაოსნის“ თურქულად მთარგმნელი, რელიგიათმცოდნე. ბარემ აღვნიშნავ, რომ ბ-ნ ბილალს ადრე არზრუმის უნივერსიტეტში უმუშავია, იქ ჩამოუყალიბებია ღვთისმეტყველების ფაკულტეტი, შემდეგ სამსუნის უნივერსიტეტში გადასულა. ბათუმისა და სამსუნის უნივერსიტეტების ურთიერთობას 20 წელზე მეტი ხნის ისტორია აქვს, 1990-იანი წლებიდან ჩაეყარა საფუძველი. 1991 წელს უნივერსიტეტებმა ერთობრივი საერთაშორისო კონფერენცია ჩაატარეს. ბათუმში ვუმასპინძლეთ სამსუნელებს, რომელთაც უნივერსიტეტის ასალგაზრდა რექტორი მეჰმედ საღლაში ჩამოუძღვა. დელეგაციის შემადგენლობაში იყო ბატონი ბილალიც. შემდგომაც არაერთხელ შევხვდი ბ-ნ ბილალ დინდარს (მიქელაძეს) ბათუმსა თუ სამსუნში. საქართველოსა და თურქეთს შორის კულტურული და საგანმანათლებლო ურთიერთობების გადრმავებაზე ზრუნავს დღენიადაგ იგი. „ვეფხისტყაოსნის“ მისეული თარგმანიც ამის დასტურია...

კაპაღდალიდანაა ცნობილი ქირურგი ისმეთ დინდარი, ექიმი, მეცნიერი და ქველმოქმედი...

კაპალდალში პირველად აიღინ გენჯს გამოველაპარაკეთ, რომელმაც სოფლის მამასახლისი ალი დიასამიძე გაგვაცნო. დიდი სოფელიაო კაპალდალი, წინათ 450 სახლი იყო, ახლა გარიგდა და 250 სახლიაო.

მრავალი ქობულეთური გვარი გვხვდება სოფელში: გენჯაძე (კენჭოშვილი), ვერულიძე, ოქროპიროდლი, ბაჯელიძე, თხილაიშვილი, ბაუჟოდლი, ბზიკოდლი, კაკალოდლი, ქათამაძე, მახარაძე, დიასამიძე (ბუიშვილი), ხახუტოდლი, ელიოდლი. შემდეგ აიღინმა რამდენიმე გვარი კიდევ გაიხსენა: ინაიშვილი, ბიძიოდლი, მურვანიძე...

საუბარში თახსინ მახაროდლი (მახარაძე) ჩაგვეერთო, კაპალდადელი ქობულეთლების კიდევ რამდენიმე გვარი დაამატა: თიაქოდლი, სარალოდლი, ყადიოდლი, ჩაქველი, ოთიოდლი, კირისელა (კირისილოდლი), ცოციოდლი, გოლომანიძე, უსტიოდლი (უსტიაშვილი//უსტიაძე?!), მენაპირე, შავიშვილი, კაჭკაჭოდლი. მანვე გვამცნო: „დიასამიძეს ბუიშვილს უგნებთან“ აქ. „აქაურობა სიფთე რუმ გაკეთებულა, ხუთასვორმოზდაათი ხანე ყოფილა და სამათ გარიგდა: ჭაპრანი, ზავო (კონაკბაში) და კაპალდალი.

– თქვენს სოფელში მრავალგვარი ხილი ჩანს!

– **აქაურობაში ყოლიფერი არი, რა გინდა:**

**ვაშლი:** სინაპა, ქლაპა, შექერა, დემირა, ბომბალა... დემირა იქიდან მოტანილია.

**სხალი:** გორონა, ათინა, ზამთრის სხალი, ხაჭიჭურა... ხაჭიჭურა იქიდან მოტანილია.

**ყურძენი:** შავი ყურძენი – სასელა, ჩხავერი, ჭრელი ყურძენი, თეთრი ყურძენი არი, რა ქვია არ მახსოვს. ჩხავერი აქოვრი არ არი!

– თხილიც ბევრი გაქვთ!

– **ჩვენებს გუშტეხან, თხილი დუურგან!**

რამდენიმე საინტერესო დეტალს მივაქცევთ ყურადღებას ბ-ნი თახსინის (შდრ. აჭარული თახსიმი) მონათხრობში: რომ მუჰაჯირებს დემირა და ხეჭეჭურა სამშობლოდან წამოუღიათ, „იქიდან მოტანილიაო“, – ხაზგასმით ამბობს მოხრობე-



ლი, არც ჩხავერი ყოფილა იქაური, „აქიდან წაუღიათ“ ისიც. ახალ სამოსახლოშიც ჩვენებურები ტეხდნენ ახოს და თხილს რგავდნენ, ან ყანას თესავდნენ.

კაბადღელთა ბოსტანში ითესება ბახჩეული და ბოსტნეული: სიმინდი, ლობიო, კიტრი, ხაპი, ქინძი, პრასა, მაკიდო (ოხრახუში), შაშტრამი, ფხალი...

„ქინძი, შაშტრამი, პრასა... თურქებმა არ იციან“.

ვერ წარმოუდგენიათ ქობულეთლებს უმწვანილო კერძი, ამიტომაც გაკვირვებით იტყვიან, „თურქებმა არ იციანო წვანილი“.

ოსმან კენტოშვილმა (ვერულიძემ) ჩამოგვითვალა მათეობური კერძები: ძაღე ძმარი, ზეთიანი (ქათამი), ქათამი (ბრინჯიანი), ყაურმა, ტოლმა, დახნი, მაღახტო, ეკლის ფხალად (შდრ. ეკალა), შეჭრილი ფხალი... და ხაზგასმით მიგვანიშნა: „თურქებმა არ იციან ამფერი საჭმელები“. სამზარეულოც ქცეულა ეროვნული მეობის ნიშნად...

კაბადღაღიდან **კონაკაშში** ავედით. როგორც ვთქვით, ეს ორი სოფელი და კიდევ მესამე – **ჭაპრანი** ერთი სოფლის (კაბადღაღი) განაყოფია.

მშვენიერია მთის ფერდობებზე შეფენილი კონაკაში: ქვითკირის სახლებით, ფართე ეზოებით და თხილის ბაღებით, მრავალგვარი ხეხილით, ბახჩებითა და ყანებით.

მაჰმუდ (ჯოხს – მამული) ოქროპირიძეს (ოქროპიროღლის) შევხვდით პირველად, გამოველაპარაკეთ. მოიცალა ჩვენთვის ჩვენებურმა. ვცადეთ, ჩვენებური საუბარი გაგვემართა:

– რა გვარები ცხოვრობთ ამ სოფელში?

– **დასწერე, იმიტომ რუმ არ დაგვამიწყდეს: ოქროპირიძე, გოლმანიძე, მოწყობილი, ქათამიძე, სუქნიშვილი...**

არ „დაგვამიწყდესო“ ბ-ნმა მამულმა, მაგრამ მეტი ვერ გაიხსენა, რა ქნას, „დაამიწყდა...“

დიდხანს აღარ გაგწერებულვართ კონაკაშში, დაცარიელებულია ეს დიდებულის სოფელი, დამლაპარაკეც ვერავინ ვნახეთ...

**სამჯილარში** წავედით. ჯერ დაღამებამდე დროა, კიდევ მოვასწრებთ ერთი სოფლის ნახვას მაინც.

სამჯილარისაკენ მივედივართ. ცენტრალური გზიდან ორ-ღობეში გადავუსხვიეთ. გავიარეთ პატარა ხევი, თხილით, ცხმელით, წაბლით, თხმელით დაფარული და სოფლის ცენტრში, ჯამიკარზე მივედით. რამდენიმე სახლია გზის ორივე მხარეს. ერთ ეზოში მოხუცი ქალბატონი ფუსფუსებს. მანქანა გავაჩერეთ, გადავედით.

– გამარჯობა! – ვესალმებით ქალბატონს. არ ელოდა ამ საღამოს ქართველების გამოჩენას სოფელში, გაკვირვებული გვიყურებს, ბოლოს გამოგველაპარაკა.

– მეხბულე თხილაიშვილი ვარო, გაგვეცნო.

გვსურს, სალაპარაკოდ გამოვიწვიოთ. მრავალ სოფელში დასმულ კითხვას ვიმეორებთ:

– რა გვარები ცხოვრობთ ამ სოფელში?

– **სახელები ვიცი, გვარები არ ვიცი. ახლანდლებმა არ იციან, ბე! ჩემი სოფელი ხოილს ვეტყვით, ნენე ანანიფხეა.**

ვხედავთ, ეჭვით გვიყურებს ქალბატონი, უკვირს, რად ჭირდებათ სამჯილარში მცხოვრებ ჩვენებურთა გვარებო, ან რატომ აინტერესებთ, რას ვთესავთ ბოსტანში, რა კერძებს ვამზადებთ, საიდან მოვიდნენ ჩვენი დედეები... მაინც აგრძელებს საუბარს, თუმცა ფრთხილობს, აქაოდა ზედმეტი არაფერი მათქმევინონო.

– **ბოსტანში რას ვთესავთ? ღობიე, ფხალი, ქინძი, პრასა... რაცხაა, ყოლიფერი იქნება.**

– თქვენ იმუშავეთ ბოსტანში?

– **გელინები, ბე... პაწა-პაწას ვსაქმობ.**

– კარგი მოსავალი მოვა?

– **მოვა, მარა გარეთაჲ ხაივანი ჭამს სიმინდს.**

„გარეთაჲ ხაივანი“ ტაბუა, სახელს არ ახსენებს მუსლიმანი ქალი უწმინდური ცხოველის, ღორს გულისხმობს.

– რამდენი წელიწადია აქ ცხოვრობთ?

– **დამმიწყდა, რამითი წელიწადია აქ ვარ დამამიწყდა. მოსულს ჩივიან, იგი ვიცი!**

– ამ სოფელს უცნაური სახელი ჰქვია – **საზჯელი ღარი**. რატომ დაარქვეს ეს სახელი?

– **აქაურობა ვერანი ყოფილა, იქა შეითანი დუშუკრავდა, დაარქვეს საზჯელი ღარი...**

– **თქვენ რატომ იარებით აქ, რას ეძებთ?** – გვეკითხება მესბუღე თხილაიშვილი.

– წიგნს ვწერთ ჩვენებურებზე, თქვენზე, იქ, ჩვენთან აინტერესებთ, როგორ ცხოვრობთ, სად ცხოვრობთ... ყველაფერი აინტერესებთ, – ვუხსნი ჩვენი მოგზაურობის მიზანს.

ჩანს, მოეწონა პასუხი...

– კიდევ რამე მოგვიყვებით თქვენი სოფლის შესახებ, – ეთხოვ მასპინძელს.

– **ამტოლი ვიცი, ამტოლს გიგნები!** – მოკლედ მოგვიჭრა ქალბატონმა.

ისეთ კითხვებს ვსვამთ, ეჭვებს აღვუძრავთ ისედაც ეჭვიან რესპონდენტს:

ნუგზარს კავი აინტერესებს, კითხულობს, თუ იცითო კავი ამ სოფელში?

თინას – წყველა, დალოცვა, ანდაზა, ლექსი...

თამარს – კერძები...

რუსლანი იღებს ყველაფერს.

მე – ვწერ, გვერდიდან ვუსმენ დიალოგებს და ვაფიქსირებ ფრაზებს.

ზაზა თხილს მიირთმევს, ჯერ კიდევ შემოუსვლელს.

მალხაზი და ლაშა იღებენ...

ასეთი სურათი იშლება მესბუღე თხილაიშვილის წინ და, ბუნებრივია, უკვირს, საიდან შემომესივინენო საქმედაღულები, ეჭვიანობს, ჩემს გასაცურებლად ხომ არ მოვიდნენო ამხელა გზიდან:

– **არ ამბავრო, ჩემში არაა აბეჩება** – გვეუბნება დაეჭვებული და სათითოოდ იწერს ჩვენი ტელეფონის ნომრებს, აქოდა მოგძებნით, რამე თუ შეგეშალათო.

ძველი ამბები გეცოდინებათ, რამე მოგვიყვებით.

– სიფთინდელი ბერები არიან, ბელქი გამჟურვეენ სიფთინდელ ამბავს, სამას... ჰალბუქი იცოდეს'ნა კად, ზათინდელი არ'ნა დეფვიწყონდა.

– **შაჭმელი რამე გინდებიან?** – სადილი შემოგვთავაზა ქალბატონმა, „პირის გუუქანებელი“ არ უნდა ჩვენი გამოშვება.

უარი ვუთხარიო!

თანდათან გვენდო, გაგვეხსნა ქნი მეხბულე, შეწუხდა, ცდილობს გაიხსენოს, რამე ჩაგვაწერინოს... და აი, აქაური გვარები ჩამოთვალა:

**მორჩილაძე, ქათამფხე/ქათამიფხე** (ჩემი ძმის ქალიაო, – ბრძანა ქალბატონმა), **ბაუჯოღლი, ანანიძე, ელიოღლი, შირინოღლი** (აბუქეთადან), **კირვალები იყვენ, მოწყობილი, ყადიოღლი, პაპიოღლი, მერისილოღლი...**

ქობულეთელთა სოფელში ერთი გვარი – **შირინოღლი** სახლობს ქედიდან, აბუქეთადან; არც **მერისილოღლი** უნდა იყოს – ქობულეთური; წარმომავლობის სახელი ჩანს იგი: **მერისელ-ოღლი** (მერისელის შვილი)>მერისილოღლი.

– როგორი ხალხი არიან ქობულეთლები?

– **ჩურუქსუელები ქიბარი არიან, კნაჭავენ. ქიბრობენ ჩურუქსუელები**, – გვპასუხობს ხუმრობის ხასიათზე დამდგარი ქნი მეხბულე.

– თქვენს სოფელში კავი ხომ არ არის, სახნავი კავი? – უკვე მერამდენედ კითხულობს ნუგზარი.

– **ჩემი ბაღნის სახში არი კავი, ბონდრუდი, უღელი არი, ყოლიფერი არი!** – პასუხობს ქნი მეხბულე და უკვირს ნუგზარის თხოვნა, მაჩვენეთო ძველი ნივთები.

აჩვენა, იქააო და მეზობელ სახლზე მიუთითა.

ნუგზარი კავის სანახავად წავიდა, ჩვენ ერთ ხანს კიდევ დავგრჩით ქნ მეხბულესთან, შემდეგ დავემშვიდობეთ და მანქანაში ჩავსხედით. ნუგზარს ველოდეთ ნახევარ საათს მაინც. ბნელოდა უკვე, ნუგზარი რომ გამოჩნდა ზურგჩანთითა და ვიდეოაპარატით...

ვინ იცის, რა „განძი“ იპოვა მეხბულე თხილაიშვილის გაუის სახლის სარდაფში მაძიებელმა პროფესორმა!

**15 ივლისი, კვირა.** გადავწვიტეთ, დღეს უნივერსიტეტში ვიმუშავით. საუზმის შემდეგ ქალაქში გავვლით მუზეუმისა და სხვა სანახავეების დასათვალიერებლად. მუზეუმის ძეგლში ანინა დევაძე და მისი დები შეგვხვდნენ, ბაბუას ძმას სტუმრობენ რამდენიმე დღეა.

მუზეუმში მიგვასწავლეს დევაძეებმა. მივედი. 200 წლის სახლიაო, ფაშის სასახლე, ახლა გაუკეთეს რესტავრაციო. ახალგაზრდა გიდი გაგვიძღვა ექსპონატების დასათვალიერებლად.

**დარბაზი:** ხალიჩა სარაიდან გადმოუტანიათ. მაღალი მაგიდა პატეფონით. ძველი იარაღები: თოფები, ხმალი, ხანჯალი, დამბაჩა... ფეხსაცმლის მაშველი, ამფორა (2500 წლისააო)... ესაა ოთახი, საიდანაც ჩანდა მთელი ზღვისპირეთი, აქედან აკონტროლებდა ადმირალი ზღვაზე გემების მოძრაობას და ქალაქში მომსვენელ-წამსვენელს.

**სამზარეულო:** ბუხარი, ტაბლა, თაროები ჩანაღ-ჩომღელთ (უმეტესად სპილენძის), საცერი – ცხოველის ნაწლავებისაგან მოქსოვილი ძირით (ორასი წლისააო, გვიხსნიან), საფქვავეები, კედელში განჯინა – ჭურჭლის სარეცხით...

ეგაა მთლად უნივერსიტეტში. სხვა რა ვნახოთ? სხვა რაა საინტერესო და სანახავი ამ ქალაქში? ჩანს, ბევრი არაფერი. უმჯობესია, რომელიმე სოფელში წავიდეთ და იქ ვიმუშაოთ, ან ქალაქელ ჩვენებურებს შევხვდეთ.

დიდხანს ვიხეტიადეთ უნიას ქუჩებში, დამლაპარაკე ვერავინ ვნახეთ, თუმცა სასიამოვნოა ქალაქში ხეტიადი, თუნდაც უცხოში.

დღეს სერდარ ბერიძეა ჩვენი გიდი. ნურიეში ქართველები არიანო, გვაცნობეს, ქართულიც იციანო ჩვენებურებმა. სხვა თუ არაფერი, დანამდვილებით არავინ იცის, რა მდგომარეობაა ნურიეში, ინფორმაცია მაინც უნდა გადავამოწმოთ ამჯერად, თუ შესაბამისი პირობები იქნება, ვიმუშავებთ კიდევ.

ავედით **ნურიეში**. გურჯები არ არიან აქ, დაბლა ცხოვრობენო, გვითხრეს. ჩავედით დაბლა, მინიშნებულ ადგილებზე მოვიკითხეთ, ვერც იქ ვნახეთ ჩვენებურები.

მცდარი ინფორმაცია მოგვაწოდეს, ასეც ხდება ხოლმე, ვერაფერს შევცვლით. რომ არ მოვსულიყავით და ადგილზე არ გადაგვემოწმებინა ინფორმაცია, ხინჯად დაგვრჩებოდა, ნურიეში ქართველები სახლობენ, უნიესთან ახლოს, ჩვენ კი არ მოვიკითხეთო... ახლა უკვე დანამდვილებით ვიცით, რომ ნურიეში ჩვენებურები არ ცხოვრობენ. მომავალში აღარავის დაჭირდება ინფორმაციის გადასამოწმებლად რამდენიმე ათეული კილომეტრის გავლა.

გავიგეთ **დახქონაკი** ჩვენებურთა სოფელიაო. ავედით. ვერც ამ სოფელში ვნახეთ ქართულად მოლაპარაკე. ადგილობრივებმა არ იციან, ან არ ამბობენ, ვინ ცხოვრობს მათ მეზობლად. ხშირად მათი ცოდნა საკუთარ ეზო-კარს არ სცილდება.

დახქონაკიდან **სიზაბაშში** წავედით: კუმარლი თლათ ქართულიაო, გვეუბნება რემზი მურადაშვილი.

აჭარლების სოფელია კუმარლი, ქედელების. ჩვენებურებს შეეხვდით:

ხუსეინად გურგენიძე – ქედიდან;

აბდულად (აფთულად) მურადაშვილი – ხოხნადან;

მუითდინად უსტალიშვილი – ფაცაიდან მოსულა, ქობლეთელია;

რემზი ხალაძე – ქედიდან...

ერთმანეთის მიყოლებით გვეცნობიან კუმარლელი ქართველები.

ძელსკამზე დავსხედით. გვანტერესებს აქაური ამბები. რემზი მურადაშვილი მოგვითხრობს:

– **ბაბაჰს ნენედ მოსულა. დედედც იქიდან მოსულა. დიდი დედედ ბერი ყოფილა, მოსულა, აქ მომტკარა...**

რამდენიმე მარტივი წინადადებით ოჯახის მთელი ისტორია „გაცოცხლა“ ბატონმა რემზიმ.

ამ სოფელში ჩანს, ბევრი გურჯი, ჩვენებური ცხოვრობს. ჩვენ ამოვედით აქ თქვენს გასაცნობად, თქვენი ამბების გასაგებად, თქვენზე წიგნი უნდა დაგწეროთ, ტელევიზიით უნდა ვილაპარაკოთ თქვენზე, თქვენი ამბები უნდა გავაცნოთ მემლექეთს, ამიტომაც ყველაფერი გვანტერესებს თქვენს შესახებ...

– რა გვარები ცხოვრობენ თქვენს სოფელში?

– **ოდენჯოლლი, ნაჟვერდოლლი, მურადაშვილი, გურგენიძე** (დურგენისშვილი)... აქ დიდი სოფელი არაა, ოთუზ ხანე.

– როდის მოვიდნენ ჩვენებურები ამ სოფელში?

– **ბათუმიდან მერე აქ ვართ. ასი წელიწადი გეძარა აქ ვართ.**

– კუმარლიში ყველა ჩვენებური ლაპარაკობს ქართულად?

– **წვიტებმა ნამეტარი არ იციან, ანჯახს მისტება ლაპარიკში, მან ვერ იტყვის.**

ღიას, „წვიტებმა“ არც აქ იციან ქართული.

რემზი სალაძემ სიამაყით გაგვიმხილა, რომ მისმა ბაღნებმა იციან ქართული:

– **ჩემ ბაღანამ იცის, გოგომაც იცის. თურქიეში არ დედლაპარიკებენ, სირცხვილია.**

რემზის მოთხრობაში რამდენიმე საინტერესო მომენტია. მისი აზრით, „ბაღანა“ – ვაჟია, „გოგო“ – ქალი. და მეორე, ქართულად „თურქიეში არ დედლაპარიკებენ, სირცხვილიაო“. დასანანია, რომ ქართულად ლაპარაკი სირცხვილად ითვლება. ჩანს, ვიღაცას რცხვენია, რომ ქართველია. ეს სხვა არაფერია, თუ არა ცნობიერების გაორება და მოკლე გზა საკუთარი იდენტობის უარყოფისაკენ.

რემზი მურადაშვილის წინაპრების ისტორია არაფრით განსხვავდება სხვების ისტორიებისაგან, მაგრამ მასში მაინც არის რაღაც განსხვავებული და საინტერესოც:

– **ჩემი დიდი ბაბოები სამი ძმა ყოფილან, ორისდა (sic) და. ერთი და გათხვებული ყავან მაშინ იქა, სოფელში. ნამე-**

ტარი რომენ ზორი დუნახიან, ჯამეები რომ ჩუუკილტვან, ველარ ილოცა, ველარ იკითხა, იფიქრენ, იფიქრენ, ჩვენმა მუსლიმანობამ წვედა ხელიდან, აქ რაფერ'და ვიცხოვროთ- 'და და ადგენ და მოვდენ დასთან და უთხრეს, ჩვენ მივალთ!

– ჰა მიხვალთ?

– თურქიეში!

ადგა დამ და კაცს უთხრა: აქ ვინ დამჩა და შენ'და გიყურო? კაციც წამეფყანა და მოვდენ აქა...

იმ დროში ასეთი დრამა თამაშდებოდა აჭარისა და მისი მიმდებარე ჭოროხის ქვეყნების ბევრ სოფელში. დედა-წულიანად აყრილა მურადაშვილების ოჯახი და მუჰაჯირად წასულა, დასახლებულა ისეთ „ქვეყანაში“, რომლის მკვიდრთა ცხოვრების წესი განსხვავებული იყო მათისაგან. არაა საკვირველი, რომ ახალი კულტურა ვერ იგუეს გადასახლებულებმა. მათი შთამომავლები დღესაც გაკვირვებული მოგვიტხრობენ დამხვდურთა ცხოვრების შესახებ:

– აქავრი ხალხი რაფერ ცხოვრობდენ იცი? სიმინდ რომ დათესეფდენ, არ გათოხნიდენ...

– [სახლს გააკეთებდენ] ტყეში წვედოდენ, წაბლის ხეს ტყავს გააძრობდენ, დააჭედებდენ ზეფდან...

– ოჯადი არ იცოდენ, მუთმალში შუაზე დაანთებდენ ცეცხლ...

თქმულის საპირისპიროდ:

– გურჯებმა ოჯადი გააკეთეს ოდებში, სახლები ყავრით დახურეს, დათესილ ყანას ჯერ თოხნიდნენ, მერე მიოროდენდენ, მიოროდის მერე ამოსულ ბალახსა და ეწერს აჭრიდნენ...

სხვა ცხოვრებით ცხოვრობდნენ ქართველი მუჰაჯირები. მათმა ცხოვრების წესმა კეთილისმყოფელი გავლენა იქონია ადგილობრივთა ცხოვრებაზე:

– დაიწყეს ფანჯრიანი ოდა სახლების შენება;

– სახლში ბუხარი გააკეთეს. ახლა შუაცეცხლის ნაცვლად ბუხარში ანთებდნენ ცეცხლს;

– სახლი ფედევრით (ყავრით) გადახურეს...



ცხოვრების ახალ წესზე გადავიდნენ ადგილობრივები, – მომთაბარე ცხოვრებიდან ბინადარზე, შესაბამისად, მოაწყვეს ეზო-კარიც, მაგრამ „გურჯმა მაინც ვერ იყაბულა თურქი...“

ქორწილი თუ სუნნეთდუგუნი სიმღერისა და ცეკვის გარეშე არ ჩაივლიდა, უსიმღეროდ არც ნადი იქნებოდა.

ლხინში ხორონს (ჰორირამასაც უწოდებდნენ – ავტ.) ისამებდნენ სიმღერის თანხლებით:

**სახლის გაღმა ეწრის ფაცხა  
ვაიმე, ფაციავ, რაფერ დამცხა!  
ვოლო, ვოლო და...**

**დელე, დელე გევიარე,  
დელე ტალახიანი იყო,  
ერთი გოგო დევნახე,  
ლოყატალახიანი...**

**ვოლო, ვოლო და...**

ასე ცეკვავდნენ და მღეროდნენ აჭარაში მათი წინაპრები, ასე მღერიან და ცეკვავენ მუჰაჯირთა შთამომავლები...

ნაჯაფი მუჰაჯირი სადამოთი ან ზამთრის გრძელ დღეებში შეიღებს მოუთხრობდა მონატრებული მემლექეთის ამბებს, შთამომავლობა ისმენდა და იმახსოვრებდა, ხშირად ისეთ დეტალს, სამშობლოში რომ აღარავის ახსოვდა:

– „ახლა აღამბარში რუმ ჩიმიყვანო, დედეს სახლს მივაგნებ;“ – გვეუბნება ჩურუქსუელ მუჰაჯირთა შთამომავალი, რომელიც არასოდეს ყოფილა აღამბარში, სადაც, შესაძლებელია, აღარც ძველი სახლია და ეზოში მდგარი დემირად ვაშლიც დიდი ხანია გახმა...

მე მჯერა, რომ მიაგნებს!

ჯემალ გურგენიძემ ცნობილი ამბავიც მოგვიყვა ხოსნელების გასაჯავრებლად მოგონილი:

– **ახლა წევდენ მეგრემ შველი მოსაკლელოა, ჰედიკები ჩეცვენ. წევდენ მეგრემ, რომენ მივდენ, ერთი ბეღელია, დეინახენ ასე ყურება. ერთმა მუუჩალუმა, ბრანგდამიცა, გააგორა.**

- ამასო ნალი აქო! – თქვა ერთმა.
- ქონდეს მერეო, რა იქნა?!
- ვირი არ იყოსო! – თქვა მესამემ, რომ ესროლა იმან.
- შენი თავი ამფერი ბლაცვი არ მეგონა. ჩვენ სოფელში

მუსოდლი მუსაჲ ჭედავს და ღმერთმა ვერ დაჭედაო!

აქ ერთი ნენეჲ გვყავდა, იგი ეტყოდა დედეს, ვიცი, ხოხნელი ხარ და გულ-ღვიძლი შენ მოგცესო, „ხოხნელო, ვირი მჭამელო“. დედეჲ იყო ხოხნელი სულეიმანაჲ...

ბრძენი კაცია ბატონი ჯემალი. იგი კარგად აცნობიერებს, რომ ენის ცოდნა ადამიანის სიმდიდრეა: ერთი ენა, ერთი კაცი, ორი ენა – ორი კაცი... თავისებურ პერიფრაზს აკეთებს ცნობილი შეგონებისა „რამდენი ენა იცი, იმდენი კაცი ხარო!“ დარდობს ბ-ნი ჯემალი, რომ მუჰაჯირებს ისეთი დრო დაუდგათ, როცა ქართულად ლაპარაკი სირცხვილი იყო... და ზოგს რცხვენოდა კიდევც.

ქედელები გემასპინძლობენ კუმარლიში. რემში სალაძე ჩამიდგვა ეზოში, ეზო-კარი დამათვალიერებინა, **საკრეფელაჲ, ორკოპაჲ** (ასე უწოდა მასპინძელმა, შდრ. **ორხაპო**) გამოიტანა, მსხალი ჩამოკრიფა, მომაწოდა... შემდეგ საბძელს უკან გაუჩინარდა, რამდენიმე წუთში წითელი ვაშლები (მაისის ვაშლს რომ ეძახიან ჩვენთან) მოიტანა, მომაწოდა, თან მებოდისება, სადილზე რომ ვერ მპატიუებს: დდეს ამოვედიო მარტო სოფელში, ხილი უნდა წავუღლო ბადისებს, საღამოს უნიეში უნდა დავბრუნდეთ.

რემში სალაძე საქართველოში ყოფილა, ქედაშიც ასულა და იქაც მოუყვლია ხოხნელების ცნობილი ნადირობის ამბავი. მეც „ახალი“ ინფორმაცია მივაწოდე, „შველზე“ ნადირობის ამბავი გალექსეს-მეთქი და რამდენიმე სტრიქონიც გავიხსენე:

... მოშაირე ემაწვილი ვარ,  
 ამბავია საცინარი,  
 ხოხნელებს რომ სიძე ყავან,  
 მონადირე კაცი არის!  
 დღე და ღამე ის ნადირობს,

ძილშიც დათვი ესიზმრება,  
დათვის ნაცვლად ვირი მოკლა,  
გუნებაში ეცინება.

ხუთი-ექვსი კაცი იყვენ  
ყველა ვირზე დაცქერილი,  
თავმჯდომარე მათთან იღვა,  
ხელში ტეტეშეწკეპილი...

გაიხარა, მაღ ლექსი არ ვიცოდით, მთხოვა, მეც მასწავ-  
ლე, დამჭირდებაო.

გზაზე ავედით, სოფლის ორღობეს ლაპარაკით იქეთ გა-  
ეუყვეით, საღაც ჩვენი მანქანა იღვა. ჩაყოლებაზე სალაძეე-  
ბის სახლებია. ვხედავთ, უკვე გამოსულან კუმარლელი ქე-  
დელები ჩვენს შესახვედრად. მაღე ხილი და ჩაი მოგვარ-  
თვეს, სადილიც შემოგვთავაზეს... უფროსებს ცნობისმოყვარე  
ბავშვები ახლავთ, რომელთაც თითქმის არ იციან ქართული,  
რადაცას გაიგებენ, თითო-ოროლა სიტყვასაც ამბობენ... ესაა  
მთლად მათი გურჯული... უფროსი თაობა კი კარგად ლაპა-  
რაკობს ქართულად, თუმცა მათ ქართულშიც „გადარეველა  
თურქული“.

ლამაზი სოფელია კუმარლი: მთის ფერდობებზე ტერა-  
სები, რომლებზეც განლაგებულია სახლები. საკარ-მიდამო-  
ებში ჩანს მრავალგვარი ხილი...

ცხელა. სოფელი 500 მეტრზეა ზღვის დონიდან. ნიავე  
არ იძვრის...

კარგა ხანს დავრჩით სალაძეებთან, ბევრი რამ ჩავიწე-  
რეთ, ზოგიერთს გავიხსენებ:

აქ ჩამოსული მათი დედები ზღვისპირას დაუსახლები-  
ათ, ვერ გაუძლეს დაჭაობებულ გარემოს, როგორც სხვებმა,  
გამოექცნენ ცხროსა და ბუზს, აქ ამოვიდნენ, მთის ფერდო-  
ბებზე მოიწყვეს ეხო-კარი: „ჩვენი დედები მაღალზე დამ-  
უდარან, იმისთინ ჭახე არიან. ყვითელ-ყვითელი კაცები არი-  
ან იქ...“ მოსწონს რემზი სალაძეს, „ჭახე რომ არიან“ აქაუ-  
რები. ჭახე აქ ყვითელის ომონიშია: ჭახე – ჯანმრთელი,

ლოყაწითელი; ყვითელი (ჩაყვითლებული) – ციებიანი, ავად-  
მყოფი ზოგადად.

კუმარღელებს ახსოვთ აქაური ძველებური ქორწილი:  
ხორომი, ღმერა, სამა... „ქვეყანას დავამსხვრევდითო“ დიღამ-  
ღე...

– რემზი, ჭო, ერთი ის მუუყევი სტუმრებ, ფარტენაძე  
რომ გააბღეზეს ხოხნელმა ბაღნებმა!

– ბაღნებმა მეგერ [ფარტენაძის] ფუტკრებ უჯღიკინეს,  
დედნახა, დედესთან მივდა და უთხრა: „ჰაჯი უსუფავო, ჩემი  
ბუზისთინ მამაძაღლებ გუუჯღიკინებიან...

დეღემაც გუუბღეზდა ბაღნებ, რატომ აბღეზებთო...

შუადღისას კუმარღელებს დავემშვიდობეთ და ჩათალ-  
თეფეში წავედით იქაურ აჭარლებთან შესახვედრად.

მემედ ქიბიროღლი/კიბიროღლი გავიცანით, აჭარელ მუ-  
ჰაჯირთა შთამომავალი.

ეზოში შეგვიძღვა. დიდი ეზო აქვთ კიბიროღლებს, ეზოს  
კუთხეში ქვის სახლი უდგათ, იქვე ნალია, მანქანის ფარეხი,  
სახლის უკან ძველი სახლი დგას ძველი ნივთებით.

მოხუცი, რომელმაც ქართული იცის, შეუძლოდაა, გუ-  
ლის ოპერაცია გაუკეთებია, რამდენიმე დღეა გამოუწერიათ  
საავადმყოფოდან და ოჯახში დაბრუნებულა.

– ჰა მიხვალთ, რა იჯებით? – გვეკითხება მემედი.

გულმოდგინედ ვუსხნით ბატონ მემედს ჩვენი მოსვლის  
მიზეზს. ჩვენ საუბარში რული მოერია მოხუცს. ქართულად  
მოლაპარაკე სხვა არავინაა, ოჯახის ახალგაზრდა წევრები  
ქართულად ვერ ლაპარაკობენ.

სოფელს ვათვალიერებთ!

მშენიერია ჩათალთეფე: ორღობეები, ახალი სახლები,  
თხილის ბაღებით... საკარმიდამოში ბევრი ხილია...

საღამოს ექინჯულში (დენიკენთი) წავედით. ქედელების  
თუ მაჭახლელების სოფელია, დანამდვილებით ვერ გვითხ-  
რეს მათი სადაურობა: ოსმან გუმიში, აბღულ გუმიში, ისმა-  
ილ გუმიში... ქართული გვარები არ ახსოვთ.

რატომ? ეს კითხვა პასუხს მოითხოვს. ჩვენ ვეძებთ პასუხს ამ კითხვაზე. ექინჯუდელმა გუმიშებმა ქართული გვარები რომ არ იციან, უბრალო დავიწყების ბრალი არაა, ვფიქრობთ, უფრო მეტია.

ბევრი ვერაფერი ჩავიწერეთ ექინჯულში.

ექინჯუდელებმა არ ან ცუდად იციან ქართული.

მთელი დღე გვმეგზურობდა სერდერ ბერიძე (მუსტაფოღლი), მუჰაჯირთა შთამომავალი, კაცი გონიერი და კეთილი. იგი აცნობდა უნიეს ქართული სოფლების გურჯებს ჩვენი მოსვლის მიზეზს, მასპინძელს გვიჩვენდა, გზას გვიხსნიდა მათთან საურთიერთოდ. სერდერისთანა კაცები დიდი იმედია ექსპედიციისათვის.

**16 ივლისი, ორშაბათი.** დღეს უნიედან სამსუნში უნდა გადავიდეთ. სამსუნის ილის რამდენიმე რაიონში გვეგულება ქართველ მუჰაჯირთა შთამომავლები. დურსუნ ქათამაძის ცნობით, თერმეში, ჩარშამბაში, ბაფრასა და ლაადიქში ბათუმელების სოფლებია. ჩვენთვის აუცილებელია მათთან მუშაობა. დღემდე ბათუმელ მუჰაჯირთა შთამომავლებს არ შევხვედრივართ: ქობულეთი, აჭარა, მაჭახელი – ორდუს გუბერნიაში მხოლოდ ამ „ქვეყნებიდან“ გადასახლებულთა შთამომავლები ცხოვრობენ.

დილით ადრე დავადექით სამსუნის გზას. ცხელა. სამსუნში რეფიკ ქარაქოხს (მსხალაძეს) უნდა შევხვდეთ, მაჭახელეს. იგი კარგად იცნობს აქაურ გურჯებს და ვიმედოვნებთ, გაგვიკვლევს გზას მათ სოფლებში. ზაზა უკვე შეუთანხმდა შეხვედრის ადგილსა და დროზე. ბარემ აღვნიშნავ, რომ ბატონი რეფიკი ზაზას ბებიის უმცროსი ძმია...

სამსუნის ცენტრში, კაფეში, დაველოდეთ რეფიკ მსხალაძეს. ექსპედიციის წევრები ქუჩებში გაიფანტნენ, ათვალიერებენ ქალაქს, მაღაზიებს, ქუჩაში გამოფენილ ათას წვრილმანს. მაღე ბ-ნი რეფიკიც გამოჩნდა, – მაღალი, ახოვანი, ენერგიული კაცი. იგი სამოცს ახლადაა გადაცილებული, თუმცა ასაკი საერთოდ არ ეტყობა, ამშვენებს კიდევ ჭაღარა.

გაგვეცნო. სასიამოვნო მოსაუბრეა ბ-ნი რეფიკი, იგი კარგად ლაპარაკობს ქართულად. ახლახან ორჯერ ვიყავი ბათუმშიო, პირველად დის (ზაზას ბების) დაკრძალვაზე, მეორედ – სტუმრად დიშვილ-ძმიშვილებთან... ჩანს, სიამოვნებს სამსუნში გადახვეწილს მათთან ურთიერთობა.

– ჩემმა ბაჯანადმა (ქვისლმა) კარგად იცის ჩარშამბას ქართული სოფლები, დაუკავშირდეთ, ის გაგვეკვებო, – რეფიკმა.

ჩვენც დავთანხმდით. მანქანებში ჩავსხედით და გზას დავადექით. პირველად სამსუნის სამრეწველო რაიონში გავველით: აქ ათასგვარი ბაზებია, აქაა თავმოყრილი ქალაქის საწარმოების დიდი ნაწილი.

გზად ბ-ნმა რეფიკმა გვაჩვენა წყალდიდობის ნაკვალევი, რამდენიმე დღის წინ რომ დაატყდა სამსუნს. ადიდებულმა მდინარემ ხევი აავსო, ჯებირები გადმოლახა და სახლებში შევარდა, გზები დაანგრიო, ადამიანები იმსხვერპლა. დღესაც ეტყობა წყალდიდობის კვალი ქალაქს. სტიქიის შესახებ იუწყებოდა თურქეთისა და მსოფლიოს საინფორმაციო საშუალებები, მათ შორის ქართულიც.

მივედით ზღვისპირას მდებარე ერთ-ერთ ოფისში. ბ-ნმა რეფიკმა გაგვაცნო ძმები მაღაყმაძეები, თავისი ქვისლი და მისი ძმა. ისინი აქ „საქმობენ“, ანატოლიის მხარეს ბოსტნეულისა და ბახჩეულის თესლით ამარაგებენ. ჩანს, დიდი ბაზარია, რაც კარგად ეტყობა მათ ფეშენებლურ ოფისს.

უჭირთ ძმებ მაღაყმაძეებს ქართულად ლაპარაკი...

მაღე ჩარშამბას გზას დავადექით. ხეობას მივუყვებით მაღლა. ჯერ ტყეები და სიმინდის ყანებია. მოსახლეობა შორი-შორს ცხოვრობს, დაბლობში თხილის ბაღებიც ჩანს.

ჯემალ სალაძის ოჯახს მივადექით. კარგი მექართულეა ბ-ნი ჯემალი, ძველი ამბებისა და აქაური გურჯების კარგი მცოდნე. მოხუცი შეუძლოდაა, ჯერ კიდევ არ მოშუშებია ნაოპერაციევი. უჭირს ბ-ნ ჯემალს ლაპარაკი, უჭირს ქართულიც. ქართული არც მისმა ვაჟებმა იციან. გვარი ვერ გაგვა-

გებინა მოხუცმა, ჩაკითხვის შემდეგ დავადგინეთ, რომ სალაძე იყო.

– ქალი მყავს ბოლოკად, ქართული იმან დამაგიწყო, – ამბობს ბ-ნი ჯემალი.

– რატომ ეძახით თურქებს ბოლოკას?

– **ფუძახით-და... ბოლოკაები არიან და იმიტომ!** – მპასუხობს მოხუცი.

ბოლოკაები თუ არიან, დაუძახებენ, აბა რა იქნება. ჩანს, „ბოლოკა“ თიკუნია, ძეგლია, მეტსახელია, მაგრამ რატომ შერქმეული ვერ გვეუბნებიან, გაგონებაზე იცინიან მხოლოდ. არადა, მეტსახელს რაღაცა ნიშნის მიხედვით შეარქმევენ ხოლმე ადამიანს ან ადამიანთა ჯგუფს, იგი არაა ნებისმიერი. ჩვენს შემთხვევაშიც ასე იქნებოდა, ოღონდ დაავიწყდათ რატომ შეარქვეს. აქ იმ შემთხვევასთან გვაქვს საქმე, როდესაც კონკრეტული ნიშნის მიხედვით შერქმეული სახელი სახელ-სიმბოლოდ იქცევა...

ღირს დაფიქრებად, რატომ ბოლოკა ან კუდიანი, ანდაც ქართველთათვის შერქმეული ფიხი (შავშებს ეძახიან) და კოხახი...

– თქვენ რას დაგიძახებენ? – ვეკითხები ბ-ნი ჯემალს.

– **ჩვენ? ჩვენ გურჯი-და...**

ჩვენ ამ საუბარში ვიყავით, როცა თამარმა, თინამ და მამამ ადგილობრივი სამზარეულოს მღვწეების შემოწმება მოასწრეს, რუსლანმა კი ავტოფარესში აღმოაჩინა ურემი. ნუგზარის თხოვნით, დიდი ამბით, როგორც განძი, გამოვიტანეთ ეზოში, სახელდახელოდ ავაწყვეთ: ბორბლები მოვარგეთ, ტაბიკი (ბონდრული) დაგუდეთ... ბორბლები ერთიანი ხიდანაა გამოთლილი.

– მე და ოჯახის უფროსი ვაჟი ვაწყობთ ურემს, უფრო სწორედ მე ვენმარები აწყობაში; ეგებ ხელსაც ვუშლი, მაგრამ არა, ნამდვილად ვეშველები, მარტო ვერ მოახერხებს.

– რუსლანი ცალ-ცალკე იღებს ურმის ნაწილებს: ბორბალი, ტაბიკი, მახი...

– ნუგზარიც იღებს, პარალელურად იწერს ურმის ნაწილების სახელებს, აზუსტებს ტერმინებს, ბორბლებზე დატანებულ „ნაღიშებს“ აკვირდება, ქართულ ელემენტს ეძებს თურქულ ურემზე...

ამასობაში ავაწყვეთ ურემი: ფოტოგრაფებმა სურათები გადაუღეს ყველა მხრიდან, შემდეგ გადმოგვაბრუნებინეს და ისე გადაიღეს... კიდევ კარგი ხარები არ მოითხოვეს, ან ჩვენი შებმა ხარების ნაცვლად... და ეს ყველაფერი ხდება თაკარა მზის გულზე.

ჩვენს ამ ფაციფუცს მხიარული, თანაც გაკვირებული უყურებს ოჯახის უფროსი. უკვირს, რას ვეძებთ ამ არცთუ ძველ ურემში. ურემი მე გავაკეთებინეო ახალგაზრდობაში, მაშინ არბები არ იყო, „ხარი არაბადთ ვეწიკებოდით ჭვირთსო“, – თქვა ბ-ნმა ჯემალმა.

– ეს ურემი კარგად შეინახეთ, ანტიკვარული ნივთია, არ გააფუჭოთო, – არიგებს ნუგზარი ჯემალ სალაძის ვაკებს.

– უნდოდათ ეყიდათ ეს არაბად, არ მივეცი, იყოს სახლში-მეთქი, ვიფიქრე.

ნუგზარი კმაყოფილია.

არავინ იცის, შეასრულებენ თუ არა მოხუცი მამის დაბაპირებს ახალგაზრდა შვილები!

ურმის ნაწილების ქართული სახელები არ იციან: ბონდრული (ქ. ტაბიკი), მახარა (დვლერჭის ბოლოს დასამაგრებელი წნელი (იბ.)<sup>12</sup>...

სალაძეებიდან წამოსულები დავშორდით რეფიკ მსხალაძეს, მადლობა გუთხარით მეგზურობისათვის, ჩვენ კი ჩარშამბაში წავვედით.

ავტობუსში ფიქრის შემდეგ ნუგზარი იტყვის: ანატოლიური ურემია, მათგან შეითვისეს თურქებმაო.

იქნებ ასეც არის, ვინ იცის!

---

<sup>12</sup> ალ. დლონტი, ქართულ კილო-თქმათა სიტყვის კონა, თბ. 1984.



სადამოს სასტუმროში დავბინავდით. აღმოჩნდა, რომ სასტუმროს მეპატრონე, მაჰმუდი (ჯობს გამოვიყენოთ მამუდი, უფრო ქართულად უდერს - აგტ.) ქართველია, თუმცა არც ქართული გვარი იცის და ვერც ლაპარაკობს ქართულად. გვითხრა, ქალაქში, ჩემს უბანში სულ ქართველები ცხოვრობენ და შეგახვედრებთო.

სიამოვნებით დავთანხმდით!

– მაღლა, სასტუმროს სხვენში კარგი ადგილი გვაქვს, თუ გსურთ, დაისვენეთო, შემოგვთავაზა მამუდმა.

ავედით. მაღე სასტუმროში რამდენიმე გურჯი მოვიდა, მათ შორის ალი გოგიტიძე და ნეგზეთ ნოლაიდელი. უკანასკნელი ადგილობრივი გაზეთის კორესპონდენტია. ამტკრევს ნეგზეთი ქართულს, გვაგებინებს, გურჯის სოფლებში აჭარის მთავრობის თავმჯდომარესთან ერთად ვიარეო... ალი გამართულად ლაპარაკობს ქართულად.

სასტუმროს სხვენში დიდხანს გაგვიგრძელდა საუბარი. მე სხვებზე ადრე დავტოვე შეკრებილები, დასაძინებლად წავვედი. ალი გოგიტიძე დაგვიპირდა, ხვალ ახლომდებარე ქართულ სოფლებში გაგყვებითო...

**17 ივლისი, სამშაბათი. მუსლიბეიში** ავედით. მაჭახლელების (სინდიეთლები, ჩიქუნეთლები) სოფელია. შევხვდით ისმეთ ყაზანჯის - (მ)სხალაძეს, ნააზიმ კვირატიძეს (კვირიტიძე)... მათი დიდი დედე, სულეიმან ეფენდი მოსულა ამ კუთხეში, შემდეგ სხვები, „თლათ ერპილაჲ მოსულან“.

მუსლიბეიშიც იგივე პრობლემებია, რაც სხვაგან – ახალგაზრდობამ ქართული არ იცის. „ჩვენ რომ ბაბაჲ, ნენეჲ ქართულად გველაპარაკებოდა, ჩვენაც დევწავლეთ...“ ახლა მშობლები ქართულად აღარ ელაპარაკებიან შვილებს, თურქული ისწავლონო ახალგაზრდებმა, სკოლაში და უნივერსიტეტში შევიდნენ, გზა გაიკვალონო ცხოვრებაში...

ბუნებრივია, თურქეთის მოქალაქემ თურქული უნდა იცოდეს კარგად, სკოლა-ლიცეუმშიც უნდა ისწავლოს და უნივერსიტეტშიც, მაგრამ ოჯახმა იმაზეც უნდა იზრუნოს, რომ შთამომავლობამ იდენტობა არ დაკარგოს, უპირველეს-

სად, ქართული ენა ისწავლოს, შემდეგ ქართველის სხვა მახასიათებლები.

გვაცნობენ სხალადეები და კვირიტიძეები აქაურ სოფლებს:

**ქესტანე ფინარი** – სინდიეთიდან;

**ყარა დერე** – სინდიეთიდან;

„ერთი წყალი უნახიან, შკერის ფურცლით დუშმალიან, მერე გამოთხარეს... აქ დასახლდენ, ფიდანჯიქ, სოუქ, სარაასან, ქირგინ ქარაბაშ – ბევრი არალი“.

– **მუსლიბეა** და **დენიქოა** მიბმულია, მარტო გურჯია. ენკაა აქაერია;

**დაიქინ** გარეველია, ისი დაწერვას არ ღირს;

**ადაზმა** – ჰეფ გურჯი, ჩვენებური... ეს დაწერილები ზოვლია, დოღრია, – გვაიმედებს ისმეთ სხალადე.

კარგი მოსაუბრეები არიან ჩვენი მასპინძლები:

– **აქ ვინმე არ ყოფილა, გაგნებოფა, ბიჭო?**

– კი ვგნებულოფ, ნუ იდერდებ! – ვამშვიდებ ისმეთს.

– **ჩათაქ – ჰეფ გურჯები არიან. დერეჩათ – მიკრილია ჩათაქზე, ერთი სუფელია...**

– **რა ამბავია, რაფერ ხარ? გეკუჭკუჭე!** – მოგვიკითხა ახლადმოსულმა ჩუქუნეთელმა (ასე გამოთქვამენ აქ, ფონეტიკურად სახეცვლილი ფორმაა ჩიქუნეთისა) ალი ნაგერვაძემ.

– კარგად ვართ, თქვენს სანახავად მოვედით ბათუმიდან!

– **კაა ქენით!** – მოგვიწონა საქციელი.

– რატომ წამოხვედით მაჭახლიდან?

– **რუსისთინ გამეძქცენ!** – მოკლედ გვიპასუხა ბნმა ალიმ.

შიგადაშიგ ტრაბახობენ კიდევ მაჭახლელები. უფრო კი არ ტრაბახობენ, უბრალოდ, წინაპრებს „ადიდებენ“:

– სინდიეთიდან ჩამოსულან, ჯამეში მისულან... თიფლი-  
სიდან მოსულა კაცი, სალაში მიცა მეგერ. იმასო, მასე არ  
უნდა, ასე მიეციო სალამიო, წელქვეითო ცოდვააო!

– ასე რატომ მეზნევიო-და...[თბილისელმა]!

– ამეფლო ფიშტო, შვიდი ფიშეკი აქვან ჩაწყობილი, ეს-  
როლა მეგერ...

– მოკლა? – ვკითხულობ თითქოს გაკვირვებით.

– მაგდენი ა ვიცი, მოკლაგდა ნეტად?

„ჩვენები რომ ხალხში შეველენ, იქეთაები ფეხზე ადგები-  
ან,“ – ხაზს გაუსვამს ჩვენებურთა უპირატესობას ისმეთ  
სხალაძე.

– თქვენთან ქართულ საჭმელებს გააკეთებენ?

– ჰო, ვაკეთებთ: მაღახტო, მაჰნი, ლობიაფს ჟავე, ფხა-  
ლის ჟავე, ძაღლაფ...

ყურადღება მიიქცია ამ უკანასკნელმა კერძმა.

– როგორ ამზადებენ ძაღლას?

– კვერცხი, ნიორი, პრახის დადი (ერბო - ავტ.), ყორა-  
ვო...

დაწვა'და დადი, პაწა წყალ დაასხამ, კვერცხ ჩატეხავ,  
მონარჩავ კარქა, ნიორ დანაყავ მარილის ერთად, ჩააყრი,  
ყორავოს უზამ... ჭამ!

„ძაღლაფ“ ჩირბულის/ჩილბურის ერთი სახეობა ყოფილა,  
კარგად ცნობილი მაჭახელსა და აჭარაში, ბათუმსა და ქო-  
ბულეთშიც. ნაბახუსევეზე მიირთმევენ ხოლმე, მაგრამ რატომ  
„ძაღლაფ?“

ყარა-ღერეში მივდივართ. მაჭახელელების დასახლებაა.  
მაღალზეა. წუხანდელი ნაწვიმარია, გზა გადაურეცხავს წვი-  
მას. ძნელად მიიკვლევეს გზას ჩვენი მანქანა.

ორჰან დავუხს (კვირიტიძე) მუსლიბედან ვესაუბრები:

– საიდან მოვიდნენ აქ თქვენი ძველები?

– აქავრებს ამბობ, ჰე? იშტე ჩიქუნეთიდან, სინდიეთი-  
დან...

– ამბობენ, მაჭახლელები თოფს აქაც აკეთებდნენო, მართლა ასე იყო?

– **შუქრი იყო, შუქრი ქელეში (კვირიტიძე), ჩიტის თოფ გააკეთებდა. იშტე გააკეთებდა, გაყიდებდა, ვეღებდით...**

– ძველი თოფი არავის დაგრჩათ?

– **ჩვენ არა! ძველი თოფი იმ შუქრის ბაღნებ აქვან იშტე. შუქრის გაკეთებული არ დარჩებოდა ახლა.**

– ორჰან ბატონო, თქვენს სოფელში მითხრეს, სიგელებს დუუძახებთ ერთმანეთს, დამაწერიე თქვენებური ძეგლები.

– **მოდო გეგხსენო: ქვაბი იბრაიმი – ბაღნობაში ქვაბით უთამაშნია, ქვაბი იბრაიმი უთქმიან. კაკაბერაჲ ომერაჲ, გომპაროდლი ჰასანაჲ... რა ვიცო, ბევრია... აღარ მახსოვს.**

– კარგი, თუ ვეღარ იხსენებთ, რა გაეწყობა!

ჰაჯი უსუფ ბაშარი (ლომანოდლი) გვიხსნის, რომ ქართველების სოფლებია **ჩათახი, გოლჩუხური, ფიდანჯუდი, კავდალი...** ჩანს, ცუდად იციან ამ სოფლებში ქართული, საკმაოდ შორს წასულა ასიმილაციის საქმე, თუმცა ზოგიერთი მაჭახლური ფრაზა მაინც დავიჭირე (ერთმანეთში საუბრობდნენ მაჭახლელები ჩვენს გასაგონად – აგტ):

– **მიიწურე, ჭო, გეთ!**

– **მიერევი მაგას?**

– **იმასე? ჰე!**

– **ჰაჯი უსუფ, ამ სახლ კითხულობენ, რამდენი წლისაა?**

– **აჲ სახლი ეუზი გადავლილია!**

– **ძველი ყოფილა!**

– **ჰო!**

– **ლომან დედეჲ აქიდან როდს წევდა?**

– **მე პუწუკუნაჲ ვიყავ, წევდა!**

– **იმ ბაღანას რა ქვია?**

– **იმასე?**

ტიპური მაჭახლური საუბარია მაჭახლური მოქცევით.

სამას კილომეტრზე მეტი გავიარეთ დღეს. რამდენიმე სოფელში ვიყავით, მაჭახლელების სოფლებში, ბევრი ვერა-

ფერი მოვიპოვეთ, მაგრამ მაინც ღირდა აქ მოსვლა: მოვედით, ვნახეთ, დაერწმუნდით, რომ ქართული ამ რეგიონში მიღებულია. ამის ცოდნა ჩვენი საქმიანობისათვის აუცილებელია.

ასეა, ექსპედიციას ბედიც უნდა წყალობდეს; ველზე ზოგჯერ გაგიმართლებს, საინტერესო მასალებს მოიპოვებ, ზოგჯერ – მწირს, ზოგჯერ სულაც ვერაფერს. ყველა შემთხვევაში ძიებას აქვს აზრი.

ჩვენც ძიებაში ვართ, ვეძიებთ. მაძიებელი აუცილებლად იპოვის რამეს...

**18 ივლისი, ოთხშაბათი. სალიბაზარელი** ქართველების გასაცნობად მივდივართ. მეგზურად ალი გოგიტიძე გვყავს, აქაური ქართველებისა და ქართული სოფლების მცოდნე, კაცი საინტერესო ისტორიით...

დილით ადრე მოსულიყო ალი, ეზოში რომ ჩავედით, გველოდებოდა. საუბარში მან ახსენა, რომ სალიბაზარში, ფიდენჯულში, ბათუმელები ცხოვრობენო.

ჩვენთვის საინტერესო ინფორმაციაა. უკვე ორი კვირაა ამ მხარეში ვმუშაობთ და ბათუმელთა დასახლებას არ შევხვედრივართ. ველავე მე, ბათუმელი, ორთაბათუმელი; ვინ იცის, იქნებ ჩემი სოფლიდან მუჰაჯირად წასულის შთამომავალს შევხვდე ვინმეს. კიდევ ერთი რამ, რაზეც ფიქრი არ მასვენებს: მუჰაჯირობის დროს ბევრი ოჯახი გადასახლდა ოსმალში ქობულეთიდან, აჭარიდან, მაჭახლიდან, ბათუმიდან... მათ შორის ალბათ ჩემი სანათესაოდანაც, მაგრამ არასოდეს გამიგონია ჩემი მშობლებისაგან, გადმოცემა მაინც, რომ ვიღაც ჩვენი სანათესაოდან თუ სოფლიდან ემიგრაციაში წავიდა. 130-135 წელი არაა ის დრო, რომ სოფლის თუ ოჯახის მეხსიერებიდან წაიშალოს უცხო ქვეყანაში გადახვეწილი ოჯახის წევრის თუ მეზობლის ხსოვნა. ჩემს მშობლებს, განსაკუთრებით მამას, უყვარდა შვილებისთვის ოჯახის ისტორიის თხრობა: ხშირად დაგვსხამდა შვილებს, განსაკუთრებით ზამთრის დღეებში, მოგიზგიზე ბუხართან და გვიან ღამემდე გვიყვებოდა ოჯახისა თუ სოფლის ამბებს,

ტრაგიკულს თუ იუმორით გაჯერებულს, გვიამბობდა ჩვენი ოჯახის ორთაბათუმში გადმოსახლების შესახებ (XVIII საუკუნის 20-იანი წლებიდან ჩვენს დრომდე ყველა თაობის წარმომადგენლის სახელი ახსოვდა), ხეობაში მომხდარ საინტერესო ისტორიებს... ამ მოთხრობებიდან ბევრი რამ მახსოვს, ზოგი დამავიწყდა კიდევ, მაგრამ დაბეჯითებით შემიძლია ვთქვა, მამას არასოდეს უხსენებია ჩვენი ოჯახიდან თუ სოფლიდან მუჰაჯირად წასულები...

მუჰაჯირთა სოფლებში მისულები სხვადასხვა კითხვას ვუსვამთ ჩვენებურებს, ვცდილობთ, გავარკვიოთ, რა ახსოვთ მათი ისტორიული სამშობლოს შესახებ, მაგრამ ერთხელაც არ დაგვესვამს იგივე კითხვა ჩვენი თავისთვის: რა გვახსოვს ჩვენ ჩვენი სოფლიდან თუ ოჯახიდან წასულთა შესახებ? რატომ არ ვკითხულობთ მუჰაჯირობის ამბავს ქობულეთში, ბათუმში, მაჭახელში, აჭარისწყლის ხეობაში, შავშეთში, კლარჯეთში? მუჰაჯირად წასულთა შთამომავლების ისტორიულ მეხსიერებას ვსწავლობთ და ეს კარგია, მაგრამ ჩვენს ცოდნას შევავსებთ, თუ სამშობლოში დარჩენილთა შთამომავლების მეხსიერებასაც შევისწავლით...

ფიქრებში გართულს არც კი გამიგია, როდის ჩავედით სალიბაზარში, რაიონულ ცენტრში.

მანქანიდან გადმოვედით. ჩვენ წინ მდგარ სახლზე აბრაა გაკრული წარწერით: „ბათუმ-აჭარის სოციალური დახმარებისა და თანადგომის საზოგადოება“. გვეთხრეს, რომ საზოგადოების ხელმძღვანელი ადემ ცენტერაძეა...

ადემის სამუშაო ოთახში მიგვიწვიეს. ავედით, გავიცანით ადემ, აჰმედ, იფან, ხასან ცენტერაძეები. კაბინეტში სხვებიც არიან, რომელთაც თანდათან გაგვაცნობენ ალბათ.

საუბარი მრავალჯერ დასმული კითხვით დავიწყეთ:

– საიდან მოსულან თქვენი წინაპრები ამ კუთხეში?

– **ბათუმიდან, ორთაბათუმიდან, მოსულან ჩვენი ძველები!**

– მეც ორთაბათუმელი ვარ, ბებიაც (მამის დედა) ცენტერაძის ქალი იყო და, გამომდინარე აქედან, ყველაფერი მაინ-

ტერესებს თქვენ შესახებ: ვინ წამოვიდა ორთაბათუმიდან, რომელი ოჯახიდან, ვინ დარჩა სოფელში...

– ახმედ ცენტერაძე წამოსულა ორთაბათუმიდან. აქ წამოსლიხან სხალი, ვაშლი... ფიდნები წამუფლიან, აქ ღუფრ-გვიან ფიდენჯულში, მოგვითხრობს ადემი, ბულდუჯაჲ სხალი, სხალ-შექარი, სხალთეთრაჲ, ყაყადი ვაშლი, ყურბენი წამუფლია, ჩხავერაჲ...

ადემს და სხვებს რაღაც ახსოვთ მაინც, ჩვენ ამდენიც არ ვიცით. ჩანს, დარჩენილი უფრო ადრე ივიწყებს წასულს, წასულს კი არ ასვენებს მშობლიური კუთხის, სოფლის თუ ოჯახის ხსონა, ენატრება... რაც დრო გადის, უმძაფრდება სამშობლოს გრძნობა, უმნიშვნელო დეტალიც კი მშობლიურის სახსოვრად იქცევა და თაობებს გადაეცემა... დროთა განმავლობაში, უცხო კულტურის გავლენით, თანდათან იბინდება მემღეკეთის ხსონა, გაბმული ისტორია ფრაგმენტებად იფლითება... აქ რაღაც ჯერ კიდევ ბუუტავს, ფეთქავს...

სწორედ ამ მბუუტავ თუ მფეთქავ ხსონას მივუსწარით ჩვენ. ეგებ ჩვენმა აქ მოსვლამ მბუუტავი გრძნობა ცეცხლად ააგიზგიზოს მუჰაჯირთა შთამომავლის გულში, და ჩვენც გაგვახსენოს ჩვენგან წასული და უცხო მხარეში გადახვეწილი მოძმე თუ წინაპარი.

დღეს ადემი გვეჯობნის წარსულის ხსონაში და ეს არცაა გასაკვირი.

– სალიბაზარში ქართველები (ჩვენებურები) რომელ სოფლებში ცხოვრობთ?

– სალიბაზარის სოფლები გითხრა? რგაჲ სოფელია გურჯული: ქესტანეფუნარი, კარადერე, ყარაჯვანის ნახვარი – მენი დოღანი, ფიდანჯული, ყარამანის ნახვარი, ოსარასანი, გა'რქერ, მუსლიბე.

ფიქრის შემდეგ ადემ ცენტერაძემ განაგრძო: „დღემდს ბაბამ წამოვდა. სავაშზე წამოვდენო, ვოთხი ძმა წამოსულა. ზოგი იქა მუუკლიან, წამოსლიხან, ჭუროხზე მუუკლიან. ცოლიანები იყვენ, ბაღნებითუნაჲ წამოსულან...“

მუჰაჯირთა ყოველ მოთხრობაში ჩანს გადაადგილებულთა ტრაგიკული ხვედრი. გამონაკლისი არც ადემის ნაამბობია.

ოთახში სამოცსგადაცილებული მამაკაცი შემოვიდა, აბიდინ მოლლოღლი ვარო, გაგვეცნო.

გამიხარდა ორთაბათუმელი მოლლოღლის შთამომავალთან შეხვედრა, იმიტომაც რომ ოსმალობის პერიოდში ჩემი წინაპრებიც მოლლოღლის იწერებოდნენ და ორთაბათუმში ცხოვრობდნენ.

იმედი გამიცრუვდა. აბიდინმა იცის მხოლოდ, რომ მისი წინაპრები ორთაბათუმიდან წამოსულან, სხვა – არაფერი. არც ქართული იცის აბიდინ მოლლოღლიმ. ისევ ადემ ცენტრადეს მივუბრუნდი:

- სალიბაზარში ბევრი ჩვენებური ცხოვრობს?
- **ათასამდე იქნება...**

ამასობაში სალიბაზარელებმა დაინახეს რა ქართულნომრიანი მანქანა და გაიგეს ბათუმიდან არიან სტუმრებიო, დაინტერესდნენ, ადემის სამუშაო ოთახში შემოვიდნენ და გავიცანით:

იდრისად მაჭუტაძე (ინგიოღლი) ორთაბათუმიდან. მაჭუტაძეებიც ორთაბათუმში ცხოვრობენ... ბუნებრივია, დავინტერესდი იდრისის ვინაობით...

არც იდრისას ახსოვს მისი წინაპრები, იცის მხოლოდ, რომ ორთაბათუმიდან წამოსულა მისი დედეო...

ფარუქ ჯაფარიძე (მინოზი) ზედვაკიდან (მაჭახელი), – გაგვეცნო შუა ხნის მამაკაცი. ასეთი ისტორიაც მოგვითხრო: „**მემიადა წამოსულა აქით, ჯერ ხოფაში, მემრე – აქა. მემიადის ბიჭი – სალიხ-ადა, მისი ბიჭი ახმედ-ადა, იმის ბიჭი – ხუსეინად, ხუსეინადს ბიჭი ფარუქად**“ – წარმოგვიდგინა ოჯახის გენეალოგია ფარუქ მინოზმა.

- რითი ცხოვრობთ აქ, რას საქმიანობთ?
- **თხილი გვაქ იმტე, თხილ ვკრეფთ, გავყიდავთ, ვცხოვრობთ!**



საუბარში ჩაერთო ორმოციოდე წლის მამაკაცი, ჩვენებური, აქამდე გულისყურით რომ გვისმენდა: ღურსუნ იღმაზი ვარო, რეჯიოდლი: „**იქაური უფროსი ჩვენი ახრება არი, ამის ძამაძა მოვდეს** (მიგვითითებს ახალგაზრდა კაცზე – ავტ.), **ადემია მისი სახელი.**“

– „ჩემი ძმა ძალვან კად იცის“ ძველი ამბებო, – გვეუბნება ადემ ეროლის (ვარშალომიძე) უმცროსი ძმა.

ადემის მოსვლას ველოდებით. ჩაი მოგვართვეს. ვსაუბრობთ.

– **თქვენ ღრინო გიყვარან, ჩვენ ჩაი,** – ამბობს ადემ ცენტრადე ღიმილით და განაგრძობს: **იქა რაცხამდეღი ღრინო დაღიო, ოტკა დაღიო, არ გწყენულოფს, აქ რაიზა გწყენულოფს?**

– აქ ქალების გეშინიათ და იმიტომ გწყენთ ღვინო და არაყი, იქ ქალები არ გახლავთ და სასმელიც არ გწყენთ-მეთქი, ვეუბნები.

– **მასეა!** – მხარი ამიბა ადემმა.

ჩვენს საუბარში ოთახში ადემ ეროლი (ვარშალომიძე) შემოვიდა, კარგი მექართულე, წარმოსადეგი მამაკაცი. გაგვეცნო, სათითოდ მოგვიკითხა. ოჯახში მიგვიწვია: წამოდით, ბაბასთან მიგიყვანთ, იმან იცის ძველი ამბები, სიხარულით მოგიყვებათო.

ჩვენც სხვა რა გვინდოდა, სიამოვნებით დავთანხმდით.

გარეთ გამოვედით, კარგა ხანს ველოდეთ ნუგზარის მოსვლას, გაერთო თურმე სალიბაზარის „ღირსშესანიშნაობებით“ და...

სალიბაზარს ღრმა ხევი ჩამოუდის, სიღრმე 10-12 მეტრი მაინც ექნება, სიგანე – 20-25. რამდენიმე დღის წინანდელმა კოკისპირულმა წვიმამ ეს ხევი აავსო, – გვეუბნება ადემი. მოვარდნილი წყლის ნაკვალევი დღესაც ეტყობა ხევს.

მაინც რა დელგმა მოვიდა სამსუნის მხარეში ამ დღეებში!

მანქანაში ჩავსხედით, მალე ფიდენჯულში ვიყავით. სიხარულით შეგხვდნენ ვარშოლომიძეების მრავალსულიან

ოჯახში. ახლა ზაფხულია და ჩანს, შვილები, შვილიშვილები, შვილთაშვილები (ოჯახის რამდენიმე თაობა) სოფელში შეიკრიბნენ, აქ ატარებენ ზაფხულის არდადეგებს.

ადემი სახლში შეგვიძღვა მე, მალხაზს, ზაზასა და ლაშას და მოხუც მამასთან, ჰაჯი ომერ ვარშალომიძესთან წარგვადგინა.

გავიცანით ბატონი ომერი. ვიდრე ოპერატორი ოთახში ვიდეოკამერას გამართავდა და მალხაზი მასპინძელს ჩასაწერად მოამზადებდა, ადემს ვესაუბრები:

– რამდენი წლისაა მამა?

– **ოთხმოცი და კიდევ თოთხმეტის**, – მპასუხობს.

ოთხმოცდათოთხმეტი წლის ბ-ნი ომერი კარგად გამოიყურება, მაღალი, წელში გამართული... შეიძლება ითქვას, წლები ამშვენებს მოხუცს, მძიმე ტვირთად არ აწევს მის სხვეულს თითქმის საუკუნის სიმძიმე.

ჩაი მოგვართვეს. ვსხედვართ ჰაჯი ომერის სახლის მისაღებ ოთახში და ვუსმენთ მასპინძლის ემოციურ საუბარს. იქვე ბ-ნი ომერის ვაჟებიც სხედან და ვინ იცის, მერამდენედ გულიყურით უსმენენ მამის მონათხრობს. მათ ქცევაში მამისადმი განსაკუთრებული მოკრძალება და პატივისცემა ჩანს, რაც ასე თვალში საცემია აჭარაში (საქართველოს სხვა კუთხეებშიც).

– **ხაჯი ოსმან-აღამ გადმოვდა. იმის დიდი სულეიმან-აღა, შვილი აჰმედ-აღა, – დაიწყო ჰაჯი ომერმა, იმის ფეშინში ომერ-ეფენდი (აჰმედ აღას ძმა) და სულეიმან-ეფენდი. სამი ბიჭი აქ გადმოსულა, ორიცდა იქ დარჩენილა, ჰამა იქაფრის სახელები არ ვიცი... სულეიმანის შვილები: აზმი, ჰაჯი ომერაღ (მე ვარ), აადემი, დურსუნი, ეროლი (ჩემი შვილები), ულფეთაღ, ჰურმეთაღ.**

ადემის შვილები: რუშანე (ვაჟი), რუქიე, ნააზირე.

რუშანეს შვილები: მერთი და მელექი.

რუქიეს შვილები: აღიჰანი, გამზე, ბეითულა, აიშენური.

ნააზირეს შვილები: ხუსეინაღ, ჰათიჯე, სეიდე.

მოკლედ დაგვიხატა თავისი ოჯახის გენეალოგიური ხე ბატონმა ომერმა. გზადაგზა უფროსი ვაჟი, ადემი ახსენებდა ზოგიერთ დეტალს, მაგრამ უჯავრდებოდა მოხუცი, მაცადე, შენზე კარგად ვიცი, რასაც ვლანაპარაკობო.

იქიდან გადმოსული აჰმედ-ალა ბინ ბაში ყოფილა, ხაზ-გასმით ამბობს ჰაჯი ომერი. აჰმედ-ალას აქაურობა, დენიზის ქენარი დუჟელია; ჰუქუმეთს უთქმია, რაცხამდენი გინდებიან (მიწა – ავტ.) მოქცემთო. ჩეშმა ყოფილა (წყალის ყუდ), წყალი უსმიან, ვერ დუჟლევიან, ცხენს დაგალევიოთო, არ დუჟლევიან...

– აქ არ გვინდაო, უთხრობია ჰუქუმეთისთვინ.

– რაფერი აღგილი გინდებიანო! – ჰუქუმეთმა.

– ჩვენ აღგილზე წყალიდა იყოსო, ჰავადა იყოსო!

აქ მოწონებიან, დამუდარან!

– რა იცით, რატომ წამოსულან თქვენები ბათუმიდან?

– იქიდან წამოსლის ხებერი მე ასე ვიცი:

აჰმედ-ალაიზა უთქმიათ ქი უჩუმარაო, თქვენ აქიდან გეექცით, აქა თქვენ არ'და დაგტიონ, დაგკლან'დაო. მაშინ აჰმედ-ალას დუჟუფიქრებია... აქეთ წამოსულა, აქავრობა დუჟუფლია. თურქიეს უთქმია, რამდენიც გამოსხვალთ, გამოითო. აჰმედ-ალას აქავრობა მოწონებია, დაბრუნებულა, სამმა გადმოვდა აქეთ. გზად მოჭრილა, ორი ძმად იქ დარჩენილა, სამი აქ წამოსულა. ი ორი ძმადს ერთი ძმად აქ გადმოსულა, სად არის არ ვიცი...

– მაინც რა გვინდაო, რუსებმა?

– და მუსლიმანობა დატიოთ'და, და აქიდან წეხვიდოთ'და! აგინიც ამდგარან და წამოსულან.

– იცნობთ ბათუმელ ნათესავებს?

– გორბაშოვმა რომ კარები გააღო, ალი ბუძიამ აქ გადმოვდა, ერთმანები ვნახეთ. მემრე სხვებიც მოვდენ.

– თქვენს მოსვლამდე ამ სოფელში ვინ ცხოვრობდა?

– მაშინ ჩვენები რომ გადმოსულან, ერმენები გუჟიან.

– თურქებთან არ იხუბებდით?

– ჩვენებურებისთვის თურქებ დუმანები დურქმია. ერ ადგილ, ბულუთ ვეტყვით, კამ წყალი იყო, ჩვენებურებმა არ დედაკაონო, ნაცარი დურყრია, წყალი დედაქოსო... ჩვენებურები მაინც დამყდარან. ჩვენებურები დიქი კაცები ყოფილან. ჩვენებურები – ათი, იგინები – ოცი, აშინებდენ. ახლა მმასავენ იქცა. კამ დიქი კაცი არ ყოფილიყვენ, იგინი ამათ არ გააჩერებდენ, გააძებდენ.

ჰაჯი ომერ ვარშალომიდის მოთხრობიდან ვრწმუნდებით, რომ ჩვენებურების დამკვიდრებას ამ კუთხეში გარკვეული ძალადობაც ახლდა. არავინ დახვედრია სიხარულით სოფელში მოსულ უცხოელს. წყალსაც კი უმაღავდნენ ახალმოსულს, წყალს კი მტერსაც არ დაუმლის მორწმუნე კაცი.

– კიდევ რას გაიხსენებთ ძველი ცხოვრებიდან?

– რა გეგხსენო? თქვენ რა გინდებიან? კიდევ, ფაზარ დღეს ქორწილ იქდენ. ბაქლაგას გააკეთებდენ, შერბეთ მუასხამდენ, დიდ კაცთან ბაქლაგა მივდოდა, სოფელში დაარიგებდენ, დაპაიჯებდენ...

ბატონი ომერის საუბრიდან კარგად ჩანს დაპატიუების აქაური წესი: გარკვეული რიტუალის სახეს იღებდა ბაქლაგის (ზოგადად ტკბილეულის) მირთმევა და ქორწილში თუ სხვა წვეულებაზე მეზობლისა თუ ნათესავის მოწვევა...

– ნადს გააკეთებდით ალბათ ყანის მოთხრისას ან სამარგელში. სიმღერა თუ იცოდით ნადში?

– ნადს ვიზამდით. ყანაში წვედოდენ, ჩვენებურად იმღერებდენ:

სირა-სირა ბალებიო  
ზედ გესულან ქალებიო,  
ჩამოფ ძირში, ვუთხარი,  
დომიყლიპეს თვალები!

– აქ თქვენს გენჯობაში (ახალგაზრდობაში – ავტ.) ძველებური სახლები იქნებოდა. თურქებს როგორი სახლები ჰქონდათ?

– თურქების სახლი ერთი ოდა იქნებოდა, შვაზე ცეცხლი იქნებოდა, იმ ცეცხლის ეტრაპზე დაწვებოდენ. აირი, აირი ოდიები არ იცოდენ.

– კერძები (საჭმელები) გურჯებმა უფრო კარგი იცოდნენ თუ თურქებმა?

– ენ კამ საჭმელები ჩვენ ვიცით: ჩვენებურად ყველ ვეტყვით, იმა გააკეთებდენ, ზეთიანი ქათამი, ზეთიანი თევზი, ლობია, ნიგოზით შენელებული ფხალი... ბევრი საჭმელები ვიცით.

– ისამებდით?

– გურჯი ხორუმ ისამებდენ, კაც იეტირებოდა, ახლა არ იციან!

თოფი მქონდა ჯანგარა,

ხან ვარდება, ხან – არა! – სიმინდში ჩივოდენ.

– რას ეტყვით ბათუმელ ვარშალომიძეებს?

– ალი-აღას, თელს ოჯახს ჩეგვხუტები, თვალზე ვაკოცებ. კამ იყვენ, მინდა. ჭკვაში თლათ იქავრობა მაქ. დემესიზმება, თლათ იქა ვარ. ლევანის ჩახუტება ჭკვიდან არ გამომივა, ძველი ამბებიც იცის...

– სიზმარში გურჯულად დეილაპარიკებ თუ თურქულად?

– ეკითხება მალხაზი.

– სიზმარში აინი გურჯულად, თურქულად არ დემესიზმება!

ბათუმელი ნათესავების ხსენებაზე თვალები აუწყლიანდა ჰაჯი ომერს. თავი ძლივს შეიკავა...

სანამ ჰაჯი ომერ ვარშალომიძე სიზმარში მემლექეთში დადის, სანამ სიზმარში ქართულად ლაპარაკობს, მანამ მუჰაჯირების ეროვნულ იდენტობას საფრთხე არ ემუქრება. საფრთხე არ ემუქრება ჰაჯი ომერის შვილების იდენტობასაც, მაგრამ როგორ წავა შვილიშვილებისა და მომდევნო თაობის ნაციონალური შეგნების საქმე, ამის წინასწარმეტყველება ძნელი აღარაა, თუ გავითვალისწინებთ, რომ შვილიშვილებმა ქართული არ იციან (შვილთაშვილები კი პატა-

რები არიან და ქალაქში განსხვავებულ გარემოში იზრდებიან), იციან მხოლოდ, რომ ჩვენებურები არიან...

შვილებს მიუბრუნდა ბატონი ომერი, ეზოში გავიდეთ, „სურათი გამოვწვიოთ“, სერზე გავიდეთ, ეზო-კარი დავათვალიერებინოთო სტუმრებს.

ეზოში გამოვედით. ექსპედიციის წევრები ჯგუფ-ჯგუფად მუშაობდნენ, უკვე გაშინაურებულიყვნენ... ეზოში ერთად გადავიდეთ სურათი სტუმარ-მასპინძლებმა, შემდეგ გაგვიძღვა მოხუცი შვილებთან ერთად საკარმიდამოს დასათვალიერებლად...

თხილის დიდი ბაღები აქვთ სალიბაზარელ ვარშალომიძეებს. ეს თხილი ჩემი გაშენებულიაო, ჰაჯი ომერმა, მიწებიც მე ვიყიდეო... ერთი საიდუმლოც გაგვიმხილა მასპინძელმა: თხილი ბათუმიდან მოიტანესო ამ კუთხეში, „ჩემ დედს ფიდანო ცხენზე დუჟკრია, ისე მუუტანია“.

ბევრგან მოვისმინეთ ანალოგიური მონათხრობი.

მშვენიერი ეზო-კარი აქვთ ვარშალომიძეებს ფიდენჯულში: რამდენიმე ჰექტარი თხილის ბაღი, საკარმიდამოში სხვადასხვა ხილი, მოზრდილი, ორსართულიანი სახლი ვრცელი ეზოთი, ეზოში საქონლის საკმაოდ დიდი სადგომი – ძროხებს ვზრდი და ვყიდო, ხორცს ვამზადებო, ომერის უმცროსმა ვაჟმა, სხვა დამხმარე ნაგებობანი...

ჩვენი წამოსვლის დროც მოვიდა. დავემშვიდობეთ ცრემლმორეულ ჰაჯი ომერ ვარშალომიძეს, ამაყ ჩვენებურს, მის სტუმართმოყვარე ოჯახს: მეუღლეს, შვილებს, შვილიშვილებს, შეილთაშვილებს... მანქანაში ჩასხდომას ვაპირებთ.

– უსადილოდ ვერ გაგიშვებთ, ბაბაე გვიწყენს, სალიბაზარში ჩავიდეთ, ვისადილოთ და გაგაცილებთ, – გვეუბნება ადემ ვარშალომიძე.

ვატყობ, ახლა ის შემთხვევაა, უარის თქმას აზრი რომ არა აქვს. დავთანხმდით. სალიბაზარში ჩამოვედით. ლოკანტაში მიგვიწვიეს.

სახელდახელოდ ვისადილე და ჰაერზე გამოვედი, სხვები ჯერ კიდევ სადილს განაგრძობდნენ. ვხედავ, ლოკანტის

კარებთან მოხუცი ზის, ჩაფიქრებული, სიგარეტს ეწევა, ეტყობა, ჩვენებურია. ვუყურებ და მიკვირს, ტყუპის ცალივით ჰგავს მამაჩემისა და ჩვენი ოჯახის მეგობარს, ორთაბათუმელ დურსუნ ჩახვაძეს. ბავშვობიდან მეხსიერებაში დამრჩა დურსუნ ბიძიას (ასე მივმართავდით მას – ავტ.) მიხერა-მოხერა, საუბრის მანერა, მახსოვს მისი საოცარი იუმორით შეზავებული საუბარი. გამოლაპარაკება გადავწყვიტე.

– სალამი, მივესალმე მოხუცს.

– **ააღეიქუმ სალამ! გურჯი ხარ?** – მეკითხება.

– გურჯი ვარ, ბათუმიდან მოვედით, ჰაჯი ომერ ვარშალომიძეს ვსტუმრობდით ფიდენჯულში. თქვენ ჩვენებური ხართ?

– **ჰო, ჩვენებური, დედედ ორთაბათუმიდან მოსულა...**

– მეც ორთაბათუმიდან ვარ, ფალავა, თქვენ რა გვარი ხართ?

– **მე ოსმანაა ჩახვაძე ვარ, ოთხი ციცი და ორი წლის ვარ!**

– იცით, ოსმან ბატონო, რომ დაგინახეთ, მივხვდი, რომ ორთაბათუმელი იყავით, ისიც ვიფიქრე, ჩახვაძე ხომ არ არის-მეთქი, იმდენად ჰგავხართ დურსუნ ჩახვაძეს, „ბაბაღს ახრახას,” ამიტომაც გავბედე და მოვედი თქვენთან-მეთქი.

გაეღიმა მოხუცს. არ ვიცი, რამდენად დამაჯერებელი იყო ჩემი ნათქვამი, მაგრამ გულწრფელი ნამდვილად ვიყავი...

ერთხანს ვისაუბრეთ. უჭირს ქართულად ლაპარაკი ბნ ოსმანს, მაგრამ აზრის გამოთქმას ახერხებს. მას ახსოვს ძველთაგან გაგონილი, რომ „დედედ ბათუმიდან, ორთაბათუმიდან მოვდა,” რომ დედეებს ბათუმში მაღაზიები ჰქონიათ, მდიდრები ყოფილან, რომ რუსის მოსვლის შემდეგ მუჰაჯირად წამოსულან...

– ძალიან გამიხარდა თქვენი ნახვა. ვიცნობ ბათუმელ ჩახვაძეებს, რომ ჩავალ, ვეტყვი, რომ მათი ნათესავი გნახეთ სალიბაზარში.

– **კად იყოს ყველა იქავრები!** – დალოცა ბატონმა ოს-  
მანმა ბათუმელი ნათესავები.

დავემშვიდობე მოხუცს. დასამშვიდობებლად ხელი გამო-  
მიწოდა, თბილი მზერით გამომაცილა, ეტყობოდა, ნასიამოვნ-  
ები დარჩა ჩემთან საუბრით...

შუადღის ოთხ საათზე ქალაქში ჩამოვედით. ნევზეთ ნო-  
ლაიდელი შეგვხვდა და ქალაქის განაპირას სასაფლაოებზე  
წავგიყვანა. იქ ძველი ხის ჯამეა კრამიტით გადახურული.  
საინტერესო ნაგებობაა: კედლის ფიცრები მთლიანია: სიგ-  
რძე 18 ნაბიჯი, სიმაღლე 3 მტკაველი, სისქე 1 მტკაველამდე.  
ფიცრები ცულითაა გათლილი. ჯამის ჭერი მოხატულია, ამ-  
ბობენ, მშენებლობისდროინდელი. ჯამის ზომებია 18X18 ნა-  
ბიჯი, შესასვლელის მხარეს აქვს პოლი (პავლი, როგორც აქ  
უწოდებენ). ხოჯამ წარწერა გვაჩვენა, კარგად არ იკითხება.  
ზაზას დაკვირვებით, თარიღი უნდა იყოს – 985 წელი ჰიჯ-  
რით. მნიშვნელოვანია ისიც, რომ ამოდენა შენობაზე ლურ-  
სმანი საერთოდ არაა გამოყენებული...

შეიძლება ითქვას, ხითხურობის იშვიათ ნიმუშთან  
გვაქვს საქმე.

შემდეგ აღიმ და ნევზეთმა ისკენდერ ნოლაიდელის საფ-  
ლაზე მიგვიყვანეს. საფლავის ქვაზე ქართული წარწერაა:  
„სახსოვრად მამას შვილი ენვერისაგან“ (1893-1963).

მართალია, საფლავი და წარწერა ძველი არაა, მაგრამ  
აქ საფლავის ქვაზე ქართული წარწერა მნიშვნელოვანი  
ფაქტია.

ამ კუთხეში ბევრი ქართული სოფელია: **ჩათაქი, ქვემო  
ქესთანეფინარი, ზემო ქესთანეფინარი, ფიდანჯიქი, ყარაჯოე-  
ლენი, სარახანქო, თერმექო, ჰუსეინ მესჯიდი, ამაზმა, ყა-  
რამანის ნახევარი**, „თეელში წესული ვარო“, ამბობს ბ-ნი  
ალი, ჩვენი დღევანდელი მეგობარი.

საღამოს უნარშეზღუდულ ბავშვთა საგანმანათლებლო  
ცენტრში მიგვიწვიეს, შევხვდით მის დირექტორს, აჰმედ ილ-  
მაზს.



კარგი საქმე გაუკეთებია აჰმედს, შესანიშნავი ბაზები შეუქმნია უნარშეზღუდული ბავშვებისათვის: სკოლა გრანტებით მუშაობს, კარგი დაფინანსებაც აქვს. რაც მთავარია, აქ ყველა პირობაა, რომ ბავშვი განვითარდეს და შესაბამისი განათლება მიიღოს.

„მე სხვა საქმე მქონდა, სმენადაქვეითებული შვილი მყავს და ამიტომ გავხსენი ეს სკოლაო,“ – გვეუბნება აჰმედი. ამჟამად 600-მდე ბავშვი სწავლობს სამსუნის რაიონებიდან.

ბარემ ვიტყვი, რომ აჰმედი ქართულად კარგად ლაპარაკობს. საერთოდ ენერგიული და მხიარული კაცი ჩანს ჩვენი მასპინძელი. რამდენიმე საინტერესო ფრაზა ჩავიწერე აჰმედთან საუბრიდან:

– ერთი ფემბას ტელეფონი დუურტყა, დაგალაპარაკოთნა.

წაყაფათმიშებუღია ტელეფონი, წაყურებუღია! – თქვა დარეკვის შემდეგ

- ბაბას ნენე უნიადღან გამუუქცევიას;
- ხისიმებმა უნახიან, იტირენ, ნენეს ჩეესუტენ;
- ორგობლობას (ურიგობას) ზღვა დუულევიასო;
- ზღვა დეეწვისო;
- სამას გაგაკეთებთ, გურჯი ხორომ ჩავარტყამთ;
- ეს ახლა რანა ვქნა, მოვსვანა? (ღვინოზე გვეუბნება,

დავლიო უნდაო? – ავტ.)...

აჰმედმა შემოგვთავაზა, ქალაქის ქართველების უბანში წავიყვანოთ, იქ სულ ჩვენებურები ცხოვრობენ, შეგახვედრებოთ. შემდეგ ვილაცას დაურეკა... რამდენიმე წუთში დათქმულ ადგილას ვიყავით.

მოიყარეს თავი გურჯებმა, ბევრი არიან, ვსაუბრობთ. ძნელია, რაიმე გაბმული ტექსტის ჩაწერა, მაინც ვცდილობთ. უპირველესად, ექსპედიციის წევრები განცალკევებას ვცდილობთ, ერთმანეთს ხელი რომ არ შევეშალოთ. მალე ყველა ჩვენი საქმით ვიყავით დაკავებული:

– ლაშას ვიდეოკამერა სამფეხაზე შეუყენებია და გადასაღებად მოუმზადებია;

– მალხაზი ფოტოებს იღებს;

– სხვები ვიწერთ: ვინ ხელით, ვინ აუდიოკესეტებზე, ვინ კიდევ ტელეფონის აპარატით...

ისმაილ გორგაძე, მაჭახლეელი მუჰაჯირის ჩამომავალი, ჩამომიჯდა ძელსკამზე სალაპარაკოდ:

– ჩვენე მაჭახლეელი ვართ, ბოლქვაძე ნენემს თერეფი, ჩონახიძე მი ზედვაკიდან. ჩვენ იქიდან მოსული ბაძრახტაროღლი ვართ...

ბევრი ვერაფერი მიამბო ისმაილ გორგაძემ, „მეტი ვერ მუაფერა“.

იქვე მდგომ ოსმან გოგოლაძეს მივუბრუნდი: მობრძანდით, ვილაპარაკოთ!

– სადაური ხართ? საიდან მოსულხართ აქ?

– ჩვენე აქ მოვედით, ჩემი ენ ბაბას დედემა მოსული. ბაბაღს დინეღ აქ მოსულა, ორი ბიჭი, ერთი – ციცაღ. აქაურობა დუჟაკოღია: ჰაცხანე წყალია, იქ წევღა დაილაზე!

ამ მონათხრობიდან მოდი და გაიგე, საიდან მოვიღა ოსმანის დიდი დედეი. მთავარია, რომ „ენ ბაბას დედეღ მოვიღა“, რას ვიზამთ, რაც იცის მთხრობელმა, ის გვითხრა და ისე გვითხრა, როგორც შეძლო.

– ჩვენებური სიმღერა რომ იცოდეს, ისეთი ვინაა თქვენში? – ვკითხულობ.

ჩემს კითხვაზე ერთმანეთს გადაულაპარაკეს:

– ჩვენებურად სიმღერა ოსმანამ იცის სულ კაღ!

– ვინე?

– ფეემის ოსმანამ და!

– ვინე? (განმეორებით იკითხა ერთმა, რადგან ვერ გაიგონა ნათქვამი).

– ფეემის ოსმანამ! – ხმას აუწია ინფორმატორმა.

ფეემის ოსმანად ახლა აქ არ არის, ამიტომაც ვერ გავიგებთ, იცის თუ არა „სულ კაღ“ სიმღერა.

– **წინ-წინ ბანის იჯებოდენ, ახლა აღარ იციან, გადავარდა,** – მეუბნება ოსმან გოგოლაძე.

ბანიც სცოდნიათ აქაურ მომღერლებს. ჩანს, აქ მართლაც კარგად მღეროდნენ. საინტერესო ცნობაა.

ასეთი ფრაზები ჩავიწერე:

– **ზემ ამოვდა (გათენდა), ზემ ჩვიწრიტა (დაღამდა).**

ძველი ნაწერები, გურჯული ძაზეები ხომ არ გაქვთ სახლში ძველებიდან დარჩენილი?

– **ჩვენი სახლი იყო, ზანდულში ძაზეები იყო, დეიწვა!** – მპასუხობს ოსმანი.

ოსმან გოგოლაძეს ასოვს მამის ნათქვამი: „ჩვენი სახლის ქვეშ წისქვილი ყოფილა ზედვაკეში“. იქ არასოდეს ყოფილა იგი, მაგრამ რომ მივიდეს, აუცილებლად იცნობს იქაურობას...

არავინ იცის, მივა თუ არა ოსმან გოგოლაძე ზედვაკეში, მოძებნის თუ არა წინაპართა ფუძეს, მაგრამ რომ მივიდეს, იცნობს. ასე სჯერა მას და მეც მინდა დავუჯერო. დმერთმა ინებოს, რომ ოსმანმა იცნოს „დედემს სახლი“, „წისქვილის ზედდან“ რომ იდგა...

ჩვენს საუბარში მურად ნოლაიდელი (აქყაია) მოვიდა.

მურადი ქობულეთელია, კარგად ლაპარაკობს ქართულად, საქართველოშიც ყოფილა, იცნობს აქაურ ნოლაიდელებს და სხვა ნათესავებს, „თეელი დუუვლია“.

– აქ საიდან მოსული ჩვენებურები ცხოვრობენ?

– **აქანაჲ? მაჭახლეელი, აჭარელი, ქობულეთელი. სამი ხალხია, აინი იქიდან გამოსული. პაწაჲ ლაპარიკობაში სხვადა. ლაპარიკი სხვაფერებულია, იგინის ლაპარიკი ერთმანებ არ უწყება, ადრია, მარა არ უწყება...“**

ბატონი მურადის ლინგვისტური დაკვირვება სწორი და სანდოა, შესაბამისად – მისაღები. იგი დაკვირვებასა და გამოცდილებას ეფუძნება. იცის მურად ნოლაიდელმა, რომ ქობულეთლები, მაჭახლელები და აჭარლები ერთნი არიან, მაგრამ განსხვავებული, მათი მეტყველებაც ერთნაირია, მაგრამ მაინც განსხვავებული.

განა ჩვენც ამას არ ვამტკიცებთ?

– აქ რა გვარები ცხოვრობთ?

– ნოღაიდელი არის აქა, რომანაძე, ანანიძე, ქათამაძე... ყველას ძე აქვან. აქა სხვადასხვა გვარებს ჩივიან, ჰამა ასე არ არი. აქა ბევრმა, ჩარჩამბაძეს ხალხმა, გვარი არ იციან. შენიშენის შემდეგ მურადმა გააგრძელა: მესხიძეც არი, ჯინჭარაძე, პაპუნაიშვილი, კვესიაძე... იგინმაც იციან, მარა ბევრი არ იციან, შაქარიშვილებიც არიან. ყველას ვერ ვიხსენებ, ჰამა ბევრი არიან ყორღანის სოფლებში...

ლიდხანს ვისაუბრეთ ჩვენებურებთან, ჩაი მოგვართვეს, ხილი და ყავაც...

ნაყოფიერად ვიმუშავეთ დღეს, როგორც სოფლებში, ისე ჩარჩამბაში. მთელი დღე მეგზურობას ალი გოგიტიძე გვიწვედა...

სადამოს სასტუმროს ბარში ავედით, ვივასშმეთ, ლუდიც დაგლიეთ... ჩვენთან სასაუბროდ დაბრუნდა ალი გოგიტიძეც. მადლობა ვუთხართ ალის დახმარებისათვის, რომ არ დაიზარა და მოგვატარა აქაურობა და საინტერესო ხალხსაც შეგვახვედრა. ალი დარწმუნდა ჩვენი მოგზაურობის მიზნის მნიშვნელობაში, ზოგიერთი რამ კიდევ გამოგვეკითხა, თავისთვის დააზუსტა რაღაცები, შემდეგ გვითხრა:

– **კად საქმეს აკეთებთ, მე'და მოვდე'და ბათუმში!**

– მობრძანდით, ბატონო ალი, მისამართებს დაგიტოვებთ, დაგვირეკე და შეგხვდებით, უნივერსიტეტში მოგვაკითხე, ძალიან გაგვახარებ. წიგნს რომ დაგბეჭდავთ, განუქებთ აუცილებლად!

– **მამია-ბეჟ, ძველი აზუბი მეგულება რამდენიმე ოჯახში, მოვნახო'და და გამოგიგზანო, დაგჭირდება!**

– მადლობა, ალი, რაიმეს თუ მოგვაწვდით, მადლობელი დაგრჩებით. ვიცი, რომ ჩვენებურებთან ინახება ქართული ნაწერები, დიდნენები და დედები რომ წერდენ ხისიმებსა და ახრებებს გურჯისტანში.

– **მინახია ამფერი აზუბი, ნეტად სად იყავით მაშინ?**

ძნელი სათქმელია, იპოვის თუ არა ბ-ნი ალი დედაბრუ-  
ლი ხელით შესრულებულ წერილებს ან სხვა ნაწერებს,  
მაგრამ რომ დაინტერესდა, ესეც კარგია. მის ცნობიერებაში  
განედლდა მემღებქეთის ხსოვნა და ესაა მთავარი.

ჩვენს ლაპარაკში ჯემალ გუჩმაინიძე მოვიდა, სამოცდაათ  
წლამდე, ჯან-ღონით სავსე კაცი. თქვენი აქ ყოფნა გავიგე  
და მოვედი სანახავად.

ბ-ნმა ჯემალმა იცის, რომ აჭარელია, დედა მაჭახლელი  
ჰყავს, ცოლი – ბოლოკაჲ. აქ გაიზარდა იგი, ქართულად  
ლაპარაკობს, ისე როგორც მისი ასაკის სხვა მუჰაჯირები,  
მაგრამ წუხს, რომ შეილებმა არ იციან ქართული. იგივე  
აწუხებს ალისაც. გვპირდებიან, ვასწავლითო შეილებს გურ-  
ჯუღს...

შუალამე გადასული იყო, სტუმრები რომ გავაცილეთ.  
მარტოდ დარჩენილს ამეკვიატა ფიქრი: ასწავლიან კი ჯემალ  
გუჩმაინიძე და ალი გოგიტიძე შეილებს ქართულ ენას და  
ადათებს თუ ქართულის არცოდნით გამოწვეული წუხილით  
დაკმაყოფილებიან?

ვინ იცის!

**19 ივლისი, ხუთშაბათი.** გუშინ, 18 ივლისს ორდღში  
გადმოვედით ქართველთა აქაურ დასახლებებში სამუშაოდ.  
ვიცით, ამ მხარეშიც მუჰაჯირთა შთამომავლებით დასახლე-  
ბული ბევრი სოფელია...

იღლით **ბურჰანეთინში** წავედით. პირველად სულეიმან  
გოხიძე გავიცანით. მისი წინაპარი ქობულეთიდან არის წა-  
მოსული მუჰაჯირად, თუმცა თავად ამბობს, ბათუმიდან მოვ-  
სულგართო, მაგრამ რამდენიმე მიზეზის გამო ვერ დავეთან-  
ხმეთ ბატონ სულეიმანს:

ა. მისი ქართული გამოთქმა, მეტყველების კილო, ქობუ-  
ლეთურია, რომელსაც ადვილად გამოარჩევს დაკვირვებული  
მსმენელი;

ბ. გვარი გოხიძე ქობულეთური გვარია.

ჩვენ დავეთანხმეთ სულეიმან გოხიძეს მხოლოდ იმ ნა-  
წილში, რომ მისი წინაპარი ბათუმიდან წავიდა მუჰაჯირად.

იმხანად ქობულეთიც ბათუმის გუბერნიის ნაწილი იყო სხვა კუთხეებთან ერთად.

ბატონი სულეიმანის ქობულეთლობის საილუსტრაციოდ მოვიყვანო მასთან საუბრის ჩანაწერს:

– მეც დამამიწყდა. **გონჯა ვარ, გონჯა. აგერ, აქანად მტკივა. ყველა ილაჯს ვერ ვხმარობთ. ბათუმიდან მოვსულვართო, ჩიოდენ. ბაბადს სოფელი აქოვრობაა. გურჯი არი, ბრეველია. თლათ გენჯებია, იშტე დიელაპარიკეთ. ნენედ შაქაროდლი [არის], ბაბად – გოხიძე.**

საზგასმული სიტყვები ქობულეთური მეტყველებისათვის დამახასიათებელი ფორმებია, შაქაროდლი და გოხიძე – ქობულეთური გვარები.

შევთანხმდეთ, სულეიმან გოხიძე დედ-მამით ქობულეთელია, ჩურუქსელი.

უჭირს ბატონ სულეიმანს ქართული, „დაამიწყდა, მისი რა ბრალია“.

იქვე ჯვალად ბეჭირიშვილს (შავიშვილს) გამოველაპარაკეთ. იგი ამ სოფელში, ბურჰანეთინში, არ ცხოვრობს, ხასანჯუდიდან, ქოროქუხიდანაა, რომელიც ბურჰანეთინის მადლაა.

– რატომ დაერქვა ამ სოფელს ქოროქუხი? რა შუაშია ქორი, ბრმა ხარი?

– ჩვენი დედები რუმ მოსულან, იმხელა ტყედა ყოფილა, ერთი ხარი დაკარქულა, სამი წელი ვერ უპოვნიან, მერე მოსულა, ერთი თვალი დაქორებია. ქოროქუხი უთხრობიან... – განმარტავს ბ-ნი ჯვალაძე.

საინტერესო ლეგენდაა სოფლის სახელწოდებასთან დაკავშირებით. ასეთი გადმოცემები საინტერესოა ტოპონიმის ეტიმოლოგიის დასადგენად. მით უმეტეს მაშინ, თუ ტოპონიმი ახალია და ნიშანი, რომლის გამოც ეს სახელი შეერქვა, ჯერ კიდევ ახსოვთ, სხვაგვარად, გეოგრაფიული სახელი ჯერ არ ქცეულა სახელ-სიმბოლოდ.

– თქვენ ახლა ჰაიდან ჩამოით? – გვეკითხება ჯვალაძე.

– ბათუმიდან! ბათუმის უნივერსიტეტის პროფესორები ვართ, თქვენს გასაცნობად მოვედით, თქვენზე წიგნი უნდა დაწეროთ.

– **ჰოო, კააა!** – ამბობს ჯელალი.

– აქ გურჯი ბევრია?

– **ბრევლია და... დიდები სულ მოკტა, დიდები წევდა... აქ სუნთელი ქობლეთია აქავრობა...**

– ჯელალ ბატონო, რამდენი დღეა აქაური გურჯების სოფლებში დაგვივართ, ყველგან ვკითხულობთ, ვერავინ აგვიხსნა, კუდიანებს ქაღს რატომ არ აძლევდით?

– **წინ წინ გოგოს არ მიცემდენ, არც აართმოდენ, ასე იყო-და... ჩვენებურები ახსი ყოფილა. შანალი ჰასანად ძალიან დიდი კაცი იყო, იტყოდა, გოგო მივცოთ, ავართვათ, ხისიმობა ვქნათ...**

შანალი ჰასანად (ჯობს ვიხმართ ფორმა ხასანი, უფრო ქობულეთურია, ქართული) გამონაკლისია, ვინც თურქებთან მოყვრობის სურვილს გამოთქვამს (უფრო მეტიც, სხვა-საც მოუწოდებს) იმათ შორის, ვისაც ამ თემაზე ვესაუბრეთ... ვესაუბრეთ კი ბევრს.

„**რაფრათ ხართ, რაფრათ?**“ – მოგვმართა შუახნის მამაკაცმა და გაგვეცნო: გოხიძე ხუსეინად (ასე გამოთქვა) ვარ, ჩურუქსუელიო. „ჩვენი გოხიძეები ძალუან კარქები არიან,“ – გოხიძეების ქებით დაასრულა თავის წარდგენა ხუსეინ გოხიძემ.

ჩვენც ჩვენი ვუთხარით!

– აქ საიდან მოხვედით, რატომ მოხვედით? – ვეკითხები ბატონ ხუსეინს.

– **სახლი, ბახი** (ასე გამოთქვა, გულისხმობდა – ბაღი. ღ:ხ მონაცველობა დაშვებულია ქართულში – ჩამწ.) **დუუტევიან, გამოქცეველან. შუქუმეთს მუუცემია აქოვრობა, არიკაცი არ სახლობდა აქა. ოთიოღლებთან ერმენების დერებია.**

– ოთიოღლები (ოთიაშვილები) აქაც არიან? ჩემს სოფელშიც ცხოვრობენ, ორთაბათუმში.

– **ოთიოფლი არის აქ, ართმელაძე, ათაბაგი, ფეხიანოფლი, ქათამაძე, შავარდნაძე (შავართნაძე), ასანოფლი, გოგოფლოფლი, სადარაძე, ჩოლოფლი, გოგიტიძე, სამკაცოფლი... ბროფლი არი აქა!**

მართლა რამდენი გვარი გეხედება საქართველოდან ასე შორს. ზოგიერთი გვარი, ჩანს, მთლიანად აყრილა და გადმოსახლებულა. ქობულეთში დღეს აღარ ჩანს **ფეხიანოფლი** და **სადარაძე**... შესაძლებელია, ამ გვარის წარმომადგენლები დარჩნენ საქართველოში და სხვა გვარს იწერებიან...

– **გელაძე არი! იგიც იქიდან მოსულია, ბათომიდან მოსულია. აფრი სახელი დუურქმიან აქა...**

ხუსეინ გონიძე სწრაფად ლაპარაკობს, საერთოდ, შეიძლება ითქვას, კარგი მოლაპარაკეა, ამასთან დაკვირვებული და გონიერი. ჩანს, უფიქრია მუჰაჯირთა ბედზე. დარდობს, რომ მალე აქ გურჯი აღარ იქნება: „**ჩვენ მერე აღარ იქნება გურჯი: გურჯი ვარ, იტყვის, ენა არ ვიციოთ, მერე იგის დაამიწყდება...**“ – ამბობს ხუსეინი.

ძნელად გასაგონია, მაგრამ რეალობაა ბატონი ხუსეინის ნათქვამი: ახალთაობის დიდმა ნაწილმა ენა არ იცის, მაგრამ იცის, რომ ქართველია, გურჯია (მშობლები და უფროსი თაობა ლაპარაკობს ქართულად, ქართველობს, მშობლების მიბაძვით თავადაც „ქართველობს“); ასე თუ გაგრძელდა, მომავალ თაობას ქართული აღარ ეცოდინება, არც ქართული ტრადიციები, ახალ კულტურაში აირევა მთლიანად... ასე რომ, აქვს ხუსეინის დარდს საფუძველი, საუბედუროდ მყარი საფუძველი.

– შენმა თორუნებმა არ უნდა დაივიწყონ, გურჯები რომ არიან, ქართულიც უნდა ასწავლოთ, მემღეკეთზე ესაუბრე, შეუეკვარდება, ჩამოვა საქართველოში, გაიცნობს... აღარ დაივიწყებს რომ ქართველია...

– **კაფა, მარა ისწავლის?!**

– უნდა ისწავლოს! თქვენ უნდა ასწავლოთ, მშობლებმა! თქვენი ბადიშები თურქი რატომ უნდა გახდნენ?



– თურქს კუდურად უჩივიან, ეტყვიან, რა ვიცი! ისინიც იტყვიან: კოზაკ მუხაჯირლარ, კვახე მუჰაჯირიო, იმას ნიშნავს.

– კაცო, არ გათურქოდეს, იმას კი არ ნიშნავს, თურქი არ უყვარდეს, არ იმეგობროს მასთან... იმეგობროს, ისაქმოს მასთან ერთად, ოღონდ არ უნდა დააგიწყდეს, რომ გურჯია, ქართველია...

მოხსუთ გოხიძის (სოფლის მამასახლისია) ეზოში ვართ. აიშე ომეროღლიც აქვეა, მოხსუთის დედა. მოხსუთმა ცუდად იცის ქართული, დედა – კარგად ლაპარაკობს. დედა-შვილის საუბრის რამდენიმე ეპიზოდი ჩავიწერე, სადაც კარგად ვლინდება ქობულეთური კილოკავი:

– აქა, შიმდი, გარბეგებული არ არი, ყორიფერი ძერზე არი. შენ გაკითხავს, კამ თუ ხარ, ეყვანს.

– აქიდან ვერაკაცს ვერ ნახავ!

– ად სოფელი სულ რომ მომცე, ვერ წამუალ.

– ჩვენებური პაწად სოფელში არ იცდის, გეზდება ქალაქში ჩევა, დაჟდება...

– როდის მიხუალ ბათუმ?

– ორშაბათს!

– ორშაბათს წახუდოთ'და?!

სოფელი ბურჰარეთინი ქალაქიდან ექვს კილომეტრშია: ფერდობებზე შეფენილი ულამაზესი სოფელი, ლამაზი სახლებითა და ხეხილის ბაღებით: თხილი, ვაშლი, მსხალი, წყავი, ტყემალი... სიმინდის ყანები, ლობიო, მხალი...

ბურჰარეთინში გვითხრეს, რომ მსხლის რამდენიმე ჯიში აჭარიდან მოიტანესო, გაგვასინჯეს. ასეთი მსხალი ჩემს სოფელშიც მინახავს; როგორც ამბობდნენ, ბაბუას ძმის დარგული იყო, სხვა მრავალგვარ ხეხილთან ერთად. წისქვილის ბენდში იდგა ის მსხალი, გემრიელი, წვნიანი ნაყოფი ჰქონდა, ახლაც დგას თუ არა ვერ ვიტყვი, ზუსტად ისაა. იმ მსხლის სახელი არ ვიცოდით, **დელის სხალს** ვეძახდით, არც აქ იცინან! მუჰაჯირთა შთამომავლები ასეთ შემთხვევა-

ში იოლად გადიან, **გურჯულას** დაუძახებენ და მორჩა, ჩვენ კი ბაბუას დარგული მსხლის სახელი არ ვიცით...

ბურჰარეთინლებმა თბილად მიგვიღეს, გვიმასპინძლეს...

ბადე დავინახეთ გაკიდული. ვიკითხე, ამ ბადით ხომ არ ნადირობთ-მეთქი.

– **მწვერზე ავით (ბადით – მ.ფ.) ვინადირებდი. მერე ასე დიდვანი ბადეები იყო მოქსოვილი, გაგვიღებდით ბადეს, ბაღნები იყვრებდნენ, ჩიტი გიეხვეოდა...** – გვიხსნის ბატონი მითჰათი.

ეს ხომ ფრინველზე ნადირობის ისეთივე წესია, ჩემს სოფელში რომ იცოდნენ, ყოროლისთავში, ორთაბათუმის თემში. ჩვენს სოფელში, **ბარდღულს ზემოთ სასირეებია**. ეს ტოპონიმი სწორედ ფრინველზე ბადით ნადირობას უკავშირდება. ქედზე ორ მაღალ ხეს შორის ადგილს გამოკაფავდნენ, ხეებს შორის ორ ბოძს დაასობდნენ, ბოძებზე წირეხისაგან დამზადებულ რგოლებს დაამაგრებდნენ, რგოლებში თოკს გაუყრიდნენ, თოკის თავებზე ქვას ან რაიმე მძიმე საგანს დაკიდებდნენ. თოკის წვერზე ამაგრებდნენ „სასირე ბადეს“ (ასე უწოდებდნენ მას ჩემს სოფელში – ავტ.) და ბოძებს შორის გააბამდნენ, თოკს მეორე ბოლოთი ჩასაფრებლები იჭერდნენ. ნადირობდნენ გამთენიისას, ალიონზე ან საღამოს, მზის ჩასვლისას. მზე რომ ამოიწვერებოდა, ფრინველები გადაფრენას დაიწყებდნენ, გზად გაკაფულ ადგილს, სადაც სინათლე ჩანდა, აირჩევდნენ, იქით გაფრენილები ბადეში მოხვდებოდნენ, მონადირე თოკს გაუშვებდა ხელს, ბადე დაბლა დაეშვებოდა, ფრინველები შიგ ეხვეოდნენ...

რამდენიმე ასეთი სასირე იყო ერთმანეთის მიყოლებით **ბაწა ტირალაზე**. სასირეები იყო **ყვლობაზეც**.

ბარემ იმასაც ვიტყვი, რომ ყოროლისთავში არავინ იცის **სირის** მნიშვნელობა. სასირეზე კი ათასგვარ ამბავს მოგიყვებიან, თუნდაც ასეთს:

ადრე შემოდგომის თბილი დილა იყო. ჯემალ ტაფად, ცნობილი თავისი იუმორითა და, ზოგადად, მხიარული ხასიათით, ტყეში მიდიოდა მანდარინის ასახვევი ხეების მოსაჭ-

რელად. გზად სასირეზე უნდა გაველო. ხედავს, მეზობლის ბიჭებს ბადე გაუბამთ, ფრინველის (უმეტესად ტყის ქათმის) გადმოფრენას ელოდებიან. გამოვაჯავრებო ბიჭებს, უფიქრია ჯემალ ტაძას და ტყავის ქუდი ბადეში უსროლია. ბიჭებმა ფრინველი მოხდაო, სასწრაფოდ ბადე დაუშვეს, მიცვივდნენ დასაჭერად, ფრინველის ნაცვლად ქუდი შერჩათ ხელში. სერათი (ოთარ ბაკურიძეს ასე ეძახდნენ სოფელში – ავტ.), ჩვენი მეზობელი, კეთილშობილი კაცი, მხიარული და მუდამ ღიმილიანი ახალგაზრდა, არ დაიბნა, ამოიღო ჯაყვა, ბადიდან გამოიღო ქუდი და, ვითომცდა ჩიტიაო, „ქერედი“ მოაჭრა. ამასობაში ქუდის პატრონიც გამოჩნდა... არ „შეარჩინა“ ჯემალ ტაძას სერათმა გამოჯავრება... ხშირად იხსენებდნენ ამ ამბავს მეზობლები და გულიანად იცინოდნენ...

სათქმელს გადავუხვიე, სასირე ბადეზე და ფრინველზე ნადირობის წესზე მსურდა მომეთხრო.

მითჰათ გოხიძეს მოეწონა ჩემი მონათხრობი, „კას ჩივიო“ მითხრა.

წამოვედით გოხიძეების ეზოდან. მანქანა დაბლაა გაჩერებული. ექსპედიციის წევრები სხვადასხვა ოჯახში მუშაობენ. ორღობეში მივდივართ. სოფელს ვათვალიერებთ... ვხედავთ, მაია ბარამიძე ერთ-ერთი სახლის აივანზე ზის და მოხუც ცოლ-ქმარს ესაუბრება, თან იწერს რაღაცას.

– მაია, ღამდება უკვე, წასვლის დროა! – შევძახე.

ჩემი ხმის გაგონებაზე მოხუცი წამოდგა, გადმოძახა:

– **ამოი აქა, ჭო, სა გეჩქარება, დეველაპარიკოთ!**

სალაპარაკოდ და მოსასმენ-ჩასაწერად ვიყავი წამოსული ამხელა გზაზე და უარს როგორ ვეტყვოდი, მით უმეტეს ასე გულწრფელ დაპატიუებაზე. ეზოში შევედი და აივანზე ავედი, იქ, სადაც სხვები იხსდნენ.

წინ მშვენიერი, ფართე ეზო იშლება, სუფთად მოვლილი. ეზოში მსხლის, ვაშლის, თუთის... სხვა ხეხილის ხეები დგას.

– **ხასან გურამ (სამკაცოლლი, გოგმაჩაძე) ვარ, ქობლეთიდან!** – გამეცნო მოხუცი. **ამ ჩემი ბიჭია, შაბანაა, ეს კი-**

**დეგ ფატმა, ჩემი ქალი!** – გამაცნო ოჯახის წევრები ოჯახის უფროსმა.

ჩანს, კარგი მოლაპარაკეა ბატონი ხასანი, სამოცდაათს გადაცილებული. გვებოდიშება, **მამიწყდებო რაღაცები ავანტყოფობის შემდეგ.**

– ხასან ბატონო, სამკაცოლლი რატომ დაირქვეს თქვენმა ძველებმა?

– **რეზა უთხრობიან სამკაცოლლი? მაგარი ე’რი კაცი ყოფილა, სამი კაცი წუშქცევია. მემრე იგი ხაფიზხანაში დარჩენილა. ქალ-ბაღანა არ ხავს. ყაფისხანაში (sic) სხვად მიღეთიდან ყოფილა, მეგრელი, ყაზახი ჩამოსულა იქიდან. დუშუბახნია, მოდო!**

არ მივდა!

– რაზა არ მუა ჩემთან! – უთხრობია მეგრელს.

– არ უნდაო, – უთხრობიან.

გოგმაჩაძე არ მისულა, მოვდეს თუ უნდაო!

მეგრელი ამდგარა, გასალახავათ მისულა. მარა ყველამფერი სხვანაირათ ქნილა: გოგმაჩაძეს კინები გუშუწევია ფენჯრის, მეგრელი იქიდან გუდუშუგდია. სამი კაცის ილაჯი აქო, თქვეს და სამკაცოლლი უთხრობიან.

მშვენიერი ლეგენდა მოგვითხრო ხასან გოგმაჩაძემ მისი გვარის მეტსახელის შესახებ. ვიტყვით, რომ ასეთი გადმოცემები მრავლადაა შენახული ხალხში. საინტერესოა მისი შეგროვება და ანალიზი, ერთის მხრივ, გვართა ისტორიის, მეორეს მხრივ, სახელდების საკითხების შესასწავლად.

– გოგმაჩაძე აქ საიდან მოვიდა?

– **ხასანად გამოვდა ჩურუქსუდან. გოხიძის ქალი ხავდა. აქანად სამი ბაღანად ყეოლა: ვორი ბიჭი, ერთი – ციცაჲ. ბიბილაჲ მოკტა, შვილები დაშწა. ბაბადს ე’რი ძმაჲ აქიდან ეზირჯანში საგაშში წვედა, მომკტარა. ე’რი ქალი ძიმეთ დუურჩა, ბიჭი ყეოლა...**

ბატონი ხასანი საუბრობს ცოცხალი ქობულეთური ინტონაციით. იმდენად დამახასიათებელი ქობულეთური აქცენტით, რომ მსმენელს თავი ქობულეთის რომელიმე სოფელში

ეგონება: **ხავდა, ვორი, ე'რი...** აშკარად ჩანს მის მეტყველებაში ტონური მახვილი, გამოხატული სიტყვის ბოლოდან მეორე ხმოვნის დაგრძელებით...

– აქაურ გვარებს ვერ ჩამაწერინებ?

– **დასწერე: გოგმაჩაძე, სადარაძე, წუწუნავა** (ფეხიანოლლი უგნებით), **ასანოლლი...**

– ასანოლლი თუ ასანიძე? – ჩავკითხე მოხუცს.

– **ასანიძე არ ვიცი, ასანოლლის უგნებით ჩვენ! ბაჟუნოლლი** (დეღუქ ყადას უგნებით), **ზაქარიოლლი, ჩაუშოლლი** (ჯავანაძეაო ჩივიან, საფჯასუკსაც უგნებიან)

– წუწუნავას ფეხიანოლლის რატომ ეტყვი?

– **მამტოლი არ ვიცი...**

– აქაური ქორწილის ამბავი მომიყვებით თუ შეიძლება: ქალს როგორ დაინიშნავდით, ქორწილს როგორ გადაიხდიდით... ყველაფერი მომიყვებით, რასაც გაიხსენებთ.

– **აქა ბიძაშვილზე მისლამდი ქორწილდებიან, ამა არ გარგა. ბრეველი რაცხა ვიცი და მაბიწყდება. ჩვენ სადამოს მოყვრებოდით, დავყვებოდით, ბაბაჲ ილაპარაკებდა, იგი დარჩა თავში, ჰამა თავი აღარ დარჩა.**

მახსოვრობას უჩივის ბატონი ხასანი. ინსულტი გადაუტანია რამდენიმე თვის წინ, გამოჯანმრთელებულა, თუმცა გარკვეული კვალი დაუტოვებია.

– **ე'რი რაცხა გითხრა, დიმიყურე: ხუცუბანში ე'რ სახში თუთხმეტი ოჯახი ყოფილა, ფუტი ე'რი ყელემიდან გეგდოდა... ე'რი სუფელი იყო სახში...**

საინტერესო ცნობაა. თხუთმეტი ოჯახი ერთ სახლში – პატრიარქარული ოჯახი ქობულეთში.

ჩვენს საუბარს ყურადღებით უსმენდა ქალბატონი ფატმა, ბატონი ხასანის მეუღლე, რომელიც იქვე იჯდა და ქსოვდა. თუ ქმარს რაღაც დაავიწყდებოდა, სიტყვას შეაშვევებდა, თუ შეეშლებოდა, შეუსწორებდა.

ბრაზდებოდა ხასანი, შენზე კარქა ვიცი, რასაც ვამბობო, შეუღრენდა ქალს, მაგრამ ითვალისწინებდა კი მეუღლის შესწორებას.

ამასობაში ბატონი ხასანის ვაჟმა, შაბანმა, სუფრა გაშალა და ვახშამზე მიგვიწვია. უარი აღარ გვითქვამს, ჩაი დავლიეთ და მსუბუქად ვივახშმეთ...

შაბან გოგმაჩაძემ, გაიგო რა ჩვენი მოგზაურობის მიზანი, დაგვიბრდა, ხვალ მე გაგყვებითო ორდუს ქართულ სოფლებში.

შაბანი ოჯახის ერთი შვილია, ორდუში ცხოვრობს, საკუთარი ბიზნესი აქვს, მეორად მანქანებს ყიდის, ჰყავს ცოლ-შვილი, რომელთაც ქალაქში ურჩევნიათ ცხოვრება. თითქმის ყოველ საღამოს ამოდის შაბანი სოფელში და უფლის მოხუც მშობლებს. ჩანს, ყურადღებას არ აკლებს დედმამას. კარგი ოჯახის კარგი შვილია შაბანი...

ხასან გოგმაჩაძე ბათუმში ჩამოსვლაზე ფიქრობს, სურს, კობულეთი მოიაროს, წინაპართა სოფელი ნახოს...

**– შენი ტელეფონი დიმიტიე, ჩამოვდე და ბათუმში, რუმ ჩამუალ, დიგირეკავ.**

– ჩამობრძანდით, ხასან ბატონო, ჩვენ გიმასპინძლებთ, გოგმაჩაძეებთანაც წაგიყვანთ ხუცუბანში, – დავპირდით მასპინძელს და ტელეფონის ნომრებიც დავუწერეთ.

**– ჩამუალ, თუ არ დამხდებით, ქუჩაში დავუდები, დეგელოდებით!**

– მობრძანდით, დავპირეკეთ, ქალაქში ვართ, არაა ძნელი ჩვენი ნახვა...

**– კარგი, ასე სა წეხვალ, ავად ხარ, ყველამფერი გამიწყდება, ხომ ხედავ!** – საუბარში ჩაერთო შაბანი.

**– უკვე მოვრჩი, წევალ!** – არ დაიხია მამამ.

გვიანობამდე ვისაუბრეთ ხასან გოგმაჩაძის სტუმართმოყვარე ოჯახში. კიდევ მობრძანდითო წასვლამდე, დავგვაპატიჟა ბატონმა ხასანმა.

არ ვიცი, მოვახერხებთ თუ არა ამ სოფელში ისევ ამოსვლას; თუ ამოვედით, სიამოვნებით ვისაუბრებ ბატონ ხასანთან და მის მეუღლესთან, ქალბატონ ფატმასთან.

**20 ივლისი, პარასკევი.** საუზმის შემდეგ შაბან გოგმაჩაძეს გავეუარეთ, თავის ოფისთან დაგვხვდა, **ულუბების ილჩეში** წავედით. ჩანს, შაბანი კარგად იცნობს ამ მხარეს, ბევრი ნაცნობ-მეგობარი ჰყავს ჩვენებურთა შორის, ამიტომაც იოლად ნახულობს მასპინძელს ყველა სოფელში.

პირველად **საიჯაში**, უფრო სწორედ **დენი საიჯაში** ავედით, ქართველ მუჰაჯირთა დასახლებაში.

საიჯა მთის ფერდობებზე გაშენებული სოფელია. ყველგან თხილის ბაღებია. პირველად საღაეთთინ ქავთარაძის (დემირის) ოჯახს ვეწვიეთ. ეზოში დავსხედით. ჩანს, საღაეთდინი სამუშაოდ იყო ბაღში, დაღლილია, მაგრამ ხატრს ვერ გვიტყვის, ჩვენთან ჩამოჯდა. შაბანმა აუხსნა ჩვენი მოსვლის მიზანიცა და მიზეზიც. ძნელად, მაგრამ მაინც აეწყო ჩვენი საუბარი:

– საიდან მოვიდნენ შენი დედები?

– **მაჭახლიდან!**

– ამ სოფელში ქავთარაძეების გარდა რომელი გვარები ცხოვრობენ?

– **დავთეროღლი, ბაუეოღლი, ქედაჰმედოღლი, ქეშიშოღლი, ფასიოღლი...**

ჩანს, დენი საიჯა ნარევი დასახლებაა, რაც იშვიათია ჩვენებურებში. აქ მაჭახლელებთან ერთად ჩურუქსუელები და აჭარლებიც სახლობენ.

– შენი დედე ჩამოსულა აქ?

– **ჰო, მოლა ოსმან ქავთაროღლი ჩამოსულა ქავთარეთიდან.**

– მაჭახლელებზე, ამბობენ „თერცები“ არიანო, ასეა?

– **ჩვენ სულაღემ დაგინება იცის, ჰოოო!!!**

– მარტო იგინებიან? სიმღერა, ცეკვა არ იციან?

– **ღმერებიან!**

ვცდილობ, ვათქმევინო რამე სალაეთდინს, ვერ ვახერხებ, სიტყვაძუნწობს მასპინძელი.

– გვიამბე რამე აქაურ გურჯებზე!

– **ჯო, არ მახსოვს!**

– რა არ გახსოვს? რაც გახსოვს, ის გეითხარი.

– **ძალიან ვიცოდი, მუუმდერებდი, ჰამა... არ მახსოვს!**

შემდეგ სალაეთდინმა მაინც დაიწყო:

– **ნესრეთიმ ხოჯას მარილი ღუუთესია და არ ამოსულა, რაფერ ამოვდოდა მაფლი.**

– **მარილმა არ ამოვდაო!**

– **რამ შეჭამაო?**

– **ბუზმა შეჭამაო!**

– **კახახის შუბლზე ბუზმა დაჟდა, არ გიექანო, ბუზი'და მოგეკლაო.**

– **ესროლა, მოკლა კაცი.**

**ერთი თქვენიდან, ერთი ჩვენიდანო, უთქმია!**

სალაეთდინ ბატონო, არ გეწყინოთ და... ისე გავს, ნესრეთიმ ხოჯა (ასე გამოთქვა მასპინძელმა – ავტ.) მაჭახლეელი იყო. რა გჭირთ ამ მაჭახლელებს, ხან რომ ძაღს აშრობოთ მზეზე, ხან მარილს თესავთ ყანაში, ხან ყათირს ეჯობრებით...

– **ისე იტყვიან და მე რა ვიცი!**

ჰო, თქვენი რა ბრალია, თუ „მაჭახლეელის ჭკვა შუადღემლი ისაქმებს“ (ასე იტყვიან ბაზგირეთში), „შუადღეს უკან აღარ ისაქმებს“... ვიგონებ სხვადასხვა დროს მაჭახლელებზე გაგონილ ხუმრობებს, ეგებ ხასიათზე მოვიყვანო-მეთქი მასპინძელი. ამოო გამოდგა ჩემი ცდა. ისე უნდა გაგუგოთ სალაეთდინსაც: დაღლილ, ყანაში თუ ბახჩაში ნამუშევარ კაცს მოვადექით ამ დილაადრიან და ვთხოვთ, გვიამბე, გვიმღერე... წიგნი უნდა დაგწეროთო, მასალები გვჭირდებაო. კი, ბატონო, თქვენ წიგნი უნდა დაწეროთ, მაგრამ მე რომ არ მემღერება და არც თხრობის ხასიათზე ვარ? შეიძლება, არც მეხერხება თხრობა. მესმის თქვენი, მაგრამ მეც გამიგეთ...



ხმამაღლა არ ამბობს, თუმცა მისი გამომეტყველება, დაღლილი სახე, ამას გვეუბნება...

– აქ მეტსახელები, სიგელები, იცით ალბათ, ერთმანეთს რომ „დღუჟახთ და აჯადინავთ!“

– ვიცით, გვარდად, ჩანაები... ბევრია იმფერი, არ მახსოვს.

– თქვენი სოფელი ახალია – ენი საიჯა, პირველად სად დასახლდნენ თქვენები?

– ჩვენი დიდგანები აქ რომ მოსულან, ესკი ბაზარი არია, იქ დუჟუდუმლებიან, სივრისირინგი (ბუცუნცველად – განმარტა მთხრობელმა) ყოფილა, შეწუნებულან, ტყეში გამოქცეულან მაღლა. ჩვენ მემრე ჩამუელთ აქ. აქ მემრე ჩამოსულან, ერმენები რომ გუჟიან. ჩვენ ქალებზე თვალი დარჩენიან კუდურაებს, ჩვენებს მუჟკლიან, დუჟკლიან, შუჟინებიან...

– კუდურაებს ასე უბრალოდ კლავდით?

– აქა კაცის მოკლა ჩვენებურებმა მედტანეს!

ბევრგან გვესმის სისხლიანი ამბები, ახლა კიდევ „კაცის მოკლა ჩვენებურებმა მედტანესო“ აქა, ისე ბუნებრივად ამბობს, თითქოს ეამაყება. ეს უკვე მეტისმეტია, თუმცა ამ ძალადობასაც აქვს რაღაც საფუძველი, – გადარჩენისათვის ბრძოლა, დამკვიდრების სურვილი. „კაცის კლა“ რა თავმოსაწონი საქმეა, მაგრამ ხომ უნდა გადარჩენილიყო? თავი ხომ უნდა დაეცვა? თვითონ თუ არ მოკლავდა, მას მოკლავდნენ, შეურაცხყოფდნენ, მშვიდად არ აცხოვრებდნენ. ძალა უნდა ეჩვენებინა, ძალისთვის ძალა უნდა დაეპირისპირებინა, შიში უნდა დაეთესა დაპირისპირებულ მხარეში...

ერთი იგავიც მოგვიყვა მასპინძელმა:

– ვირის სათხოვნელად მისულა მეზობელი ხოჯასთან: ვირი მომეცი, ჭვირთზე'ნა წვეყვანლო.

– ვირი სახში არ არიო, ხოჯამ.

ვირს ყვირილი დუჟწყია!

– ხოჯავ, ვირი სახშია, იტყვილებო!

– შენ ვირის სიტყვას ჯერულოვ და ჩემ სიტყვას არ ჯერულოვო?! – გაჰერსდა ხოჯამ.

სანამ ჩვენ საღაეთდინ ქავთარადის ეზოში ვსაუბრობთ, ჩვენი ქალბატონები მეზობელ სახელში გადავიდნენ ქალებთან სამუშაოდ, ნუგზარი კი სადღაც დაიკარგა ორღობეში.

სოფლის შარას გაუყევით მე და გიორგი, სოფელს ვათვალიერებთ – ენი საიჯას, სურათებს ვიღებთ, თან ნუგზარს ვეძებთ...

ვხედავთ, აივნიდან ქალბატონი იყურება, ვეკითხები:

– უცხო მამაკაცს ხომ არ გაუვლია-მეთქი აქ?

– იმ სახში შევლა, – მიმითითა გზის ქვეშ მდგარ ძეღურზე.

დავუძახეთ! ნუგზარი გამოვიდა სახლიდან: გამოვიდა კმაყოფილი, მუშაობაც მოესწრო და ვისკის გადაკვრაც. შეპატიჟა მასპინძელმა და უარს ხომ ვერ ეტყოდა?

ენი საიჯადან რეფაჟეში მივიღვართ. გზა მადლა-მადლა მიიწევს. უღელტეხილი გადავიარეთ. მშვენიერი ბუნებაა: შერეული ტყე, კარგად მოვლილი და შენახული. ნაწვიმარია, ახლაც ჟინუღლაავს. წყალთან გაგაჩერეთ მანქანა, იქვე ლოკანტაა, მემედ დემირის (ქავთაროდლი) ლოკანტა.

– პროფესორები ვართ ბათუმის უნივერსიტეტიდან, – გავეცანით ბატონ მემედს.

– მეც აქაური პროფესორი ვარ! – გაგვეცნო მემედი...

გზა გავაგრძელებთ. კარგა ხნის შემდეგ ასიმ ავჯიოღლის (სევი) დუქანთან გავჩერდით.

დუქანი მაღალზეა, 1000 მეტრზე მეტია ზღვის დონიდან, გრილა, შეიძლება ითქვას, ცივა.

ტანდაბალი კაცია ასიმი, შავგრემანი, ოდნავ შემელოტებული, საშუალო ასაკის, 60 წლამდე. ქართულად ლაპარაკობს, თუმცა გაჭირვებით.

– ჩურქესულად ხართ თუ მაჭახლედი? – გვეკითხება.

– ბათუმელი! – ვპასუხობ მე.

– ბათუმელი?! – გაკვირვებით იმეორებს მასპინძელი და უკვირს, რატომ მაჭახლელები არ ხართო.

ვთხოვეთ ასიმს, შენს დუქანში ვისადილებთო. ნება დაგვართო, სადილის შემდეგ ჩაიცი მოგვართვა. ნახევარი საათის შემდეგ გზას დაგადექით და შირინქოლში ჩავედით. ქობულეთლების დასახლებაა მთაში.

დღეს პარასკევია, უქმე. დილიდან გამოსულან გარეთ შირინქოელი ჩურუქსუელები, დუქნების წინ ჩამომსხდარან, ჩაის მიირთმევენ და საუბრობენ.

ნიზამეთდინ ბაუჟაძეს გამოველაპარაკე. მაგიდასთან მიმწვია, სკამი შემომთავაზა. ჩამოვჯექი.

– გვითხრეს, შირინქოლში ჩურუქსუელები ცხოვრობენო!

– ასეა, აქ ჩურუქსუელები ვართ.

– სხვები არ არიან?

– მთლი გითხრა: ბაუჟაძე, ტაკიძე, რომანოვლი – ჩურუქსუედან; კიბორიძე, დავითელოვლი, ყაფეჯოვლი – მაჭახლიდან, კობიაშვილი ორდუდან მოვდა, ჩურუქსუელია.

ახლა ყველაფერი გავიგე, ნარევი დასახლებაა შირინქოლ.

– რატომ ჩამოხვედით, აქ რა გინდოდათ?

– ჩვენი დედები მუსლიმანობიზა აქ ჩამოსულან: შეილები, ქალები წამუყვანიან. იგინი კად ყოფილან, ჩვენ კად არ ვართ: არ ილოცვენ, არ იკითხვენ. სხვებს კიდევ ვჯობვართ! – სინანულით ამბობს ნიზამეთდინი, თუმცა კმაყოფილია, რომ „ჩვენებურები სხვისას არ შეჭამენ, ჩვენებურები, ალლაჰა შექურ, კად არიან“.

– ჩვენებურები კიდევ სად ცხოვრობენ ამ კუთხეში?

– აქ დიმიყურე: ჯიჰადიე, უაფუნარი, ფაშაფუნარი – სამი სოფელია ჩვენი. ქალაქში ბრეველია გურჯი, გოლქოლში...

საქმეშია გართული ექსპედიცია:

– მალხაზ გზისპირას გაუყვანია რესპოდენტები და ინტერვიუს იღებს, კითხვებით ავსებს მოხუცებს, ლაშა კიდევ იღებს ყველაფერს, მასალებს მომავალი ფილმისათვის...

– ნუგზარი დუქანში მოსუცებს შორის ჩამჯდარა, იღებს, იწერს, აინტერესებს ქორწილი და კარ-მიდამო, კერია და... ცხოვრების ყველა წვრილმანი.

– თინა და გიორგი ფოლკლორულ ნიმუშებს იწერენ: ლექსი, სიმღერა, შელოცვა, ანდაზა, აფორიზმი, გამოცანა... წყველაც აინტერესებთ, ნოეს კიდობანიცა და აშურაც.

– მაია და თამარი აქვე, ჩვენებურის ოჯახში შევიდნენ, იწერენ ალბათ დიალექტოლოგიურ მასალებს...

– რუსლანი ათვალეიერებს ყველაფერს, სოფლის სასაფლაოები მოიარა, ჯამის გარშემო რომაა განთავსებული, ალა-ალაგ ჩვენც გვიღებს სურათს...

– ტარიელი ჩვენ გვიყურებს!!!

ერთ მაგიდას მივადექი: იბრაიმ კოპიაშვილი (ილმაზი), – გამეცნო, შემდეგ თანამესუფრეები წარმომიდგინა. ასაკიანი კაცია იბრაიმი, როგორც უფროს-უმცროსობის წესი მოითხოვს, მოკრძალებით სხედან მის გვერდით სხვები. თურქულად ყვება ბ-ნი იბრაიმი რაღაცას, გულისყურით უსმენენ სხვები... ჩემი მოსვლის შემდეგ ყველამ ქართულად დაიწყო საუბარი.

– **დღეღმოსულა, კოპიაშვილი მოლლა იბრაიმი ჩურუქსუდან...** დაიწყო უმცროსმა იბრაიმ კოპიაშვილმა, ბაბუის სეხნიამ. კოპიაშვილები დღეს ქობულეთში აღარ სახლობენ, არც სხვაგან გამიგონია. საქართველოში ცნობილია კოპიაშვილი. შესაძლებელია, კოპიაშვილი და კოპიაშვილი ერთი გვარ-სახელის ფონეტიკურად სახეცვლილი ფორმებია (ბ:პ მონაცვლეობით). ვინ იცის, ეგებ ასეცაა.

აღმოჩნდა, რომ ზემოჩამოთვლილ გვარებთან ერთად ამ სოფელში გვხვდება: **ოქროპიროღლი** (ტყემაკარავიდან), **მახარაძე**, **მესხიძე** (ჩაუშოდლი)...

რეჯებ გოგმაჩაძემ ჩაგვაწერინა ეს შაირები:

**წყალში თევზი ყაიმალი**

**თავს აქანებს, კუდს – არა,**

**ახლანდელი სახლის ქალი,**

**კარს დახვეტავს, სახლს – არა...**

**გოგოვ, გოგოვ, თინიკოვ,  
წუნელ შენთან ვინ იყო?  
ასი მოვდა, ასი წევდა,  
მეც არ ვიცი, ვინ იყო...**

მშენიერი ლექსია. მსგავსი სხვაგანაც ჩაგვიწერია განსხვავებული რედაქციით.

– აქ რა კერძებს გააკეთებთ-მეთქი, – ვიკითხე.

– **ზეთიანი ქათამი, ფხალი – ქინძიანი, შრალი ფხალი,**

**წვენიანი ფხალი, პარკი ღობიაჲ, დახნი, კაურმა, ბორანო...**

**ზეთიანი ქათამი** გავრცელებული და დაფასებული კერძია ქობულეთსა და ბათუმში. მას ასე ამზადებენ: მოხარშავენ დედალს, დანაყავენ (ან საკეპ მანქანაში წვრილად გაატარებენ) ნიგოზს//კაკალს, რომელსაც მოზილავენ და ზეთს გამოაცლიან, შემდეგ გემოვნებით შეურევენ მარილს, პიმპილს, ყვითელ ყვავილს, ზაფრანას, უცხო სუნელს, დაფქულ ქინძს, ყორავოს/ჟავეს... ყველაფერს ერთად გახსნიან ქათმის ბულიონში, მიღებულ ბლანტ მასაში ჩააწყობენ მოხარშულ (მოხარწულ) და დაჭრილ ქათამს, ბოლოს ზემოდან მოასხამენ წინასწარმოზადებულ ნიგოზის ზეთს...

ჩანს, „ზეთიანი ქათამი“ ქობულეთსა და ბათუმში ემიგრაციამდეც მზადდებოდა. მუჰაჯირებმა მისი დამზადების წესი მემღეპქეთიდან წაიღეს.

ქობულეთში გავრცელებული და „მთელ მსოფლიოში ცნობილი“ კერძი იყო დახნიც: დაჭრიდნენ საქონლის ხორცს („გრუდინკა“ უნდა იყოსო, ერთის ცნობით, რასაც მთლად ვერ ვეთანხმები), კარგად მოხარშავდნენ. ცალკე ჯამში დანაყავდნენ ნიგოზს, ნიორს, პიმპილს, ქინძის კაკალს, შეურევენ ზაფრანას, უცხო სუნელს, შავ წიწაკას, ყორავოს (ჟავეს, როგორც ქობულეთში ეძახიან), მარილს გემოვნებით... ყველაფერს ერთად გახსნიდნენ ხორცის ნახარშში და ერთად ადუღებდნენ.

ჩამოთვლილ კერძთაგან ჩემი ყურადღება მიიქცია **ქინძიანმა ფხალმა**, რომელსაც აქ შევხვდით. მახსოვს, ჩემს ბავშვობაში ქობულეთელი ბებია აკეთებდა, შემდეგ დედაც.

შეჭრილ ფხალსაც ეძახდნენ. მოხარშავდნენ ფხალს, წვენს გადაუწურავდნენ, დანაყავდნენ ქინძის კაკალს, პიმპილს, ნიორს, მარილს, ცოტა ნიგოზსაც (თუ იყო, რა თქმა უნდა, შეიძლებოდა უნიგვზოდაც), დანაყულ სანელებლებს შეურევდნენ ჟავეს და გადაზელდნენ ფხალთან ერთად. გემრიელი კერძი იყო „ჭადთან ერთგან იჭმებოდა“.

**ბორანი** აჭარაში მრავალგვარი იციან, აჭარის „ქვეყნებში“ განსხვავებულად ამზადებენ. ქობულეთში ისეთ ბორანს აკეთებენ, შირინქოში რომ ჩაგვაწერინეს: „დაწვა'ნდა ძროხის ძალი, გუურიო'და და შეხრაკო'ნდა ჭადის ქიბილი, მემრე ყველს დაფშნი, დაატეხავ კვერცხს, პაწაჲ წათხეც რუმ შუურიო, კად იქნება, კარგად უურევ, მემრე ყველაფერს ერთგან შეწვავ და ჭამ...“

ჩამოთვლილმა კერძებმა ჩემი ბავშვობა და სოფელი გამახსენა... ამავე წესით ამზადებდნენ დასახელებულ კერძებს ჩვენს ოჯახში ბებია და დედა, ამზადებდნენ ბუხარში დადგმულ სამფეხზე (საჯიადზე), იმხანად გაზქურა ჯერ კიდევ არ იყო...

რეჯეებ გოგმაჩაძემ გაიხსენა, რომ ძველად ხშირად ხდებოდა შეხლა-შემოხლა, ჩხუბი ადგილობრივ მოსახლეობასთან. ხან ერთი მხარე გაილახებოდა, ხანაც – მეორე. ერთხელაც, გვიამბობს ინფორმატორი, „ჩვენი **კაცი გიგვიბერეს, ორი წელი ვერ გეარა“**.“

„გაბერვა“ „ცემის“ მნიშვნელობით აქაურ ქობულეთურშიც იხმარება. ჩვენთანაც იხმარება სინტაგმა „გაბერა ცემაში“.

ძლიერი კაცებიც არ აკლდათ ლტოლვილებს: „ე'რი ძმაჲ იყო ფასიოლლი, თელ კუდიანებს აშინებდა. პალტოს არ ჩეიცვამდა, გეარდა, სამი ფიშტო ექნებოდა...“ ფიშტოთი სიარული ვაჟკაცობის ნიშანი იყო, სამი ფიშტოთი მით უმეტეს. „ლივერი მქონდა ჯიბეში“ თავმომწონედ იტყოდა ერთი და მოაყოლებდა თავისი ახალგაზრდობის ამბებს. უნდა დაგვეჯერებინა, რადგან „ლივერი ქონდა ჯიბეში“. კაცს „ლივერი

თუ ქონდა ჯიბეში,“ დევსაც „შეებრძოლებოდა” და „დაამარცხებდა” კიდევ.

ერთ ამბავსაც მოყვები და დავასრულებ შირინქოელებთან შეხვედრის შესახებ თხრობას:

**ჭეჭელოღლი ალია იყო. ერთმა კაცმა უთხრა: შენ ჩემი ცხენი მეძპარე, ხელაღლი მიქნია. ძაღლი ყავს მაგარი, კაცს ჭამს მეგერ. ალიას გუუცინია, წესულა.**

ალიას უჟღია გოდორი, ხორცი ჩუუდგია შით, შესულა ამ კაცის ოხოში. ძაღს (sic) აჩვენა ხორცი, ძაღლმა ჩახტა გოდორში, ხორცი'და ჭამოს. ალიას თოკვი მუუბშია, დუუკი-დავს ძაღლი გოდორით, ცხენი წუუყვანია, წესულა.

მოსულა პატრონი, ცხენი არაა, ძაღლი ხეზუა გოდორით დაკიდული, უთხრობია: ამას ჭეჭელოღლი ალიაჲს მეტი ვერაკაცი ვერ იზამდაო. ხელაღლი უზამა ცხენი...

შუადღე გადაიარა. ილოცეს შირინქოელმა ქობულეთლებმა, ჩვენ სოფელი დავათვალიერეთ: დაბა ქედზეა გაშენებული, ქედის ორივე ფერდზე. დაბის ცენტრში ჯამეა, ახალი, ქვითკირით ნაგები, ქუჩის ჩაყოლებზე დუქნები, ჩაიხანები და მაღაზიები...

სადილზე მიგვიწვიეს, ისე ვერ გაგიშვებთო. შევედით ეხოში. შიგა ეხოში გაუშლიათ სუფრა. ჩვენი ქალბატონები, – თინა, მაია, თამარი, იქ დაგვხედნენ, ამ ოჯახის ქალბატონებთან მუშაობდნენ. მოგვართვეს: დალანჩი სარმა, დუღურთი, პური, ჩაი, ყველი, ზეთისხილი, ჩირბული... ცოტა ვჭამე, უშაქრო ჩაი დავლიე... იქვე ჩამოვჯექი, ვფიქრობ. ქალბატონები დატრიალებენ სუფრას, უმატებენ კერძებს, ჩაის უსხამენ, „ზახმეთობენ“, როგორც ქობულეთში იტყვიან.

თაკო (ასე მიემართავთ თამარს) სარმის დამზადების წესს იწერს. ჩააწერინა ქალბატონმა, იქვე მისი დამზადებულიც დააგემოვნებინა:

– **დაგაწერია? მოგწონდა ჩვენებურად სარმა? მიირთვი?**

თაკოს „ეზარება“ ჭამა, ისედაც არაა დიდი მჭამელი, ქალბატონი ხუმრობით ეუბნება:

– **არ ჭამო და, ნუ გეშინია, ფარას-მარას არ აგართვამ!**

მასპინძელი ქალბატონის მეტყველებაში კითხვითი ა' ნაწილაკი შეენიშნე – **დაგაწერია?** საყურადღებო მოვლენაა. მნიშვნელოვანია, ქობულეთელ მუჰაჯირთა მეტყველებაში სხვაგანაც თუ დავაფიქსირებთ მას!

გასრულდა სადილი, დავემშვიდობეთ ოჯახს, მადლობა გადავუხადეთ მასპინძლობისათვის; გამოვეთხოვეთ შირინქოვლებს, ქობულეთლებსა თუ მაჭახლელებს და ორდუში დავბრუნდით.

**21 ივლისი, შაბათი.** დღეს შაბათია. უკვე მეთვრამეტე დღეა ქართველ მუჰაჯირთა სოფლებში ვმუშაობთ. ცოტა დავიღალეთ, მაგრამ ეუძლებთ. ყოველი დღე ახლის მოლოდინით იწყება, ჩვენს განწყობასაც ეს მოლოდინი განსაზღვრავს.

საუზმის შემდეგ კაპადუზში წავედით. ზაზა დღეს ბათუმში დაბრუნდა, დავრჩით თურქულის კარგი მცოდნის გარეშე. ჩვენი თითო-ოროლა დერი თურქულით გაგვიჭირდება გზის გაკვლევა, მაგრამ შევძლებთ...

**კაპადუზში** მუჰაჯირთა რამდენიმე სოფელი გვეგულება, ქართულად მოლაპარაკე სოფლები. რაიონულ ცენტრამდე გზა იოლად გავიკვლიეთ, შაბან გოგმაჩაქემ გვასწავლა გუშინ.

გზა თხილის ბაღებიან ფერდობებზეა გაჭრილი, თანდათან საკმარისი სიმაღლეზე ავდივართ. რაიონული ცენტრი 1000 მეტრზე მაღლაა, ყოველ შემთხვევაში ასე აჩვენებს ჩვენი ალტმეტრი. გაეჩერდით. გვსურს, ვინმეს რუკა ვაჩვენოთ და დავაზუსტოთ, სწორედ მივდივართ თუ არა. ვერავინ ვნახეთ ქართულად მოლაპარაკე. ბოლოს ერთმა თქვა: **თელათ ბემი იცის გურჯულიო.** მაღე ისიც მოვიდა.

თავს მოვალედ ვოვლი, თელათ ჯინჭარაძის შესახებ ვთქვა ორიოდ სიტყვა: იგი ასაკით 50 წლამდეა, ყოფილი გეოგრაფიის მასწავლებელი, ამჟამად ემექლი, ცოცხალი, სხარტი გონების კაცი. ჩანს, დარდობს თელათი ქართველთა ასიმილაციას, ეტყობა, ხშირად ოცნებობს დიდ მემლექეთზე.



– წამოხვალ ჩვენთან ერთად? – ეკითხება მალხაზი თელათს.

– **თქვენთან ერთად ომშიც წამოვალ,** – დაუფიქრებლად გვიპასუხა და ზემო სოფლისაკენ გაგვიძღვა.

ილჩეს ცენტრში მოვიკითხეთ: ქართველები სად ცხოვრობენო აქ. **ქირაზდერე** მიგვასწავლეს, ჩურუქსუელების სოფელიაო. იქით წავედით.

– ქართულად დაგველაპარაკეთ! – ვთხოვთ პირველშემხვედრებს.

– **ჩვენ დაგვამიწყდა ლაპარაკი, ვერ ვლაპარაკობთ. ჩვენმა ბაღნებმა არ იციან, ბაღიშები დატიე...** – გვეუბნება ადემ მახარაძე.

„ჩვენმა შვილებმა არ იციან [ქართული], შვილიშვილებზე რომ არაფერი თქვა“ – გულისტკივილით აღნიშნავს ადემი; ჩანს, ფიქრობს შექმნილ მდგომარეობაზე. „დატიე“ გადატანითი მნიშვნელობითაა ნახმარი. ეს მნიშვნელობა მას მხოლოდ ქობულეთურში აქვს.

ადემი და მისი მეზობლებიც ახერხებენ, ქართულად გარკვეული ფრაზები თქვან, აზრი გაგვაგებინონ, მაგრამ გაბმული ლაპარაკი და რაიმეს თხრობა არ შეუძლიათ. თვალში საცემია, რომ აქაურთა ქართულში ისევ იგრძნობა ქობულეთური გამოთქმა.

– ძველებისაგან გაგონილი ლექსი გვითხარით რაღე, – ვთხოვ იქ მყოფთ, თუმცა იმედი არ მაქვს, რაიმე იცოდნენ.

– **სიმღერა გინდა? შენ დეიმღერე და მე დეფურავ,** – მპასუხობს ადემი. შემდეგ ეს ლექსი გაიხსენა:

**იგერ გაღმა დუქნები  
მე ნენესთან ვიქნები,  
ნენედ მე ძეს მაჭუმს,  
ვითამაშებ, ვიქნები.**

ნენემ-ბაბამ მასტავლაო, დაუმატა.

– რომელი სოფლიდან ხართ?

– **ჩურუქსული ვარ, ჩურუქსული. სუნთელს ვერ ვლაპარაკოვ კია. ნენედ ჩიოდა, ამა არ ვიცოდი:**

**იგერ გაღმა ეწრის ფაცხა,  
გოგოფ, თუ ხარ იგი რაცხა,  
კაი გოგოს თუ დევნახაფ,  
გავაქცევ ეწრის ფაცხაში...**

ჩვენს გასაკვირად ზედიზედ რამდენიმე სტრიქონი გაიხსენა. ჩვენთან საუბარში ადემი თანდათან იხსენებს ქართულს; ჩანს, კარგა ხანია არ უღაპარაკია, შესაბამისად, თანდათან ქართულის პასიურ მცოდნედ იქცა, ამიტომაც გაუჭირდა თავიდან:

**დელე-დელე ჩაგხევი,  
დელე ტალახიანი იყო,  
ერთი ლამაზი გოგო დევნახე,  
პირი ტალახიანი იყო...**

თან კომენტარიც მოაყოლა: „ლამაზი იშტე, გავრეცხე, ლამაზი იყო.“

ადემის მეუღლე ლაზია, ქმრის დახასიათებით: „კუდიანი არიან აგინი, ლაზი“. ჩანს, ადემის გაგებით „კუდიანი“ ქართულის არმცოდნეა.

ჩვენთან საუბარში ხუმრობის ხასიათზე დადგა მასპინძელი:

**– ზათი რუმ დავსახლდით, ვუთხარი, დემსწავლე ჩვენებური საჭმელები, თვარა გაგაგზანი სახშიო. კუდმა მოშპა, ჯანუმ...“**

ღიახ, ადემის ცოლმა ისწავლა ქართული საჭმელები, ცოტა ქართულიც და „კუდმა მოშპა“.

საუბარი გაგვიგრძელდა, ქართულ-თურქულად ვსაუბრობთ, ჯახირით ვაგებინებთ ერთმანეთს. თქმულის საილუსტრაციოდ ცალკეულ ფრაზებს მოვიყვან ხუნსი მახარაძესთან და თელათ ჯინჭარაძესთან საუბრიდან:

- **კარქათ ჩივა, კარქათ, ჩვენებური დედაკარქა;**
- **მე ვორ თვეს მემრე მოვლო'და იქა;**
- **ჩვენები-და ისტე ჩივიან...**
- **შენი ბუძიეა ჩივოდა, რეზმანი ბუძიად;**
- **მიღეთი ფეხზე აღგებოდა;**

- თქვენ ახლა ბათუმში ბძანდებით?
- ასი ოცა ნაჭარი ქონებია, ოქრო, იმით მუუყვანია...
- სისხლი ერთნაირია, ჩემი გული იქაა...

ამ ფრაზებში მკითხველი ადვილად ამოიცნობს ქობულეთურ მეტყველებას: **ბუძიფ**, „ბრძანებით“ მიმართვა, „ნაჭარი“ „ფულის“ მნიშვნელობით, **ვორი**, **მოვლოდა**... ჩურჩქსულისთვისაა დამახასიათებელი, აღარაფერს ვამბობ ქობულეთურ გამოთქმაზე.

დაბოლოს, საუბრის დროსაც დავუდასტურეთ და ახლაც ვუდასტურებთ მასპინძლებს, რომ „სისხლი ერთნაირია“, ჩვენც ამიტომ დავდივართ სოფელ-სოფელ მათ სანახავად.

**ქირაზდერედან დოქუშდობში** წავედით. ნახევარ საათზე მეტი ვიარეთ აღმა-აღმა და სოფლამდე მივალწიეთ. ის დრო იყო, შუადღის ღოცვა დასრულებულიყო და მრევლი ჯამიდან გამოდიოდა. აქ ბევრი გურჯია, მაგრამ ქართული არავინ იცის. არც ჩვენ გვახლავს თურქულის კარგი მცოდნე. ერთმა დოქუშდობელმა თქვა, მუსტაფა ილმაზმა (ბოლქვაძემ) იცის ქართული, აქ იყო, ღოცვაზეო.

გვეშველაო, ხმამაღლა ვიფიქრეთ ყველაძ.

მაღე მუსტაფაც გამოჩნდა, დაგვიპირდა, ბაჰარიეში წავეყვებითო.

ჯამის წინ შეგხვდა ოსმან ანანიძეც, დაბალი, ჯმუხი კაცი, გაგვეცნო. უჭირს ოსმანს ქართული, ყოველ შემთხვევაში იმდენად არა, ჩვენ რომ თურქული.

ჩავსხედით მანქანაში და ბაჰარიეში წავედით. ორმოც წუთამდე დავგჭირდა მემედ-ალი აფაქიდის სახლამდე.

მემედ-ალი 68 წლისაა, მაღალი, გამხდარი, სასიამოვნო გარეგნობის. მისი წინაპარი ჩაქვიდან წამოსულა. ჩვენმა მხლებელმა, მუსტაფ ბოლქვაძემ, აუხსნა მემედ-ალის ჩვენი მისვლის მიზეზი.

ლიბილით შეგხვდა მემედ აფაქიძე, სოფლის მამასახლისი. სახლში მიგვიწვია, აივანზე დავსხედით.

მშვენიერი საკლ-კარი აქვს მემედს: მოზრდილი ქვითკირის სახლი, ვრცელი ეზო, დიდი თხილის ბაღი, მოვლილი საკარმიდამო...

ჩვენი საუბარი ტრადიციული კითხვით დაიწყო:

– რა გვარები ცხოვრობენ ბაჰარიეში?

– აფაქიძე ვოცი მოსახლე არი; გორგილაძე/გორგალიძე თუთხმეტი მოსახლეა, დიასამიძე, ნინიძე, ბაირახტაროღლი (ქურთოღლი), ბოლქვაძე არი...

ბატონ მემედს საქართველოში უმოგზაურია, წინაპართა სოფელი მოუნახულებია; ჩანს, დიდი შთაბეჭდილება მოახდინა მასზე ისტორიულმა სამშობლომ:

– რაცნა დავსწერე, ყოლიფერი ვნახე იქანაჲ, იქაც ამფერი წყალი დინავს...

მასპინძელს იმის თქმა სურს, რომ მისმა მუჰაჯირმა წინაპარმა ამ კუთხეშიც ჩაქვის მსგავსი ადგილი მონახა და დასახლდა. ამით არ „გაწყვიტა“ კავშირი ადგილის დედასთან...

მემედ-ალის ჩვენთან შეხვედრამ გაუცოცხლა ქართული შთაბეჭდილებები, მოგვითხრო მისი ჩაქეში მოგზაურობისა და ნათესავებთან შეხვედრის ზოგიერთი ეპიზოდი:

– გორგილაძეები ტაჲაჲ ყოფილა აფაქიძეების; ყამბარაჲ გაზდილა, სკას აშენებდა. სკადს გასაკეთებლად ხეჲ მუუჭრია, ქვეშ დაშჩენილა. სამი გოგო დაშჩენია. ჩახალღლებიდან ერთი გოგოჲს კაცი სახში მუუყვანია. ამა მე რომ იქ გევედი, თქვეს, მეორეთ დასახლებულა კამბერაჲ; მასწავლებელი იყო მეგერ, მითხრეს, შენ გგავდაო; მიმიყვანეს, დასურ მგავდა. კამბარაჲს გოგო იყო, ნურიჲჲ სთქვიოდა. ვოთხმოზდა ხუთი წლის იყო, ფეხი მოსტეხოდა... ჰაიდარაჲ შვილი ყავდა, სამი გოგო... გოგვები დიდვანი იყვეს, ბაბაჲ დანები იყვენ, იმას გავდეს სულ...

გუსმენ მემედ-ალი აფაქიძის საუბარს და ვფიქრობ, ღირდა ამოსვლა ამ სოფელში: ტიპური ქობულეთური მეტყველება, ქობულეთური გამოთქმა, აქცენტი, განუმეორებელი ქარ-

თულ სინამდვილეში, საყურადღებო ზმნური ფორმები უმაღლესე იქცევს მსმენელის ყურადღებას:

– აქანაჲ ამბობდეს სულ, ლაპარიკობდეს ბერები... აქ არაფერი არ ხონდეს; ესკიბაზარში მუუცთან, იქანაჲ კად წყალი არ იყო, ამ სოფელში ამოსულან, ეჭი წყალი უნახვან, აქ კადაო, დასახლებულან. იქიდანაც კაცი წამუუტანები... აქანაჲ ტყეჲ ყოფილა, მთავრობას უთქვია, ყველამ მისი გასტეხოს და მისი იყოსო... მერე ქაღალდი მუუცემიან... ჯინქვავს ასე, რამე არ სთქვაო...

მოყვანილ მცირე ტექსტში რამდენიმე საინტერესო დიალექტური ფორმა თუ ლექსიკური ერთეული ფიქსირდება, ზოგიერთი ისეთი, ცოცხალ მეტყველებაშიც რომ აღარ გვხვდება, წერილობითმა ძეგლებმა რომ შემოინახა მხოლოდ. რუსული სიტყვაც წაუღიათ მემედის წინაპრებს და შეუნახავს მათი შთამომავალის მეტყველებას: „იქანაჲ რუსების ზაკონში არ მუუნდომებიან...“

– ბატონო მემედ ალი, თქვენს ეზო-კარში ბევრი მეფავა (ხეხილი – ავტ.), ჩეშიტ-ჩეშიტი (მრავალგვარი), ვისი გაშენებულია?

– თლათ იქიდან გამოსულიაო, ბათუმიდან, სხალეები, სხვა მეივები... იმტოლი აღარ ვიცი, ასე ილაპარიკებდეს ბერები...

დაკვირვებული კაცია ჩვენი მასპინძელი. შენიშნა რა მისი მეტყველებით ჩემი დაინტერესება, დანანებით თქვა: **თქვენ ლაპარიკში რუსულად გარეველა, ჩვენში – თურქულად, იქა მოსწონდეს ჩემი ლაპარიკი...**

– კარგად ლაპარაკობთ ქართულად, მეც მომწონს თქვენი ქართული, ბატონო. თქვენ ის გვითხარით, ჩაქველები სხვაგან სად ცხოვრობენ?

– კი არიანო, ჩივიან, მარა არ ვიცი, სად არიან.

მუჰაჯირი ჩაქველების აქაურმა სამყოფელმა დამაინტერესა იმიტომაც, რომ მემედ-ალის მეტყველებაში შენიშნული

საინტერესო ზმნური თუ სახელური ფორმების გადამოწმების საშუალება მომეცემოდა.

– სოფლის ადგილის სახელები ჩამაწერინეთ.

– **სოფლის სახელები გამოსცლეს, აქაურობა არ გამოსცლეს... იმას ქვია ორთაქო, ჰამ დათადი (<ხარი დათადი?), ბაგიანი – ძველათ ბაგი გუუკეთებიან, უთქვიან ბაგიანი, ძველათ ღორები ყანას ჭამდენ, გუუკეთებიან ბაგი, იქიდან ცაფდენ ღორებს...**

ყურადღება მიიქცია **ბაგის** მნიშვნელობამ, სათვალთვალო, ჩასასაფრებელი ადგილი. სულხან საბას ბაგა/ბაგე'ს რამდენიმე მნიშვნელობა აქვს გამოყოფილი ცნობილი მნიშვნელობის გარდა:

„სახლთა შინა მოდაბლო სარკმელი;“

„ბაგე ეწოდების მდინარის კიდურსა;“

„კიდური ნავისა.“<sup>13</sup>

ჩამოთვლილ მნიშვნელობათაგან პირველს უნდა უკავშირდებოდეს აღნიშნული ტოპონიმის **ბაგიანი** (ბაგ-იანი) მნიშვნელობა, რომელშიც ძირეულ მასალად გამოიყოფა **ბაგ**. მთავარია, რომ ტოპონიმი **ბაგიანი** ქართულია მუჰაჯირთა მიერ უცხო მიწისათვის შერქმეული.

– ძველები ხომ იმღერებდენ, იმათგან რამეს ვერ გაიხსენებთ?

**სიმღერას ვიტყვი, ბანს – ვერაო,**

**კარქ გოგოს ვითხოვ, გონჯს – ვერაო!**

**ჰეი, ნისღუშაო, ნისღუშაო,**

**რაფერ ააფსე ღელიებით...**

მნიშვნელოვანი მასალები ჩავიწერეთ მემედ ალი აფაქიძისაგან, ბევრი ვისაუბრეთ, ჩაი მივიროეთ, ყავაც... ჩვენი წამოსვლის დრო დადგა. გზამდე გამოგვაცილა მასპინძელმა, მოკითხვა დაგვაბარა ქართველებთან საქართველოში...

---

<sup>13</sup> ს.ს. ორბელიანი, სიტყვის კონა ქართული... თბ. 1949; შდრ. ნ. ჩუბინაშვილი, ქართული ლექსიკონი, თბ. 1961; დ. ჩუბინაშვილი, ქართულ-რუსული ლექსიკონი, თბ. 1984.

ბაჰარიედან **თონგელდუზში** ავედით, ქობულეთლების სოფელია. ოსმან გენჯი (კენჭოშვილი) მოგვითხრობს სოფლის შესახებ:

– **კენჭოშვილი, მიმინოდლი, თამაზოდლი, ხოჯიოდლი, ინაიშვილი, შავიოდლი, ცენტერაძე... ვოზდასუთი სახლი არი, ჰამა აქ არ არიან...**

ყურადღებას იქცევს ბ-ნი ოსმანის მეტყველება, ქობულეთური გამოთქმა: „**ვინცხას რუმ კითხაფ, ჩურუქსუდან ჩამუელ, ჩივა... ჩვენ ხუმბრას ვეგნევით...**“

– დიდი ხანია, რაც აქ ცხოვრობთ?

– **დედეუ წამოსულა ბრეველი წელიწადია. ბაბაჲ მოკტა... რაცხამდონი დერი ხონდა იქანაჲ, უქუმეთმა იმდონი დერი მიცა მეგრემ აქანაჲ, ბოში ყოფილა აქოვრობა...**

– თქვენი ქალიც (ცოლი – ავტ.) გურჯია?

– **ჩემი ხანუმი უავანაძეა, ულუბეიდან, საფრანდერეს ვეგნევით, იქ ბრეველი გურჯია.**

– ამ მსხალს რას ეძახით?

– **რას ეგნებიან არ ვიცი, შენ რა გითხრა. გონერაჲ სხალი იყო იქიდან მოტანილი, იშტე, გახმა.**

მიმიხვდა კითხვის მიზანს ოსმან გენჯი-კენჭოშვილი და ხაზგასმით თქვა, „გონერაჲ სხალი“ იყოს იქიდან მოტანილი.

თონგელდუზში უჭირთ ქართულად ლაპარაკი. უფროსი თაობა ახერხებს, რასაც ვერ ვიტყვით მომდევნოზე.

ოსმან გენჯმა გვასწავლა: „**ორდუსკენ’და წეხვიდე’, ზღვაში შესასლელი დერებია, აქიდან რუმ ჩეხვიდე’, ჩახა/ჩაქა ზღვის ქენარში ჩახვალ...**“

გადავწყვიტეთ, რომ აქ მუშაობას აზრი არ აქვს, აქაური სიტუაცია გასაგებია, ჯობს, ჩაქაში ჩავიდეთ, გავარკვიოთ, იციან თუ არა ჩაქელებმა ქართული. ვიცით, „ზღვის ქენარშია“ ჩაქა; ისიც მიგვანიშნეს, რაღაც ანტენაო გზისპირას და იქედან უნდა შეუხვიოთო მაღლა... წავედით. ბევრი ვეძებეთ ჩაქა, ვიპოვეთ ბოლოს.

ჩაქა ახალია, აზიზიე რქმევია წინათ. ქობულეთლები სახლობენ აქ, ქართული ცუდად, ან არ იციან.

აზიზიეში ცხოვრობს მრავალი გვარი, მათ შორის **ჩელე-ბოღლი, ქათამიძე** (ბრევლი **ხანე არი**), **გოლომანიძე** (ბრევლი **ხანე არი**)...

ერთი სტროფი ჩავიწერე ჩაქელი ჩელებოღლისაგან:

**ახორს უკან თიკნებიო**  
**ვითამაშებ ვიქნებიო,**  
**ნენედ მუა, დახსას მომცემს,**  
**ვითამაშებ, ვიქნებიო...**

სხვა რაღა დაგვრჩენია, უნდა დავბრუნდეთ სასტუმროში. საერთო შთაბეჭდილება ასეთია: ქართული უჭირთ თონგელდუზში, ცუდად იციან ჩაქაში. აღარაფერს ვამბობ ფოლკლორზე. თუმცა ყველაფერი ენის ცოდნაზე დამოკიდებული...

ერთიცაა, ჩაქა ქალაქთან ახლოსაა, ახლოსაა ცენტრალურ გზასთანაც, ამიტომაც დაჩქარდა ჩაქელთა ასიმილაციის პროცესი: „ქალაქში სახლი არ მაქ, მხონდეს, წვევალ“ – გვეუბნება რეჯებ გოლომანიძე. თუმცა ძნელი გასაგებია, რა უნდა ქალაქში. მისი სახლი და სოფელი მთლიანად ხომ ქალაქსა და ზღვას დაჰყურებს ზემოდან?

დღევანდელი დღეც დასრულდა. რამდენიმე ქობულეთური სოფელი ვნახეთ... დაცლილა „ქობულეთის ქვეყანა“ ქათამაძეებისაგან, რომანაძეებისაგან, პაპუნაიშვილებისაგან, გოლომანიძეებისაგან... და რაც ყველაზე სამწუხაროა, ზოგიერთი გვარი საერთოდ არ დარჩენილა ქობულეთში, დედაწუღიანად წასულა მუჰაჯირად. ვწუხვართ, რომ ადრე ვერ მოვედით აქ, თუნდაც ოცდაათი წლის წინ, მაშინ, როდესაც ახლანდელი უფროსი თაობის მშობლები ცოცხლები იყვნენ, როცა ორი თაობა მაინც ლაპარაკობდა ქართულად, როცა უფრო მეტი იყო ისტორიული სამშობლოს ხსოვნა.

დღეს რამაზანის პირველი დღეა. დილას ქალაქს თითქოს არ გაუღვიძია, ძინავს... იშვიათად დაინახავთ ქუჩაში გამგლეღს; არ გაღებულა მაღაზიები, არ იყიდება პურიც კი,



დაკეტილია ლოკანტები... ჩანს, მორწმუნეებმა დასლული მი-  
ირთვეს, საბახ-ნამაზი ილოცეს და კვლავ დაიძინეს. ქალაქი  
დიდიდან სადამოს მოლოდინშია...

დავბრუნდით სასტუმროში. დღეს რუსლანი იუბილარია,  
34 წელი შეუსრულდა. სასტუმროს უკან ქობულეთელი ხა-  
ჯიშვილების მაღაზიაა, პროდუქტები შევიძინეთ, მათ შორის  
ყველის ახალი სახეობა, აქამდე რომ არ შეგვინიშნავს, ქონ-  
დართი შეზავებული, ძალიან გემრიელია. საერთოდ მრავალ-  
გვარი ყველი იყიდება ამ მაღაზიაში. ბარემ ვიტყვი, ქალაქში  
ვნახეთ დიდი მარკეტი, სადაც მხოლოდ ყველი იყიდება,  
ათეულობით სახეობა, რამდენიმე ვიცანი: ჩღეჩილი, ჩოქელე-  
ლი, „ჩატენილი ყველი“... ბევრი ჩემთვის უცნობია. რამდენიმე  
ჩვენთვის უცნობის – გასინჯვა მოვასწარით, ძალიან გემრი-  
ელ ყველს ამზადებენ ამ კუთხეში...

სადამოს რუსლანის იუბილე აღვნიშნეთ...

**განსჯისათვის:** ყველა ჩურუქსუელმა იცის ძველი, ოსმა-  
ლობამდელი ქართული გვარი: ქათამიძე, გოგმაჩაძე, ბაუჟაძე,  
ბეჟანიძე, ნოლაიძე, რომანაძე, გოლომანიძე... ძველი გვა-  
რები ხშირად არ „ახსოვთ“ მაჭახლელებს, ზოგჯერ აჭარ-  
ლებსაც. ვფიქრობთ, ღირს ამ საკითხზე დაკვირვება.

**22 ივლისი, კვირა.** რაიონული ცენტრი გოლქოძე 62 კი-  
ლომეტრშია ორდუდან, მაღლა, მთებში. გაღმა ციხე ჩანს,  
აღბათ ბიზანტიელების აშენებული. იგი სამი მხრიდან ფრი-  
ალო კლდეებითაა შემოსაზღვრული. მისასვლელი მხოლოდ  
აღმოსავლეთის მხრიდანაა. არტანუჯის ციხეს გვაგონებს  
რადაცით. ყველაზე ბოლოს აიღესო ეს სიმაგრე ოსმალებმა.  
აბრეშუმის გზაზე მდებარეობდა იგი და ქვეყნისათვის სტრა-  
ტეგიული დანიშნულება ჰქონდა. შორიდან ვათვალიერებთ  
ციხის ნანგრევებს, ვიღებთ ფოტოებს და ვაგრძელებთ გზას.

**ჯიჰადიში** ავედით. მაჭახლელთა სოფელია, მისასვლე-  
ლად არცთუ იოლი, მაგრამ ადგილზე ვაკე. მთის სოფელია  
ჯიჰადი; იმდენად მაღალზეა გაშენებული, რომ თხილიც  
ვერ ასწრებს კარგად დამწიფებას, იცის ხანგრძლივი ზამთა-

რი. მეურნეობის ძირითადი დარგი მეცხოველეობაა, სოფელში ვხედავთ სიმინდის ყანებს და ხეხილს.

ჯერ კიდევ დილაა. სოფლის ცენტრში გავჩერდით. ალი დონგულოლი გავიცანით, სამოცდაათს გადაცილებული კაცი. უჭირს ალის ქართულად ლაპარაკი, ფრაზების გამოთქმას ახერხებს, მაინც ცდილობს... თანდათან აუმჯობესებს ქართულს. ჩანს, ოჯახში და სოფელში უკვე აღარ ლაპარაკობენ წინაპართა ენაზე, შესაბამისად, ქართულის ცოდნაც პასიური გამხდარა.

ბატონი ალი, შემოეღევა რა ქართული, თურქულზე გადადის, თურქულად ასრულებს წინადადებას თუ აზრს ზოგადად. ჩვენი მხლებელი, შაბან გოგმაჩაძე უხსნის, გურჯები არიან ბათუმიდან, თურქული არ იციან, ქართულად ელაპარაკეო.

– ჩვენებური გეორცხა, ვგნებულობთ, ჩვენებურმა ლაპარაკმა გეორცხა, – ამბობს ალი დონგულოლი.

– გასაგებია, მაგრამ თქვენ ხომ გურჯები ხართ, მაჭახლელები, ქართული რატომ დაივიწყეთ? აქ თურქები არიან ბევრი და იმიტომ?

– ჩვენ რომ შორ ვართე, ჩვენში თურქები არ არიან. ჩვენ ზედთ შავშელები არიან...

თანდათან ჩვენს გარშემო შემოიკრიბნენ ჯიჰადიელი მაჭახლელები, ცოტას ლაპარაკობენ, უფრო ალი გავვიშინაურდა, სხვებსაც აქეზებს, გაიხსენეთ რაიმე, დააწერინეთ, წიგნში უნდა შეგიტანონო.

– შავშელების სოფელს რა ქვია?

– უაფინარში არიან შავშელები!

– ქართული იციან უაფინარში?

– თუ ნახე ძველები, თქვენ ლაპარაკ გააგნებოფ!

საინტერესო ცნობაა. ამ კუთხეში შავშურ სოფელს არ ველოდით, ვიცით, ბურსაში რომ არიან, სხვაგანაც, მაგრამ ორდღში შავშელების დასახლება სიახლეა.

ქალბატონი მოგვიახლოვდა, ხელში საქსოვით, შორიახლოს ჩამოჯდა, ქსოვდა, თან ჩვენს საუბარს ისმენდა. გამოლაპარაკება ვცადე.

- თქვენი სოფალი, გვარი, რა არის?
- **გურჯიჯე ვერ ვაფერავ, და...**
- სოფალი, გვარი რა არის, - ვუძმეორებ.
- **მოლლოლლი!**
- რომელი სოფლიდან ხართ?
- **ქვაბითაგიდან!**

ქვაბითაგელი მოლლოლლები ჩვენი ნათესავეები არიან, დიდი ბაბუას ძმის ჩამომავლები. გადმოცემით ვიცი, რომ დიდმა ბებიათ საში ვაჟი თავის სოფელში, მამისეულ მამულებში დაასახლა ქვაბითაგში. მაშინ საზღვრები ჩაკეტილი არ იყო. მისი ჩაკეტვის შემდეგ სხვადასხვა ქვეყანაში აღმოვჩნდით ნათესავეები. გასული საუკუნის 60-70-იან წლებში მიმოწერა გეჰონდა მაჭახლელ ფაღავებთან... ჰოდა, ვიფიქრე, იქნებ ნათესავია-მეთქი ეს ქალბატონი ჩვენი. დასაზუსტებლად შევეკითხე:

- შენი ბაბუას სახელი რა იყო?
- **დედემს სახელი არ ვიცი! ბაბას ოსმანად ერქვა.**
- დედეს ახმედი, ხასანი ან ფაშია ხომ არ ერქვა? - ვუსახელებ ჩვენგან გადმოსახლებული ძმების სახელებს.
- **არ ვიცი, რა ერქვა დედეს და!**

ისეთი მუდარა იყო მის ნათქვამში, ნუ შემაწუხე კითხვებითო, იძულებული გავხდი თავი დამენებებინა. რა გაეწყო ბოდა, ისევე მამაკაცებს მივუბრუნდი.

- რა გვარები ცხოვრობთ ამ სოფელში?
- **მოლლოლლი, ლონკროლლი, სალიხოლლი, ბეჟიროლლი, ქოროლლი... ბერები ნახავდეთ, იმათ ეცოდინებათ.**
- სად არიან ახლა ბერები? რატომ არ გვანახვებთ?
- **ბერები თაზე არიან, ზოგიც დაკდენ, აღარ არიან!**

სამოცდაათი და მეტი ხნის კაცი ბერებთან რომ გვამისამართებს, საინტერესოა, ის ბერი რამდენი წლის უნდა იყოს? ალბათ ოთხმოცის და უფრო მეტის... ბერები და მათ-

თან შესვედრა უფრო სიტყვის მასალაა, სხვაგვარად, აქ არ იციან ქართული გვარები.

საუბრის თემა შევცვალე:

– თურქები არ „მოგწონდებოთ,” რატომ?

– **თურქებ ბოლოკებ ვეტყვით, კუდიან ვეტყვით, გადარცხილი არიან!**

– რას აკეთებენ ასეთს?

– **რას იზმენ და... ყანის იგი არ ეცოდინებია, ფაჭვა, იჯინდრებენ...**

ქუჩუქ-აღა ვაჰაფი გამოვიდა, ასაკოვანი, ოთხმოცს მიტანებული მამაკაცი. კოჭლობს, მოკელაობს, უჭირს სიარული, ჯოხს ეყრდნობა.

– **ქუჩუღ-აღა, არ გამოდი, შენები სა იყვენ?**

– **ქალაქში არიან ახლა, ბე!**

– **ქალაქში?**

– **ჰე, ჰე, არი. ჰო!**

– ქუჩუქ ბატონო, თქვენთან მეტსახელს, სიგელს დუუძახებენ ერთმანეთს, გააჯადინებენ, – ვცდილობ, მათთვის გასაგები ენით ვისაუბრო.

– **ვერ მივხტი!**

– **კილს თუ დაარქმენო, გეკითხება, – ჩაგვერთო ალი საუბარში.**

– **კილ დაარქმენ გამობმულები, ჩვენებურებმა კილი დარქმევა არ იციან: შავი ალიაჲ, თეთრი ალიაჲ...**

– ხორომს ისამებთ აქ დუგუნებში?

– **ვისამებთ: გურჯი ხორონი, ტადნამს ვისამებთ...**

– **ტადნამი რომელი ცეკვაა!**

– **ვისამებდით და... რაფერ გითხრა!**

– **კარგი! ლექსი გეცოდინებათ რამე, დამაწერინეთ.**

– **ჩვენებურად მემიშოდლი ხუსნად ჩათლიდა... ოლო!**

ჩვენთან ახლოს მაია, თინა და თამარი ესაუბრებიან ქალებს:

– **თინა ლოცვებსა და წვევლებს იწერს!**

- თამარი კულინარიულ რეცეპტებს!
- მაია უსმენს, დიქტოფონით იწერს მეტყველების ნიმუშებს.

ვუსმენ მეზობლად ქალბატონების მეტყველებას და ვრწმუნდები, ამ სოფელში ქალები უკეთესად ლაპარაკობენ ქართულად, მამაკაცებს უფრო უჭირთ... მიზეზი გასაგებია: მთის სოფელია ჯიჰადიე, აქაური ქალები უმეტესად სახლში არიან, ოჯახის საქმეს უძღვებიან, მათ არ, ან ძალიან ნაკლები აქვთ კონტაქტი სხვა კულტურასთან, განსხვავებით მამაკაცებისაგან, რომელთა დიდი ნაწილი გარე სამუშაოზე წასული და, შესაბამისად, სხვა კულტურის წარმომადგენლებთან აქვთ ურთიერთობა. მამაკაცების მეტყველებას ამიტომაც მეტად ატყვია სხვა ენის გავლენა...

ჩვენგან მოშორებით, ნუგზარს მიტოვებული ძველი სახლიდან გამოუბარგვინებია ძველი ნივთები და მოლზე დაულაგებია. საინტერესო სურათი იშლება:

მამუდ დირიქი, ასე 30 წლამდე ახალგაზრდა, სახლიდან ეზიდება სახმარად გამოუსადეგარ და გადანახულ ძველ ნივთებს, ნუგზარი სათითოოდ იღებს, ათვალიერებს, შემდეგ იქვე მჯდომ მოხუც ქალბატონს, მამუდის დედას, აიშე დირიქს ეკითხება ამ ნივთების სახელებს, კარგად თუ ვერ გაიგონებს, რამდენჯერმე იმეორებს კითხვას, შემდეგ რუსლანს მიმართავს: გადაიღე რამდენიმე მხრიდან, თვითონ რვეულში იწერდა: სურათი 1 – გუგუმი, სურათი 2 – თენჯერი... სურათი 100 – კვერი...

ქნ აიშეს არ ახსოვდა, თუ არ იცოდა ყველა ნივთის სახელი, უმიანმა იცისო, თავს იმართლებდა ნუგზართან. მაგრამ უმიანი, აიშეს რძალი, მამუდის ცოლი, ახლა აქ არ არის, ვერ დაეხმარება ნუგზარს, სხვა გზა არაა, დედამთილმა უნდა გაიხსენოს ან მოიგონოს ამ ნივთების სახელები, სხვაგვარად არაფერი გამოვა, ნუგზარს მაინც ვერ მოიცვილებს თავიდან.

კარდლები, კეცები, ქვაბები, კაპჭნები, გუგუმები, ურმის მაკეტი, საცერი, ცხრილი (სუზგი), ხერტალი, ქეფჩე (ქაფჩა)...

აიშე კარნახობს, ნუგზარი ინიშნავს. არ იცის ყველას სახელი ქნმა აიშემ, წვალობს მოხუცი, ვეშველები. მინახავს ასეთი ნივთები, ვიცი მათი სახელები, უმეტესის მაინც. არ ჯერდება ნუგზარი ჩემს ნათქვამს, აქ რა ქვიაო, ის მაინტერესებსო...

ვერ გავუმტყუნებ ნუგზარს, აქაური/მაჭახლური სახელები აინტერესებს, მაგრამ ვერც ქალბატონს გავუმტყუნებ, არ იცის და რა ქნას?

ქნი აიშე ზის მოლზე, უყურებს ამ სურათს, ვატყობ, ბრაზდება, ბოლოს ჩაილაპარაკა:

– ყველაფერს მოათრევს და აქ აწყობს, რათღა ჭირია, ვერ მივხტი!

ბოლოს საქმე ხელწისქვილზე მიდგა. მოინდომეს მისი გარეთ გამოტანა და აღწერა-გადაღება.... სიტუაცია ახლა მამუდმა გააპროტესტა:

„რაფერ გამოგტანო ამხელა ქვა?“

კი უნდოდა ნუგზარს ხელწისქვილის გარეთ, მზისგულზე გამოტანა, მაგრამ არ გამოუვიდა...

დიდხანს ემახსოვრება ნუგზარისა და რუსლანის სტუმრობა დირიქების ოჯახს, ამ ნივთების უკან შებარგვისას, თუ შეიტანებენ საერთოდ, მაინც გაიხსენებენ კეთილად. შემდეგ ბადიშებთან დაიტრახებენ მამუდი და უმიანი: ეს ნივთები პროფესორებმა გადაიღეს და სურათები გურჯისტანში წაიღესო, ქითბებშია მათი სურათები შეტანილიო...

როგორც იქნა დაასრულა მამუდმა ნივთების გამოზიდვა, რუსლანმა – გადაღება და ნუგზარმა – აღწერა. სხვებმაც დაგასრულეთ საქმე. დროა, წამოვიდეთ. პირველად შავშელთა სოფელს, **უაფუნარს** ვეწვევით, შემდეგ ორდუში დაბრუნებაზე ვიფიქრებთ.

გზაში ტყისპირას გაეჩერდით. ვისადილეთ. რამაზნის მარხვაზეა შაბანი. მეც დიეტაზე ვარ, წავისადილე, წამალი დაველიე და შაბანთან მივედი.

– როგორ ძლებ მთელი დღე უწყლოდ? უჭმელი გაძლევა ძნელი არაა, უწყლოდ ძნელი ასატანია!

– გულით თუ თმენ, ღმერთი გაგაძლიერებს და გაგაძლებიებსო, – მიპასუხა. ჰინ არ მიჭირს უწყლობა...

რწმენა აძლებინებს მარხულს, თორემ შუა ზაფხულში მთელი დღე უწყლოდ გაძლება სხვაგვარად შეუძლებელია...

გავნაგრძეთ გზა. მალე **უაფუნარში** ვიყავით, მირაჯად ფორიაზის (კაპტანოღლის) ბახჩის ბოლოში. თავად მირაჯად ღობეს აკეთებდა. გამოველაპარაკეთ.

– თქვენთან ლაპარაკი გვინდა, თუ შეიძლება, დავსხდეთ და ვისაუბროთ!

– დიდი ხალისით არ შეგვხვედრია მირაჯად სტუმრებს, მაგრამ მაინც მიანება სამუშაოს თავი და ჩვენთან ჩამოჯდა.

პირველად სოფლის შესახებ ვიტყვი: მშვენიერი სოფელია **უაფუნარი**: მთის ფერდობზე შეფენილი ხეხილის ბაღებითა და სიმინდის ყანებით დაფარული. მოასფალტებული გზა, ახალი ქვითკირის სახლები... ყველაფერი იმის დასტურია, რომ სოფელი მდიდარია.

– **უაფუნარის** მუსტარი ვიყავ, ახლა ემექლი ვარ, – გვითხრა მირაჯამ.

– შავშეთის რომელი სოფლიდან ხარ?

– **ბრილიდან!**

– ყოფილხარ ბრილში? კარგი სოფელია, კაი ხალხი ცხოვრობს ბრილში, ჯემალას ვიცნობ ბრილელს, თემურხან ათაბეგს... ვცდილობ დავაინტერესო, ეგებ ხასიათზე მოვიყვანო მირაჯად.

– **მე არა! ჩემ ემოს თახუმმა წევდა, ვერ ნახა ბრილი. რაჰმეთლი ჩემი ბაბოა იტყოდა, იქა ჩემი ძერი ბაჰალიაო.**

– აქ, **უაფუნარში** რა გვარები ცხოვრობენ?

– **გაღმიენთი, ნუჰიენთი, კაკაოღლი, ბექაზოღლი, კოპიანოღლი, ჩაფაღლოღლი...**

საინტერესო ინფორმაციაა, არც ერთი ქართული გვარი...

– აქ, ქართულად ყველა ლაპარაკობს? შენმა შეიღებმა იციან ქართული?

– **ბაღანა ხტება, ჰამა ვერ ილაპარაკეფს!**

– შავშელებს ხარები უყვართ. **უაფუნარში** გყავთ ხარები?

– **ვარები არ არიან, ვარების საქმე გათავდა!**

– რატომ, კაცო, ხარებით აღარ ხნავთ?

– **ვარებით არა, თაფთაფადთ(//ფათფათაით) დაგვწავთ!**

მირაჯადს ქართულში ვ გაქრობის გზაზეა, სუსტად ისმის.

– რატომ წამოვიდნენ ძველები აქეთ? შავშეთი რატომ არ მოიწონეს?

– **ჩემი დედამ არი, ბაბოვს ბაბოვ, იმის ლაპარაკ გებნევი: იქაო, რუსები მოვდენ, მუსლიმანები დაჰკლესო და აქეთ წამუეღით. აქ ჩვენებურების უკან დასახლებულან. გოგო მუუცემიან, უურთმიან, სოფელი გამხდარა!**

ქრონოლოგიურად ამ კუთხეში შავშელები ჩვენებურების შემდეგ მოსულან. მიზეზი იგივეა, სარწმუნოება!

– ეს ბავალა ვისია?

– **ბავალა ჩემი თორუნია, ბიჭიდან!**

მირაჯაის საუბრიდან ზოგიერთი რამ გავიგეთ ჩვენთვის საინტერესო. კერძოდ ის, რომ ამ სოფელში პირველად ჩურუქსუელები მოსულან, ბარაკებიც გაუკეთებიათ, მაგრამ არ მოწონებიათ აქაურობა, დაუტევიათ და წასულან. შემდეგ შავშელები დასახლებულან **უაფუნარში**.

ჩვენი წამოსვლის დროა. სოფელში სხვა არავინაა, არც მირაჯამ იცის საყურადღებო რამე.

გზაში შაბან გოგმაჩაძე ტელეფონით თურქულად ესაუბრა ვიდაცას. მათი საუბრიდან გავიგე, სტუმრები მახლავანო ბათუმიდან, სხვაც ბეგრი ისაუბრეს... შაბანმა გამოგვიცხადა: **რაფაიეში, ძვ. ქოროქუზში** გაჩერდეთ, ერთი ჩემი ახრება გველოდებო.

რაფაიე გზის პირასაა. მშვენიერი სოფელია. გზაზე შეგვეგება 50 წლამდე მოღიმარი მამაკაცი, ჯემალ აბესლამიძე (დავუზი) ვარო, გაგვეცნო.

ჯემალი გამართული ქართულით ლაპარაკობს, მკვირცხლად. ჩანს, სამეტყველო პრაქტიკა აქვს საკმაო.



ოჯახში მიგვიწვია ჯემალ აბესლამიძემ. კარგად, გემოვნებით მოწვობილი სახლ-კარი აქვს მასპინძელს. თავად ქალაქში ცხოვრობს, ბიზნესი აქვს; მეწარმეა, ჩანს, საკმაოდ მსხვილი. ქალაქითა და შრომით დაღლილი აქ, მშობლიურ გარემოში ამოდის, ისვენებს და იკრებს ძალებს ხვალისათვის.

– ბატონო ჯემალ, ჩანს, კარგად იცნობ სოფელს, ამ კუთხეს, ზოგადად. აქაურ გურჯებზე რას გვეტყვი, რა გვარები სახლობენ?

– **ქავთაროდლი, ბექიროდლი, გუნდარიძე, აბესლამიძე, ვათასიძე** (ქეშიშოდლი – ქეშიში ყოფილა დიდი დედე, – შენიშნავს მთხრობელი), **კიბორიძე, დერიალოდლი, სანიკიძე, ჯორდანიძე.**

– ბევრი გვარი ყოფილა ამ სოფელში!

– **იცით, ოსმანლი არშევებიდან გამჟღავნებზე და ვიცო ჩემი ყველა ძველი აქ მოსულიდან. გითხრათ?**

– გვითხარით, საინტერესოა ჩვენთვის ასეთი ინფორმაციები.

– **მემედა<აბღულა<აჰმედა<მემიში< მემედა< ახმედა< მემიში, ფეიზულა, ბექირა.**

**ფეიზულა და ბექირა მემიშის ძმები იყვენ, შვილი არ ყოლიათ. ერთი მემიშიდან ახლა ხუთასი ვართ.**

– კიდევ ვინ გახსოვთ თქვენი ძველებიდან?

– **დიდნენე ბაუყოდლი იყო, ჩურუქსული.**

– აქ რომ მოვიდნენ შენი დედეები, ვინ ცხოვრობდნენ აქ?

– **ცარიელი ძერები ყოფილა. შეხედენ ქი საქართველოს გაგს, შიკერი არი, ტყე არი, წყალი არი... ამოვდენ, დაჟდენ.**

ჯემალი საუბრობს, ფრთხილად, მოზომილად. მალხაზი იღებს, თან კითხვებს აყრის. ბოლოს ჯემალმა მალხაზს მიმართა:

– **ღუჟუჟე (გამორთე ვიდეოკამერა – ავტ.), ეყოფა!**

მალხაზმა კამერა გამორთო. ჯემალი კიდევ უფრო სასიამოვნო მოსაუბრედ იქცა.

– ჯემალ, სამი კვირაა თქვენს სოფლებში დავდივართ, ყველგან გვეუბნებიან, თურქს, კუდიანს გოგოს არ მივცემთო, ყველა თავისებურად ხსნის, ზოგი რას იტყვის, ზოგი რას. შენ რას ფიქრობ?

– ჩვენ გოგო რაიზა არ მივეცით? უკან'და წვედეთო, ჰამა, ვერ წვევლით, მერე მივეცით! – მარტივად ამიხსნა ჯემალმა.

შეიძლება ესეც იყოს ერთი მიზეზი სხვებთან ერთად.

ჯემალმა სახლ-კარი დაგვათვალიერებინა. სახლი დიდი არაა, პატარაა, მაგრამ გემოვნებით მოწყობილი. ეს არის ნაგებობა, სადაც ყველაფერი გათვლილია, სადაც ყველაფერს თავისი ადგილი აქვს მიჩენილი. და კიდევ ერთი, რამაც ჩვენი ყურადღება მიიქცია: ძველი ნივთები, რაც სახლშია გამოფენილი, საცერით დაწყებული ქვასანაყითა და მაჭახელათი დასრულებული...

კარგა ხანს ვისაუბრეთ, კარგადაც დავისვენეთ. დავემშვიდობეთ ჯემალს. გზაში შაბანი იტყვის: ჯემალი კარგი ბიზნესმენი და ქველმოქმედია, განსაკუთრებით წყალობს მეცნიერებსა და კულტურის მუშაკებს.

ჩამოვედით ორდუში. უკვე საღამოა. დავემშვიდობეთ შაბანს, სამახსოვრო სუვენირები დავუტოვეთ, ჩვენი მისამართები მივეცით, ბათუმში დავპატიჟეთ, მადლობა გადავუხადეთ მასპინძლობისა და მეგზურობისათვის.

გასული სამი კვირის განმავლობაში ბევრ საინტერესო კაცს შევხვდით ორდუსა და სამსუნის მხარეებში: ოსმან დევაძე, რეფიკ მსხალაძე, მურად შაჰინი, სერდარ ბერიძე, შაბან გოგმაჩაძე, ჯემალ აბესლამიძე... სხვებსაც. ასეთი კაცები ახარებენ ქართულ გენს უცხო მიწაზე, ასეთი კაცები წარმოადგენენ ქართულ „პასპორტს“ უცხო, თურქეთის ქვეყანაში.

ამით გასრულდა ჩვენი ექსპედიცია მუჰაჯირებთან ორდუსა და სამსუნის გუბერნიებში. სამი კვირა ვიმუშავეთ მუჰაჯირთა სოფლებში, სამიათას კილომეტრზე მეტი გავიარეთ, შევხვდით ქობულეთელ, აჭარელ, მაჭახლელ, ბათუ-

მელ, შავშელ მუჰაჯირთა შთამომავლებს, ჩავიწერეთ ფოლ-  
კლორული, დიალექტოლოგიური და ეთნოლოგიური მასალები,  
შევიქმენით ჩვენეული სურათი აქაურ ქართველთა წუთი-  
სოფელზე. შთაბეჭდილებების საესენი ხვალ ბათუმში დავ-  
ბრუნდებით....

## თავი II. მუკაჯირთა შთამოგავლები საქარისა და ქოჯალის გუბერნიებში, ანუ ჩანაწერი მეორე

2013 წლის ზაფხულში ბსუ ქართველოლოგიის ინსტიტუტის მუდმივმოქმედმა კომპლექსურმა ექსპედიციამ იმუშავა კლარჯელ მუკაჯირთა შთამოგავლებთან (6-25 ივლისი) თურქეთის რესპუბლიკის რამდენიმე ილში (გუბერნიაში) – საქარია, კოჯაელი, სტამბული...

ექსპედიციის შემადგენლობაში შედიოდნენ:

I. პროფესორი მამია ფაღავა (ხელმძღვანელი), ასოცირებული პროფესორი მამია ბარამიძე, მაგისტრი თამარ ჩოხარაძე – დიალექტოლოგია;

II. პროფესორი თინა შიოშვილი, ფილოლოგიის დოქტორი გიორგი მახარაშვილი, დოქტორანტი მემედ ალი ქესკინი, დოქტორანტი ნიაზ ზოსიძე – ფოლკლორისტიკა;

III. პროფესორი ნუგზარ მგელაძე, პროფესორი მალხაზ ჩოხარაძე (მენეჯერი), ასოცირებული პროფესორი ზაზა შაშიკაძე (თანახელმძღვანელი), ისტორიის დოქტორი რუსლან ბარამიძე – ეთნოლოგია;

ნიკა ტულუში (ოპერატორი), ტარიელ დიასამიძე (მძღოლი).

\* \* \*

6 ივლისს დილის 10 საათზე სარფის საბაჟო-გამშვები პუნქტი გავიარეთ და დავადექით გზას გოლჯიქისაკენ. წინ დაახლოებით 1200-მდე კილომეტრი გვიდევს. დამე ჩარშამბეში გავათიეთ, 7 ივლისს უკვე დანიშნულების ადგილზე ვიყავით. გოლჯიქში შემოგვიერთდა მემედ ალი ქესკინი (ბისონიძე), ჩვენი დოქტორანტი, თურქეთის რესპუბლიკის მოქალაქე, წარმოშობით ქართველი, შავში, გამეშეთიდან (ბაზგირეთს ზემოთ სოფელია იმერხევში) და ზაზა შაშიკაძე, რომელიც რამდენიმე დღე სტამბოლში იმყოფებოდა და მუშა-

ობდა თურქეთის რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს არქივში საქართველოს შესახებ ოსმალური დოკუმენტების მოსაპოვებლად. ამჯერად ბ-ნმა ზაზამ იპოვა და გადაიღო კლარჯეთის ოსმალური აღწერის დავთარი (XVI ს.), რომლის გათვალისწინების გარეშე კლარჯეთის ისტორიისა და ისტორიული გეოგრაფიის (ასევე ტოპონიმის) დაწერა სრულყოფილი ვერ იქნება. აქ იმის თქმაც გვსურს, რომ ექსპედიციამ მუშაობა ერთი კვირით ადრე დაიწყო, ვიდრე 6 ივლისია.

მივევით ექსპედიციის მსვლელობას:

გოლჯიქი მოზრდილი ქალაქია ქოჯაელის იღში (გუბერნიაში). მის შემოგარენში ბევრი ქართული სოფელია. აქედანვე შეიძლება ვიმუშაოთ სხვა გუბერნიების ქართულ დასახლებებშიც. ერთი სიტყვით, ექსპედიციის ბანაკი სწორად არის შერჩეული. პირველივე დღეს გავიცანით ადგილობრივი ქართული საზოგადოების ხელმძღვანელი მურად სევიმი (მგელაძე) – აჭარელ მუჰაჯირთა შთამომავალი.

ახალგაზრდა კაცია მურადი, ენერგიული, საქმიანი. საქართველოში ხშირად დადის, მაღაზიაც ჰქონია ბათუმში... საღამოთი მურადმა ქართული საზოგადოების ოფისში მიგვიწვია, გაგვაცნო მემედ ბერიძე, ჯელილ ქილიჯი (მურღულელი კლარჯი ცოცხობანიდან) და სხვები. დაგვიპირდა, ყოველდღიურად მეგზურს გაგვაყოლებდა ქართულ სოფლებში... ეს სერიოზული დახმარება იყო ექსპედიციისათვის.

**8 ივლისი, ორშაბათი.** პირველი სოფელი, რომელსაც ექსპედიცია ეწვია **ჰამიდიეა**, ბორჩხა, ასე უწოდებიათ ბორჩხელ მუჰაჯირებს ახალი საცხოვრისისათვის: „ჩვენებმა ბორჩხაში ჩამოსულან, ბორჩხადან აქ ჩამოსულან“, ან „ჩემი დედე იქ ყოფილა, ბორჩხაში, მემრე იქიდან ჩამოსულან...“ გაიგონებთ ასეთ გამონათქვამებს გოლჯიქელი ბორჩხელეებისაგან. მათი მეტყველება ტიპური კლარჯული მეტყველებაა, ასევე – ფოლკლორი და ყოფა. გვარებს ვკითხულობთ, გვპასუხობენ: **ბადრამიძე, ყადიოღლი, ომეროღლი...** ქართული გვარები უმეტესობამ არ იცის; იციან ის, რაც დედებისაგან გაიგონეს. მოგვიანებით ერთმა ისიც გვითხრა, ეს გვარი

(სოიადი) კი არა სულაღე (ჩამომავლობა) არისო. ჩამომავლობის სახელი გვარ-სახელის ნაცვლად უფრო უკეთ გამოხატავს აქაურ ვითარებას. ბორჩხელებს სხვა ტოპონიმებიც შეუქმნიათ: **გაღმა ყანა, დღლე ყანა, ზომო ყანა...** აქ ხშირად ადგილებს ორი სახელი აქვს: ერთი ადგილობრივი (თურქული), მეორეც ახალმოსახლეთა მიერ შერქმეული (ქართული), რაც, თავისთავად, საინტერესო ფაქტია კულტურათა დიალოგის კონტექსტში.

ჰამიდიედან **ადვაზ ფინარში**, ძველ ჩათალ ტაშში გადაველით – გდოლჯიქის კიდევ ერთ ქართულ სოფელში. ართვინელები ცხოვრობენ აქ. სოფლის მუხტარმა (მამასახლისმა) გვიმასპინძლა, ალი ქესკინმა (ეფენდოდლიმ).

ადვაზ ფინარში კლარჯები და ჩხალელი ლაზები ცხოვრობენ. ქართული იციან სოფელში, უფრო უფროსმა თაობამ. უშლიდნენ ძველად სკოლის მოწაფეებს ქართულად საუბარს, აიძულებდნენ თურქულად ვლაპარაკათ. ჩვენთან საუბარში ალი ქესკინი მოიგონებს: „**მე ასე პატიტა ბაღვი ვიყავ. ნენემს ერთგან წყალ ვავსოფთ, ქართულათ ვლაპარიკოფთ. ორეთმენმა** (მასწავლებელმა – ჩამწ.) **გეფგონა. ჯოხი მომატეხია, ხელზე მირახუნა** (მირტყა – ჩამწ.), **ამტრია ხელზე** (დაცხო – დაამატა გიდმა, ჯელილმა). **იმის უკან არ ვლაპარიკობთ. ორეთმენი ყიზილბაში** (მოსული – ავტ.) **იყო. ახლა რაცხა გინდა ილაპარიკე, ვინმემ არ გცემს**“. ტიპური სურათია, იმიტომაც მოვიყვანეთ ჩანაწერი. ანალოგიურ ამბავს მოგიტხრობენ სხვა სოფლებშიც. „ყიზილბაში“ მასწავლებელი ცდილობდა თურქული ესწავლებინა თურქულის არმცოდნე გურჯისათვის: „**ჩვენა, მესელა, გურჯიჯა ვიცოდით, თურქჩა არ ვიცოდით, მემრე დევწავლეთ**“.

იშვიათად შეხვედებით ამ კუთხეში ვინმეს, რომლის წინაპარმაც ქართული წერა იცოდა: „**ჩემ ბაბომ გურჯული ფალად** (ანბანი, წერა – ავტ.) **იცოდა, წერვიდა, ჩვენ არ ვიცით...**“

ბორჩხიდან თუ ართვინიდან მოსულები ქვემოთ, ვაკე ადგილებში დაუსახლებიათ. ვერ გაძლეს მთასა და ცივ

წყალს ჩვეულმა კლარჯებმა იქ, სადაც ავადმჯობობა იყო, ფეხით მოვიდნენ აქ, ქვეყნის „დასაკარგავში“, მაღლობზე დაიწყეს საცხოვრისის ძებნა. ისეთი ადგილები შეარჩიეს, რადაცით მშობლიურ კუთხეს რომ ჰგავდა. დღესაც გაიგონებთ მუჭაჯირებისაგან: „მერაყ ვიჯები, იქ წვედენა. ამბობენ, აქაურობას გაგსო, წვედენა, ვნახონა“.

კიდევ ერთმა გარემოებამ მიიქცია ყურადღება, ხაზგასმით გვეუბნებიან ემიგრანტი კლარჯები: „აჭარაღს სოფლები დაჰა კარქა ილაპარიკებენ, კაჲ იციან იმათმა“. რატომ? ალბათ ვნახავთ ამ კითხვაზე პასუხს.

სოფელში ჩავიწერეთ რამდენიმე ლაღაბი, სიგელი, ძეგლი (მეტსახელი): **დელახმედოღლი, უზუნომეროღლი, დემირჯოღლი, სარაღლი, გენჯაღა...** (ზოგჯერ ასეთ სახელებს გვარებად გვისახელებენ...).

საღამოს გოღჯიქის აჭარა უბანში მივედი. ვისაუბრეთ. აქ თითქოს აჭარიდან ემიგრაციაში წასულთა შთამომავლები ცხოვრობენ. საუბარში გაირკვა: ამ რეგიონში მცხოვრები ქართველები აცხადებენ, ჩემი წინაპრები „ბათომიდან მოვდენო“ და ეს სიმართლეცაა, თუ იმდროინდელ ვითარებას გავითვალისწინებთ, კერძოდ: 1877-1878 წლების რუსეთ-თურქეთის ომის შემდეგ ბორჩხა, ართვინი, არტანუჯი... რუსეთის შემადგენლობაში, ბათუმის გუბერნიაში შევიდა. გამომდინარე აქედან, მუჭაჯირად აქაურთა წინაპრები ბათომიდან (ბათუმის გუბერნიიდან) წავიდნენ. ამიტომაც, მუჭაჯირთა მეტყველებისა თუ კულტურის მკვლევარმა უნდა დაახუსტოს ემიგრანტთა წარმომავლობა და ისე იკვლიოს იგი.

**9 ივლისი, სამშაბათი.** დილით მემედ ბერიძე მოვიდა ჩვენთან სასტუმროში და სიძრეთიეში წავედი.

მემედი ღორჯომელი მუჭაჯირის შთამომავალია. ახლა გოღჯიქში ცხოვრობს, მძღოლად მუშაობს. იგი კარგად ლაპარაკობს ქართულად. შეგვიპირდა, თავისუფალ დღეებში გამომგყვებითო აქაურ ქართულ დასახლებებში.

**სიძრეთიეს** მურღულეს ეძახიან მურღულელი ემიგრანტები.

სოფელში შესულებს თვალში გეცემათ აგურის ახალი სახლები, საკმაოდ დიდები. სოფლის ორღობეები ქვაფენილითაა მოგებული. კარ-მიდამოში ჩანს კაკალი, ვაშლი, მსხალი, ატამი, ქლიაფი... სოფლის ცენტრში, ჯამიკარზე, მივედით. არავინ ჩანს. დღეს რამაზნის მთვარე დადგა, მარხვა დაიწყო. დილით ადრე, 4 საათზე ადგა მორწმუნე სოფელი, დასლული მიირთვა, საბახნამაზი (ალიონის ლოცვა) შეასრულა და ისევ დაიძინა ზაფხულის გრძელი დღის უზმოდ გავლის მოლოდინში. სძინავს მურღულს, გოდლჯიქის მურღულს...

ორღობეში გავიარეთ. ვხედავთ, გზის ქვეშ, ყანაში ქალი მუშაობს. ორდუელი თურქი ხოჯის ცოლი აღმოჩნდა, თავადაც თურქი...

ორღობეში ორი ქალი გამოჩნდა, ჯამეში მიდიოდნენ ყურანის საკითხავად. წესად აქვთ მუსულმან ქალებს წმინდა დღეებში ჯამეში სიარული და ყურანის კითხვა. ვფიქრობთ, დასრულებდა ყურანის კითხვა და ვნახავთ ვინმეს, ვისთანაც ვისაუბრებთ.

მივუყვებით ორღობეს. ეზოში მოხუცი ტრიალებს, საქმობს რაღაცას. ხასან ალბაირაქი (ყავაზოლლი) აღმოჩნდა. გამოველაპარაკეთ. რეჯებ ზენგინთან (მისიროლლი) მივდივართ, გზას ხომ ვერ მიგვასწავლითო, – ვეუბნებით.

ცნობისათვის: გუშინ მურადმა დაურეკა რეჯებს, ჩემი სტუმრები მოვლენ ხვალ ბათუმიდან თქვენს სოფელში და შეხვდითო.

– ჩემი ძეგენია (აქ: დისშვილი), გასწავლით გზას.

ეზოში მიგვიწვია მოხუცმა. ვისაუბრეთ. მასთან საუბრიდან ერთ ეპიზოდს მოვიყვანთ: ჩემი ბაბაჲს დედედ მოვდა ჰასან-აღა ყავაზოლლი, ბათუმიდან ართვინში მოვდენ, ართვინიდან კი აქ მოვდენ. ნახევარი იქ დამჩალა, ნახევარი აქ მოსულა. შვიდი წელიწადი გასულა ბათუმიდან აქ მოსლაში...

– პირდაპირ აქ მოვიდნენ, თუ თავდაპირველად სხვაგან დასახლდნენ?



– არა, დაბლა ცხოვრობდენ. ბუზებიდან დამკდარან ჩვენი ძველები. აქ წყალი უნახვან, აქ დამჟდარან. ოზდათორმეტი სახლი მოსულა აქ სხვადასხვა დროს. აქ სარწყავი წყალია, ორ-ორი ვრწყავთა, თექვსმეტ დღეში ტრიალდება. ოზდათორმეტი ხანე ყოფილა, ყველამა მისი წყალი მან იცის...

ტიპური მოთხრობაა, თავგადასავალი, რომლის მსგავსსაც ბევრგან მოგვითხრობენ.

მურღულში ჩვენი ყურადღება მიიქცია ამინდის მართვის ხალხურმა რიტუალმა, ჭოროხის ხეობაში რომაა გაგრცვლებული იმის მსგავსმა: „თელი სოფელი მევერებოდით დელეუში; დელეიდან კენჭებ მემცტრევენ, ერთი ჯგალი (ტომარა – ჩამწ.) ეფსობოდა, ჩაგკიდებდით დელეუში, ვუკითხავდით (აქ შევეულოცავდით – ჩამწ.)... იმას უკან გაწვიმდებოდა. ჩვენი წვიმამს კითხვა იქნებოდა. სებებიც (ბავშვები) იტყოდენ: „სებირალურ ხურ მუთოჩუნ გაწვიმდეს, ამინ! – ასე იტყოდენ დარჭებმა“.

რიტუალს, ჩანს, ტრანსფორმაცია განუცდია, მაგრამ ძველგვარი მასში ქართულ ძირებს აღვილად ამოიცნობს.

ძველად ამ სოფელშიც უთესიათ პური, თუთუნი, სიმინდი, ლობიო... სხვა ბოსტნეული თუ ბახჩეული. ახლა აღარ ითესება პური და თამბაქო. მოიშალა ტრადიციული მეურნეობა, როგორც სხვაგან.

კიდევ ერთ მონათხრობს მივაქცევთ ყურადღებას:

მუჰაჯირები ახალ საცხოვრისში ცდილობდნენ ისე ეცხოვრათ, როგორც – სამშობლოში. საოჯახო ნივთებსაც ისეთსა და ისეთივეს გამოიყენებდნენ, როგორსაც მურღულში თუ ბორჩხაში: „იქ რაცხა უხმარია, იმსოღ გუუკეთებია. მაქვა მე ისინი“ – გვეუბნება რეჯებ ზენგინი და გამოაფენს ძველ ნივთებს, რომელთაც საბძელში ინახავს: სპილენძის საწველაგი, ნახშირის უთო, მერული, სინი, გოდორი... „ზოგი დედესია, ზოგი – ბაბოსი, ვინახავ... იქ უკან კევი (<კვერი – ავტ.) მაქვა“.

სოფლის ცენტრში მოვედით. რეჯებმა გადაუძახა მეზობლებს, მოყარა ჩაიხანაში ჩვენთან სასაუბროდ. იაშარ დაზიჯოდლუს ჩამოვუჯექი, ვესაუბრები:

– დაშარ, შენზე გვიტყვი, შელოცვები იცისო, ვერ გაიხსენებ?

– „ჩემი ბაბანემა, სირსვილი მექნებოდა, ბაბანემა ჩიმიკითხევდა: ღემსზე ლობიო წამოაცმევდა, დაასველებდა, სირსვილის ეტრაპში მოარუნიებდა, ჰემ იკითხევდა, არ გეზღება:

„აღადგურდი ჭალასა

სირსვილი ხნავს ყანასა,

მიაწვებოდა ქვეშეთ,

მიაყრიდა მიწასა,

ხარ ტაბიკი უუსხდა,

სირსვილ ფეხი მუუსდა (მუუსხდა)“.

მეშველებოდა. ჩეკითხვებდა, მოარუნიებდა ლობიო სამდღე, დილადა საჭმელი უჭმელადა, ხევისი უქნელი...“

მურღულიდან მამურთიემი (ძვ. ჩურუკბადერი) გადავედით. მშენიერი სოფელია, ლამაზი ორლობებით და ბავშვანებით. ერთია, ყველა სოფელში ახალი სახლებია უმრავლესი, არქიტექტურაც ახალია, ჩვენ კიდევ უფრო ძველი გვინტერესებს, იმის დასტურად, როგორ ააშენეს მუჰაჯირებმა ახალ საცხოვრისში მშობლიურის მსგავსი სახლები. ახალმა, ქვითკირის სახლებმა შეიწირა ძველი, ტრადიციული კლარჯული სახლის არქიტექტურა...

ხაირეთდინ თანი (თანთოლდი) გვესაუბრება. უჭირს ქართულად საუბარი, მაგრამ ახერხებს: „თანთადა მოსულა... იქა თანთი კალო ყოფილა ასე... იქ დადგომიდან, მოსულან ამკენისკენ, ჩამოსულან: ართვინი, რიზე, კანდრა,–კანდრადან აქა. ტყე გუუსხნიან, ბოსტნები გუუკეთიან, ცხვარი-თხა მუუარებთან, ამ დრომდე მოსულან...“ აი გზა, ხაირეთდინის წინაპრებმა რომ გაიარეს, ვიდრე მამურთიემი დასახლებოდნენ. სათქმელად იოლია, თუმცა გასაგვლელად – ძნელი.

ილიას თანი შემოგვიერთდა საუბარში.

– წინაპართაგან ვინ მოვიდა აქ? – ვეკითხები ილიასს.

– ანთო მოსულა: ანთო, თანთო, მანთო – ჩვენი დედე. აქ თანთო დედე მაქვა. აგი შემეყარა ემეში? თანთო დედეში შემეყარაო, იტყვის.

საინტერესო მოსაუბრეები გამოდგნენ მამაშურიელი კლარჯები.

კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ნაწილი ჩვენი საუბრისა:

– თქვენბური საჭმელების შესახებ რას გვეტყვით?

– ხმიადი, ფხალი, ღობიო, ღომი ღობიო, სირსვადი...

პურის ფქვილიდან გააკეთავენ: ფიფინა – მოჭრილი მაკარინა და ქია, იგი და ძეგ გახდება ფიფინა!

ხავიწი – დედმა ბევრი შეჭამდა; წურველი. ბეთმეზი – გაშლისა, სხალისა, თუთასა... თუთა ახლა გამეფონენ.

ფორჩვი ფხალი, ბეთმეზის ფაფა...კაკლიანი ჩურჩხელა გააკეთვენ, და.

მრავალფეროვანი სამზარეულო ჰქონიათ ემიგრანტ კლარჯებს და, რაც მთავარია, იგივე საჭმელებს აკეთებენ კლარჯეთშიც.

აქაურები ხის ნახშირის (ქომურის) დამზადებასაც მისდევდნენ თურმე და გასაყიდად სტამბულში მიჰქონდათ. ხამდი უზუნერი (უზუნ ომერ-ოდლი) გვიყვება:

აქა ქომურ აკეთავდენ, ისტამბულ მიქონდენ.

შიშა დაჭრიან, მიაწყობენ ერთმანებზე. შიან გასანთობელი ძერი დუშტევენ, მიწით დაბურვენ. წუუკილებენ ცეცხლი. შიშა შავდება, არ დეფწება.

ეს ამბავი იმითაც არის საინტერესო, რომ ასევე წვავენდნენ ნახშირს აჭარაშიც აჭარელი „ქომურჯები“. დღესაც შესვლებით მტირალას კალთებზე ნახშირის საწვავებს. აქ გამომწვარი ნახშირით ბათუმს ამარაგებდნენ, იმხანად პატარა ქალაქს.

მამაშურიდან იჯაადიეში (ძვ. ალი მეზარი) გადავედით. უკვე საღამო იყო. აქაურებმა ქართული არ ან ცუდად იცინან... ნეხამეთდინ აჯართან ცოტა ხანს ვისაუბრეთ. საღამოს

ლოცვამაც (იქინდი ნამაზი) მოგვისწრო. ნუზამეთდინი ჯამეში წავიდა, ჩვენ – **ირშაადიეში**, ძველ ბეილიქში.

ჯვეათ ქურთი და ენვერ ქურთი გავიცანით. აქაურები კატაფხიდან არიან მოსულები. კარგა ხანს ვისაუბრეთ. უჭირთ ქართული, მაგრამ ახერხებენ. გვარებს ვეკითხებით, ძველ გვარებს:

– **ჩაუშოდლი ვარ თუ ბაირანოდლი ვარ, არ ვიცი!** – ამბობს ჯვეათი.

დაფიქრების შემდეგ ჯვეათმა თქვა:

– **თქვენ რომ იქა ლაპარაკოფთ, იმსოე აქა არ ვიციოთ; თამამ მემედიმა იცის გურჯული...**

დაღამდა. დროა, სასტუმროში დავბრუნდეთ.

**10 ივლისი, ოთხშაბათი.** დღეს ჰალექ უზუნარი გვეავს გამცილებლად. დილით, საუზმის შემდეგ, **ნუსრეთიეში** (ძვ. დოშამე) წავედით. ადგილზე მისულებს დიდი სოფელი დაგვხვდა, **სამასი ხანე ვართო**, გვითხრა ხარეთდინ სერთოდლიმ (ცერცვოდლი), სამოცდაათიოდე წლის მოხუცმა.

– რა გვარები ცხოვრობთ ამ სოფელში? – ვეკითხები მასპინძელს:

– **სერთოდლი, დავაში, ალიონჯები, ულუსოე, დამანი, ყილიჯი, ბექიქ...** ისკებიდან ვართო.

ერთ მნიშნელოვან მომენტს მსურს მივაქციო ყურადღება: ხარეთდინი, ჩვენი მასპინძელი, საზგასმით იტყვის: „**თქვენი ლაპარაკი ლამაზია. ათი იენენ აქა, იმათ ლაპარაკ ვერ ვაგნებთ**“. ჩვენი ლაპარაკი მოსწონს მასპინძელს იმიტომ, რომ ჩვენ ვცდილობთ და ვახერხებთ კლარჯულად მოვუქციოთ და ისე ვესაუბროთ. აჭარული და კლარჯული კიდევ ერთი ჯგუფის (ერთმანეთთან ახლოს მდგომი) დიალექტები არიან. იოლად იგებს ჩვენს საუბარს ხარეთდინი და მოსწონს კიდევც...

კიდევ ერთი რამ: ხარეთდინმა ბავშვობაში თუ გენჯობაში (ახალგაზრდობაში – ავტ.) თურქული არ იცოდა, ქართულად საუბრობდა მხოლოდ: „**იმხრი ვიცოდო, თურქია სახელი არ ვიცოდო. ანწლი ვიცოდო, თურქია არ ვიცოდო...**“.

აქაურებიც ყვებიან ისეთივე ისტორიებს, სხვა სოფლებში რომ გვესმის. მნიშვნელოვანია ჩვენთვის აქაურთა მეტყველებისა და ხალხური სიტყვიერების მოსმენა-ჩაწერა, კლარჯული კილოსა და ფოლკლორის შესასწავლად. მოვიყვანო სანჯად კალიონჯუს მონათხრობს:

– **ორი ძმა, ბაბოჲ ჰყავან ბექარი, ორთვენი დებს უყურებენ. სიმინდი რჩევნაში ნადზე გედესულან და იქ უთქმიან:**

**იქიდან აქ გადმოველ,  
აჯაბ სული მთქერსა თუ,  
ჩვენ ძმები, თქვენ შიღები,  
მუუხიზმეთავთ ბერსა თუ?**

ლინგოკულტურული თვალსაზრისით საინტერესოდ გვეჩვენება კლარჯეთსა და მუჰაჯირთა სოფლებშიც გავრცელებული ლაღაბები (მეტსახელები): **კოსად, დიმითრიე, დევეჯი ჰასან, მაღაყი, დათვი...**

„მაღაყის“ მნიშვნელობა აქ არავინ იცის, მეტსახელმა შემოინახა სახელი დიალექტში უკვე არქაიზმად ქცეული...

ლაზური სახლებია ამ კუთხეში. ლაზი ოსტატები მოდიოდნენ-თურმე არქაბიდან, ისინი აშენებდნენო. რვა ძმა მოსულა, იმათ უშენებიათ, შემდეგ მიწები უყიდიათ, აქვე დასახლებულან. ლაზებს მუჰაჯირები ჭანებს ეძახიან, მოხტი ლაზსაც.

ნუსრეთიე შთამბეჭდავი სოფელია. ჩანს, სახნავ-სათესი ბევრი აქვს, თუმცა ახლა ძველებურად აღარ ითესება. ქალაქში მუშაობენ ნუსრეთიელები, სოფელში სამუშაოდ დრო აღარ რჩებათ. პურს მაინც თესვენ, თუმცა აღარ აცხობენ, მზა პურს ყიდულობენ. „თემბლები ვართო, სანჯადმა, გაეჭიბრდითო. ჩვენ ძველებს ბევრი უსაქმიათ, სოფელში ყველანიირი ხილია, კაცი შიერი არ დარჩება...“

ვაკვირდებით რა აქაურთა მეტყველებას, ერთხელ კიდევ ვრწმუნდები: მურღულელთა კილო განსხვავებულია, არ ჰგავს ბორჩხელთა მეტყველებას. განსხვავებას უმეტესად ქმნის ქვემდებარე-შემასმენლისა და დამატება-შემასმენლის ურთიერთობა, დამახასიათებელი კლარჯული კილოსათვის...

დიდი პატრიარქარული ოჯახი ჯერ კიდევ ახსოვთ აქაურებს:

„ერთი ოდა ერთი სახლი იყო. ხუთი ოჯახი იცხოვრებდა. ყველა ოდაში ოჯახი (ბუხარი – ჩამწ.) იყო. დარტყების ოდაში – არა. ორი ყათი (სართული – ჩამწ.) იქნებოდა სახლი. ერთ ყათში დიდი ბაბოა (დედე – ბაბოა), იმის ძირ ოდაში ენ დიდი ბიჭი, მიორე ოდებში მიორვენი... ვინცა დიდია ოჯახიან ოდაში დაწვებოდენ, დაბანვისთვინ. მაღლაც ჩენმე იქნებოდა, დაბლაც.“

ახლა ენ პატინაა ბაბოს და ნენეს ძირში იქნება, დიდ ბიჭს მიცემს მიწას, სახლ გააკეთავს, ყველა ეშველებს.

შუადღე მოვიდა. მკვმედ სერთოდლეუ, სოფლის მუხტარი, ახალგაზრდა, ენერგიული გურჯი, არ გვცილდება. ჯამიკარზე შეკრებილია მთელი სოფელი: ვიწვრთ, ვიღებთ... ცდილობენ ნუსრეთიელები გაგვაცნონ სოფელი და გაგვაცნეს კიდევც.

უკან მომავლებს დასიმინ აქი გადაგვიდგა, ოჯახში მიგვიწვია სადილზე. უარი ვუთხარით, რამაზანია, მარხვის თვეა, თქვენ არ მიირთმევთ, არც ჩვენ გვინდა, უხერხულიაო. არაა უხერხული, მე მომენელი ვარ, შენ ხომ არაო, მიირთვითო.

დასიმინი ქალაქში, გოდლჯიქში ცხოვრობს ოჯახით. დღეს სოფელშია, ქმრის სოფელში. იგი ქართული საზოგადოების აქტივისტია, ფინანსური მენეჯერი, ყველაფრით ეხმარება მურადს საქმიანობაში, – კულტურული ღონისძიებების მოწყობაში. ბარემ ვიტყვით, რომ დასემინის წინაპარი ჩხეიძე იყო ქელიდან. იცის, რომ მისი დიდი დედე არიფი და იმისი შვილი – მეკლუდ ჩხეიძე წამოსულან მუჰაჯირში... სხვა ბევრი არაფერი იცის. იზმითში არიან ჩხეიძეები, იმათ ეცოდინებათო, დასემინმა. ჩემმა ქმარმა, სელჩუქ აქმა კარგად იცის ისტორია და ქართული ამბებიცო.

დადამდა. იფთრობის (რამაზანში სადამოს პურობის) შემდეგ სასტუმროში გვეწვიენ მურად მეკლადე, სელჩუკ აქი, ჯელილი – თავისი გარმონით და მემედ ბერიძე. სელჩუკმა

ლექსები მოიტანა, რამდენიმე ქართულად დაეწერა, დაეწერა ისე, როგორც ესმოდა, რაც მნიშვნელოვანია დიალექტის მკვლევრისათვის... სიამოვნებით წამოვიღეთ სელჩუკის ლექსები...

**11 ივლისი, ხუთშაბათი.** დილით, 11 საათსა და 30 წუთზე სოფ. **ლუთბიეში** (ძვ. ბეგოდლი) წავიდით. სოფლის ცენტრში მივედით. მდინარის პირას მშვენიერი დასასვენებელი ადგილი მოუწყვიათ. იქვე ჯამეა. აქ იკრიბებიან სოფლიერნი ღოცვის თუ, საერთოდ, დასვენების წუთებში. ფეხი ფორიაზი, სოფლის მუხტარი და კიდევ სამიოდ კაცი მოვიდნენ ჩვენთან სასაუბროდ. ვფიქრობთ, მალე სხვებიც მოვლენ, – ცნობისმოყვარენი თუ ჩვენთან შეხვედრის მოსურნენი...

ლუთბიელი კლარჯები შედარებით კარგად საუბრობენ ქართულად. უფროსი თაობა კი - უკეთესად: **ჩვენი დედები, ნენები, თლათ ჩვენებური ღაპარიკობენ.** ამ სოფელშიც ამბობენ, „მექთეფში წასლამდე გურჯული ვღაპარიკობდით.“ ახალთაობაში ზოგმა იცის ქართული, უმეტესობამ – არა. „ჩემი პატინა ღარჯმა იცის, დედწავლა“...

ლუთბიელთა ქართულში რამდენიმე საინტერესო ლექსიკური ერთეული და ფორმა ჩავიწერე:

- **ეს ჩემი ღარჯმა ასაქმავს;**
- **მაყარჯობა (გევეზობა) ძველებმა იქმოდენ;**
- **ეკლები აფაქავს;**
- **სახლი აფაქავს;**
- **იქ კანდრას აძოვებენ;**
- **ბზე უძახით ამასა...**
- **ბაბოე ჩემი აქ დასმულა...**

**მაყარჯობა=ჭირვეულობა** (წესად იყო ძველად, გაჭირვეულებული მაყარი უცნაურ მოთხოვნებს უყენებდა სიძის ოჯახს. ოჯახი ვალდებული იყო შეესრულებინა: მოითხოვდნენ, დაკალით ხბო, ძროხა, ხარი... მოხარშეთ და მოიტანეთ. თუ არადა, სახლის გადაწვით იმუქრებოდნენ. ასეთ ამბავიც ჩავიწერეთ: მეორე სართულზე ხარი ამოგვიყვანეთო

მაყარმა, როცა ყველა ოცნება აუსრულეს... ხუმრობით დაწყებული „გეგეზობა“ ზოგჯერ ოჯახის დაზარალებით სრულდებოდა. ჩემს სოფელში (ორთაბათუმში) გამიგონია: „წაგედით, დედოფალი წაყიყვანეთ ყოროლისთავიდან აჭარის-წყალზე. სადამო ხანი იყო, სიძის ოჯახში რომ მივედითო. მშვენიერი, ძველებური ორსართულიანი ძელური სახლი უდგათ. ეზოში დიდი ნაღია, საბძელი, ბელელი ჩანს, მოშორებით – დიდი ახორი. ჩანს, შეძლებული ოჯახია. დაიწყო ქეიფი. ვიღაც გაჭირვეულდა, მოითხოვა, ქათამი დაკალით, შეწვიით და მოიტანეთო.

შეუსრულეს!

მეორემ მოითხოვა ცოტა ხნის შემდეგ, ხბო დაკალითო!

ჩანდა, თავს იკავებდა მასპინძელი...

როგორ თუ თხოვნა არ შემისრულეთო, მაუხერებით დაცხრილეს ჭერი. კრამიტები დაიმსხვრა, სახურავი გადაძვრა სახლს...

მასპინძელი ითმენდა ყველაფერს. ბოლოს, შეზარხოშებული მაყარი ეზოში გავიდა, დაიხმეს, მოდი ეს ნაღია სამფეხზე შევაყენოთო და გამოუშალეს ერთი ბოძი. სამ ბოძზე შემდგარი ნაღია მალე გადაბრუნდა და მთელი წლის სარჩო – სიმინდი და პური განიაგდა. ამის დამნახავმა მასპინძელმა ველარ მოითმინა, თოფმომარჯვებული გამოვარდა გარეთ, ყვირილით: „წყყვანეთ თქვენი ქალი და მომცილდით თავიდან, თვარა დაგხოცავთო!“ მასპინძლის ასეთ გაბრაზებას არავინ ელოდა. ყველა გონს მოეგო, მაგრამ გვიანი იყო, დედოფალი უკან წამოიყვანეს.

რამდენიმე თვე დასჭირდა შუამავალს, რომ საქმე შეებრუნებინა და ქორწილი დაესრულებინა...”

**მაყარჯობა ჭირვეულობის მნიშვნელობით კლარჯულში გეხვდება.**

**გაფაქება = გაწმენდა;**

**კანდრა = ინდაური;**

**დასმული = დაბადებული...**



საინტერესო მასალები ჩავიწერეთ ლუთბიეში საინტერესო ხალხისაგან.

ლუთბიედან **სოფულარში** გადავედით. სოფელს **მამანეთი//მამანათი** უწოდეს ქართველებმა. მამანეთი ჩხალელი ლაზებითაა დასახლებული. 50 სახლია სოფელში. საინტერესოა, რომ მამანათში მხოლოდ ლაზები ცხოვრობენ, სხვა – არაიან.

მუხტარს, ხუსეინ თურქაის ვეუბნები, რა სხვაობაა ლაზსა და ქართველს შორის-მეთქი. ასეთი პასუხი გამცა: „ხარმა მოფუნა, ურემმა გადაუარა, ორად გაყო. ერთი გურჯი, ერთი ლაზი, ორივე აინია“ (აინი – ერთი და იგივე, ერთი). ანალოგიური თქმულება, ოდნავ განსხვავებული ვარიანტით სხვაგანაც გამოიგონია, ხუმრობით თუ ნახევრადხუმრობით თქმული ჭეშმარიტება:

„ურმით მიდიან ბაბუა და შვილიშვილი. გასული საუკუნის ოცდაათიანი წლებია. გაჩაღებულია ბრძოლა მენშევიკებისა და ტროცკისტების თუ სხვა ანტისაბჭოთა ძალების წინააღმდეგ.

– ბაბუ, ეკითხება შვილიშვილი, მენშევიკი და ბოლშევიკი რა არის?

ბაბუამ სცადა აეხსნა ჭირვეული ბადიშისათვის, ვერ მოახერხა. ამასობაში ხარმა მოფუნა. ურემმა გადაუარა ნეხვს და დიდ და პატარა (ორ არათანაბარ) ნაწილად გაყო. ბაბუა შვილიშვილს მიუბრუნდა;

ბაბუ, აი დიდს რომ ხედავ, ეს ბოლშევიკია, პაწაჲ კილო – მენშევიკი. რომ შეაერთო, ერთი ნაგავიაო...“

მამანეთიდან (სოფულარს მამანეთი ჯობს, თუნდაც იმიტომ, რომ ქართულია) **დენი ფერადიეში** წავვედით. ფერადიეს მუჰაჯირები **ცოცხობანს** ეძახიან. ეძახიან იმიტომ, რომ „ბორჩხაჲს გაღმა სოფელია ცოცხობა“, იქიდან არიან წამოსული მუჰაჯირად დენი ფერადიელი კლარჯები. დღეს სამოცამდე ოჯახი ცხოვრობს სოფელში. ქართული უჭირთ, მაგრამ ახერხებენ მაინც. მოვიყვანთ ფრაზებს ცოცხობნელთა საუბრიდან:

- ჩემი პატინა ძმა წვედა, მე არ წვეველი.
- დაბლა ვენახი მაქ, ვაშლი, სხალი... თელი დავარგი (ვენახი = ბაღს, რაც იშვიათია სამხრულ მეტყველებაში, გეხვდება ოდენ კლარჯულში).
- წაბლები თელი განმა, უზუნი მოკტა, ფაბრიკები არია, განმა თელი.

- ჰაიდე, ბიჭებო, მეფერათ და წვედეთ...

- ქალებს უყვირა ხოჯამა, გაძვირდა ხოჯა (გაძვირდა = გაბრაზების მნიშვნელობით აქ შეგხვდა პირველად)...

როგორც ვხედავ, ცოცხობნელებს ქართული თითქმის დაავიწყდათ, მაგრამ მკვლევარი მაინც შეამჩნევს საინტერესოს მათ მეტყველებაში.

**ესკი ფერადიეში** წავედით. შუადღე გადაცილებულია. უკვე ილოცეს მორწმუნეებმა და შესაძლებელია ვნახოთ მოსაუბრე თუ მოსაუბრეები. მალე სოფელში ავედით. პირველად ალი ფელევანდოლი (დავუზი) შეგხვდა. სოფელში ცუდად ლაპარაკობენ ქართულად, მხოლოდ უფროსი თაობა, ისიც დიდი გაჭირვებით. „ჩემ ღარჭებმა ჰინ ვერ ილაპარაკებენ გურჯული“ - გვამცნო სოფლის საერთო მდგომარეობა თავისი შვილების მაგალითზე მოხუცმა.

- ჩემ ბაბა ანე ბათუმიდამ იყო;
- ვერ გაგაგენი;
- კორკოტანი - სიმინდის შიანად გული;
- გაგონილი არ მაქვა ჩვენა;
- ვერ მეფონავ;
- ხარტალი ვეტყოდით იმა;
- ხარი, ფური, ზროხა...

მსგავსი ფრაზები ჩავიწერეთ ესკი ფერადიეში, მწირი, მაგრამ საინტერესო საერთო სურათის დასახატავად.

მთელი დღე ჯელილი დაგვეყვებოდა თავის მშობლიურ სოფლებში. იგი ხომ ეენი ფერადიედან, იგივე ცოცხობანიდანაა, ახლა გდოლჯიქში ცხოვრობს...

ემიგრანტმა ცოცხობნელებმა ცუდად, მაგრამ მაინც იცინა ქართული, კლარჯეთის ცოცხობაში დღეს ქართული აღარ ისმის...

**12 ივლისი, პარასკევი.** ჯელიღმა მოგვაკითხა დილით სასტუმროში. ჩანს, დღესაც ის იქნება ჩვენი მეგზური. გუშინ საღამოთი გადავწყვიტეთ, იზმითში უნდა წავიდეთ, იქაური ქართული სოფლების სანახავად. დილის 9 საათი და 30 წუთი იქნებოდა გზას რომ გავუდექით. არცთუ შორია გოლჯიქიდან იზმითამდე, 100 კმ-ზე ოდნავ მეტი.

საუბარში გაიღია გზა. ჩვენი გამცილებელი კარგი მექართულეა, ლაპარაკიც უყვარს. არ ჩერდება, გვიყვება მთისა და ბარის ამბებს, ზოგჯერ მისი ახალგაზრდობის თავგადასავლებს... ჯელიღი „მუზიკაჯია“, გარმონზე უკრავს, მღერის კიდევ ქართულად. უწინ ქორწილებშიც უმღერია ჯელიღს, უცეკვებია და უცეკვია თავადაც. ჩვენთვისაც დაუკრა და იმღერა გუშინ, სასტუმროში, კიდევ გვიბრძანებდა...

პირველად **ბილაბილში** ჩავედით. ქართველ მუჰაჯირთა სოფელია, ბორჩხელების, კლარჯების. სამწუხაროდ, ქართული არ იცინან. ჩვენთვის მაინც საინტერესოა ამ სოფლის ნახვა. უნდა დაფიქსირდეს ყველა სოფელი, სადაც ქართული იცინან თუ არ იცინან. მეორეცაა და მშობლიურენადაკარგულ სოფლებშიც შეიძლება ვეძიოთ ქართული ყოფის ელემენტები, შევისწავლოთ „კულტურათა დიალოგის“ შედეგები.

12 საათი იქნებოდა **ნუსრეთიეში** (თათარქოი) რომ მივედით. მშვენიერი სოფელია. ნეჯათ ილდიზი შეგვხვდა, ნუსრეთიეს მკვიდრი. ნეჯათმა იცის ქართული. მისი ოჯახის ისტორია ისეთივეა, როგორც ბევრი სხვა გადასახლებულის: „აქ თათრები ყოფილან, თათარები გუუწევნიან... დამუდარან. დედე ჩანაქალეს ომში დამჩალა“.

ნეჯათი ბორჩხიდანაა. ბორჩხელია ასევე მისი მეზობელი ჯემილ სარაჯიცი.

ნუსრეთიე დიდი სოფელია ნარევი მოსახლეობით:

ა. ძველი მოსული კლარჯები (მარადიდი, ბორჩხა, მურღული);

- ბ. ახალმოსულები (20-25 წლის წინ), შიგა მიგრაციით;
- გ. თურქული მოსახლეობა.

სოფელში ექვსასამდე სახლია, აქედან ნახევარი მაინც გურჯია.

სურათი ასეთია: ქართულად საუბარი უჭირთ. ახალგაზრდებმა არ იციან (იშვიათი გამონაკლისის გარდა), საშუალო თაობამ ცოტა იცის, უფროსმა – შედარებით კარგად. ნუსრეთიეს მსგავსი სიტუაციაა მუჰაჯირთა ბევრ სოფელში.

მოვიყვანო რამდენიმე ტიპურ მაგალითს ნუსრეთიელთა საუბრიდან:

- **ჯემაღაფ, ჰა მიხვალა, ჰა?**
- **შენ მოშლილხარ, კად გურჯი არ ხარ!**
- **ამ არაბამა არ წევა იქა.**
- **აქ ჩვენ უქუმეთსა ჩვენ ვუყურავთ, იგი არ გვიყურავს...**

მოყვანილი მცირე ფრაზები საინტერესოა დიალექტოლოგიური თვალსაზრისით. პირველი იმიტომ, რომ კლარჯული მეტყველების ტიპური ნიმუშია. მეორეცაა და მასში გამოჩნდა კითხვითი ა' ნაწილაკი (პირველ ფრაზაში), რაც საინტერესო ფაქტია კლარჯულისათვის.

**ცნობისათვის:** კლარჯულში კითხვითი ა' თითქმის აღარ ისმის, იშვიათად დაჩნდება ზოგიერთი სოფლის მეტყველებაში; ჩანს, ნაწილაკის საშუალებით კითხვის გამოხატვა მთელი კლარჯულისათვის იყო დამახასიათებელი...

შუადღის ღოცვა დასრულებული იყო **შირინსულიეში** რომ მივედით. ეს სოფელიც ბორჩხიდან მუჰაჯირად წასულებით არის დასახლებული. ჯამის ეზოში დავსხედით. რამდენიმე ქართველი მოვიდა, მათთან ვსაუბრობთ. პირველი შთაბეჭდილება ასეთია: ქართული უჭირთ, შეიძლება ითქვას, ძალიან ცუდად იციან.

ისმაილ დოჰანის ერთმა ნათქვამმა მიიქცია ჩვენი ყურადღება: „ჩვენები **გამოპანტენ იქიდანო**“. „გამოპანტვა“ „გამოყრას“ (უფრო გამოჩეხებას) ნიშნავს. ამ ნათქვამში ნათლად გამოსჭვივის მუჰაჯირობის, როგორც მოვლენის არსი, კერძოდ ის, რომ მუჰაჯირად ნებით კი არ წამოვიდნენ, „გა-

მოპანტენ იქიდან“. ეს ისტორიული ფაქტია: ადგილობრივი მოსახლეობის აყრა-გადასახლებას ხელი შეუწყო როგორც ოსმალების იმპერიამ, მუსულმანურმა პროპაგანდამ, ისე – რუსეთმა. სწორად შენიშნავენ ისტორიკოსები: მუჰაჯირობა იყო ის მოვლენა, რაზეც ადვილად თანხმდებოდნენ დაპირისპირებული მხარეები, სხვაგვარად, მოსახლეობის გასახლება მამაპაპეული ადგილებიდან ორივე მხარის ინტერესებში შედიოდა.

შირინსულიელი კლარჯების მეტყველება საინტერესოა დიექტოლოგიურად, მოვიყვანთ ერთ ეპიზოდს:

– თხილი **დარგილი** მაქ. ლობიო **დავარგავთ**, სიმინდი **ვიქავთ**... დაარგავ, იმის უკან **ყველამფერი** იქნება: **სხალი**, ვაშლი, ქლიავი, თუთა, მუშმულა, ხურმა, კაკალი, ყურძენი... სიმინდის ტეხვაზე **იმღერავდენ: დამბიწყდენ** ნეჯათავ-და...”

სულ რამდენიმე წინადადება მოვიყვანეთ საილუსტრაციოდ და შვიდი დიალექტური ფორმა გამოვარჩიეთ. ერთი რამ ნათელია, მუჰაჯირებთან ქართული შევიწროებულია თურქული ენისაგან, ახალგაზრდობამ ფაქტიურად ქართული არ იცის, საშუალო და უფროსი თაობის მეტყველებაში მომრავლებულია თურქული ელემენტი, უმეტესად ლექსიკა, მაგრამ დიალექტი მაინც ინარჩუნებს სტრუქტურულ მთლიანობას.

აქაური სამზარეულო ვიკითხეთ, ჩამოგვითვალეს: „**მაკარინა**, **ჩირბული**, **ლობიო**, **ფხალი**, **ლობიანი ფხალი (შდრ. ფხალ-ლობიო)**, **ბურღულის ფილავი**... **ის ვიქავთ მესელა**. **ნენემა** **ესკიდენ ჩაქით დაჭრიდა მაკარინას**“. კერძების დასახელებიდან ჩანს, რომ მუჰაჯირთა შთამომავლები დღესაც იმავე კერძებს ამზადებენ, რაიც მათმა წინაპრებმა 130-135 წლის წინ წამოიღეს მშობლიური სოფლიდან. საოჯახო ყოფის ელემენტები მუჰაჯირებს კარგად დაუცავთ, ეს კიდევ უწყობს ხელს ნაციონალური იდენტობის შენარჩუნებას...

ჩვენს საუბარში ახალგაზრდა კაცი მოვიდა. ახმედ კაკაბაძე ვარო, გაგვეცნო, კინცხვეთიდან (სოფელია კლარჯეთშიო დაამატა. შდრ. კინცხურეთი). თავისებური კაცია ახმედი, ხმაურიანი, გაბედული, „ხმამაღლა ქართველობს“, უყ-

ვარს საქართველო და ქართველები, წიგნებიც აქვს სახლში ქართული, წერა-კითხვაც იცის ჩვენებური. თავისი ცხოვრების წესით გამორჩეულია იგი სოფელში. მოვიყვანოთ ეპიზოდს მისი საუბრიდან:

– ახმედ კაკაბაძე, კინცხვეთიდან ვარ. მე ოსმანლის ბადიში ვარ, ახლა თურქი ვარ მე, სოციალისტი ვარ მე. ღვინო'ნა დავლიო, ჯენნეთში ვინცხა მივა ვნახო'ნა. კულიანი ქალი ვითხვე, დამაბიწყდა. ეს თუ მოკტა, დავწვა'ნა...

მემისმინე, მემისმინე! ღრინო დალია ყიაღებულმა? ღრინო'და დალიოთ, თუ არ'ნა დალიო, ქართველი ვერ გახტები!

– ღმერთიდან მეშინია, ვერ დავლევო!

– ღმერთიდან კი არა, ჩემიდან გეშინოდესო, ვუთხარ!

ქოთქოთებს ახმედი, მოსწონს იგი სოფელს იმიტომაც, რომ ხშირად სოფლის ფიქრსა და სათქმელს ხმამაღლა ამბობს, არაფერს ერიდება...

შუადღის ოთხი იქნებოდა ჩუბუქლუბალაში რომ წაგედით. ათიოდ კილომეტრი გავიარეთ და სოფელსაც მივალწიეთ.

ჩუბუქლუბალა მაღალი, მთის სოფელია, ჩანს მდიდარი და მოსავლიანი. 75 სახლი მარადიდელი ემიგრანტი ცხოვრობს ამ სოფელში, დიდი დასახლებაა...

სულეიმან კარაასლანი გვესაუბრება:

– ჩვენი დედები მუსლიმანი არიან, იქ ვერ დადგენ, აქ მოვდენ. ერთი ბიბოჲ დიმირჩენ იქა...

ჩუბუქლუბალა მუჰაჯირების მოსვლამდე კორი ტყე (ულრანი ტყე) ყოფილა, „ჰიჩ ვინმე არ იყო. დედებმა აქა თოხითა, ნაჯალითა გასხნეს, ყანები მოთხარენ, სიმინდი, პური, ძულაფი ჭამენ... თხები, ძროხები, ცხუარი გააშენეს... – გვეუბნება მუსტაფა ემენიჯი, მარადიდელ მუჰაჯირთა შთამომავალი.

როგორც სხვებს, ჩუბუქლუბალელებსაც არ ჰქონდათ თურქებთან „თხოვნა-გათხოვნა,“ ახლა დაუწყიათ.

ერთი შელოცვაც ჩაგვაწერინა ხასან მაღჩიმ (ნუნიოდლი) მარადიდლიდან:

...შიგილოცავ თვალისა,  
ენწინ ჩემი თავისა,  
შინაგრისა, გარეველისა...  
მოვდოდა შავი წყალი,  
იმას მოქონდა შავი გველი,  
[ჩაგეკარ შავი ყავარჯენი]  
ამოვღევი, დავკიდევი,  
დავჭარ, დავანაწილე--

ჩუბუქლუბალაშიც აკეთებდნენ ნადს, ესმარებოდნენ ერთმანეთს და იმღერებდნენ კიდევ ნადურებს: „სიმინდები გამარგლისხან „ჰემო, ჰემო“ ვიმღერავდით და თოხებით ვთხრიდით სიმინდსა“. დიახ, ამ სოფელში ყანას თოხებით თხრიდნენ, რამდენადაც, სოფლის რელიეფი არ იძლეოდა საშუალებას, გუთნით დაეხნათ ყანა...

ჩუბუქლუბალელებიც ევედრებოდნენ უფალს მოეცა წვიმა, არ ყოფილიყო გვალვა. თუ კლარჯეთში და ჭოროხის სხვა ქვეყნებში გარკვეული რიტუალი ტარდებოდა და შეკრებილი ხალხი ეხვეწებოდა ღმერთს, მოეცა წვიმა თუ მზე, იმის მიხედვით, გვალვები იყო თუ წვიმები, აქ ხოჯა შეკრებდა ხალხს, ალოცებდა და შეკრებილებთან ერთად შესთხოვდა უფალს მოეცა წვიმა:

– ღმერთო, წვიმა მოგვეცი, ყურადები არ წევდეს! – იტყოდა ხოჯა.

– ამინ! – ვიტყოდით ჩვენ... გვიყვებიან სოფელში.

იყო სხვა ტრადიციები თუ წეს-ჩვეულები:

– თვარე რომ დაბნელდებოდა, თოფებით ვაყრდილთ, გუშუშვასო თვარე, ვინცხამ დეიჭირა იმან

თოფის სროლით გველვეშაპს მთვარეს აშვებინებდნენ საქართველოს სხვა კუთხეებშიც, მათ შორის ქვემო აჭარაშიც: თოფებს ისროდნენ, აშინებდნენ გველვეშაპს, მოკლით ემუქრებოდნენ, გაეშვა ჩაყლაპული მთვარე... სოფელი ბედნიერი იყო, როცა მათი სროლისა და ჯახირის შემდეგ ისევ გამოჩნდებოდა მნათობი, ისევ განათდებოდა ბნელი ღამე...

დღის ბოლოს **აუზლუ ბახჩეში** იბრამ ართვინლის შეგნვით, გოგლიეთელ გოგლიძეს. საინტერესო კაცია ბატონი იბრამი, ცნობილი პოლიტიკური და საზოგადო მოღვაწე თურქეთის რესპუბლიკაში: თავისი დიდებული ვილის აივანზე მიგვიწვია, ოჯახი გაგვაცნო, გვიმასპინძლა და გამოგვაცილა. დამღლევი დღის შემდეგ მართლაც ბედნიერება იყო ეს მცირე დასვენება. გოლჯიქამდე საკმაო გზა გვიდევს. გზაში ვფიქრობ იბრამ ართვინლის ნათვამზე: ჩვენს სოფელში 40 ოჯახი გოგლიძე ვცხოვრობთო, დაახლოებით 200 სული... **ბახჩეჯიქში** 40 000-მდე სახლია, აქედან 10% ქართველია. ორმოცი ათასის 10% 4000 ოჯახია, თუ ვიანგარიშებთ თითო ოჯახში საშუალოდ 5 კაცს, 20 000 გამოდის. გვადარდებს ის ფაქტი, რომ მათმა დიდმა ნაწილმა, უმეტესად საშუალო და ახალმა თაობამ, ქართული არ იცის...

**13 ივლისი, შაბათი.** დღეს დასვენების დღეა, მურად მგელაძე და მემედ შაჰინი ისვენებენ, დაგვიბრდნენ, მთელი დღე ჩვენთან იქნებიან, და, რაც მთავარია, ბურსის ილის, იზნიქის ილჩეში აჭარაში წაგიყვანთო. აჭარა ზოგადი სახელია იმ ხეობისა, სადაც აჭარელ (ჩანს ზემოაჭარელ) მუჰაჯირთა შვიდი სოფელია განთავსებული...

ცალკე მანქანით მურადის მამა და ახლობლები მოდიან. მურადი და მემედი ჩვენს მანქანაში სხდებიან.

დიდი 10 საათზე დავადექით გზას. გადავიარეთ ტყიანი უღელტეხილი და ჩავედით სოფელ **კირქ ხარმანში** (ორმოცი კალო). გაღმა **სარი სუ** მოჩანს 45 სახლით, დაბლა **ჰაჯი ოსმანი** - 60-ზე მეტი სახლით. ბარემ ვიტყვით, რომ კირქ ხარმანი და სარი სუ ჰაჯი ოსმანის უბნებია (მაჰალეები), ერთ სამუხტროში (სამამასახლისოში) არიან გაერთიანებული, ცენტრით ჰაჯი ოსმანი.

კირქ ხარმანის შესახებ გვეუბნებიან: „კაცსა **ორმოც დღეს კალო ვერ უქნია, ქარი ქრისო, იმიტომ დუურქმიან კირქ ხარმანი. ორმოც დღეზე ანჯახ ერთი ხარმანი ქნა**“.

ქარი ქრის კირქ ხარმანში დღესაც, ცივი ქარი.



მემედ ადინს ველაპარაკებით. ხის ძირში ზის ბატონი მემედი, 70 წლის კაცი; იგი კარგი მოლაპარაკეა, ყველა მთისა და ბარისას.

– მემედ ბატონო, ჩანს, საქონელი ბევრი გყავთ, დაილა სად გაქვთ?

– რაღა დაილა გვინდა, დაილაზე ვცხოვრობთ და მეტი სად'ღა წევდეთ? – მომიგო ღიმილით.

მართლაც მაღალი სოფელია კირქ ხარმანი. ჩანს, სოფელს კარგი სახნავ-სათესები აქვს. ირგვლივ პურის ყანები-ა, სიმინდის ნათესები, ლობიო, ფხალი... სხვაც მრავალი ბოსტნეული და ბახჩეული. სოფელი მთის ველზეა გაშენებული.

– მემედ ბატონო, რომ არ გაწვიმდებოდა, კურადი რომ დადგებოდა, რაფერ შეეხვეწებოდი ღმერთს? აჭარაში, ღორჯომში, შეეხვეწებიან და მოისმენს ღმერთი ხალხის ხვეწნას და გაწვიმება!

– ათი-თხუთმეტი ბადვი დაღ, კვერცხ მოგვრებით, შეეწავდით დაღი-კვერცხსა, ვჭამდით. მერე ხელს აწვევდით და ღმერთს შეეხვეწებოდი... ერთჯერ გერჩექ გაწვიმდა.

– რამე ლექსს არ იტყოდით?

– ლექსს არა, ისე შეეხვეწებოდი!

შემდეგ მემედ ადინმა რამდენიმე ლექსი ჩაგვაწერინა, ოღონდ სხვა, არა „ამინდის სამართავად“ თქმული:

საყვარელი მივა გზაში,  
ლაპარაკობს, ვიცან ხმაში,  
ღმერთმა გზა არ შიგიშალა,  
მოგიყვანა ჩემთან სახში!

ყველა მღეროდენ, ახლა არ ვიცი.  
ჰაიდუ, ერთი სიმღერა ვთქვათ,  
ბეველებური პაწაა რაში,  
ხალაშვილსა კი ვუყვარვარ,  
წიმიდვებოდა გზაში.  
ეს ბელა შემემელია,  
გზა დამასწავლა შავ ზღვაში...

ღორჯომში ნათქვამია ზათინ.

მართლაც, ლექსის ბოლო სტრიქონი გვაფიქრებინებს, ეს ლექსი ან ღორჯომიდანაა წამოღებული, ან მუჰაჯირთა პირველი თაობის მიერაა შექმნილი, იმ თაობის, ვის ხსოვნაშიც იყო შავი ზღვა. თორემ აქ, ამ მთებში გაზრდილი კაცი-საგან წარმოუდგენელია თქმა: „გზა დამასწავლა შავ ზღვაში..“

ბარემ ერთ გამოცანასაც მივიყვან მემედ ადინისაგან გაგონილს: „**ვაალთე, ვაალთე, ვერ ავაალთე**“. შდრ. „**კეკეცე, კეკეცე, ვერ ღავკეცე**“.

**აკალთვა აკეცვის** მნიშვნელობით, ვფიქრობთ, საინტერესო ფაქტია.

საინტერესო მოსაუბრეა მემედ ადინი. წუხს, ქვეყანა მოვიარე, ამერიკაშიც ვიყავი, ამხანაგმა წამიყვანა, ბათომში და ღორჯომში არ ვყოფილვარო. „ამერიკაში წასლას ღორჯომში წეფ, მარა ჭკევა..“

დავემშვიდობეთ მემედს და დაბლა დავეშვიტოთ **ქირიმით-ში**. ეს მურადის სოფელია, მურად გელადის.

კარგი სოფელია ქირიმითი, ვრცელი მინდორი, ყანები, საქონელი... სახლები ძველი აქვთ, ჯამე ორია სოფელში, – ახალი და ძველი. ხილიც ჩანს საკარმიდამოებში... კალო კარგად აქვთ მოვლილი, ახორი და სხვა დამხმარე ნაგებობები სახლის გარეთ აქვთ. მშრომელი ხალხი ჩანს ქირიმითელი აჭარლები (ღორჯომელები).

სოფელში შესულს პირველი შთაბეჭდილება ასე ჩამიწერია: „**ღამაზი სოფელია – ველი მთაზე. გაშლილი საყანეები, მზის გული. საქონელი ჯანიანი – ძროხები, ხარები, ხბოები... პატარა ბავშვები აძოვებენ პირუტყვს. ბავშვები ნათელი სახეებით... ნამდვილი ქართული გარემოა ქართული ტიპაჟით**“.

იზეთ სევიმი (ჭყარტიოლი) გავიცანით.

აქაურთა მეტყველებას ვაკვირდები, ვიწერ... ტიპური ზემოაჭარული მეტყველებაა:

– თურისტები წელიოდენ - მოდიოდენ. აქ ბევრი ფარა ქონდა, ვერ დუუტიესო. ბაღებმა უთხრეს, რაჰათი მეგვეშა-  
ლა, წეითო.

წვედა!

– სა მიხვალო, ქალმა!

– ოჩო და ხერხი'ნა ვიყიდლო!...

– ლაგანი ფიქტო (ფიშტო რატომღაც გამოთქვა ფიქტო  
– აგტ.), ლაწდამიცა ყალდინუმზე, დემსხლიტა, ხაპერზე  
მოსტა. პაწა ხანს შააგდეს; ბათუმში მიღეთ ვეჭილი (დეპუ-  
ტატი – აგტ.) ყოლია, გადამარჩინეო.

– მე რა გადაგარჩინეო, – გეიცინა...

ერთი საინტერესო თქმულება ჩავიწერე ფერებზე.

ზექერია გიულერი მოგვიყვა:

– ერთ ქალი (აქ ცოლი – აგტ.) ავაღველი ყავდა. უთხ-  
რეს, აქ, ხიდზე ფერ'და გემაროს, უფროსს უთხარი და გუ-  
შუშებსო. მივდა, უთხრა.

ფერების უფროსმა მეიკითხა, ნახა დამკაგებელი, უთხრა:  
გუუშეითო!

– გუუშევს!

ანალოგიური თქმულება ჩაწერილი მაქვს აჭარაში, ხიხა-  
ძირის ხეობაში, შიგანაში. არაა დიდი ამბავი, ბარემ მოვი-  
ტან მთლიანად:

„სალიქოშანის მცხოვრებლებმა სამმა-ოთხმა ძმამ გა-  
დაწვევითეს ჭალისათვის წყლის ჰარდის გამოყვანა. მუშაობა-  
ში დუუღამდენ. ამ ძმებთაგანიდან ერთმა ჰარდის პირას მო-  
შარდა. თურმე ამ მოშარდვის ადგილას ყოფილა ჯინების  
სუფრა და მოშარდვაც აქ მოხდა. ამ ჯინებმაც ეს კაცი დედ-  
კავეს და დაავადყოფდა იგი. ამ ჯინების დავალების შედე-  
გად ამ კაცმა დედწყო ბნედა. ამის გამოჯანმრთელების მიზ-  
ნით იმ დროს არსებობდა საიმისო ჯინდარები. ყინჩაურში,  
კოროჭში იყო მაგარი ჯინდარი. იმას მიაკითხა ძმამ. ასე და  
ასე მჭირს და უნდა დამეხმარო.

ჯინდარმა ამოიღო სახელმძღვანელოები, ამოუკითხა და  
უთხრა: თუ მშიშარა ხარ, არ გამოვა არაფერი. თუ გუღვანი

ხარ, მე დივიწერ წერილს და ჯუმა დღეს (პარასკევს – ავტ.) თქვენ სახლი ქვევიდან ამოივლიან ჯინების მექორწილე და იმ ქორწილის უფროსს, თეთრ ცხენზე მჯდომს, მიცემ ამ წერილსო.

ჯინები ყველანი ცხენზე იჯდებოდენ, ფეხზე მაღალქუსლიანი, წვრილქუსლიანი ფეხსაცმელი ეცვენ, რომ გეფარონ კიდეში და ფოწორობში (ფოწოები<ფროწოები – დაღმართი, გაუვალი ადგილი – ავტ.).

მივდა ამ კაცმა პარასკევ საღამოს მდინარესთან, სადაც ქორწილს უნდა შამოეკლო. დაჯდა ერთ ჯირკთან ახლო. ხედავს, რომ ცოტა ხნის მოცდის შემდეგ მექორწილე მოდის, ჯინების მექორწილე, წინ გაძლოლილი თეთრი ცხენით ხელმძღვანელი ჯინი. აიღო ამ კაცმა და გადასცა წერილი. წეიკითხა წერილი. ამ ცხენიან ჯინმა მექორწილეს გვერდით გადმოდგა და ეკითხება ყველას:

– ფაღან ადამი სანტუთლუნ? (თ. ეს ადამიანი შენ დაიჭირე?).

– დოხ, – პასუხობს ყველა.

ბოლოს ერთმა კოჭლმა ჯინმა უთხრა:

– მე დეეჭირე ეს კაცი!

– რატომ!

– იმიტომ რომ სუფრაზე მომიფსა!

– გაუშვი! – უთხრა ხელმძღვანელმა ჯინმა.

– თუ არ გაიმეორებს, გაეუშვებო...

მართლაც, სახში რომ დაბრუნდა, ნახა, ძმა სრულად ჯანმრთელი იყო".

„ჯინების ამბავი“ ქვია ამ თქმულებას, ახმედ გაბაიძისაგან ჩავიწერე. ხიხაძირული ვარიანტი, მართალია, უფრო ვრცელია, მაგრამ თქმულება იგივეა.

რამდენიმე ანდაზაც ჩავიწერე:

– შეინახე ბზე, მუა მისი დრო!

– ერთ ხელი რამე არაა, ორ ხელით ხმა იქნება!

– გოგო, შენ გებნევი, გელინო, შენ გეფგონე!

– სიტყვა გუმიშია, უხმიობა ალთუნი!...

სანტერესოდ მეჩვენება ბოლო ანდაზა, რომელიც წიგნით გაგრძელდა ჩვენში...

დაბოლოს, ერთი კაი სიტყვაც ჩავიწერე ამ სოფელში და იმასაც მოვიტან კონტექსტში: „ჩემი **დედმა დათვმა დაბულა**“.

**დაბულა ცემის** მნიშვნელობით საყურადღებოა ქირიმითელი აჭარლების მეტყველებაში.

ქირიმითიდან **ფაშა მაჰალეში** გადავედით. ლამაზი სოფელია: საძოვრები, ტყეები, ყანები, ხეხილი... მაგრამ სოფელში აღარ გავჩერებულვართ... **ელმალიში** (ვაშლოვანი?) წავედით, აჭარელთა სოფელია მდინარის ორივე მხარეს გაშენებული. ზემოდან დავეყურებთ ელმალს. ჩვენ თვალწინ იშლება ლამაზი ხედი. მდინარისპირა ველი (მერე), სიმინდისა და ბახჩეულის ყანები, ერთმანეთზე ლამაზი და მოვლილი სახლები, ბალ-ვენახიანი ველები, სადაც ძოვს რჩეული საქონელი... სიტყვებს ვერ ვპოულობ სოფლის საქებრად. სოფლის ცენტრში ჯამეა 1884 წელს აგებული, პირველმოსულ აჭარლებს აუშენებიათ.

სოფლის სახელი – ელმალი მაფიქრებინებს, ვაშლოვანი (ხულო) აჭარლების სოფელი ხომ არაა-მეთქი და ვეკითხები კიდევ ორჰანს, პირველშემხვედრ ელმალელს.

– **იმდენეთი არ ვიცი. დედეს დაწერილი აქ. იქაც დაწერილი, აქაც დაწერილი... კაცი თერეფი წამოსულა აქა, ბიბიები დარჩენილან იქა. აგერ ე’ სოფელი დედეს გუშუწყვია. ბილანდულა** (ძველებურად – ჩამწ.) **აღარ ვთესავთ.**

– **კამ, მობძანდი, მობძანდი, დიდმა ბატონმა** **გადმოგხედოს!** (დიდი ბატონი ღმერთის მნიშვნელობით საყურადღებო სინტაგმაა. „ბატონი“ „ღმერთის“ მნიშვნელობით აჭარულში არ დასტურდება).

– **ნენე მუუკტა, მარტვაა არი!** – ამბობს მეზობელზე (ნენე აქ: ცოლი, ოღონდ სხვისი თვალით. ვისაც მოუკვდა, იმისთვის **ქალია** (ცოლი), მოუბრისთვის – **ნენე**. ზოგჯერ ქმარიც იტყვის ცოლზე **ნენე**).

– *წისქვილი ავასაქმო, ნახეთ!* (ავასაქმო = ავამუშავო).

– მამაჲდ რა იჯები? მე აქ ვსაქმობ, გუჯუქ, მოდი! ამის-  
მა ბაბომ ბაირამზე გადელდა, პირიდან *ქაფულები* (ქაფები –  
ჩამწ.) მოდიოდა... თოკვით გაეოჯეს, ათზე მეტმა კაცმა ძვი-  
ლად დეეკავეს, ხუთი-ექსი *დაბეჯვა*, ერთსა ქაფულები წამუ-  
ჲვდა სიმწარით... დიდი მუხის *ყავარი*, ორი კაცი ძვილად  
აწევს, იმან აწია, ასე აქნევს (ხელით გვაჩვენებს – ჩამწ.)...  
ხანდახან მუჲარდა, მარა პირველად რომ იყო, ისე არ გადუ-  
ლებულა. აქეთ-იქით ფრიალობს, ვინცხას'და დაარტყას'და.  
მურადაჲს ბაბოჲც ყოფილა იქა. მე არ მომხდაო, მარა ვისეი-  
რეო (აქ ვუჲურე – ჩამწ.).

– მე მეშინიოდა არ დამკლას-მეთქი...

ამ საუბარში ლინგვისტური თვალსაზრისით ბევრი სა-  
ინტერესო სიტყვა-ფორმა და სინტაგმაა, ასევე ლექსიკური  
ერთეული...

ჩვენი წამოსვლის დროც დადგა. შემდეგი სოფელი *ჰაჯი  
ოსმანია*, მურად შაჰინის სოფელი...

ბექირ შაჰინის ეზოში გაჲჩერდით. ოჯახი საქმობს, –  
თივით დატვირთულ მანქანას ცლიან. უცხო მანქანის დანახ-  
ვაზე მუშაობა შეწყვიტეს და ჩვენთან მოვიდნენ. სიხარულით  
მიგვიდეს. ექსპედიციის წევრი ქალები სახლში შევიდნენ ქა-  
ლებთან სამუშაოდ, მამაკაცები ეზოში დავრჩით, მოლზე  
დაფჯექით და სასაუბროდ თუ ჩასაწერად მოვემზადეთ. ბე-  
ქირ შაჰინი გვერდით მოგვიჯდა. ნიაზი შინაურულად ესაუბ-  
რება, ცდილობს, დაუახლოვდეს, „გახსნას რესპონდენტი“,  
როგორც ექსპედიციაში იტყვიან ხოლმე.

– ამდენი თივა მანგლით მოტყერით? – გულუბრყვილოდ  
კითხულობს ნიაზი.

– მანგალით გვერდ დერებსა ვჭრით, დუზებზე მაქინათ.

– ძროხა, საქონელი ბევრი გყოლია, რძე სად მიგაქვს,  
ყიდი თუ?

– რძეს ვაბარებ, მოვწვევთ, ჩამოივლიან დილაზე, წე-  
დებენ. ზოგსაც სახში ვხმარობთ. დაპწნილი ყველი იცით  
თუ? ყველს გაგაკეთებთ.

– ყველიდან?

– ყველიდან ჭრიხინას: ყველს დაჭრიან, დაჭრიან და დაღ მუასხმენ... რა ვიცი მე. ღორჯუმელები ბორან ეტყვიან და აჭარლები – ჭრიხინაა.

ვიდრე დიალოგს გავაგრძელებდე, ორიოდ შენიშვნას გავაკეთებ, შემდეგ რომ არ გამომჩნეს.

ა. ზემოაჭარაში დღესაც აკეთებენ კარაქისა და ყველის შეჭამანდს და ბორანს ეძახიან, ზოგჯერ მოხრაკულსაც. აქ, ამ სოფელში დაფიქსირდა ჭრიხინა...

ბ. მოსაუბრემ სხვადასხვად მოიხსენია აჭარლები და ღორჯუმელები. ჩვეულებრივ, ღორჯომელიც აჭარელია ტრადიციული და ისტორიული გაგებითაც. საინტერესოა, რატომ გაყო ღორჯომი და აჭარა მოუბარმა? იმიტომ ხომ არა, რომ სხვადასხვა თემი (თუ ხეობა!) იყო აჭარა და ღორჯომი? მნიშვნელოვან ნიუანსთან გვაქვს საქმე.

– ძიდან კიდევ მაწონ შევაყენებთ, დაღ მოვრეკავთ ვარი-აში, დერგებში შევნახდით, ახლა ბუზდოლაბია... შრატვიდან ნაღულს გავწურავთ, ნაღულიდან ყურუთს გავაკეთებთ...

– კაი ყურუთს და თბილ ჭადს რა სჯობია? – ნატრობს ნიაზი.

ბექირი გაგვიშინაურდა, შესაბამისად, დიალოგიც თანდათან შინაურული ხდება.

– მიწიდან აკეთებენ კეცს. ოჯადები იყო სახში, ბუხრები, კეცს მივაყუდებდით, გაცხელებოდა, ჭადს მოხედდენ, დააკრეფდენ, საჯ დაახურეფდენ, დააყრიდენ (დაახვეტებდენ) ცეცხლ, გამოცხვებოდა ჭადი.

გაგვაცნო მჭადის გამოცხობის მთელი პროცესი ბექირმა.

– თქვენთან, სოფელში რა გვარები ცხოვრობენ? – ვკითხულობ.

– კოტიოღლები, ნადიროღლები, კოთხოღლები, ჩილოღლები, თათაროღლები, მეშიოღლები, ბუბგები, ხორომჯი,... საბზელოღლები, დაუღოღლები, მეუღოღლები, ჭინკალაები... ლაღაბებია. სხვა ლაღაბებიც არის: გაღი, მოკლე, შავი,

**თეთრი, ბაჯახსუზი, წაკვამ, ტაკვეცი, დოლიამ, ბოქშვამ, კვირითავამ...**

სწორად შენიშნა ბექირმა, ესენი „ლაღაბები“ არისო (სოდადი, ჩამომავლობის სახელები) და არა გვარები. დაფიქრებად ღირს ეს ინფორმაცია, თუნდაც იმიტომ, რომ მუჰაჯირთა დიდი ნაწილი ქართულ გვარს ვერ ასახელებს. ეს უპირველესად ითქმის კლარჯ, შავშ, ზოგჯერ ხემოაჭარელ და მაჭახლელ მუჰაჯირებზეც...

ამ სოფელში ხეხილი მრავლადაა: **ბოქშვამ სხალი** აჭარიდან მუუტანიან. ვაშლებიც არის: გუნევრამ, შექერვაშლად, ქავევაშლი, **დემირამ...** დემირამ ბათუმიდან წამუულიან.

„დემირა-“ ვაშლი და „ბოქშვა-“ მსხალი ემიგრაციაში წაუღლით გადასახლებულებს. ესეც ნოსტალგიის გასანელებლად აღბათ.

ძველებური სახლი გვანტერესებს, ვკითხულობთ.

– **ძელის სახლებს გაგაკეთებდით, ჯარგვალი სახლიც იყო. ქვეშ ახორი'და იყოს, ზემო – სახლი.**

სახლში რამდენი სული იქნებოდა?

– **ხუთიდან თხუთმეტამდე იქნებოდა. სახლის დიდი განაწილებდა საქმეს და უძღვებოდა ოჯახს. თუ გაბევრდებოდენ, გაარიგებდენ: ხარი, ძროხა, სობო, ფულლუდი, არაბამ... გაატანდენ.**

კიდევ ერთი რამ იქცევს ჩვენს ყურადღებას: ყველგან, სადაც კი ვიკითხეთ, როგორი ზამთარი იცისო აქ? გვპასუხობენ: „პილად ორი მეტრი მოვდოდა, ახლა ელლი (50) სანტიმეტრი მოვა“. რა ხდება? რამ გამოიწვია კლიმატის ასეთი ცვლა?

ჩავიარეთ მთელი აჭარა. ვხედავთ აჭარლებს პატარა აჭარა მოუწყვიათ აქ: ჯილდით უთესიათ სიმინდი, კალით დაუბამთ ფური, ბელელი და ნალიაც დაუდგამთ ეზოში, საკარმიდამოში ხეხილიც გაუშენებიათ... და, რაც მთავარია, ძელის სახლები, ზოგჯერ ჯარგვალებიც უშენებიათ... ასე გამრავლებულან და დღემდე მოსულან უცხო მიწაზე გადასახლებულები...



სადამოს მურად გელაძემ იფთარზე (რამაზანში სადამოს პურობა) დაგვიპატიჟა: გოლჯიქის თავზე ფეშენებლურ რესტორანში მიგვიწვია მთელი ექსპედიცია და რამდენიმე აქაური ქართველი. იფთრობამდე ჯერ ადრეა. ეზოში ვსხედვართ, დაღამებას და ეზანს ველოდებით. ჩვენ ქვემოთ გადაშლილია ქალაქის მშენიერი ხედი. გრილი ნიავი ქრის. სურათებს ვიღებთ. ისეთივე განცდა გვეუფლება, როგორც „სპუტნიკიდან“ („თანამგზავრს“ ბათუმელები უფრო „სპუტნიკს“ ეძახიან) ბათუმზე გადახედვისას; თუმცა აქ არც შავი ზღვაა და არც ჩვენ ქვემოთ გაშლილი ქალაქია ბათუმი. ჩვენ მარმარილოს ზღვის სანაპიროზე ვართ.

**14 ივლისი, კვირა.** კვირა დღეა, იზნიქში მივდივართ, მეგზურობას ისევ მურადი და მეძედი გვიწვევენ. დღეს შევხვდებით იზნიქის ქართულ საზოგადოებას, დავათვალიერებთ ქალაქს და ვიმუშავებთ იქაურ ქართველებთან.

9 საათი იყო დილის გოლჯიქიდან რომ გამოვედით, აქ ქოღს ტყიანი უღელტეხილი გადავიარეთ და ზემოდან დავადექით იზნიქის ვრცელ ველებს, შორს იზნიქის ტბა ჩანს...

ნისლი დასწოლია იზნიქის ბაღებს: ზეთისხილი, ბალი, ატამი, მსხალი, ვაშლი, ვენახი... რა აღარ ხარობს ამ ველებზე.

ზეთისხილი საუკეთესო მოდისო აქ, უმაღლესი ხარისხის ზეთი იწურებაო მისგან...

იზნიქი, ოსმალეთის იმპერიის ყოფილი სატახტო ქალაქი, ძველი ნიკეა, მნიშვნელოვანი ცენტრი ქრისტიანობისა. თეატრონთან გაჩქერდით პირველად. გარედან ვათვალიერებთ, სარესტავრაციო სამუშაოები მიდის, არქეოლოგიური ძიებებიც ჩაუტარებიათ, თავდაყირა დგას ყველაფერი...

ღობესთან ფირნიშია, რომელიც გვამცნობს, რომ თეატრონი იმპერატორ ტრიანეს ბრძანებით აუგია ბიზანტიის მმართველ პლინიუსს II საუკუნეში...

ქალაქის ცენტრისკენ მოვბრუნდით, იქ, სადაც იზნიქის აია სოფიაა, აგურით ნაგები სამნავიანი ბაზილიკა, კარგად გადარჩენილი დღემდე.

დრამატული ისტორია აქვს ამ ტაძარს: IV საუკუნეში ძველი ნანგრევების საფუძველზე აუგიათ, XI საუკუნეში მიწისძვრას დაუნგრევია იგი და ხელახლა აუშენებიათ. 1331 წელს ორჰანმა დაიპყრო ეს მხარე, მეჩეთად გადააკეთეს ქრისტიანთა უძველესი სალოცავი. XVI საუკუნეში ხანძარმა შთანთქა იგი. მიმარ სინანის არქიტექტურით აღუდგენიათ მეჩეთად ქცეული ტაძარი იმავე საუკუნეში. მრავალჯერ დანგრეულ თუ გადაკეთებულ ტაძარში დღემდე გადარჩენილა უძველესი ფრესკა მარცხენა კედელზე იატაკთან... ოსმალთა ბატონობის დროს ბიბლია და სხვა საღვთო წიგნები დაუწავათ, დღეს კი ეს ადგილი შემოუღობავთ, როგორც წმინდა ალაგი, რომ გამვლელმა შემთხვევით ფეხი არ დააბიჯოს წმინდა ნამწვავებს...

ვათვალიერებთ ტაძარს. საკურთხევლის გვერდით ქვის სარკოფაგია, ქვის სახურავით. მურადმა, ბავშვობაში მახსოვს ამ აკლდამაში მიცვალებული იყო, შემდეგ გადაასვენესო აქედან. მრავალჯერ გადაღებულ ტაძარში მაინც შეიმჩნევა ძველი საღვთისა და ფრესკების ნაშთები. შესაძლებელია, აქ ჩაატარეს წმინდა მამებმა ნიკეის ცნობილი საეკლესიო კრება 325 წელს...

ილხამ ჩილოღლუ (ბექიროღლი) და მაჰმუდ შაჰინი (ხოჯა) მოვიდნენ. ქალაქში გავიარეთ. ნილუფერ ხათუნის იმანეთხანე გვაჩვენეს, საზრდელს აძლევდნენო გაჭირვებულებს აქ. ოსმალთა ხანის ძეგლია, თავისთავად საინტერესო. შენობის ეზოში ქვის სარკოფაგებია.

ილხამ ჩილოღლუ მურადის ნათესავია, აქაური კაცია, ჩანს, კარგად იცის ქალაქისა და, საერთოდ, კუთხის ისტორია. იზნიქი პირველი დაგეგმარებული ქალაქიაო, ზევდიდან რომ დახედავ, ჯვრის ფორმა აქვსო. ქალაქის დიდი ნაწილი (50000 კვ. მეტრი) ძველი ციხეა, აქ აფარებდა თავს ქალაქის მოსახლეობა შიშინაობის დროს. ბარემ აღვნიშნავთ, რომ იზნიქს ოთხი კარი ჰქონია ჰორიზონტის ოთხივე მხრიდან.

ქალაქგარეთ წავიყვანეს მასპინძლებმა, იქედან უკეთესად დაინახავთ ქალაქსო. მალლა ავედით. აბდულ ვაჰაფის

ჯამესთან, იქვეა მისი საფლავიც. მას აუღია მიუვალი ქალაქი, – წყალსადენიდან შესულა, აქვე მოუკლავთ. დიდი კაცი ყოფილა ფიზიკურად აბღულ ვაჰაფი, გოლიათი, საფლავიც შესაბამისი აქვს.

გადმოგვცემენ, რომ მუჰამედ ფეილამბერის ბაირახტარი ყოფილაო აბღულ ვაჰაფი. ლეგენდა მოგვითხრობს: „ფეილამბერის მებაირახტრეს აბღულ ვაჰაფს ქალაქი უნდა აეღო, ქალაქი, რომელსაც ოთხი კარი ჰქონდა. მოასწრეს ოთხივე კარის ჩაკეტვა. წყალსადენს გაჰყვარო აბღულ ვაჰაფი, შევიდა ქალაქში და აიღოოო კიდეც.“

ბევრი ქრისტიანი დაიდუპა მის წინაღმდეგ ბრძოლაში. გოლიათს გოლიათზე ამარცხებდა თავადაც გოლიათი. ერთ ქრისტიანს უთქვამს, თქვენ მაგას სხვაგვარად ვერ დაამარცხებთ, თუ შეაგინებთ, განერვიულდება, გონება დაებინდება და მოკლავთო.

ასეც მოიქცნენ. გონებადაბინდული აბღულ ვაჰაფი მოკლეს, თავი მოკვეთეს. ფეილამბერმა უბძანა, თავი მაქ არ დატოო; აიღო და საფლავამდე თვითონ იარა თავით ხელში...“

ზემოდან დავყურეთ ქალაქს. ილხამი გვანგენებს წყალსადენს, ციხეს... სხვა სიძველეებს და იზნიქის ძველ კარებს: ისტამბოლ კარი, დენიზის (ზღვის) კარი, ლეფკე კარი, ფენი-შეჰირ (ახალი ქალაქის) კარი.

ერთ ამბავს მოგვიყვენენ მასპინძლები: პირველად მუჰაჯირები რომ მოვიდნენ ამ კუთხეში, აქ დაასახლეს, ნაყოფიერ ველებზე. აქაური ფაშა ყოფილა ქართველი და მან უპატრონა მოძმეებს. ქართველებს ზეთისხილი დაუკრეფიათ და უჭამიათ, ტყემალი ეგონათო, გვიყვებიან. პირი მოშაბა, სუნთქვა შეეკრათ... როგორც იქნა, სული მოიბრუნეს. ოთურად ცულები მოიტანეს და დაჭრეს ხეებით გაბრაზებულებმა.

– ფაშასთან იჩივლეს ადგილობრივებმა: ზეთუნის ხეებს ჩეხავენო გურჯები!

– რა ხდებაო, იკითხა ფაშამ.

– რანაირი ტყემალი დივირგიან, შაბავი, ჩვენებური ტყე-  
მალი და დავრგათო...

აუხსნეს, ტყემალი არააო ეს, ზეთისხილიაო.

– ჩვენ ისეთი ადგილი გვინდა, წყალი და ჰავა რომ იყო-  
სო! – დაიჩემეს გურჯებმა.

მთაში დაასახლეს ისინი, იქ, სადაც დღესაც ცხოვრო-  
ბენ...

ქალაქში ჩამოვედით. შუადღის ნამაზის დროა. მემედს  
ჯამეში უნდა წასვლა, ვილოცო უნდაო. ვეწვიეთ „იზნიქის  
ბათუმური კულტურის საზოგადოებას“, შევხვედით საზოგა-  
დოების ხელმძღვანელის მოადგილეს, ქადირ ბუქერს, ხელ-  
მძღვანელი, ისკანდერ შენი, ჯამეში იყო სალოცავად.

ბაღში ჩამოვჯექით. ცხელა. მალე მოვიდნენ იქაური  
ქართველები: მეთინ არსლანი, ბუქერ არსლანი, იბრაიმ ბუ-  
ქერი... ვსაუბრობთ. ისკენდერ შენიც მოვიდა. ჩაი მოგვარ-  
თვეს... ქართულ საზოგადოებასთან ქართული ცეკვების შემ-  
სწავლელი წრე შეუქმნიათ, მოუწვევიათ ქორეოგრაფიც, ცო-  
ტა ხნის შემდეგ წრემ მუშაობა შეწყვიტა, უფრო უსახსრო-  
ბის გამო...

ბევრ ქართულ საზოგადოებაში გვითხრეს და აქაც გაი-  
მეორეს: ქართული ენის შესწავლის მსურველები შეგკრიბეთ,  
მუშაობაც დავიწყეთ, ოცდახუთმა დაიწყო სწავლა, ბოლოს  
რამდენიმე დარჩა, დაიფანტნენო. მუშაობაც ჩაიშალა...

ისკენდერ შენი კარგი მექართველვა. თავიდან რაღაც  
ჯმუხ, უქმურ კაცად მეჩვენა, თანდათან გაიხსნა, დაგვიახ-  
ლოვდა. ბევრი რამ მოგვიყვა აქაური ქართველების შესახებ,  
ერთი ასეთი: „ვიცოდი ჩემი ქვეყანა მთიანი იყო. ელმალში  
ვიზდებოდი, მაღლა, მთებზე, ნისლი რომ ჩამოწვებოდა,  
ვფიქრობდი, რა ცუდი ქვეყნიდან ვართო... დედე დერდობდა  
მეგემ, მე წევდი, ისინი იქ დავტიე, ნეტად რა იჯებიანო...“

დარდობდა მუჰაჯირი, უცხოებაში გადახვეწილი თავი-  
სიანებზე ფიქრობდა: დღე შრომაში დამდებოდა, ღამე –  
ფიქრში თენდებოდა. ასეთია ხვედრი ფესვებსმოწვეტილი  
კაცისა.

კარგა ხანს ვისაუბრეთ ქართული საზოგადოების წევრებთან. დროა, წამოვიდეთ. გზად რამდენიმე ქართული სოფელი უნდა ვნახოთ.

დავემშვიდობეთ საზოგადოების წევრებს. შემოვლითი გზით დავრუნდებით გოლჯიქში...

იზნიქის ველებით დალოვასაკენ მივდივართ... ირგვლივ ბალებია: ზეთისხილი, ვაშლი, მსხალი, ატამი... სიმინდის ყანები, პომიდორი, სხვა ბაჩხეული თუ მინდვრის კულტურები... ქ. დალოვაში მივედით. აღარ გაეწრებულვართ, აქვე ახლოსაა სოფ. **თეშვიქი** (ჩაინარჯის რ-ნი), ქართველთა სამოსახლო, 500 სახლამდე: „დოქსან უჩ (93) მუჰაჯირი, ბათუმიდან მოვდენ, ჰამა ბორჩხაიდან, მაჭახლიდან“.

უჭირთ აქაურებს ქართული, ზოგიერთი ახერხებს, დიდი გაჭირვებით...

აქ სხვა ქართული სოფლები არის? – ვკითხულობთ.

– არის, გეპასუხობენ და ჩამოთვლიან:

**ესენქო** – ნახევარი გურჯი არიან, ნახევარი –სხვა.

**თერმალი** – არეულია, გურჯები დაჰა ცოტად არიან.

**არმუთლის ილჩეში** არის კიდევ გურჯების სოფლები: **ჰაირიე, მეჯიდიე, სელიმიე.**

**მეჯიდიეში** ქართული არ იციან, დეემიწყეს. **ჰაირიეში** და **სელიმიეში** იციან, გურჯები არიან იქაც, ლივანელები.

გემლიქში (ელჯივა) ქართული სოფლებია:

**ჰაიდარიე** – ლივანელები, **ჰამზალი** – მაჭახელი...

ამ სოფლებში ასევე ცხოვრობენ **მოხთი ლახები...**

„გედდერცხა ჩვენი გურჯიჯე, აღარ დარჩა“ – დანანებით გვეუბნებიან აქაურები. არც გვარები იციან ძველი, დედების გვარები.

გვარებთან დაკავშირებით ხშირად ვამბობ, არ ახსოვთ-მეთქი ძველი გვარი. ხანდახან მიჩნდება კითხვა, ჰქონდათ კი საერთოდ ემიგრაციაში წამოსვლამდე გვარი? პრობლემა ფრთხილ მიდგომას მოითხოვს (გვახსოვს ქართული გვარების შესახებ ცნობილი დისკუსია ქართულ მეცნიერებაში, არც თუ სასიამოვნო პაექრობა).

რამდენიმე საათი დავრჩით ძაღვს ქართველებთან, ვისაუბრეთ, ჩავიწერეთ ეთნოგრაფიული თუ ფოლკლორული მასალები, რამდენიც შეიძლებოდა და გზას დავადექით.

სადამო იყო, სასტუმროში რომ დავებრუნდით, საკმაოდ დაღლილები და შთაბეჭდილებებით დატვირთულები. მურად მგელაძე დროებით დაგვემშვიდობა, იფთრის შემდეგ დავირეკავთ და ჩემს ოფისში შევიკრიბოთ.

მთელი დღე გაუსაძლისი სიცხე იყო. ჩანს, ამ მხარეში ცხელი ზაფხული ჩვეულებრივი მოვლენაა...

ვივასშმეთ... მურადმა დარეკა, სასტუმროსთან გელოდე-ბით და ჩამოდითო.

„კავკასიური კულტურის საზოგადოების“ ოფისი ჩვენს სასტუმროსთან ახლოსაა. ჩავედით. მურადს შეილიც წამოყვანია, 14 წლის გოგონა...

ოფისში დავგვხვდნენ საზოგადოების წევრები. მალე სელჩუკ აქი და იასემინი (ჩხეიძე) მოვიდნენ. ზემოთაც აღვნიშნე, იასემინი აჭარელ მუჰაჯირთა შთამომავალია, 45 წლის ქალბატონი, იცის რომ მისი წინაპრები ბათუმიდან წამოვიდნენ, რომ ისინი ჩხეიძეები იყვნენ. ასე გამიგონიაო მამისაგან. სხვა არაფერი იცის, არც თურქეთში გადმოხვეწილ სხვა ჩხეიძე-ერისთავებს იცნობს... ვერაფერს შევცვლით, ასეთია ამ ხალხის ბედისწერა.

ჩვენი დღევანდელი შეხვედრის ოფიციალური ნაწილი დაიწყო.

მურადი აღნიშნავს, რომ კარგ საქმეს ვაკეთებთ, რომ ჩვენი მოსვლა აქაურ ქართულ სოფლებში სასარგებლოა აქ მიძინებული ქართული ცნობიერების გასაღვივებლად...

საუბარს მე ვაგრძელებ: ჩვენი მამების თაობამ იცოდა, რომ მუჰაჯირობის დროს მათი ნათესავები, ახლობლები, მეზობლები წამოვიდნენ თურქეთში, მაგრამ მათ არ შეეძლოთ მათი ნახვა, მოკითხვა, მათი ამბების გაგება. „რკინის ფარდა“ ამის საშუალებას არ იძლეოდა. ჩვენს თაობას მიეცა ამის შანსი, მოვიდეს თქვენთან და გაეცნოს თქვენს ცხოვრებას, ყოფას, ტრადიციებს... ჩვენ უნდა შევხვდეთ ერთმანეთს,

გავიცნოთ ერთმანეთი. თქვენმა შვილებმა ქართული უნდა ისწავლონ, წინაპართა ენა და თავიანთი იდენტობა შეინახონ, საქართველოში ჩამოვიდნენ, ჩვენთან მიიღონ უმაღლესი განათლება. ჩვენ დავეხმარებით მათ გზის გაკვლევაში...

მურადმა აღნიშნა:

– მე ვხედავ, რომ თქვენ მუსლიმანები არ ხართ, მე მუსლიმანი ვარ, მაგრამ მე არ მიჭირს თქვენთან ურთიერთობა, პირიქით, ძალიან შემიყვარდით. მე ყველაფერს ვაკეთებ, რომ აქაურ ქართველებს შევაყვარო ქართული კულტურა, ზოგადად, საქართველო...

– ერთს გეტყვით, ბატონებო. მურადმა მუსულმანობა ახსენა, რომ ჩვენ სხვადასხვა რელიგიის მიმდევრები ვართ. ქრისტიანობა, მუსულმანობა, ზოგადად რწმენა, სულის საქმეა, ეროვნება – სხვაა, იგი უფრო მეტია, ვიდრე რელიგია. მუსულმანი ქართველი ისეთივე ქართველია, როგორც ქრისტიანი, ოღონდ უფლისკენ სავალი სხვადასხვა გზა აურჩევიათ. ეს ჩვენი ისტორიული ხვედრია და ამას უნდა შევეგუოთ, ერთმანეთი ისეთი უნდა მივიღოთ, როგორც ვართ. ახლოს უნდა ვიყოთ, გაეუფრთხილდეთ ერთმანეთს, პატივი ვცეთ ერთმანეთის არჩევანს, ვინ იცის, მომავალი რას გვიმზადებს... დღეს მთავარია, ქართველობა დავიცვათ, ენა არ დავივიწყოთ, ადათ-წესები არ დავივიწყოთ... არ ავირიოთ სხვა ხალხში. ბარემ ერთსაც გეტყვით: ჩვენთან, აჭარაში, საქართველოში ზოგადად, ბევრი ოჯახია, სადაც დედ-მამა მუსულმანია, შვილები და შვილიშვილები – ქრისტიანი, მაგრამ ეს არ უშლით ერთად იცხოვრონ...

ასე რომ, ბატონებო, ჩვენ, მართალია, სხვადასხვა რელიგიის მიმდევრები ვართ, მაგრამ ძმები, ნათესავები, ახლობლები... ერთი სისხლისა და გენის მატარებლები. ჩვენს თანაცხოვრებას ხელი არ უნდა შეუშალოს ჩვენმა რწმენამ. ჩვენ დიდი საერთო „რწმენა“ გვაქვს – ქართველობა და ქართული ენა, ჩვენი ისტორია, კულტურა. სხვაობა ჩვენი ბედისწერაა... დროში დაკარგულები დრომ შეგვყარა ერთად და

ამას გაუფრთხილდეთ, აწი მაინც ნულარ დაკარგავთ ერთმანეთს...

გულისყურით მისმენდნენ. მგონი სწორედ ჩამოვაცალიბე სათქმელი, რაც მთავარია, გულწრფელი ვიყავი...

– მართალს ბრძანებო, მურადმა!

– ამომწურავად თქვი სათქმელიო – მაიკომ.

– მეც ასე ვიტყვოდი, საუბარში ჩაერთო მაღხაზ ჩოხარაძე, უკვე რამდენიმე წელია ჩვენებურებთან დავდივართ, მათ ყოველდღიურობას ვსწავლობთ, არსად არ შეგვქმნია წინააღმდეგობა რწმენის სხვაობის გამო... ჩანს, ორივე მხარისათვის ქართველობა უფრო მეტია, ვიდრე სხვა...

ჩვენი წიგნები ვუსახსოვრეთ გოლჯიქის ქართულ საზოგადოებას: „შავშეთი“ (ავტორთა ჯგუფი, პროფ. მამია ფადავას საერთო რედაქციით), ნ. მარის „შავშეთსა და კლარჯეთში მოგზაურობის დღიურები“ (ქართული გამოცემა, თარგმანი რეზო დიასამიძისა, პროფ. მამია ფადავას რედაქციით, გამოკვლევითა და შენიშვნებით), „აჭარის ლივის ვრცელი და მოკლე დავთარი“ (ოსმალურიდან თარგმნა, გამოკვლევა და შენიშვნები დაურთო პროფ. ზაზა შაშიკაძემ)...

გაიხარეს!

სელჩუკი ატრიალებს ხელში საჩუქრებს. ჩანს, კითხულობს ქართულად, სასაუბრო ქართული ზედმიწევნით კარგად იცის, ფიქრობს საქართველოზე, უყვარს მემღეკეთი ამ ახალგაზრდა პენსიონერს (გუშინ შეუსრულდა შრომითი სტაჟი (25 წელი) და გავიდა პენსიაზე 48 წლის სელჩუკი). ახლა ბევრი დრო აქვს მას იკითხოს, მშობლიური ლივანა მონინახულოს, ისწავლოს და სხვასაც ასწავლოს საქართველო. სელჩუკი სულით ხორცამდე ქართველია, ლივანელი კლარჯი, აჭარელ ჩხეიძე-ერისთავთა სიძე, ღირსეული მეუღლე და მამა...

ოფიციალური ნაწილი ჩვენი შეხვედრისა დასრულდა. ჯელიღმა მუზიკა დაუკრა და გვამცნო შექცევის დაწყება. ჩაებნენ „ხორუმში“ ჩვენებურები: იასემინი, სელჩუკი, მურადი... ცეკვავენ ხორუმს, აქ რომ იციან ისე. მართალია, ეს



არც „ორთაბათუმია“, არც „ხიხაძირული ხორუმი“, არც „დე-  
ლი ხორუმი“, მთავარია აქაური ფერხელობაა, აქაური ხო-  
რუმი, ესაა მთავარი...

კარგა ხანს ვისაუბრეთ. შუაღამე გადასული იყო, რომ  
დავიშალეთ.

ებრუნდებით სასტუმროში. ვფიქრობ აქაურ ქართველებ-  
ზე, ჩვენს ექსპედიციასზე. მურად მგელაძემ განსაკუთრებული  
ამაგი დაგვლო, რომ გაგვეკვლია გზა გოლჯუქის ქართულ  
სოფლებში. ყველგან და ყოველთვის მის ყურადღებას  
ვგრძნობდით. სამსახურიდან მოუცვლელს არ შეეძლო ჩვენ-  
თან ერთად ევლო ჩვენებურთა სოფლებში, მაგრამ მისი  
ზრუნვით ყოველდღიურად ვიღაც გვახლდა: ჯელილი, მუზი-  
კაჯი, ცოცხობნელი//ცოცხობანელი, დაუზარელი კაცი, მემე-  
დი და სხვები.

– შეგაწუხეთ-მეთქი, მოვუბოდიშე ერთ საღამოს ჯე-  
ლილს ზედმეტი მზრუნველობით შეწუხებულმა.

– **მე თქვენთან ყოფნით არ გაგწუხდები, ეს არ მაკადრო**  
**ერთი კილო... შემეყვარდით და თქვენთან ერთად მეც'ნა ვია-**  
**რო გურჯულ სოფლებში,** – მითხრა ჯელილმა.

გულწრფელია ჯელილი, მჯერა, სიამოვნებს ჩვენთან  
ყოფნა.

შაბათსა და კვირას მურადი და მემედი დაგვევებოდნენ.  
ბურსის ილის აჭარის სოფლები მოგვატარეს შაბათს, კვი-  
რას – ძელოვას ქართველებთან წაგვიყვანეს...

მადლობა ყველაფრისათვის მურადს, მადლობა მემედსა  
და ჯელილს. მადლობა მათ მასპინძლობისათვის, მადლობა  
გოლჯუქელ ქართველებს შეხვედრისათვის...

დასრულდა ექსპედიციის ერთი ეტაპი.

**15 ივლისი, ორშაბათი.** დღეს სტამბულში მივდივართ.  
გზად იმერი ცვარიძეს (ბაზგირეთელს) გავუვლით გებზეში.  
გზა საკმაოდ შორია, თუმცა არაღამდელი. გესურს, სტამ-  
ბულის რამდენიმე ისტორიული ძეგლი ვნახოთ, – აია სოფი-  
ა, ტოფ-კაფი, სხვაც რამდენიმე, რასაც ერთ დღეში მოვას-

წრებთ. სამშაბათს საქარიაში (ინეგოლში) წავალთ იქაურ გურჯებთან და იქვე დავასრულებთ ექსპედიციას.

დილის 8 საათზე გოლჯიქი დაგტოვეთ. ზაზა გეყავს მეგზურად. ხშირად უკავშირდება იმერის. ვხუმრობთ, ათას რაღაცას ვიგონებთ ნუგზარის გამოსაჯავრებლად. არ ტყუვდება ნუგზარი, ხვდება, ჩემს გასაგონად იგონებენო ამბებს.

დაცხა. ტარიელი კონდიციონერს რთავს მანქანაში. სალონში სასიამოვნოდ ცივა. ქალები მოსასხამებს იცვამენ. სიცხე-სიცივის მონაცვლეობამ შედეგი გამოიღო:

გავცივდი მე,

გაცივდა ზაზა,

წელი გაუკავდა მალხაზს,

რამდენიმე დღე სიცხიანი იყო თინა...

ცუდად მოქმედებს მგზავრებზე კონდიციონერული ჰაერი, მაგრამ მაინც გვისამოვნებს სიგრილე.

ჩავედით გებზეში. იმერი დაგვხვდა გზაზე. ოფისში შეგვიძღვა. ჩვენი ყურადღება მიიქცია წარწერამ: „ღიაა“. ღიახ, თურქულთან და ინგლისურთან ერთად ქართულადაც წაუწერია მეპატრონეს – „ღიაა!“

იმერი ბაზგირეთელია, იმეხევიდან (შავშეთიდან), კარგად ლაპარაკობს ქართულად, უყვარს საქართველო და ქართული კულტურა, ცდილობს, სხვასაც შეაყვაროს იგი. რამდენადაც შესაძლებელია, პროპაგანდას უწევს ქართულ კულტურას თურქეთში... „შავშური ჩანაწერები“ მაჩვენა ჩემი, 2011 წლის ზაფხულში ვაჩუქე ბაზგირეთში სტუმრობისას, ხშირად ვკითხულობო.

კარგი წიგნია, ბატონო, შემიქო ნაშრომი.

ვცდილობდი ისე დამეწერა, ყველასთვის მისაღები რომ ყოფილიყო. მე ვყვებოდი შავშეთზე, შავშელებზე, ჩვენი ექსპედიციის მუშაობაზე, ვცდილობდი მესაუბრა იმაზე, რაც ვნახე და განვიცადე...

– თქვენ დიდ საქმეს აკეთებთ აქაური ქართველებისათვის, გვეუბნება იმერი.

– ამჯერად ორ პროგრამაზე ვმუშაობთ – „კლარჯეთი“ და „მუჰაჯირები“, ორივე დაწყებული დიდი პრობლემის ნაწილია... ვიდლებით გზა-შარაზე ხეციალით, მაგრამ ვუძლებთ, ღირს დადლა, განსაკუთრებით მაშინ, როცა ხელავ, რომ საქმეს კარგი პირი უნანს, – ვამბობ მე.

– მიხარია, რომ ამდენს შრომობთ.

– იმერი, ახლა საქარიაში უნდა წავიდეთ, შენი დახმარება გვჭირდება, – საუბარში ჩაერთო ზაზა.

– მე უკვე ვთხოვე საქარიაში მეგობარს, ყველაფერში დაგეხმარებიან, მოგატარებენ იქაურ ქართულ სოფლებს.

– ნ. მარის „შავშეთსა და კლარჯეთში მოგზაურობის დღიურების“ ჩვენეული გამოცემა ვაჩუქეთ იმერის და დავემშვიდობეთ.

მივდივართ სტამბულისაკენ. სასტუმრო დაჯავშნული გვაქვს ძველ ევროპულ უბანში, იქ სადაც აია სოფია, ტოფ-კაფი... სხვა სიძველეებია. ბოსფორს მივადექით, ბორანით გავედით ევროპულ სტამბულში...

კარგი სანახავია სტამბული ბოსფორიდან...

სასტუმრო „აიტოსში“ დავბინავდით.

დღეს აია სოფიას ვერ ვნახავთ, დაკეტილია. ხვალ ვინახულებთ მას, ბოზფორზეც გავისეურნებთ, თუ დრო დავგრჩა.

სადილის შემდეგ „ყაფადლი ჩარში“ დავათვალიერეთ. დავდივართ ბაზრის „ქუჩებში“, ვათვალიერებთ მხოლოდ...

შემდეგ ტოფ-კაფში წავედით. ოსმალეთის ძლევაამოსილი სულთნების სასახლე მთელი დიდებულებით... დავდივართ მუხეუმში, სასახლის ტალანებში, გვაოცებს ყველაფერი ტურისტებისათვის გამოყენილი: იარაღები, სულთნის სამოსელი, სხვადასხვა სიწმინდეები (იოანე ნათლისმცემლის ხელი, მუჰამედის ხმალი, კბილი...), განძეულობა...

მიღეთის ხალხი ირევა აქ მსოფლიოს სხვადასხვა კუთხიდან (ნაკლებად საქართველოდან), ვის არ შეხვდება აქ კაცი – მადრიბელსა თუ მაშრიყელს, ჩრდილოელსა თუ სამხრელს... სიცხეა. გვიჭირს მოძრაობა. აქ მოსულებს გვსურს,

მეტი ვნახოთ... დავათვალიერეთ ჰარემიც, სულთნის დიაც-  
თსამყოფელი. გული დაგვწყდა, რომ ყველაფრის ნახვა ვერ  
მოვასწარიო, სარემონტო თუ აღდგენითი სამუშაოების გამო.

დავბრუნდით სასტუმროში. მალე მურად ქასაბი და მუ-  
რად შაჰინი გვეწვივნენ სასტუმროში, სტამბულები ქართვე-  
ლები, ორივე საკვლევაძიებო საქმით არიან დაკავებული.

ორიოდ სიტყვით ჩვენი სტუმრების შესახებაც ვიტყვი:

მურად ქასაბი, ისტორიკოსი, კარგად ლაპარაკობს და  
კითხულობს ქართულად. მურადი შაეშია, იმერხევიდან. ოც-  
დაათიოდე წლისაა და რამდენიმე საინტერესო წიგნის ავტორ-  
ია: „ქართველები ოსმალეთის იმპერიაში“, „საქართველო  
და ქართველები ოსმალურ საარქივო დოკუმენტებში“ (სტამ-  
ბული, 2012)... ახლა რვასაათიან დოკუმენტურ ფილმზე მუშა-  
ობს.

მურად შაჰინი, – ისტორიკოსი, ეთნოლოგი, მწერალი,  
იკვლევს მუჰაჯირობის ყოფას, ფოლკლორს, აგროვებს დია-  
ლექტოლოგიურ ტექსტებს, სალექსიკონო მასალებს. მურადი  
მაჭახლელ მუჰაჯირთა შთამომავალია, ძნელად, უნიემი და-  
ბადებული და გაზრდილი, ახლა სტამბულში მოღვაწეობს.

საინტერესოა მურად შაჰინის ჩანაწერები დიალექტოლო-  
გიურად, მან ხომ მხოლოდ მაჭახლური ქართული იცის, მა-  
ჭახლურად საუბრობს და წერს. მისი ჩანაწერები მაჭახლუ-  
რი მეტყველების სანდო ნიმუშებია: მურადი თავად ატარებს  
ტონურ მახვილს, მის მეტყველებაში თუ ჩანაწერებში შეხ-  
ვედებით ბოლოდან II-III ხმოვნის განმეორებას (იი//იი უმეტე-  
სად), ეს სწორედ ტონური მახვილია, ბოლოდან მეორე ხმო-  
ვანს მოუდის იგი და ეს ხმოვანი დაგრძელებულად ისმის  
და ამას ორი ხმოვანი ნიშნით აღნიშნავს მურად შაჰინი თა-  
ვის ჩანაწერებში...

კარგა ხანს ვისაუბრეთ. მურადს ეთნოგრაფიული ნაშ-  
რომი დაუსრულებია, წინასიტყვაობა მთხოვა, დაუწერ აუ-  
ცილებლად. უნდა გამოიცეს ეს წიგნი, იგი საყურადღებო  
მასალაა... რომანიც დაუსრულებია მურადს მაჭახლელზე...  
კარგია.

გვიანი იყო, მურადი რომ გავაცილეთ.

ჯერ ძილის დრო არაა. აია სოფიას წინ ბაღში გავისეირნეთ. გამოფენა დავათვალიერეთ ქალაქის მოედანზე, რომელიც საჯირითო მოედნის სახელით არის ცნობილი.

„დერვიშ კაფეში“ შევედით ჩაის დასალევად. ნარგილეც გავაბოლეთ ვაშლისა და ბიის არომატით (აქ შემომსვლელი, განსაკუთრებით ტურისტები, ყველა სინჯავს ნარგილეს)... უკრავდა სუფიური მუსიკა. ვუსმენთ ჩვენთვის უცხო ჰანგებს. თეთრებში გამოწყობილი ახალგაზრდა „დერვიში“ ცეკვავს „სემას“, უფრო ადგილზე ტრიალებს გულის წასვლამდე.

გვიანი ღამე იყო, სასტუმროში რომ დავბრუნდით.

**16 ივლისი, სამშაბათი.** დილით ადრე ავდექით, ვისაუბრემთ, ბარგი მანქანაში ჩავალაგეთ და წავედით აია სოფიასა და მწვანე ტაძრის დასათვალიერებლად. ჯერ დილაა, მაგრამ უკვე ცხელა.

აია სოფიაში მივედით პირველად. ბევრი დაიწერა ამ ტაძრის შესახებ სხვადასხვა ეპოქაში განსხვავებული რწმენისა და გემოვნების მწერლებისა თუ მეცნიერების მიერ; მეც თუ ვწერ, მხოლოდ იმიტომ, რომ ჩემი ემოციები გაუუზიარო მკითხველს.

აია სოფია კაცის ხელით შექმნილი საოცრებაა. თითქმის 40 წელი უშენებიათ კონსტანტინოპოლელ მართლმადიდებლებს ეს ტაძარი და დაუსრულებიათ 405 წელს. 16 საუკუნეზე მეტია დგას ტაძარი, 1600 წელი. მის კედლებს ახსოვთ ქრისტიანი მომლოცველებიც, გაკვირვებული მნახველებიცა და სისხლმოწყურებული დამპყრობლებიც, რომელთა ნაკვალევიც დღემდე ეტყობა...

პირველი, რაც ტაძარში შესულს გაოცებს, სივრცეა. თითქოს მთელი ქვეყანა ჩატეულა მასში, ქვეყანა, რომელსაც ცა ჰხურავს ზემოდან, – 30 მეტრიანი გუმბათის სახით. ტაძარში შესული გრძნობ, რა პატარა და უსუსურია ადამიანის ცის ქვეშ... გაოცებს იმის განცდა, რომ არც ადამიანის შესაძლებლობებს აქვს საზღვარი.

მიღეთის ხალხი ირევა აქ. ჯერ კიდევ დილაა და ტაძრის ვრცელი ეზო და ინტერიერი გადაჭედილია. ვათვალიერებთ აია სოფიას: მთლიანი სივრცის აღქმას ვერ ახერხებს დღევანდელი მნახველი, რადგანაც ტაძრის ჩრდილოეთი ნაწილი ხარაჩოებშია, სარესტავრაციო სამუშაოები მიმდინარეობს; ხარაჩოებზე დაბობლავენ ოსტატები და აღადგენენ წყლისა და დროისაგან დაზიანებულ დეტალებს. XV საუკუნეში ტაძარი ოსმალებმა აიღეს. სულ ერთიანად ამოწვეიტეს ტაძარსშეფარებული ქრისტიანები, თავიანთი სიძლიერის დასამტკიცებლად ქრისტიანთა სამლოცველო მეჩეთად აქციეს და მინარეთებიც მიაშენეს. სახე უცვალეს ოსმალებმა აია სოფიას, მაგრამ თავად არ იცვალა სახე ტაძარმა, – მნახველი მაინც ქრისტიანულ ძეგლად აღიქვამს მას და ასეც არის.

მეორე სართულზე ავდივართ. ტაძარს კიბის ნაცვლად ბილიკი აქვს მეორე სართულზე ასასვლელად, ქვის საურმე გზა. იატაკი მარმარილოსია, მარმარილოს ვეება ფილებით მოპირკეთებული. კედლები გადაღებილია, თუმცა დღესაც შეიმჩნევა მდიდარი ხატწერის კვალი. უპირველესად თვალში ეცემა მნახველს ღვთისმშობელი პატარა იესოთი საკურთხევლის ნახევარგუმბათში. კედლებზე კიდევ სხვა მრავალი ხატია, რომელთა ფოტოპირები იქვეა გამოფენილი, რომ უფრო იოლი იყოს ტურისტისათვის აღსაქმელად...

გამოვდივართ ტაძრის ეზოში. ცხელა. ცივი წყლით ვიბრუნებთ სულს; ველოდებით ექსპედიციის სხვა წევრების გამოსვლას.

– ნუგზარი ისეთი მონდომებით იღებდა ყველაფერს... ალბათ კარგა ხანს მოგვიწვეს ლოდინი, – ამბობს ზაზა.

– რუსლანიც იქაა, ერთად არიან, იცის რუსლანმა, რომ გამოვედით, დიდხანს არ გვალოდინებს, – გვამშვიდებს გიორგი.

– ტყუილად გაქვთ იმედი, რომ სანამ თავისას არ აისრულებს, ნუგზარი გარეთ გამოიყვანოს ვინმემ. ჯობს, შევეგუოთ ხვედრს და დაველოდოთ მოთმინებით... – ვამბობ მე.

– გამოვლენ, იქ ხომ არ დარჩებიან – ჩაილაპარაკა მალხაზმა...

ტურიზმი დუდს სტამბულში. ყველაფერი ისეა დაგეგმილი, სტუმარი კმაყოფილი რომ დარჩეს, თუმცა იღლება აქ კაცი, ძნელია მეგაპოლისში ცხოვრებაცა და მოგზაურობაც, მით უმეტეს, ბათუმელისათვის.

ვტოვებთ აია სოფიას და მწვანე მეჩეთში გადავდივართ. ეს მეჩეთი აია სოფიას დასაჩრდილავად აუგიათ, მაგრამ ვერ დაჩრდილესო მისი დიდებულება; „მარცხი“ თავად აღმშენებელმა აღიარაო, გადმოგვცემენ. ვინ იცის, იქნებ არც დაძლია ტაძრის სიდიადით მოხიბლულმა...

თავადაც დიდებულია მწვანე მეჩეთი. ეზოში შესულს მისდამი მოკრძალება და რიდი გეუფლება. უკანა კარებიდან შევყავართ მსახურებს, ქალებს მწვანე ხალათს აცმევენ და თეთრ თავსაბურავებს ახურავენ (თავდაუბურავი მეჩეთში შესვლა ეკრძალება ქალს), ჩვენც ფეხზე გვხდიან, ფეხსაცმელებს ხელში გვაჭერინებენ და ასე შევდივართ მეჩეთ-მუზეუმში. მშვენიერად გამოიყურებიან მაია და თამარი ჩადრდახურულნი.

– გიხდებათ ეს სამოსი, თქვენს ადგილას არ გავიხდიდი-მეთქი, – ვაჯავრებ ჩადროსნებს.

სამახსოვრო სურათებს ვიღებთ: მაია და თამარი ჩადრებში, მამაკაცები კიდევ ფეხსაცმელებით ხელში...

ცხელა. მაწუხებს, ერთი მხრივ, სიცხე, მეორე მხრივ, სურდო (რამდენიმე დღეა გაციებული ვარ). თინამ სურდოს შელოცვის იმდენი ვარიანტი ჩაიწერა მუჰაჯირებისაგან... შემლოცავდეს, მეშველოს ეგებ... სურდო ვერ მოვიშორე, ვერც შელოცვამ მიშველა, ვერც საგანგებოდ ამ დღისათვის წამოღებულმა აბებმა და ვერც ზაზას დანიშნულმა მალხაზის წამალმა – ჩვენებურმა ჭაჭამ.

სხვა უთვალავი სანახავია სტამბულში. თვეები არ ეყოფა კაცს, გული იჯეროს მისი ნახვით. დროა, გაჩერდეთ და დაგუბრუნდეთ საექსპედიციო საქმეს. თუმცა დიდი უგუნურე-

ბაა, სტამბულში მყოფმა აია სოფია, მწვანე ტაძარი და ტოპკაფი მაინც არ ნახო და ისე წამოხვიდე.

ათასგვარი ინფორმაცია შეიძლება მოიპოვო სტამბულის ისტორიული ძეგლების შესახებ, იტყვის მავანი. რა თქმა უნდა, მოიპოვებ, თუ მოიწადინებ, მაგრამ ერთია ინფორმაცია, მეორე – როცა თავად ეხები ძეგლს, აღიქვამ და განიცდი მას.

შუადღე გადაცილებული იყო, სტამბული რომ დავტოვეთ. ბოსფორი ბორანით გადავლახეთ ისევ, გადავედით ქალაქის აზიურ ნაწილში და საქარიის გზას დავადექით. რამდენიმე დღეს საქარიაში ვიმუშავებთ.

სადამოს 7 საათზე საქარიაში ვიყავით. მუსტაფა კოლათი, აქაური ქართველი, დაგვხვდა. სასტუმროში წავგიყვანა ქალაქბარეთ.

დიდი ქალაქია საქარია – 440 ათასი მცხოვრებით.

მოგვიანებით ერდოღან (ირაკლი) შენოლიც მოვიდა, შუახვეულ მუჰაჯირ დავითადეთა შთამომავალი. კარგი მექართულეა ერდოღანი, საქართველოშიც უმოგზაურია, ნათესავებიც გაუცვნია, ოქროპილაურშიც ასულა, შუახვევში, წინაპართა სოფელში.

ხვალინდელი დღე დავგეგმეთ და დავემშვიდობეთ ერდოღანსა და მუსტაფას. ხვალ ხენდეკის რაიონში ვიმუშავებთ.

**17 ივლისი, ოთხშაბათი.** დილის 11 საათი იქნებოდა საქარიადან (ადაფაზარიდან) რომ გამოვედით. 27 კილომეტრია ხენდეკამდე. მშვენიერი გზაა, იმედია, მალე ჩავალთ დანიშნულებების ადგილზე.

ხენდეკი სპარსულია, აჭარულში იხმარება<sup>14</sup>, შავშურსა და კლარჯულშიც<sup>15</sup> და თხრილს, ორმოს ნიშნავს. ვფიქრობ,

---

<sup>14</sup> იხ. შ. ნიჟარაძე, ქართული ენის აჭარული დიალექტი (ლექსიკა), ბათუმი, 1971.

<sup>15</sup> ნ. მარი, შავშეთსა და კლარჯეთში მოგზაურობის დღიურები, ბათუმი, 2012.



ტოპონიმზე, რატომ დაარქვეს ეს სახელი რაიონს? ადგილზე მისულებს სულაც არ დაგვხვედრია რაიმე ხენდეკი.

ველზე გაშლილი მოზრდილი ქალაქია ხენდეკი.

– რამდენიმე რესპონდენტთან ვიკითხე, რატომ ჰქვია-- მეთქი ამ რაიონს ხენდეკი?

– ვერავინ ამიხსნა. არადა დარწმუნებული ვარ, აქვს კავშირი ტოპონიმ ხენდეკს სპარსულ ხენდეკთან.

ჯერ ადრეა. ალბათ ერთი საათი ლოდინი მოგვიწევს კიდევ, ვიდრე ჩვენი აქაური გამცილებელი მოიცლის.

გავჩერდით. ყველა ჩვენი საქმით ვართ „დაკავებული“: რუსლანს ძინავს, თინა – დუმს, მაიკო – მანქანის სალონს ათაეისუფლებს ნამუსრევისაგან, ნუგზარი ბოლთას სცემს ქუჩაში, ზაზა ვილაცას ურეკავს, მე კიდევ ვწერ, რაღაცას ვინიშნავ, ვფიქრობ: მაინც რამდენი ქართველია გაბნეული ამ ვრცელ ქვეყანაში? 18 ქართული სოფელი მარტო ხენდეკშიაო, გვეუბნებიან. საქარიაში ამდენს არ ველოდით. ვნახოთ, რეალურად რა მდგომარეობაა. ყოველთვის ეჭვით ვუყურებდი თურქეთში მცხოვრებ ქართველთა დასახელებულ რაოდენობას: ორი მილიონი, სხვები კიდევ ასახელებენ, სამ, ოთხ, ხუთ მილიონს. ეს ციფრები არც ახლა მგონია რეალური, მაგრამ ცოტა რომ არაა, ეს მჯერა...

პირველად სოფ. ქოშქში მიგვიყვანეს, ადემ ზენგინი გვაცილებს. ჩვენი გიდი თხილაზორიდანაა წარმოშობით.

საინტერესოა, რომ **თხილაზორი** აქაცაა თავისი მაჰალეებით (უბნებით) **ომანა** და **ურზუმა**, „აქ ქამელეთი არი, ორჯი არი, ქართლა არი“ – გვეუბნება ადემი. ისტორიული კლარჯეთიდან მოსულებს მშობლიური სოფლის სახელები დაურქმევიათ აქაური სოფლებისათვის თუ სოფლის უბნისათვის.

1917 წელს წამოსულან ადემ ზენგინის წინაპრები ართვინიდან და აქ დასახლებულან:

– **ართვინიდან გამოსულან, დარჭები-ღურჭები ხელში, ეხიეთით-მეხიეთით ხელში ჩამოსულან. ჩემ დიდნენეს მოხვე-**

წილი სუფრა ჩამუტანია, ერთიც გუგუმი... ურჩიეს, არ წახვიდეთო, მაინც წამოსულან.

– დიდგანები ჭკვიანი იყნენ, თაბი. ფახილი იყნენ, ჰამა ჭკვიანი იყნენ. ახორი კარები გუჟლიან, ისე წამოსულან იქიდან. დარჭი-ღურჭად დემხუჭეს, წამოსულან... რატომ წამოსულან არ ვიცით – მოგვითხრობს ხასან ყავაში.

ერთი საყურადღებო ამბავი მოგვითხრო ადემ ზენგინმა: „ჩვენ მაშინ მუსლიმანი არ ვიყავით, ხრისტიანი ვიყავით. ახლა მუსლიმანი გავხდით, ახლა კი გავგაგდებოთ (მუსულმანობა – ჩამწ.), გვიან გავაგდებოთ“.

ძნელი დასაჯერებელია, 1917 წელს ართვინში ქრისტიანი ქართველების არსებობა (სომხები იყვნენ, ყოველ შემთხვევაში ნ. მარი 1904 წელს ახსენებს ართვინში მოქმედ გრიგორიანულ ეკლესიას). დროში შეიძლება ცთომილება იყოს, მაგრამ ფაქტი მაინც საინტერესოა.

ვეცნობით სოფელს. სახლის მშენებლობის შესახებ კითხულობს ნუგზარი, გვიყვებიან: „ქვეშიდან დევეყებდით: ენწინ ქვას დაგაწყობდით, მემრე ხეებს გუჟდებდით, მადლიდან ხეს გუჟდებდით (წაბლი, კო), ცულით გავთლიდით... პატინას ნაჯად ვეტყოდით, დიდს – ცულს, ზეიდან მერთეკი ვებნევით, იმა გუჟდებდით, მემრე ქერამითი. ხევიდან მომქონდა, გამაარჩევდენ კად ქვებს.“

გაკეთებინან ვაკეთებდით ფენჯრებს. ფენჯრები ზემოთ ედებოდა...

ხუთი-ექსი ოდა ეყოფოდა ერთ სახლს. სამი-ოთხი ძალი იქნებოდა ერ სახში. ოჯახი ორ ოდაში იქნებოდა, ორ ყათში ოთხი ოჯახი. ერთ თერეფზე დასაბანავი ძერი გააკეთებდენ...

(დარჭები) მემრე-მემრე დასახლკარდებოდენ, გაყოფდენ, დიდგანების ხელში იქნებოდენ მაინც“.

- ახორი სად გექნებოდათ?
- ენწინ სახლების ქვეშ იქნებოდა!
- ახლა? – აზუსტებს ნუგზარი.
- ახლა გარეთ!
- თივას სად ინახავდით? – ვკითხულობ მე.

- თივას საბძელში ინახავდენ. საბძელი ბზის ფერია.
- სახლს კრამიტის გარდა რით გადახურავდით?
- ყავართ! ჩემ ბაბოფ ზორ ღამაზათ გააძრობდა ყავარს: წიფლიდან, კოდან გავაკეთებდით ყავარს. ხე'და გამაარჩიო, გასინჯებდენ, რავარი ტამარი ქონდა.

ბრძენი კაცია ხასანი, როგორც მალხაზი იტყვის.

საინტერესო ლექსიკური ერთეულები ჩავიწერე ქოშკელთა საუბრიდან:

მაჭახელში – **ქანდარა**, ბორჩხაში – **ჭერი**<sup>16</sup>;

**ლიტრა** – წყალის სასმელი;

**კოჭობი** – საჭმლის გასაკეთებელი;

**დერგი** – მიწიდან გავაკეთებთ, უავეს ჩავდებთ;

**ქოთან** – პატინაფ, დოს ჩაასხემდენ;

**ჟაფე** – ღახნიდან, ლობიოთი, კიტრით [გაკეთდება]...

სოფელი ველზეა გაშენებული, ძველისა და ახლის ნაზავია ერთგვარი. აქეთ ხილი: თუთა, მსხალი, ვაშლი, ახლა თხილი ჭარბობს. დამახასიათებელია ვრცელი ეზოები. უწინ პურიც უთესიათ, კალოც გაუმართავთ პურის გასაღეწად, ხარი და ფური უშენებიათ. „ახლა ადგა პური“, სიმინდს თესავენ, საქონელსაც აშენებენ, მაგრამ ოჯახის საჭიროებისათვის მხოლოდ. რაც ყველაზე მეტად თვალში ეცემა აქ მოსულს: მშობლიური სოფლის სახელები დაურქმევიათ ახალნაშენი სოფლისათვის, ამიტომაც არ უნდა გაგვიკვირდეს, თუ სადღაც თურქეთის სიღრმეში, ისტორიული ქართული რეგიონებიდან ასეული კილომეტრის დაშორებით, სტამბულიდან 250-300 კილომეტრში შეხვდებით **არხვას, თხილაზორს, ქამელეთს, ორჯის**... ეს მშობლიური კუთხის ხსოვნაა ახალ სამშობლოში. არ ივიწყებენ ქართულ სახელებს მაშინაც კი, როცა ადგილს თურქული სახელი ჰქვია...

<sup>16</sup> მოუბარი განარჩევს ერთმანეთისაგან ბორჩხისა და მაჭახლის მეტყველებას.

სოფ. ავანაში (თ. იქბაალიე) გადავედით. პირველად ჰაი-დარ ათაბეგი „იქა აბარბიზე//აბრამიძე?“ გავიცანით. ართვნიდან ვართო ჩამოსული აქ, გვითხრა ბ-ნმა ჰაიდარმა.

მალე რუპი თემიზჯე, სოფლის მუხტარიც (მამასახლისი) მოვიდა. ახალგაზრდა ენერგიული კაცია რუპი, კარგი მოსაუბრე და გულდია მასპინძელი.

საუბარი დაკრძალვის წესზე ჩამოვარდა. აი რა მოგვითხრო რუპი თემიზჯემ:

... გავაწვლავთ, რომს მოკტა ონაგორა ვიქავთ: დილას მოკტა, ლოცვის მერე ჩავფლავთ.

მოკტება მემრე დავბანავთ. ძველობაში ასე ყაზანები გექონდენ, იმით გავაცხელებდით წყალ, დავბანებდით. დავაწვინავთ, დევწყებთ დაბანას. ასე მოაკოჭავთ, გავაწორებთ, მუცელზე მახასი, დანას დავდებთ, არ გასივდესო. შეკერული არ იყოს'ნა, იმაში შევახვევთ [მიცვალებულს]. იმის მერე მივყვანავთ ჯამეში. მთელ სოფელში დევძახავთ, მთელ სოფელში გავაგნებიებთ...

დაბანავ, იმის მერე იკითხავ დასინს. ხოჯამა იკითხებს. ქალებიც იკითხებენ ურუმარაჲ. კაცებმან ქალებ არ შეხედვენ. ხანდახან კარში გამეფლებთ, კაცებიც დაუდებიან.

– „ღმერთი დეგეშველოს“ – ეტყვიან მიცვალებულის დახნებსა.

– „აღლა რაზი ოლსუნ“ – იტყვის ისინიც.

ხოჯამან გაკითხავს, აჲ კაჲ იყოლ, ჰელადლი უყავითო!

კარში სირა გავხდებით, შევალთ, ჯანა ვილოცავთ (თ. სირა – რიგი. შდრ. „რიგში ვიყავი სადამე“ ვაჟა).

– ეს კაცი რავლი გგონიათ?

– კაჲ გგონია, ჰელაღს ვუზამთ!

– ამ კაცსა თუ ბორჯი აქვანან, ამის შვილ აართვითო,

– დევძახავთ იშტე.

– ნაჭარი თუ? რაცხას მომცემენ ისა, ჩვენ არ ვთხოვთ... რაცხა ქი გუშუძლებს [ოჯახი], იმას გავაკეთებთ.

განაყოფებმა მუუტანებენ საჭმელები. შორიდან მოსულ  
ლებსა მივართვამთ საჭმელებსა. თუ ტაროსი კადა, კარში  
მივართვამთ, თუ ზამთარია – სახში.

ქალებმან შვიდ ღამ (შვიდამდე – ჩამწ.) იკითხებენ. ჯა-  
მეში სამ დღეს.

სტუმარს აჭამებენ: ხორციანი ფილაგი, დო, ტათლი...  
ხანდახან ლაჰხმაჯუნი იქნება.

– თელყინს არ დუუძახებთ მიცვალებულს, აქ ადეთი არ  
არის? – ვკითხულობ.

– თელყინი არი კი, იმას ხოჯა დუუძახავდა.

დაკრძალვის ანალოგიური წესი გვხვდება შავშეთსა და  
კლაჯეთშიც...

რამდენიმე საყურადღებო ლექსი ჩავიწერე ავანელებისა-  
გან:

– სახლი უკან საქათმე,

ერთი გოგო მოვხათმე.

მე წუხელი სობაში,

ჩავაყუდე ხაშარი,

ვურიე და ვურიე,

ვერ ვუპოვე...

მენჯიშის საქათმეზე,

არ იცით, ტურა მოიდა,

რამეს არ დეიდუშუნავთ(?),

არ იცით, ქი ვინ მოიდალ (ბიჭები).

ღმერთმა აგახორთლადონ

მეზერიდან ძაღლსავენ,

ნათქვამი პასუღები

ჩვენ დემესენ მუნსავენ (გოგვებმა დუუძახებენ).

ბიჭები ეჯენგებიან გაღმით–გამოღმით სიმღერით:

ახლა ჩამოვარდნილვარ,

ენწინ ვიყავ ისმეთილ (ერთი).

ჰელბეთ ჩამოვარდები,

კი მიგარტყავ ქუს-მეთქი (მეორე).

ყურადღებას მივაქცევ ავანის ტოპონიმისას:

ავანა – სითბოფუნარი;  
ხატილა – (ზემო - იქრამიე და ქვემო ინამიე);  
არხვა – სერვეთიე;  
გველი – გულდობი;  
თოხვეთი – მურადიე;  
ორჯი – ჰიჯრიე;  
ტრაპენი – ესენთეფე;  
ქართლა (//კარტლა) – ბინხიაზიქი;  
ქამელეთი – შევექეთიე...

არის ხვა ტოპონიმებიც, მაგრამ ჩვენი ყურადღება მიიქცია ქართულმა გეოგრაფიულმა სახელებმა. იგივე სოფლები გვხვდება ისტორიულ კლარჯეთშიც...

ზოგიერთ სოფელზე სახუმარო ლექსიც ჩაგვაწვრინეს:  
**თოხვეთი თაროს გაგსა,  
ყველანი იქ მიდიანო.  
გველი მარილ დათესავს,  
ბევრ ფარას მეფეებსო...**

კარგი შეხვედრა მოგვიწვევს ავანელებმა: ჯამიკარზე შეიკრება სოფელი. სადამოს ლოცვის (იქინდი ნამაზი) შემდეგ იმღერეს ჩვენთვის, იცეკვეს... ლევორვერიც დააქუხა ერთმა...

ზეიმი იყო იმ დღეს ავანაში!

**ინამიეში** (ქვემო ხატილაში) ავედით. მშვენიერი სოფელია, ფერდობზე გაშენებული, ართვინის ხატილადან მოსული გურჯებით დასახლებული. დილიდან გაწვიმებას აპირებს, ხანდახან ცრის, გრილა. ნამდვილი სამუშაო ამინდია. მოენეს ვექებთ, ეგებ ჩავიწეროთ რამე. ბევრი ვერაფერი ვნახეთ. სერვეთ დურსუნოლლის ეზოში მიგვიწვიეს, რამდენიმე ფრაზა მოვისმინე:

– **ღეფნახე, ჩეპკითხე...**  
– **ზოგიები არ რიგდება, ჰამა...**

შემდეგ ზემო ხატილაში წავედით. **ოსმან ყონდახჩი** გაიცანით.

- თქვენი ძველი გვარი რა იყო?
- **ყონდახნი!** - იქიდან მოსული ლაყაბი ასე დარჩა, სო-  
დადი.

საინტერესო ცნობა მოგვაწოდა ბ-ნმა ოსმანმა. მისთვის ყონდახნი გვარი კი არაა, არამედ ლადაბია, ჩამომავლობის სახელი (სოდადი). ბარემ აღვნიშნავ, კლარჯ მუჰაჯირთა სოფლებში ყველგან ვკითხულობ ძველ გვარებს, იშვიათად თუ იცის ვინმემ, უმეტესობამ ქართული გვარი არ იცის, რა-საც გვეუბნებიან, ის გვარი არ არის, მეტსახელია, ზოგჯერ ჩამომავლობის სახელი. რა ხდება?

ექვრემ დაურუმ ჩაგვაწერინა ზოგიერთი რამ:

**მაჭახელიდან მოველი,  
მეაც ბორჩხა ქალაქშიო,  
ათასხუთასი კვერცხი,  
ქათამმა დებს ბუჯერშიო...  
უკანაჲ შენ თქვი!**

- ჩვენებური იყოს და ტაღახიდან იყოს. აახ, რა ლამა-  
ზი ვარო და ხატილელი არ ვარო!

- ერთი ბიჭი დეაშიკებულა მურღულის გოგოზე. გოგოს  
უთქმია, დეა ლამაზი ხარ, ხატილელი ხარო.

**გველი მარილ დათესავს,  
ყველა ძერზე მიამხლეესო...**

ყველაფერი მოვიყვანე, რაც ზემო თუ ქვემო ხატილაში ჩავიწერე. სხვებმაც ჩაიწერეს მწირად; ბუნებრივია, თავს მო-  
ეუყრით ყველაფერს და გამოვაქვეყნებთ კიდევ. საქმე ისაა, რომ ართვინის ხატილაში, ხატილის ხეობაში ქართულის მცოდნე აღარავინაა; დაივიწყეს ხატილას ხეობაში ქართუ-  
ლი. ხატილური ქართული მეტ-ნაკლებად შემორჩა ხენდეკის ხატილაში... ასე რომ, ფასეულია ჩვენ მიერ დღეს ჩაწერილი მასალა.

საღამო ხანს ხენდეკელებმა ვახშამზე მიგვიწვიეს. იფ-  
თრობამდე ჯერ ორი საათი მაინცაა, მაგრამ ჩვენთვის სპე-  
ციალურად შეუკვეთეს. რამაზნის დღეებში ლოკანტების უმეტესობა საღამოდე არ მუშაობს, განსაკუთრებით მცირე

ქალაქებში. იფთრობისთვის ემზადებიან და დაახლოებით ათის ნახევარზე ჩვენი დროით იხსნებიან.

ვიდრე შეკვეთილს გაამზადებდნენ, ქალაქარეთ გავისე-  
ირნეთ, ბაირაღთეფეზე აგვიყვანეს. აქედან იშლება ხენდეკის  
ხედები...

ხენდეკი, 45 000 მცხოვრებით, პატარა ქალაქია, რომლის  
მოსახლეობის ნაწილი ქართველია, ქალაქს აქვს უნივერსი-  
ტეტი 7 000-მდე სტუდენტით. ახლა ზაფხულია და იქ არავი-  
ნაა, თორემ შევივლიდით უნივერსიტეტშიც, არც მასპინძლე-  
ბი გამოგვიშვებდნენ ისე.

სურათებს ვიღებთ, შემდეგ იქვე მუზეუმში მიგვიწვიეს.  
მუზეუმის ერთი განყოფილება ქართველის, ჩურუქსულის  
კოლექციას ეთმობა. აქ გამოფენილია სხვადასხვა იარაღი:  
თოფები, ხმლები, დამბაჩები, დანები... მთელი „არსენალი“.  
ყურადღებას იქცევს ჩურუქსულის პორტრეტი – იარაღს-  
ხმული ტიპური ქობულეთელი. რად უნდა ამდენი აღჭურვი-  
ლობა კაცს, ჩვეულებრივ, მშვიდობიან დროს? თოფი, ორი  
სავაზნე (პატრონტაში), დამბაჩა (ლევორვერი), ხმალი, წელ-  
ზე დანა... ვინ იცის, რა აღარ.

ვეყურებ ჩურუქსულის სურათს და მასხენდება ბავშვო-  
ბაში ჩვენთან, ორთაბათუმში გაკონილი ამბავი: 900-იანი  
წლების ბათუმის ნავსადგურში უცხოური გემი შემოსულა.  
მაშინ ბათუმი პატარა საპორტო ქალაქი იყო. ყოფილი „დი-  
დი უნივერსალის“ ადგილას „სეთოდს დუქანი“ მდგარა. იქ  
იყრიდნენ თავს ახლომახლო სოფლებიდან მოსულნი, აქვე  
დგებოდა „ლეღენკა“, იმდროისათვის ერთად-ერთი ტრან-  
სპორტი...

უცხოელები ჩამოყვანილო გემს, ბერძნებიო, ამბობენ.  
ათვალიერებენ უცხონი უცხო ქალაქს, უცხო ადამიანებს.  
თვალში ეცემათ ასეთი სურათი: პაპანაქება სიციხეში მამაკა-  
ცებს აცვიათ ჩაქურად (აჭარული კოსტუმი), ფეხზე აზიაცკე-  
ბი, თავზე ყაბალახი, წელზე „ლათინკა“ შემოურტყამთ ვაზ-  
ნებით, ორიც იქით-აქეთ გადაუკიდათ, მხარზე თოფი –  
„ბელჭიკა“, წელზე ფიშტო და დანა...



– ვინ არიანო, კითხულობს ბერძენი, ომი ხომ არაა ამ კუთხეში, რად უნდათ ამდენი იარაღი?

– ადგილობრივები არიან, ეს მათი ყოველდღიური სამოსიაო, უპასუხეს.

– „ბლაცები“ (გულუბრყვილოები) ყოფილან, აქ საქმის წამოწევა და ფარის გაკეთება შეიძლებაო, – უთქმია ბერძენს...

ჩურუქსულის პორტრეტი არაა სურათის გადასაღებად სპეციალურად ჩაცმული მამაკაცის სურათი, იგი ცხრაასიანი წლების აჭარელი (აქ: ქობულეთელი) მამაკაცის პორტრეტია ყოველდღიური სამოსელით.

მასპინძელი გვეუბნება, ცოცხალიაო ჩურუქსული, აქ ცხოვრობს, თუ დარჩებით, შეგახვედრებთო მას.

ახლა ჩურუქსულთან შეხვედრის დრო ნამდვილად არ გვაქვს...

მუზეუმის შთაბეჭდილებების წიგნში ჩვენს ყოფნას ვაფიქსირებთ ქართულად და გამოვფიქვართ გარეთ.

ქალაქის თავი (ბელედიე ბაშქანი) ამოსულა ცოლ-შვილთან ერთად. გაგვაცნეს.

– ალი ინჯი, ოფლი ვარო, ტრაპიზონიდან.

– კარგი ქალაქი გაქვთ-მეთქი, შევუქმე ქალაქი ალის.

– კარგი ქალაქია, ხალხიც კარგია ამ კუთხეში.

– რისთვის ჩამოსულხართ ხენდეკში? – დაინტერესდა ალი.

– ჩვენებურების შესახებ წიგნის დაწერას ვაპირებთ და მასალებს ვაგროვებთ-მეთქი. მთელს თურქეთში გაბნეულ ქართველ მუჰაჯირთა შთამომავლებს ვეძებთ, ვხვდებით, მათი ცხოვრება გვაინტერესებს... ვუხსნი ქალაქის თავს.

მოგვიწონა საქმე ალი ინჯიმ. შემდეგ გვითხრა, 2005 წელს საქართველოში მსურდა შემოსვლა, მაგრამ არ შემომიშვესო...

– ბ-ნო ალი, რამდენიმე დღეა დავდივართ „ჩვენებურების“ სოფლებში, გვესმის ტერმინი „მოხტი ლაზი“, რას ნიშნავს?

– გაიღმა ბელედიე ბაშქანმა, შემდეგ მიპასუხა: მოხტი ის ლაზია, ვინც ლაზური იცის. ოფლი – ოფელი, რომი, იუნანი.

– აგაშენა ღმერთმა, ისე უნდა წავსულიყავი აქედან, ვერ უნდა გამეგო „მოხტი ლაზის“ მნიშვნელობა, ვერც „ოფლისა“, ცნობისწადილი დამტანჯავდა-მეთქი, ვუთხარი აღის.

– ახლა ხომ აღარ იღარდებო, გამიღიმა.

– აღარ ვიდარდებ-მეთქი, დავპირდი.

ბავშვმა დაუძახა აღის, წავიდეთო!

დავემშვიდობეთ ბელედიე ბაშქანს. ჩვენი წამოსვლის დროც მოვიდა.

ქალაქისაკენ დავეშვიტეთ. გზად სომხურ სოფელშიც შეგვიყვანეს მასპინძლებმა, ქააზიმეში (ძვ. სოფქოე).

ქააზიმე სომხური სოფელია, მაგრამ აქ ახლა არც ერთი სომეხი არ სახლობსო, გვითხრეს, ახლა ბერძნებმა „დედაკავეს“ მათი „დერებიო“.

მშვენიერი სოფელია ქააზიმე, პატარა, კოხტა ეხო-კარიანი სახლებითა და სუფთა ორღობეებით.

სოფელში აღარ გაეჩერებულვართ, არც არაფერი გვესაქმება.

ვივახშმეთ. დავემშვიდობეთ მასპინძლებს. „ჯუმას (პარასკევს) კიდვენ შევხვდებით, ხვალ იფთარი'ნა გავაკეთო (იფთარის სუფრას აკეთებს ყველა შეძლებული მუსულმანი და ეპატოუება ნაცნობ-მეგობრებს), მუხტრებს შევხვდები და ვეტყვი, ხალხი დაგვახვედრონო“ – გვეუბნება ადემ ზენგინი, ჩვენი დღევანდელი მეგობარი.

**18 ივლისი, ხუთშაბათი.** დღე დავიწყეთ გეივეს იღჩეს, სოფ. ნურუსმანიეს (ძვ. მიჩქიდერე) მონახულობით. მუსტაფა კოლატია დღეს ჩვენი გამცილებელი საქარიადან.

ნუროსმანიე მარადიდელი მუჰაჯირების შთამომავლების სოფელია. იგი ხეობაშია გაშენებული მდინარის მარჯვენა მხარეს. წვიმს დილიდან. ახლა გადადილო, ნისლი ჩამოწვა... ჯამესთან გაეჩერდით. ორი მოხუცი იჯდა ძელსკამზე, მივედით, გამოველაპარაკეთ.

შუქრი იაშარ კორქმაზი (კოლოტოლი, პაპინაძე) გავიცანით. კარგი მექართულეა ჩვენი თანამოსაუბრე. პირველი ფრაზა, რაც ბატონმა შუქრიმ გვითხრა იყო: „მარადიდი, საქმე პაწაჲ, ჭამა დიდი“...

– ქართული სოფლები კიდევ რომელია აქ? – ვეკითხებით რესპონდენტს.

– ერთი სოფელია *ენიქო* – *ზოღობანი*, იქ ერთ-ცხვა არი *ილიმბე*, იქეთ – *კარამაჩი*, *ახჩაძე* არი. *საბანჩე* იბახიან, იქ არი *მაჭახლე*...

საუბარში ჩაგვეერთო რემზი სოლმეზი (კოლოტოლი) მარადიდიდან. მისი ინფორმაციით, „აქ სოფელის თველი კოლოტაშვილია. ორი მოსულა, სამი, მერე გაბეგრდენ. რეჯება დედე მოსულა. აქ დედეს ბევრი ბაღანაუბი ყავდა. მოვდენ ქალი და მან, ღარჭები – აქ [დაიბადნენ]“.

რემზი სოლმეზის მონათხრობში ერთი საინტერესო ცნობა ჩანს, კერძოდ: მუჰაჯირად წამოსვლისას ხალხი გააფრთხილა ვიდაცამ: „ახლა *წეხველით*, *წეხველით*, *სხვა ვე’ წეხვალთ...*“ „*ვინცა მოვდა აქ დაჩა* (sic), *სხვა ვე’ მოვდენ ჰიჩ. იშტე გაწეხულან*“.

წეხს რემზი, რომ კარგად ვერ იგებს ქართულ საუბარს, ჩქარ-ჩქარა ლაპარაკობენო: „მალ-მალ დეილაპარიკვენ... ცოტა ნელა დეილაპარიკებენ, მიფერდება...“

ჩვენს საუბარში ჰასან ქესერი (ქესიმოლი) მოვიდა. იგი ჩასიძეულია. არ იცის მისი წინაპარი საიდან მოვიდა აქ. „იმას ენიშტეს ვუძახ“ – მიგვითითებს რემზი ხასანზე.

ხასანის საუბრიდან ჩანს, რომ ისიც მარადიდელია, ან მისი მიმდებარე რომელიმე სოფლიდან: „აქა *ჭოროხი არის*, *გაღმა აბაზები და ლაზები არიან*“ – გვეუბნება იგი (ჭოროხი აქ დიდი მდინარის მნიშვნელობით იხმარება. შდრ. ტაოში ყველა დიდი მდინარე „ჭოროხია“; აჭარაში არის ფრაზეოლოგიზმი „დააჭოროხა“ – ბევრი წყალი დაასხა – ავტ.).

კოლოტოლი რატომ დაარქვეს თქვენს ძველებს? – ვეკითხები შუქრის.

– ჩემი დედეს კოლოტი ეამებოდა, ნაცარში გამომცხვარი ჭადი და კოლოტოლლი დაარქვეს. ესკი არის პაპინაძე.

ჩანს, კოლოტოლლი გვარი არ არის, მეტსახელია, ლაღაბია, რომელიც ჩამომავლობის სახელად ქცეულა.

ხასანისა და შუქრის საუბრიდან ჩანს, რომ მარადიდლებს აქ ქართული სახელები შეურქმევიათ ადგილებისათვის: შაფყანა, ჭალა, ვაკე, პაწა ბახჩა, სახლი თავი... „ყანა არის, სახელი ბათუმია, ნაპურავი, ნასახლევი“.

მიუხედავად ჩვენი წადილისა, ვერ მოვახერხეთ საუბრის აწყობა მარადიდლებთან. უხასიათოდ არიან მარხვის დღეებში მორწმუნენი: „ბეთი ზამანში მოდი, გიავ“ – ეუბნება ხასანი მუსტაფას, ჩვენს მეგზურს.

**სახლის უკან კიტრები,  
მოყრილან დედაბრები,  
დედაბრებო, სახში წეით,  
გამოგზანეთ გოგებო**

წაიმღერა ფეხლი კოლატმა/კოლათმა (კოლოტაშვილი).

დაბლა ჩამოვედით, ბენზინგასამართ სადგურთან. წვიმა წამოვიდა. ველოდებით, ეგებ გადაიღოს და სადმე სოფელში გავიდეთ. მუსტაფამ გაგვაცნო სადგურის თანამშრომლები: უზუნ მამუდოლლი, მუსტაფა, ნევზათ, ზეჟირ, შან კოლოტები, ახალგაზრდები, რომლებიც მეტ-ნაკლებად ახერხებენ ქართულად საუბარს.

გაბმული მეტყველების ჩაწერას ვერ ვახერხებთ, ვიწერთ ფრაზებს:

- ღარჭებმან მითხრენ რომ... ბაბამა იტყოდა, მე ა' ვიცი;
- ასკაღლი ბარდაღი გამვარდა;
- ჩვენი დედე აბღულა კოლოტი არი საფანჯეში;
- შენი დედე ბაბასი ემიადა;
- თქვენ'და დააწიგნილთ თუ?
- სწორე გიძახს და!
- გურჯიჯე თამ იცი თუ?

– ზექი, შენ იცი, შენ თქვი და... ჩვენები ნახვარი იქ ვართ, ნახვარი – აქ. ბაბაა დედეა ღარჭი მოსულა, ჰასანი, დიდი დედეს – მამაშუდ, იმის ზედაა არ ვიცი...

– გაყრილან – ნახვარი იმკენ, ნახვარი – ამკენ. დვი-ნოდს მსმელები იმკენ, მუსლიმანები – ამკენ;

– ჭოროდში ქუთუდები ჩაყარენ, ფიცარი დააჭედენ და ყარადენიზ ჩევდენ. მერე არ ვიცი, გემით მოსულან, და?

– აქაც არი ხეზა, საბანჯეთ ზეთ;

– აქა ბუკში მირტყმიდა მუჰელიმმა, ჰამა ვერ გამაგდე-ბია (სიგარეტი): გევექცეოდი, დაგმალვიდი;

– არ დამცხებდენ, მარა აქიდან მეწიკებიან ყურზე ორი ქალი...

მოყვანილი ფრაზები საინტერესოა დიალექტოლოგიური თვალსაზრისით, შეიცავს სხვა ინფორმაციასაც. მრავალთაგან ერთ მივაქცევ მკითხველის ყურადღებას: **თქვენა დააწიგნიოთ თუ?** რას უნდა ნიშნავდეს **დაწიგნება?** კონტექსტით თუ ვიმსჯელებთ, **დაწიგნა დაწერინებას** უნდა ნიშნავდეს. გავიხსენოთ, ძველ ქართულში „წიგნი“ სხვა მნიშვნელობებთან ერთად, ზოგადად „ნაწერსაც“ ნიშნავს.<sup>17</sup> ვფიქრობთ, საინტერესო ლექსიკურ ერთეულთან გვაქვს საქმე...

– აქ, თქვენ სოფელში რა გვარები (სოიადები) ცხოვრობენ?

– აქა! არაბოლდი, მისიროლდი, დედიოლდი, მერეგინძე, ოდაბაში, უზუნ მამაშუთ ოლღუ, ველიოლდი, მამიოლდი...

– ქართული გვარები არ იცით?

– ამა და ქართული გვარები!

დროა, წავიდეთ ნუროსმანიედან. გადაღებას არ აპირებს, ცივა კიდევ...

---

<sup>17</sup> ილ. აბულაძე, ძველი ქართული ენის ლექსიკონი (მასალები), თბ. 1973; შდრ. ივ. ჯავახიშვილი, ქართული პალეოგრაფია, თბილისი, 1949, გვ. 62 და შემდეგ. „წიგნის“ მნიშვნელობის შესახებ იხილეთ ასევე: კორნელი დანელია, ზურაბ სარჯველაძე, ქართული პალეოგრაფია, თბ. 1997, გვ. 295-296.

**ისტამბულდერეში** (ძვ. ერდემლი) წავიდეთ, საფანჯგეს ილჩეში, აქვეა, ათ კილომეტრში, გვთავაზობს მუსტაფა.

წავედით!

**ერდემლი** გაშენებულია მცირე, მწვანეში ჩაფლულ ხეობაში: ცხმელა, თხმელა, დიდგულა (//კამპარა, კატიყვერა), წაბლი, ნაძვი... ეზოებში უდგათ თხილი და კაკალი, ყანებში უთესიათ სიმინდი, ლობიო, კიტრი, პომიდორი (თომატესი)... ჩანს, არაა მოსავლიანი სოფელი, არც სახნავე-სათესით მდიდარი. მთავარი კი ისაა, რომ ერდემლელებმა თითქმის აღარ იციან ქართული. ბორჩხიდან მოსულ კიკნაძეთა (თიქნაზი, მაროღლი) ჩამომავალს, რუსთამ თიქნაზს თითქმის ვერაფერი ვათქმევინე, თუმცა მიანჩიათ, რომ კარგი მექართულეა... ზოგიერთი ფრაზა ჩავიწერე, რომელთაც აქვე მოვიტან:

– **რუსიდან დაგებჩითო, ისტამბოლ მოვედით, ისტამბულიდან აქ მოვედით;**

– **წინ მყავდენ ძროხები ონ იქი თანე, ახლა მარტვაი ცხენი დამჩა: შიშა მოვტან, გუბრე (ნეხვი – ავტ.) წვევღებ ბახჩაში, შევუღები...**

– **ჩვენ საბელი ვიტყვით...**

დავემშვიდობეთ რუსტამს და მის ვაჟს, ისმაილს, დაბლა ჩამოვედით: ხეობაში თევზსაშენია გამართული, მურად თიქნაზია მისი პატრონი. მთელი კომპლექსი აუგია მურადს, თევზის აუზები, რესტორანი... სტამბულიდანაც მოდიანო აქ თევზის დასაგემოვნებლად და საპიკნიკოდ ზოგადად.

მეგაპოლისით გადაღლილი კაცისათვის მართლაც მისწრებაა ამ მშვენიერ ბუნებაში დასვენება, სადაც აუტანელი ხმაურის ნაცვლად მდინარის ჩუხჩუხი და ჩიტების ჭიკჭიკი ისმის, სადაც სიმშვიდეა...

ვერ დაუწუნებ გემოვნებას სტამბულელებს...

სადილზე მიგვიწვია მურად კიკნაძემ, აღარ გავჩერდით, თავაზიანი მადლობა გადავუხადეთ. ჯერ ერთი, რამაზანია და უხერხულია, თვითონ მარხულობს, სადამომდე არც ჭამს და არც სვამს, ჩვენთვის უნდა შეწუხდეს... მეორეცაა და წა-

მოდებული გვაქვს მწირი საგზალი, ვისადილებთ საველე პირობებში.

– მე ჩამოვალ ბათუმში, ბევრი ჭამა მიყვარს, მოგიტამოთნა ყველაფერი, – იხუმრა მურადმა.

– ჩამობრძანდით, ნუ გვაშინებთ, შევეძლებთ, გაგიმასპინძლდეთ.

– მუსაფირი უსადილოთ როგორ გაგიშვათ? – გულწრფელად წუხს მურადი (შდრ. პირის გუუქანებელი სა გიგიშვა, ნენი. – ქობ.).

– არ უჭირს, ახლა რემეზანია, ჯერ იფთარი არაა, არ გაგაწუხებთ – ვეუბნებით მურადს და ავტობუსში ვსხდებით...

ნახევარი კილომეტრიც არ გვქონდა გავლილი, რომ მუსტაფამ (ჩვენმა გამცილებელმა) ერთ ოჯახში მიგვიყვანა, ქალია, თქვენთან ლაპარაკი უნდაო!

თინა და ნიაზი მიგავლინეთ ქალბატონთან, ნუგზარიც გაეკიდა კამერით...

ამ ადგილს დორთ ჩინარი (ოთხი ჭადარი) ქვია. საპიკნიკე ადგილია, ყველა პირობაა ბუნებაში დროის გასატარებლად.

მიყვარს ასეთი ადგილები. ჩემს სოფელს მაგონებს, ასევე მწვანეში ჩაფლულს, წყნარსა და მშვიდს, სადაც ბავშვობა და ახალგაზრდობა გავატარე და სადაც ყოველთვის მინდა წასვლა...

მოვდივართ. ვფიქრობ: უჭირთ ისტამბულდერელ ბორჩხელებს ქართული. ვერც იმაში გარკვეულან, რატომ გამოიქცნენ მათი წინაპრები აქ. მშობლიური კუთხიდან აყრილებმა ეძებეს და ეს ადგილი ნახეს საცხოვრებლად. ამის უარესი რა იყო, რომ დატოვეს და წამოვიდნენ? მთავრობაზე განაწყენებული ფირალი თუ შეაფარებს თავს, თორემ საცხოვრებლად კაცს აქ რა უნდა?...

ნუღარ გავაგრძელებთ, რაცაა ესაა, ვერაფერს შევცვლით.

ისტამბულდერედან წამოსულები გულდობში (//გოლდობში) წავედით. არც თუ დიდი გზის გაგლის შემდეგ სოფელში მივედით. მუსტაფა მიღებული კაცია ამ კუთხეში. რემზი ფართალოლი (ოზგენი) გაგვაცნო.

– რა გვარები ცხოვრობენ ამ სოფელში? – ესვამ მრავალგზის დასმულ კითხვას:

– ბევრია, რა ვიცი: კახაბერი, სერდალოლი, ფართალოლი, პაჭიჭოლი, არსლანოლი, მელექოლი (ლელოლი), ველიოლი, მემიოლი, დემირჯოლი, იმამოლი, ონბაშოლი... სხვა არ მახსოვს, იქ რა სოფ ხარ, აქაც იმსოფ არიან.

– საიდან მოვიდნენ თქვენი ძველები აქ? – ვეკითხები რემზის.

– აქაურები სულ კიწათლია, რაამეთლი (ცხონებული – ავტ.) დედემ ასე იტყოდა!

გზაზე გამოვიღვივართ, ქართველები გვხვდებიან. მალე გავშინაურდით, მოვიკითხეთ ერთმანეთი, უცხოობა დავძლიეთ და ჩვენი ჩამოსვლის მიზანიც ვუთხარით.

რემზი ფართალოლი ვარო, გვითხრა შემხვედრთაგან უფროსმა.

– ბატონო რემზი, ქვეყანა მოვიარეთ, თურქეთელ ქართველებს ვეძებთ; ხედავთ, თქვენს სოფელშიც მოვედით, ახლა ისე ხომ არ გაგვიშვებთ, ერთი ლექსი რომ არ გვითხრათ?

– ლექსებს ვერ გეტყვით, ბაღანაჲ მომიკტა, ორი კვირის წინ და...

– უხერხული დუმილი ჩამოვარდა, ისევ რემზიმ განმუხტა სიტუაცია:

**რა ვთქვა და რა მეგონო,  
შენ თქვი და მე გეგონო...**

ერცხვა:

**დედე-დედე ვვიარე,**

**ერთი გოგო ტირილა,**

**რატომ ტირი, ვერ ვკითხე.**



**დედამისმა ყვიროდა.**  
ერცხვა:  
**დედეში ჩავდე ნავი,  
ხეზე გესულა ყავი,  
შენ კაცი არ გახლები  
მაგსოფ ჯირეკად თავით.**  
მომგონდეს ვთქვა'ნდა:  
**ჰადდე წვედეთ, ლამაზავ,  
ახალი სახლი მაქვა,  
რა ლამაზი გოგო ხარ,  
ამ სოფელში რა გაქვა?**

ჩანს, ბატონი რემზი ბევრი ლექსის მცოდნეა, მაგრამ ვერ იხსენებს: ჯერ ერთი რამაზანია და მთელი დღის ნამარხულევს უჭირს, მეორეცაა და გარდაცვლილი შვილის გახსენებაზე ცრემლებს ვერ იკავებს. კიდევ ბევრი შეძლო სტუმართმოყვარე კირნათელმა სტუმრების ხათრით.

მურადს ნეუდეთ სარდალმა მიბაძა და ერთი ლექსი „ჩამოგვითვალა“:

**მამუდიე კაპანი  
გადმოგორდა აკვანი,  
ჩემი ტაძას ორი ქალი,  
ჰემ თათარი, ჰემ ჭანი!**

დარჩითო ჩვენთან, ნეუდეთმა, „ერთ-ორ დღეს დაგაყენათო“.

ვერ მივიღეთ მიწვევა, ექსპედიციის დრო იწურება, საქმე კი ბევრი გვაქვს.

სოფლის ორღობეში შევეხვიეთ. კირნათელი მეღიქოდლები გავიცანით. სხვებიც სახლობენო აქ კირნათელები. მაიამ მოინდომა მათი გაცნობა, ეგებ ახსოვდესო ვინმეს კირნათის შესახებ. დედამისი, ქნი მერი ცინცაძეც კირნათელია, მისი წინაპრებიც ოსმალობის დროს მეღიქოდლის იწერებოდნენ...

ვერაფერი გავიგეთ, თუმცა ცდა არ დაგვიკლია.

შუადღე კარგა ხანია გადაიარა. რამდენიმე სოფელია აქ, გესურს, ბარემ ვნახოთ. ვინ იცის, როდის მოვალთ კიდევ ამ კუთხეში და მოვალთ კი საერთოდ?

**მამაშუდიეში** წავედით პირველად, მარადიდლების სოფელში.

ხასან არაბოღლისთან მივედით. კარგად მიგვიღო, ჩაიხე დაგვკპატიჟა...

– ხასან ბატონო, აქ რომელი სოფლიდან მოსულები ცხოვრობთ?

– აქ მარადიდლები ვართ!

– რა გვარები?

– **ბეგრია: ჯეინანოღლი, არაბოღლი (ყარაფოღლისაც ეტყვიან), თანთოღლი, ჯეიღანი (ემირეისოღლი), საღიროღლი (მაიროღლისაც ეტყვიან), დიღბუროღლი (დიღბურაშიღლი ეტყვიან), ისპიროღლი, მოღლაისმაიღლოღლი...**

საინტერესოა, სპერიდან მარადიდში ლტოლვილი ისპიროღლი მარადიდის სახელით მუჰაჯირად რომ წამოსულა მამაშუდიეში. ისპიროღლები, რამდენიმე ოჯახი, აჭარაშიც ცხოვრობენ, სპერიდან მოსულებად თვლიან თავს.

ხასანი, ჩანს, დაფიქრებულა მუჰაჯირის ხვედრზე: არაა ადვილი დატოვო ყველაფერი და უცხოეთში გადაიხვეწო. ასევე ძნელია, ყველაფერი ხელახლა დაიწყო, ახალი საცხოვრისი მოიწყო, სოფელი ააშენო... მამულ-დედულის ნატვრამ დაარქმევინა ახალი სოფლისათვის ძველის სახელი მუჰაჯირს: „იქ ხება იყო, აქ ხება დაარქვეს“– გვეუბნება ხასანი. ამ მოკლე წინადადებაში მუჰაჯირთა ფსიქიკაა გაცხადებული.

ეს კი არა და ხასანს ლექსიკოლოგიური „დაკვირვებაც“ უწარმოებია ხებისა და მარადიდის მეტყველებაზე და წარმატებითაც:

**ჩვენ დერგი ვეტყვით, იმნებმა – ქოთანი ეტყვიან; ჩვენ თუთა ვეტყვით, იმნებმა ჟოღა ეტყვიან, ჩვენ მარადიდიდან მოვევლთ, იმნებმა ხეპაიღან მოვდენ...**

ცხოვრობენ მაჰმუდიელი მარადიდლები კლარჯეთის მარადიდის ცხოვრებით: ისინიც კაკალს წკნელით ბერტყავენ (შდრ. ხალა), აკეთებენ ღობიოს, ფხალს, დოდურთს, აირანს, მორველას (მალახტო), კვერცხის შეჭამანდებს, ვაშლის ბექმეზიდან – ექშაშს, ხარშავენ ჭყინტს...

უსამეთთინ ჯეილანმა იცის ბევრი ლექსიო გეითხრეს, მართლაც იმღერა რამდენიმე კაფია: „**რა ვქნა გულის დერდებით, გითხრა გომიდელდებით.**“

სხვა ვეღარ გაიხსენა უსამეთდინმა. „სულეიმანამ იცის სიმღერა, იმღერავს“...

„სულეიმანად იმღერავს“, მაგრამ ჩვენ ვერ მოვისმენთ. უკვე გვიანია და საქარიაში უნდა დაებრუნდეთ.

სალამოს დაებრუნდით საქარიაში. მუსტაფა არ დაგემშვიდობებია, იფთრის შემდეგ ერდოლანთან ერთად მოვალლო სასტუმროში.

10 საათი იყო, როცა დაგვირეკეს, მოვედით და სასტუმროს ჰოლში გელოდებითო. მე, მალხაზი, ნიაზი, ზაზა, გიორგი, ნიკა და რუსლანი ჩავედით ჰოლში, შემდეგ სასტუმროს ტერასაზე გადავინაცვლეთ სასაუბროდ. ბუნებრივია, ჩვენი მსჯელობის საგანი მუჰაჯირები და მათი სოფლები იყო.

– კარგი სოფლები აქვთ მუჰაჯირებს, ლამაზი მდიდარი, შესაბამისად კარგადაც ცხოვრობენ ისინი, კარგი სახლები და მოვლილი ეზო-კარია ამის დასტური.

– ჰო, ჩვენებურებს არ უჭირთ, კარგი სოფლებია ჩვენი სოფლები. მოგეწონათ?

– მოგეწონა. ხალხიც კარგია, თბილი, სტუმართმოყვარე... ერთი სამწუხაროა, რომ ქართული ენა თანადათან იკარგება, მასთან ქართული ტრადიციები და ყოფა, ამას ვდერდობთ, – ჩაერთო მალხაზი.

– ეს ძნელი საკითხია. შეიძლება სკოლებში შემიიღონ ქართული ენა (ზოგადად ეროვნული უმცირესობის ენების სწავლება), მაშინ იქნება დაადგეს საშველი ჩვენს საქმესაც, – ამბობს ერდოლანი.

ჩვენს საუბარს მუსტაფა გულისყურით უსმენს. უჭირს ქართულად ლაპარაკი, თუმცა ყველაფერს ხედება, ამიტომაც ცდილობს, ქართულად არ ილაპარაკოს.

– ჩვენ შევეცადეთ, გაგვეხსნა ქართული ენის კურსები, გავხსენით კიდეც. ბევრ სირთულესთანაა დაკავშირებული მისი ფუნქციონირება: მასწავლებელი, ფართი, სახელმძღვანელოები, თვით შემსწავლელიც კი... ხშირად უდროობის გამო ვერ აფერებენ მოსვლას, ეკონომიკურადაც უჭირთ, სხვა პრობლემებიც არის – განმარტავს ერდოღანი.

– უნდა დარწმუნდნენ ჩვენებურები ქართული ენის ცოდნის საჭიროებაში. ხომ იყო დრო, როცა ყველა გურჯისათვის საოჯახო ენა ქართული იყო და სკოლაში მისვლამდე ბევრმა არც იცოდა თურქული? მეორეცაა და ქართული ენის ცოდნა ჩვენებურისათვის ქართველობის, ეროვნული კუთვნილების შენახვის გარანტიაა, ესაა მთავარი.

– იყო, მარა ახლა ასე არაა. სახლში, გარში, უმეტესად თურქულად ლაპარაკობენ, სხვა ლაპარაკი აღარაა. არადა ქართულის ცოდნა ქართველისათვის დიდი საქმეა...

– იცით, ასეთი აზრი მომივიდა: თქვენს სოფლებში ვხედავ, რომ საზაფხულო არდადეგებზე ჩამოსულ დარტყებს ჯამეში ხოჯა ყურანს ასწავლის, ერთგვარად ჯამეში „ყურანის საზაფხულო სკოლაა“ ჩამოყალიბებული ბავშვებისათვის. ხომ არ იფიქრებდით, ქართული ენის კურსებიც გაგვეხსნათ, ზაფხულობით ბავშვები გარკვეულ დროს მშობლიური ენის, დედეების ენის შესწავლასაც დაუთმობენ: აღფაბეს შეისწავლიან, გარკვეულ ლექსიკურ მარაგს დააგროვებენ... მთავარია, ახალთაობას სურვილი გაუღვიძოთ ენის შესწავლის, შემდეგ ეს მოთხოვნილებად ექცევათ.

– ჰო, ეს კარგია (ჩაფიქრდა ერდოღანი), მაგრამ ორგანიზაცია ძნელია, დაინტერესება არ იქნება.

– უნდა დაინტერესოთ. თუ დაინტერესება იქნება, გარკვეულ დახმარებას ჩვენც გაგიწევთ: პროგრამებს შეგიდგენთ, სახელმძღვანელოებს მოგიმზადებთ, გვაქვს ამის გარკვეული გამოცდილება, – ამბობს მალხაზი.

– ასე იყო აჭარაშიც თავის დროზე. XIX საუკუნის 80-იანი წლებიდან მოყოლებული XX საუკუნის 30-იან წლებამდე, იხსენებს ნიაზი. ჯერ დაწყებითი სკოლა გაიხსნა, მუსულმან ქართველებს ბავშვები არ მიჰყავდათ ამ სკოლებში, შემდეგ თანდათან შეეწვივნენ... და განათლების საქმეც წინ წავიდა....

– ეს კი არა, მუსლიმანი ბავშვებისათვის იაკობ გოგებაშვილმა „დედა ენა“ სპეციალურად შეადგინა – ვამბობ მე.

– ქართული ენის სწავლება და ქართული კულტურის პროპაგანდა „ჩვენებურებში“ მიზანმიმართულად უნდა წარიმართოს. მუსლიმანმა ჩვენებურმა „ქურანიც“ ისწავლოს და ქართული ენაც, თურქულ კულტურასაც უნდა ეზიაროს და ქართული სიმღერა და ცეკვაც უნდა შეიყვაროს. ასე უფრო კარგი მოქალაქე იქნება ამ ქვეყნისა.

– ჩაფიქრდა ერდოლანი. მასე კარგია, მაგრამ ძნელი გასაკეთებელია, თუმცა დღეს სახელმწიფო ამ საქმეს ხელს არ უშლის...

– იცით რა? როდესაც ახალგაზრდებს მინიმალურად მაინც ეცოდინებათ ქართული ენა, მაშინ შესაძლებელი იქნება საქართველოში მათი გამოგზავნა უმაღლესი განათლების მისაღებად. ახლაც სწავლობენ თურქეთის მოქალაქეები ჩვენს უნივერსიტეტებში, მათ შორის ბათუმშიც, მაგრამ ქართული ენის არცოდნა დიდი ბარიერია. ენა რომ ეცოდინება, სწავლა გაუიოლდება. ამითაც შეიძლება დააინტერესოთ ჩვენებურები...

– ჩვენ ვეუბნებით, ვისაც სურვილი გაქვთ საქართველოში ისწავლეთო, ბევრი სწავლობს კიდევ, მაგრამ ეს ცოტაა. მთავარია, იქ ქართული ენის მასწავლებლობას არ სწავლობენ, უფრო მათემატიკა, ინჟინრობა, ექიმობა აინტერესებთ.

– ქართული ენის მასწავლებლების მომზადების საქმე ნაწილობრივ ასეც შეიძლება გადაწყდეს. ისწავლოს სტუდენტმა მათემატიკა, მედიცინა, ბიოლოგია... რაც უნდა ის სპეციალობა, რომ აქ გამოადგეს და სამსახურში შევიდეს. ჩვენი საგანმანათლებლო პროგრამები ითვალისწინებს დამა-

ტებითი სპეციალობის მიღებასაც, ე.წ. პროგრამა მინორით. სტუდენტს საშუალება აქვს ნებისმიერ სპეციალობასთან ერთად აირჩიოს „ქართული ენა და ლიტერატურა“. მომავალი ინჟინერი, ექიმი თუ მათემატიკოსი მოემზადება ქართული ენის მასწავლებლადაც. ასეთი სპეციალისტები შეძლებენ აქ ასწავლონ ქართული ენა. ასე რომ, თუ დაინტერესება იქნება, გზებიც მოინახება. მთავარია, ჩვენებურები უნდა დაინტერესდნენ, იცოდნენ ქართული ენა.

ერდოღანმა მის მიერ ჩაწერილი შელოცვები მოგვიტანა, ბებიჩემისაგან დავისწავლეო.

გავიხარეთ. ბატონო ერდოღან, ასეთი შელოცვები და, საერთოდ, ნენებისა და დედების ნამცოდნი ამბები, ლექსები, პეჩიები, სიმღერები... ძალიან ძვირფასია და არ უნდა დაიკარგოს. შენსავეთ ყველა რომ ჩაიწერდეს, გადარჩება, წიგნით შევინახავთ მას. თუ ნებას დამრთავთ, ამ ჩანაწერებს მომავალ წიგნში შევიტანთ შენი სახელით. შეიძლება სხვაც იწერს ასეთ მასალებს, მოიკითხე, თუ იქნება მოგვაწოდე და გამოვცემთ...

გევეკითხავო, დაგვპირდა ერდოღანი.

ღირსეული კაცია ერდოღანი, ახალგაზრდა, გონიერი. იგი ბევრის გაკეთებას შეძლებს ჩვენებურების ნაციონალური იდენტობის შესანარჩუნებლად.

N.B. ორი წელი ვაკვირდები მუჰაჯირთა ყოფას. სხვა საკითხებთან ერთად ვკითხულობ მუჰაჯირთა გვარებს, მაინტერესებს მუჰაჯირობის დროს რომელი გვარები წავიდნენ ემიგრაციაში და რომელი სოფლებიდან. სოფლები უმეტეს შემთხვევაში ახსოვთ, უფრო რთულადაა საქმე გვარებთან დაკავშირებით. საკითხი ასე დგას:

1. ბათუმელმა და ჩურუქსუელმა მუჰაჯირთა შთამომავლებმა იციან მათი ქართული გვარი. პროცესი შეიძლება ასე წარმოვიდგინოთ: შაქარიშვილი (ოსმალობამდელი გვარი) > შაქაროდლი (ოსმალობის პერიოდში). შთამომავლებმა იციან, რომ მათი ძველი გვარი არის შაქარიშვილი. ასევეა: ბეჟანიძე, გოგმაჩაძე, შავიშვილი, ნინიძე, ცენტერაძე...

2. აჭარელ, შავშელ (მაჭახლითურთ), კლარჯელ მუჰაჯირთა შთამომავლები კითხვაზე: „ესკი სოადი?“ გისახელდებენ ოსმალობისდროინდელ ლაღაბს: ჯეინანოღლი, არაბოღლი, ყარაფოღლისაც ეტყვიან, თანთოღლი, ჯეიღანი (ემირეისოღლი), საღიროღლი, მაიროღლისაც ეტყვიან, დიღბეროღლი დიღბერაშვილი ეტყვიან, ისპიროღლი, მოღლაისმაილოღლი. ქართული გვარი უმრავლეს შემთხვევაში არ იციან. ბუნებრივია, გაჩნდეს კითხვა:

რატომ ახსოვთ ბათუმელ და ჩურუქსუელ მუჰაჯირთა შთამომავლებს წინაპართა ქართული გვარები და არ იციან შავშმა, აჭარელმა (ნაწილობრივ), კლარჯმა, მაჭახლელმა (ნაწილობრივ) მუჰაჯირებმა? ჩნდება საფუძვლიანი ეჭვი: ჰქონდათ კი ემიგრაციამდე ამ რეგიონის მკვიდრთ საერთოდ გვარები? ბუნებრივია, აქ გამოჩნდებიან მოკიუნიეები, დაასახელებენ „ტბეთის სულთა მატიანეს“, რომელიც მეც წამიკითხავს და არაერთხელ გამომიყენებია. მათ საპასუხოდ ვიტყვი:

ა. „ტბეთის სულთა მატიანეში“ გვარსახელი თანამედროვე გაგებით ძალზე ცოტაა, იქ უფრო შთამომავლობის/ჩამომავლობის სახელებია: ვერძას ძე, გუნდარის ძე... და არა გვარები, რომლებიც შთამომავლობაზე გადადის: ვერძაძე, გუნდარიძე...

ბ. რატომ დაიმახსოვრა მუჰაჯირთა შთამომავალმა, რომ იგი ხაჯიოღლია, მეღიქოღლია და არ/ვერ დაიმახსოვრა ქართული გვარი?

გ. საინტერესოა, რომ ზემო აჭარაში გვხვდება ი-ენტოანი ჩამომავლობის სახელები, რომლის მსგავსი შავშეთსა და კლარჯეთშიც დასტურდება, ცოტა, მაგრამ მაინც.

**19 ივლისი, პარასკევი.** დილით საქარიაში გავედით, წვრილმანი საქმეები მოვაგვარეთ. ერდოღანმა იკისრა ამ დილით ჩვენი მეგზურობა. 13 საათისათვის ხენდეკში ვიყავით. ადემი და მისი მეგობარი დაგვხვდნენ. დღეს სამი კლარჯული სოფლის ნახვა გვაქვს დაგეგმილი. გავიარეთ ქამელეთი და გველში გავედით. ქამელეთი და გველი კლარჯეთის

სოფლებია, კლარჯ მუჰაჯირებს უწოდებიათ იგივე სახელი ახალი საცხოვრისისათვის. ნათელია, ვინ არიან ამ სოფლების მცხოვრებნი...

ხუსეინ ქესიმ'ი და ქაზიმ თაქშენი (მუსტარი) შეგვხვდნენ. რამდენიმე წუთის შემდეგ სხვებიც მოვიდნენ: ფაჰრი თაქშენი (დურმეშოღლი) – მურღულიდან, სულეიმან ჰაირი (მუსტაფოღლი) – ბორჩხიდან...

მამასახლისის ცნობით, „მეველედ დედემ, ქუჩუკ მეველუდი მოსულა აქა“... შემდეგ ქაზიმ თაქშენმა ძველი ოსმალური დოკუმენტები მოიტანა, ასლები გადავიღეთ, ზაზა გადაამოწმებს, რამდენად მნიშვნელოვანი ფირმანებია.

ფაჰრი თაქშენმა მოგვითხრო:

– მუსლიმანები თუ უნდანან, ისე წვედონ, არ უნდანან ასე წვედონ! აქ მოსულან. მაშინ აქ სულ ტყე ყოფილა. 12 მეტრი ხე ქონია ჩვენ სახლსა, იმხელა ხეები ყოფილა აქა. დაბლა სოფელში დამუდარან. კამბაკამისტოვინ უთქმიან, აქ კოღონი არისო, ვერ ვიჯებითო. [კამბაკამს] უთქმია, საცხა გინდათ იქ დაჯექითო. ჩვენი ორი დედემ აქ მოსულა, ორიც იქ დარჩენილა. აჰმედ დედემ მოსულა აქ, სად წევს არც ვიცი...

– გვერი ქართულია. სხვა ქართული სახელი ხომ არ ქვია ადგილებს?

– *საკერე ყანა, ჩვენი ყანა... სხვა არ ვიცი, არის კიდევ.*

– ეს სუფრა გურჯისტანიდანაა მოტანილი? – კითხულობს ნუგზარი.

– *სუფრა ამათი მოტანილი არა, ჰამა ადნი, იმ მოდელი გვაქვა.*

საყურადღებო ფაქტია: ემიგრანტი საოჯახო აქსესუარებს ისეთივეს ამზადებს, როგორც სამშობლოში დატოვა. თუმცა ეს არც უნდა გაგვიკვირდეს, მან არც სხვა იცის და მისი გემოვნება და, შესაბამისად, მოთხოვნილებაც ამგვარია.

დაშარ სევიმი მოჰყავთ, კარგი ამბები იცისო, გვაცნობენ.

– *ეს ჩემი ლაპარაკი ვერ გავარიგავ, – წუწუნებს მოხუცი. ონ ზამან დაჩუმდი! – გაუბრაზდა ვილაცას.*



თხოვენ დაშარს, გაიხსენოს რამე, ვერ აჯერებენ.

– ახლა ისინი მე რაგად მეფეონო?

– ორი თანეს ვერ მოფიქრავ?

– რაფერ'და მეფიქრო ახლა? ვერ მოფიქრავ! – გაცხარდა დაშარი, არადა, იმ განწყობით წამოყვა მეზობლებს, რომ ჩვენთან უნდა ესაუბრა.

გვერდლებმა იციან ქართული, მაგრამ უჭირთ; გისმენენ, თუმცა ხშირად ვერ იგებენ...

გველიდან ქართლაში (თ. ბიქაათი) გადავვლით.

ქართლა მშვენიერი სოფელია, სერის ორივე მხარეს გაშენებული: აგურის მოზრდილი სახლები, ეზო-კარში მრავალგვარი ხილი... რაც მთავარია, კლარჯეთიდან წამოუღიათ ქართლელებს სოფლის სახელი – ქართლა, ადგილიც კარგი შეურჩევიათ ქართლას გასაშენებლად. მართალია, თურქული სახელიც ჰქვია სოფელს, ბიქაათი, მაგრამ სოფელში ყველამ იცის მისი ქართული სახელი...

კარგად მიგვიღეს ქართლელებმა. ჯამის წინ ჩამოვსხედით სასაუბროთ.

– აქ თხილის გარდა რამ არ არის! – დაიწყო ერთმა. გენჯებმა თოხი, მანგალი არ იციან!

სოფლის გაღმა ხის ძელური ჩანს. ამბობენ, მუჰაჯირები რომ მოვიდნენ, იმდროინდელიაო.

ხუსეინ ქესიმი ჩამოჯდა ჩვენს გვერდით. ერთმანეთი გაცივანით, მოვიკითხეთ...

ბ-ნი ხუსეინი 70 წლამდე იქნება, თუმცა მხნედ გამოიყურება.

– ქართული სად ისწავლეთ, ბატონო ხუსეინ? – ვეკითხები, უფრო იმიტომ, საუბარში ავიყოლიო.

– სად ვისწავლიდი, სახში. ძველებმა თურქა არ ილაპარაკებდნ!

ძველებურ თამაშებზე ჩამოვუგდეთ სიტყვა, ინფორმაცია გვაქვს, ბევრი იცისო.

– ძველათ, ზამთარში რას ითამაშებდით? თივა მომარაგებული გქონდათ, საბძელი სავსე, მთელ ზამთარს რა უნდა

აკეთო? მაშინ ტელევიზორი არ იყო, არც სხვა გასართობი.  
რადღაცით ხომ უნდა გაერთოს კაცი?

- ენწინ დუზუკ ითამაშებდენ..
- არ იმღერებდნენ? არ ისამებდნენ?
- კი იმღერებდნენ, ბევრი სიმღერა იყო:

ერთმა თქვა:

ვინ დამაღლა?

პატინამა!

მიცხოს კოტინამა!

მე წუხელი სიზმარში,

იგიყუდე ხაშარი,

გემრიელი პასუხი გაქ.

გემიჯდები დინჯებშიო.

ევლე მეფთის აბდესი,

თენეშურზე დამღევი,

ნენე, სული ამომძრა,

ღმა მეზერში ჩამღევი.

სახლის უკან ბრეწველი

ტანები ჩამოწველი,

ჩემი ძარი დევნახე

კლაგები ამოწველი.

ზივერ, ნუ ეჭირები,

გეგისკლება ბალანი,

შაფათ და ოსმან აღა,

სევსუნ სენუმ ხალამი.

(შემიყვარდა შენი დეიდა/მამიდა).

მოზვერ უკუნტია...

ჩეძარა ვენახისკენ,

ვერ ნახა წყალი,

წამეფარა ტრინკები,

დაგანახა ნალი.

ბევრი ასე სიმღერები იყო, ჰამა არ მახსენდება...

ავად ვარ, ველარ ვიხსენებო, ამბობს ხუსეინი, მაგრამ  
თავს ძალას ატანს და კიდევ ერთ სტროფს მაწერინებს:

სახლის უკან ნიორი,  
ხან ერთი, ხან მიორე,  
გალმიდან მე დევნახე,  
ჩემი ძარი მეორე...

საინტერესოა ქართლელების ერთმანეთში საუბარი.

– ჩვენ სოფელში ერთი ქალი იყო, ხარი დემანახავდა, გამოვლოდა. უღელი გატყდებოდა, თექერი გატყდებოდა.

– ჰუსეინის დანა დეეკარქა თუ შენი?

– არა, ზედან მაქ, ვარუნიავ.

– ამას ბევრი ცოდვა აქ, მეზერში ახორთლადღებო, დედე იტყოდა მეზობელზე.

– ჰამა, არ ახორთლადებულა, არ ამდგარა!

– ამდგარა და თავი მუურტყია მეზერზე...

ქართლელები ხშირად სხვა სოფლებზეც გამოთქვამენ ლექსებს და აჯავრებენ მეზობლებს, არც საკუთარი ავიწყდებათ:

გველი მარილ დათესავს,  
სერმა იფიორო (ანგრეესო).

ორჯი ფილუზ მემლექეთ,

კომშილარ და ახიორო

(განაყოფისას ჭამსო).

თლქვეთი თაროს გავსა,

ჰერქეზორია ჩიხიორ.

ქართლა ვეხში მილლეთი,

ჰერქეზ ჩახმას ჩახიორ!

აღმოჩნდა, რომ ქართლაში ქართულად კარგად ლაპარაკობენ, თამაშობენ, ხუმრობენ...

ამ კუთხეში ქართლა, გველი, თოხვეთი, ორჯი ჩვენი სოფლებია:

გველი – ქართულია;

ორჯი – გარეველია;

თოხვეთი – ერთი ხანა გურჯი, სხვა – ჭანები;

ქართლა – აბაზა, ჭანი, გურჯი... – გვამცნობს ბატონი ხუსეინი.

საინტერესო ინფორმაციები შევაგროვეთ ქართლაში, მნიშვნელოვნად წაგვადგება იგი კლარჯეთის ზოგადი სურათის გააზრებაში.

**20 ივლისი, შაბათი.** გუშინ, სადამოს რუსლანის დაბადების დღე აღენიშნეთ ერთი დღით ადრე. დილით სხვა დღეებთან შედარებით გვიან გავიღვიძეთ (შესაბამისად გვიან დავიძინეთ), მიზეზი გვქონდა საამისო. დღეს ექსპედიციის ერთი ნაწილი, კერძოდ, თინა შიომვილი, გიორგი მახარაშვილი, რუსლან ბარამიძე, მაია ბარამიძე, თამარ ჩოხარაძე, ნუგზარ მგელაძე და ტარიელ დიასამიძე ბათუმში დაბრუნდებიან, მეორე ნაწილი – ზაზა შაშიკაძე, მალხაზ ჩოხარაძე, ნიაზ ზოსიძე, ნიკა ტულუში და მე დავრჩებით. კიდევ ორ დღეს ვიმუშავებთ საქარიას ქართულ სოფლებში, მოვივლით მაინც. ვერ წარმოვიდგენდით, მუჰაჯირთა ამდენი სოფელი თუ იყო ადაფაზარში, აწი გვეცოდინება. ბარემ აღენიშნავთ, რომ ქართულად ძნელად ლაპარაკობენ, მათ მეტყველებაში თურქული მძლავრობს ქართულზე, მაგრამ ეს აღარ გვიკვირს. სამწუხარო რეალობაა. სახელმწიფო ენა თრგუნავს ეროვნულს, სხვაგვარად აქ წარმოუდგენელია. მიუხედავად ყველაფრისა, აქაურთა ქართულ მეტყველებაში ჩანს სახელური და ზმნური ფორმები, კარგად იკვეთება დიალექტური თავისებურებანი, ღარიბია ლექსიკა. სიტყვიერი მარაგი პასიურ მდგომარეობაშია... მიზეზი ერთია, უმეტესად თურქულად მეტყველებს ჩვენებური. მოპოვებული მასალები გამოგვადგება კლარჯულის ლინგვისტური პორტრეტის შესაქმნელად.

დილით ძნელი დარჩა გვენახა ტაქსი, ხუთ მეზავრს რომ დაიტევდა. ქალაქში არის ასეთი ტაქსები, ქალაქიდან ქალაქში რომ გადაჰყავთ მეზავრები, ვცადეთ, „მოგვეხსნა“ ხაზიდან და ჩვენს „მარშრუტზე“ წავგვეყვანა, მაგრამ ამოდ, უარი გვითხრეს, ვერ წამოვალ, პატრონი უარს მეუბნებო, იმეორებდა ყველა...

ბოლოს ერდოლანისა და მუსტაფას მეცადინეობით ვიპოვეთ ასეთი ტაქსი, რომელიც 200 ლირად მოგვემსახურებოდა

მთელი დღე უკვე შუადღეა, ვფიქრობთ, ღირს თუ არა საერთოდ წასვლა, მაინც წასვლა ვარჩიეთ.

კარასუში უკვე გველოდება საბაათდინ სარი, იქაური მამასახლისი (მუხტარი).

ჩვენი მძღოლი, წუწუნა თურქი მიგვაქანებს კარასუსაკენ. კარასუ დაახლოებით 40 წუთის სავალზეა. იქ ჩასულებმა გადავწყვიტეთ, გვესადილა, რა თქმა უნდა, ამ შუა რამაზანში თუ იქნება ლოკანტა, რომელიც მუშაობს.

ვნახეთ ზღვის პირას დონერის ლოკანტა. ვისადილეთ უგემურად...

ქალაქი კარასუ პატარაა, უფრო დაბაა, ვიდრე ქალაქი, შავი ზღვის სანაპიროზე გაშენებული. სამ და ოთხსართულიანი სახლებით. ამბობენ, აქ იკრძალება მაღალსართულიანი სახლების მშენებლობა, რადგანაც სეისმურად საშიში ზონააო.

მივედით **აზიზეში**. მუხტარი სიხარულით შეგვხვდა. საბაათდინ სარი 60 წლამდე, საშუალო სიმაღლის კაციოა...

ახლა აზიზე ქალაქ კარასუს უბანია. საბაათდინ სარი (წარმოშობით ქედქედელი მსხალაძე) გვაცნობს აქაურ გურჯებს: იუსუფ აიდინი (ცინცაძე, აიდინოღლი), სულეიმან ქუჩუკი (ალიშანოღლი, ალიშანიძე), მუზაფერ აიდინი (ცინცაძე), ლასტაკანიძე (მაჭახლეელი)... ყველანი მაჭახლელები ვართო. რაც ყველაზე სასიამოვნოა, ახსოვთ ძველი, ქართული გვარები.

– კიდევ რომელი გვარები გვხვდება ამ კუთხეში? – კითხულობ.

– **სალაძე, კობინაძე, მსხალაძე, ალიშანიძე, შირინალიშვილი, ცინცაძე (გვარადან), მაღაყმაძე (ზენგინი)**...

**აქ ერთი გვარია, იქაური გვარი არ გამოცვალა – პარტენაძე.**

სასიამოვნოა, რომ აქ ყველას ახსოვს ქართული გვარი. და, რაც მთავარია, ყველა კარგად საუბრობს ქართულად, თუმცა აქაური მაჭახლელებიც უჩივიან, რომ ახალგაზრდებმა არ იციან ქართული...

– მე ვიცი, ჰამა ჩემმა ბაღანამ არ იცის! – გვეუბნება ერთი.

ერთის ბაღანამ რომ არ იცის, ეს ასატანია, მაგრამ ფაქტს ვაფიქსირებთ იმიტომ, რომ ქართულის არცოდნა ახალთაობაში მასობრივია, თითო-ოროვლამ თუ იცის მშობლიური ენა. ესაა სამწუხარო...

სხვა ქართული სოფლები რომელია ქოჯაელის ილჩეში? – ვეკითხებით საბაათდინს.

– *ღემირაჩმა – ქედქედი, ქოზლუდი – მირვეთლები, ერგელებიც არიან, ქოი დერი, მენენაზი – შერეული.*

ჩვენთვის საინტერესო იყო, რომ საბაათდინს ახსოვს მთელი გენეალოგია: ჩემი ბაბოღს ბაბოღ წამოსულა, რეჯებალი, ემინალი, ალი, ჰაირეთინი, საბაათდინი (მსხალაძე) – ესაა მთლად.

მნიშვნელოვანია აზიზიელთა მეტყველების ნიმუშები:

– ჩემი ბაბამ იტყოდა, რომ მოსულა კახაბერიდან... ერთმა კაცმა ვერ დააპეკა (=დაჭედა) ცხენი...

– ამა ბაბამ ბაღანა მოვდეს, ფეხზე ადგებოდა...

– მირვეთში ერთი ხიდი იყო ევანფალებოდა...

– აგზე ერთი წყალი გვაქვა, თვალ წყალი ქვია იმ ადგილს... – გვიხსნის ერთი.

რატომ თვალწყალი? ვინ დაარქვა ეს სახელი?

– წყალი უძებნიათ დედებს, უნახიან, აქ დამუდარან... სახელიც მათ დაარქვეს... წყალთან გოგვები და ბიჭები მეფერებოდენ, დეაშიკებოდენ...

საინტერესო სახელია. ეს ის წყაროა, სადაც სოფელი იკრიბებოდა და ბჭობდა, საუბრობდა და უყვარდებოდა. თვალწყარო უფრო მეტია, ვიდრე წყარო...

– ადგილის სახელები ხომ არაა აქ ქართული?

– არის, იხსენებს სულეიმან ქუჩუკი: *წისქვილი კარი, ვაკე, კაკლი ძირი, გოდორაღ, ნაწყვედი...* ზუსტად ისეთივე და იმის ბადალი, მაჭახელში რომ დატოვეს. მაჭახლელებს ახა-

ლი მაჭახელი მოუწყვიათ აქ: ერთად ცხოვრობენ, ერთმანეთს გვერდში უდგანან.

გზად ისმეთ ქურდალს (ქედქედელი კოპინაძე, აზიზიეს ყოფილი მუხტარი) შეგუარეთ.. გვითხრეს, ისმეთმა ქართული წერა იცისო. კარგი ფაქტია, რომ იცის...

ისმეთს თხილი აქვს და საქმეზე ფიქრობს. არ მოსწონს, რომ ქართველი კაცები, დღიურ მუშებად ჩასულები, ხალხით არ მუშაობენ:

– **კაცებმა არ იმუშავებენ თხილში, ქალებმა კაჲ საქმობენ.**

ისმეთ კოპინაძეს ზღვის პირას აქვს სახლები. აქ მშვენიერი თიხის პლაჟებია, იზიდავს ტურისტებს. აქვე პლაჟზე გაუმართავს ისმეთს სერვისი ტურისტებისათვის. სიცხეა. ჩაიოზე გვეპატიუება მასპინძელი...

ისმეთი ახალგაზრდა კაცია, ორმოცს ახლადგადაცილებული, ჩაფსკენილი, მზით გარუჯული, კარგი მოსაუბრე და მასპინძელი.

თქვენზე ამბობენ, ქართულად მღერისო, გვიმღერე რამე! – ვეუბნები ისმეთს.

– სიღმერაო? გაიკვირვა, ნიშნად იმისა, ვინ გითხრაო ეს ტყუილი. „ქერენთი (ქერინდი, ცელი) **ავწიე და... ჰემ ვჭრი, ჰემ სიღმერა ვთქვი...**“ სხვაგვარად, თიბვისას თან თივას ვჭრიდი, თან ვმღეროდიო, ისმეთმა, თუმცა ჩვენ არ გვიმღერა.

ჩვენი წამოსვლის დროც მოვიდა. ცხელა. მივიღვართ და გვაცილებს ისმეთის გულიდან ამოსული სიტყვები: „კარასუში ჩამოდიო, ოტელი-მოტელი არ უნდა, აგერ სახლები მაქვა, აქ დადექითო...“

ვემშვიდობებით მაჭახლელებს და **ღუზჯეს ილის აქნაკოჯას** კაზაში მივიღვართ, იქაც გვეგულება ქართული სოფლები.

**შიფრიქოღში** მივედით. ასამდე კომლი ცხოვრობს სოფელში, არ იციან, საიდან მოვიდნენ მათი წინაპრები. არც

ქართული იციან, თორემ რეგიონს მაინც გამოვიცნობდი მეტყველების მიხედვით.

გზად ვფიქრობ აქაურ მაჭახლელებზე: მაჭახლელ მუჰაჯირთა შთამომავლების საშუალო და უფროსმა თაობამ კარგად იცის ქართული, ახალთაობამ თითქმის – არა. საწყენია! ახალთაობამ უნდა ისწავლოს ქართული, არ უნდა დაივიწყოს დედების ენა და წეს-ადათები, აქ მოტანილი კულტურა, ზოგადად. სურვილი ერთია და კარგიც, მაგრამ კულტურათა მძაფრ დიალოგში შედეგების წინასწარ გათვალისწინება ძნელია. გვაიმედებს ერთი რამ: ინტერნეტმა დღეს მსოფლიო დააპატარავა, ყოველგვარი ინფორმაცია ხელმისაწვდომი გახდა. კარასუელ მაჭახლელს საშუალება აქვს მშობლიურ კუთხესთან ჰქონდეს დიალოგი, არ მოსწყდეს ფესვებს, გაიცნოს მისი ხეობა და ხეობელები, ქვემო და ზემო მაჭახლელები... საბოლოოდ კი შეინარჩუნოს თავისი იდენტობა, თავისი მეობა.

ფიქრში გზა გაილია. **მელანააზში** მივედით. მიგვიწვიეს სოფლის ცენტრში, საჩაიეში. ეზოში დავსხედით. გრილი ნიავეი ქრის, სასაუბროდაც შესაფერისი დროა. იკრიბებიან მელანააზელი მირვეთლები...

მელენააზი დიდი სოფელია, 250 ოჯახი გურჯია, სხვები მოსული.

– რომელი გვარები ცხოვრობენ ამ სოფელში? – ვეკითხები დაშარ ჩილს:

– **თოფალოდლები, კარასანოდლები, ოსკოჯოდლები, დემირჯოდლები, გულეზები...**

– გურჯი სოიადები არ იციან?

– **სხვა არ ვიცი!**

რამდენიმე ფრაზა ჩავიწერე მელენააზელი მირვეთლების დიალოგიდან:

– **ჩვენი დედებს რომ გუუბდია მიწები, რა იქნა?**

– **დათვმა შეჭამა!**

– **რაღა მეაკითხე?**

– **ვთქვი და, რა ვიცი, მივდე'ნა!**



ჩვენს საუბარში სხვებიც მოვიდნენ. კარგად ლაპარაკობენ აქაური მირვეთლები ქართულად. დაშარ ოსანაძემ მოგიმღერა კიდევც:

**ასე წვეულ დევლანბე,  
არ გეწევა ჯენნეთი,  
შენი ნენეს და ბაბას  
არ აძლევ თუ მინნეთი!**

ჩემი ყურადღება მიიქცია ოსკან დიასამიძის (მირვეთელი) ნაამბობმა: „უფრო ლივანელის ხარჯზე რჩება ჩვენი სოფელი, ჩვენ უფრო ლივანელის აქცენტი მაქვს. აზიზიეს უფრო ჩვენი ტერიტორიებიდან (გულისხმობს ლივანის სოფლებიდან – ავტ.) მოსული არიან“.

ოსკანი მაღალი, ბრგე, მზით გარუჯული ახალგაზრდაა, ქართული გენითა და იერით. იგი ბევრჯერ ყოფილა ბათუმში, იცნობს მირვეთსა და მირვეთლებს...

საყურადღებოა ისიც, რომ მირვეთლები კარგად ხედავენ განსხვავებას მათსა და სხვა კუთხეებიდან გადმოსახლებულთა შორის...

– ჩემი ბებია ამ ასე იძახდა, *სიგარას მოწვესო, მაჭახლელები იტყვიან, სიგარას სვამსო...*

– აქ ქართველები ცხოვრობთ, მშვენიერი ქართულით საუბრობთ, ადგილის სახელები ქართული რატომ არ გაქვთ?

– **გვაქ, მელენააზის ქართული სახელია მელენი პირი. პირი რა არის იცი? ქენარი!**

– მელენი პირი კარგია, სხვაც იქნება, გვითხარით, გვასწავლეთ ჩვენც!

– **სხვა რა გითხრათ, არის და!!!**

მირვეთლების უმეტესობამ ქართული გვარი არ იცის. ვინც იცის, საქართველოშია ნამყოფი...

ჩვენი წამოსვლის დრო მოვიდა. დროულად უნდა დავემშვიდობოთ მელენიპირელებს (მელენააზელებს), წინ დიდი გზა გვაქვს.

– ასე არ გაგიშვებდით, მარა რემეზანია და ყუსურზე არ დიგვიხედოთ! სხვანაირი მასპინძლობა ვიცით მირვეთ-ლებმა...

– ვიცით, არა უჭირს, მაგაზე არ იღარდოთ, მთავარია შევხვდით, გაგიცანით, ვილაპარაკეთ, ამიტომ მოვედით!

**კოზლულქო**, კიდევ ერთი სოფელია, ქართველ მუჰაჯირთა შთამომავლებით დასახლებული.

კოზლულქო ქოჯაალის ილჩეში (საქარიას ილი) შედის. აქ ცხოვრობენ თხილნარიდან, მირვეთიდან, ერგედან, აჭარისწყლიდან გადმოსახლებულები. ცუდად მოიხსენეს კოზლულქოელი გურჯები ადგილობრივებმა, „უგუთლელი არიან, კაცი კლიანო“ – გვეთხრა ერთმა.

– რა გვარები ცხოვრობენ თქვენს სოფელში?

– ჩელიქოლდი, ფართენაძე, ესედოლდი, სეიდიშვილი (უიგუნი) ... სხვას ვერ ვიხსენებ, გვეუბნება ალი ოსმან ჩილიქი (ჭელიძე – მირვეთელი) და განაგრძობს: 180 სახლია სოფელში, 600 სულამდე ცხოვრობს, მაგრამ წასული ბევრია, გარში ბევრი არიან. ჩენი ძველებმა მეტი ბევრი ბაღნები ქნენ: ოთხი-ხუთი, ექსი-შვიდი ბიჭი ერთ ოჯახში.

სოფელს მდინარე მედენ ჩაე ჩამოუდის, იგი საქარიასა და დუზჯეს ყოფს...

სოფელი ცხოვრობს თავისი ცხოვრებით, ძველი და ახალი ტრადიციებით:

– ჩემი ზამანზე აქავრობაში დუგუნებ ვქნავდით, ახლა საღონში ვიჯვებით!

– ძველად ნადი იცოდით?

– მე ვიცი!

– თქვენ სადაური ხართ?

– მე მირვეთიდან ვარ, ჯეზში ჩელიქ (ჭელიძე).

იყო დრო, როცა სოფელში ყველა ქართულად ლაპარაკობდა, მაგრამ დრო შეიცვალა, „მექეთებში წასლიხან ნენემ მეტყოდა ქი, ქართულად არ დეილაპარაკო, სირცხვილია“ – იხსენებს ჯეზში.

ჭელიძეებს ახსოვთ, რომ ისინი მირვეთს ზემოთ სოფელი იყო, ახლა აღარაა, იქიდან არიან...

მნიშვნელოვანი ცნობაა. მირვეთს ზემოთ სოფელი, თეფეში, ახლა ნამდვილად აღარაა, ალბათ, დაიცალა ძველად-კმ...

დიდხანს აღარ გაწერებულვართ, **დემირ აჩმაში** (ქოჯაელის ილჩე) წავედით.

დემირ აჩმაში 270 სახლია, აქედან 70% გურჯია.

– საიდან მოვიდნენ თქვენი ძველები?

– **სიმონეთი!** – გვეუბნება ხასან დევრიშოღლი.

– სოფელში სხვა გურჯი სოიადი რომელია?

– **დევრიშოღლი, კავაზოღლი... არიან და...**

ჩანს, სხვა არ იცის. გულწრფელად გვეუბნება ხასანი: „ჩვენამდე **ამდენი ვიცით, გურჯობა დაკარქეთ, ბაღნებმა აღარ იციან**“.

დიახ, უფროს თაობას უჭირს ქართული, საშუალო და ახალმა თაობამ არ იცის. შესაბამისად, დაკარგეს გურჯობაც...

მოვიარეთ რეგიონში (მოსაზღვრე რეგიონშიც) დარჩენილი ქართული სოფლები. ხვალ სხვაგან წავალთ.

**21 ივლისი, კვირა.** ყარაფუჩეკში წავედით დილით. დაბა საქარიადან 7 კილომეტრშია. დაბის ცენტრში შეგხვდა ნააფიზ სელვიჯანი, ახალგაზრდა თურქულის მასწავლებელი სტამბულში, ამ კუთხის კარგად მცოდნე...

ნააფიზმა ჩვენებურებთან მიგვიყვანა, იქვე, ბაღში რომ შეკრებილიყვნენ. შუადღის 12 საათია. უკვე ცხელა.

გიღმა წარგვადგინა აქაურ გურჯებთან, პროფესორები არიანო ბათუმიდან, წიგნს წერენო მუჰაჯირებზე.

გავიცანით: დაჰია ბათნიძე/ბატნიძე (კალოთადან), ზიჰნი ხოზრევანიძე (კალოთადან)...

სოფელში ღაზებიც ცხოვრობენ, სხვებიც.

ხუსეინ მუმი ხიხაძირიდანაა, ბაკოდან... დაბაში 3000-მდე ქართველია დაახლოებით, მათგან ბოძაურელები და წყაროთელებიც.

– აქ რამდენი გურჯი სოფელია? – ვკითხულობ.

– მეჯიდიე, აჰმედიე, ქურუჯეკი, ქანლიჩაი – ჩამოთვალა ზიჰნიმ და განმარტა: „იქაური გურჯები სხვაფერი არიან. დედეში არიან (შდრ. ჭურში სხედან), ვუთხარი: თურქიე რომ წეიქცეს, ვერ მიხვდებითო.“

ზიჰნი ხოზრევანიძე გვიყვება: ფანხელები არიან, გემით „გულ ჯემალი“ ჩამოსულან იზმითში, შემდეგ აქ მოსულან. გემზე ბევრი გარდაცვლილა... სანაპიროზე დასახლდნენ, იქ ბუზი იყო, ცხრო... ბუზებს გამოექცენ, აქ, ტყეში დამჯდარან...

– ხე მუუგლეჯიან, ზედთ უუტანიან, სინორი გუუკეთებიანო, – იტყოდენ.

– შენ შუქური ქენ, უმფო ზედთ რომ არ ეტანენ...“ – გაეხუმრა დაჰია ბათნიძე.

აქ ვინმე დუმბაძე ყოფილა, თავად მოსულა. ფრანგული და გერმანულიც იცოდაო დუმბაძემ. ჩანს, მეორე მსოფლიო ომის დროს ტყვეობიდან გამოქცეული იყო, სპარსეთის გავლით აქ ჩამოსული. ვერ გაბედა ნატყვევარმა საბჭოთა კავშირში დაბრუნება, იცოდა, რაც ელოდა...

ბევრი ამბავი მოვისმინეთ ჩვენებურებისაგან, ზოგიერთი რამ აქაც მსურს გაეხსენო: „აბუღლაძეები არიან აღმედან, ვაშლოვანიდან. ჭლიკი ქაზიმასანი რა იყო, ჭო? სამი ძმა ჩამოსულა, სამი სოფელი უშუენებია. ერთი აქ დამჯდარა, ერთი ზედთ ესულა, ერთი პატარა ქარაფურჩეკში,“ – მოგვითხრობენ სოფლის ისტორიას.

– დედეები პარახოთებით მოსულან. დანგრეული პარახოთები ყოფილა. აუ, რა ჰალი გუუწევიან?!“

– აქაური საჭმელები მაინტერესებს, სახლში რას გააკეთებდენ ნენები?

– ოლო, ბევრ რამეს: ქალაჯო, დოშორვა, ჭადი წვენაო, ფხალ-ლობიაო, სინორი, წოწოლა, კერცხი ღობიაო, ... ფაფა... ჭიმური გააკეთებდენ, ყადსაფა, ბეთმეზი, ლეჩერი... აბა, ბიჭო, აბა, იქაური საჭმელი რაცხაა, აქაც მუშაობს...

საინტერესო ისაა, რომ ემიგრაციაში წასული, მუჰაჯირი, ახალ სამშობლოში ცხოვრების იმავე წესით ცხოვრობდა, რითაც ძველში, სახლს ისეთსავე აშენებდა, მშობლიურ სოფელში რომ ჰქონდა, ეს კი არადა, აქაც, ამ უცხო მხარეში, სოფელს მშობლიური სოფლის სახელს არქმევდა. ერთი სიტყვით, ფიზიკურად გაშორდა სამშობლოს, სადღაც ქვეყნის დასალიერში გადაიხვეწა, მაგრამ მამულს ვერ დაშორდა, მაინც მასზე ფიქრობდა, სიზმარშიც ალბათ მშობლიური კერა ესიზმრებოდა. ხანდახან სამშობლოში დაბრუნებაზეც ფიქრობდა, შემდეგ შეწყვიტა უსაგნო ფიქრი იმედგადაწურულმა. უფრო გაუმძაფრდა ნატვრა მშობლიური კერისა...

ჩვენი წასვლის დრო მოვიდა. მძღოლს ველოდებით. როდესაც ჩვენ ვმუშაობთ, იგი ყურანს კითხულობს, რამაზანია, მაღლიაო. ახლაც ჯამეშია ალბათ და იქ კითხულობს...

**მეჯიდიეში** წაგვიყვანა ჩვენმა გიძმა. მშვენიერი სოფელია, სერზე შეფენილი, ტყიანი. წყალიც არის, „ვეოფნილობთო,“ – გვითხრა ქაზიმ ყარადაშმა ხულოდან.

სოფელი ნარევიანო: „**ისენი არ ვიცე: ზოგი ზეგნელი არიან, ზოგი – აჭარელი. ონბეშ თანე აჭარელი ვართ. ჩვენი მალე ცალკეა, ისინი – ცალკე. მაჰალეები: ფუშკაველები, აჭარელი, ზეგნელი...**“ – გვიხსნის ფეეში ოზჯანი „დანდალო სოფლიდან“.

მოყვანილი ამონარიდიდან გასაგებია, რასაც გულისხმობდა მთხრობელი ნარევი სოფელში...

ბევრი ვერაფერი ვნახეთ მეჯიდიეში.

**ახმედიე** (ძვ. ფელექლი) ქართულად გვესალმება: „კეთილი იყოს თქვენი მობრძანება სოფლის ახმედიეში“ (sic). სასიამოვნოა, რომ შუა თურქეთში ქართული წარწერა გვხვდება, მაგრამ უფრო სასიამოვნო იქნებოდა, ქრისტიანული ქართულით (ივ. გიგინეიშვილისააო ეს გამოთქმა, ბატონი ივანე ქავთარაძისაგან გამიგონია) ყოფილიყო დაწერილი.

ავედით მაღლა, ჯამიკარზე გავეჩრდით. მემედ ჩელიქი და ადნან თურანი (ძვ. კორკილოლი) შეგვხვდნენ. ასამდე სახლიაო სოფელში.

მშვენიერია ახმედოე, მთის ფერდობებზე გაშენებული, ლამაზი სახლებით, მოკირწყლული ორღობეებით... შიგადა-შიგ ძველი სახლებიც გვხვდება. ეზო-კარში ჩანს თხილის პლანტაციები. თხილმა შეცვალა ტრადიციული მეურნეობა – მესაქონლეობა და მემინდვრეობა-მებახჩეობა.

იმდენად მიმზიდველი გარემოა ახმედოეში, რომ სტამბუ-ლიდანაც მოდიან მდიდარი ადამიანები და აქ იშენებენ ვი-ლებს. ჯამის გაღმა, მთის ფერდზე სწორედ ასეთი უბანია გაშენებული...

– რა გვარები ცხოვრობთ ამ სოფელში? – ვეკითხები მემედ ჩელიქს.

– **ხიმშიოდლები, ულფანოდლები, ჩაქველოდლები, ყარ-სლიოდლები, უზუნოდლები, ოსკუჯოდლები.**

– თქვენი ძველი, გურჯული გვარები არ გახსოვთ?

– **ესაა გურჯული, სხვა არ ვიცით.**

ჩვენს საუბარში შუადღის ლოცვის დროც მოვიდა. ჩვენი ინფორმატორები სალოცავად წავიდნენ. დავრჩით მარტო, არც ჩვენი მძღოლი ჩანს. ალბათ, ისიც სალოცავადაა. გავი-გეთ, ხოჯაყოფილია ჩვენი მძღოლი, პენსიაზე გასულს ახა-ლი საქმე წამოუწყია...

ლოცვის შემდეგ გამოვიდნენ ჯამიდან მლოცველები. აღფრთოვანებული მემედ ჩელიქი ამბობს: რა კარგი ხოჯა ამოიყვანეთ, „კამ ყეიდი აქ“, კარგად გვალოცაო...

ახმედოედან წამოვვადით. მოგვიანებით მალხაზი დანანე-ბით იტყვის: 1200 კილომეტრი გამოვიარეთ, ამ გადაკარგულ სოფელში ამოვედით ამათ სანახავად, ჩვენთვის ერთი კეთი-ლი სიტყვაც არ დასცდენიათ, ხოჯას კაი ხმა ჰქონდაო...

გასაგებია მალხაზის გულისტკივილი, მაგრამ რას ვი-ზამთ, ესაა რეალობა. აქ ის გარემოა, ხუთ შორეულ სტუ-მარს, გინდაც პროფესორს, ისევ ხოჯა რომ ჯობს. ხოჯის ესმით და სჯერათ, ჩვენ უცხონი ვართ, დაბანჯები.

აქ ახლოს კიდევ ორი ქართული სოფელია: **ქუზუჯექი** და **ქანლიჩაი**. ყველგან მოვასწრებთ კი მისვლას? ამ დროს ხალხიც ერიდება გარეთ გამოსვლას და სხვასთან შეხვედ-

რას, ვრიდებიან საერთოდ სხვებთან კონტაქტს რამაზონის მიხედვით.

ველოდებით ჩვენს მძღოლს, აგვიანებს ჯამიდან გამოსვლას. ბავშვი გავაგზავნეთ დასაძახებლად...

სულეიმან ქეიფოღლი (კოკოტაურელი) მოვიდა. კარგი მთხრობელია სულეიმანი; ერთ ეპიზოდს მოვიტან მისი საუბრიდან თქმულის საილუსტრაციოდ:

– **ასკერში ბევრი ჯოხი უჭამია ამის ბაბოს, არ საქმობს ხაპერი. ნახსი (ცელქი - ჩამწ.) იყო ცოტა და... ამტრეგდა ორთაღულს...**

– გვიამბე რამე, ვთხოვთ სულეიმანს.

– **არ ვიცი, ქი რა ვთქვა? ბევრი რაცხაები ვიცი და ახლა თხრობა არ მინდა.**

– **ჭო, ის უთხარი, ქალი რომ მოიყვამ, დემნახე?**

– **ჰადანდა დემნახო, ჭო, ცემაში მომკლა ბაბომ. მე ასკერში ვიყავი, ქალი დამხდა...**

მძღოლიც მოვიდა. დროა გზას დავადგეთ.

დაბლა დავეშვიტ. ჩვენს ქვემოთ გაშლილია ადაფაზარის მშვენიერი ველები, ბალ-ვენახებითა და თხილის პლანტაციებით...

სოფ. **ქურჯუჯექში** წავედით, აქაზის რაიონში. საჩაიეში დავსხედით. დაშარ აქტუნი, ყოფილი პოლიციელი, შემდეგ ოთხგზის მერად არჩეული, ახლა პენსიონერი გვმასპინძლობს.

ჩანს, დაშარმა კარგად იცის კუთხე, აქაური ქართველები.

– ამ ადგილის სახელი ქართულად პაწაწაა. 5600 კაცი ცხოვრობს აქ. ნახევარი გურჯია. ტრაპიზონელი ჭანებიც ცხოვრობენ.

– რა გვარები სახლობთ აქ?

– **თურანოღლი, რესულოღლი, ხოჯიოღლი (წონიარისიდან)...**

დაშარს ძველ ამბებზე მეტად პოლიტიკური თემები აინტერესებს, თავისებურად არჩევს საქვეყნო პრობლემებს, მაგ-

რამ ჩვენთვის ეს არაა მთავარი. მთავარი ისაა, რომ ქუჩუ-ჯექში უჭირთ ქართული, ურჩენიათ თურქულად ისაუბრონ. მხოლოდ მას შემდეგ იწყებენ ქართულად ლაპარაკს, როცა გაიგებენ, რომ თურქული არ ვიცით...

დაშარ აქუნის მონათხრობიდან კიდევ ერთ ეპიზოდს მოვიყვანთ: „ჩვენი ძველები იქედან ჩამოვდენ, დაბლა არ დაუდენ, ცხრო იყო, კოლო იყო, არ იცხოვრებოდა. ტყეში წვედენ, იქ დასახლდენ, იქ გეგზარდეთ ჩვენ, ვერ ვისწავლეთ, ვერ ვიკითხეთ... ახლა ჩამოვედით დაბლა...“

სოფელში ძნელია ცხოვრება, ბავშვის აღზრდა განსაკუთრებით, არც შრომის ნაყოფია მომხიბვლელი. ამიტომაც ახალგაზრდობა ტოვებს სოფელს და ქალაქში მიდის, იქ ეძებს სამუშაოს, სახლდება, იქვე შეჰყავს ბავშვი სკოლაში, აძლევს განათლებას... ზაფხულობით თუ მოვა სოფელში...

ქუჩუჯექიდან სოფელ **შერეფიეში** წავედით.

აღვნიშნავთ, რომ შერეფიე ბათუმიდან მოსულთა სოფელია, საკმაოდ დიდი, 250 სახლია აქ. შერეფიე მდიდარი სოფელი ჩანს: დასტურად კარგი სახლები, მრავალფეროვანი ხილი, სიმინდის ყანები, ბაღი, ბოსტანი... გამოდგება.

მთავარი ისაა, რომ შერეფიელმა აჭარლებმა ქართული ცუდად იციან.

შემდეგ სოფ. **რიშადიეში** ავედით. ჯამესთან გავაჩერეთ მანქანა. ცხელა. არავინ ჩანს გარეთ ქართულის მცოდნე. მუხტარი ისვენებსო, გვითხრეს...

პირველი კითხვა, რაც აქ მოსულს გამიჩნდა: საიდან მოვიდნენ აქაური ქართველები?

ვათვალიერებთ სოფელს. მშვენიერი ბუნებაა...

ახალგაზრდობის დიდი ნაწილი ევროპაშია წასული სამუშაოდ, სოფელი ხანდაზმულების ამარაა დარჩენილი (ტიპური სურათია, სხვა სოფლების მსგავსი).

იმდამო იღმაზი გავიცანით. უჭირს, მაგრამ ახერხებს ქართულად საუბარს.

– საიდან მოვიდნენ თქვენი დედები?

– **ართვინი ხატილადან!** – მპასუხობს იმდამო.



– რა გვარები ცხოვრობენ თქვენს სოფელში?

– **ჭიშკაროღლუ, ყადირჯოღლუ, იმამოღლი, ბოდიები, ჩაბალოღლუ, ყაჯიროღლი**, – ჩამოთვლის იმდამით.

– ეს ხომ სულაღლეა, იმდამთ, ამამთი ქართული გვარები არ იცი?

– **ესაა, სხვა არ ვიცი!**

ჩანს, აქ გვარები არ იციან, ლაღაბებს ასახელებენ გაჭირვებით.

– რამდენი სახღია სოფელში?

– **ასოთხმოცდამათი სახღი, სულ გურჯია.**

ხასან ჭიშკაროღლუ მოვიდა. შერეფიეში ართვინიდან არიან მოსუღები, დუსუღელიდანაც (ტაო) არიან. „ჩახალოღლები არიან შერეფიეში, იმამთ იციან“.

ხასანი დარწმუნებუღია, რომ იცის აქაური ამბები და აქაურობა:

– **რამე დასწავღა თუ გინდა გამკითხე!** – მეუბნება ხასანი.

– ხასან, ქართული სად ისწავღე?

– **სახში გურჯიჯა ვიღაპარიკავთ ჩვენ, აქაური დარტყების დეღაპარიკებენ... მე თურქჩე ოქულში დეგწავღე.**

– თქვენამდე აქ ვინმე ცხოვრობდა, თუ ცარიელი იყო ეს ადგიღები?

– **აქ ბერძნები იყვენ, აბღულაჰ მეორის შემდეგ წევდენ აქიდან საბერძნეთში...**

– აქ რა იღგა, რისი ნანგრევები?

– **ნაღია იყო სიმინღისთვინ, დავანგრეთ. ნაღიები მქონდენ, დავანგრეთ.**

– პურს დათესავღით სოფელში?

– **ვოთესავღით, ცხენით კაღოს ვქნევღით. პურს გავფინავღით, ცხენი მობრუნდებოღა...**

– ცხენი რომ მიათრევღა პურის საღეწს, რა ეტყვი?

– **კვრ ვეტყვით! პურ დავაფქვევინებღით, ვჭამღით...**

ღამდება. დროა დავემშვიდობოთ რიშაადიელ ხატიღელელებს.

ასეც ვიქცევით...

ჩვენ მოვიარეთ საქარიას ილის ქართველ მუჰაჯირთა თითქმის ყველა სოფელი. ზოგადი სურათი ასეთია: ამ მხარეში უმეტესად ისტორიული კლარჯეთიდან გადმოსახლებულთა შთამომავლობა ცხოვრობს, – მირვეთს ზემოთა ჭოროხის სოფლებიდან: მირვეთი, მარადიდი, კირნათი, ხება... შეგვხვდნენ აჭარლებიც, – ზეგნელებიცა და ქედელებიც, ერთგან ჩაქველიც გამოჩნდა. მუჰაჯირთა განსახლების პრინციპი აქაც იგივეა, რაც სხვა რეგიონებში: ერთად სახლობენ ერთი კუთხიდან გადმოსახლებულები. იშვიათად ვხვდებით შერეულ სოფლებს.

საგანგებოდ უნდა აღინიშნოს მუჰაჯირთა სოფლების შესახებ: მუჰაჯირები დაუსახლებიათ ნოყიერ მიწებზე. აქ ხარობს ყოველგვარი ხილი, არის კარგი პირობები, შეინახონ პირუტყვი, მოდის პური და სიმინდი, ბოსტნეული და ბახჩეული კულტურები... პური ადგილზევე ილეწებოდა, საგანგებოდ მოწყობილ კალოზე ცხენ ან ხარშებმული კევრით. ჩანს, პური უმეტესად იყიდებოდა ოჯახისათვის აუცილებელი საგნების შესაძენად ფულის მოსაპოვებლად, ოჯახი კი უმეტესად სიმინდით იკვებებოდა.

რძის პროდუქტების დამუშავება იმავე ტექნოლოგიით ხდებოდა, როგორც აჭარაში და მის მიმდებარე ჭოროხის ქვეყნებშია. რძისაგან ამზადებენ: ყველს, ნადულს, ერბოს, მაწონს, აირანს... ამათგან კი სხვადასხვა შეჭამანდს.

თანდათან მოიშალა აქაური ტრადიციული მეურნეობა, – შემცირდა მეცხოველეობა, ინახავენ თითო-ოროლა ფურს, „ადგა“ ხარი, ტრაქტორმა ჩაანაცვლა, თითქმის აღარ ითესება პური, იკლო სიმინდის ყანებმაც, შემცირდა ხილიც... მათი ადგილი თხილის პლანტაციებმა დაიჭირა. თხილი შემოსავლის მთავარი წყაროა აქაური ფერმერისათვის. შედეგად კევრი ისტორიულ ექსპონანტად იქცა, ასევე ჯილღა და კავი... მოსახლეობის დიდი ნაწილი ქალაქებში გადასახლდა სამუშაოს საძებნელად... ზაფხულობით თუ ჩამოდის სოფელში ქალაქში გასახლებული, სხვა დროს ვერ იცლის. ახალი

თაობა ქალაქებში იზრდება, სადაც მთლიანად თურქული გარემოა, სადაც არ ესმით ქართული, მშობლებიც არ ელაპარაკებიან ხშირად ქართულად პრაქტიკული მოსაზრებით, ზაფხულობით სოფელშიც თურქულით გადიან, ქართული „არ სჭირდებათ“, შესაბამისად, ახალმა თაობამ, მცირე გამონაკლისის გარდა, ქართული არ იცის. ასეთია სამწუხარო რეალობა...

და კიდევ ერთი რამ, რაც ყველგან შეინიშნება და აქაც: მუჰაჯირმა ვერ გაძლო ბარში, მას მთა ურჩევნია, ისეთივე პირობებში ურჩევნია ცხოვრება, როგორშიც მუჰაჯირობამდე იყო: მაღლა, სადაც ტყეა, სადაც ცივი წყალია, საძოვრებია... ბარში დასახლებული მუჰაჯირი აიყარა, გაექცა ბუჩხა და კოლოს, გაექცა მაღარიას და მთის ფერდობებზე დასახლდა, იქვე „გაბატონდა“: „აქიდან გადავდენთ სხვები, ჭიტას ვერ იზამენ აქო“ – სიამაყით გეტყვიან. მთასა და ჯანმრთელ ჰაერს შეფარებული დარჩა პირველყოფილ მდგომარეობაში, ბარი კი სწრაფად ვითარდებოდა, ქვეყანა შენდებოდა... გვიან შეაღწია მთის სოფელში ახალმა ცხოვრებამ. შესაბამისად, მთამ შეინახა ძველი ადათ-წესები, სამშობლოდან წამოღებული. გვიან მიხვდნენ მუჰაჯირთა შთამომავლები, რომ შეცდომა დაუშვეს. თანდათან დაიწყეს ბარში ჩამოსახლება, მაგრამ მათ მიერვე მიტოვებული მიწები დასახლებული დახვდათ, იძულებული გახდნენ ეყიდათ იგი...

საღამოს ერდოლანი და მუსტაფა მოვიდნენ. ორივემ დიდად შეგვიწყო ხელი გვემუშავა ამ კუთხეში. შუადამედეგ ვსაუბრობდით სასტუმროს ტერასაზე. ჩვენი საუბრის თემა იყო მუჰაჯირები და მათი ხვედრი ახალ საცხოვრისში.

მუჰაჯირები შეერწყნენ აქაურ ყოფას, ჩამოყალიბდნენ ქვეყნის ღირსეულ მოქალაქეებად, არიან ღრმად მორწმუნე მუსულმანები, ზედმიწევნით იცავენ ალაჰის მცნებას ალაჰის გამო აყრილ-გადასახლებულნი, – ყოველდღიურად ხუთჯერ ადავლენენ უფლისადმი ლოცვას, „იკავებენ რამაზანს...“ ამავე სულისკვეთებით ზრდიან შვილებს.

დღეს დავასრულეთ ამ მხარეში მუშაობა. ხვალ სტამბულში წავალთ...

ვემწვიდობებით ერდოღანსა და მუსტაფას, მადლობას ვუვუბნებით ჩვენთვის გაწეული დახმარებისათვის...

**22 ივლისი, ორშაბათი.** დილით სტამბულში წავედით. ვნახავთ სტამბულის სანახაობებს, რამდენსაც მოვასწრებთ, შევხვდებით სტამბულელ ქართველებს...

სწრაფად მოძრაობენ გამართულ ავტობანებზე „მეტროს“ ფირმის კომფორტული ავტობუსები...

პირველად ვმგზავრობ საქარიდან სტამბულში ავტობუსით. თვალწინ მშვენიერი ხედები იშლება: დასახლებები თუ ბაღ-ბაჩხები და ხოდაბუნები. რაც ამ ქვეყანაში მგზავრს უპირველესად თვალში ეცემა, შრომის ორგანიზაციაა: ყველა შრომობს (ცდილობს მაინც, რომ იშრომოს), სოფელი შენდება...

12 საათია და უკვე სტამბულში ვართ. სასტუმრო „ბაღლინში“ დავბინავდით სტამბულის უნივერსიტეტის მეზობლად, **ბაიაზეთის** ისტორიულ უბანში (თუმცა რომელი უბანი აღარაა სტამბულში ისტორიული?).

რამდენიმე დღით მოსული მგზავრი სტამბულის დათვალიერებას ვერ შეძლებს და არც უნდა ეცადოს. წარმოუდგენელია თხუთმეტმილიონიანი მეგაპოლისის ერთიანობაში აღქმა, ამიტომაც, უმჯობესია რაღაც ნაწილის ნახვით შევიქმნათ სტამბულზე წარმოდგენა.

ორ კონტინენტზე გაშენებულ ქალაქში მთელს მსოფლიოს მოუყრია თავი. ვის აღარ შეხვდებით აქ, განსაკუთრებით მუხუშუმებში, იაპონელს, კორეელს, არაბს, რუსს, გერმანელს, ფრანგს, ავსტრალიელს... იშვიათად ქართველსაც.

შუადღის შემდეგ ბოსფორზე გასეირნება გადავწყვიტეთ. მიუვახლოვდით თუ არა ტურისტულ სადგურს, მომპატივებლები (სხვას ვერაფერს ვუწოდებ ქუჩის ტურაგენტებს) გადაგვიდგნენ, 10 ლირად მოგვყიდეს თხუთმეტლირიანი ბილეთები. ჩქარობენ, საღამოა უკვე და ცდილობენ, კიდევ ერთი „კრუიზი“ მოასწრონ. აგვიყვანეს ძველისძველ (როგორც

ჩვენთან იტყვიან – ნიკოლოზისდროინდელ) კატარღაზე, რომელიც სამუზეუმო ექსპონატად უნდა იდგეს დიდი ხანია... 50-მდე ტურისტის ვსხედვართ და გასვლას ველოდებით. ირგვლივ კომფორტული კატარღები თუ მცირე გემები მიმოდიან... ჩვენი უკეთესია, ვიმხნევებთ თავს.

როგორც იქნა, დასრულდა ლოდინი და ამუშავდა ჩვენი „კრეისერი“, ახრიალდა და ძლივს „აითრია ბებერი ძველები“, დაიძრა ჯაყ-ჯაყით.

– გაძლებს ნეტავ? – ვეკითხებით ერთმანეთს.

– პირველად ხომ არ გადის „კრუიზში“, დღესაც ივლის!

სულთმობრძავივით ქოშინებს ჩვენი „გემი“, ეჭიდება ბოზფორზე გემების მოძრაობით წარმოქმნილ ტალღებს... სიღრმეში გავედით. თვალწინ გადაიშალა სტამბულის ლამაზი ხედები... დაგვაავიწყდა კატარღის სიძველეცა და მისი ჯაყჯაყიც, მზერა სტამბულის სანახებმა მიიპყრო. ჯერ აზიურ ნაწილს ჩაუვარეთ. ზღვიდან დანახული სტამბული სხვა-ა, სხვაგვარად მოქმედებს მნახველზე, განსაკუთრებით პირველმნახველზე. თითქმის ბოსფორის კუნძულამდე მივედით. ყველგან ერთმანეთს ერწყმის ძველი და ახალი. მშვენიერი სანახავია მწვანეში ჩაფლული მდიდრული ვილები ბოსფორის ორივე მხარეს...

სურათებს ვიღებთ ჩამავალი მზის ფონზე.

საინტერესო და დასამახსოვრებელია ბოსფორის ტური.

უკვე ბნელა. გურამ ხიმშიაშვილს შევუთანხმდით ხვალინდელ შეხვედრაზე „ქართული კულტურის სახლში“ იბერია მელაშვილთან და სხვებთან...

**23 ივლისი, სამშაბათი.** 10 საათზე ქაღიქოღში წავედით გურამ ხიმშიაშვილთან და იბერია მელაშვილთან შესახვედრად.

ბოსფორზე გემით გადავედით. ჯერ ადრეა. ქაღიქოღს ზღვისპირა ქუჩაზე გავისეირნეთ. სადგურის წინ უშველებელი წიგნების მაღაზიაა. ვათვალიერებთ. იქნებ ვნახოთ რაიმე საქართველოს შესახებ. რამდენიმე წიგნი და ატლასი შევარჩიეთ. ჩვენი სამეცნიერო პრობლემის ერთი მნიშვნელოვანი

საკითხია თურქეთში ქართველთა განსახლების ზუსტი რუკის შედგენა.

ქადიქოძე ძველი ქალკედონიაა. აქ გაიმართა ცნობილი ქალკედონიის საეკლესიო კრება 451 წელს. ზღვისპირა სანაიეში ვსაუბრობთ. მალე გურამ ხიმშიაშვილმაც დარეკა, გელოდებითო.

ბატონ გურამს დაუსწრებლად ვიცნობ დიდი ხანია. ვიცი მისი დამსახურების შესახებ ჟურნალ „ჩვენებურის“ რედაქციის მუშაობაში. კაცმა რომ თქვას, დიდებულად შერჩეული სახელია, იგი ზედმიწევნით კარგად ასახავს ჟურნალის მიზანსაც და დანიშნულებასაც. „ჩვენებურს“ ხომ თავისთავს უწოდებს თურქეთში მცხოვრები ქართველი... რამდენადაც მახსოვს, ჟურნალის ნათლიაცა და გამომცემელიც ახმედ მელაშვილია...

გურამი გაგვიძღვა „ქართული კულტურის სახლში“. ფეხით აფუყევით ქადიქოძეს ვიწრო ქუჩებს. დინჯად, ფიქრიანად გვესაუბრება გურამ ხიმშიაშვილი, ახალგაზრდა პენსიონერი...

„ქართული კულტურის სახლში“ იბერია მელაშვილი დაგვხვდა, გავიცანით, მოვიკითხეთ ერთმანეთი. ზაზას დიდი ხანია იცნობენ იბერიაცა და გურამიც, ჩვენ ვართ პირველად მათთან სტუმრად.

კერძო გაკვეთილი აქვს ბ-ნ იბერიას, აკორდეონზე დაკერას ასწავლის მოწაფეს, ვერ გაუცდენს. მოგვიბოდიშა...

დავრჩით გურამ ხიმშიაშვილთან. ბ-ნმა გურამმა მოგვითხრო თავის წინაპრებზე, პირველ მოგზაურობაზე საქართველოში ოთარ გიგინეიშვილის პატრონაჟით 1987 წელს. მოგვიყვა იბრაიმ გორაძის საქმიანობაზე, იხსენებს იუსუფ ფაღავას თხზულებების თურქულად თარგმნის პროცესს...

მალე იბერიაც შემოგვიერთდა. 2 საათზე მეტი დავყავით „ქართული კულტურის სახლში“. მნიშვნელოვანია, რომ აქ ქართულ მუსიკალურ კულტურას ეზიარება აქაური ქართველი, ქართული კულტურით ინტერესდებიან არაქართველებიც...

ვფიქრობთ, საინტერესო საქმიანობას ეწევა „ქართული კულტურის სახლი“. ასეთი სახლებს დიდი წვლილი შეაქვთ უცხოეთში მცხოვრებ ქართველთა იდენტობის შენარჩუნებაში.

ფეხით გაუყევით გზას მეტრობუსის სადგურისაკენ. ცხელა. 15 წუთის შემდეგ ტრანსპორტში ჩავსხედით და წავვედით „ქართული კულტურის ცენტრში“. სადგურში ერდალ ციმნარიძე (მაჭახლელი) შეგვხვდა და გაგვიძვდა... სახლში მისულებმა გავიცანით ნური ანარი (დუმბაძე) – ქედელი ქალბატონის შვილი. ნური ოფიდანაა, ოფლია (ლოფ-ულ-ი. შდრ. ჩურუქს-ულ-ი).

ერდალი (ელიზბარი დაარქვეს საქართველოში) და ნური (ანდრია უწოდებიან მისთვის) მნიშვნელოვან საქმიანობას ეწევიან თურქეთელ ქართველთა შორის ნაციონალური მეობის გასაღვიძებლად და შესანარჩუნებლად. მათ სახელთან ბევრი მნიშვნელოვანი წამოწყებაა დაკავშირებული, დავასახელოთ ზოგიერთი მაინც:

ა. ქართული ენის კურსების ორგანიზება – მასწავლებელი ფარნა ჩილოღლია, მწერალი და რედაქტორი, თავადაც ცნობილი მოღვაწე. ინფორმაციით აქ 25 მსმენელი სწავლობს ქართულ ენას, მათ შორის არაქართველებიც. ბარემ ვიტყვით, რომ სტამბულში ბევრად მეტი ქართველი ცხოვრობს, მაგრამ საქმე რომ დაიძრა, ესაა მნიშვნელოვანი ამ ეტაპისათვის.

ბ. ქართული ხელოვნების (ცეკვის) შესახებ დოკუმენტური, ცამეტსერიანი ფილმის გადაღება. შემოქმედებითმა ჯგუფმა მოიარა მთელი საქართველო. ფილმი უკვე უჩვენა თურქეთის ტელევიზიებმა...

გ. „ქართული კულტურის ცენტრი“ ზრუნავს, პირობები შეუქმნას ქართული ენის შესწავლის მსურველებს სტამბულის სკოლებში.

„ქართული კულტურის ცენტრის“ საქმიანობა მნიშვნელოვანი სტიმულია უცხოეთში მცხოვრებ ქართველთათვის, არ დაივიწყონ მამა-პაპათა სამშობლო და ენა...

დავემშვიდობეთ მსაპინძლებს. სასტუმროში დავბრუნდით. დაღამებამდე ჯერ კიდევ დროა. ვივარსშემებთ და სტამბულის ქუჩებში გავისეირნებთ...

**24 ივლისი, ოთხშაბათი.** გათენდა. გვიან დაძინებულთ გვიან გაგვეღვიძა. ვისაუზმეთ. ცხელა. ტიპური სტამბოლური ზაფხულის დღეა. ჯერ კიდევ დილაა და ტემპერატურა უკვე 30 გრადუსია. სიცხეს ანელებს ბოსფორიდან მონაბერი გრილი ნიავი, საღბუნად რომ ედება დასიცხულ ქუჩაში მოსიარულეთ.

ფეხით დავუყვეით ქუჩას. გვსურს სტამბულის მრავალთაგან ერთი წყალსატევი მოვინახულოთ. იგი ჩვენს მეზობლად მდებარეობს. ათლირიანი ბილეთები შევიძინეთ და ერთ არცთუ გამორჩეულ აგურის სახლში შევედით. კიბეებით სიღრმეში ჩავედით და ჩაბნელებულ, ხელოვნურ, სვეტებზე შემდგარ უზარმაზარ დარბაზში აღმოვჩნდით. გარეთ დასიცხულებს გვსიამოვნებს წყალსატევეში გამეფებული სიგრილე. ასზე მეტ სვეტს ეყრდნობა წყალსატევის თაღოვანი სახურავი. ომიანობისა თუ შიშიანობისას აქედანაც იღებდნენ სტამბულელები წყალს. ქალაქს, ბუნებრივია, ეს ერთი წყალსატევი არ ეყოფოდა, სხვებიც ჰქონია...

ტურისტებისათვის ბილიკები გაუკეთებიათ, ვიწრო ხიდურები. დავდივართ ბილიკებზე. დარბაზის მარცხნივ „სულთნის ტახტი“ მოუწყვიათ. მსურველებს შეუძლიათ გამოეწყონ სულთნისა და ხათუნის „კოსტუმებში“ და სამახსოვრო სურათები გადაიღონ. არც თუ ძვირი ჯდება ეს სიამოვნება, სულ რაღაც 5 ევრო. კიდევ ერთი რამ: სხვა ვერ გადაიღებს აქ სურათს, „პაპარაცებისაგან“ დაცვის „სამსახური“ იცავს „სულთანსა“ და „ხათუნს“... წყალში თევზები გაუშვიათ, ნიშნად იმისა, რომ წყალსატევი სუფთაა.

ვათვალიერებთ, ვმსჯელობთ, გვიკვირს. მართალია, მსოფლიოს საოცრება არაა ეს წყალსატევი, მაგრამ არქიტექტურის მონაპოვარი ნამდვილად არის ბიზანტიელთა მიერ VI საუკუნეში აგებული...



მაღლა ამოვდივართ. დოღმაბახეს სასახლეში მივდივართ ტაქსით.

დოღმაბახე, ოსმალეთის სულთნის ახალი სასახლე. ჩანს, სამეფო კარს აღარ აკმაყოფილებდა ძველი აპარტამენტები. 1843 წელს დაუწყიათ მშენებლობა, მანამდე ტერიტორია გაუთავისუფლებიათ: კერძო მფლობელებისაგან მიწები შეუსყიდიათ, ახლომდებარე სასაფლაოები სხვაგან გადაიტანიათ. 1856 წელს მშენებლობა დასრულებულა, იმავე წელს სულთანი და მისი სახლეული საცხოვრებლად აქ გადმოსულა.

შევდივართ სასახლის ეზოში. პირველი, რაც თვალში ეცემა მნახველს, საათის კოშკია. აქედან იწყებს ტურისტი მდიდრულ სამყაროში შესვლას. ყველაფერი კარგადაა ორგანიზებული: სხვადასხვა ენაზე გვთავაზობენ მომსახურებას გიდები: თურქულად, ინგლისურად... დავყვებით მეთურქულე გიდს ვეებერთელა, მდიდრულ დარბაზებში: ყველგან ხაზგასმულია სიმდიდრე, ალბათ, იმპერიის სიძლიერის ნიშნად. 35 ტონა ოქრო დაიხარჯაო სასახლის აშენებაზე, – გვამცნობს გიდი. წარმოვიდგინოთ 14 600 კვ. მეტრი სასახლის 285 ოთახსა და 43 დარბაზს რამდენი ავეჯი დასჭირდებოდა: ავეჯი დარჩეულია, ჭურჭელი – ფაიფური, ბროლი, ვერცხლი... ყველაფერი გემოვნებით ნაკეთი ევროპელი თუ აღმოსავლელი ოსტატების მიერ. კედლებს ამშვენებს ძვირფასი სურათები...

ამ სასახლეში უცხოვრია 6 სულთანს, – აბდულ მეჯიდს, აბდულ აზიზს, მურად V, აბდულ ხამიდ II, მუჰამედ რეშად V, მეჰმედ ვახდეტინ VI და ოსმალეთი იმპერიის ერთ ხალიფას – აბდულ მეჯიდს. სიცოცხლის ბოლო წლები გაატარა აქ ათათურქმა, სადაც გარდაიცვალა კიდეც 1938 წლის 10 ნოემბერს<sup>18</sup>.

მნახველის ყურადღებას იქცევს სასახლის კარები, – ოთხივე კუთხიდან, ბალები, აუზები, ბროლის კიბე (მოაჯი-

<sup>18</sup> ცნობები აღებულია: Дворец Долмабахче, Стамбул, 2007.

რის საყრდენებია ბროლის), ბროლის ჭადები... ერთ-ერთ დარბაზში, სადაც საზეიმო მიღებები იმართებოდა, ბროლის ჭადია, რომელიც რამდენიმე ტონას იწონის, ხალიჩები – აღმოსავლელი ოსტატების ნაქსოვი...

ოსმალეთის იმპერიის ძღვევამოსილების ნიშნად დგას დოღმაბახჩეს სასახლე...

შთაბეჭდილებებით დატვირთული გამოვლივართ სასახლიდან. გარეთ ცხელა. გიდი ჰარემისაკენ მიგვიძღვება, ვათვალიერებთ...

დასრულდა ორსაათიანი მოგზაურობ დოღმაბახჩეს სასახლეში...

სადამოს ქართული კულტურის ცენტრში შევხვდებით აქაურ ქართველებს...

**25 ივლისი, ხუთშაბათი.** დღეს ბათუმში ვბრუნდებით თვითმფრინავით. სადამოს სახლში ვიქნებით. დასრულდა ჩვენი ცხრამეტდღიანი ექსპედიცია თურქეთის რესპუბლიკაში მცხოვრებ მუჰაჯირთა შთამომავლებთან. მოპოვებული მასალები დამუშავდება და მალე სამეცნიერო მიმოქცევაში შევა. ექსპედიციის მიერ შეგროვებული მრავალფეროვანი მასალები უპირველესად გამოგვადგება კლარჯული კილოს, ფოლკლორისა და კლარჯეთის ეთნოლოგიის შესასწავლად.

**თავი III. ჩვილბავი დღე ბურსის,  
აღმოვას, ბალიქანსირის,  
დუზჯესა და სინოპის ბუბარნიეში,  
ანუ ჩანანარი მისამე**

**5-6 ივლისი, შაბათი-კვირა.** 4 ივლისს საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის სამეცნიერო საბჭოს გამსვლელ სხდომაზე (ჩატარდა ჩაქეში, აჭარის არ უმაღლესი საბჭოს სხდომათა დარბაზში) გავაკეთე მოხსენება: „ჭოროხის „ქვეყნების“ კვლევის შედეგები და პერსპექტივები“<sup>19</sup>. 10-12 წუთი მოგვეცეს მომხსენებლებს, თითქმის 25 წუთი ვსაუბრობდი, მისმენდნენ, არ გავუჩერებოვარ სხდომის თავმჯდომარეს. ვერ შევამჩნიე, როდის გავიდა დრო. ჩანს, დამსწრეებს მოეწონათ მოხსენება, უფრო პრობლემები, რაზეც ჩვენი სამეცნიერო ცენტრი მუშაობს. ვიგრძენი, რომ ქართულ მეცნიერებას და, ზოგადად, ქართულ საზოგადოებას აინტერესებს თურქეთში მცხოვრებ ქართველთა ყოფის, კულტურისა და ისტორიის საკითხები. ეს ბევრს ნიშნავს მკვლევრისათვის... სტიმულია, ერთგვარი წაქეზებაა საკვლევაძიებო საქმიანობისაკენ...

სხდომის შემდეგ სახლში წამოვედი, საქსპედიციოდ უნდა მოვმზადებულიყავი. მარინე აროშიძემ და ანთაზ ქიქავამ მომიწონეს მოხსენება, იქამდე აკადემიკოსმა თემურ ნაიეიშვილმა შემეპო.

ბევრს ნიშნავს ჩემთვის მათი მოწონება თუ შექება!

გაციებული ვარ, სუნთქვა მიჭირს...

5 ივლისს დილის 6 საათზე უნივერსიტეტის ეზოში შევიკრიბეთ და გზას დავადექით. მაღსახსს შევუარეთ ხელვაჩაურში, გზა დავილოცეთ და სარფის საბაჟოსაკენ წავედით.

---

<sup>19</sup> მოხსენება დაიბეჭდა კრებულში: საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის გამსვლელი სხდომა აჭარაში 2014 წლის 3-5 ივლისი (მასალები), თბილისი, 2015, გვ. 156-171.

იქ ზაზა შაშიკაძე და გიორგი მახარაშვილი გველოდებიან. 7 საათისათვის მთელი ექსპედიცია სარფის საბაჟოზე შევიკრიბეთ.

წლევანდელი ექსპედიცია – „მუჰაჯირი 2014“ ასეთი შემადგენლობით ჩატარდება: პროფესორი მამია ფაღავა, ასოც. პროფესორი ზაზა შაშიკაძე, პროფესორი მალხაზ ჩოხარაძე, პროფესორი თინა შიოშვილი, პროფესორი ნუგზარ მგელაძე, ასოც. პროფესორი მამია ბარამიძე, ფილოლოგიის დოქტორი გიორგი მახარაშვილი, ისტორიის დოქტორი რუსლან ბარამიძე, დოქტორანტი თამარ ჩოხარაძე და მძღოლი ტარიელ დიასამიძე.

შაბათი დილაა, 7 საათია და უკვე უსაშველო რიგი დგას საბაჟოზე: ვინ სამუშაოდ გადადის თურქეთის ახლო ქალაქებსა თუ სოფლებში, ვინ – საყიდლებზე მაკრიალსა თუ ტრაბზონში, ვინ სად და ვინ სად...

როგორც იქნა, გავიარეთ საბაჟო ფორმალობები. 9 საათი სრულდებოდა, გზას რომ დავადექით. წინ 1300 კილომეტრამდე გვიდევს. ბარემ აღვნიშნავ, რომ ექსპედიცია ორი მანქანით მივდივართ: უნივერსიტეტის „ფორდითა“ და ზაზა შაშიკაძის „ვოლგოთი“. საქმე იმაშია, რომ წელს სამუშაოები ორ ეტაპად ჩატარდება. პირველი, ძირითადი ეტაპის დასრულების შემდეგ ექსპედიციის ნაწილს სახლში გამოვისტუმრებთ, ნაწილი – რამდენიმე დღე დავრჩებით სადაზვერვო სამუშაოების ჩასატარებლად, რომ სწორად დაიგეგმოს მომავალი ექსპედიცია „მუჰაჯირი 2015“. „ვოლგოში“ გადავჯექი, ჩემი ხერხემლის გადამკიდე ჯობს, უფრო კომფორტულად ვიმგზავრო, იქნებ გართულებას გადავურჩე.

დამეს ოსმანჯიქში გავათევთ, შუა გზაზე ბათუმსა და ინეგოლს შორის.

კარგად ვიმგზავრეთ. სადამოს შვიდ საათზე ოსმანჯიქში ვიყავით, მასწავლებელთა სახლში მივედით, სადაც უკვე გველოდებოდნენ...

დილის 8 საათზე ვისაუზმეთ და დავადექით გზას ინეგოლისაკენ.

ორი დღეა, ვათვალიერებ გარემოს. თვალს ახარებს მოვლილი ბაღ-ვენახები, მოწესრიგებული გზები. მიწის ყოველი სავარგული დაუშუშავებიათ; მშვენიერია თვალუწვდენელ ველებზე გაშლილი სხვადასხვაფერად მობიბინე პურის ყანები: ოქროსფერი დასდებია მწიფე ხოდაბუნებს, ზოგან პურის აღებაც დაუწყიათ...

ჯერ მზე არ ჩასულა. უკვე ინეოლში ვართ. დავბინავდით სასტუმროში „ანგელა კომა“.

აითექინ ქესკინი დაგვხვდა ინეოლში, სიხარულით შეგვხვდა, მოგვიკითხა ბაზგირეთსმონატრებულმა ბაზგირელმა. ბარემ ვიტყვით, რომ აითექინი მემედ ალი ქესკინი-ბისონიძის (ჩვენი ართვინელი დოქტორანტის) უფროსი ძმაა, ინეოლში ცხოვრობს ახალგაზრდა პენსიონერი, ემექლი. კარგა ხანს ვისხედით სასტუმროს აივანზე, ვსაუბრობდით, ექსპედიციის მუშაობის გეგმებს ვაწყობდით.

\* \* \*

**7 ივლისი, ორშაბათი.** დილით მუსტაფა უზუნი (გამეშიძე), ჩვენი ბაზგირელი მეგობარი, კაცი გამორჩეული თავისი წარსულითა და აწმყოთი და ასევე, ბაზგირელი, ახლა ინეგოლელი ახმედ ჩეთინი მოვიდნენ სასტუმროში. მოვიკითხეთ ერთმანეთი, კარგა ხანს ვისაუბრეთ...

დღე კარგად დაიწყო.

ახმედ ჩეთინი დღეს გავიცანით. ენვერ დემირმა (ბურსელმა ბაზგირეთელმა) გამოაგზავნა ჩვენთან. თვითონ შეუძლოდა, არ შეუძლია, ყოველდღე ჩვენთან იყოს, ჩვენთან ერთად იაროს ჩვენებურების სოფლებში, „ჭლიკები ტკივა“, „ავადეგლია“, უყურადღებოდ არ დაგვტოვა, მეგობარს სთხოვა, მიხედო სტუმრებს.

– **თქვენთანა ვიარო, დაგარუნითა გურჯი სოფლები, განახვოთა...** გაგვიცხადა ახმედმა!

მადლობის მეტი რა გვეთქმის! უცხო მხარეში ამ მხარის კარგი მცოდნე გამოჩნდა, რომელიც ჩვენთან ერთად გაიზიარებს ექსპედიციის დღეებს...

მუსტაფა შემთხვევითაა დღეს აქ, ინეგოლში. ბურსაში ჩამოსულა, ექიმებს ეჩვენა თურმე, გაიგო რა ჩვენი ჩამოსვლის ამბავი, ახმედთან ერთად ინეგოლში გვეწვია.

– ჩემი გული თქვენ მოგყვებათ, – გვეუბნება მუსტაფა.

და მჯერა მისი გულწრფელობის, კეთილშობილი კაცია და იმიტომ. და კიდევ იმიტომ გვეჯერა, რომ იგი მუსტაფა უზუნია...

კარგი მექართულეა მუსტაფა. მის საუბარში ისეთ ფრაზებს გაიგონებ, ყურადღების გარეშე რომ ვერ დატოვებ მკვლევარი. მაგალითად ასეთს:

„დალოდეს ქალები“ – ქალები ჩაქოლესო. „დალოდვა“ „ჩაქოლვის“ მნიშვნელობით საინტერესო შავშური სიახლეა.

ბარემ ერთ ფრაზასაც მოვიტან:

„პირველათ ზღვა გეიხსნა, იქ მინდოდა მოსვლა“.

„ზღვა“ „საზღვრის“ მნიშვნელობით... ზღვა ქართველის ცნობიერებაში ხომ საზღვარია, იმის იქით კი უსასრულობაა. „ზღვა“ აღნიშნული მნიშვნელობით შავშურს შეუნახავს, მუსტაფამ კი ჩვენ გაგვიზიარა.

დაბოლოს ვიტყვი, რომ მუსტაფა ქართულად კითხულობს, სამივე ანბანი ვიცოდ ქართული... „შავშუთი“ წავიკითხეო, მითხრა, „შავშური ჩანაწერებიცო“, შენიშვნები მოგვცა მოყვარული მკითხველისაგან შენიშნული... ჩემთვის სასიამოვნო იყო, როცა ჩემს სამუშაო ოთახში წიგნებს ათვალიერებდა, ბატონი თამაზ გამყრელიძის წიგნი „წერის ანბანური სისტემა და ძველი ქართული დამწერლობა“ (თბ. 1990) მოეწონა, თაროდან ჩამოიღო... ვუსახსოვრე, თან ვკითხე, წაიკითხავ-მეთქი?

– ბატონო, წავიკითხავ, მინდა ვიცოდე, ჩვენი წერის ისტორია...

რა მეთქმის?!

მჯერა, რომ წაიკითხავს მუსტაფა ამ წიგნს და სხვასაც გააცნობს მის შინაარსს...

5 ივლისს თურქეთის ქართველობა აშმედ (სჯობს ახმედი, ამიტომაც ქვემოთ ამ გაქართულეებულ ფორმას ვიხმართ)

ოსკან-მელაშვილის დაღუპვის დღეს აღნიშნავს (დაიღუპა 1980 წელს). ამიტომაც ჩვენი ექსპედიციის პირველი დღე **ჰაი-რიეთი** დავიწყეთ, სოფლით, სადაც დაკრძალულია დიდი მამულიშვილი.

მეგზური საიმედო გვეყავს, ბატონი ახმედ ჩეთინი...

კარგა დრო გავიდა, ვიდრე ჰაირიეში მივედით. გზად ერთ ლექსს ვიხეხებდი ახმედ მელაშვილისადმი მიძღვნილს ამ 20 წლის წინ ბატონი ალექსანდრე (შოშია) ჩხაიძის ვიდულობასადაში რომ მოვისმინე და ფურცელზეც გადავიტანე (საუბარი ჩაწერილია ჰაირიეში „ქართულ სახლში“):

ჩივისკდა ქობლეთის ხიდი,  
მოშვავდა დღეს სახლი ქედი,  
ჩვენი ყოლიფერი იყო  
მელაიშვილი ახმედი.  
არ ჭამდი და არ ირგებდი კვერს,  
მუხეთი შეუნდობსდა ბერს,  
წიგიყვანა ღმერთმა მასთან,  
დედა ველარ იშოვს შენფერს.  
იჯექი ბურსაღს ქალაქში,  
სახლი გქონდა კას ალაკში,  
დაგხრიტენ და გიგიმეტენ,  
რაფერ ჩაგდვენ შენ ტაღახში.  
ნუ უყურებთ, მეზობლებო,  
ჩქარ-ჩქარა ფიშტო ვარდება,  
ახმედ მელაიშვილის კლედი  
იცოდე თხოვრად ადგება.  
საწყალო ჩემო ცოლო,  
ძალიან მტეხავს გული, ხელი,  
მოსარჩენათ მე აღარ ვარ,  
ცოცხალს სახში ნულარ მელი.  
აგუევსო სისხლები თვალში,  
ტირილით ჭკუა დავკარგეთ თავში,  
რა იქნება, ადე ფეხზე,  
ჩვენ დავწევებით შენ საფლაგში!

ლექსის ავტორია თახსიმ ბეჟიოღლი (ბეჟანიძე). ავტორ-მთქმელი ლექსს „სიმღერით ამბობდა. აშკარად იგრძნობა თურქული გამოთქმის გავლენა. ალაგ-ალაგ იგრძნობა ტონური მახვილი, სიტყვაში ბოლოდან მეორე ხმოვანზე“ – მიმიწერია თავის დროზე ლექსის ბოლოს.

ბარემ აქვე მოვიტან თანასოფლელთაგან ახმედ მელაშვილის გახსენების ორ ეპიზოდს:

– მე ბათუმიდან ვარ, ხინკილაძე, მაჭახლიდან. ბატონ აჰმედზე ძალიან კარქა ვიტყვოდი... აღმანია[ს] სუნთელი ბაღნები მან გააგზანა, დაწერვა (ქართული – ავტ.) მან დაანახია, მოგება იმან დაანახია. ის ჰართაები გააკეთებული მისია. თელი დასწავლილი აქ იმას ჩვენზე. ჩვენ იმაზე ბორში (ასე გამოთქვამს, ალბათ – ბორჯი?) ვართ, ის ჩვენზე ბორში არ არის. მან გვასწავლა სუნთელი ქართველი ვართო. აქ მოვდოდა, გვასამებდა ჩვენ. ბერებ მოყრიდა, „ჰომ, ჰომს“ ათქმევიებდა, რაცხაფე[რ] რომ ლექსები იყო, იმას გაათქმევიებდა ჩვენ...

(საუბრობდა ქემალ ხინკილაძე).

– მე თითქმის ნახვარი საუკუნეა მოშორებული ვარ სოფლიდან. ახლა სოფლური ცხოვრება აღარ ვიცი, დეტალურად ვეღარ გეტყვით, მაგრამ (ახმედ მელაშვილმა) დაწყებული საქმიების 80% გაანხორციელა თითქმის: მუშა ხალხის გერმანიაში გაგზანა დაარსა; გაგზანა ხალხი, კულტურულად გაანვითარა. ეს საქმეები ერთათ გავაკეთეთ. ოზდარვა წელს ერთათ ვიმუშავეთ. ქონდა კიდევ რაღაცები გეგმაში, მიღწევები უნდოდა, მაგრამ არ დაცალდა. სხვა სოფლებზე უფრო წინ დგას ეს სოფლები კულტურულად. ცხონებულ აჰმედის დროს ეს გზები აშენდა, უმჯობეს დონეზე მოვიდა, ასე არ იყო. მარშუტები გავრცელდა, წასლა, მოსლა, კულტურული ძეგლები გავრცელდა. ხომ ხედავთ ეს... ესე ყველაფერი კულტურულ დონეზე მოვიდა, მაგრამ აჰმედის მკლელობის მერე შეჩერდა. კიდევ მაღალ დონეზე ცხოვრობს ეს ხალხი.



(საუბრობდა ვახტანგ მაღაყმაძე. შემდეგი მინაწერი გამოკეთებია ტექსტზე: „ვახტანგ მაღაყმაძე წიგნიერი კაცია. ამიტომაც მისი საუბარი უფრო სალიტერატურო ენისაკენ არის დამხრობილი, თუმცა ზოგიერთი საინტერესო მომენტი მაინც ჩანს: დაცა'ლდა, საქმიე'ბის ... ტონური მახვილი იგრძნობა რამდენიმე შემთხვევაში, რის გამოვლენაც მაჭახლურ მეტყველებაში საინტერესო ფაქტია...“).

ჰაირიეში ავედით!

ლუთფი ხინკილაძე! – გაგვეცნო პირველი შემხვედრი.

– სადაური მუჰაჯირები ცხოვრობენ ამ სოფელში?

– **მაჭახლურია ამ სოფელი, გადარეველი არ არი!**

– ბარემ ამ სოფლის გვარებიც გვითხარი!

– **გვარები? ხინკილაძე, კირკიტაძე, ჯამბაზოღლი, ვაკიელები, სიკალეთი, თიქანჯულები.**

**შენიშნავთ:** ვაკიელები და სიკალეთი, ბუნებრივია, გვარი არ არის. პირველი წარმომავლობის სახელია (ვაკე - ვაკელ-ი. შდრ. ზედვაკე), მეორე – სიკალეთი კიდეც -ეთ სუფიქსიანი ტოპონიმი გვარის საცხოვრისის აღმნიშვნელი და არა გვარი (შდრ. ძნელიეთი, კახიეთი...<sup>20</sup>). რაც შეეხება სახელს თიქანჯულები – ზეწოდებაა, ლაღაბია, რომელიდაც შტო-გვარისა.

ესაუბრობთ ლუთბი ხინკილაძესთან და ცოცხალი მაჭახლური სურათი იშლება თვალწინ: ლუთბი კარგად საუბრობს ქართულად, როგორც მაჭახლელთა უმეტესობა. ბარემ ვიტყვი, რომ ჰაირიელები მუჰაჯირ ქართველთა შორის გამოირჩეულნი არიან ქართველობითა და ქართულით. ეს ახმედ მელაშვილის მოღვაწეობის შედეგიც უნდა იყოს.

– თქვენ სად ისაქმეთ? – ვეკითხები ლუთბის.

– **მე აქ დაგზი, ლენწბრობა ვქენი, ჰემ ფარა ვაწვინე, ემექლი ვარ ახლა.**

---

<sup>20</sup> მ. ფაღავა, კვლავ –ეთ სუფიქსის ფუნქციისათვის ქართულში. I საერთაშორისო ქართველოლოგიური კონგრესი. 2015 წლის 10-14 ნოემბერი, თბილისი, პროგრამა.

საყურადღებო ფაქტი შევნიშნეთ ჰაირიეში, კერძოდ, ისეთივე, როგორც მაჭახელში გვხვდება. მხედველობაში გვაქვს, ერთი მხრივ, ტოპონიმების -ეთ სუფიქსიანი წარმოება (სიკალეთი) და, მეორე მხრივ, მისი ანალოგიით შექმნილი -ებქვე სუფიქსიანი სახელები: თიქანჯულები (თიქანჯულები? შდრ. თიქანჯულები). ანალოგიით შექმნილი იმიტომ ვუწოდებ, რომ -ეთ სუფიქსიანი გეოგრაფიული სახელები უფრო ძველი ფენა ჩანს ჭოროხის ხეობის ტოპონიმიაში, ვიდრე -ებ სუფიქსიანი. და კიდევ, -ებ სუფიქსიანი გეოგრაფიული სახელები გაცილებით მცირეა, ვიდრე -ეთ სუფიქსიანი.

ჰაირიელთა მეტყველებაში შეინიშნება უმლაუტის მსგავსი მოვლენა ასეთ გამოთქმაში: **მე არ წოვსულვარ, ამან წოვდა.**

საქორწილო ტრადიცია ვიკითხეთ. „ძველი ქორწილი არ დარჩაო,“ ლუთბიმ და მოგვითხრო: „ძველი ქორწილები მუზიკაათ იყო. ენწინ გოგო თუ გიყვარს, გაგზანი ერთ არაჯის, ი გეფნებს, შენ გოგო'და მოგცოს თუ არა. თუ ეტყვის, მოვდესო, მიხვალ.

სიტყვას მოგცემს კაცი, ნიშან იქმენ, მასკან – ღუგუნ იქმენ”.

– თუ არ მოგცა ოჯახმა ქალი, მაშინ რა იქნება?

– რამ არ იქნება, მასკან მოსწორდებიან. გოგოს თუ უყვარს მეჯბური'და მიცო.

– ძველად როგორ ხდებოდა მაჭახელში ქორწილის გადაწყვეტა?

– უწინ ბერები მეფერებოდენ, გოგოს ეტყოდენ, ამ ბიჭს'და მიგცოთო!

– გოგოც დათანხმდებოდა ალბათ. ჩატარდებოდა ნიშნობა, შემდეგ ქორწილი დაინიშნებოდა... ქორწილში რას იცეკვებდნენ?

– გურჯი სამა იყო, ხორომი, ცაკვა, რაცხები იყო... ჩაფიქრდა მთხრობელი, შემდეგ ასეთი სურათი დაგვიხატა:

– ერთი ასე ძის კაცი, ლექსებს თლის, იქითაები მღერობენ:

მოდი, ფაციაგ, ჩამეხვიე  
შენი გვარისთვინ...  
ღელე-ღელე შევიარე,  
ღელე ტალახიანი,  
ფაციაგ, ერთი ჩემეხვიე,  
შენი სულისთვინ...

სხვადასხვა ვარიანტით „ღელე-ღელე შევიარე...“ მთელ ჭოროხის ხეობაში გვხვდება: შავშეთში, კლარჯეთში, ტაოში, მაჭახელში, ამავე კუთხეებიდან წასულ მუჰაჯირთა შთამომავლებთან, ყველგან, სადაც ქართული გადარჩა.

– ჩვენ ძველათ ხარები გვყავდა, ჯამუშები გვყავდა. ხარებით, ჯამუშებით ყანებს ვხნავდით, წიბურ ხელით ვჭრიდით. ის რომენე მოიჭრება, ქალები ჭრიან, კაცები ვკონავთ. მოგვიდავთ, კონაებს ერთ სირაზე დავაწყობთ, იღინ გავაკეთებთ. საქონელით ასე ვღვენი, ქვეშ ქვეები აქ, საღამომდე ასე ვატუალვდით... გავლეწავდით. გალეწილი წიბური არნაბებით (ნიჩაბი) დავხვეტავთ, საღამოზე – გუშინავებთ: პური ცალკე დარჩება, სამანი – ცალკე. მე პურ დავაფქვევდი, საქონელ ვაჭამდი.

– პურს თქვენ არ ჭამდით?

– ჩვენ ვეღებდით და იმა ვჭამდით. კიდევ მე ვეღებდი, იმა ვჭამდი, ზისპირად, ზიზანძორად... (მზესუმზირაზე საუბრობს – ავტ.), ჯინ მისირი, ტკუცი (შდრ. აჭ. ტკუჩაი – ავტ.).

მაჭახლელი მუჰაჯირები მზესუმზირას ზისპირას ([მ]ზისპირას) ან [მ]ზიზანძორას უწოდებენ. ტერმინები განსხვავებულია, თუმცა „მზე“ აქაც ფიგურირებს.

– ლუთბი ბატონო, აქ, სოფელში რა საჭმელები იცით? გვასწავლეთ, ჩვენც გავაკეთებთ, სახლში რომ დავბრუნდებით.

– ყველაფერი ვიცი, ბევრია. გასწავლით, თუ ვიცი: მალახტო ლობიადღან კეთდება. შაშტრამი, ნიორი, ყორავე, კა-

**კალი, ჩაქველები ნიგოზ ეტყვიან. ჩვენი ლაპარაკი სხვაა, იგინის – სხვა.**

მაღახტოს ჩვენთანაც აკეთებენ, ოღონდ ქინძსაც შეურევენ, მკვახე ყურძნის წვენსაც, ისრიმს, თუ ისრიმი არაა, მაშინ ყორავოს იყენებენ. მჭადი და ახალი კიტრი უხდება მაღახტოს, ლუთბი ბატონო...

**შენიშნავთ:** „კაკალს“ „ნიგოზს“ ეძახიან ბათუმშიც: „ნიგეზიანი ფხალი“ და არა „კაკლიანი ფხალი“. „კაკალი“ შეიძლება იყოს ლობიო (კაკალი ლობიად, შდრ. დაკაკლვა, დამარცვლის მნიშვნელობით. „დაკაკლავენ“ სიმიდსაც, თუმცა სიმინდის „დაკაკლვას“ დაფშვნასაც ეტყვიან). „კაკალი“ იხმარება ასევე „ცალის“, „ერთის“ მნიშვნელობით: ერთი კაკალი – „ერთი ცალი“. ჩემთვის გაუგებარია ჩვენებური გამოთქმის: „ყვავს კაკალი გააგდებო, იგიც ხეირიან“ მნიშვნელობა. გაუგებარია, თუ რას გულისხმობენ ცალს თუ ნიგოზს, უფრო ცალს, მარცვალს.

– **შავ ფხალ გავაკეთებთ, კაკლიან ფხალ,**

ბათუმელები და ქობულეთელები მას „შეჭრილ ფხალს“, ან „შრალ ფხალსაც“ ეძახიან: შავ ფხალს მოხარშავენ, დანაყავენ ნიორს, პიპილს, მარილს, ხმელი ქინძის კაკალს მოხრისავენ, შეურევენ ყორავოს და შეანელებენ. მჭადთან გემრიელად მიირთმევენ...

– **ფორჩი ფხალ გავაკეთებთ;**

– **იქინჯი ფხალ მოტყეპილ ეტყვიან, ყორავოიანი. პაწაღ ლაფერადთ მოტყეპავენ...**

– **სარმას გავაკეთებთ. სარმას ყურძენის ფურცლიდანაც აკეთებენ.**

– **ნორმალ ჩირბულ გავაკეთებთ: ნიორიანი, ყორავოიანი... ის კვერცხი კაი იქნება, ნიორის სული ყველას არ უყვარს.**

– **იქინჯი კვერცხი თერა ძალში შეწვილი, ყაფად დააბურავ, შეწვაფ.**

– აღუღებულ წყალში კვერცხ ჩატეხავ, ამოდებ, დაღ დაასხამ, ჭამ.

– ზეთ გავაკეთებთ ქათმიდან. ძველათ ზამთრისთინ დაგკლიდით, გავასუფთებდით, გავშლიდით, გავრეცხევდით, დაგაწყობდით, მარილ მათყობდით, დანით დაჩილავ, მარილ მათყობ, დაკიდებ, ხმელი ქათამი ქვია. დაგჭირდება ჩააგდებ თენჯერში, ლობიოს გააკეთებ. იმის გემო ჰა დარჩა. აპოსტი-საც ეტყვიან, დაჰა ძველები ეტყვიან.

ჩანს, კარგი გურმანია ჩვენი მასპინძელი. აქაური სამზარეულოს მთელი მრავალფეროვნება წარმოგვიდგინა.

– ამ რამაზანში მთმენელ კაცს საჭმელებზე რომ ვაღაპრაკებთ, სწორად ვიტყვი? – გადავუღაპრაკე ზაზას.

– ვერ ჭამს და ილაპარაკოს მაინც, ეგებ დაავიწყდეს თმენა!

ლუთბი ხინკილაძე კი განაგრძობს თხრობას, ემოციურად და საქმის ცოდნით:

– ორი სოფელი ერთმანებ წაკინდლიდან, იმათ ვაშველებთ. რამე არ გვითხრანო, ყოველ დღე საქონელ გვიკლავდენ, თელზე აასხმიდი, ღვიოროზე დადებდი, გააწითლებდი, ჭამდი...

„გაწითლება“ აქ „შებრაწვის“ მნიშვნელობითაა ნახმარი.

– ჩანს, საქონელს ბევრს ინახავდით, მთაშიც დადიოდით, ყაურმას გააკეთებდით საზამთროდ?

– ძველათ კი, ახლა – არა. ხორც მოვხარჩავდით, დერგებში ჩავდებდით, ბოლი მარილიანი’და იყოს, მისი დადი ბევრი’და იყოს, დეექლიჩოს’და ხორცმა, გემრიელი იყოს...

მაჭახლელებს ქვიფი უყვართ, შარაბს დალევენ, არაყს, აქ არ სვამენ?

– დალიოს ვინცხას უნდა! ბაბაჲ იტყოდა, დალევე ხაპერი არ’და მედშალოსო! (არ უნდა დათვრეო – ავტ.).

– ლუთბი ბატონო, სოფელში უწინ პურს დავთესავდითო, თქვით, რომელი ხორბალი ითესებოდა?

– ფხადანი, პურის კოკონად ბასრი არი. ენკად პური კუდუკად პურია, ფხაები არ აქ. ქერ დავთესავდით კიდო, სიმინდი, ზისპირად – ზიზანძორას ეტყვიან ჩაქველები.

– ზიარეთში ხომ არ დადიოდით უწინ, ან ახლაც ხომ არ დადიხართ? – შევეცვალეთ საუბრის თემა.

– ჩარჩხალად დელე არი, ჩახჩახადა, ზეიდან, ქვებიდან წყალი მოვა, ლამაზათ ხმას აძლევს, ქვეშ გოლში ესხმის... იქაა ზიარეთი... იქ ახლა, ზიარეთზე, ბევრი ინსანი წვეა!

საინტერესო კაცია ჩვენი რესპონდენტი, მრავალფეროვანი და დიდი ინფორმაციის მატარებელი, და რაც ასე მომწონს, კარგი მთხრობელი. მშვენივრად აღწერა ზიარეთის ბუნება, – ჩანჩქერი, წყლის ხმაური...

– მაჭახელში ჯაზებზე ლაპარაკობენ, შავშეთშიც და კლარჯეთშიც, სხვაგანაც, აჭარაში, ტაოში... აქ ხომ არ იტყოდენ ამბებს ჯაზებზე?

– ჯაზები მე მანურიებდენ ბაღნობაში, ავათ ვხდებოდი.

აჲ ბაღანა, რაისთვინ ავათ ხდება?

ვერ ნახულობდენ! ხოჯას აკითხიენ. პილმიეს სოფელში ერთი ჯაზი ქალი ყოფილა. აბლად მყავდა. იმან უთხრა, ესვო, ფერებ დუშუზაფრიანო, ასკერში წასლახან ვინცხას შუშუშინებიო... ღამეში მარუნიებდენ, ნაცარის ფაფას მაჭამდენ. ეს მეგრემ თქვი მი, არ წიგიყვანენ. მიყავან ერთ სიზმარსავენ, უკან – მოყავან. ის ასე ჩარჩაფ წამოიბურავს, ჯაზეფ ვლაპარაკება, ეტყვის, ამ კაც რა დამართეთ?

– ჩვენ მიგვეკრა, გავბევრებუღიყავოთ'და!

რომ გავამჟღავნე, წევდენ.

– რაცხა ფურცელმა გიქანოს, მე გავრბი-მეთქი!

ჩემი ახლა რაფერ გადამხდა თავზე იცი? ქვეით ხარმანი გექონდა. ჩვენ ახლა გავლეწით წიბერი, მოყვართ და გუშუნიავოთ'და. მეაც მინდა საქმემ იქნას: სამანიდან პურმა გარიგდეს. ძაღლი ყეფავს, ხმას ვერ ვიღეფ. დავლი-ზურნას უკრავენ. ძაღლი ყეფავს, დელიეფში გედეიკარქენ...

ჯაზები შესახებ ვრცელი ინფორმაცია მოგვაწოდა ლუთბი ხინკილაძემ, თავადაც ჯაზებისაგან ნაწვალეებმა

ერთ დროს... მთავარია, ლუთობიმ დაგვიმტკიცა, რომ გაბმული თხრობა შეუძლია, რაც იშვიათია მუჰაჯირებში და თურქეთელ ქართველებში ზოგადად.

და კიდევ, ერთი საყურადღებო სიტყვა იხმარა მოამბემ – **დაზაფრვა შეშინების** მნიშვნელობით და იშვიათი ზმნური ფორმები: **ყეფავს** (შდრ. ყეფს). უთემისნიშნო ზმნა მაჭახ-ლურში თემის ნიშნითაა წარმოდგენილი.

ბასრი ინდირიმი (ომერადე) გულისყურით გვისმენდა, ლუთობის მოთხრობებით კმაყოფილს გზადაგზა თვალები აენტებოდა ხოლმე, ემოციებს ვერ ფარავდა. ერთხელაც ჩაერთო საუბარში და საყურადღებო ნიუანსზეც მიგვანიშნა:

– **სამ კაცმა ერთ ადგილზე მეფყარა მი, იმას დაპანტეფ-და ლუთფაჲს დედედ.**

– რატომ დაპანტავდა-მეთქი? – ვკითხე.

– **სამ კაცმა მეფყარა ქი, კაცი'და მოკლანო!**

– კაცის კლა იყო ძველად? – ვკითხულობ გულუბრყვილოდ.

– **იყო, იყო!...**

კარგა ხანს ვისაუბრეთ, ამასობაში ჩვენს მანქანასთან სხვა ჰაირიელებიც მოვიდნენ: მემედ მაღაყმაძე, სელათდინ როდოღლი (ჩაქველია, ჩასიძებული), ალიოსმან ფელეკანოღლი, ზეჰერია ლეკურაშვილი, იბრაიმ ქოქოლაძე.

სელათდინ როდოღლი მელექსე გამოდგა, რამდენიმე ლექსი ჩაგვაწერინა. მიუხედავად იმისა, რომ ყველა ცნობილია, მაინც საინტერესოდ გვეჩვენება:

**ილიკო - მინიკო**

**წუხელ შენთან ვინ იყო?**

**წასულ-მოსულ ბიჭები**

**მე რა ვიცი, ვინ იყო?**

\* \* \*

**ზღვის გაღმიდან არი ჩვენი სახლები,**

**მოკდენ ბერები, დარჩენ ახლები,**

**ჯერ პატარად ხარ, გეზარდები.**

**ადემის ვარდი ხარ, ადრე გეშაღე...**

ზღვის გაღმოდან არი ჩვენი სახლები,  
მოკდენ ბერები, დარჩენ ახლები.

\* \* \*

აქოშკაზე გადმომდგარა  
თვალუჟუნად თეთრი ქალი,  
ხელსაც მიქნევს, აქ ამოდი,  
შინ არ არი ჩემი ქმარი.  
ავხევი და რომ ვევედი,  
ამუუეოცნე ლოყა-თვალი,  
ბიჭო, მუა ჩემი ქმარი,  
ბეთათ დუუყლეპია თვალი.  
ღმერთო, აგი მომიკალი,  
ყურბნათ დაგკლა სამი ხარი,  
სამი ხარი თუ არ გეყო,  
ზედ დავაღვა სამი ცხვარი.

სელათდინის ლექსებში ჩანს სევდა, ჩანს სიყვარული. უფრო სატრფიალო ლექსებს ამბობდა. შეიმჩნევა, საკმაოდ მდიდარი რეპერტუარი აქვს სელათდინს. მანვე ჩაგვაწერინა აჭარული „წყალს ნაფოტი ჩამოჰქონდას“ თავისებური ვარიანტი:

ღელემ ჩამოიტანა წიფლის ნათალი,  
არ მამიწყდება შემონათვალი,  
შენ რომ იყავი ჩემი ნათქვამი,  
ადექ, წამოდი, ჩემო ხანუმაგ!

კიდევ რამდენიმე ნიმუშს მოვიყვანო ჰაირიელი მაჭახლელების პოეტური რეპერტუარიდან:

შემსიე ბრუნებით გევიარე ხიდზე,  
ბალიან გიხდება ქემერი წელზე,  
ნიშნის ინა რომ დედევი ხელზე,  
რატომ არ მომყვები, ჩემო ლამაზო?!  
ჩამოთქვი, მუზიკავ, შენი ბატონის დერდები,  
საცოდავო ჩვენო თავო,  
რა უბედურათ ბერდები,



ნაქებია დერეცათი  
კაკულოღლის ალაში,  
მისი რეგენი ნამუსი  
შემოეყარა ქალაქში.  
ქალმაც მაგრათ ამაბუღლა,  
ნიგოზი მაქ ბედელში,  
თვარე ამუა, ზეს დევნახაგ,  
კონდრაებს ავწევ ხელში.  
ჩემ ნამუსსაც გედვეიტან  
ხაჯიყარაფ თეფეზე,  
მონუსხულიც არ გეგონო  
მიჩვევლი ვარ სეფაზე,  
სიტყვაც მაქ საითაძე...  
ბოლოს მოგვილექსა მთქმელმა:  
**ცხენმა დასვა შავი კვიცი,  
ამის მეტი აღარ ვიცი.**

ბევრი კი სცოდნია სელაეთდინს.  
შეხვედები ხოლმე კაცი, როდესაც სხვადასხვა კუთხის  
წარმომადგენლები ერთმანეთს აფასებენ, ზოგჯერ სერიოზუ-  
ლად, უფრო ხუმრობით. ასე მაგალითად:

**მაყაყმჭამელი ჩაქველი;  
დამპალ ხაპს ჭამენ მაჭახლელები!**

ამბობს მაჭახლელი. აქ ირონიას ენაცვლება თვითირო-  
ნია, რაც დასაფასებელი თვისებაა მთქმელში. კაცი სულ  
სხვის ნაკლზე თუ ლაპარაკობს და თავისას ვერ ხედავს,  
ფასიც არ აქვს მის ლაპარაკს, გულწრფელი არაა, გესლს  
ანთხევს...

ქართველი კაცის ძლიერი ხასიათის ჩვენების ცდა ჩანს  
ასეთ მონათხრობში:

– **კუდიანი დუუფხუკუნე, წევა, გურჯი – არ წევა!**

უფრო შორს მიდის მთხრობელი:

– **მუსტაფა ქემალ ფაშამ თქვა: ერთი ჭაჭვი პური მეფ-  
ტაფთ, ერთი ჭაჭვი სიმინდი. ცეცხლი დაანთე, საჯი დადევ,  
ერთ მხარეს პური დაყარ, მეორე მხარეს – სიმინდი.... გაცხე-**

**ლებულმა სიმინდმა ხტომა დეიწყო: ამას ჭამენ და სერთები იმიტომ არიანო, მუსტაფა ქემალ ფაშამ...**

ასე გონებამახვილურად დაადგინა მუსტაფა ქემალ ფაშამ ქართველთა სიფიცხის მიზეზი. მიზეზი რომ ვიცით, მკურნალობა იოლია, ნუღარ ვჭამთ მჭადს და დავწყნარდებით...

ზოგჯერ ლინგვისტურ დაკვირვებებსაც აწარმოებს შრომით დაღლილი მაჭახლეელი:

- ჩაქვი – ნიგოზი,
- მაჭახლეელი – კაკალი,
- ღორჯომი – კარჭალი.

მოაქვს თავი მაჭახლეელს, რომ იცის, მცენარეა ნიგოზი, მისი ნაყოფი კი – კაკალი...

კაკლის მადალკალორიულობასაც ხედავს მაჭახლეელი და საჭიროების შემთხვევაში იყენებს კიდევ:

– **ქათამ გავარიგებთ, შევდებთ ფურუნში, შევწვავთ. კაკალ კაარგა დანაყავ, მუასხამ ცხელ-ცხელს, იგი ჭამე და კედელს გახრიტავ...**

სანამ ცხელია, მანამ უნდა მოასხა, თორემ თუ გაცივდა აღარ დაიკავეს, ამაშია მთელი ჭეშმარიტება...

აღფრთოვანებას ვერ ვფარავთ, წარმატებით დაიწყო ჩვენი ექსპედიცია, რესპონდენტები აკმყოფილებენ ჩვენს ცნობისმოყვარეობას. და რაც ასევე დასაფასებელია, ჰაირიელთა თხრობა მსუბუქი იუმორითაა შეზავებული:

– **ჩაქვი და მაჭახელი ერთია? მაჭახელი კააა, გელჩქეგებნევი, ხოშ!** – აჯავრებენ ჩაქველ ზესიძეს.

თქვენები, დედები აქ როდის მოვიდნენ?

– **აქავრობა ტყე ყოფილა, ტყე. ქალაქში ძერები მუუცემიან, სივრი-სირევი ყოფილა, ბაღნები იბადებიან, კდებიან. ჩვენებ უთხრობიან, ჩვენ ტყეიდან მოვედით, ტყეში'და წვედეთო...**

– **მაშინ მეტი ფუხრობა იყო. ორმოხდაათი ხანე მოსულა აქ.**

– რატომ წამოსულან?

– სულეიმან დედემ იტყოდა, 350 წელიწად ოსმანლი იყო ბათუმში. 300 წელიწადის წინ ზორით მუსლიმანი გახადეს. მერე ომი იქნა. უთქმიან, *ქენერში ვინცხა არიან, წვედენო*. შეშინებიან და წამოსულან. მუსლიმანობა უნდოდენ და წამოსულან.

სელათდინის ამ მონათხრობში ერთი განსაკუთრებით საინტერესო აზრია გატარებული: „ქენერში (კუთხეში, აქ იგულისხმება საზღვარი) ვინცხა არიან წვედენო“ – ეს იყო რუსეთისა და ოსმალეთის საერთო ინტერესი; ამ ინტერესის განხორციელებისათვის ხელი შეუწყვეს მუსლიმანი ქართველების აყრა-გადასახლებას.

ადგილის დედის მონატრება ჩანს ყველა ემიგრანტისა და ჰაირიელთა მონათხრობშიც: წავედით, მაგრამ „ჩვენ იქავრობა არ დიგვივიწყნია,“ – გეტყვიან ჰაირიეში, გეტყვიან სხვაგანაც...

ერთი რამ ნათელია: ემიგრანტები რამდენიმე თაობის შემდეგ ნაკლებად ახსოვთ სამშობლოში, თანდათან ინავლება ხსოვნა. წასულს კი უფრო დიდხანს გაჰყვება სამშობლოს ხსოვნა, რასაც აქვს თავისი ახსნა: უცხო გარემოში უცხოთა შორის ცხოვრობს როგორც უცხო ტომის წარმომადგენელი, გაირჩევა დამხვდურისაგან კულტურით, მენტალიტეტით, ენით... გადახვეწილი ცდილობს, დაიცვას განსხვავებულობა. ნოსტალგიამოძალებული უყვება შთამომავლობას მშობლიური კუთხის შესახებ, უყვება იქ გაგონილს, ნახულს, ტყუილ-მართალს, მთავარია იქაურს. ამით აღრმავებს ადგილობრივთან განსხვავებას, ხელს უშლის უცხოთა შორის აღრევას და საბოლოოდ ინარჩუნებს იდენტობას, გადასცემს შთამომავლობას წინაპართა ადათ-წესებს, ფოლკლორს, ენას, ზოგადად კულტურას. ყველაფერი ერთად ახანგრძლივებს ასიმილაციის რთულ და დამთრგუნველ პროცესს. ემიგრანტის ხსოვნაში სამშობლოდან წამოღებულ ყველა ფაქტს, მოვლენას, ზოგჯერ სრულიად უმნიშვნელოსაც სხვა ფასი ედება. ამიტომაცაა, რომ მუჰაჯირების მესუეთე თაობას ისეთი რამეც ახსოვს, რაც სამშობლოში, მშობ-

ლიურ სოფელსა თუ ხეობაში დიდი ხანია დავიწყებას მიეცა.

– ჰაირიე დიდი სოფელი ჩანს. რომელი გვარები სახლობენ აქ?

– ბევრია, გეტყვი: როლოლი, ურუმოლი, კალაშაი, ეწროლი, მუთიაიშვილი, ჩურუქსული, სულიოლი, ბაღჯოლი, მემიშოლი.

– მეტს ვერ გაიხსენებთ?

– მეტი არაა!

– რაც დაასახელეთ, გვარებია?

– არა, ესენი სულაღია, ძეგლია!

– ძეგლი გვარები არ ჰქონდათ ამათ? ვთქვათ, როლოლი ოსმალობამდე რა გვარი იყო?

– არ ვიცი, ასე ვიცით ჩვენ, მეტი არ ვიცით!

– ქორწილში არ იმღერებდით? – ქორწილს დაუბრუნდა ნუგზარი.

– ოჰ, ვიმღერებდით:

საკოცნელი თეთრი ღოჭა

ზეთ შექერი მოგეყარა,

ჰო, ჰო, ჰოლოო!

ღოდოფლის მოყვანიხან იმღერებდენ კიდევ ასე:

ბახჩაში მაქ ვიშნა ბალი,

ბაბამ (წინემ) დიმინიშნა ქალი...

ვიცოდე, ვიტყვი, ხოშ ამდენი ვიცი.

შემდეგ ისევ ჩაქველი ზესიძე გამოაჯავრეს ენაკვიმატმა მაჭახლელებმა:

კაკალი ვჭამე მახველებს,

არ წაყვები ჩაქველებს...

უფრო უხეშად თქვეს, რასაც, ბუნებრივია, აქ არ დაეწერო. კარგა ხანს დავყავით სტუმართმოყვარე ჰაირიეში. მშვენიერი სოფელია, ფერდობზე შეფენილი, საკმაოდ დიდც, 150 კომლზე მეტი, და, რაც მთავარია, ჩვენთვის მაინც, გურჯებით, მაჭახლელებით დასახლებული. სოფელს მცხოვრებნი ამშვენებენ, მაგრამ ამას თუ დაემატება ბაღები, ყანე-

ბი, ხილი მრავალფეროვანი, ახალი სახლები, ქვითკირის, იშვიათად ნახავ ძველ სახლს, ბეტონით დაგებული სასოფლო გზები, დაბეჭდითებით შეიძლება ვთქვათ, ჰაირიე მშვენიერი სოფელია.

ჰაირიედან ჩანჩქერზე წაგვიყვანეს, კარგი სანახავია. შემდეგ კი ახმედ მელაშვილის საფლავზე ავედით, სურათები გადავიღეთ, კარგა ხანს ვიტრიალეთ. ყურადღება მიიქცია საფლავის ქვაზე ამოკვეთილმა ეპიტაფიამ: „**მე უკვდავებისთვის კი არა, ჩემი ხალხისთვის ვიცხოვრე**“. ეპიტაფია ზედმიწევნით გამოხატავს დიდი მოღვაწის ცხოვრების კრელოს.

ჰაირიედან **მურათბეი**ში წავედით.

მურათბეი მექართულე სოფელია: „ამ სოფელს ჩაქველებს ეტყვიან,“ – აგვიხსნეს მურათბეიელმა ჩაქველებმა.

სოფელში შევედით. ადგილობრივი ჩაქველები კარგად შეგვხვდნენ.

ვხედავ, ქალბატონმა თინამ უკვე დაიმარტოვა მოხუცები, ესაუბრება, შორიდან ვუსმენ მათ დიალოგს:

– ლოცვები დამაწერიეთ! – გაცნობის შემდეგ ითხოვს თინა.

– **შენ არ იცი? მე რას მეკითხები?** – კითხვას უბრუნებს ქალბატონი.

– მე ვიცი, მაგრამ შენ რომ იცი, ის მაინტერესებს, – ცდილობს, გამოიწვიოს მოხუცები. არ გაჭრა ქ-ნი თინას ცდამ, ბევრი ვერაფერი ათქმევინა მოხუცებს, უფრო თავად საუბრობდა, ასწავლიდა აქაურ ჩვენებურებს ლოცვასა თუ წყევლას, გამოცანებს თუ ანდაზებს...

კარგია, მომავალ ექსპედიციას ჩააწერინებენ მოხუცები დღეს ნასწავლ ფოლკლორულ ნიმუშებს, კარგი რესპონდენტები იქნებიან მომავალში, – ვეხუმრები თინას.

– ჩაქვიდან ვინ მოვიდა აქ? როგორ იტყოდნენ ძველები?

– **დედემს დედე წამოსულა, რა ვიცი მე? ძველებური არ ვიცი ნამეტარი და!** – თავიდან მიცილებს ჩაქველი.

დამდება. რამაზანია (29 ივნისს დაიწყო რამაზნის თვე, 29 ივლისამდე გაგრძელდება მარხვა). ამ კუთხის მცხოვრებ-

ნი განსაკუთრებით მორწმუნენი არიან. მოსახლეობის უმეტესობა მარხულობს (წრამაზანს იჭერს, თმენს). ვინც ვერ იჭერს მარხვას, ისიც ცდილობს არ ჭამოს, არ დალიოს წყალი, არ მოსწიოს სხვისი თანდასწრებით. არმარხვა ცუდ ტონად ითვლება, ჩანს, არ პატიობენ ურწმუნობას... ერთი რამ შეინიშნება: სტუმარს აუცილებლად მიართმევენ ჩაის, სადილზეც შეპატიჟებენ, ოღონდ ოჯახებში. ქალაქმა გამოწინააღმდეგა იცის: დილით 4 საათზე ჭამს მორწმუნე დასჯულს (აღიონის პურობა), შემდეგ მთელი დღე ჭამა და წყლის დაღვევა იკრძალება. საღამოს, დათქმულ დროზე მარხული მორწმუნე იფთარს (საღამოს ხსნილი – ავტ.) აკეთებს.

უჭირს მორწმუნეს თმენა. მართალია, „ღმერთი გაგაძლიერებს“ მარხვაში, მაგრამ მაინც ძნელია, ზაფხულის ცხელ დღეებში უწყლოდ დააღამო.

ბარემ ვიტყვი, ჩემი პირველი შთაბეჭდილების შესახებაც: ინეგოლი მორწმუნეთა ქალაქია. რამაზანის დღეებში დღისით, მარხვის საათებში ლოკანტები არ მუშაობს, დაკეტილია, იფთარზე იწყებენ მუშაობას...

საღამოს 8 საათზე ქალაქში ჩამოვედით. ვიფიქრეთ, სადმე ვივანშმით და სასტუმროში ისე დაგებრუნდეთო. ქალაქში გავედით დაღლილები და მშივრები. არც ერთი ლოკანტა არ მუშაობს. უნდა დაველოდოთ, იფთრამდე ერთი საათი დარჩაო, გვეუბნება ახმედი, ერთ საათში გაიხსნება ლოკანტებიო.

სხვა რა გზაა, უნდა დაველოდოთ!

საღამოა. ინეგოლელებთან თუ ინეგოლის სტუმრებთან ერთად ვსხედვართ ლოკანტაში და ველოდებით ხოჯის ხმას, იფთრის დადგომის მაუწყებელს. გვშია მთელი დღის უჭმელებს. სუფრა გაგვიშალეს, შეკვეთილი კერძებიც მოგვიტანეს... ლოკანტის პატრონმა გამოგვიცხადა, არ ჭამოთ, ვიდრე ეზანი არ იქნებაო.

წარმოვიდგინოთ ასეთი სურათი: გაშლილი სუფრები, მშიერი ადამიანები უსხედან მაგიდებს, ეზანის მოლოდინშია

ყველა. ლაპარაკის სურვილიც არ აქვს არავის. ყველას ერთი მოლოდინი აქვს, როდის გაიგონებს ხოჯის ხმას და... ეზანს ველოდებით ჩვენც. წესის დარღვევისათვის იქნება შეურაცხყოფაც მოგაყენონ, სიტყვიერი და ფიზიკურიც.

მოლოდინში გავიდა უსაშველოდ გრძელი ნახევარი საათი. ხოჯის ხმა გაისმა რადიოში, რასაც მოჰყვა ლოკანტის მეპატრონის განცხადება, – გემრიელად მიირთვითო!

ბრძოლის ველს დაემსგავსა ლოკანტა...

**8 ივლისი, სამშაბათი.** დღე **ჰასანფაშით** დავიწყეთ. ახმედ ჩეთინი გვყავს დღესაც მეგზურად.

ჯამიკარზე გავჩერდით. დიდი ჯამე აქვს ჰასანფაშას, ფართე ეზოთი. ჭადრის ქვეშ ჩამოვსხედით. ეზოში მოგროვდნენ ჰასანფაშელი ჩაქველები: ჯერ ქალები გამოჩნდნენ ყურანის საკითხავად ჯამეში მიმავლები, შემდეგ კაცებიც – უმეტესად ველოსიპედით. ველზე გაშენებულია ჰასანფაშა, ამიტომაც ველოსიპედი მოსახერხებელი ტრანსპორტია გადაადგილებისათვის.

ალი ქესკინი გავიცანით ჰასანფაშაში.

მრავალსიტყვაობით მოგვითხრო ალიმ: **ერზრუმელი ვარ, რვა წლის ვიყავი, აქ რომ მოვედი. ნენეა (აქ ცოლი – აბტ.) ჩვენებურია, ნენეა ნენეს მუუსწარი, მუჰაჯირი იყო...**

ალის დედ-მამა ტრაბიზონიდან იყვნენ.

აქ ერთმანეთთან ახლოს სამი სოფელია: **მურათბეი, ჰასანფაშა, ჰაიდარბეი**, – სამი ძმა ყოფილა ამ სამი სოფლის დამაარსებელი.

– რამდენი ოჯახია ჰასანფაშაში?

– **ასამდე სახლია ჰასანფაშაში, რამდენიმე გარედან მოსულა, სხვა გურჯია.**

– თავიდან რამდენი ოჯახი მოსულა?

– **ზათემ იქიდან მოსული ხუთი-ექსი იყო, ახლა ასი გახდა**, – გვეუბნება ალი ქესკინი, ბერებმა მოვდოწნდა აქა, მაშინ ვკითხოთ.

ჩვენს საუბარში კიდევ ერთი ჰასანფაშელი გურჯი მოვიდა.

რეჯებ დაშა – გაგვეცნო ახალმოსული.

– საიდან მოსულან თქვენი ძველები? – ესვამ ტრადიციულ კითხვას, მუჰაჯირთა ყველა სოფელში დასმულს.

– ბათუმიდან მოსულან, ასე იტყვიან ღიდვანები, შიმღი, ჩაქვს იტყოდენ, რაცხაეფს იტყოდენ კიდო.

– ჰასანფაშელი გურჯების გვარებს გვასწავლით?

– სოდადი არ მახსოვს, გაგონილი არ მაქ იმფერი რამე. ზოგი ინსანი მერაყლია, რაცხაების გაგონება უნდა, დაწავლა უნდა, ჩვენ (აქ: მე – ავტ.) იმფერი არ ვარ!

– ბოსტანში რას დათესავთ?

– პატატისი, ფხალი... ახლა მაგინი აღარაა, ახლა ბახჩაში საჭამადოა, ახლა ხახვი გამოვდა, – ამბობს ალი.

– ძველი ნენეები რა საჭმელებს გააკეთებდნენ?

– პარკი ღობიამ, დადიანი, რაფერ მიგახდინო ახლა? – წუხს ალი, ნენეები გააკეთებდენ.

– გვითხარით, ალი ბატონო, მივხვდებით, ჩვენი ნენეებიც აკეთებდნენ პარკ ღობიოს, კაკალსაც, მაღახტოსაც, ფხალსაც... ვამშვიდებ ალის.

– მაღახტოს გააკეთებდენ, ნიგოზით გააკეთებდენ. ჩვენ ნიგოზს ვიტყვით, ჰაირიელები კაკალს იტყვიან.

ჰასანფაშელი ჩაქველების მეტყველებაში შევნიშნე ლექსიკური პარალელები: ციცაჲ – გოგო, ქალი – ცოლი, დედაბერი, ნენეჲ – ცოლის მნიშვნელობით...

– ალი ბატონო, აქ ელჩობა, მურავობა (შუამავლობა – ავტ.) თუ იცით? თქვენ თუ ყოფილხართ ელჩად?

– ჰიჩ წესული არ ვიყავი. ერთი დაბანჯი კაცია, ყანიდან მიედი, ერთი ვოზდაათი წლის წინ. ხარები გოუშვი... ჰაცხაზნდა წიგიყვანო ამა და ამ კაცთანო!

ავდექით წვევადით!

მე ვერი ტკაველი კაცი ვარ, ის კოსკოჯა კაცებია. იმას ვუთხარი, გახსენი-მეთქი (აქ საქმე გახსენი, გაამხილე მოსვლის მიზეზიო – ავტ.).

– არა შენ ილაპარაკე!



– ღმერთის ემართ, ჩვენებურად ფეილამბურის ყვემით (ნე-  
ბით? – ავტ.) შენი ციცაჲ გვინდა, გელინობიზა გვინდა! –  
ღეჲწჲჲ

პაწაჲ საქმე გაკეთებულსავენ არი, მაშინ ევედი.

ერთმა ადგა და რაცხა'და გითხრა, დოდრი მითხრა'დაო,  
აგინი რაფერი კაცები არიანო...

მიახტინე იგი ლამაზათ, სიტყვა დიმიჯერა, საქმე გათაფ-  
და.

– გოგო-ბიჭის საქმე მოაგვარეთ, სიტყვა გამოიტანეთ ქა-  
ლის ოჯახიდან, ახლა ქორწილზე მიდგა საქმე. ქორწილში  
რას იმღერებდნენ, იცეკვებდნენ?

– აქაგრობა მუზიკაის მასალია ზათი. ხორონს ისამებ-  
დენ, ჩვენებურ რაცხაფეს ისამებდენ: ბიჭი ციცას ეხვეწება,  
დაგნიშნო'დაო, ციცაჲც თავს ღუუქნევედა, არ იქნებაო. მანი  
მე წამყევო, ებნევა ბიჭი, იგიც არ მინდაო, ებნევა... ასე აღ-  
წერა ერთ-ერთი აქაური ცეკვა ბატონმა ალიმ.

– დედოფალს ცხენით მოიყვანდით თუ ფეხით?

– მე ცხენის არაბათ მოვეყვად ქალი. დედოფალ ნაშალ  
ფარას და შექერ გადააყრიდენ.

– ახლაც ასეთ ქორწილს გადაიხდით?

– რაფერ მიგახდინო ახლა? – შეწუხდა რეჯები. ჩვენ  
სოფელში ჩვენებურად ადგა, აღარ იცინან. ახლა ქორწილი  
საღონში იქნება.

– ნათესავეები თუ დაქორწილდებიან?

– ხისიმები არ დაქორწილდებიან, ჩვენში არ არის. მე-  
ზობელიც არა, მეზობელი ჩვენი დააა...

ნათესავეებს შორის ქორწინების უარყოფა საინტერესო  
გამონაკლისია ჩვენებურთა შორის.

– დიდი მადლობა. მოდი ახლა სხვა ამბავზე ვილაპარა-  
კოთ. წინწინ აქ პურს თესავდით, ხარებით დახნავდით მი-  
წას, ნამგლით მოჭრიდით პურს, ხარმანს გააკეთებდით...  
ხარმანს რით გაღეწავდით?

– ხარმანს გაგაკეთებდით, ღუენს (კევრს) ხარების უკან დაგაბემდით, ხარმანზე ვაბრუნვიდით. ქარი თუ არ იყო, ღუ-  
შუშტვერდით, ქარმა მოვდესო...

– რეჯებ ბატონო, „რუმ ღუშუშტვერდით“, ქარი ამოვარ-  
დებოდა?

– აბა არ მოვარდებოდა, ტყულად ხომ არ ვუშტვერდით?!

ამინდის მართვის რიტუალი გამიგონია, ლაზარობა, მაგ-  
რამ სტვენით ქარის მართვა პირველად მესმის... ისე რამდენი  
რამ არსებობს ხალხში, ჯერ კიდევ წიგნში რომ არ გადატა-  
ნილა? ამოუწურავია ხალხის გონების კილობანი...

გიორგი მახარაშვილი ყურადღებით გვისმენდა, რაღაცას  
ინიშნავდა მისთვის საინტერესოს ჩვენი დიალოგიდან, ბო-  
ლოს თვითონაც დაუსვა კითხვა რესპონდენტს.

– აშურას თუ აკეთებდნენ თქვენს სოფელში?

– აშურა? თვე არი, მაშინ გაგაკეთებთ, სულ ყოლიფერი  
არი შით: ლეღვი, ხმელი ყურძენი არი, ბრინჯი არი, ხმელი  
ლობიო არი...

– რატომ ყრიდნენ ყველაფერს ერთად ქვაბში, რას იტყ-  
ოდნენ?

– რატომ? და, რაფერ მიგახდინო ახლა, მადლია!

ჩვენ ჯგუფს რამაზან შაქაროღლი და აჰმედაჰ კირჩხე-  
ლი შემოუერთდნენ, სამოცდაათს გადაცილებული მამაკაცე-  
ბი, ემექლები; გაგვეცნენ!

– ბატონო ახმედ, თქვენი სოფელი დიდია, ბევრი ოჯახი  
ცხოვრობს, ამ სოფლის გვარებს ვერ გვასწავლით?

– კირცხელი, ხაბაზოღლი, შაქაროღლი? შაქარიშვილი,  
ცხვლაჰ/ცხვლაძე, თერძიოღლი – ისე ჩივიან.

– ხაბაზოღლისა და თერძიოღლის ქართული გვარები  
არ იცით?

– ასე ჩივიან, მე არ ვიცი!

– ერთმანეთს ძეგლს არ დაუძახებთ?

– ძეგლი რაა?

– სიგელი! გასაჯავრებლად რომ ეტყვიან ერთმანეთს.

– სიგელს ვეტყვით! სიგელის ბაბაები მინანოღლები არიან, დარქმობა იმათ უყვარან, იმიზა ვჩივი ასე: ქოსაჲ, დუღჯი, ბუცუნაკაჲ, საბაზოღლი...

– საბაზოღლი სიგელია?

– ისე გავ სიგელია!

– ახმედ ბატონო, ახლებმა ქართული არ იციან, ბაღნებს რატომ არ ელაპარაკებით ქართულად?

– ახლა რატონ ადგა ჩვენებურობა? თლათ გარეთიდან არიან გელინები. ბაღანას ვინ’და დიელაპარიკოს ქართული, დედამისმა რომ არ იცის? კუდაჲ ვარო, მანავი ვარო, ბაღიში იბახის.

– კუდაჲ ვიცი რაც არის, მანავი რაღაა?

– ახლა მაგი სიგელსავეთ არი. არ მიხდესო, ვიტყვით, აჲ კუდიანია, ონაგორა დედლაპარიკეთო...

კარგა ხანს ვისაუბრეთ ჯამიკარზე. ყველაფერს, ბუნებრივია, აქ ვერ მოვიტან, ქობულეთური მეტყველებისათვის ტიურ ზოგიერთ ფრაზას დავიმოწმებ:

– მახაროღლი ვჩივით აქა.

– მენატრება, ჰამა ვერ მიედი.

– იქიდან გამიედი, წევედი.

– შვიდი წლამდე მე თურქული არ ვიცოდი, დოვსტავლე, ჰამა დამამიწყდა, არ დავსწერე, არ დავსწერე, დამამიწყდა.

ჰასანფაშელი ჩაქველებისაგან გავიგონე ასეთი ფორმები: დოვსტავლე, წოკითხავ, წოვდენა... თითქოს უმლაუტის მსგავს მოვლენასთან გვაქვს საქმე.

ჰასანფაშიდან ჰილმიეში წავედით.

ჰილმიე ჭალელი აჭარლების სოფელია. ახმედ მოლაჰმედოღლი გვეუბნება: „ჰილმი დედჲე აქ მოსულა პირველათ. ჭალიდან ვართ მოსული, აჭარლებს გვეტყვიან!“

– ბატონო ახმედ, ლაპარაკში კუდიანი ახსენეთ, რატომ ეძახით თურქებს კუდიანს?

– ახლა ამას ჩვენ შალვარს ვეტყვით, იმათ შალვა-  
რებს უკან ჩაკიდული ქონია, კუდიანს იმიტომ ვეტყვით.

– რამდენი ხანა ახლა თქვენს სოფელში?

– **დუზ ირმი** (ასოცი – ავტ.) ხანა, ზაფხულში არი, ზამ-  
თარში – არა.

– წინათ, ყანის თხრაში ნადი იცოდნენ, ნადში იმღერებ-  
ნენ... ხომ არ გახსოვთ ნადში ნამღერი?

– წინ-წინ ყანას ნადით მოთხრიდენ, ნადით. „პორერა“  
იტყოდენ: შუაზე ერთი ღექსს იტყოდა; ერთი ხუშუტ დედო  
გყავდა, იგი იტყოდა კარგათ. თურქები იტყოდენ, გურჯები  
კარგათ იმღერებთ, ჰამა ხუშუტად ამგრევესო, ხუშუტ ბოზიო-  
რო. იყვენ, რესულა ჯავარდი, ისაც იტყოდა ლამაზათ.

საინტერესო მომენტია, ქართულ სიმღერას თურქი ავა-  
სებს. ვფიქრობთ, აქ კულტურათა შეხვედრის საყურადღებო  
ფაქტთან გვაქვს საქმე. მნიშვნელოვანია, რომ ერთი კულტუ-  
რის მატარებელს არ ესმის სხვისი, ვერ აღიქვამს მას. და ეს  
არცაა მოულოდნელი. მისი ყური ხომ სხვა სიმღერასაა შეჩ-  
ვეული, სხვა ტონალობას, სხვა ინტონაციას, „ამიტომაც **აშ-  
გრევს**“ ხუშუტია...

ბატონი ახმედი, კარგი ინფორმატორია, გონიერი კაცი  
ჩანს. ბევრი ამბავი იცის. სოფლის ცხოვრებით ცხოვრობს:  
ხნავს, თესავს, ნადირობს...

– აქ ჩვენში სანადიროთ წედი, ღორი'და მოკლა, დათვი,  
წვიტები – ტავშანი, ტრედ ეტყვიან, თქვენთან არის თუ არა,  
არ ვიცი.

– ტრედი არის ჩვენთან ოღონდ მტრედს ვეტყვით ჩვენ.  
ძველი ქართველებიც ტრედს ეტყოდნენ, თქვენებურად ეტყ-  
ოდნენ. ტრედი – სახელიც ქართულია...

საქართველოდან წამოუღიათ გადმოცემები აქაურ აჭარ-  
ლებს ჯაზების შესახებ. ჩანს, ჯაზი და ფერიც „წამოვიდა“  
მათთან ერთად მუჰაჯირად, ვინ იცის. ახმედის დედეს „ძრო-  
ხა წველაში მუშემწყრევია [ჯაზი], კატა გამხდარა, გაქცე-  
ლა“.

ჩემს სოფელშიც ყოფილა ჯაზი, ჩვენთან, ორთაბათუმში, თავბათუმში. ასეთი ამბავი გვიამბო ბებიაჩემმა ბადიშებს ერთ წვიმიან დღეს, გარეთ რომ ვერ გავდიოდით და სახლში ვხმაურობდით. გვიამბო, ეგებ გაჩერდნენო გადარეულები: „ერთხელაც თურმე ღამით ახორიდან ძროხების ჩოჩქოლი ესმით. რა უჭირსო საქონელს, ედლო ღამბა ბაბამ და ახორში შევდა. ძროხები დაწყნარდენ. დილით ნენეს ძროხა მოწვევლილი დახდა. მიხდა, რაცხა ხდებაო ღამით, ვინცხა სწველისო ძროხას... მიორე დღესაც ვერ ისვენებდენ ძროხები. არც ბაბას დუუძინია: ბადე წედლო და უჩუმარად შეიპარა ახორში. ბნელია, „შხაპ“, „შხააპ“, „შხაააპ“... ისმის, ვინცხა ძროხას სწველავს. ბადე გადააფარა ბაბამ, დეეჭირა. ქალის ხმით უთხრა ჯაზმა:

– ხასან, გიმიშვი და შენ ეზოში წვიმა-წყალის მეტი არაფერი ჩამოივლისო, ავი სული არ მოგეკარებაო.

გაუშვა, ხომ არ მოკლავდა?! იმის მერე ძროხას ჯაზი აღარ მიკარებია...

დიდნენე იტყოდა ჩემი ამ ამბავს. მეც მჯეროდა, დიდნენე ბაღნებს ხომ არ მოგვატყუებდა. ხანდახან იმასაც იტყოდა, ახლა ხალხი გაჯაზდა, ჯაზის ადგილი აღარ დარჩა და ცხრა მთას იქეთ წვედაო, დასაკარქავში.

ამინ, ნენი, ცხრა მთას იქეთ ჯაზი და ავი სული!“

სხვა ამბებიც მოგიყვია იმ დღეს ბებია, მაგრამ სხვას სხვა დროს გავიხსენებ...

ერთ ამბავსაც მივაქცევ ყურადღებას:

ახმედი გვიყვება, რომ „დედე ძიამ (უფროსმა ძმამ – ავტ.) გაგზანა ბათუმში. გულდაწყვეტილი დაბრუნდა, სოფელში არ იმიყვანესო, ბაღნები ოტელში მანახვესო...“

ასე იყო. ჰილმიელი გურჯები ჭკალადან არიან, შუახევის რაიონიდან წასული. კომუნისტების დროს სპეცსაშვის გარეშე სასაზღვრო ზონაში ვის შეუშვებდნენ, მით უმეტეს, უცხოელს. შიშობდნენ, საზღვარი არ დაარღვიოს და არ გაიქცესო. არავინ ფიქრობდა, საზღვრიდან ოფიციალურად მოსუ-

ლი საზღვრის დარღვევით რატომ წავიდოდა თავის ქვეყანაში? თავს რატომ აიტკივებდა?

ბარემ ერთ ამბავსაც გავიხსენებ: „დეიდაჩემი, დედის და, 1937 წლიდან თურქეთში, იზმირში ცხოვრობდა. ემიგრაციაში ჯერ ქმარი წავიდა, რეჟებ კიკნაძე, შემდეგ რაღაც მანქანებით ცოლი და სამი შვილის წაყვანაც მოახერხა. ამბობდნენ, რეპრესიებს გაასწრო. 1972 წელს დეიდა სტუმრად ჩამოვიდა. მახსოვს, ლენინაკანში შემოვიდა საბჭოთა კავშირში, იქ ჩაკითხეს მისმა მასპინძლებმა – ძმისშვილმა, ბიჭიკო ვარშანიძემ და დისშვილმა, ტარიელ მაჭუტაძემ.

ბათუმში ჩამოსული და-ძმებთან, ვისაც სტუმრობდა, არ გაუშვეს, სასტუმროში შეასახლეს, „ინტურისტში“, სადღაც ნებას ღებულობდნენ, რომ სტუმარს ღამე ნათესავეებთან გაეთია. ორი ღამე ჩვენთანაც დარჩა. იმ ღამეს ჩვენთან იყვნენ დეიდა, ბიძები (დედის ძმები – ავტ.) და ბიძაშვილ-დეიდაშვილები. მთელი ღამე თვალი არ მოუხუჭავთ, ლაპარაკობდნენ. არ მიძინია მეც, ვუსმენდი მათ საუბარს. იცით, კი არ მრავალსიტყვაობდნენ, უფრო ერთმანეთს ეფერებოდნენ მონატრებული და-ძმები, 35 წლის შემდეგ ერთად შეყრილები უფრო ბავშვობას იხსენებდნენ, მშობლებს, სოფელს... და კიდევ რა დამამახსოვრდა იცით? სტუმარ დეიდას ისეთი დეტალები ახსოვდა, ბიძაჩემებსა და ორთაბათუმელ დეიდას რომ დაევიწყათ, აღარ ახსოვდათ. მაშინ გამიკვირდა, ახლაც ხედები, ოჯახიდან მოწყვეტილს მშობლიური კერის მონატრება უმძაფრდება, ხშირად ღამეს ფიქრში ატარებს, მშობლების კერას ხორციელად მოშორებული სულიერად თავის სოფელში რჩება, იქ ტრიალებს, იქ ცხოვრობს...

– ნეტად აქ მოვკტებოდე და აქ დევმარხებოდეო, – ინატრა დეიდამ, მისი წასვლის დრო რომ მოვიდა...

მეორე წელს იზმირში გარდაიცვალა იგი.”

დავუბრუნდეთ პილმიესა და პილმიელებს.

პილმიელთა საუბრიდან რამდენიმე დამახასიათებელ ფრაზას მოვიტან:

– დიდ ძმას ძიას ვეტყვით, პაწას – ძმას.

– გეგობენ, გეგონება, დამსილია სოფელი. სოფლები დედაპარა. ცეცხლ დანთობ, დააპაროდა, დაამსო'და.

– შენ ცოდვებს აჭარის დელე არ გარეცხავს.

– შენ ბაყლიან საბანს აჭარის დელე არ გარეცხავს.

– მე გამეგრბინე, იმან დემექამუშა (მერჩოლა)...

რამდენიმე ქართული გეოგრაფიული სახელიც დავაფიქსირეთ ჰილმიეში: **ველეთის დელე, ვაკე, გვერდი ყანა...**

ტიპური სიტუაციაა, ახალ საცხოვრისში ახალი ვაკე შეუქმნია ვაკელს, არც გვერდი ყანა დაუვიწყნია და არც – ველეთის დელე... სხვაგვარად ვერ იცხოვრებდა!

ჰილმიედან იოლათის ქვაბებში წავგიყვანეს. გამოქვაბულამდე სამანქანე გზა გაუყვანიათ, მანქანის გასაჩერებელიც მოუწყვიათ, ყველა პირობა შეუქმნიათ ტურისტის მოსაზიდად.

მანქანიდან გადმოსულები ქვაბის წინ აღმოჩნდით, იქედან – პირველ დარბაზში: დიდი დარბაზია, მაღალი და ღრმა. მოაჯირიანი რკინის ხიდურებით სიღრმეში შევედით. შიგა დარბაზები სათანადოდაა განათებული... რკინის ბილიკებს მაღლა და მაღლა მიყვავართ: 700 მეტრიან ქვაბის სიღრმე, გვითხრეს. ალბათ მეტიც იქნება. შესაძლებელია, 700 მეტრია მოწყობილი. გამოქვაბულში ტემპერატურა მუდმივია – 14-15 გრადუსი ცელსიუსით. ცივა...

მივუყვებით ბილიკებს, სურათებს ვიღებთ, ვათვალიერებთ საუკუნოვან სტალაქტიდებსა და სტალაქმიდებს, რომელთაც ზოგან კოშკის ფორმა აქვს, სხვაგან – ეშმაკის... ბუნების საუკუნოვანი შრომის შედეგია იოლათის ქვაბები, ბუნებრივი კი ყველაფერი კარგი და ამაღლებულია.

იოლათ დერედან **საადეთში** ავედით, სამკურნალო წყლებისა და დასასვენებელი სახლების უბანში. მშვენიერი დასახლებაა. ზოგადად ხალხმრავალი ადგილია, ბევრ სტუმარს იზიდავს აქაური წყლები...

აჭარლების სოფელია **იოლათ დერე**.

ისმაილ ციციელი (ჭაღალიძე) და მეჭმედ (ჯობს, ეს სახელი ჰაეს გარეშე ვიხმართ – ავტ.) არიფოლლი გვესაუბრნენ. სოფელში ქართული მხოლოდ უფროსმა თაობამ იცის.

– ამ მთაში ვინ მონახა სამოსახლო?

– **რომ მოსულან პილაჲ, აქიდან ოთხ კილომეტრში დამუდარან, იქ ვერ უქნიან და აქ ამოსულან. აქ ცხვრებ გაყიდებდენ, თხებ გაყიდებდენ იშტე, დორუქები მოიყვანდენ.**

ჩანს, მესაქონლეობას მისდევდნენ მუჭაჯირები, თხასა და ცხვარს აშენებდნენ, ალბათ მსხვილფეხა საქონელსაც.

ნაცნობი ფრაზაა: დაბლობში „ვერ ქნენ“ და მაღლა ამოვიდნენ. „ვერ ქნენ“ მარტო ისე არ უნდა გავიგოთ, რომ კოლომ და ბუზმა შეაწუხა, ანდაც წყალი არ იყო ცივი და ჯანმრთელი, სხვა მიზეზიცაა მაღლა ამოსვლისა, კერძოდ, მეურნეობა: ბარს თავისი მეურნეობა აქვს, მთას თავისი. მუჭაჯირი იქ დასახლდა, სადაც თავისთვის ჩვეულ სამეურნეო ცხოვრებას გააგრძელებდა: ეს იყო მეცხოველეობა, მებაღეობა, მებახჩეობა... ყველაფერი ის, რასაც მისი წინაპარი მისდევდა სამშობლოში.

– ბათუმის რომელი სოფლიდან მოვიდნენ თქვენი დედეები?

– ჩვენი სოფელი რომელი სოფელია, ჭოვ? – გადაულაპარაკა ისმაილმა მემედს.

– გომარღული!

– შუახევიდან წამოსულან, – ვაზუსტებ მე.

– აქ ყველა აჭარელია, თუ სხვა ხეობებიდან მოსულებიც ცხოვრობენ?

– **ორმოცი ჩვენია და ოცი ფაღან სხვა. თურქები ბევრი არ არიან და... ცხრა-ათი არიან, ართვინელი ცხრა-ათი არიან.**

– ძველებური სიმღერები, ძველი ამბები არ იცით სოფელში?

– ძველებური სიმღერები არ იციან, ძველებმა იციან, ახლებმა – არა. ძველებმა მოკტენ... – ამბობს ისმაილი.



„ძველებმა იციან“ სიმღერები, მაგრამ „მოკტენო“, გვითხრეს. უნებურად გამახსენდა 1995 წლის ექსპედიცია ტაოში. ერთ ქალბატონს შევხვდით ჭილათში, კარგად ლაპარაკობდა ქართულად. ვთხოვეთ, ზღაპარი, გადმოცემა, რაიმე მოეთხრო.

უარზე იყო, არ ვიცი, ძველი ამბები ჩემმა კაცმა (აქ ქმარმა – ავტ.) იცისო.

– წავგიყვანე შენს ქმართანო, სთხოვა ელგუჯა მაკარაძემ.

– **ოოო, რამდენი ამბავი იცით, გაჯაგრდა მოხუცი, კაცი მოკტა, ჩაეფალ მიწაშიო!**

რას ვიზამთ, ვინც იცის, ის მკვდარია... უმჯობესია საუბრის თემა გამოვცვალოთ და იმაზე ვისაუბროთ, რაც იციან.

– აქ სოფელში რას საქობენ?

– **რაფერ გითხრა? ჩვენ პაწაი საქონელი, პაწაი ტყის საქმე, პაწაი ყანა... წაბლი გექონდა, გახმა!**

– წელს მოსავალი არ ჩანს. ყველგან ამბობენ, ყინვამ გააფუჭაო, თქვენთან როგორაა?

– **წელს ყინვამ კაკალი მოკლა, სხალი მოკლა, წაბლი გვაქ.**

ყინვამ შეიძლება ხეხილი „მოწვას“, მაგრამ კაკლისა თუ მსხლის „მოკლა“ აქ გავიგონე პირველად. კიდევ ერთ მომენტს მივაქცევ ყურადღებას, ქართული ენის გამომსახველობით ძალას: *წვავს ცეცხლი*, ეს მისი თვისებაა, ფუნქციაა, მაგრამ *წვავს ყინვაც*. დიახ, ყინვა ყინავს და წვავს კიდევ. *მოყინულს მომწვარსაც* ეძახის ქართველი.

– სოფელში რა სოფადები ცხოვრობენ?

– **ბექსიოდლები, კოტიოდლები... ლაღაბები იყო იშტე.**

– **ჩემი ძველი დედემ ჭიათურადან ჭადას მოსულა ხუთასი წლის უკან,** – გვეუბნება ისმაილ ციციელი ჭადალიძე.

ჩანს, გაახსენდა ისმაილს წინაპართა სოფელი და ახლა დააზუსტა.

**საადეთიელ** აჭარელთა მეტყველება ტიპური ზემოაჭარულია. ერთი თავისებურება შეიძლება ადვილად შენიშნოს მკითხველმა: ისმაილმა თანდებულიანი მიცემითის ნაცვლად (ჭალაში) უთანდებულო ფორმა (ჭალას) იხმარა – „ჭალას მოსულაო“.

საინტერესო საუბარი იციან ისმაილ ციციელმა და მე მედ არიფოღლიმ. თანდათან გაგვიშინაურდნენ და გულისხმადებიც აღარ დაგვიმალეს. დარდობენ საადეთელი ჭალელები, რომ აქ „გურჯობა ჰამან-ჰამან გადავარდება“. მათ კარგად იციან, რომ უცხო ქვეყანაში ღტოლვილთა შთამომავლები არიან და ამიტომაც კარგავენ წინაპართა ენას და ადათებს. სხვებს მეტი სიძნელე გამოუვლიათ, მაგრამ მაინც შეუნარჩუნებიათ თავიანთი იდენტობა:

– **ერთი ძაგული** (ებრაელი – ავტ.) **ორ ათას წელიწად უქუმეთი არ ქონიან, ლაპარიკი არ დუფვიწყიან. ჩვენ 130 წელია მოვედით აქ, გვამიწყდება... საყვედურობს თავისთავს ისმაილი.**

საღამოს 7 საათზე **მესრულიეში** ავედით. მშვენიერი სოფელია: მთის ფერდობებს შეფენია მესრულიე, 30 კომლს გაუმართავს აქ ეზო-კარი. აქ შეხვდებით: დავითაძეს, ფუტკარაძეს, მიქელაძეს, ხაჯიბოღლის (ქართული გვარი ვერ გაიხსენეს), მაკარაძეს, ყავეჯოღლის (ვერც ყავეჯოღლებმა „გაიხსენეს“ ქართული გვარი).

შუახვევიდან მოსულ მუჰაჯირებს აქ სოფელი **ბახნიყაია** შეუქმნიათ, ახალ დროში სოფელი გაყოფილა, ძველი სახელი განაყოფისათვის მიუკუთვნებიათ (მემკვიდრედ ის ნაწილი გამოუცხადებიათ – ავტ.), მეორისათვის **მესრურიე** უწოდებიათ. დღემდე ვერ შერიგებიან მესრურიელი ბახნიყაიელები სოფლის ძველი სახელის დაკარგვას. იბრძვიან, იმედოვნებენ, რომ დაიბრუნებენ...

ყველაფერი მოდის სოფელში: თხილი, წაბლი, სხვა ხილიც. ყანას აღარ ვთესავთ, ღორები მაინც არ გვიჩერებენო, თხილის დაცვას ძლივს ავუდივართო, დაიჩივლეს მესრურიელმა აჭარლებმა.

ტყეში მუშაობს აქაური კაცი, მასალას ამზადებს, ზოგჯერ ჩუმადაც, უნებართვით, ყიდიან დამზადებულ ხე-ტყეს და ასე შოულობენ ფულს. საერთოდ უნდა ითქვას, რომ ინეგოლის მხარეში ხის დამუშავება და ავეჯის წარმოება მრეწველობის დაწინაურებული დარგია. ჰოდა, ჩვენებურები მასალით ამარაგებენ წარმოებას...

მესრურიედან **ბახჩიყაიაში** გადავედით. არავინ დაგვხვდა სოფელში. ქალაქში საქმობენ ბახჩიყაიელები, სოფელი აგარაკად უქცევიათ.

სოფლის ორღობეში გავიარეთ... მშვენიერი სოფელია, ჩანს, საკმაოდ მდიდარიც, – ახალი სახლები და მოვლილი ეზო-კარი ამის დასტურად ნამდვილად გამოდგება.

**მესრულიედან ბახჩაგარაში** გადავედით, იქედან სასტუმროში დავბრუნდით...

**9 ივლისი, ოთხშაბათი.** კარგი ამინდებია, მზიანი. დამით გრილა. რამაზნის თვეა. დღისით, სიცხეში მმარხველებს მუშაობა უჭირთ, ამიტომაც დამით, პროექტორების შუქზე იღებენ კარტოფილს. მთელი დამე მუშაობდნენ სასტუმროს ქვემოთ ყანებში... დილის 11 საათია უკვე. ჰოლში ვსხედვართ, ბიჭები აღშფოთებას ვერ ფარავენ ბრაზილიის ეროვნული ნაკრების წუხანდელი წახდენის შემდეგ, 7:1 დამარცხდა გერმანიასთან ფეხბურთში მსოფლიო ჩემპიონატის ფინალში. ბრაზილიის ტიტულოვან ნაკრებს ასეთი მარცხი ალბათ არ ახსოვს...

„შფოთავენ“ ბიჭები!

ჩუმად სხედან წასვლის მომლოდინე ქალბატონები...

გზას დავადექით. ახმედი გველოდებოდა ქალაქში. საგზალი ავიღეთ სავაჭრო ცენტრის ვეებერთელა მარკეტში და...

დღეს რამდენიმე სოფელს ვნახავთ. ვნახოთ, როგორ მიგვიღებენ იქაური გურჯები. ზოგჯერ სოფელი ცარიელია, მთელ დასახლებას მოივლი და სულიერს ვერ შეხედები, ზოგჯერ არ ამართლებს ბიბლიური შეგონება „ეძიებდე და პოვებდე“ და არც „დააკაკუნე და კარს გაგიღებენო“: ვე-

ძებთ, ვერ ვპოულობთ, ვაკაკუნებთ – არავინ გვიღებს კარს... ერთი რამ მჯერა, რადგანაც ვეძებთ, რაც ჩვენი საპოვნელია, აუცილებლად ვიპოვით.

უკვე მესამე წელია, დავდივართ მუჰაჯირთა დასახლებებში, ქალაქად თუ სოფლად. ბევრი მუჰაჯირი ვერ „იხსენებს“ მისი წინაპრების ოსმალობამდელ ქართულ გვარს. ყური მიეჩვია, რომ შავში თუ კლარჯი ვერ ასახელებს ქართულ გვარს, ხოლო აჭარელი, ჩაქველი, ბათუმელი... რომ ვერ გვეუბნება, გვიკვირს და გვაფიქრებს კიდევ. უნებლიეთ გვიჩნდება კითხვა, რატომ? აუუუ, რამდენი რატომ რჩება პასუხგაუცემელი ძიების პროცესში?! ალბათ ასეც უნდა იყოს, ვეძებთ, კითხვა გვიჩნდება, რომელთა ნაწილს ჩვენვე გავცემთ პასუხს, უფრო მეტს სხვები. და კიდევ, ყარადენიზის – ორდუ, ფაცა, უნიე... ქართველობას უკეთესად დაუცავთ თავიანთი იდენტობა, ვიდრე აქ, საქარიაში.

კარგა ხანი გავიდა, ვიდრე **თოფაქჩი კონაკში** ავედით.

მექართულე სოფელია თოფაქჩი კონაკი, უმეტესად შუახვევლ მუჰაჯირთა სამოსახლო:

ოლადაური: **მაკარაძე, დუმბაძე.**

მაწყვალთა: **თავდგირიძე.**

მემედ მაკარაძე, კაცი მხნე და კარგი მექართულე, გვეუბნება:

– ჩემ დედემ მოვდა იქიდან, ემინად ერქვა. მაღლა იყო, ისტამბოლ უკითხავს. გემით მოიდენ ისტამბოლ, პურის სახელი ბითევი წამუშლიან...

– აქ რომ მოვიდნენ თქვენი ძველები, ცარიელი ადგილები იყო თუ ვინმე ცხოვრობდა?

– აქ აბაზები ყოფილან. დედეები რომ მოსულან, წესულან. ახლა ჩვენი სოფელი ორი ბინი ნუფუსი იქნება.

– დიდი სოფელი ყოფილა! მაკარაძეები ბევრი ხართ სოფელში?

– ბევრი არიან, 50 ხანე იქნებიან, ორასი კაცი იქნებიან.

– ამდენი მაკარაძე აჭარაში არ იქნება, ბევრი წამოსულა მუჰაჯირად, – ვეუბნები მემედს. რას საქმობთ სოფელში?

– აქა ტყეში საქმობენ, ტომრულ მოჭრიან, ყანეფში საქმობენ: თხილი აქვან, წაბლი აქვან, კაკალი, სხალი, ვაშლი... ის არი, იმას საქმობენ. საქონელი ცხვრები ყავან, ერთი ხომ არა, ამსილი...

მემედ მაკარაძისა და ჩვენს დიალოგს ექრემ ფუტკარაძე უსმენდა ყურადღებით, ერთხელაც ჩაერთო საუბარში:

– ამ სოფელში სულ ბევრი ფუტკარაძეა კვიახიძეებიდან, დუმბაძე არიან, ახისხალოღლები არიან, გურჯი სოფადი არ აქვან.

ერთმა ლაღაბმა მიიქცია ყურადღება: ახისხალოღლი ახისხადან (ახალციხიდან) მოსულის შვილია, როგორც წესი, არც ახისხელებს აქვთ ქართული გვარები. რატომ? იბადება კიდევ ერთი პასუხგაუცემელი კითხვა.

აქვე აღვნიშნავ, თოფაქი ქონაქელი აჭარლები კარგად ლაპარაკობენ ქართულად.

მემედ მაკარაძეს აწუხებს თურქეთის ქართველობის ბედი. ჩანს, უფიქრია, ბევრი უფიქრია, სხვაგავარად არ დაებადებოდა ასეთი აზრი:

**აჭარლები ძალიან უკან დაემჩაღვართ, კულტურა არ გვაქ. ჩვენ სხვაფერი ხალხი ვართ: ჩვენში შვაში ემე შესუღლა... [მუსლიმანობა], გუურიგებია: მუსლიმანი ქართველი არ იქნება?** – სვამს არაერთხელ დასმულ კითხვას მემედი და პასუხობს: **იქნება, ჯიში არ ღა დეფიწყო...**

ღიას, მემედ მაკარაძე, ექრემ ფუტკარაძე და სხვა ათასობით მუჰაჯირთა შთამომავალი ქართველები არიან. „ჯიში არ ღა დეფიწყო...“ ამბობს მემედი დაჯერებული და ამაყი. მას ახსოვს თავისი ჯიში, გენი, მერე რა რომ მუსლიმანია, მერე რა რომ მუსლიმანობისთვის ბევრი გადაიტანა მისმა წინაპარმა, ის ქართველია, გურჯია და ამყოფს ამით...

– ბატონო მემედ, თქვენ ამბობთ, რომ მუსლიმანი ქართველი იქნება და ასეცაა, ქართველი მუსლიმანიც შეიძლება

იოს და ქრისტიანიც, ზოგჯერ სხვა რელიგიის მიმდევარიც, მაგრამ აქაურ გურჯებში „ქართველი“ „გიაერს“ რომ ნიშნავს?

– აქ ქართველი გიაგერი თქმაა, რა ქართველი, რა – რუსი. აქ ქრისტიანი გონიან და იმიტომ, ქართველი ჯიშია...

მემედი მუჰაჯირობის მიზეზებზეც დაფიქრებულა და მისებური ახსნაც მოუძებნია. ვნახოთ, როგორ მსჯელობს მემედ მაკარაძე: „[თურქებს და რუსებს] არ უნდოდენ მუსლიმანები იქ იყვნენ. ამდენი ტირილი არ იქნებოდა, სხვაფერ რომ ექნენ. ამფერი კანონი გამოსულა: ვინცხას წასლა უნდა წვედეს, ვინცხას უნდა დარჩეს. ის ჩვენი დედამიწა (აქ სამშობლო – ავტ) დეიტეოდა?“

მემედ მაკარაძე, დიდი სახელმწიფოების პოლიტიკური გადაწყვეტილების შედეგებით უკმაყოფილო, სვამს ცოდვამადლიან კითხვას: „ის ჩვენი დედამიწა დეიტეოდა?“

– არ დაიტეოდა, მემედ ბატონო, მაგრამ ასე მოხდა, ახლა ველარაფერს შევცვლით...

ამდენ ხანს მდუმარე ექრემ ფუტკარაძე ერთ დაკვირვებას გაგვიზიარებს: ჩვენები აქ ჰამან ასი წელია გამოსულან, ჰამანქი დაგვაგვიწყდა [ქართული ენა – ავტ.]. მესელა, თიფლისის ლაპარიკი სხვადა, ჩვენ ლაპარიკს არ ეწყობა. აქ სულ ჩვენებურა ვლაპარიკობთ, ქართულა...

ექრემი გაკვირვებულია, ქართული იცის, ქართულად ვლაპარაკება მეზობელ გურჯებს, აგერ ჩვენ გველაპარაკება ბათუმელ სტუმრებს და გვაგებინებს, ტელევიზორს უსმენს და თბილისურ ლაპარაკს ვერ იგებს. უკვირს და ვერც მიმხვდარა, სად ეჩქარებათ ქართველ დიქტორებს, ასე სწრაფად რომ ლაპარაკობენ, „ვინცხა გამიეკიდაო, იფიქრებ!“

თოფაქი ქონაქი ტიპური აჭარული სოფელია, თუმცა ბევრი რამ შეიცვალა სოფელში, „ძველი ადათები დეიკარქათ“, ჩივის ექრემი, ბავშვი მამის ერთად ოთახში ვერ დაჯდებოდა, ახლა აღარააო ასე...

შუადღის ლოცვის დროც მოვიდა. მასპინძლები ჯამეში უნდა შევიდენენ სალოცავად. ჩვენი წამოსვლის დროა.

– თქვენ ილოცვთ, ჩვენ სოფელს დავათვალიერებთ, სომ შეიძლება? – ვეუბნებით მემედსა და ექრემს.

– **ნახეთ, შეიძლება!**

გიორგისთან ერთად სოფლის ორღობეს ავუყვები. მშვენიერი სოფელია: ახალი, დიდი სახლები, სუფთად მოვლილი კარ-მიდამო, სახლების უმეტესობა კრამიტითაა გადახურული. გზის მარცხნივ, გორაკზე, მუხნარში სოფლის სასაფლაოებია, საგულდაგულოდ შემოღობილი და მოვლილი. ჭიშკარი შევადეთ და შევედით. სიჩუმეა. ვათვალიერებთ ძველ სასაფლაოებს, ეპიტაფიებს ვკითხულობთ: რამდენიმეზე ამოუკვეთავთ, ბათუმიდან მოსულიო.

ვინ იცის, რამდენი მუჰაჯირი განისვენებს აქ მშობლიურ კუთხეს მოშორებულნი...

შუადღისას **თოფაქი ქონაკი** დავტოვეთ და სულჰიეში წავვედით.

**სულჰიე** აჭარელთა სოფელია, უმეტესად შუახევიდან მოსულების: მაწყვალთა, კარაპეტი, დღვანი, ნენია. სოფელი მთის ველზეა გაშენებული, ირგვლივ ტყეებია. ჩანს, უყვართ აქაურებს ტყე და ტყეში მუშაობა, თუმცა სახნავ-სათესიც ბლომად ჩანს. თუ ვიმსჯელებთ სახლებითა და ეზო-კარით, შეძლებული სოფელი ჩანს სულჰიე.

– რა გვარები ცხოვრობენ თქვენს სოფელში?

– **ზოიძე, გოგიტიძე, გელაშვილი, მაკარაძე, ნაკაიძე, ცეცხლაძე, აბაშიძე, ბაიკოზოდლი, ლანძოდლი**, – გვაწერიანებს იუსუფ ნაკაიძე.

– ბაიკოზოდლისა და ლანძოდლის ძველი გვარი არ აქვს?

– **ასე ვიცით, სხვა ჩვენ არ ვიცით...**

იუსუფ და აჰმედ (>ახმედ) ნაკაიძეებთან, სტუმართმოყვარე და კეთილშობილ სულჰიელ აჭარლებთან, ვსაუბრობთ:

– **ჩემ დედემ, ასან დედემ მოვდა ბათუმიდან**, – გვიყვება ახმედი და აგრძელებს: **ჩემ ბაბოს ერთათ ორმოცი კაცი გადმოსულა, დიარბექირში ორ წელიწად დარჩენილან. დედემ ომზე წინ გადმოვდა საკითხველათ. ორ წელიწად მერე**

**დეჟიდა, დეჟილტა. დედეს სიცოცხლეში ბაბომ გადმოვდა ოცდაექსი წლის. ომში დუჟახნიან და თიდან გამოქცევლან...**

ახმედის მონათხრობში ერთი ფაქტია საყურადღებო: „ჩემ დედემ ომზე წინ გადმოვდა საკითხველათო“, იგულისხმება პირველი მსოფლიო ომი, ხოლო მამამისი ოცდაექსი წლის ასაკში ომში გაუწვევიათ (იგულისხმება მეორე მსოფლიო ომი) და „მთიდან გამოქცევლანო“. გამიგონია, მეორე მსოფლიო ომის წლებში ზემოაჭარიდან ბევრმა ომს თავი აარიდა, დაარღვია საზღვარი და თურქეთში გადავიდა. ისიც გამიგონია, ზემოაჭარიდან ომში აღარ იწვევდნენო... მთარული ხმები თითქოს დასტურდება: ახმედის მამა ომში არ წავიდა და თურქეთში გადაიხვეწა მთიდან...

ტრაგიკულ და მძიმე გზას დაადგა სოფლიდან აყრილი. ახმედის მამა, ჩანს, დაქორწილებული ყოფილა, ორი პრატი (ქალი) და ერთი ბიჭი დარჩენია. ამ სოფელში „იმაზე წინ გადმოსულებიც არიან, დედეს ერთათ გადმოსულები...“ სამშობლოში დაბრუნების იმედლაკარგულმა ოჯახი შექმნა, შვილებიც შეეძინა, მაგრამ „სული, გული იქ ქონდა, ბევრ არ ილაპარაკებდა“. რაღაცას მაინც მოუთხრობდა ახალ ოჯახს შუახვევში დარჩენილ ცოლ-შვილზე, თუნდაც ასეთ სევდიან ამბავს: „აილაზე ვიყავით, ბაღვი ასე კლაგზე მეწვა. ბაღვის თავიდან კლავე გამოვღე, გზაზე დავდექით და წამოვედითო...“ ორმოცი წამოსულან, ოცდაექსი საზღვარზე მოუკლავთ.

ბუნებრივია, ახმედის მამისათვის ძნელი გასახსენებელი იყო დაილიდან თურქეთში გადასვლის ისტორია.

– ლამაზი სოფელი გაქვთ, რას ისაქმებთ?

– **იქ რაცხა მოღის, აქაც მოღის. ყველამფერ ისაქმებენ: ტყეში, ყანაში, საქონელ უარებიან, ქარხანაში საქმობენ. ტყეში ხეს გახერხავენ, შიშას მოჭრიან... მეფარვენ, მეტანებენ...**

– თქვენ სოფელში ქალს როგორ მოიყვანდნენ, ნიშნობას, ქორწილს როგორ გააკეთებდნენ?



– აქ რაფერ ითხოვდენ ქალსა? ანაჲ, ბაბოჲ დედანახადენ, მეღწონებდენ, ბიჭსა ეტყოდენ მოგიყვანოთ’დაჲ. ელჩ გააგზანიდენ, ორჯელ, სამჯელ... არ მიცემდა, გააქცევდა!

– კი გააქცევდა, მაგრამ ქალის მამა არ გაბრაზდებოდა?

– იყვირებდა, გაჩერდებოდა, შერიგდებოდენ!

– ქალს რომ გააქცევდა, ამ ამბავს რას ეტყოდნენ: გაქცევას, მოტაცებას თუ გამოკიდებას?

– ძალით რომ წეიყვანდა, დათრევას ეტყოდნენ: *დაათრია ქალი, წეიყვანაჲ*, იტყვიან. გოგო რომ წაყვება, *გეძქცა* იტყვიან, *წამიეკიდასაც* იტყვიან.

ორი მომენტი განირჩევა უნებართვო ქორწილში:

ა. *დათრევა, წაყვანა*, როცა ვაჟი იტაცებს ქალს. ბ. *გეძქცა, წამიეკიდა*, როცა ქალი თავისი ნებით მიყვება ვაჟს.

ბარემ ვიტყვი, რომ ჩემს სოფელში ქალის მშობლისუნებურად გათხოვებაზე ქალის მხარე უმეტეს შემთხვევაში იტყვის *გეძქცაჲ*, ან *გამიეკიდაჲ*. ამ ტერმინებში გარკვეული ეტიკეტია ჩადებული. პროცესში ქალის ოჯახისათვის ქალია „დამნაშავე“, ვაჟის მხარე იტყვის *მეიტაცაჲ*, აქ კი ვაჟია „დამნაშავე“.

– ქალის „დანაშაულია“, რომ *გეძქცა*.

– ვაჟის „დანაშაულია“, რომ *მეიტაცა*.

ასეთ შემთხვევაში *დარიგებაზე* ლაპარაკი შეიძლება და მოლაპარაკებაც უმეტესად წარმატებულია.

– გოგო-ბიჭის დარიდება თუ იცით, და თუ იცით, რამდენი წლიდან იწყება?

– ჩვენთან *დარიდება* ძალიან არი. რომ მეესწრობა, იმის მერე არი, ბაღანაჲ პაწაჲ, გენჯი – მოსწრილი. ათი და ხუთი წლის უკან გენჯი ხდება, იქამდე ბაღანაჲ. გოგო თორმეტ წელს უკან დეერიდება.

იუსუფისა და აჰმედის საუბრიდან რამდენიმე სოციალურ ტერმინს მივაქცევთ ყურადღებას:

– ბაღანა დეიბადება იმა *ბებუგ* ეტყვიან, *პრატსა* და *ბიჭსაც* ეტყვიან.

*გენჯი, დელიკალი* – დასახლებაში *დელიკალია*, დასახლების მერე – *კაცია*. ორმოცამდე *კაცია*, იმის უკან – *ბერი*.

**გოგო** ქორწილის უკან *ქალია*.

შეენიშნავთ, **უკან** აქ ნიშნავს – **შემდეგ**.<sup>21</sup>

– ხომ ხედავ, მალხაზ, შენ ფიქრობდი, მარტო მე ვიყავი ბერი, შენც ბერი ყოფილხარ-მეთქი, გადავუღაპარაკე მალხაზს, ზაზა ახლა შედის სიბერეში!

– აბა, არ დამაბერა „გენჯობაში“ ახმედმა! – „იწყინა“ მალხაზმა.

– სიბერე ასაკი არაა, მალხაზ ბატონო, ასაკი დროა, რომელსაც ვერავინ გააჩერებს, სიბერე – სულის მდგომარეობაა, ამიტომაც ასაკი და სიბერე სხვადასხვაა... შესაძლებელია, 30 წლის ბერი იყოს, 70 წლისა კი – ახალგაზრდა.

შუადღემ სულჰიეში მოგვისწრო. ხოჯამ ეზანი დაიძახა, სალოცავად მიიხმო მორწმუნე შუახეველები. ჩვენი ინფორმატორებიც ემზადებიან სალოცავად...

დავტოვეთ სულჰიე და რამდენიმე წუთის შემდეგ **გუნეი ქესტანეში** ვიყავით. სოფელი შერეულია – აფხაზი, მეგრელი (ლაზი), აჭარელი. ყველას თავისი უბანი აქვს გუნეი ქესტანეში.

მშვენიერი სოფელია გუნეი ქესტანე. გემოვნებით შეურჩევიათ ადგილი პირველმოსახლეებს.

გაირკვა, რომ მხოლოდ ორი ოჯახია სოფელში აჭარული, ვარაუდით – შუახეველების. დაბეჯითებით ვერაფერს გვეუბნებიან. კაკალი, მსხალი, ვაშლი... მრავალგვარი ხილი, მოვლილი ყანები და ბახჩები, თანამდეროვე სახლები დას-

---

<sup>21</sup> „უკან“ ზმნიზედის შესახებ იხილეთ: მ. ფაღავა, თანდებული შავშურში. კრ. ლინგვისტური ქართველოლოგიისა და კავკასიოლოგიის პრობლემები, III, თბილისი, 2011, გვ. 249-251; მ. ცინცაძე, „უკან“ სიტყვის მნიშვნელობისა და ლინგვისტური ფუნქციისათვის კლარჯულში. ბსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ქართველოლოგიის ცენტრი, კრებული X, ბათუმი, 2015, გვ. 55-59.

ტურია იმისა, რომ შეძლებული და გამრჯე ხალხი ცხოვრობს გუნეი ქესტანეში.

მაღლა მთაზე **გაზელდია** (ჰამიდე), ღორჯომელების სოფელი.

9 ივლისი მიიწურა. ინეგოლში, სასტუმროში ვბრუნდებით.

**10 ივლისი, ხუთშაბათი.** დილაა. ცხელა. აცხადებენ, დღეს 35 გრადუსი იქნებაო ცელსიუსით. ვისაუზმეთ და გულბახჩეში წავედით, გვითხრეს, „დოქსან უნ“ (ოთხმოცდაცამეტის) მუჰაჯირების სოფელიაო.

ხეობაშია გაშენებული გულბახჩე. სოფელში ჩანს მრავალი ხილი, სიმინდის ყანები, ნათესები და ნარგავები.

ბათუმიდან მოსული ვართო, მაგრამ რომელი სოფლიდან თუ ხეობიდან, ჯერ ვერ გავარკვიეთ. იქნებ, სხვებმა იცოდნენ.

გულბახჩეს ხოჯა ბაზგირელია, აქ საქმობს.

ჯამის ეზოში თევრათ შირინი და შაბან ალანი გავიცანით.

– ბატონებო, თქვენ კარგად ლაპარაკობთ ქართულად. თქვენამდე ახალგაზრდებს შეეხვდით, ქართული არ იციან. შვილებს რატომ არ ასწავლით ქართულს?

– **ბაღვებ არ ველაპარაკები ქი გურჯულად.**

– რატომ არ ელაპარაკებით, არ გსურთ, იცოდნენ ჩვენი ენა?

– **გვინდა, მარა ასეა...**

– საიდან მოვიდნენ თქვენი დედები აქ?

– **ხულოდან მოვდენ,** – ამბობს თევრათი.

– **ვანასიედან ვართ, ხულოდს ზეიდან,** – დააზუსტა შაბან ალანმა.

ვანასიე „ხულოს ზეიდან“ სოფელი არ არის. ალბათ, ვანაძიებიდან არიან თქვენი ძველები?

– **ჩვენ ვანასიე ვიცით, ბელქიდა ვანაძეა...**

– ძველი გვარები გეცოდინებათ თქვენი და თქვენი მეზობლების, გვითხარით!

– ბოგალები, შირინოღლები, ყაფოღლები, ყანლიოღლები, მეთაფლიოღლები, ბაირადი, აჯარი, ბუღკოღლი...

– ესენი ხომ ლაღაბებია, ქართული სოღადები არ იციო?

– ესაა და, სხვა არ ვიციო!

– აბა, მოდი და მიხვდი, ნუგზარ, ბუღკოღლები ხუღლოს რომელი სოფლიდან არიან, ანღაც რომელი სოფელი უნღა იყოს ვანასიე?

– გაკვირვებული ნუგზარი მიყურებს, არაფერს მპასუხობს, შემღდეგ წერა განაგრძო...

– რამღენი ოჯახია სოფელში? – ვცვლი საუბრის თემას.

– სახლები სამოცღდახუთი იქნება, ოცღდათხუთმეცი ცხოვრობს, სხვები წასუღები არიან, ზაფხულში მოვღენ, გაბეგრღებიან.

– სოფელი რითი ცხოვრობს? რას საქმობოთ სოფელში?

– საქონელი ხყავან, ტყეში საქმობენ, ჰიჯარეთ იჯებიან, ბევრი ემეკღია, ზათი. ეს ფიცრები სულ ჩვენი სოფლიდან, ბიჩხებიდან მოსუღა. ამათი მუცღლის გაძღომა ტყიდან არი. ვინცხა იმ საქმეს იჯება, საჭმელის ფარა არ აქ. იპარავს, ჰერამი ფარაა.

თევრათი და შაბანი იტყვიან, რომ ინეგოღში ფაბრიკების გახსნამ გარემოზე იმოქმეღა: „აქ, ზეღთ, ერთი დიდი ჭაღა იყო, იქ ძველი წაბღები იყენ, ამსიმსხო წაბღები იყო (გაშღიღ ხელს გვაჩვენებს – ავტ.), მზე ძირში არ ჩევღოღა, ფაბრიკები გახსნენ, გახმა“.

– ასეთ რას აკეთებენ ამ ფაბრიკებში, რომ ხეები ხმება?

– გახმა და, რა ვიციო!

– კარგი, ბატონო, ახღა სხვაც ვოქვათ. ოჯახებში ძველებურ საჭმელებს აკეთებენ აღბათ, ისეთს, დიღნენეღ რომ გააკეთებღა. ჩვენც გვასწავღეთ!

– ლობიაღ ზათი იცი, ფხაღლ-ღობიაღ, ნორმაღ ლობიაღ, მაღასტო, ქაღაჯო, ჭაღი, ხავიწი, ჭინჭრინაღ (მოხრაკული – ავტ.), ჭიმიური, სირონი, ყაღსაფა, ერიშტა, პიპინაღ, ღაგრენიღი ყვეღი, ყურუთი, ფხაღი შორღა...

– კაცო, იგივე კერძებია, აჭარაში რომ აკეთებენ, განსაკუთრებით ზემო აჭარაში, მხოლოდ *ნორმალ ლობიო* ვერ გაიგივე, რომელი კერძია, – ვამბობ ხმამაღლა.

– კი მაგრამ 135 წელია აქეთ არიან წამოსული, აქაური საჭმელი არ უსწავლიათ? – ჩაილაპარაკა მალხაზმა.

– ხომ ვამბობდი, მუჰაჯირი ხორციელად გაშორდა მამაპაპათა საცხოვრისს, თორემ სულიერად არასოდეს მოშორებია მშობლიურ მხარეს, იქ დარჩა, იქ განაგრძობდა ცხოვრებას... სამზარეულოც გამძლე ყოფილა, სხვა ფასეულობებთან ერთად. ხომ ხედავ, გადასახლებულის შთამომავალმა ქართული ენა დაივიწყა (უფრო აღარ ისწავლა), ფხალ-ლობიო და სირონი – არა!

– ჯამიკარზე ვილაპარაკეთ, აქაურ ქორწილზე გვითხრეს, გევეზობაზეც, რაღაცები არ იცოდნენ, თქვენ ვერ გაიხსენებთ „გაბღეზებული მაყრის“ ამბავს?

– **ჰო, ჰოლო, ჰე, ჰევე! ხელი ააყოლა ხალისით შაბანმა, აქ რომ იციან ისე, სუფრას ხეებზე აატანიებდენ, ზაჰმეთს მიცემდენ!...** მოკლედ მოგვიჭრა, აღარ ისურვა რაიმეს გახსენება, თითქოს რაღაცის თქმა შერცხვო...

– გევეზობა უფროსებთან იქნებოდა თუ მოერიდებოდნენ? საერთოდ უფროსების, მამის, უფროსი ძმის, მორიდება იყო?

– **წინწინ ზოოვლი სირცხვილი იყო, ახლა გასერბესდა. ძველათ დიდ კაცებთან თუთუნ არ სვამდენ, სირცხვილი იყო, დემძალოდენ, ისე სვამდენ, ახლა მამიები იმალებიან, არ დვენახოვო,** – ამბობს თევრათი.

შაბანმა ახსენა, აქაური მეივა (ხეხილი – ავტ.) ბათუმიდანაა მოტანილიო, ძველი ხილის უმეტესობა მაინც, ზოგიერთი სახეობა ჩვენთანაც გამიგონია:

**თავრაჯული** (ჩვენთან თავრეჯულს ეძახიან – ავტ.), ბარდაჯუგი, ყარაგოგული, **საჭიჭურაი** (||ხეჭეჭურაი) – მსხლის ჯიშებია, **სინები ვაშლი** (შდრ. სენაპი), **დემირ აღმა**, რა სთქვია იმა, სულ ედინებოდა იი ვაშლი, ფილიგი ელმა.

თავრეჯული, ხეჭეჭური, სენაპი, დემირ ალმა აჭარაშიც ხარობს. შესაძლებელია, ეს ჯიშები მართლაც აქედან იყოს წადებული...

შაბანმა თევრათს გადაულაპარაკა:

– შაბან, დიდანაღ რომ კაკლით გააკეთებდა, თოკგზე აასხემდა, დაჭიდევდა, იმა რა ჰქვია? ვერ გეგხსენე!

– ქუმაზე ამბობ?

– ჰო, ქუმა!

– ჩვენთანაც აკეთებენ, კახეთში ჩურჩხელას ეძახიან, გურიაში – ჯანჯუხას, აჭარაშიც იციან ქუმა, – ვეუბნები მასპინძლებს.

ჩვენი საუბრის კიდევ რამდენიმე ეპიზოდზე გავამახვილებ ყურადღებას.

ამინდის მართვის ხალხური ტრადიცია სამშობლოდან წაულით გადახვეწილებს, ახალ საცხოვრისშიც შეუწუხებია მუჭაჯირი წვიმასა თუ სიცხეს, ჰოდა მიუმართავს მამაპაპური გამოცდილებისათვის, ოღონდ ახლა თურქულად მღეროდნენ „ლაზარეს“ ჩვენებურთა ბავშვები:

**ქეფჩე ხათუნ ნეისტარსინ,  
აღლაჰთან დაღმურ ისტერის,  
დასინ, დასინ გოლიოლსუნ,  
გოლ ოღმასა სელოლსუნ,**

**ვერ აღლაჰიმ ვერ, სულუ სული დაღმურ, ამინ!**

სიმღერით ჩამოივლიდნენ ბავშვები ოჯახებს, ისინიც ჩუქნიდნენ მოლაზარეებს დაღს, კვერცხს, პურს... „**კვერცხ შესწავადენ, სტამდენ ბადეები, დანი!**”

„ლაზარობა“ სხვადასხვა მოდიფიკაციით დასტურდება აჭარაში, შავშეთში, კლარჯეთში, ტაოში... მთავარი ისაა, რომ ყველგან ერთს ვევედრებოდნენ უფალს, მოეცა ადამიანებისათვის სასურველი ამინდი: **მზექმზისთვალიწითვალი** (გორახი), ან **წვიმა-წყალი** (ტალახი).

რამდენიმე საყურადღებო სიტყვაც ჩავიწერე:

**ვისხამარებლით** – „**ეუზუგ** (თამაშია ერთგვარი. კაკალს გაარიგებენ, ორად გაყოფილ ნაჭუჭში სიმინდის მარცვალს (კაკალს) დამალავენ, ვინც ამოიცინობს რომელ ნაჭუჭშია სიმინდი, მოგებულებს ისაა – ავტ.) **ვისხამარებლით, დანი.**

**ზეთვალი** – მხესუმხირა: „ზეთვალ **ეცყვიან ზოგი.**“

**გაბარვა** – გათონხა: „**ჩვენ გაბარვას ვეცყვით, რომ ამუა, ამხელა გახდება** (ხელით გვაჩვენებს კოჭს ზემოთ, – ავტ.) **გაბარონდა.**“

**ხყიდის** – ჰყიდის: „**ხყიდიან, ძვირია. რომანები მოვლიან, კანაფ მიხყიდებენ.**“

ზემოთ ვწერდი ჰაირიესა და ჰაირიელებზე. გვესიამოვნა, რომ ჰაირიეს ქება გულბახჩეშიც გავიგონეთ:

**„ჰაირიე აუროპაა. იქ დახურული [ქალს] ვერ დედნახავ, აქ თავღია ქალ ვერ დედნახავ. აქ გაზდილი თავ არ მედხდის.“**

„ჰაირიე აუროპაა“, ევროპა კიდევ მოწინავეა, კარგია...

გულბახჩედან **ჩაილიჯაში** (ძვ. ბათაქლი) ავედით. სოფელი მაღლობზეა, 1000 მეტრი მაინც იქნება ზღვის დონიდან. ჯამიკარზე გავჩერდით. მთის მწველი მზე აცხუნებს, ცხელა. სოფელს ვათვალიერებთ. ეზოებში მრავალგვარი ხეხილი ჩანს: მსხალი, ვაშლი, ალუბალი, კაკალი... გემრიელი, კარგად დამწიფებული ალუბალი მივირთვით, გზიდან ჩამოვკრიფეთ... არავინ ჩანს გარეთ. სიცხეს აფარებენ თავს ჩაილიჯელები.

– ახლა სექვებზე წამოგორებულები თვლემენ, – ამბობს ზაზა და იღიმება.

– რა ქნან, დიღის 4 საათზე ჭამენ დასლულს, საბახლამაზს (<საბახნამაზს) ილოცავენ, შემდეგ მთელ დღეს რა აკეთონ? ჯამეშიც როგორ უხალისოდ მოდიან, ხომ ხედავთ?! – ვამბობ მე.

ჩვენ საუბარში იმამი გამოვიდა გარეთ. თურქული თუ იცითო, გკითხა, რადგანაც თავად ცუდად იცოდა ქართული.

- ამ სოფელში საიდან მოსულები ცხოვრობენ?
- ჩვენ ბათუმიდან მოსული ვართ აქა. იმას იტყოდა, და-  
მაშიწყდა, ახლა ყოფილიყო, გეტყოდა.
- რამდენი კომლია სოფელში?
- **ოზდახუთი სახლია სოფელში, 100 კაცამდე, ყველა  
გურჯია!**

ახმედ ილდიზი მოგვიანებით გვეტყვის:

- აჭარა გურჯები ვართო, ისე იტყოდა რაამეთლი ბა-  
ბოე, გელაძე ოღულდარი, ისე იტყვიან (გელაძის შვილები –  
ავტ.). ჩვენი სოფელი სულ იქიდან მოსული არიან.

- სოფელში ქართული დაზი (წერა-კითხვა – ავტ.) არა-  
ვინ იცის? ძველი წერილები, გურჯი დაზები ოჯახებში ვინ-  
მეს არა აქვს?

- მე ემიაე მყავდა, ის იკითხავდა გურჯი დაზ, სხვა ვერ  
იკითხავდა. ძველი დაზები სოფელში არაა, არ დაჰტიეს.

ერთ გარემოებას მივაქცევთ მკითხველის ყურადღებას:  
ბევრ სოფელში გაიგონებთ, „ძველი დაზები... არ დაჰტიეს“;  
ბუნებრივია, ვიკითხოთ, ვინ არ დატოვა? რატომ იკრძალებო-  
და, ან ვინ კრძალავდა ქართულ წერილებს 60-70-იან წლებ-  
ში მემლექეთიდან რომ დებულობდნენ?

ჩაილიჯაში *აკაკლს კარჭალს* ეძახიან. აქედან შეიძლება  
ვიფიქროთ, რომ ჩაილიჯელები აჭარის წყლისხეობელი ბა-  
თუმელები არიან.

შემდეგი სოფელი **ფეიზიეფეზია**. ხელილ ჯოლოკოდ-  
ლი გვესაუბრება, გვაცნობს სოფელსა და სოფლელებს.

- **ბათუმიდან მოსული ვართ, ლადაბი – ტომაშეთია, ღი-  
საე ტომაშეთი!**

ტომაშეთი გასაგებია, სოფელია ზემო აჭარაში, შუახე-  
ვის რაიონში, ლადაბიც აქედან მოდის.

**დოქსანურ** (ოთხმოცდაცამეტში) მოვდენ აქ, – გვეუბნება  
ხელილი.

ტომაშეთიდან მოსულან: **ფეჭრათ დედეე, იუნუს დედეე,  
უსეინ** (ჯობს ხუსეინ – ავტ.) **დედეე**, „მოიდენ, სახლები გუუ-



კეთებიან. **მეუღ** (აღბათ მეველუდ – ავტ.) **დედეჲ ჯოლოკოღ-**  
**ლი** მოსულა, ბაბოსი ბაბოჲ“.

ხელილი კარგი ინფორმატორია. ზემიწვენიოთ იცის თავისი ოჯახის ისტორია.

ახლა სოფელში ორმოცამდე სახლია, ბევრი – ცარიელია. ფევეზიეში იგივე პრობლემაა, რაც სხვა სოფლებში: მოსახლეობის დიდი წილი ქალაქში წასულა სამუშაოდ, რასაც მოჰყვა სოფლის დაცლა და ტრადიციული მეურნეობის მოშლა...

ფევეზიელი, მისი მიმდებარე სოფლების მკვიდრიც, ან ტყეში საქმობს, ან ქალაქში მიდის სამუშაოდ.

– კარგი სოფელი გაქეთ, ბატონო ხელილ, ეზო-კარი კარგად მოვლილი, ბახჩები და სახნავ-სათესიც ჩანს, რას თესავთ, რა ხეხილს რგავთ?

– **სიმინდი, პური, ყართოფი, ლობიაჲ, მეივა – ვაშლი, სხალი, ქლიაფი... ყველაფერი მოვა.**

– საჭმელებს რას გააკეთებთ, ძველებურს, ჩვენებურს!

– **ფხალ-ლობიაჲ, ქალაჯო, ფაფა, ჰასუთა, სუთლაჯი, ფხალის შორვა, ყართოფის მოხრაკული, ჭინჭრინაჲ, ჭიმური, სირონი, ბორეგი, ერიშტა, ჩირბული, ერბო-კვერცხი, კორკოტი, სარმა, ფხალის ჟავე, ფხალის მოხრაკული, ძიშორვა||ფიფინაჲ...** კიდევ იქნება, არ მახსენდება.

– ბევრი გაიხსენეს! აჭარული სამზარეულო ჩემთვის ცნობილია, მაგრამ ხელილმა ზოგიერთი ისეთი სახელი თქვა, დღემდე რომ არ გამიგონია. შესაძლოა, ისინიც სახელშეცვლილი რომელიმე ჩვენებური კერძია. მაგალითად, *სუთლაჯი, ყართოფის მოხრაკული, ფხალის მოხრაკული...* ჩემთვის უცნობია.

და კიდევ, მუჰაჯირთა ყველა სოფელში ამზადებენ ფხალ-ლობიოს. ჩანს, ძველად, მუჰაჯირობამდელი აჭარის ყველა ხეობაში იცოდნენ აღნიშნული კერძი. ახალ დროში ფხალ-ლობიოს პრიორიტეტი აჭარაში ქედამ მოიპოვა, ბევრმა ხეობამ აღარ „იცის“ ეს დიდებული კერძი. ქედამ დაიც-

ვა ფხალ-ლობიოს ღირსება. კარგადაც მოიქცა. მისი დავიწყო  
ება დიდად დააზარალებდა აჭარულ სამზარეულოს...

– თქვენს სოფელში სხვებიც ცხოვრობენ ახისხებო,  
გვიტყვი, ისინიც მუჭაჯირები არიან?

– ახისხაები ჩვენს უკან მოსულები არიან, ჩვენ ჯიგნებ  
ეუბახთ.

– ახისხები ჯიგნები რატომ არიან? თუ ლაღაბია, ისე-  
თივე როგორიც კუდიანი?

– ძველათ დოსტობა არ გვექნდა თურქებთან. ისე გაგო-  
ნილი გვაქ, დედები რომ მოსულან, მოშიშარი ყოფილან,  
გძლად ჩეიცმიდენ, იმიტომ კუდიანი დაარქვეს.

– დედები თურქებს აშინებდნენ?

– აბა!

– თქვენ რას გეძახდნენ თურქები? თქვენც გექნებოდათ  
ლაღაბი.

– ჩვენ ჯო მუჭაჯირს დიგვიძახებდენ!

აჭარლებს ჭო ინეგოლამდე ჩამოჰყვათ. საინტერესოა,  
თურქებმა ვისგან გაიგეს, ჩვენ რომ ჭო'თი მიმართვა გვჩვე-  
ვია?

ჭო (<ბიჭო) დიდი დატვირთვის სიტყვაა აჭარულში:

– ჭო! მიმართავენ მამაკაცები ერთმანეთს.

– ჭო! მიმართავს უფროსი უმცროსს, პირიქით არას-  
დროს, ეტიკეტის, უფრო დაზუსტებით, უფროს-უმცროსობის  
წესის დარღვევაა.

– ჭო! მიმართავს ცოლი (ქალი) ქმარს (კაცს), ქმრისად-  
მი სახელით მიმართვა ეკრძალება, სახალხოდ მაინც.

– ჭო-ს ზოგჯერ შორისდებულის დატვირთვა აქვს: *კაი  
ჭო და, მაგაზე რა გადერდებს!*

კიდევ შეიძლება დაეძებნოს ჩვენს ჭო-ს სხვა მნიშვნე-  
ლობები, „მარა ახლა გვეყო, ჭო“, თუ გავიხსენებ – ქვემოთ  
დავწერ.

კიდევ ერთი ლაღაბის თავისებური განმარტება მივისმი-  
ნე და ბარემ აქვე მოვიტან: „ბაზვირეთ ზედთ კად წყალია

(აღბათ საზვიერელის წყალს გულისხმობს – ავტ.), **ცივი და რბილი, დიდი არაა შით. ჩვენ კაცებ ფიყვი** (ჩიყვი – ავტ.) გამჟღავნდება. **თურქი ვერ აფერავდა ფიყვის, იბახდა – ფიხის“.**

**ფიხი** კუდიანის ომონიმია, შავშეთში გვიტხრეს, კუდიანები გვეძახიანო და თან აგვისსნეს: „ფიხი სობაძს ზეიდან გონჯი თენექა იქნება, იგიაო...“

„*ფიხის*“ ფეიზიური ახსნა, ვფიქრობ, უფრო დამაჯერებელი ჩანს.

ფეიზიდან **ჩიფთლიკში** გადავვდით. სოფელში პირველ-შემხვედრ ქალბატონს გამოველაპარაკეთ, „ჩემი დედე კარაპეტიდან იყო“. ჩიფთლიკი აჭარული სოფელი ჩანს...

ხოჯამ იქინდის სალოცავად მოუხმო ჩიფთლიკის მუსულმანობას.

არავინ ჩანს ჯამეში სალოცავად მომავალი. რა ხდება? დღეს ბაზრობაა. ახლო სოფლებიდან ქალაქში არიან წასუფლი ბაზრობაზე, საყიდლებზე თუ გასაყიდად. დაცლილა სოფელი.

ჩიფთლიკი ღამაზი სოფელია, საკმაოდ მაღალ მთის ვაკეზე გაშენებული.

ბოლოს, როგორც იქნა, ერთი მოხუცი გამოჩნდა, საბათდინ აიდინ-ბერიძე, 75 წლის ვარო, წარმოგვიდგა. შორიდან დაიწყო საბათდინმა:

– **ხევაჩაურში ჩვენ ხისიმები გვეყავდა. ბათუმიდან, შუბნიდან მოსულა ჩვენი დედე, დაცდიეებიდან** (<და[რ]ჩიძეებიდან? – ავტ.), **იაკობაურიდან, ყადიოღლები, ჩვენ აქაური ბერიძე ვართ, ჩახალოღლი.**

დაცდიეებიდან მოსულა, ასევე, ხემშიოღლი, გულოღლი, დარჩიძე.

ჩიფთლიკში აჭარის სხვა სოფლებიდანაც არიან მოსუფლი. საბათდინი გვისხნის, **ღორჯუმიდან** (ღორჯომიდან – ავტ.) მოსულან, **ჩიფლალორებ** ეტყვიან იქა.

ფეიზიეშიც დაცდიეებიდან არიანო, საბათდინმა.

ორი სოფელი, ფეიზიე და ჩიფთლიკი დარჩიძეებელ მუჰაჯირებს შეუესიათ, ვინღა დარჩა დარჩიძეებში?

– ძველი სოფელია ჩიფთლიკი?

– **ეს სოფელი ბინ სექიზ დოქსან უზ (93) მაჰაჯირია. ელმაჩაირი ჩვენზე ძველია. ჩვენი სოფელი, დემან, ასოცი წლისა არი.**

ორმოცი ოჯახი ცხოვრობს ჩიფთლიკში, **მერზუყი** უფრო ხალხმრავალია, – ორმოცდაათი სახლით. ზაფხულობით უფრო იზრდება სოფელი, ქალაქიდან მოდიან. რაც შეეხება **მესარიეს** მცირე სოფელია, თხუთმეტი სახლით.

მესარიეს სიმცირის მიზეზი ისიც გამხდარა, რომ „მეფლატა, კასაბაში წებდარგენ“.

კიდევ ერთი საცნაური ფაქტი მსურს აღვნიშნო: საბაათდინის მონათხრობით, „აქ მოსული მუჰაჯირები ყანა-ბახჩას ვსაქმობდით, აქ ბევრი წაბლი იყო“. მიწის მუშა წავიდა ემიგრაციაში, იქ ჩასულიც მიწას ამუშავებდა, „მიწას ებრძოდა“. ასეთი იყო მისი ბედისწერა.

**ენიჯას** გურჯებზეც მოგვაწოდა ინფორმაცია საბაათდინ ბერიძემ: მოფანტული არიანო იქაური აჭარლები. ამ „მოფანტვის“ მიზეზი გამხდარა შემდეგი: „გეექანა, სახლები მიეფუშა, სახლები თავრობამ მიცა, გაზენგილდენ“.

ამაზეა ნათქვამი, *ზოგი ჭირი მარგებელიაო...*

ბათუმიდან მუჰაჯირად რატომ წამოვიდნენ, რას იტყოდნენ ძველები?

– **ბათუმ მიწა ცოტად არიო, აქ მოსულან, დამუდარან!**

სხვა მიზეზსაც ასახელებენ:

– **უკანისხან კომუნისტობა რომ მოსულა, მაშინ გადმოსულან. ძველები ჯარში წუუყვანიან, უკითხავან, თურქეთში ალიშ-გერიში ვის უქნიაო... ისინი არ დუუყენებია. იფიქრენ, აქ არღა დაგვაყენონო, გამოქცევლან.**

მთხრობელის მიერ დასახელებული სამივე მიზეზი შეიძლება გამხდარიყო საფუძველი მუჰაჯირობის სხვადასხვა ნაკადისა: მცირემიწიანობა (სხვაგვარად, ეკონომიკური მდგომარეობა), კომუნისტური რეჟიმი, ჯარში გაწვევით წარმოშო-

ბილი უნდობლობა. სერიოზული მიზეზებია, რომ მოსახლეობას მუჰაჯირობაზე ეფიქრა. თუმცა სხვაც ბევრი იყო ამ ძნელი გადაწყვეტილების საბაბი, რომელთა შესახებაც ჩვენი თხრობის სხვა ეპიზოდებში გვისაუბრია.

ჩანს, საბაათდინ ბერიძე საინტერესო ინფორმატორია, მატარებელია მისი ხალხის ტრაგიკული თავგადასავლისა. მოგვითხრობს ამ ისტორიის ეპიზოდებს და გვიყურებს, რა რეაქცია გვექნება. და რომ შეგვატყოს, ჩვენ განვიცდიდით მუჰაჯირთა ხვედრს, გვანტერესებდა მათი თავგადასავალი, ვეძებდით ასეთ ისტორიებს, მოგვინდო, მისიანად გვიგულა და საზოგადო ამბებთან ერთად, შინაურიც გვიამბო:

– ჩემი დედეს ბათმიდან მოსკოვას უკითხავს, ჩვენი ჩახალოდლები რომ წამოსულან, ისის წამოსულა. დედესაც კარგად უსწავლია ხიმობა (მოტეხილის მკურნალობა, ტრამვატოლოგობა), დედეიდან – ბაბოს უსწავლია... ბაბომ დებსწავლა და მე არ დევსწავლე, გარეთ ვაჭრობას ვიჯებოდი, ის უფრო კარგი მომივდა...

ხიმობას ვაჭრობა არჩია საბაათდინმა, იქ იპოვა თავისი საქმე.

– ბატონო საბაათდინ, აქაური ქორწილი გვანტერესებს, თვენს სოფელში რომ აკეთებდით, – უკვე მერამდენეს ვეკითხები ქორწილის შესახებ.

– ახალი მომსწრო ხალხი ძველებურა არ იჯებიან, სალონში წევლენ, ქორწილ იქმენ. უწინ გამასხრება, გვევზობა იქნებოდა...

– როგორ გვევზობდნენ, რას გაიმასხრებდნენ?

– ერთმანებ ზორით ააყენებდენ, ასამებდენ. მაყარი მოვლოდა, სულ თავში დააჟღუმლებდენ. სუფრას დედაკავებდა [მაყარი], იმფერ რაცხას მეფთხოვდა, ვერ'ნა ნახონ, ჩეთინათ'ნა ნახონ...

– რომ ვერ ნახონ, მაშინ რა მოხდება?

– „გაბლეზებულები“ ლივერს ისრიან... სხვა რამეს მეფთხოვენ...

ბრძენი კაცია საბათდინი. დასტურად მისეულ ერთ სოციოლინგვისტურ დაკვირვებას მოვიყვან:

– *თქვენ რაცხას რომ ვერ მიხტებით, რუსხას ურევთ, ჩვენ რომე ვერ მივხტებით, თურქხას ვურევთ. თქვენ რუსხა არ გუჟურიოთ, ჩვენ – თურქხა, ლაპარაკი ადნია.*

წუხს მოხუცი, რომ ახალთაობამ ქართული არ იცის, ძველი კი – მიდის. ორი ათეული წელიც გაივლის და ადარაინ დარჩება მუჰაჯირთა შთამომავალთაგან ქართულის მცოდნე. ძნელია სათქმელადაც და მოსასმენადაც, მაგრამ მხოლოდ მწარე სინამდვილეზე მიგვანიშნა საბათდინმა: „**ოც წელწად უკან აქ ვინმემ გამოვღეს, ქართულათ მოლაპარაკე კაცს ვერ ნახავს. ახლა ყანა-ბახჩა გაჩერებულია, ყველა გარეთ საქმობს...**“

„გარეთ საქმობის“ შედეგია, რომ ბავშვები ქალაქებში იზრდებიან მთლიანად თურქულ გარემოში, ქართულ ენასა და ტრადიციებს არ სწავლობენ, უცხო კულტურაში გაზრდილები უცხო კულტურის მატარებლები ხდებიან...

კარგა დრო გასულა. დამდება უკვე. საყურადღებო მასალები ჩავიწერეთ ინეგოლის აჭარულ სოფელში.

**11 ივლისი, პარასკევი.** ქესტელის ილჩეში (ბურსის ილი), სოფელ **საიფიეში** (ძვ. ბაიდინი) დავიწყეთ სამუშაო დღე. დილით ახმედს, ჩვენს გამცილებელს შევხვდით და გზას დავადექით. სოფელში მისვლამდე კარგა გზა გავიარეთ. ირგვლივ ველებია: სად ყანა აუღიათ და ოქროსფერია მინდორი, სად ახლა დაუხნაეთ, სად პური ჯერ კიდევ არ აუღიათ და მომკელს ელოდება მწიფე თავთავი, სად ბახჩეული დაუთესაეთ, – საზამთრო, ნესვი, გოგრა... ყველაფერი შვენიის მიწას. მოვლილ და ნაფერებ მიწაზე უკეთესი სანახავი ბევრი არაფერია. საცოდაობაა უპატრონოდ მიტოვებული მიწა, მშველელს რომ ელოდება... ველები დამთავრდა და ბაღები დაიწყო... მშვენიერია სწორ რიგში დარგული მსხმოიარე ხეხილი...

სოფელში ავედით. პირველი ინფორმაცია, რაც აქ მივიღეთ არის, რომ „საიფიე ქოდ დაარსდა 1877-1878 (1293 წელი

პიჯრით) რუსეთ-თურქეთის ომის შემდეგ ბორჩხას იღჩეს მურღულის უბნიდან მოსულთა მიერ“. დღეს ჯუმაა, შუადღის ნამაზის შესასრულებლად მრავალი მოვიდა სალოცავში...

რამდენიმე საიფიელი გავიცანით: იდრის ულისოე, ნეჯათ გუნეში, მემედ აგუუზი, მემედ ალი ყილიჯი. თანდათან აეწყო საუბარი:

– რამდენი სახლია საიფიეში?

– აქ ასი სახლი არი, თეელი გურჯია! – მკასუხობს მემედ ალი.

– ქართულად ლაპარაკობენ სოფელში?

– გურჯიჯა ბელქი ბერებმა იციან, ჰამა გენჯებმა არ იციან. ჩემზე პატიტვანები ბელი გააგნებენ და ვერ ლაპარაკობენ...

საიფიეშიც იგივე მდგომარეობაა, რაც სხვა სოფლებში.

– ვინ მოვიდა თქვენი წინაპრებიდან აქ?

– დედებმა მოსულან აქა და: ჭანისანი, დურჩელასანი, მოლაუსუფისანი, ხოიცანი... მათი ლახაბი ისა... ქურჩუგისანი, მუჰელიმისანი, მოლაიბრაიმისანი, ზუბეიცანი, თოფალისანი, ხოშაგისანი, ტვაირისანი, ზუბეისანი, ხაჯიოღლისანი.

– თქვენ რაც ჩამოთვალეთ, ესენი გვარებია?

– ლახაბია და, გვარი არაა.

ღიახ, ომის შემდეგ ჭანის, დურჩელას (შდრ. დურჩა), მოლაუსუფის, ხოისას (>ხოიცას, ს:ც მონაცვლეობით), ქურჩუგის, მუჰელიმის ოჯახები მოსულან მურღულიდან... მოსულან და სოფელი აუშენებიათ, ადგილებზე ქართული სახელები დაურქმევიათ, ალბათ ის, რაც მათ სოფელში ყანა-ბახნებს ერქვა: ნაქერავი, წისქვილიკარი, ჭანები (უწინ უდომიდან ჭანები – ინფორმატორის შენიშვნა), ბოლო ყანა, ვაშლოვანი, ბადები.

რამდენიმე არაქართული ტოპონიმიც ჩაგვაწერინეს: დემიჩუფუნარი, ქილისე (იუნან ზამანიდე ყოფილან – ინფორმატორის შენიშვნა), დედე მეხერი, ჩამაილი ყანა (?), აჯელმა (წარე ვაშლი).

როგორც ვხედავთ, თერთმეტი გეოგრაფიული სახელიდან ექვსი ქართულია.

ქართული ტოპონიმია, ქართული მეურნეობა, ქართულად მოწყობილი ეზო-კარი... ქმნიდა იმ მიკროსამყაროს, რაც გადასახლებულს თავს მშობლიურ გარემოში აგრძნობინებდა, მიუხედავად იმისა, რომ ირგვლივ უცხოტომელები სახლობდნენ...

ჩანს, იოლი არ ყოფილა სოფელში დამკვიდრება. მუჰაჯირებს კომფლიქტები ჰქონიათ ადგილობრივებთან, იუნანებთან (ბერძნებთან):

– **იუნანები დედებსა დუუქოქებიან**, – გვეუბნება მემედ ალი ყილიჯი.

– **ძველათ ვინ არ ყოფილან ახსუში, გაურეკავთ დედებს**, – აზუსტებს მემედ ალის ნათქვამს ნეჯათ გურემჯი.

ბუნებრივია, **გარეკვა** თუ **დაქოქება** წინააღმდეგობების, გარკვეული ძალადობის შედეგია. რას ვიზამთ, დამკვიდრებისათვის ბრძოლაში ძლიერი იმარჯვებს, ეპატრონება სამკვიდროს და განაგრძობს ცხოვრებას.

– თქვენთან ქართული წერა-კითხვა ვინმემ იცის? ან ძველი დაზები ხომ არ გაქვთ სახლში?

– **ჩვენ ვერ ვწერავთ, ჩვენ მარტო დიდნენებიდან გაგონილებ ვიტყვით!**

– ახლო სოფლებში ქართული იციან?

– **ოსმანიეში დედებს ეცოდინებიან, გენჯებ – არა.**

– ხატილაში ქართული იციან?

– **ხატილა გურჯია, ჰამა ბუკზე არ შემოგხედავენ. ოზდახუთი ყურუშის გამიერ წეკინდლებიან. იმათი დარნობა და ჩენი დარნობა ადრია.**

– ახისხები უფრო ადრე მოვიდნენ თუ თქვენ?

– **იმათმა ჩვენზე მალ მოიდენ, კირქელლი** (ორმოცი-ორმოცდაათი) **წელი მალ მოიდენ.**

– სახლში რა საჭმელებს გააკეთებთ?



– კვერცხი, ხაჭო, ძიანი შორვა, ყაურმა, ფხალსაც ვჭამთ ზამთარში, დარგული გვაქვს, სიმინდის დაღეწილი, დანაყული, ერბოსაც დავასხამთ ბოლათ, მასაც ვჭამთ.

ხინკილასაც ვაკეთებ, შავ ლობიო, ძმარი, ნარდენგი (ჭანჭურიდან მათადულებდი, ჰემ ნარდენ გააკეთებდი, ჰემ ფესტილ), ვაშლსაც ჩაყრიან.

**ბურღულქურის დაღეწილი მიყრილი ლობიო, სიღორს გავაკეთავთ...**

ჩვენი ინფორმატორები მამაკაცები არიან, მრავალი კერძის სახელი გვითხრეს. ქაღალტონები ყოფილიყვნენ დასახელებული კერძების მომზადების წესსაც ჩავიწერდით, განსაკუთრებით ჩვენთვის უცხო კერძების, თუნდაც – ხინკილა. აბა ფხალი და ლობიო როგორ მზადდება კარგად ვიცით, ფხალ-ლობიოც.

– ქორწილს გადაიხდით. თქვენებური ქორწილის შესახებ მოგვიყვით!

– **ქორწილი ვქენევით (გავაკეთეთ – ავტ.). მოსულ კვირაზე სიძე წვევნა იქნებოდა. ახნი, ქორწილსავეფ იქნებოდა იშტე.**

**სიძეწვევნა** – საინტერესო კომპოზიცია, სიძის გადმოპატიუების აღსანიშნავად,

– მაყარი მოვა, „გვეეზობას იზამს“?

– **მაყრობა იქნება... ამეიდებს ფიშტოს, გუუხრიტავს ფიცარს. ფერხულიხან ბევრს დააყრიდენ.**

– მაყრობა ყველაფრის უფლებას აძლევს სტუმარს? ხომ არის რაღაც, რაც არ უნდა გააკეთოს?

– **არა, ყველაფრის გაკეთება არ იქნება. დედამ მოვა, ბერი, მესელა, ხალხში დაქცხეფს, თან დაგარტყმენ... თურქი სვამს, გურჯი უმფო მუსლიმანია (სიამაყით ამბობს იდრის ულისოი - ავტ.). ჩვენი დაჰა ზორ მუსლიმანი გამხდარან.**

– დიახ, მუსლიმანობისთვის, გარეგნულად მაინც, ემიგრანტადქცეული ქართველი, გურჯი, „უმფო მუსლიმანია“, ვიდრე ადგილობრივი თურქი. და ამაცობს ამით მუჰაჯირი, რომ მისი წინაპარი მუსლიმანობის სახელით განერიდა

ქრისტიანს, რუსიას, ქართველს და აქ მოვიდა, მუსლიმანებში დასახლდა... მუსლიმანობისათვის ეწამა, გაიჭირვა და დღემდე მოადწია...

საიფიედან **ალაჩამში** (ძვ. თეშვიქიე) გადავედით. ჯამიკარზე გავეჩერდით.

ალაჩამი მურღულიდან მოსულთა სოფელია, თუმცა ვერ ასახელებენ რომელი სოფლიდან წამოსულან მათი დედეები.

ჰაჯი უსუფ ოლბაშოღლი გვესაუბრება. მოსწონს ჩვენი ქართული, აღნიშნავს კიდევ:

**„თქვენსაც (თქვენსას – ავტ.) დაა ვაგნებ, იმათსაც (ქუთაისლების -ავტ) ჩეთინათ (ძნელად - ავტ.) ვაგნებდი“.**

ქალბატონი თინა, წესისამებრ, თხოვს ჰაჯი უსუფს, ლექსი უთხრას რაიმე. ისიც არ აყოვნებს:

**გემცინე, გამაცინე,  
ნუ ხარ დერდიანი,  
გამოდი, წიგოყვანო,  
თუ ხარ ჩემი ძარი.**

– ძალიან კარგია, აბა სხვაც გაიხსენე, გეცოდინება კიდევ, – აქეზებს თინა.

– **ოსმანმა იცოდა და განიავდა ჰაცხა!**

– სად განიავდა ოსმანი? – ვეკითხები, „განიაგებით“ და ინტერესებული.

– **მოკტა და!**

ჰაჯი უსუფი გაკვირვებით გვიყურებს, ყველა რაღაცას ვიწერთ, ვეკითხებით...

– **რას წერავთ?** – გვეკითხება შეწუხებული.

– სოფლის ამბებს ვსწავლობთ, ჩვენებურების ამბებს, ქითაბი’და დავწერთ ჩვენებურებზე, – ვუბნები მისთვის გასაგებ კილოზე

– **დასწერე და დემსწავლე, ძიაე!** – გვიწონებს საქმიანობას.

– **თურქული თუ იცი? მარტო გურჯობით რა იქნება?** – ვეკითხება თინას.

– კარგად არ ვიცი, უნდა ვისწავლო, – პასუხობს.

– პროფესორი გამხდარხარ, ჰამა თურქია არ გისწავლი-  
ა. ალთმიშ ბემ გამხდარხარ და რა'ნდა დეისწავლო – ხუმ-  
რობით საყვედურობს თინას და ყველა ჩვენგანს, „მარტო  
გურჯობით არ იქნება“, თურქულიც ისწავლეთო...

უპირატესობას გრძნობს ჩვენთან შედარებით ჰაჯი უსუ-  
ფი. ჩვენ მოვედით თხოვნით, ჩვენებურების ამბები გვასწავ-  
ლეო, თავად თურქულიც იცის და ქართულიც, ჩვენებურების  
ამბებიც... შევერცხვით პროფესორები ჰაჯი უსუფთან... არც  
რომ დაიჯერა, ვისწავლითო!

ვემშვიდობებით ჰაჯი უსუფ ოლბაშოდლის, მურღულელ  
ემიგრანტს და ორჰანქოში მივდივართ.

ორჰანქო ხატილელ მუჰაჯირთა სოფელია.

„ბითუმ გურჯი ვართ, ჩვენ მუსაფირი მოვა, თურქია  
მაშინ ვილაპარაკებთ. ბაღვები ართუხ ლელ-ლელა თურქი  
გახდენ. ცოტა მოდრონები მიხდებიან“ – გვეუბნება პირველი  
შემხვედრი ორჰანქოელი აჰმედ თეთიქი.

ცოტა გადაჭარბებული კია ახმედის შეფასება, მაგრამ  
მნიშვნელოვანი ფაქტია, რომ ემიგრანტმა ხატილელებმა  
ქართული იციან. გასათვალისწინებელია ისიც, რომ მუჰაჯირ-  
ი ქართველები, ჭოროხისხეობელები, ხშირად ქართულად  
ლაპარაკობენ მათი აზრით, სინამდვილეში ისე გადადიან  
თურქულზე, ვერც ამჩნევენ. მათი ქართული საუბარი სინამ-  
დვილეში ქართულ-თურქულია...

ყურადღებას მივაქცევ ქართველობის ახმედისეულ ხედ-  
ვაზეც: „ბაღვები ართუხ ლელ-ლელა თურქი გახდენ“, –  
„თურქი გახდენ“ ქართული რომ არ ისწავლეს იმიტომ. ახმე-  
დისათვის ქართველობის განმსაზღვრელი ნიშანია ქართუ-  
ლის ცოდნა. ესაა მნიშვნელოვანი მის მსოფლმხედველობა-  
ში.

ერთმა ლექსიკურმა ერთეულმაც მიიქცია ყურადღება,  
აქამდე რომ არ შეგვხვედრია – მოდრონები – მოზრდილე-  
ბის მნიშვნელობით (შდრ. დიდრონი - მოდრონი), შედარები-  
თი ხარისხის იშვიათმა ფორმამ.

- რა გვარები ცხოვრობთ ორჰანიში?
- დელი ჩაი, უზუნ ფათახ, თენტები, ბაღლი ყად, აღლი ყაფი, ჯემიეთი, ილმაზი, ოზერი, ბაშთარი, აიდინი, თემელი.
- ესაა ქართული გვარები?
- ესაა, სხვა არაა. ენ წინ ლაღაბი მქონებიან იშტე, ახლა ლაღაბი გედევდა: ყალინჯოღლი, ყაჯილოღლი, სეიდი-ოღლი, უსუფოღლი, ჭაღალოღლი.

ახმედი გვიყვება ბაბუამისის მუჰაჯირად წამოსვლის ტიპურ ისტორიას მრავალჯერ გაგონილს, მაგრამ მაინც საინტერესოს:

„დედემს ბაბოვს დედეს მოსლა არა და დედემ მახსოვს. ბათუმი ქი რუს იშხალი უქნია, დედემბა თქვა, ზარალი არ მომცესო... დედეს ნუფუსი ბათუმი ეწერა. იქიღამა ხოფაში ჩამოსულა, გემზე შემეღარა, ისტამბოლ ჩამოსულა, იქიდან ბურსას მოსულა იშტე. ბურსას ცოტა დამეღარან, იქ გაწუხებულან, ბუზები ყოფილა. იქ ორჰან ფაშა ყოფილა, უთხრობიან, ჩვენი სახლები ტყეში იყო, ტყეში გვინდაო. აქ მოსულან, ოცი ხანე ყოფილა, ახლა ძუზ ოთუზ ბეშ (ას ოცდათხუთმეტი – ავტ) ხანე გამხდარა. ჩვენ ხატილაფდან მოველთ.“

ახმედის ეპიზოდურ თხრობაში ჩანს მუჰაჯირად წამოსულთა მთელი თავგადასავალი. შთამომავლობის ხსოვნას ეპიზოდები შემორჩენია, მუჰაჯირობის ერთიანი ისტორიის აღდგენა საინტერესო და მნიშვნელოვანია. და კიდევ, ჩანს, ზეპირგადმოცემა უფრო ეპიზოდურია, ვრცელი, თანმიმდევრული თხრობა კოლექტიური მეხსიერებისათვის არაა დამახასიათებელი.

მე ლინგვისტი ვარ, დიალექტოლოგი და მოსახლეობის „ლინგვისტური“ ხედვა მაინტერესებს უპირველესად. განსაკუთრებული ყურადღებით ვუსმენ ხოლმე, როდესაც რესპოდენტი ერთი სოფლისა თუ ხეობის მეტყველებას მეორეს ადარებს. ეს შედარება უპირატესად ლექსიკის დონეს არ სცილდება. ახმედსაც უფიქრია თავისი სოფლის მეტყველებაზე და მურღურულზე შეუდარებია:

ისინი (მურღულელები – ავტ.) ეჰ (<ეს) იტყვიან, ჩვენ – აგო;

ისენი – მოხტიო, ჩვენ – მოდ;

ისენი – ენო, ჩვენ – ქესარი;

ისენი – მიწივაშლი, ჩვენ – ფათათესი.

ერთ ცნობას გვაწვდის ახმედი, რაც, ვფიქრობთ, გარკვეული დასკვნის საფუძველად გამოდგება: „ჩემ დედეს ტადად, მა რეჯებად, მა მუსტაფად რუსიას არ გამოუშვია, იქ დამჩალა. იქიდან ყველადა წამოსულან. ოჯალებში შიშები შუუყრიან, ხალხი არიან, ეგონონო... გუუყრიან, წამოსულან“.

ამ მცირე მოთხრობაში რამდენიმე ტიპური ეპიზოდია. განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს: „იქიდან ყველადა წამოსულან...“. ხომ არ არის ამ წინადადებით მთელი ხეობის ბედი გადმოცემული? ყველა წამოსულა ემიგრაციაში, ამიტომაც, რომ ახლა ხატილას ხეობაში ქართული არავინ იცის, ბურსელმა ხატილელებმა კი – იციან?! თუმცა აქვე თავს იჩენს ერთი კითხვაც: თუ ხატილას ხეობაში ახალი მოსახლეობა მოვიდა, საიდან იციან ახალმოსახლეებმა ძველი ქართული ტოპონიმები და გადმოცემები? საიდან ის ისტორიული მეხსიერების ნამსხვრევები აქ რომ შეხვდება კაცი? რატომ დაჩქარდა ასიმილაციის პროცესი ხატილას ხეობაში მუჰაჯირობის შემდეგ? ჩნდება კითხვები, რომლებიც ხატილელთა ბედზე გვაფიქრებს და რომლებიც პასუხს მოითხოვს.

სოფლის ცხოვრება გვაინტერესებს ზოგადად, აქაურ ხატილელთა – უფრო მეტად.

– ახმედ ბატონო, აქაურები რას ისაქმებენ?

– აუღლუდი (ჟოლო – ავტ.) არი, ინგლიზი (ფათათესი – ავტ.) არი, ლობიო, სიმინდი ჭამისთვი არი... დორები მაჯაგრებენ... აქაგრები ზაათი შეერში საქმობენ, კამიონჯლობას იჯებიან.

– საქონელს არ ინახაეთ?

– **ძროხები ხყავან, იმ ტყეშია (დაიღებზე) ახლა (მეზობელზე მითითებს – ავტ.), ძროხები ხყავს ამასა.**

ბარემ ვიტყვი, **ხყავან, ხყავს** ზმნური ფორმები საინტერესო მოულოდნელობაა ხატილელთა და კლარჯ მუჰაჯირთა, ზოგადად, მეტყველებაში.

ჯამის ეზოში ხატილელები იყრიან თავს: ზივერ ოხერი, მემედ ოხერი, ხუსეინ აქად, ოსმან ყადა, დურსუნ აიდოუდუ...

შეგვატყვევს, აქაურთა მეტყველება რომ გვაინტერესებს და თავადაც ცდილობენ თავიანთი აზრი გამოხატონ:

– **მე ვაგნავ, ძავ!** – გვეუბნება მემედ ოხერი.

– **ჩვენ არ დამავიწყდენ გურჯული,** – ლაპარაკში ერთვება ოსმან ყადა.

ზივერ ოხერი უფრო შორს წავიდა და ერთი, ჩვენთვის არცთუ უცნობი, ლექსი გვითხრა:

**ერთ ბახში ვიყავ ვარდის კუკული,  
ტირილში, ტირილში დიმილბა გული,  
დუშნებმა გეიხარონ, ამომძრეს'და სული,  
ღმერთო გამჩენო, შენ შემობრალე!**

**ოსმან, აქ მთი!** – გასძახა ხუსეინ აქაიმ მეზობელს და ჩვენსკენ მოაბრუნა, თავად კი ერთი სტრიქონი კიდევ მოგვიმღერასავეთ:

**გაღმა ხყვირის, რა ხყვირის,  
გამოდმისკენ ოღოლი,  
ყველას თითო ქალი ხყავს,  
ოსმანას ბაბოს ხყავს ოროლი!**

ახლა კი მივხვდი, რატომაც მოაბრუნა ზივერმა ოსმანი, გამოჯავრება უნდოდა მისი.

– მაიკო, ეს ს'ანიანი ფორმები მაფიქრებს ხატილელთა მეტყველებაში: **ხყვირის, ხყავს...** ანალოგიური ფორმები გვხვდება ქობულეთურში, სხვა კიდეებშიც. საინტერესოა, ს'ანის ხმარებას სისტემური ხასიათი ხომ არ აქვს?

– თითქოს მოულოდნელია, მეთანხმება მათ, მაგრამ შესაძლებელია, ენის შინაგანი განვითარების გზით ცოცხალ მეტყველებაში ერთი და იგივე ფორმები ჩამოყალიბდეს.

– ასეა, სხვაგვარად აუხსნელია იგივე „ხანმეტი“ ფორმები ქობულეთურში და ხატილურში.

თინასა და ხატილელთა საუბარი მესმის:

– ქორწილში როგორ მხიარულობდით? – კითხულობს ქალბატონი თინა.

– ახლა დავლ გამოიყვანდენ, ჩამოთლიდენ: „ოჰო, ვოჰო...“ ისე იფერხულებდენ იშტედა!

– შენ გიფერხულია?

– მე მი? მე ასე არ ვიყავ, გენჯი ვიყავ, და!

დიალოგი ჩემთვის საინტერესო ხდება!

– მუჰაჯირად რომ წამოვიდნენ, დიდხანს დარჩნენ გზაში?

– ართვინიდან წამოსვლიდან დედები მოდიან ხარებშებმულ არაბადთ, გზაში ამათებისთინ ფორთოქალი მუუცემიან. რაწა ვჭამოთო, არ იციან. ვაშლისავენ მუუკებნიან. მასკვან გუუფურჩქვნიან, უჭამიან, უამებნიან.

– ამხელა გზაზე წამოვიდნენ, ჭამა ხომ უნდოდათ?

– უნდოდენ, აბა! ფურიც ყავან, დილა-საღამ დადიან, ფურის მოსწველვენ, შეჭამენ, მოსულან ისე ბურსაში. ბურსაში მოვდენ ორჰან ჯამეში დააჟდუმლეს. აქა ვერ ვიცოცხლავთ ჩვენო, ტყიდან მოსული ტყეში წევდეთო!

ვისმენ ამ ისტორიებს. ზოგი იოლად მოსასმენია, ზოგჯერ ირონიაც გამოერევა თხრობაში, ზოგიც – ძნელადსასმენია, ტრაგიკული შინაარსის გამო.

რეჯეპ ზეიბეგი ამ სოფელში მოსვლის ეპიზოდს გვიამბობს, რითაც ერთგვარად ივსება გზა ხატილადან – ირჰანქოიმდე: ბურსაიდან [კაცები] გუუგზანიან ცხენებით. ენიშეილ გასულან, საღამოზე მოსულან აქ: ბევრი ცხელა, აქ ბევრი ცხელაო და მერე თეველი აქწა წევდეთო. აქ ფათიკაა გზა ყოფილა, ი წყალი უსვიათ, მოწონებნიან, გემრიელი ყოფილა... აქ მოვდენ, დაჟდენ...

ჩვენს საუბარში შუადღე გადაიარა, იქინდის ლოცვაზე მოიხმო ხოჯამ მორწმუნე ხატილელები. ჩვენც წამოვედით. გზად **ოსმანიეში** შევიარეთ. ქართული არ იციან. ჩაძიების შემდეგ ერთმა გვითხრა, ჩვენც ხატილელები ვართო, მეორემ, არა, მურღულიდან ვართო.

ვერ შეთანხმდნენ ოსმანიელები ხატილელები არიან თუ მურღულელები. ერთი კი ნათელია, ქართული არ იციან ოსმანიელმა „გურჯებმა“, იციან მხოლოდ, რომ მათი დედები გურჯები იყვნენ...

**12 ივლისი, შაბათი.** დილით ბურსაში წამოვედით, გზად ასმედი დავიმგზავრეთ, ჩვენი გამცილებელი, ქალაქში ენვერ დემირს შევხვდით.

დღეს მეც წამოგყვებითო, ენვერმა.

ავადმყოფობს ბოლო წლებში ენვერი. ჯავრობს, ვერ შეეძელი თქვენთან ერთად ვიყო, მე მინდოდა თქვენთან ერთად მომეგლო ბურსის ქართული სოფლები, ავადველი ვარო... ასმედს ვთხოვე თქვენი მეგზურობა, გულიანი კაცია, ყურადღებას არ მოგაკლებო, ყველგან მიგიყვანო.

– მადლობა, ენვერ, ყურადღებისათვის. ასმედი ყოველდღე ჩვენთანაა, არ გეშორდება. დიდი მადლობა, რომ კიდევ ერთი კარგი ჩვენებური გაგვაცანი. ასმედისთანა კაცები ბევრი არ არიან დუნიაში...

– სამადლობელი, რაია, დიდ საქმეს აკეთებო, ჩვენც ხომ უნდა შეგიწყოთ ხელი?

**სულეიმანიეში** ავიდეთ ახლა, მაღალი სოფელია, – გვთავაზობს ენვერი.

მაღლე სულეიმანიეში ვიყავით.

ჯამესთან გაჩერდით. ახალი, თანამედროვე ნაგებობაა. ეზოში მოხუცი შეგვხვდა, დაბიდან ვართო მოსული, იმერხევიდან.

– კიდევ რომელი სოფლიდან მოსულეები ცხოვრობენ აქ?

– **ტანძოთიდან არიან, დოლისყანიდანაც!**

ზარმაცად გველაპარაკება მოხუცი. თავისთვის იჯდა, მზეს ევიცხებოდა, თავის ფიქრებს მისცემოდა. ჩანდა, სრუ-



ლიდაც არ იყო ჩვენი აბეზარი კითხვების პასუხის გუნება-ზე.

დიდხანს აღარ გაეჩერებულვართ დაბელ სულეიმანიელ-თან. ქართული აქ არავინ იცის. ახისხადან მოსულები ვართ, ქართული არც ჩემმა დედ-მამამ იცოდნაო, – გვეუბნება ჯემალ თავშანი.

ერთი რამ გვითხრა ჯემალმა ყურადსაღები და დასამახსოვრები: „ძველათ **ქართველები ვყოფილვართ, მაგრამ ჩვენ ლაპარაკი არ ვიცითო**“.

ამ ერთ წინადადებაში ჩვენებურთა ცნობიერების ერთი საინტერესო შტრიხია საზგასმული: „ძველათ ქართველები ვყოფილვართ“, ეს მაშინ, როცა მისმა წინაპრებმა ქართული იცოდნენ, მაგრამ შთამომავლებმა დაკარგეს ქართული, აღარ ისწავლეს, დაკარგეს – იდენტობაც. ქართველობის მთავარი ნიშანი ქართული ენის ცოდნაა...

ქართული არ იციან **სოუთფუნარშიცო**, გვითხრა ჯემალმა, საიდან არიან მოსულები იქაური ქართველები არ ვიციო.

მაინც ავედით სოუთფუნარში, გვსურს, ვნახოთ სოფელი. მემედ შირინი გავიცანით, აქაური კაცი.

მემედმა ქართული არ იცის, ენგერი თარჯიმნობს, თან ბრაზობს, ქართული რაფერ დეივიწყესო. მემედის ცნობით, სოუთფუნარში **ჯმერკიდან, დაბიდან და ბერთადან** მოსულები ცხოვრობენ.

**ცნობისათვის:** ენგერი თავად კარგი მექართულეა. იცის შავშური ქართულიცა და მწიგნობრულიც. იგი ხშირად სტუმრობს საქართველოს, განსაკუთრებით თბილისს, სადაც შვილი და შვილიშვილები ცხოვრობენ. ბათუმშიც შემოგვივლის ხოლმე, მოგვინახულებს, მოგვისიყვარულებს და გზას განაგრძობს: თბილისიდან მომავალი იმერხევში გადავა, ბაზგირეთსა და კარჩხალას ხეობას მოივლის და ბურსაში შემდეგ დაბრუნდება. წელს ადრე შემოდგომაზეც გვეწვია ბათუმში ენგერი მუსტაფა უზუნთან ერთად...

სოუთფუნარის დაგეგმარება იქცევს ყურადღებას: სახლები ბუდეებადაა განლაგებული, ვუწოდოთ მას **ბუდლობრივი**

**დასახლება.** ერთ ბუდეში რამდენიმე სახლია და ქმნის პატარა უბანს. შესაძლებელია, აქ დასახლების იმავე სახეობასთან გვაქვს საქმე, რომელიც ყველაზე კარგად მაჭახელმა შეინახა (ჩანს სხვა ხეობებშიც) და მისი სახელწოდება -ეთ სუფიქსითაა გაფორმებული: კახიეთი, ძნელიეთი, ქონდარეთი...

მე ასეთი დასახლება დავინახე სოუთფუნარში.

სოფელში წყლის ჩამოსასხმელი საამქროა. გვითხრეს, სოფლის მამასახლისი იქ იქნება, იმან იცის ყველაფერიო?

საამქროში ჩავედით, მუხტარი არც იქ დაგვხვდა. დაურეკეს და ჩვენც დაგვალაპარაკეს. მისი ინფორმაციით, ეს სოფელი ქართული არ არის. აქ ჯმერკელები, დაბელები, საქლარელები ვართო, ახისხელი თურქები.

ახისხელ თურქობას იხეებენ ჯმერკელებიც ჯმერკში...

ჯმერკის ახალი მოსახლეობა თუ ახისხელი თურქებია, სად წავიდნენ ძველი ჯმერკელები? ნუთუ არავინ დარჩა მათი შთამომავალი? მე მაინც მჯერა, ახისხელი თურქების საფარქვეშ მშობლიურენადაკარგული კლარჯები არიან. ამის თქმის უფლებას ისიც მაძლევს, რომ ახალმა ჯმერკელებმა ბევრი რამ იციან ძველი ჯმერკის შესახებ, მათ მეხსიერებას ჯერ კიდევ ახსოვს ქართული გეოგრაფიული სახელები, ძველი გადმოცემები და აქაური ქართული ვაზის ჯიშებიც კი. ისიც იციან, რომ აქ ძველად ვაზი კარგად ხარობდა და კარგ ღვინოსაც წურავდნენ აქაური ყურძნისაგან...

სოუთფუნარს გაღმა **კარაისლაჰია**, მუჰაჯირთა სოფელი. გვითხრეს, არც იქაურებმა იციანო ქართული.

შუადღეა. გადავწვიტეთ, სადმე გვესადილა.

– *ულუდაღის ტყეში* ავიდეთ, იქ საპიკნიკე ადგილებია, იქ ვისადილოთო, – შემოგვთავაზა ენვერმა.

– შენ იცი აქაურობა, ენვერ ბატონო, წავიდეთ ულუდაღის ტყეში, ვისადილოთ და დავისვენოთ კიდევ, – მოვუწონეთ აზრი ენვერს.

რამდენიმე წუთის შემდეგ ულუდაღის ტყეში ვიყავით: ფერდობზე შეფენილი ნაძვნარია, სუფთა და მოვლილი. მოზ-

რდილ მინდორზე ავტოსადგომი გაუმართავთ, ტყეში, ხეების ქვეშ მაგიდები დაუდგამთ, კოცონისა თუ მაყალისათვის ადგილები გამოუყვიათ... აქ კარგად შეიძლება გაერთოს დიდი ქალაქის რიტმს გარიდებული კაცი.

ჩვენც ერთი ხის ქვეშ გავშალეთ სუფრა, ვისადილეთ, სურათები გადავიდეთ, ვილაპარაკეთ... ჩვენი საუბრის მთავარი თემა ძნელი მისახვედრი არაა: მუჰაჯირობა და ბურსელი ქართველები, თუმცა ენვერი და ახმედი ხშირად ცვლიდნენ საუბრის თემას და საქართველოზე გვეკითხებოდნენ.

**13 ივლისი, კვირა.** დღეს **გემლიკში** წავიდეთო, დილით გამოგვიცხადა ახმედმა, ჩვენი ექსპედიციის გზამკვლევა.

– წავიდეთ! – დაეუდასტურეთ ჩვენც.

გემლიკი მარმარილოს სანაპიროზე მდებარე მოზრდილი ქალაქია, 101000 მცხოვრებით, ყოველ შემთხვევაში ასე გვამცნობს ქალაქის შესასვლელში გაკეთებული საინფორმაციო აბრა.

– არა, ეს აბრა რაც გაკეთდა, მას შემდეგ არავინ დაბადებულა გემლიკში? აბრას ჟანგი მოჰკიდებია, ჩანს, კარგა ხნისაა, – ხმამაღლა ვამბობ მე და ყოველი ქალაქისა თუ დაბის შესასვლელში გაკეთებულ საინფორმაციო აბრაზე დატანებული წარწერის ჭეშმარიტებაზე მივანიშნებ ექსპედიციის წევრებს.

– აბრა წუხელ გააკეთეს, ყოველ დამე ცვლიან, დღეს დაბადებულებს ამაღამ თორმეტის შემდეგ აღრიცხავენ! – მთელი სერიოზულობით ამბობს ზაზა.

მოდით და ნუ დაიჯერებ, „ზაზამ ხომ ყველაფერი იცის“, რაც ამ ქვეყანაში ხდება. გაკვირვებული ახმედი თვალეზღვართობული ისმენს ჩვენს საუბარს, ზოგიერთი იშმუშნება, ვერ გაურკვევია, ვხუმრობთ თუ სერიოზულად ვმსჯელობთ. არადა სრულებითაც არ გვეტყობა, რომ ვხუმრობთ!

ქალაქს გვერდით ჩაგუარეთ, უდედტეხილზე მიმავლები ზემოდან დავეურეთ ყურეში გაშენებულ გემლიკს.

მშვენიერია გემლიკი. ადელვებული ზღვის ტალღები ალბათ სახლებამდე აღწევს. ირგვლივ ზეითუნის ტყეებია...

უმურბეის გადასახვევზე გადავუხვიეთ. ვიცით, ზემოთ ქართული სოფლებია. ვნახოთ, რამდენად შეინარჩუნეს თავიანთი იდენტობა აქაურმა გურჯებმა.

სოფელ **ადლიეში** ავედით. მდიდარი სოფელია ადლიე: ლეღვი, ტყემალი, ვაშლი, მსხალი, ატამი... მრავალფეროვანი ხეხილი ჩანს კარგად მოვლილ ეზო-კარში.

აქაურთა წინაპრები ისტორიული კლარჯეთის სოფლებიდან, – ირსა, სინკოთი, ბეშავი მოსულან. პირველი შთაბეჭდილება ასეთია: ადლიეში ქართული არ იციან.

ალი ჩელიქი გაგვეცნო, 71 წლის მამაკაცი.

– რამდენი სახლია ადლიეში?

– **ძუზ ირმი (120) იქნება!**

– და ყველა გურჯია?

– **გურჯები იყვნენ, გურჯული არ იციან. ერთი-ორი თუ ლაპარაკობს ქართულად.**

120 ოჯახი ერთ სოფელში გათურქებულა, 500 კაცი მაინც შერთვია უცხო კულტურას, სხვად ქცეულა. სხვადქცევის პროცესი გარედან მხედველისათვის რთულია, უშუალო მონაწილე კი ვერც გრძნობს, როგორ ხდება სხვა კულტურის ნაწილი. სხვადქცევის გზაზე გასათვალისწინებელია თაობათა შორის მსოფლმხედველობითი დაპირისპირება: მამები ძველი ტრადიციებისა და კულტურის ერთგულნი არიან უმეტესად, ახალთაობა – ახალი ცხოვრების მიმდევარი. კულტურათა დიალოგის შედეგს ეს დაპირისპირება საბოლოოდ ვერ ცვლის, თუმცა დიალოგს დროში წელავს და ახანგრძლივებს.

– დედებმა იცოდნენ ქართული?

– **ირსადან მოსულებმა ქართული იცოდნენ, სხვებმა – არა! ახლაც ასეა, რვა ირსულმა ოჯახმა ქართული იცისო,** – გვითხრა ალიმ.

მნიშვნელოვანი ინფორმაციაა, რვა ირსულმა ოჯახმა ქართული იცისო! და კიდევ: რვა ოჯახი ბათუმიდან წამოსულაო, ალიმ, რომელი სოფლიდან ვერ ასახელებს. საფიქრებელია, ის რვაც კლარჯული ოჯახია; ბათუმიდან მოვედი-

თო, რომ ამბობენ, იგულისხმება, კლარჯეთის ეს უბანი მუჰაჯირობის დროს ბათუმის ოლქში შედიოდა.

ალი ჩელიქის მონათხრობიდან ვგებულობთ, რომ მისი ოჯახი რუსეთ-თურქეთის ომის შემდეგ წამოსულა ემიგრაციაში, თან წამოუყვანია ცხვარი, ძროხა, ცხენი... და ჯერ ბორჩხას, იბრიკას მოსულა, იქაც „ვერ გუუსვენიან“, წამოუსხამთ, რაც ჰყავდათ და წამოსულან. დედებს მამა ართვინში მომკვდარა, სხვები – აქ მოსულან. ნაწილი მუჰაჯირობიდან უკან დაბრუნებულა ართვინში, ნაწილიც აქ დარჩენილა...

ალის ოჯახის თავგადასავალი დიდად არ განსხვავდება სხვა ემიგრანტების თავგადასავლისაგან: დედაწულიანად აყრა, გაუსაძლისი მგზავრობა, ახალი მიწის ძიება, ბრძოლა ახალ ქვეყანაში დასამკვიდრებლად... განსხვავებულია პერსონაჟები და თითოეულის ხვედრი უცხო ქვეყანაში.

ბატონმა ალიმ გემლიქის ქართული სოფლები ჩამოგვითვალა: **ხამიდიე, ჰაიდარი, სელიმიე, სოუქსუ, ჩადრა, ბელქეჩე, ჰაირიე, ადლიე.** და მთავარი: *ადლიეს გარდა, ყველა სოფელში ლაპარაკობენ ქართულად.*

გაგვიშინაურდა ალი ჩელიქი, მეზობელ სოფელშიც გამოგვევა მეგზურად.

**ხამიდიეში** ავედით. სოფლის მამასახლისი, აიჰან გუნდოღლი გაგვეცნო, შემდეგ – ეროლ აქსოი, იაშარ იფეკი და ოსმან დოღმეზი.

ხამიდიე მექართულე სოფელია, მხოლოდ ტაოელ მუჰაჯირთა შთამომავლებმა არ იციან ქართული. სოფლის მოსახლეობის უმეტეს ნაწილს ადაგულიდან, ბორჩხიდან (ორივე კლარჯეთშია – ავტ.) და მაჭახლიდან მოსულთა შთამომავლები ქმნიან.

აიჰან გუნდოღლი მოგვითხრობს ხამიდიელი გურჯების მუჰაჯირად წამოსვლის ამბავს: „ოსმანლერ-რუს სავაში იყო, წამოვდენ. ფეხით წამოსულან, გზაში მომკტარან თელი. ავადველი გახდენ. ჰემ აქ არ მოსულან, დუზი ძერებიდან მიწა მუუცემიან, ავადველობა ყოფილა, წამოსულან. დიდი ზღვის

ქენარში მიწა მუუცემიან: აქ რა'ნა ვქნათო, ვერ დავთესავთ, ვერ მოვხნით... ამდგარან, აქ ტყეში ამოსულან. ახო უტეხიან, ყანა უთესიან, ღობიო, პური, თუთუნი უთესიან, ტყიდან შიშა ჩამუუტანიან... ზეთინი მემრე უქნიან...“

გრძელი ისტორია მოგვითხრო აიჰანმა მოკლედ, კონკრეტულად. უკვე მესამე წელია ვისმენ ასეთ თავგადასავლებს. ვისმენ და სევდა მიპყრობს, ემოციებით ვივსები... რამდენი გადაიტანეს, რომ დამკვიდრებულიყვნენ, საცხოვრისი მოეწყოთ, მეობა შეენარჩუნებინათ... ბუნებასთან და უცხოტომელებთან ბრძოლაში გამოიწროთ ემიგრანტთა თაობები...

– თქვენს სოფელში ბევრი ზეთუნია, ნაყოფს ადგილზე ამუშავებთ თუ ყიდით, ან აბარებთ სადმე, სადაც გადაამუშავებენ?

– ზეთინი გვაქ, მედცრევე, ხეებიდან თექ-თექ მედცრევე, გაარჩევე, დიდვანები-პაწვანები გაარჩევე. დიდვან ჰაუზებში შიგან ჩაყრი, მარილი მააყრი, ერთი კილო ზეთინი, ასი გრამი მარილი. წყალ ჩაასხამ, ზეიდან ფიცრებ დაახურავ, ზეთუნი კამ გახდება, ექსი თვეზე გახდება.

ერთიც გოდორში ვიქთ: ჩაყრი, კენჭი მარილი მააყრი, ოცი დღეზე იქნება, მაღე ჭამავ. წვიტი ზეთუნები, თუ არ გჭირია, გუურევე გემლიქ წვილებ...

– ზეთს როგორ აკეთებენ?

– ესკიდან ფეხით დაჩეხევდენ, ისე გამეფლებდენ, ახლა მაქინა აკეთავს.

– ზეთუნის მოვლა ძნელია?

– ჩიჩეგი გამეფლებს, ჰოტოტებმა არ შეჭამონ, ილაჯი'და მიასხა...

პირველად შევხვდით მუჰაჯირთა სოფელში ზეთისხილის კულტურას, უფრო ამიტომაც მაინტერესებს მისი მოვლა-დამუშავების ტექნოლოგია. შრომატევადია ზეთისხილი, ძნელია მისი მოვლა, მოყვანა, ნაყოფის დამუშავება... იოლი ზეთისხილის ჭამაა მხოლოდ და სასარგებლოც (შდრ. იოლი ჯამში ღობიოს ჭამაა – აჭარული სიბრძნე).

– საკარმიდამოში ბევრი რამ ჩანს. რას რგავთ, რას თე-  
სავთ?

– **სიმინდი, ლობიო, მუხუდო, კიტრი... ვაშლი, სხალი, თუთა... ბევრია აქ მეივა.**

– ხილის რა ჯიშებია?

– **ვაშლი:** წითელი ვაშლი, თეთრი ვაშლი, პანტა ვაშ-  
ლი...

**სხალი:** გოქსული სხალი, პურობიხან იქნება, ზამთრის  
სხალი არი, გვალი სხალია.

ქლიავი, ჭანჭური.

**კაკალი არი.** ელჯივადს ნიგოზს უძახიან.

– ყურძენი ბევრი ჩანს, ღვინოს არ დააყენებთ? – ხუმ-  
რობით ვეუბნები ალის.

– **შარაბ დააყენებ, ხოჯა გაგულიანდება...**

– ხოჯა არ უნდა გააგულიანო! პურს რომ დათესავთ,  
როგორ უფლით ყანას, მოსავალს როგორ მოიწვეთ?

– დათესე, იმის უკან გეიზდა, თავები იქს. ხელით მოფ-  
ტრავთ, მანგალით, ნადი იქნებოდა, ენწინ ნადით მოფტრეფ-  
დით, ხარები გეყავდა, ხარი არაბაით მოფტანავთ, ერთი-ერ-  
თზე მოფყრავთ ლამაზათ, კევრით იტრიალე და იყავ. გავ-  
ლეწავთ. იმის უკან *უუბზევებთ*, დაბადთ (ნიჩბით – ავტ.), იმი  
უკან პური – სამანი გეერჩევა. დედეებში წევდებთ პური კა-  
კალს, გავრცხავთ, ქეფელი-ფალანი გეერჩევა, სახში მოფტა-  
ნავთ, გაფინავთ, განმება ისე. იმის უკან წისქვილში დავაფ-  
ქევეიფთ, კეცში ვაცხობდით, იმი უკან ვჭამდით.

აიჰანმა მთელი პროცესი დაგვიხატა პურის დათესვიდან  
– ჭამამდე.

საყურადღებო ზმნური ფორმები და ლექსიკური ერთეუ-  
ლები ჩავიწერე: **გეიზდა, მოფტრავთ, მოფტრეფდით, მოფტა-  
ნავთ, მოფყრავთ, გავრცხავთ...** ასევე მომეწონა **აბზევება –  
განიავების** მნიშვნელობით. კლარჯულ კილოზე საუბრობს  
ჩვენი რესპოდენტი, რაც მნიშვნელოვანია. აიჰანი კარგი  
მთხრობელია, იშვიათად რომ შეხვდებით მუჰაჯირთა შორის,  
ამასთან მნიშვნელოვანი ინფორმაციის მატარებელი.

– პურს აცხობდით. პურს კატუღი (მისაჭმელი – ავტ.) ჭირდება, რა საჭმელებს გააკეთებთ ოჯახში?

– ქუჩუბო, ლობოსაგან აკეთებენ. გაახმოებდენ [ლობოს], იმით გააკეთებდენ ქუჩუბო<sup>22</sup>. ლახანას გააკეთებდენ, ღერდილ გუურევენ; ყველი-დალი<sup>23</sup>, დო, მაწონ გაგაკეთავთ...

მაწონ ენწინ სადღობელში არყევდენ და...

– ბატონო აიჰან, ამ სოფლის გვარებიც გვითხარი, ესკი გვარები.

– ლაყაბი იყო, სოდხმი არ იყო!

– ლაყაბი გვითხარი!

– ფილოღლი, ბადახტაროღლი, მუთოღლი, მაამუდხოჯაოღლი, ყადბეგები, ზორებეგი, მეღეგოღლი, ფუტუროღლი, ყარახსმანოღლი, თელოღლი, ხოჯიოღლი, მამუშოღლი, ფითოღლი, რეჯებოღლი, ჩოხადრები.

– ლაყაბს რატომ მუუგონებდენ?

– გაგუღიანდებოდა კაცი, ლაყაბ ეტყოდი, ძეგლი ეტყოდი: *ბეშავლი, შავშურაჲ, ყარადები...* რა ვიცი, ეტყოდი!

ნამდვილი კლარჯული სოფელი მოუწყვიათ აქ, კლარჯული ადამ-წესებით, – გადაგულაპარაკე მალხაზს, რომელიც პირდაპირ წურავდა ხამიდიელ მამაკაცს...

– აიჰან, ადგილის სახელები ხამიდიეში ქართულია თუ თურქული?

– გეტყვი და შენ მიხტი: *მომწვარები* (||საკანაფო), *ბელენგური*, *ყაზანგოლი*, *ვაკე*, *მადლაყანა*, *ზეგნები*, *ხამები*, *ოვები*, *მოკაფული ყანა*.

---

<sup>22</sup> ქუჩუბო იგივე უნდა იყოს, რაც აჭარული – კერჩხი ლობიო. მასსოვს, ჩვენთანაც აკეთებდნენ: გასახმოზად ყველა ლობიო არ გამოდგება. „ბამბა ლობოსს“ (თეთრი პარკები აქვს – ავტ.) აასხამდენ ძაფზე, ნალიაში ან აივანზე დაკიდებდნენ და გაახმოზდნენ. ზამთარში მოხარშავდნენ და უმთავრესად კაკლით შეაზავებდნენ: კაკალი, ქინძი, პრასი, ყორავო (ქობულეთური – ჟავე, გურული – კვაწარახი...), ნიორი, მარილი, პიმპილი. არ იყო ურიგო კერძი, კეცზე მჭადსაც თუ გამოაცხობდნენ და ყველიც იქნებოდა...

<sup>23</sup> შდრ. აჭარული ბორანი, შავშური – მოხრაკული, ქვემოაჭარული – დაღში-ყველი...



– ყაზანგოლის გარდა ყველა ქართულია, მასაც ხომ არ აქვს ქართული სახელი?

– მე არ ვიცი, ჰელბეთ ექნება!

– ბევრი საინტერესო ამბავი მოგვითხრეს აიჰანმა და მისმა მეზობლებმა. რამდენიმე დიალექტოლოგიურად საინტერესო ფრაზაც ჩავიწერე:

– **კანაფს თესებდენ, თოკვი აკეთებდენ;**

**ჩარხმა ქვა დაატრიალებდა;**

**თელ სახლებში ოჯახები მქონდენ: კეცი მიაყუდებდენ, ჭადი დაგაკრევედი. ჯაჭვი ქონდა ხეზე (დემირზე) ჩამოკიდული. სიმინდი სირსვალ მაადულებდენ ნადობაში;**

**სიმინდებ ჯვალებში ჩაყვრიდით, შიშებით დაფუშავდით, გარგანით, ტოკმაცით (შდრ. ტოკვეცი);**

**სიმირიდან ქვაში პური ჩამეყრებოდა;**

**ერთ ჯვალზე ერთ ოყას მისცემდა ჰახი (მინდი – ავტ.).**

სხვის წისქვილში თუ დააფქვევდი, მინდიც უნდა გადაგეხადა, ასეთი იყო წესი, რაოდენობაც განსაზღვრული იყო. მეწისქვილის შრომა შესაბამისად ფასდებოდა...

რამდენიმე საინტერესო სიტყვაც გავიგონე:

**გამოფაქვა – გამოწმენდა<sup>24</sup>;**

**ღერღელი – ხასაქვა (ხელსაფქვა. ხელის წისქვილი, რითაც ღერღავდენ);**

**სადიკველი – ბურღულ ამონაყვედენ, ჩანაყვედენ (შდრ. საცეხველი);**

**ხუტურო – ქენარებში თაროები იქნებოდა, ხუტუროები....**

ეროლ აქსოიმ ოჯახში მიგვიწვია. ახალი სახლი აუგია შემაღლებულზე. ეროლის სახლის აივნიდან მშვენიერი ხედი იშლება, ზემოდან დაყურებთ სოფელს: ფართე ველზეა გაშენებული ხამიდიე, ბალ-ვენახებით დამშვენებული. მრავალ-

---

<sup>24</sup> ჩვენთან, ორთაბათუმში, **გაფაქვა** გამოგონია, ოღონდ სიკვდილის მნიშვნელობით. თუ გავითვალისწინებთ, რომ სიკვდილი აფაქვს, ასუფთებს, მაშინ გასაგები გახდება **აფაქვს** ზმნის აჭარული მნიშვნელობა. იხმარება გადატანითი მნიშვნელობითაც: **გაფაქდა** ნიშნავს: **გათხოვდა** (უფრო გაბრაზებულ გულზე იტყვიან), **წავიდა**, **წაიღო**...

გვარი ხეხილი... წინათ პურიც უთესიათ ხამიდიელ გურჯებს, სიმინდიც, საქონელიც უშენებიათ და ხარებიც უჭედნიათ, კალოც უღეწიათ და წისქვილიც გაუმართავთ. სოფელს სოფლის ცხოვრებით უცხოვრია. დღეს ძველი მეურნეობა მოშლილია, ბურსას ან გემლიქს საქმობს აქაური კაცი...

სასიამოვნოა, რომ მთელი სოფელი ქართულად ღაპარაკობს. ვისადილეთ. სოფლის ორღობეში გავიარეთ. გვსურს, დავტკბეთ სოფლით, უკეთესად აღვიქვათ გარემო...

ტიპური ქართული სოფელია, თავისი ორღობეებითა და კეთილი მასპინძლებით.

მთელი სოფელი გვაცილებს, ვემშვიდობებით ხამიდიეს.

**ჰაიდარიეში** (ძვ. ელჯივა) გადავედით. ცხელა. შუადღის მზეს ეფარებიან ჰაიდარიელი ჩვენებურები ხეების ჩრდილში. იქვეა ყავახანა (ყაპვე – როგორც აქ ეძახიან), ღობის გადაღმა ჯამე. ჩვეულებრივისაგან განსხვავებული დღეა, ცარიელ მაგიდებს მისხდომიან ჰაიდარიელები, რამაზანია და იმიტომ, სხვა დროს ჩაი და ყავა ექნებოდათ. ჭიქა ჩაიზე და ფინჯან ყავაზე შეიძლება მთელი დღე შეექცეს აქაური კაცი...

შევუერთდით ჰაიდარიელ გურჯებს. წამოიშალნენ, მაგიდებთან მიგვიწვიეს, გაგვეცნენ, გაიხარეს, ბათუმელები რომ აღმოვჩნდით...

მაგიდას სამნი ვუსხედვართ: **ისმაილ ახვლედიანი** (ძვ. კირისილოლი, ახლა ასლანი), **ხუსეინ ჯიჯავაძე** (ალთუნი) და მე. მალე კიდევ ორი მამაკაცი შემოგვიერთდა: **ერჰან ბექი** (ბექიროლი) და **ახმედ კაინაკი** (ვარაუდობს, რომ მისი ძველი გვარი ღლონტია). ვსაუბრობთ. გუღია, ალალი გურჯები არიან ჩემი მასპინძლები, და რაც განსაკუთრებით მსიამოვნებს, – კარგი მექართულები. პირველი განცდა, რაც აქ დამეუფლა ისაა, რომ თავი მახინჯაურში მგონია, თუნდაც ქობულეთში ან ჩაქვში, ამათ საუბარს რომ ვისმენ. მაინც რა ჩვენებურად უქცევენ?!

– ბატონო ისმაილ, მახინჯაურში ცხოვრობენ ახვლედიანები. იცნობთ ბათუმელ ახვლედიანებს?

– კი ვიცნობ, ერთი რექტორი იყო უნივერსიტეტის, მისი ბიჭი დეპუტატი იყო... ბევრი ვიცი მათზე.

– დიახ, ბატონი აზიზი იყო რექტორი, დეპუტატი მისი ვაჟი, არმაზი იყო, ახლა თბილისში ცხოვრობს, იქ საქმობს...

– ისე, სიტყვამ მოიტანა და გეტყვით: ბატონო ისმაილ, ძალიან გაეხართ ბატონი აზიზის ძმას, ბატონ რეზოს. თქვენს საუბარს რომ ვისმენ, მგონია, მას ველაპარაკები: მისი გამოხედვა, ღიმილი, მისი მეტყველება...

– ვგავარ! ერთი ვართ და... მინდა ჩამოვდე, მოვიარო ქობლეთი, მახინჯაური, ბათუმი...

*ჩანართი: ბათუმში დაბრუნებულმა ბატონ მერაბ ახვლედიანს, უნივერსიტეტის ასოცირებულ პროფესორს, ვუამბე პაიდარიელი ახვლედიანების შესახებ, ბატონ ისმაილთან და სხვებთან შეხვედრის ამბავი... აღმოჩნდა, რომ მერაბმა კარგად იცოდა მისი წინაპრების გადასახლების ისტორია. სიზუსტისათვის მოვიყვან მის ნაამბობს:*

*ორი ძმა ყოფილან მემი-აღა და სალიხ-აღა ახვლედიანები.*

*მემი-აღას 4 ვაჟი ჰყოლია: ლომან-აღა, არიფ-აღა, ხუსეინ-აღა და მაირ-აღა.*

*მემი-აღას ოთხი ვაჟიდან სამი, ლომან-აღა, არიფ-აღა და ხუსეინ-აღა მუჰაჯირად წასულა, მეოთხე, მაირ -აღა დარჩენილა. მაირ-აღის ჩამომავლები ვართ ახვლედიანების ჩვენი შტო, – თქვა მერაბმა, ხოლო ლომან-აღის, არიფ-აღისა და ხუსეინ აღის ჩამომავლები თურქეთის სხვადასხვა ქალაქში ცხოვრობენ. პაიდარიელი ახვლედიანებიც მათი ჩამომავლები არიანო.*

*რაც შეეხება მემი-აღას ძმას, სალიხ-აღას, მასაც 4 ვაჟი ჰყოლია: ქურუკი, ახმედი, არიფი და აზიზი. სალიხ-აღის შვილები ემიგრაციაში არ წასულან. სწორედ მისი ჩამომავლები არიან მახინჯაურელ ახვლედიანთა ის შტო, რომელსაც ბატონი აზიზი მიეკუთვნება.*

*ბატონმა მერაბ ახვლედიანმა XIX საუკუნეში რუსულად შედგენილი დოკუმენტიც მაჩვენა, რომელშიც მითითებულია,*

*რომ სამი ძმა ახვლედიანი 1880 წლის ოქტომბერში წავიდა ემიგრაციაში.*

– ბატონო ისმაილ, ჰაიდარიე გურჯიანო, თქვით. რა გვარები ცხოვრობთ აქ?

– ბოლქვაძე, ჯიჯავაძე, შაქაროღლი, აფაქიძე, ახვლედიანი, გელაძე, დღონტი... ჩამოთვალა ისმაილმა.

– ნაცაროღლი (შდრ. ნაცარიშვილი – ავტ.), – დაუმატა შუხეიმ ჯიჯავაძემ.

კარგია, რომ ყველას ახსოვს ოსმალთაგან დელი ქართული გვარი.

– თქვენი გვარის შვილებს თურქეთში იცნობთ? ხვდებით ერთმანეთს?

– მე იქიდან დაგვაიჯე ჩემი გვარი, გამოყვამ აქანად. ზოგი მოვლიან აქა, ვნახავთ, ვილაპარაკებთ. ისტამბოლიდან ქალმა გამოგდა, ამ სოფელი ჩვენი დედებს გააკეთებუღიაო...

– გვეუბნება ისმაილი.

– აქ ახლოს ჩვენებურების სხვა სოფელი რომელია?

– დერიყალანი!

– დერიყალანი გურჯი არაა, აზუსტებს ახმედ კაინაკი.

– სელიმე ბერთაიდან მოსუღია, ბერთაები არიან, – განაგრძობს ისმაილი. ბერთაიდან მოსუღები გურჯულს ღაპარიკობენ...

ისმაილის მონათხრობში უცნაური სახელური ფორმა გავიგონე და ჩავიწერე – ბერთაები, წარმომავლობის სახელი (შდრ. ბერთელი).

ესაუბრობთ. თანდათან უფრო მეტ სიახლოვეს ვგრძნობ თანამოსაუბრებთან. მხიბლავს მათი გულახდილობა და პირდაპირობა...

– ჩვენ ჩვენი იგი დაგვარქეთ, ნელ-ნელ თათარი გახდით, – მიხსნის შუხეიმ ჯიჯავაძე.

„იგი დაგვარქეთ“ – თქვა შუხეიმმა, ქართველობა იგულისხმა „იგი“ ნაცვალსახელში, კიდევ – „მეობა“. შემდეგ

ისიც დაამატა, რომ ბაღიშები „წვიტი არიან, ათი წლის, ვასწავლო“ ქართული.

მშვენიერი ქართულით ლაპარაკობენ ჰაიდარიელი ახვლედიანები, ჯიჯავაძეები, ღლონტები, შაქროღლები, აფაქიძეები, ბოლქვაძეები... ძველი გვარიც ახსოვთ და საცხოვრისიც, მაგრამ გულნაკლული არიან, რომ უცხო ქვეყანაში დაშორდნენ ქართულ ფესვებს, რომ ახალმა თაობამ ქართული არ იცის...

– ისმაილ ბატონო, თქვენი დედე რატომ წამოვიდა მუჰაჯირად, გაგონილი გექნება!

– ხარბი ქნილა იქანაჲ, ხარბიდან გამოვქეციითო, იტყოდენ. დოქსან უჩ მათჯირს გვეტყვიან ჩვენ. ჩვენი დიდი, დიდი ბაბაჲ წამოსულა, ხასან ბიძას ეტყვიან. ვორი ძმა იქ დარჩენილა, ერთი აქ წამოსულა. ზოგი აქიდან უკან წასულა. აქანაჲ რომ მოსულან, ჰუქუმათს ზღვის ქენარზე დუჟდუმდებოან. იქანაჲ ბევრი ბუცუნაკაჲ არიო, აქ ამოსულან. აქავრი თურქები გუჟდენიან.

ამ მცირე ეპიზოდში მთელი ტრაგედიაა გადმოცემული გადახვეწილი კაცისა, აყრა და გადახვეწა, ხეტიალი უცხო ქვეყანაში, ძალადობა... იოლია ახლა მეოთხე ან მეხუთე თაობისათვის იმის თქმა, „აქავრი თურქები გუჟდენიანო“, მაგრამ ეს „გადენვა“ არ იყო იოლი საქმე, „გადენვისას“ ვიღაც ზარალდებოდა, როგორც გამდენელი, ისე – გადენილი.

– ბარემ ისიც მითხარით, თურქებს რას ეძახით?

– იგინი *ჭოებო*, გვეტყოდენ, ჩვენ *კუდიანს ვეტყვით*. მალე რომ დაბეჩდებიან, *კუდიანს ვეტყვით*.

კიდევ ერთი ვერსია კუდიანობის ასახსნელად. და კიდევ „ჭოებს“ გვეძახიანო თურქები. ზედგამოჭრილი ძეგლია აჭარელისათვის. მეტსახელი შეიძლება შეერქვას ინდივიდს ან ადამიანთა ჯგუფს, ერთი რომელიმე კონკრეტული ნიშნის მიხედვით. „ჭო“ აჭარულში დამახასიათებელი მიმართვის ფორმაა. ვერ დაუწუნებ არჩევანს აქაურ ჩვენებურთა ნათლის.

აქაურების მეტყველება ტიპური ბათუმურ-ქობულეთურია თავისი ლექსიკითა და ინტონაციით:

– ჩვენ აქანად შიშას მოვსჭრით სიფთე, ახლა ის საქმეც გავარდა და ფაბრიკაში არიან.

– გასაყიდი რამე არაა, ჭამიზა ვთესავთ.

– შიშას მოვსჭრით იშტე, ძროხა-მოსხა თუ გავაშენეთ...

აქაური სამზარეულო ხომ ბათუმ-ქობულეთურს იმეორებს:

**ზირაბაჯი, თავ-ფეხიო,** – გაგვიმარტა ინფორმატორმა.

**შრალლობია** (სხვაგან მაღახტოს ეძახიან – ავტ.).

**შრალი ფხალი** – კაკლით, ხმელი ქინძით, ნიორითა და ყორავოთი (უავე – ასე ეძახიან ქობულეთში – ავტ.) შეაზავე-ბენ მოხარშულ ფხალს.

**ზეთიანი, ძალიანი** (ასეც ეძახიან – ავტ.) ქათამი (ბაჟე).

**დახნი//დაჰნი** – საქონლის ხორცს მოხარშავენ და შეანელებენ იგივე სანელებლებით, რითაც საცივს, ყორავოც უხდება ცოტა<sup>25</sup>.

**ნიგზიანი კალმახი** – შემწვარი კალმახი ნიგვზის საკმა-ბით.

**აპონტი** – დახკიდებენ ჯაჭვზე ქათამს, გაახმობენ...

---

<sup>25</sup> დახთან დაკავშირებით ერთი ტელეგადაცემა მახსენდება: აჭარის ტელევიზიის პროექტის, „ერთი დღე სოფელში“ ერთი-ერთი გადაცემა მიემდგნა ხინოს. ოჯახი წინასახალწლო სამზადისში იყო. მოხუცი ქალბატონი კერძებს ამზადებდა.

– რას აკეთებთ? – ეკითხება გადაცემის წამყვანი, ნათია თავდგირიძე.

– დახნის ვაკეთებ!

– გვიამბეთ, როგორ აკეთებთ დახნის?

– რა, არ იცით, დახნი რაფერ კეთდება? დახნი მსოფლიოში ცნობილია და თქვენ არ იცით? – გაიკვირვა ქალბატონმა.

ერთი წლის წინ მოსმენილის გაცოცხლება ვცადე. ეგებ რაღაც ნიუანსი გამომჩნა, მაგრამ არასოდეს დამავიწყდება ალაღად გაკვირვებული ქალბატონის სახე და პიპერბოლა, რომელიც მხოლოდ შეიძლება ქობულეთში გაიგონო: „მთელ მსოფლიოშია ცნობილი“.

კარგა ხანი დავრჩით ჰაიდარიეში. ხოჯამ იქინდის ლოცვაზე მოუხმო მორწმუნეებს. ჩვენი წამოსვლის დროა. წინ გრძელი გზა გვაქვს ინეგოლამდე.

ვფიქრობ ჰაიდარიეზე: შერეული დასახლებაა ჰაიდარიე – მახინჯაურელთა, ჩაქველთა და ქობულეთელთა სოფელია. ბათუმ-ქობულეთურად უქცევენ და ხმაურობენ აქაურები. ჩანს, დიდი მორწმუნეები არ არიან ჰაიდარიელები, უფრო „კომუნისტობენ“. მათი გაგებით, კომუნისტი ურწმუნოა, ათეისტი. ტრაბახიც უყვართ აქაურებს, ალალი, უბოროტო. სოფელი მშვენიერია. გრილი, საამო ზღაური უბერავს. სიცხეს განრიდებული ახვლედიანები, ჯიჯავაძეები, ღლონტები, ავაქიძეები, შაქარიშვილები... სხედან ასწლოვანი ჭადრების ჩრდილში და საუბრობენ, შეექცევიან. საუბრობენ თავისებური აქცენტით... საინტერესო ფაქტია, ასორმოცი წელი გავიდა, რაც ემიგრაციაში წამოვიდნენ ამათი წინაპრები და კუთხური აქცენტი დღემდე შეინარჩუნეს. და ეს ხდება მაშინ, როცა ყველა ჰაიდარიელი ორენოვანია მაინც...

ბაღნებსაც ვასწავლითო ქართულს, დაგვირდნენ. ღმერთმა ინებოს და ახალთაობამაც ისწავლოს წინაპართა ენა და შეინარჩუნოს ნაციონალური იდენტობა.

**„დოდოფაღს გაარჩნიებენ დანებში. აქანაჲ ფულს მოსთხოვენ, ისე არ იქნება. აქანაჲ დოდოფაღს დერგს გაატეხიებენ, დოდოფაღი წრისხს მიარტყამს, გასტენავს. კარიდან ასწევს სიძე, ოდაში შეიყვანს დოდოფაღს. დოდოფაღს შეიყვანს, ბახშიშს დააბამს, ჩათხს (ფეჩეს) ჩამოაძრობს (ახდის – ავტ.). კაცი გამოვა, მოსაფირები შევა. შესლიხან ყურბანს აჩუქებენ დოდოფაღს – მამამთილი, დედამთილი...“** მომყვება ახმედ შაქარიშვილის ნაამბობი და შორეულ ბავშვობას მახსენებს, როდესაც ბებიანემის ქობულეთელი ნათესავები გვესტუმრობდნენ (ბებიანემი შაქარაფზე – შაქარიშვილის ქალი იყო კვირიკედან) და აგიზგიზებულ ბუხართან გვიან ღამემდე საუბრობდნენ. ბავშვები ვუსმენდით. ვისმენდით ათასგვარ მოთხრობას თუ გადმოცემას, ზოგჯერ წაიძღვრებდნენ კიდევ. ნახევარ საუკუნეზე მეტი გავიდა მას შემდეგ.

ქობულეთურ მეტყველებას რომ ვუსმენ, ან ჩანაწერს ვკითხულობ, მათი ხმები ჩამესმის, წარსული მიცოცხლდება და ბავშვობაში მახსენებს, ჩემს დიდ ოჯახში, სადაც ერთად ვცხოვრობდით დედა, მამა, ბებია და ექვსი შვილი... და კიდევ, არ მავიწყდება მათი იუმორით შეზავებული საუბარი, უბოროტო ხუმრობა...

ფიქრებიდან მალხაზის ხმამ გამომიყვანა, ბარემ ვივახშმით და ისე დავბრუნდეთ სასტუმროში.

ვივახშმეთ და გვიან ღამით დავბრუნდით სასტუმროში.

**14 ივლისი, ორშაბათი.** დღეს **ჰაირიეში** (ძვ. ჩიფთლიკი) წავალთ, დალოვას იღში, არმუთლუს ილჩეში. შორი გზა ინეგოლიდან ჰაირიემდე.

იღლით ახმედი, ჩვენი გიდი, შეგვხვდა სავაჭრო ცენტრთან და გზას დავადექით. ბურსაში ჩავედით, იქედან ბურსა-დალოვას მაგისტრალზე გადავედით. გზა ზღვის სანაპიროს მიუყვება. ნახევარი საათის შემდეგ მარჯვნივ გადავუხვიეთ, კიდევ 12 კილომეტრი გავიარეთ და სოფელშიც აგვედით.

ჰაირიეში ქართულად ლაპარაკობენ, ზოგი გაჭირვებით, ზოგიც – უკეთესად. ახალმა თაობამ არც ჰაირიეში იცის ქართული.

ჰაირიელი ჩვენებურები ადაგულიდან და დევსქელიდან მოსულთა შთამომავლები არიან: „1877-78 წლების ომის შემდეგ, კერძოდ, 1887 წელს ჩამოვედით ჯერ ბორჩხას, იქედან წამოვედით აქ – დედეს პასპორტში ასე წერია“ – გვეუბნება ისმაილ თურანი (ფუზბაშოდლი).

1887 წელს მუჰაჯირობა, როგორც პროცესი, უკვე დასრულებული იყო, მაგრამ ფუზბაშოდლის პასპორტში თუ ასე წერია ჩვენც გვჯერა? სხვაგვარად, სოფელმა 1887 წელი დაიმახსოვრა გადასახლების წლად, ასე იციან, ასე „ასწავლიან“ სხვასაც

– ისმაილ, ქართულად კარგად ლაპარაკობ!

– **ზოგ რამეს ვერ ვაგნავთ, გამაგ! ჩვენ კიდევ თელი არ დამბიწყებიან მი?**



– ბატონო ისმაილ, ჩვენ ბათუმიდან მოვედით, აქაური ამბები გვაინტერესებს, ძველი ამბები, დედების ამბები. შენ-ზე ამბობენ, ბევრი იცისო. გვიამბე რამე!

– რა გვესხენო ახლა? თქვენა, ლოცვას არ გაქნევიავდენ? აქ ერთი მოვდა, სახელი ჯემალი არ მქვიაო, მუსლიმანი სახელი არ მაძახნიევდენო. ერთანე მოსულა. მეტი გონჯობა უქნია. რა თქვა იცი? დიდი ფაშა ყოფილა, ალთონიდან გააკეთებული მედალი უქნია, მოსულა ქი სოფელში, არც ბაბაა არი, არც ნენეა, სიბირიას გუუგზანია...

ისმაილის საუბარი ტიპური კლარჯული მეტყველებაა. უჭირს რესპონდენტს ქართულად აზრის ჩამოყალიბება... ვცდილობ, კიდევ ვათქმევინო რამე, დიალექტოლოგიურად საინტერესო მაინც.

– ისმაილ ბატონო, მჭადს, პურს ვაცხობდითო, გვითხარი, როგორ აცხობდით?

– ჭადის გაგაცხოფო, მა, კეცი წინ იყო და ახლა აღარაა. აქ ფურუნი იყო, აცხობდენ. კეცს აკეთავდენ, ლიტრას აკეთავდენ, ბათმანს, სადღობელი, თულლას, დერგი... ფურუნი იყო, ქერფინ-თულლას აკეთავდენ.

ჭურჭლეულის საყურადღებო სახელები ჩამოთვალა ისმაილმა: კეცი, ლიტრა, ბათმანი, სადღობელი, დერგი. ლიტრა კლარჯეთში არ დაგვიდასტურებია, ეგებ იციან კიდევ სადმე, არც – *ბათმანი*. და კიდევ, ჩვენებურთა მეტყველებაში რუსიციზმი (ქერფინი<კირპინი) მოულოდნელობაა. ჩანს, მუჰაჯირებმა წაიღეს რუსული „კირპინი“ ემიგრაციაში.

ისმაილს ქართულს ვუწონებთ, თავად კი ჩვენგან შეგუღიანებული ცდილობს, უფრო მეტი გვითხრას. ერთგვარ უპირატესობასაც გრძნობს სხვებთან: „ახლა გაგკითხო, გურჯიჯე არ იციან: *ერბო* არ იციან, *თერე* მაღი იციან; *ერბო-კვერცხ* შიგიწვაჯო, არ გიგიგონია?“ – გვეუბნება იქვე მდგომ თანასოფელზე, რომელიც ჩვენს საუბარს უსმენდა, თუმცა ბევრს ვერ ხვდებოდა.

– აქ, ახლოს, ჩვენებურების კიდევ რომელი სოფელია?

– გოგჩა დერე – ნახვარი ლალი, ნახვარი გურჯია. იქ პატინა სოფელია, მეჯიდიე. ყადიქოე ცუტა იმაზე დიდი იქნება.

– თქვენი ნათქვამიდან ჩვენებურების კიდევ სამი სოფელია თქვენს მეზობლად: გოგჩა დერე, მეჯიდიე და ყადიქოე...

– თქვენს სოფელში რამდენი სახლია?

– **ორმოზდაათი ზაფხულში, ზამთარში – ოზდაათი.**

საუბარში მეთინ სერთასლანი (მეთინ ბღეუზი ლომი|ბრაზიანი ლომი) ჩაერია.

ამ უცნაური გვარის გაგონებაზე მე და ზაზამ ერთმანეთს გადაუფლაპარაკეთ:

– ისე არ გინდა, მოიფიქრო და სერთასლანი დაიწერო გვარად? ვინ მოიფიქრა ნეტავი?

– უარესი არ გაგიგონია? ჩანს, გვართ აშინებდნენ სხვებს! – მეუბნება ზაზა.

– მეთინ ბატონო, თქვენ რომელი კუთხიდან ხართ?

– **ბორჩხას სანათლისიდან. იქ ჩემ დედეს გოგვები დარჩენილან, იმათი ბაღნები არიან და... ჩემ დედე ბაბოე უკან წასულა მუჰაჯირობაში, ბიბოს ბაღნები არიან იშტე.**

იშვიათად მუჰაჯირი უბრუნდებოდა საკუთარ კერას. აბსოლუტური უმეტესობა რჩებოდა, მათი შთამომავლების უმრავლესობამ მხოლოდ გადმოცემით იცის მშობლიური კუთხე, არასოდეს უნახავს წინაპართა მიწა.

– დედეები პირდაპირ აქ მოვიდნენ, თუ ჯერ სხვაგან დასახლდნენ და შემდეგ ამოვიდნენ აქ?

– ჩვენი სოფელი მოსულან იშტე, ტყეში დამუდარან, დუუთესიან, მუუჭრიან, საქონელი ბევრი უხმარიან. ზამთარი ბევრი წესულა, ოთუზ სენე უკან ჩამოსულან. იუნანი მოსულა, სოფელი დუუწვია; ჩვენები მუჰაჯირ ამდგარან ისევე, მოპანტილან. ხუთ წელიწად არ ყოფილან სოფელში, მემრე მოსულან, სახლები გუუკეთებიან, დამუდარან.

რამდენიმე წინადადებით დრამატიზმით აღსავსე ისტორია მოგვითხრო მეთინ სერთასლანმა: მუჰაჯირების მოსვლა სოფელში, ჭიდილი ყოველდღიურობასთან: თესვა, საქონლის

მოშენება, ტყეში მუშაობა... წინააღმდეგობა ადგილობრივ ბერძნებთან, ლტოლვილობა, უკანვე დაბრუნება და გადაამწვარი სახლ-კარის აღორძინება...

ეს ეკლიანი გზა ყველა მუჰაჯირმა გაიარა, ვიდრე მშვიდი ცხოვრებას ეწეოდა.

– სოფელში ბევრი ხართ?

– **ახალები წევდენ შერში, ჩიფჩობა** (ლენჩბრობა. ლენჩბერი – მიწათმოქმედი – ავტ.), **პივანჯობა დეილია**.

– წინათ ხარები გყავდათ, კალოებიც გქონდათ, ალბათ!

– **კალოები მქონდენ, ხარები ვამუშავებდით, მასკან ცხენებზე მოატრიალავდით, მასკან ტრაქტორზე...**

– კაცო, თურქებს „კუდიანებს“ რომ ეძახით, მართლა კუდი აქვთ? – შევცვალე საუბრის თემა.

– **კუდიანი ჩალი ქუდ დემხურებდა, ჩარჩაბ კუდები ექნებოინო, კუდიანებ ეტყვიან!**

მუჰაჯირების მრავალ სოფელში, ასევე ისტორიულ კლარჯეთსა და შავშეთში ვცადე, გამეჩვენებოდა, რატომ შეარქვეს თურქებს ლაღაბი – „კუდიანი“. მრავალი ახსნა მოვისმინე, ვნახოთ, კიდევ რამდენ ვარიანტს გვეტყვიან...

– კუდიანებთან კარგი ურთიერთობა გაქვთ? ამბობენ, დედები ერიდებოდნენო.

– **ას წელიწად გოგო არ მუუცემიან, არ უთხონიან, ახლა გევერიეთ. იმათი ადეთები და ჩვენი ადეთები ერთმანებ არ გაეწყობა...**

„ადეთები“ სხვადასხვა რომაა, ამიტომაც ვერ იგუა მუჰაჯირმა დამხვდური. რწმენის ერთობა საკმარისი პირობა ვერ გამოდგა ერთიანობისათვის; რაღაც სხვაა საჭირო, სწორედ ის სხვა აშორებდა მუჰაჯირს მუსულმანი თურქისაგან თუ სხვატომელისაგან... ასი წელი „არ გეერია“ სხვა მიღწეაში, ასი წელი შეინახა თავისი იდენტობა წმინდად, შეურევლად, შემდეგ დრომ თავისი გაიტანა. დროსთან ჭიდილში იძლია მუჰაჯირი... დრო ხომ ყოველისშემძლეა...

– მეტინ, სოფლის ყანა-ბახჩის სახელები ქართულია თუ თურქული?

– ჩვენ ჩვენებურა ვეცყვით: *კორდები, დიდი ყანა, ბელქეჩები, ფალიოში კარები, ემელლულები, დიშზუდაები...*

– ადგილებზე ქართული სახელები დაგირქმევიათ, კარგია. სოფელში რა გვარები ცხოვრობენ? ძველი ქართული გვარებიც თუ გახსოვთ, მაშინ იტყვიოთ „მაგარი გურჯები“ ვართო.

– *ლახანოლლი, ქეფხალოლლი, კურიასლანოლლი, არიფოლლი, კაკიტოლლი, ჩილოლლი, სელვერბეგები, ქაბაბეგები, აფჯოლდები, აქითოლდები.* მეტი არ ვიცი. ამას ერთმანებს ვეცყვით, ლადაბია.

– ლახანოლლი რატომ უთქმიათ იცი? – მეკითხება მეთინი.

– საიდან მეცოდინება, თუ მეტყვი, ვისწავლი!

– ლახანოლლი მაილაში წვედეს'და მაისის გამოსულს, ალაფი დაღეგია მეგერ. ადრეაო, ნუ მიხვალო ჯერ. გაგულიანებულა ბერი. ლახანასავენ აღუღდაო ბერმა, იქიდან დარჩენილა სახელი.

„ლახანასავენ აღუღდა ბერმა“ მშვენიერი ფრაზოლოგიზმია, მშვენიერია ლახანოლლად სახელდების ლეგენდაც.

– *ქეფხალოლლის ქუფჩიოლლი რქმევია მემლექეთში,* – აგრძელებს მეთინი.

– სხვა ლადაბების შესახებ რა იცი?

– სხვა არ ვიცი!

– ბავშვებმა გურჯული არ იციან. არ გსურთ ღარჭებმა იცოდნენ დედების ენა?

– ღარჭები სახში არ პარიკობენ. კუდიანი რძლები მოგდენ, გედვერია სოფელი. ნენემა არ დეფლაპარიკა, ჰაიდან'და დეფლაპარიკოს ღარჭმა?

მართალი ბრძანეთ, მეთინ ბატონო: „ნენემა არ დეფლაპარიკა, ჰაიდან'და დეფლაპარიკოს ღარჭმაო“ რომ თქვით. დედისგან უნდა ისწავლოს ბავშვმა დედაენა. დედა სხვა კულტურის მატარებელი რომაა, მაშინ საკუთარ ენას ასწავლის შვილს და არა მამის ენას, რომელიც თავადაც არ იცის უმეტესად. თუმცა ისიც უნდა ვთქვათ, რომ ვეღარც გურჯი

ქალი ინახავს ჩვენებურის ოჯახში ქართულს. სხვა ცხოვრება მოვიდა ახალ დროში...

– სოფელში ცხოვრება ისე არ იქნება, ნადს გააკეთებენ, მეზობელს დეეშველებიან. თქვენთანაც აკეთებდით ალბათ ნადს!

– **სახლი გააკეთებინან მემეხმარებოდენ, სიმინდი გაჩაფვიხან, პური მოჭრიხან, სიმინდი დანაყვიხან...**

– სიმინდ **დანაყავთ** თუ **დაფშენით/მოფშენით?**

– **ჯვალეებში დანაყავთ ტაკეკციით!**

აჭარაში იტყვიან, სიმინდი **დაფშენი** ან **მოფშენი**, იგულისხმება სიმინდის **დამარცვლა/დაკაკლება**. **დაფშნა** ან **მოფშნა** თავდაპირველად გულისხმობდა სწორედ ტოკეკცის ცემით დაკაკლვას, ხელით კიდევ დამარცვლავდნენ ან უფრო დაკაკლავდნენ. იმავე პროცესს კლარჯები **დანაყვას** ეძახიან. **დანაყვა**, **მონაყვა**, **ჩანაყვაც** ცემაა, **ცემით მოქმედებაა**, ცემაა **დაფშნა** თუ **მოფშნაც**.

– წისქვილი გქონდათ სოფელში?

– **ხუთი თანე წისქვილი იყო, აგვისტოში წისქვილ დააწიწინებდა წყალი.**

– წყალიც კარგი გქონიათ, აგვისტოში თუ აწიწინებდა წისქვილს!

**დაწიწინება დატრიალების** მნიშვნელობით მნიშვნელოვანი სიახლეა კლარჯულში. წიწინი აჭარულში გვხვდება იმავე მნიშვნელობით: „სტუმრები მოდიანო, დაწიწინდა გელინი სახში...“ – იტყვის რძლის მოქმედებით კმაყოფილი დედამთილი, თუნდაც მამამთილი, გინდა სტუმარი.

– ნადებში იმღერებდით ალბათ.

– **გურჯიჯე სიმღერები იყო:**

**ჭოროხს ნაფოტი მიაქვს**

**ვისიც ჩამონათავი,**

**მოდი, ერთი მითხარი,**

**ძარის შამონათავი...**

სიტყვები ახსოვს მეტინს ერთმანეთთან შეწყობილი, თუმცა მისი ნათქვამი სტროფი ცნობილი ლექსის ვარიან-

ტად ვერ ჩაითვლება, თუნდაც იმიტომ რომ ორი სრულიად გაუგებარი სიტყვა იხმარა მთქმელმა „ჩამონათავი“ (ჩამონათავის ნაცვლად) და „შამონათავი“ (შამონათავის ნაცვლად)... მივიღეთ რაღაც სუროგატი მთელს ჭოროხის ხეობაში ცნობილი ლექსისა. დასანანი, რომ დავიწყებას ეძლევა ჩვენებურებში ჩვენებური სიმღერები.

ისმაილ გუნეი შემოგვიერთდა, გაგვეცნო, გვითხრა: „**აქ გვეზდი მე, ისე იბახდენ** [დედეები] **ქობლეთიდან მოვედითო**“. ისმაილის მონათხრობით ასეთი გზა გაუვლია მის წინაპრებს:

„**აჭარადან გამოსული ვართ. ერთი ძმები ართვინ, ბორჩხას [დარჩენ], მიერლებიც აქ წამოსულან იშტე. ბორჩხას სოფლებში არიან დევსქელი, სანათისი, ვალაში...**“

ბორჩხის სოფლებში, დევსქელის ხეობაშიც, გვიმუშავია და არაერთგზის, მაგრამ იქ აჭარლობა არავის უთქვამს. დევსქელში ხაბაზოდლებს შევხვდით, მთელი უბანია ხაბაზოდლების, აჭარელ ხაბაზებთან ნათესაობა მათ არ უხსენებიათ. აჭარლებს შეხვდებით მურღულში...

ჰაირიეში საუბარი საგრძნობლად გაგვიგრძელდა. უცხოთა დანახვაზე შეიკრიბნენ: **ალი ავჯი, ოსმან ჩაუშოდლი, ალი კაპტანოდლი-ფალაზოდლი...** გვისმენენ ინტერესით, თვალეზგაფართოებული, ზოგჯერ უკვირთ, თუ რატომ გვაინტერესებს სოფლის ამბები, რა საინტერესოა თუნდაც ის, „**წისქვილი აგვისტოშიც რომ დაწიწინდებოდა...**“ გეტყვით, ძვირფასო ჰაირიელებო, თქვენი ყველაფერი გვაინტერესებს, ყოველი ინფორმაცია თქვენგან მიღებული ძვირფასია ჩვენთვის. ნუ გაიკვირვებთ ჩვენს უცნაურ კითხვებს თუ ჩაკითხვებს. ამხელა ქვეყანაში სოფელ-სოფელ დაგეძებთ, რომ გაგიცნოთ, თქვენგან მოვისმინოთ თქვენივე ისტორიები და საქართველოს დაგუბრუნოთ...

გმადლობთ, რომ გვერდით გვიდგახართ და გვეხმარებით!

ჰაირიედან **სელიმიეში** ავედით. ინფორმაციით ამ სოფელშიც ბორჩხელები სახლობენ. სოფელში შევედით და

ხის ძველ ჯამესთან გავჩერდით. არავინ ჩანს. ველოდებით, იქნებ გამოჩნდეს ვინმე. ბოლოს გავარკვეით, სოფელი დაი-  
ლაზუაო გაკრეფილი. ჩვენც იქ წავედით, სადაც სოფელია.

თეშიქიეს დაილაზე ავედით (ჰაირიედან 7-8 კილომეტ-  
რშია), სახელად **დეღმეჯე**. გაშლილი ვრცელი ველია, მარ-  
თალია, მეცხოველეობა, განსაკუთრებით სამთო, მოიშალა,  
მაგრამ ზოგიერთი მაინც მისდევს ტრადიციულ საქმეს.

გავარკვეით, თეშიქიელები ბორჩხელი მუჰაჯირების  
შთამომავლები არიან.

აიშე ბუდექთურანი გავიცანით, მცირე ხანს ვისაუბრეთ.  
აიშე ახერხებს ქართულად ლაპარაკს. იგი სამი ვაჟის დედა-  
ა. გვეუბნება, შვილებსაც ვასწავლიდიო ქართულს.

მოვიყვანთ აიშე ბუდექთურანთან საუბრის ჩანაწერს:

– **კაცმა არ გამოვდა. თეელი მიმაქ ქვეით. მე ახლა მი-  
ღებთ, თელევიზიონებში არ მიმცეთ. გაწვიმდება იმას (ლუ-  
მელს - ავტ.) ვახურებთ.**

**კვერცხ ვეიდავთ, ვუხრაკავთ. ჰამა კვერც ბეგრ არ დე-  
ბენ. ჩემი ნენემ იქიდან გელინი მოვდა, აქ არ ქნილა.**

**დაიღები იმ კუთხეს ა'რი თუ ა'რა არ ვიცი. აქ დევბა-  
დეთ თე'ღმა. სელიმიეს დაიღა აქვან თუ ა'რა, არ ვიცი...**

ასე ლაპარაკობს ქალბატონი აიშე. მისი ქართული  
კლარჯულია, უფრო დაზუსტებით, ბორჩხას მეტყველება.

– არ ღირს აქ დიდხანს გაჩერება, ჯობია, სოფელში ჩა-  
ვიდეთ სადმე, მოხრობელი არავინ ჩანს! – ვეუბნები ჩვენებს.

– წავიდეთ, მეუბნება თინა. სხვებიც გვეთანხმებიან

ერთი საათის შემდეგ **მეჯიდიეს** უბანში, **ბელქეჩეში** ვი-  
ყავით. 14 მაჭახლური ოჯახი ცხოვრობს აქ. სეიდ გოჩი და  
ახმედ გოჩი გავიცანით, ბელქეჩელი მაჭახლელები. ორივე  
კარგი ინფორმატორია, იციან ახლო სოფლების შესახებაც:

– **ჩადრაში** ვინმე აღარ მოდიან. **მაჭახლელების სოფელი**  
**იყო, არმუთში** არიან. ონდორთ თანე (თოთხმეტი) სახლია.

– **მეჯიდიეში 50** სახლია. იქ გურჯი არ აღი. ერთი იყო  
გურჯი, იმამც მოკტა. ართვინლი იქ ორი ხანე არი.

სეიდი და ახმედი ცუდად ლაპარაკობენ ქართულად. თავადაც აღიარებენ, ნახევრად ქართულს „ვლადიკობო, ნახევარ – თურქულს. რა ვქნათ, ასე დაჩვეული ვართო“ – იმართლებენ თავს.

ბელგეჩე მშვენიერი სოფელია: ტყისპირა ველი, ფერდობებზე სახლებია აშენებული, მრავალფეროვანი ხეხილი... და, რაც მთავარია, გრილი ჰაერი და ცივი წყალი. „აქ დევბადეთ, აქ გეეზდითო“ გვეუბნებიან ძმები გონები და ამ ნათქვამში სიამაყეც გამოსჭვივის და სიყვარულიც სამშობლოდ-ქცეული სოფლისადმი.

და კიდევ ერთი: ბელგეჩელი მაჭახლელები წუხან, რომ ძველი საყანეები ტყედ იქცა, შესაბამისად, სოფელიც მოიშალა. მოდი, თავად სეიდს მოვუსმინოთ, მაჭახლურად გვეტყვის მაჭახლურ დარდს: „აქ თელი კუთხე ტყე გახდა, ყანა იყო სულ: ფხალ თესავდენ, პურ, სიმინდ... ახალი, თბილი ჭადი ძეში ჩაფუნჩხო, დღე წვემატება კაცს და... პროხა, თხა, თეელი გვეყავდა...“

– სეიდ ბატონო, გაგონილი გექნებათ, მაჭახლიდან ვინ მოვიდა ამ კუთხეში?

– სამი ძმა მოსულან ბათუმიდან. სამი სახლი გუუკეთებიან. ასე ვერ შეხედავდი ძმებს (გულისხმობს ავად ვერ შეხედავდიო – ავტ.), ბინ თანე თხები ყოლია, ისე – მეორეს. ერთი თანე და სინოპ დარჩენილა (მომკვდარა – ავტ.). დედეს არ მოწონებია გემლიგი, აქ მოსულა...“

ჩვენს საქმიანობაში ბაირამ ჩეთინყაიამ „პირის მოზიკა“ მოიტანა და „მაჭახლური ხორომი“ დაუკრა, შემდეგ „უნალი“, „ჩექერავა“, „ბურღულბასმა“...

ბაირამი ხორუმს უკრავდა, მეორე აყვა ნელა... „გურჯების მუზიკა ესაა...“

რალაც საცეკვაოს უკრავდა გარმონჯი, მისი თქმით, ქართულ საცეკვაოს, ბურღულ ბასმაო, – აგვიხსნეს.

ჩვენმა გიღმა, ახმედმა, კარგმა მცოდნემ შავშურ-კლარჯული ფოლკლორისა, მხრები აიჩეჩა, ასეთი საცეკვაო ჩვენს მხარეში არ გამოიგონიაო.



ჯერი ახმელზე მიდგა. აკორდეონი მოატანინა, დაუკრა, იმდერა კიდევ „პატარა გოგო“, შემდეგ ართვინული საცეკვაოები, ბოლოს „დელი ხორომი“... გამხიარულდა სოფელი...

მოვლილით ბელგეჩედან და ყურში ჩაგვესმოდა ახმელის სატრფიალო სიმღერა: „**მე ზათი დაწვილი ვარ, არ მეტყობა გარიდან...**“ აღმოსავლური ინტონაცია ახლავს ახმელის ხმას, მაგრამ მაინც სასიამოვნოა შუა თურქეთში ქართული სიმღერა.

**ჰამზალში** გადავედით, ორჰანგაზის ილჩეში. **ჰამზაბედს** სახელს უკავშირებენ ტოპონიმს. სადამოვდებოდა, სოფელში რომ მივედით.

– საიდან ხართ მოსული? – ვეკითხებით ომერ აიდინს, ერთ-ერთ ჰამზალელს.

– **ერთი ბერი დარჩა, თველმა წვედენ გაღმა** (სასაფლავოს გვაჩვენებს ხევს გაღმა), **არ ვიცით!**

– ეს სოფელი ბელგეჩედან და ჩადრადან გადმოსახლებულებს შეუქმნიათ. იქ მაჭახლელები ცხოვრობენ, თქვენც მაჭახლელები იქნებითო, – შეახსენა მალხაზმა.

– **ჰო, მაჭახლიდან ვართ, ასე იტყოდენ!** – დაუდასტურა ომერმა.

ომერ აიდინი 70 წლისაა, ჯან-ღონით სავსე. ჯანმრთელობას არ უჩივის, ექიმთან არ დადის, რახსაც სვამს, თუმცა ახლა რამაზანია და თავს იკავებს. სიგარეტს არ ეწევა. „თუთუნი არ მოსწიოთ, გირტყამენო“, გვაფრთხილებს ჩვენც.

ვხედავთ, რამაზანში სიგარეტის მოწევა, ჭამა და წყლის დაღვევა ცუდ ტონად ითვლება, მაშინაც კი, როდესაც შენ არ მარხულობ, უპატივცემულობად ჩაგეთვლება.

ჰამზალში შედარებებით აზროვნებენ:

– **თესვა, პური, სიმინდი იყო, – გააგდეს!**

– **ბველათ ტრასლამა იყო, ფარას ვიგებდით, – ახლა არაა!**

– **ენწინ კანაფი იყო, ახლა – გააგდეს!**

– **ჩვენი სოფელი სექსან (80) ხანე იყო, ახლა – ორმოცია...**

ძველად იყო, ახლა არ არის.

– **ნენეებიც იყვენ ენწინ, თეელმა გაფაქდენ, გაღმა წვედენ...**

„გაღმა გევდენ//წვედენ“ „სიკვდილის“ მნიშვნელობით საინტერესოა მუჰაჯირთა მეტყველებაში. ჩანს, ფრაზეოლოგიური ერთეული მუჰაჯირობამდეც ცნობილი იყო მაჭახელში.

საუბარში შევატყვეთ, მაჭახლელები ერთმანეთს ღაღაბებს უგონებენ. მოვიკითხეთ. ხალისით ჩაგვაწერინეს რამდენიმე: **გოლომანაა, თავიღაა, მენჯუსაა, ფერუსაა...** გულიანად იცინოდნენ თითოეულის გაგონებაზე. ჩვენს სოფელშიც გამიგონია სიგელი (ასე უწოდებენ ჩვენთან მეტსახელს – აგტ), დაუსწრებლად თუ ახსენებდა ვინმე, პირში იშვიათად გაუბედავდნენ, თუ ვინმე სიგელით მიმართავდა, შეიძლება ჩხუბამდე და დამდურებამდე მისულიყო საქმე...

აქტიურობს ომერ აიღინი, სხვები უფრო ისმენენ მის ისტორიებს. ჩანს, მთლად სერიოზულად არ უყურებენ მეზობელს, უფრო ერთობიან მისი მოთხრობებით. ბოლოს მიზეზიც გავიგეთ: **„მე მარტვაა ვარ, ნენეა არ მყავს. დავსახლდი, შვიდ დღეს მერე გავაგდე...“** – თქვა ომერმა. არასერიოზულად უყურებს სოფელი მოხუც შინაბერას.

– სოფელში რა გვარები ცხოვრობენ?

– **საღანჯოღლი, დაიროღლი, სირსვალი, მოღლოღლი,** მეტი ვერ გაიხსენეს. სხვა გვარებიც არისო ორმოცდახუთსახლიან სოფელში.

არც ის „ახსოვს“ სოფელს, რატომ წამოვიდნენ მაჭახლიდან მისი წინაპრები. დედეს ნათქვამი არ ახსოვთ ჰამზაღლებს, დაივიწყეს.

დასკვნა: უჭირთ ჰამზაღელ მაჭახლელებს ქართული.

სოფელი ხეობაშია გაშენებული, ხევის ორივე მხარეს. ჰაერი კარგია, წყალი – სატრაბახო: **„ბურსას ვილაიეთის ენკაა წყალი ჩვენიაო“** - გვითხრეს.

ბნელდება. დაბრუნების დროა. წინ გრძელი გზა გვიდევს სასტუმრომდე.

**15 ივლისი, სამშაბათი.** დღე მუსტაფა ქემალ ფაშათი დავიწყეთ, რაიონია ბურსის ილში.

წუხელ აჭარის ტელევიზია ჩამოვიდა, – რუსუდან აბაშიძე და მინდია კუპრაძე, შესაბამისად, ჟურნალისტი და ოპერატორი. ჩვენ გვაქვს ერთად მუშაობის გამოცდილება, მოგვწონს და ვაფასებთ მათ პროფესიონალიზმსა და პიროვნულ თვისებებს. გვიან ღამით ზაზას მანქანით ჩავედით ბურსის ავტოსადგურში, სადაც სტამბულიდან ჩამოსული რუსუდანი და მინდია გველოდნენ.

მუსტაფა ქემალ ფაშა ბურსის სამხრეთითაა. პირველად ადგილობრივ ჰემშილს შევხვდით, გვიმასპინძლა, ჩაი და ტკბილეული მოგვართვა.

დღეს ენვერ დემირიცი ჩვენთანაა, ახმედ ჩეთინთან ერთად.

**კარაფინარში** ავედით. ჯამესთან გავეჩერდით. დიდი ჯამეა, ახალი, და ღამაზი. ჯერ არავინ ჩანს, ველოდებით, იქნებ ვინმე გამოჩნდეს. მალე შუადღის ღოცვის დროც მოვა, მლოცველები მაინც მოვლენ სალოცავში...

გუმანმა არ გვიღალატა. მალე მუსტაფა საადემი და ადემ ბაიანი მოვიდნენ. ორივეს წინაპარი ართვინიდან მოსულა: მუსტაფას დედე ქლასკურიდან, ადემისა – მურღულიდან. მათი ემიგრაციაში წამოსვლის ისტორია სხვების მსგავსია. აქ მოსულებს კი გარკვეული სიძნელეები გადაუღალახავთ: „გურჯები ტყეში დამჟღარან, ენწინ ქასაბაში, ის ფერი არ მოწონებთან, იქიდან კარაოსმან წესულან, იქ ბერები მომეტარან, სიფრი სირევი ყოფილან. ამდგარან, წამოსულან. აქ ორი მაჟუფერი უსრიან, კად ხმა უქნია, უთქმიან, აქ ავაღველობა არააო. აქ ტყე იყო. [დედე] ვაშალში მოსულა მუფთად, აქ მოსულა, ეს ფერები მუუვლია, მოწონებია, წასულა, თექრან ართვინს, მისი ხისიმები მუუყვანია, ტყე მუუსიქიან, დამჟღარან“.

ახალმოსულებს ფაცხები გაუკეთებიათ: „დირელები დასობილი, ზეიდან კოლული ფიცრები გადახურული, ყველამა მათი აკეთავდა,“ – გვიყვება ადემი. თავიდან კოლიბებში

(ფაცხებში) უცხოვრიათ, „მასკა-მასკა **სახლები გუუკეთებიან, თექ კათი, იქი კათი...**“, შემდეგ ეზო-კარი გაუმართავთ, იმავე სტილზე და ისეთივე ბორჩხაში რომ დატოვეს.

– ყანაში რას თესავდნენ?

– **სიმინდი, პური, აულაფი** (არფა, ქერი – დაახუსტა მუსტაფამ -ავტ.) **თესევენ. პურს გამოაცხევენ, მუსაფირისთვის შეინახდენ, ჩვენ ჭადი ვჭამდით, დანი!**~

– სახლში, ოჯახში ნენეი რა საჭმელებს გააკეთებდა? – ვეკითხები აქაური სამზარეულოს შესახებ.

– **ფხალი ბაშ მემელია** (თავი კერძია - ავტ.) **გურჯებისა. ლობიო, გეიზდება იმისგან, გაპარკავ, ჩაყრი, იქნება საჭმელი. ხმელ ლობიოს ბევრი თუ იქნება დაფშნი, ცოტას ხელით გაარჩევ.**

ყურადღება მიიქცია გამოთქმამ: „ბევრი თუ იქნება, ლობიოს დაფშნი“, „ცოტას ხელით გაარჩევ“.

ლობიოს *გარჩევა* – დაკაკლვაა, კერჩხის, ჩენჩოს გაცლა სათითოოდ.

ლობიოს *დაფშნა* (შდრ. აჭარული – მოფშნა) – *ტაკეცის/ტოკეცის* (კეტის – ავტ.) ცემით ლობიოს დაკაკლვაა: ხმელ ლობიოს ტომარაში ჩაყრიდნენ და კეტის ცემით დაფშნიდნენ, შემდეგ – გააცალკეებდნენ მარცვალსა და ჩენჩოს, კერჩხს. შდრ. *დაფშნა – ცემა, მაგრად ცემა*.

სიმინდ წისქვილში დაფქავდით. გაქეთ სოფელში წისქვილი?

– **ღელიპირებში წისქვილები იყო, წყლით ტრიალებდენ!**

– წისქვილს როგორ მოაწყობდით?

– **წისქვილში წყალი მივა ბენდით** (არხი – ავტ.), **მერე გედება ოღული** (მილი – ავტ.), **ოღულიდან ჩარხს ესხმება, ჩარხმაც ქვა ატრიალავს, იმანაც ფქვილი იჯება.**

– სიმინდს რომ ჩაყრით, წისქვილის იმ ნაწილს რას ეძახით?

– **ამბარში** (ხვიმირი -ავტ.) **ჩაყრი სიმინდ, იქიდან თექ თექ ქვაში ჩაცვინდება, უკნიდან ფქვილი გამუა. სქივრსავენ**

ფერი არი, იქ იყრება, იქიდან აწევ *ჯვალში* (ტომარაში - ავტ.) ააგსეფ, ამოხვალ სახში...

– წისქვილში საფქვავს უფასოდ გიფქვავდნენ თუ ფასი ღირდა?

– ჩვენი სოფლიდამ ორი წისქვილი იყო. რომ დიგიფქვევდა, ერთი თასი ქონდა, ჰამა ერთი კილო აწევს, ჰამა – ორი. ერთ თენექზე ერთი თასი აწევდა, *ჰაქის* (მინდი - ავტ.) აწევდა.

დაფქვის საფასურად მინდს, ჰახს აიღებდა მეწისქვილე, ასე იყო სხვაგან, ასე ყოფილა კლარჯეთში და კლარჯ მუჰაჯირებთანაც.

– კარგი ბატონო, მოიტანე ფქვილი სახლში, ბარემ მჭადიც გამოვაცხოთ!

– კეცს ტალახიდან გავაკეთავთ. ცეცხლზე დაამხოფ, კარქა გააცხელავ, იმის უკან ჩამედღეფ დაბლა, ცომი *ჩატყაპაე* შიან, გააღამაზეფ, საჯ დაახურავ, *ზედეთღამ* ღიორი, ცეცხლი ძანი, გამოცხვება.

– ზუსტად აღწერა მჭადის გამოცხობის პროცესი ადემ ბაირამმა, ჩანს, კარგად ეხერხება ეს საქმე, – გადავულაპარაკე მაიას.

– გიკვირს მჭადის გამოცხობა რომ იცის? – ნიშნისმოგებით მეუბნება მაია.

– არ მიკვირს, ლობიოს გაკეთებაც რომ აღეწერა, არც ის გამიკვირდებოდა! ისე ზუსტად აღწერა ადემმა მჭადის ცხობის პროცესი, ბავშვობა და ბუხართან მოფუსფუსე ბეზია თუ დედა წარმომიღვა სადილის მომზადების თუ მჭადის დაკერისას...

სასიამოვნო მოსაუბრეები არიან ჩვენი რესპონდენტები...

ბოლოს კიდევ ერთი ამბავიც მოგვითხრეს, რომელსაც თქვენც მოგიყვებით სიტყვასიტყვით, უკეთ რომ წარმოიდგინოთ სიტუაცია:

„ათი-ათდახუთი ქათამ დაკლიდენ, ოჯადებში ჯაჭვები იყო, იმაზე დაკიდებდენ, ქი გახმეს და არ ამყრალდეს.

ჩამედღე ნახვარი ქათამი, გარცხი, ღუმანის სუნი არ ქონდეს, ჩააგდე ლობიაში, ფხალშიო, იტყოდენ.

ცეცხლზე შევწვავდით, ისეც შევჭამდით.

ძროხას დაგვკლავდით, ონ ზამან გაყიდვა არ იყო, დავადენდით. ყაურმას გაავაკეთებდით, დერგში ავაგსობდით...“

სოფელი მდიდარია, ყოველგვარი ხილი ხარობს აქ: კაკალი, ყურძენი, ვაშლი, მსხალი, ლეღვი, ბია (აივა – ასე ეძახიან აქაურები - ავტ.), ტყეძალი, მუშმულა, თუთა...

ყურძნიდან ბეთმეხს აკეთებდნენ, თუთიდანაც, მაგრამ უფრო ყურძნიდან, ტყეძლიდან ვაშლიდან – ფესტილს.

დაბოლოს, ყველაზე მნიშვნელოვანი, რაც აქ გვითხრეს: „სახში ქალებმა, კაცებმა ქართულად ილაპარაკავენ“.

ღიას, სოფელი მექართულეა, თუმცა ახალთაობამ არც აქ იცის ქართული.

კარაფინარიდან ქომურჯი ქადი ქოფში (ძველი – აქიმი) ავედით. 60 ოჯახი ცხოვრობს სოფელში. აქიმელთა წინაპრები ძველი კლარჯული სოფლებიდან: მურღული, ბაშქოფ, ქურა მოსულან.

მაღალი სოფელია აქიმი, მთის კალთებზე შეფენილი. მთელი სოფელი ქართულიაო, გვითხრეს, თუმცა უჭირთ ქართული. ჩვენი მთხრობელი, მეველედ ჯოშქუმი 74 წლისაა, ცდილობს, ქართულად ილაპარაკოს, ქართულად დაასრულოს ქართულად დაწყებული წინადადება თუ ამბავი, მაგრამ ვერ ახერხებს, წარამარა თურქულზე გადადის, და ამას ისე აკეთებს, ვერც გრძნობს. ჩანს, ქართულ-თურქული საუბარი მისი ბუნებრივი მდგომარეობაა. ბუნებრივია ენათა შერევა ორი კულტურის მატარებლისათვის.

ჯამის წინ ვსხედვართ. მოიდრუბლა. გაწვიმდება ალბათ. მეველედ ჯოშქუმი ზის ჩვენთან:

– შენი ჭირიმენე, როდს მოხვედით აქა? – გვეკითხება ბატონი მეველუდი და განაგრძობს: ემინა დედე მოვდა აქა. ოთხი სახლი მანავი იყო, იგინიც გაქართველდენ.

უჭირთ ქართული აქიმელებს....

მეველუდის გარდა ვერავის ვესაუბრეთ, გვერიდებოდნენ უცხოებს.

სოფელი გაგვექცა!

მეველუდ ჯომჭუმთან მცირე საუბრიდან ერთ სიტყვათშეხამებას მივაქციე ყურადღება: „შენი *ჭირიმენე*“ თქვა მოხუცმა. ქართულ ენათმეცნიერებაში არის მოსაზრება, რომ **მე<მენ(ა)-საგან**.<sup>26</sup> ჩვენი მაგალითიც ამის დასტურია: **ჭირიმენე<ჭირიმენა-საგან** ხმოვანთასიმინაციის საფუძველზე. ბარემ ვიტყვი, რომ სამხრულ მეტყველებაში **მენე** (<მენა)-სთან ერთად შეინიშნება **შენე**, მიღებული **შენა-საგან** ასევე ხმოვანთასიმინაციით.

აქიმიდან **ბოლაზქოდში** წავედით. გზად ვფიქრობ მეველუდ ჯომჭუმის სიტყვებზე:

„პირველად *თურქი ვარ, მემრე – მუსლიმანი, მემრე გურჯი. ქართველი არ მითხრათ!*“

მარტო მეველუდი რომ ფიქრობდეს ასე, ყურადღებას არც მიაქცევდა კაცი, ბევრი ჩვენებური ფიქრობს ასე, უფრო მეტი, ვიდრე წარმოგვიდგენია.

„ქართველი არ მითხრათო,“ მეველუდმა. „ქართველი“ მისთვის საღანძღავი სიტყვაა, „ქრისტიანის,“ მაშადამე „ურჯულოს“ აღმნიშვნელი.

ბოლაზქოდ **ქარაჯაბეს რაიონშია** (ბურსას ილი), იმერხეველებს (შავშელებს) შეუქმნიათ 1964 წელს, ახლა 120-მდე ოჯახია სოფელში. ქემალ სევენჯს, ბოლაზქოელს, გაცნობის შემდეგ პირველი კითხვა დავუსვით:

– იმერხევის რომელი სოფლიდან მოსულეები ცხოვრობთ აქ?

26

... . 1925, .126. ნ. მარის მოსაზრება არ გაიზიარეს ქართველმა ენათმეცნიერებმა. იხ. ელ. ბაბუნაშვილი, ნაწილაკი ძველ ქართულში, თსუ შრომები, ტ. 67, გვ. 147-148; თ. უთურგაიძე, ქართული ენის მთის კილოთა ზოგი თავისბურება, თბ. 1966, გვ. 124. შდრ. მ. ფაღავა, ნაწილაკი ახალ ქართულში, თბ. 2009, გვ. 41-42.

– ბაზგირეთი, ზაქიეთი, ფარნუხი, ჩიხორი, ბრილაგარა, ხეგწერილი, დაბა, უბე. 15 სახლი ლაზიც ცხოვრობს ბოლაზქოეში.

– კარგი, მოსავლიანი მიწებია სოფელში?

– რაცხას დათესავ, მოვა. სიმინდ კარზე ვთესავთ მარტო. აქ სულ ბათუმსავე არი, ბევრი თოფელი არ დადგება.

სოფელი მშვენიერია, მაგრამ ახალგაზრდობა ქალაქში არჩევს ცხოვრებას, ბავშვებიც იქვე იზრდებიან, შედეგად კი იშლება სოფელი.

– რა გვარები ცხოვრობენ ბოლაზქოეში?

– თამაზები, წითელოდლი, კაკოდლი, თეთრიენთი, ავჯი-ალოდლი...

დილით, აქეთ რომ მოვდიოდით, ახმედმა მანქანაში აკორდიონი ჩადო, „დეუკრა’დაო“ დაგვიპირდა. ახლა ვხედები, რატომაც წამოიღო. იცოდა, იმერხეველთა სოფელში მოვდიოდით და მათთან შესახვედრად მოემზადა წინასწარ.

მოიტანა აკორდიონი ახმედმა, დაუკრა, ბოლაზქოელმა ბაზგირლებმა იმდერეს ბაზგირული სასიმღერო...

სიმღერას *ხორუმი* მოჰყვა. ახლა *ხორუმში* ჩაებნენ ბაზგირლები. კარგი სანახავია მოფერხულე ბაზგირელი ქალები...

*ხორუმი ხელგაშლილამ* შეცვალა. ორი ქალი ცეკვავდა ხელგაშლილას... გაშალეს ხელები ესმა და ნაზმიე ავჯებმა. ცეკვავდნენ ქალები. ერთ წუთში ავჯების ეზო საკონცერტო არენად იქცა.

ცეკვავდა ბოლაზქოე. ჩვენთვის ცეკვავდა. სტუმარ-მასპინძლობის ადამა ერთი წუთით დაავიწყათ, რომ რამაზანი იყო და გართობისაგან თავშეკავება მართებდათ.

მშვენიერი კონცერტი გაგვიმართეს ბოლაზქოელმა ბაზგირლებმა.

ბაზგირლები ყველგან ბაზგირლები არიან, არც რამაზანში ავიწყდებათ სტუმარი და მასპინძლის ვალი...

მინდია კუპრაძე, აჭარის ტელევიზიის ოპერატორი იღებდა ყველაფერს. იღებდნენ ექსპედიციის კამერებითაც. მე ვი-



ნიშნავდი ჩემთვის საინტერესოს, თამარი, მაია, თინა და რუსუდანი უყურებდნენ. ზაზა და ტარიელი ჩვენ გვიყურებდნენ ყველას ერთად. რუსუდანი მომავალ ინტერვიუერს არჩევდა, სიტყვიერ მასალას ჩაიწერს ტელერეპორტაჟისათვის.

კარგად ჩამობნელდა ავჯების ეზოში. მალე იფთრის ნიშანიც იქნება...

**16 ივლისი, ოთხშაბათი.** დღეს ქალაქში ვიტრიალებთ, სოფლებში არ წავალთ სამუშაოდ. რამდენიმე შეხვედრა დაგვიგეგმეს აქაურებმა. დილიდან ქალაქში გავედით. უკვე ათი დღეა ინეგოლში ვართ და ქალაქში არ გაგვივლია, იქნებ არის რამე ჩვენთვის საყურადღებო.

5 საათზე ინეგოლის მერს შეხვდით, მასთან ერთად იყვნენ „კავკასიური დერნეგის“ წევრები.

კარგად მიგვიღეს მერიაში, საჩუქრები გავცვალეთ, ვისაუბრეთ. ჩვენი საუბრის შინაარსის აქ მოყვანას არ ვაპირებ, არცაა საინტერესო, უმჯობესია, აქაური ქართული სოფლების შესახებ ინფორმაციას მოვიტან იმ წიგნიდან, ქალაქის მმართველობაში რომ გვაჩუქეს<sup>27</sup>:

1. **ბაჰარიე** – ცხოვრობენ ბათუმელი და ბულგარელი მუჰაჯირები. მდებარეობს ინეგოლიდან სამხრეთ-დასავლეთით 17 კილომეტრში. ამჟამად სოფელში 102 კაცი ცხოვრობს.

2. **ბახჩეჟაა** – ცხოვრობენ ბათუმელები. სოფელი მდებარეობს ინეგოლიდან სამხრეთ-დასავლეთით 25 კილომეტრში. ამჟამად სოფელში 33 კაცი ცხოვრობს.

3. **ჩაილიჯა** – ძვ. ბათაქლი, სახლობენ ბათუმელი მუჰაჯირები. მდებარეობს ინეგოლიდან სამხრეთ-დასავლეთით 15 კილომეტრში. ამჟამად სოფელში 81 კაცი ცხოვრობს.

4. **ჩიფთლიკი** – ბათუმელ მუჰაჯირთა სოფელი. მდებარეობს ინეგოლიდან დასავლეთით 10 კილომეტრში. სოფელში 188 მცხოვრები ცხოვრობს.

5. **ადებეი** – ბათუმიდან და რუმელიიდან გადმოსახლებულთა სოფელი. მდებარეობს ინეგოლიდან 6 კილომეტრში.

---

<sup>27</sup> Inegol Taritim ve Kent Rehberi

ამჟამად სოფელში 851 მცხოვრებია, რომლის ნახევარი, 425 კაცი ბათუმელ მუჰაჯირთა შთამომავალია.

6. **ფეფზიე** – ცხოვრობენ ბათუმიდან მოსული მუჰაჯირები. მდებარეობს ინეგოლიდან სამხრეთ-დასავლეთით 14 კილომეტრში. სოფელში 95 მცხოვრებია.

7. **გულ-ბახჩე** – ცხოვრობენ ბათუმელი მუჰაჯირები. მდებარეობს ინეგოლიდან სამხრეთ-დასავლეთით 22 კილომეტრში. სოფელში 152 მცხოვრებია.

8. **ჰამიდიე** – ცხოვრობენ ბათუმელი მუჰაჯირები. მდებარეობს ინეგოლიდან სამხრეთით 17 კილომეტრში. სოფელში 176 მცხოვრებია.

9. **ჰამითაბი** – ცხოვრობენ ბათუმელი და ბუღგარელი მუჰაჯირები, ნარევი დასახლებაა. მდებარეობს ინეგოლიდან სამხრეთ-დასავლეთით 28 კილომეტრში. სოფელში 414 მცხოვრებია (დავუშვათ, მცხოვრებთა ნახევარი, 207 კაცი ეთნიკური ქართველია - ავტ.).

10. **ჰასანფაშა** – ცხოვრობენ ბათუმელი მუჰაჯირები. მდებარეობს ინეგოლიდან აღმოსავლეთით 8 კილომეტრში. სოფელში 537 მცხოვრებია.

11. **ჰაირიე** – ცხოვრობენ ბათუმელი მუჰაჯირები. მდებარეობს ინეგოლიდან სამხრეთით 17 კილომეტრში. სოფელში 176 მცხოვრებია.

12. **ჰილმიე** – ცხოვრობენ ბათუმელი მუჰაჯირები. მდებარეობს ინეგოლიდან სამხრეთ-დასავლეთით 20 კილომეტრში. სოფელში 302 მცხოვრებია.

13. **ქარაქალი** – ცხოვრობენ ბათუმელი და მესხი მუჰაჯირები. მდებარეობს ინეგოლის სამხრეთით 5 კილომეტრში. სოფელში 133 მცხოვრებია.

14. **მესრუთიე** – ბათუმელ მუჰაჯირთა დასახლება. მდებარეობს ინეგოლიდან სამხრეთით 25 კილომეტრში. სოფელში 164 მცხოვრებია.

15. **მურათბეი** – ბათუმელ მუჰაჯირთა სოფელი. მდებარეობს ინეგოლიდან სამხრეთით 12 კილომეტრში. დასახლებაში 87 მცხოვრებია.

16. **საადეთი** – ბათუმელი მუჰაჯირების დასახლება. მდებარეობს ინეგოლიდან სამხრეთით 28 კილომეტრში. სოფელში 121 მცხოვრებია.

17. **სულაჰი** – ცხოვრობენ ბათუმელი მუჰაჯირები. დებარეობს ინეგოლიდან სამხრეთ-აღმოსავლეთით 26 კილომეტრში. სოფელში 185 მცხოვრებია.

18. **თუფეჟი ქონაქი** – ცხოვრობენ ბათუმელი მუჰაჯირები. მდებარეობს ინეგოლიდან სამხრეთ-დასავლეთით 24 კილომეტრში. სოფელში 188 მცხოვრებია.

მოყვანილ მასალაში რამდენიმე საინტერესო ინფორმაციაა, კერძოდ:

– ინეგოლის გარშემო ქართველ მუჰაჯირთა 18 სოფელია;

– ზუსტადაა მითითებული ყველა სოფლის მდებარეობა.

– მითითებულია ყოველი სოფლის მცხოვრებთა რაოდენობა, რაც ხშირად არ ემთხვევა ადგილზე მოპოვებულ ინფორმაციას. ოფიციალური ინფორმაციით ინეგოლის 18 სოფელში დაახლოებით 3350 ქართველ მუჰაჯირთა შთამომავალი ცხოვრობს.

– „ბათუმელ მუჰაჯირში“ იგულისხმება მე-19 საუკუნის 80-იანი წლების ბათუმის ოლქიდან გადასახლებული.

უფიქრობთ, ფასეული ინფორმაციაა და ღირდა მის მოსაპოვებლად ინეგოლის მერიაში მისვლა.

მერიიდან ინეგოლის მუზეუმში წაგვიყვანეს. იგი ჯერ დასრულებული არაა, რეკონსტრუქცია უკეთდება ძველს, ემატება ახალი დარბაზები და ექსპონატები, უმეტესად ინეგოლური ავეჯის ისტორიის ამსახველი...

საღამოს 9 საათზე ქალაქის ერთ-ერთ საქორწილო დარბაზში ახმედის ფოლკლორული ჯგუფის წევრებმა ჩვენთვის ბაზირული სიმღერები და ცეკვები შეასრულეს: ახმედი უკრავდა, ახმედის უმცროსი შვილი და სხვები ცეკვავდნენ: **ხელგაშლილას, დელი ხორუმს, ათაბარს**, ასრულებდნენ ენერგიულად, რაც განსაკუთრებით თვალშისაცემია – სიყვარულით.

მთელი კონცერტი გადაიღო მინდია კუპრაძემ (მალხაზ-მაც, რა იცის, რაში დასჭირდება), ბოლოს ახმედმა და მისმა შვილმა, ქართული ფოლკლორის შემნახველ-დამფასებლებმა უპასუხეს აჭარის ტელევიზიის კითხვებს.

დღის ბოლოს „კაკასიის დერნეგში“ მივიწვიეს. აქ ინეგოლელი ქართველების დიდ ჯგუფს მოეყარა თავი ჩვენს დასახვედრად: ჯერ კაბინეტში მივიღეს, შემდეგ ჩაიხე დაგვატიყეს ღია ცის ქვეშ, აქედან დარბაზში შეგვიძღვნენ ადგილობრივი ქორეოგრაფიული ანსამბლის კონცერტზე.

მშვენიერი მოცეკვავეთა ანსამბლი შეუქმნიათ ჩვენებურებს. მოხდენილი, თვალანთებული ქალ-ვაჟები მთელი ემოციით ცეკვავდნენ **განდაგანას, ხორუმს, რაჭულს...** ჩვენთვის ცეკვავდნენ ახალგაზრდა ინეგოლელი ჩვენებურები, რომელთა გამომეტყველება გვეუბნებოდა, რომ ყოველ მოძრაობას გრძნობდნენ, მათი იყო ეს მოძრაობა, წინაპართაგან სისხლით ნაანდერძევი, მაშინ როცა არც ერთმა ქართული არ იცის... ემოციებს ვერ ვფარავთ, სურათებს ვიღებთ ანსამბლის წევრებთან ერთად ამ დღის სამახსოვროდ, ხელოვნება ვუწონებთ გახარებულები გახარებულებს.

თუ ჩავთვლით, რომ ქართული ცეკვა ქართული იდენტობის ერთი ნიშანია, იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ასეთი ანსამბლები შეუწყობს ხელს ჩვენებურებს მეობის შენარჩუნებაში. ამ ანსამბლისა და მისი ცეკვების მნახველს არ უნდა დაავიწყდეს, რომ ქართველია, გურჯია...

გარეთ გამოვედით, შემოგვეხვივნენ აქაური გურჯები. ინტერვიუ მთხოვეს ადგილობრივი ტელევიზიისათვის თუ გაზეთისათვის. ვისაუბრე, როგორც შეცემლი, ანსამბლი მოეუწონე და საქმე, რომელსაც აკეთებენ. მოწვევისათვის მადლობა გადავუხადე...

გადავრჩებით? – მეკითხება კორესპოდენტი.

– გადარჩებით, თუ არ დაივიწყებთ ქართულ კულტურას: სიმღერას, ცეკვას, სამზარეულოს, ტრადიციებს... და რაც ყველაზე მთავარია, შეიღებს თუ ასწავლით წინაპართან, თუ სულიერად არ მოწყდებით წინაპართა მიწას!

გვიანი იყო სასტუმროში რომ დავბრუნდით. მალე ახმედი, მისი სიძე და უფროსი შვილი მოვიდნენ. ექსპედიციის წევრებთან ერთად ტერასაზე დავსხედით, დიდხანს ვსაუბრობდით. ახმედს მადლობა გადავუხადეთ ზრუნვისათვის...

ხვალ დილით ინეგოლს დავტოვებთ.

**17 ივლისი, ხუთშაბათი.** გამოვეთხოვეთ „ანგელაკომას“ სტუმართმოყვარე პერსონალს, დავტოვეთ ინეგოლი და ბალიქსირის ილში, გონენის რაიონში გადავედით. გარკვეული ინფორმაცია გვაქვს აქაური ქართული სოფლების შესახებ.

პირველად **ბალჯი დედეში** ავედით. ახმედ გენჯი გავიცანით. მისი წინაპრები **ერეგუნადან** (მურღული ხეობა) წამოსულან, „სოადი აქ მუუცემიან, გოქვაძე სულალესი ყოფილან,“ – გვეუბნება ახმედი.

ახმედს ვთხოვეთ, გვიამბოს რაიმე აქაური ქართველების შესახებ. სასიხარულოდ ერთი ლექსი გაიხსენა, ვფიქრობ, საინტერესო:

ჩვენ ოსმანი ტადასა  
თეთრი შესლია წვერში,  
ასანი ძიგბიგასავენ<sup>28</sup>  
უყურავს კაკლი წვერში.  
მე ზათი ზორ მცხვენია,  
თავს იღებს მეტი ჰალხში,  
ნევზათი ხრუტუნავს,  
გავა ჯამბაზი ტყეში.  
ქერეში აზმანია,  
გაბღულავს ყველას კარში,  
მუუკიდეთ ფერენებსა,  
ჩეძარეთ დოლ ბირიში.  
გალმა ხალილი ემოდ  
იყოს თქვენი დეგერიში.

---

<sup>28</sup> ძიგბიგა – ციყვი.

საინტერესო კაცი ჩანს ახმელი. ამ ლექსმაც გუნება გამოგვიკეთა.

– აქ, სოფელში ბევრი ყანა ჩანს, თესვათ ალბათ!

– აქ ყველას ყანები მაქვანან, ლენჩობას ვიჯებით: ყანას ვთესავთ, ვლევწავთ... ახლა ლენჩობაც გათავდა.

– გათავდა, რას ნიშნავს, ყანას აღარ თესავთ? სიმინდი, პური, ლობიო „ადგა?“

– თესენ იშტე, ჭყინტი ჭამონ... პური ადგა, აღარ ვთესავთ...

– ახმელ ბატონო, ძველი ამბები გეცოდინება, დედებოდან გაგონილი, იქნებ, გაიხსენო რამე!

– ვიცი, ზორ ახსი ვიყავ, ვერ დამახუებდენ. დიდვანებთან აყუდული ვიყავ... წვედოდი, მოვდოდი.

– ჰოდა, დიდვანები ამბებს რომ მოყვებოდნენ, იმას გთხოვ, გაიხსენო.

**გენჯა, და მარები,**

**ჩლატი წამოდებულო!**

**ყველას კარში ვიარები,**

**თვალეზადმოვდებულო!**

**ამფერი გიმიგონია!**

– შვილები გყავთ, ახმელ ბატონო?

– მყავს, დიდები არიან. ქომოხტი ღაზია ჩემი რძალი.

**ქომოხტი ღაზის ღაპარიკი გურჯიჯესთან ახლოა.**

– აგერაა ჩემი სახლი, გვეუბნება ახმელი, სახში ავიდეთ, გაჩვენებთ რაღაცას!

კარგი, წავიდეთ!

რუსუდანი, მინდია და მე გავეყვით.

ღამაზი სახლი და ეზო-კარი გაქვთ, შევეუქე მასპინძელს კარ-მიდამო.

– **ცუდ-უბრალოდ ვაკეთე, ბაღნებს არ უნდებიან, არ მოვლენ!** – გულისტკივილით გვეუბნება ახმელი.

ხელმარჯვე კაცი ჩანს ჩვენი მასპინძელი: სახლი საკუთარი ხელით აუგია და მოუპირკეთებია, კარ-მიდამო შემოუ-

ღობავს, ხეხილი და ყვავილი გაუშენებია... ყველაფერს მზრუნველი ხელი ეტყობა.

სახლში შეგვიძღვა ახმედი. პატარა მუხეუმი მოუწყვია. ბევრი ნივთი თავად დაუმზადებია, მათ შორის თოფი და ფიშტო.

თოფი მაჭახელას მსგავსია...

ფიშტო გაუწოდა რუსუდანს, ესროლეო.

იფიქრა, ხუმრობსო ახმედი და გამოკრა სასხლეტს ხელი. გავარდა! შეშინებულმა რუსუდანმა ფიშტო დაუბრუნა პატრონს.

ამით გველებს ვკლავო, ზაფხულობით გამონდებიან და ვკლავო, მასპინძელმა.

ჩაი შემოგეთავაზა ახმედმა.

ადარ შევაწუხეთ, დავემშვიდობეთ.

**ექში დერეში** წავედით. სოფელში 60 ოჯახი ბორჩხიდან მოსული ჩვენებური ცხოვრობს. ახმედ მელაშვილის სოფელია ექში დერე. ილჰან ქაფთანი, სამი ილმაზი, ფიქრეთ ჩენგელი, დაშარ გენჩოღლუ გავიცანით. გარკვეული დრო დავყავით სოფელში. მწირი მასალა ჩავიწერეთ და **კონზაირში** (ძვ. სალიძიე) გადავედით.

**კონზაირელთა** „დედეები ბათუმიდამ“ მოსულან, თუმცა არ იციან, რომელი სოფლიდან. ამჟამად 50 სახლია სოფელში, – გვეუბნება მემედ შირინოღლი.

– თქვენს სოფელში რა გვარები ცხოვრობენ? ძველი, ზათინდელი გურჯული გვარები თუ იცით.

– **გვარი არ ვიცი, არც ლაღაბი. საიდანა და ვიცოდეთ? ზომით ძველი თემელები არი, ვინცა იყო აქა.**

ჩანს, ძველად, მუჰაჯირების მოსვლამდე **კონზაირში** სხვები ცხოვრობდნენ. ადგილობრივებს ქართველ მუჰაჯირთა მოსვლამდე დაუტოვებიათ ეს კუთხე.

„ზორ ძველია თემელები. ეს დერი ცარიელი არ ყოფილა, ვინ იყო, არ ვიცი. ისა, სახლები მიწას ქვეშ არიან. ზომოთკენ, ტყეში მეზრების ქვები გამოვდა, ვისია, არ ვიცი.“

მიწა მოვთხარეთ, შარაბი ქუბები ვნახეთ...“ – მოგვითხრობს შაჰინ ილდიზი.

– გაარიგეთ თუ?! – კითხულობს ნეუდეთი.

– ჰაა, ნახე, შარაბი მუუნდა! – ხუმრობის ხასიათზე დადგა შაჰინი.

– ამ რემეზანში შარაბის დაღვევა არ იზამს, – მეც მათებურად ვუქცევ.

– ამისთვის რემეზანი არ დამდგარა! – აგრძელებს შაჰინ ილდიზი.

– თქვენ ჰაიდან მოდით? – მოულოდნელად კითხულობს მემელი.

– ექში დერეში ვიყავით, ახმედ მელაშვილის სოფელში.

– აჰმედ მელაშვილი ჩემი დიდნენეს ტადას ბიჭია. აქი დამ წასულა იგი ბორჩხას...

– ქართულად კარგად ლაპარაკობთ! – ქართულს ვუწონებ მემელს.

– ჩვენ ვილაპარაკავთ, ჰამა დარტყებმა არ იციან.

– ცუდია, დარტყებმა რომ არ იციან, ასწავლით?

– მინდა გასწავლო, ჰამა!!!

– აქ რას საქმობთ?

– შიშას ჭრავენ, ყიდებენ: სახში გააგდებენ, ზოგს გაყიდებენ, – გვისხნის მემელი.

მემელი აქტიურობს, სხვები უფრო გვისმენენ, ინტერესით გვისმენენ. გზადაგზა ერთეებიან ხოლმე სხვებიც.

– ჩვენი გურბინი დამ მოსულა, ქურაიდანაც! – ამბობს შაჰინი.

– ყიფილხართ გურბინში ან ქურაში?

– არ წევველ ჯერ ჰინ: წოვდოთ, წოვდოთ, ვიძახი, არ წევველი!

– ჩვენი დედები ბათუმში წუყყვანიან, იქიდან გემზე შემქლარან, ისტამბოლ მოსულან, იქიდან – ბანდურმას, იქიდან – გონერ. უთქმიან, თქვენ აქდა დაჟდეთ. ამათ უთქმიან,



**ჩვენ თხა-ძროხა'და ვაძვოთ... ამუშავლიან, აქ ამოსულან, დამ-  
ქდარან, – გვაცნობს დედების გზას ახმედ მააჯი.**

ახმედ მააჯი ერთ სამწუხარო ფაქტზეც მიგვანიშნებს:  
**„ეს ჩემი ბიჭია, ამან არ იცის ქართული. ჩვენ მოგვკით, დამ-  
თავრდა აქა ქართული!“**

**„ჩვენ მოგვკით, დამთავრდა აქა ქართული“ – გვეუბნება**  
ახმედი. სამწუხაროდ, მისი ნათქვამი ჭეშმარიტებაა, რეალო-  
ბა, რომლის შეცვლაზე უნდა იზრუნოს მამათა თაობამ,  
თუმცა აქვთ კი ამის სურვილი ახალთაობას?

მიძიეა, წარმოსადგენადაც კი, მაგრამ ფაქტია.

ჩვენს თვალწინ, XXI საუკუნეში ვუყურებთ, როგორ შე-  
ერთვის ერთი კულტურა მეორეს, როგორ „უჩინარდება“ ერ-  
თი კულტურა მეორეში...

– აქაურთა გვარებიც გვასწავლეთ!

– **შერიფოღლი, იმამოღლი, გუმრუქიოღლი, უსტაშერი-  
ფომეროღლი, შაჰველეღოღლი. ად ლაყაბია, სოადი არ იყო  
ჯერ. 1934-დან დეიწყო სოადი.**

– ლაღაბებს არ დაუძახებთ ერთმანეთს?

– **მუშგონებთ, დუშაბახებთ: მე ამას დათვი ვუძახი, ამას  
ღორი, ჩვენა ფანთოლაჲ მიძახიან, ფაფული, ხოჯისანი, სა-  
რალი, შაბანალი...**

ახმედმა გაგვიმარტა, თუ რატომ შეარქვეს მათ შტოს  
ფანთოლაჲ: „ფანთოლი ჩავარდება ჩემ დედესა, ფანთოლაჲ  
უთქმიან“.

კარგად ჩანს მოტივი, რატომ უწოდეს ახმედის დედეს  
ფანთოლაჲ... ყოველ მეტსახელს თავისი „ისტორია“ აქვს.

– ძველად აქ პური უთესიათო, გვითხრეს!

– **ხარით დავთესეფდით, კავით. პურებ მოგჭრიდით ხე-  
ლით, ხარის არაბადთ მოვტანდით ხარმანს, დავაწყობდით,  
იღინს გავაკეთავდით, მემრე კევრში ხარი შუშებმდით, იმით  
მოვროშავდით. ხარმა ოურში არ ქნასო, ქურვლით დევჭირაფ-  
დით, კარში გადავაგდებდით. გავლეწავდით, ბზე გახდება,  
ასე გუუფრინავთ ქარზე, მალლა ვეჭნევთ ქურვლით, პური  
დარჩება, ბზე გუუფრინდება. ავწევთ, ჩაფყრით ჯვალეში.**

**წყლის წისქვილებში წავა, ქვილი გახდება. დელირმანჯის ჰახის მიცემენ, მინდსაც იტყვიან...**

მთელი ისტორია მოგვითხრო ნეკედეთმა ყანის დათესვიდან პურის დაფქვამდე.

ხორბალს ზოგჯერ საცეხველშიც ჩაყრიდნენ, „გაცხებდენ, ბურღულ გააკეთებდენ...“

**გაცხება – ცემის** მნიშვნელობით საყურადღებო ლექსიკური სიახლეა კლარჯულში.

დაბოლოს, ერთ ამბავსაც მივაქცევ ყურადღებას: მოგვითხრობენ, რომ ჩვენებურებს კარგი ურთიერთობა ჰქონდათ, გვერდით ედგნენ ერთმანეთს ნადში თუ გაჭირვების უამს, ნადში „დექმელებოდენ“, შიშინაობისას მარტოს არ დატოვებდნენ, მაგრამ ზოგჯერ წინააღმდეგობა ჩვენებურებს შორისაც იყო. ახმელი იხსენებს დედეს ნათქვამს:

– **იქიდან მოსულან ჩვენი დედები. იმათ შიგან ერთი ყადემაჲ ყოფილა, დიდი, იმიდან ეშინოდენ, თელი ყანები მან ედღო. ხოჯას უთქმია, ქი ყველა შენ წედე, ჩვენ რა'ნა ვქნათო?**

– **ხოჯა, ჩაქცხეფო, ბევრ ნუ ლაპარაკოფო!**

სულაც არ გავიხსენებდი ამ ამბავს. თუ გავიხსენე მხოლოდ იმიტომ, რომ გვეჩვენებინა, მუჰაჯირთა შორისაც იყო წინააღმდეგობა, ჩაგვრა, მძლავრობა...

კონბაირშიც გაჩენილა ქართული ტოპონიმები მემლექეთის სახსოვრად, უფრო ქართული აფიქსებით გაფორმებული: **ემეჯუგები, გოჩუგები, კვერცხის თეფე...**

ყველაფერი ყველაფერი, მაგრამ არ გინდა, მოიგონო და ადგილს **კვერცხის თეფე** უწოდო? ვინ უწოდა ან რატომ ეს უცნაური სახელი? ინფორმატორებმა ვერაფერი გვითხრეს. კითხვაზე, რატომ დაარქვესო **კვერცხის თეფე**, მხრები აიჩეჩეს, დაარქვეს და რა ვიცი, რატომ დაარქვესო...

ჩვენს საუბარში სოფელი შეიკრიბა: მოხუცები, ახლები, ქალები... მუხტრის მოხუცი მამა მოიყვანეს, „ძველი კაცია, გაკითხეთო!“

– **რაფერ ხარა?** – მომიკითხა მოხუცმა.

– კარგად, თქვენ როგორ ბრძანდებით?

„ბრძანდებით” ვერ გაიგო მუხტრის მამამ, გააკვირვებით შემომხედა, დაგუზუსტე, მისთვის გასაგებად ვუთხარი:

– შენ როგორ ხარა?

– **კაჲ ვარ, კაჲ!**

ერთ ფაქტს მივაქცევ ყურადღებას: საშუალო თაობის მეტყველებაში კითხვითი ა’ ნაწილაკი არ ისმის, უფროსი თაობის მეტყველებაში –ა’ დანდება. საერთოდ, თანამედროვე კლარჯულში იშვიათად, მაგრამ მაინც გვხვდება იგი. ეს იშვიათი შემთხვევები გვაგარაუდებინებს, რომ კლარჯულში, როგორც სხვა სამხრულ კილოებში, კითხვითი –ა’ ინტენსიურად იხმარებოდა.

ვტოვებთ კონზაირს, მთის ფერდებზე შეფენილ მშენიერ სოფელს, აქაურ კლარჯებს და **სუნიქეთში** მივდივართ.

*სუნიქეთ* – წყალი გამოსულაო, იმას ნიშნავს, აგვიხსნა ასმედ ოზბექმა, სუნიქთელმა ბაგელმა, კლარჯმა.

პატარა სოფელია სუნიქეთ, ხუთიოდე კომლით.

კმაყოფილი არიან სუნიქთელი კლარჯები აქაური მიწითა და წყლით: „**აქ ზორ ღამაზი იჯებნის, ზორ ღამაზი ღლობი იჯება. მოვა სიმინდი, ჰამა ღლობი დაჰა კაჲა... ჩვენი სოფლის წყალი სვია? ღამაზი წყალი მაქვა**“.

მართლაც კარგი წყალი აქვს სოფელს. სინტაგმა „ღამაზი წყალი“ „კარგ წყალს“, „საამო წყალს“ გულისხმობს...

სოფლის შესასვლელთან ძველი წისქვილი გვაჩვენებს, იქვე პატარა ჩანჩქერია, მის უკან პატარა ქვაბივითაა. ქვაბში შევძვერი, ვიფიქრე, საინტერესო იქნება-მეთქი რამე. საინტერესოსი რა ვთქვა, მაგრამ გავიწუწუე კი გვარიანად. თუმცა შესვლა მაინც არ მინანია, რომ არ შევსულიყავი, იმას ვიდარდებდი.

ასწლოვანი ჭადრები დგას სოფლის ბოლოს. ერთში ხეფუტკარაც ყოფილა, ვიდაცას გადაუხერხავს და თაფლი ამოუღია. მთავრობამ დააჯარიმა ბრაკონიერი ფუტკარზე უდიერი მოპყრობისათვის...

თანდათან იცლება სუნიქთე, მიტოვებული სახლები კი „იმხლევა“.

მაღლა ავედით. გაუქმებული ბელელი ვნახეთ. „იქიდან მოსული ყველას ჰქონდა ამხოა,“ – გვისხნის ახმელი.

– **ხასან აბი, ხისიმები მოგიყვანე!** – მიმართა ახმედმა ხასან ისტიაროღლის.

ბატონი ხასანი გვესალმება, ჩანს, უჭირს ქართული.

– ხასან აბი, ამ სოფლის გვარები ჩაგვაწერინეთ! – ვთხოვთ დამხედურს.

– **ჩეიწერეთ: ისტიაროღლი, ჩანახინარი, დაქუფოღლი** (შდრ. იაკუბოღლი|იაყუფოღლი - ავტ.), **ბაირახტარ**. აგინი ლაღაბია, სოფადი არაა!

ამ სექტორში მუჰაჯირთა მომდევნო სოფელია **დოჰანჯი**. იგი ბორჩხელ ემიგრანტთა შთამომავლებითაა დასახლებული.

შერეული სოფელია დოჰანჯი, 40 სახლიდან მხოლოდ ოცია ქართული.

დოჰანჯელი გურჯები ქართულად ლაპარაკობენ, მაგრამ „თელი არ ესმით“.

დღეს გიდობას გვიწევდნენ ადგილობრივი ქართული საზოგადოების ხელმძღვანელი და ბალიქესირელი გურჯები, ერქან ეფენდოღლი და ახმედ ოზბეჯი.

ერქანი ახალგაზრდა კაცია, რუსეთში ყოფილა, კრივის მასწავლებლად უმუშავია, უჭირს ქართული, სამაგიეროდ რუსულად გვაგებინებს სათქმელს.

ახმედ ოზბეჯი ცდილობს ქართულად ილაპარაკოს, თუმცა მასაც უჭირს, წვალობს თავადაც და აწვალებს ქართულსაც.

საერთო სურათი ასეთია: ქართული ცუდად იციან ამ კუთხეში. ცალკეული ფრაზის თქმას ახერხებენ, დაწყებულ წინადადებას ვერ ამთავრებენ ქართულად, თურქულს იშველიებენ...

**ჯუმურიეში** (ძვ. სულთანზე) გადავედით. გურჯები „გველები ეძახიანო“ – გვისხნიან (გველელები არიანო აქაური

გურჯები – ავტ.). სოფელში 90 სახლია. და კიდევ ერთი ნიუანსი: „ჩემ ნენემ ერთიც ხატილაადაანა. ჩემი დედემ ბათუმიდამ მოვდა, ხატილაადან. მეტი მაგარი ვერ ვილაპარიკებთ [ქართულად - ავტ.], ჰამა იდარეს ვიჯებით. არიგებენ ღარჭებმა, ბადიშებმა, ჰამა ვერ ილაპარიკებენ“.

საყურადღებოა ჩვენი რესპოდენტის მსჯელობა: ასახელებს გარკვეულ ფაქტს, შემდეგ კი აზუსტებს: „დედემ ბათუმიდამ მოვდა, ხატილაადან“. ბათუმი (ოლქი - ავტ.) დიდია, უნდა დააზუსტო, რომელი კუთხიდან თუ ხეობიდანაა შენი წინაპარი. ხატილელმა მუჰაჯირმა ქართული იცის, „მეტი მაგარი ვერა“, მაგრამ იცის. ჩემთვის განსაკუთრებით ფასეულია თვითშეფასება, ზუსტი და ამომწურავი.

ხალით ერგუნი კარგი მოსაუბრეა: ლაპარაკობს დინჯად, აუჩქარებლად. ზომიერად იუმორნარევია მისი მსჯელობა. მოკლედ, მარტივი წინადადებით ახასიათებს „მეტადმორწმუნე“ მეზობელს: „ყველას რემეზანი მისთვის არი“. მის ქართულში პირველად გავიგონე ქალამანად ზესიძის, ჩასიძე-ბუღის მნიშვნელობით: „ქალის სოფელში მოვდა, ქალამანად ეტყვიან. მემეძაგა-მეთქი, წად ახლა, იმაჰაც ქალამანად ვუძახი...“

ქალამანა ზესიძის მნიშვნელობით ჭოროხის ხეობაში სხვაგან არ გავიგონია.

ჰ<ს ფონეტიკური გარდაქმნა დასტურდება ხატილელთა მეტყველებაში.

უსაუბრობთ. ჩვენი საუბარი ხატილელთა ყოველდღიურობას დასტრიალებს. საინტერესო ლექსიკური ერთეულები ჩნდება ჯუმურიელ ხატილელთა მეტყველებაში. დასანანია, რომ ლინგვისტურად და ეთნოლოგიურად უაღრესად საინტერესო კლარჯული ხევი სხვად იქცა.

– ყანებში რას დათესავთ?

– პური თესვენ, სიმინდი თესვენ, კიკიბო, ნუხუდო... სახლის წინა კიტრი, ბიბერი, დომატესი...

ყურადღება მიიქცია ორმა ბასხეულმა: *კიკიბო* – *მზესუმზირა* და *ნუხუდო* < *მუხუდო*. მან მონაცვლეობა ქართულში არაა მოულოდნელი, მაგრამ **კიკიბო მზესუმზირის** მნიშვნელობით ახალია.

– ნადს მოიწვევდით?

– **თესვისან ნადი იქნებოდა, გარჩევისან იქნებოდა, ერთმანებ უშველიან.**

მემედ იავაშმა გაიხსენა, რომ ნადზე ხდებოდა ხოლმე საცოლის გამორჩევა და პირველ მინიშნებასაც აკეთებდა ვაჟი: „რომელი გოგო მეძწონე, კაკალ მიაყრიდი...“ ქალზე „კაკლის მიყრა“ იყო პირველი მინიშნება – მომწონხარო. ბარემ ვიტყვით, რომ აქ „კაკალში“ სიმინდის ერთი „მარცვალი“ იგულისხმება და არა ნიგოზი, სხვაგვარად: „კაკალი“ ქობულეთელთა თუ ბათუმელთა მეტყველებაში.

– აქაური ქორწილი გვანტერესებს. ბიჭმა გოგო რომ მოიწონა, მერე რას აკეთებდა, ალბათ შუამავალს გააგზავნიდა, ქალის მშობლებიც თუ თანახმა იქნებოდნენ, ქალს დანიშნავდნენ, შემდეგ ქორწილის ჯერი დგებოდა. გვიამბეთ, როგორ ატარებდით წინათ ქორწილს?

– **ამ სახში ერთი ქორწილი იქნა, ჩეებენ ბერებმა, იცეკვენ... ქორწილზე სახლის შიგან ცხენით შევდოდენ. მაყარი იმფერ რამეს ითხოვდა ქი, სახში რომ არ არი. არ არის, არ იცის, მიცო'ნა...**

– გვითხრეს, რომ თქვენთან ქმარი (კაცი) ცოლს (ქალს) და პირიქით ქალი კაცს სახელით არ მიმართავს, რატომ?

– **კაცმა უძახის ბებერო (ქალს ეტყვის), ქალი ეტყვის – ბერო. უწინდელეებმა სახელ არ იტყოდა, ჭო, გო ეტყოდა.**

– რატომ ეტყოდა?

– **რატომ ეტყოდა! მე რა ვიცი, ეტყოდა და!** – მიპასუხა გაკვირვებულმა ხალიდ ერგუნმა.

ხალიდის საუბრიდან თითქოს იკვეთება ლექსიკური დაპირისპირება: ბებერი (ქალი, აქ ცოლი) და ბერი (კაცი, აქ ქმარი).

ასე იყო ძველად მთელს ჭოროხის ხეობაში, ზოგჯერ ახლაც შენარჩუნებულია: ცოლ-ქმარი ერთმანეთს სახელით ვერ მიმართავდნენ. მიმართვისას იყენებდნენ ნაცვალსახელს – შენ, ან სხვა სიტყვას მოიშველებდნენ: *ჭო, ცავ, ქალო, კა-ცო...* შეილებთანაც კი ქალი არ ახსენებდა ქმრის სახელს და პირიქით, ქმარი ცოლის სახელს, გამოიყენებდნენ - მამა-შენი, დედაშენი: *მამაშენი მოვიდა, დედაშენმა გააკეთა...* ასევე რძალს ეკრძალებოდა მამამთილთან და დედამთილთან ლაპარაკი: „მამამთილმა, დედამთილმა ილაპარაკებდა, იგი (რძალი – ავტ.) ჯულაბ ვერ მიცემდა“ – იხსენებს ხალიდი.

კიდევ ერთი საყურადღებო ინფორმაცია, მემედ ემინ ძავაშის მოწოდებული: ამ სოფელში „გურჯიჯე ნახვარი არ იციანო“ და ქართულის არცოდნის შედეგი: „გურჯიჯე არ იცი, სომეხი ხარ“. მთავარი ისაა, რომ ქართული თუ არ იცი, ქართველი არ ხარ აქაურთა გაგებით.

მშვენიერი სოფელია ჯუმურიეთი, ვაკეზე გაშენებული, ახალი სახლებითა და სტუმართმოყვარე ხატილელებით.

ჯამეში ეძახის ხოჯა მლოცველებს. იქინდია უკვე მლოცველი ჯამეში უნდა შევიდეს სალოცავად. ჩვენ კიდევ ჩვენს გზას უნდა დავადგეთ. ვემშვიდობებით! კიდევ მოდი-თო, ჯუმურიეთლებმა.

ახლო-მახლო ქართველები ცხოვრობენ **ფენი ყავახსა** და **არმუთ ალანში**. დღეს ვეღარ მოვახერხებთ მათ ნახვას.

**18 ივლისი, პარასკევი.** დღეს ბალიქესირის ილის შამლის ილჩეს სოფელ **არმუთალანით** დავიწყებთ.

**არმუთალანი** წიწვეთელ (შავშეთი) და ბორჩხელ ემიგრანტთა სოფელია. პირველად თაირი სუბაშოდლი და ხასან ყირიმოდლი გავიცანით. დოქსან უჩ მუაჯირი ვართო, ხასანმა.

შენიშნავთ, რომ მუჰაჯირთა შთამომავლები თავიანთ თავს „დოქსან უჩ მიაჯირს“ უწოდებენ. არადა ცნობილია, რომ მათი წინაპრები რუსეთ-თურქეთის 1877-78 წლების ომის შემდეგ წავიდნენ ემიგრაციაში.

არმუთალანი ორ უბნად იყოფა:

**სელიმიე მაჰალე** – წიწვეთლების დასახლება;  
**ოსმანიე მაჰალე** – ბორჩხელთა დასახლება.

მიუხედავად იმისა, რომ გურჯები არიან, მუჰაჯირად წამოსულებს ცალ-ცალკე სოფელი შეუქმნიათ. ახალ დროში ახალი ადმინისტრაციული დაყოფით ისინი ერთ სამამასახლისოში ერთ სოფლად გაუერთიანებიან.

განსხვავებული საქმე უნახავთ ახალმოსულებს:

– **ჩვენი მაჰალე** (ბორჩხა) **სანათს აკეთავს;**

**წიწვეთი მაჰალე** – **ქერემეთი** (კრამიტი - აგტ).

თავირი სუბაშოღლი დამხვდურებთან შედარებით მუჰაჯირთა კულტურულ და ფიზიკურ უპირატესობაზე საუბრობს: „**ფერლებმა რამ არ იცოდენ, ფანთოლის ჩაცმა არ იცოდენ. აქ ჩერქეზები ყოფილან, ისინიც ამდგარან, გესულან. ჩვენებმაც ცემდენ ზათინ. ჩვენ ცუტა ვიყავთ და თელს გეყოფოდით**“.

და ეს განცდა, რომ მათ უპირატესობა ჰქონდათ, ეხმარებოდა ჩვენებურებს ნაციონალური იდენტობის შენარჩუნებაში.

არამუთალანში 180-200 ოჯახი ცხოვრობს. ახლა სოფელში სკოლა აღარაა, „**ნუფუსმაც დეფლია**“.

– თქვენს სოფელში რა გვარები ცხოვრობენ?

– **სუბაშოღლი, ყირიმლი, ჰაჯიოღლი, იმამოღლი, მოღლა ქერიმები, თანთოღლი, ადინოღლი** (ჯივანიდან მოსულა), **ჩაქიროღლი, კუმატოღლი. აგი ყველაღ ლაღაბია, გვარი არ არი.**

ჩვენს საუბარში ჯამიდან ქალები გამოვიდნენ, ყურანის საკითხავად მოსულიყვენენ სამლოცველოში. „**აბანჯები მოსულანო**“ გადაულაპარაკეს ერთმანეთს და გზა გააგრძელეს.

– სოფელში ქორწილი იქნებოდა თუ სხვა დუგუნი იცეკვებდით და იმღერებდით ალბათ. ძველებურ ცეკვებსა და სიმღერებს ვერ გაიხსენებთ?

– **მე ჩერქეზულს ვიფერხულებდი... ორი ინსანი იყლენ ჩათლიდენ, ჩვენც ვიფერხულებდით: ჰო, ჰო, ჰოჰო, ჰოჰოჰოღ ვიტყოდით. ფიშტოღები მეტი ვაყრიდით ჩვენ დუგუნზე.**



საკოვზეზე კიწიწი,  
ვოიმე, ლამაზი ბიჭი,  
ჰო, ჰოჰო, ჰოჰოჰოო...

– ნადებს გააკეთებლით ალბათ წინწინ!

– ნადები იქნებოდა წინ აბა?! იქ გამოვარჩევლით გოგეები ჩვენ, სიმინდი რჩევნაში, თუთუნი სხმაში. ვინცხას ვინცხას მოწონს, იმას შეხედავდა, სხვას არ შეხედავდა. სიმინდი ერთმანეთ ვესხლიტეთ (ვესროლეთ). აქ წყალი იყო, ენ ცივი წყალი იყო. გოგეები ჩამოვდოდენ, ლიტრებით წყალი ავსობაზე მოვდოდენ, იშმართ ვეტყოდით, ლაპარაკი ადეთი არ იყო...

ნადებსა თუ წყაროზე არჩევდენ გულისსწორს, „ლაპარაკი ადეთი არ იყო“, – გვეუბნება თაირი და განაგრძობს: „ახლა სახში მიდიან, გოგოს სახში ბიჭი მივა, ბიჭის სახში გოგო ნიშანლობაში. ნიშანლობას ბეჭედი წამუაცემენ...“

– დუგუნებში სასმელს დალევენ?

– სმებენ, ჰამა უჩუმელად, კარში არ სვამენ...

მოშორებით დავდექი, არმუთაღანელ ბორჩხელთა საუბარს ვუსმენ და მათ დიალოგს ვიწერ. ვფიქრობ, ასეთი ტექსტები უფრო ბუნებრივი მეტყველების ნიმუშებია, ლინგვისტურად საინტერესო:

– თავში ჭკვამ გაქ თუ?

– დემწვა!

– მაქფერი არ ყოფილა!

– შენი წასმული (წასხმული - ავტ.) კაცები მოკტენ, დაგორდენ!

– მუსტაფა ზათი ჩვენ სოფელში არ ალი!

– მუსტაფა დოქ!

– გამკითხე, თელი გეტყვი!

– ყველამფერი იცის, დანი!

– თახთადან ხიდი იყო, ასე ერყეოდა!

– ბორჩხელი მეტყვიან ჩვენ, ჰო!

– ახლა არ გაგაფაქო, ძაბი!

ცელქი ყოფილა ახალგაზრდობაში ხასან ყირიმოღლი, რის გამოც ბევრჯერ მოხვედრია კიდეც, არც თავად რჩებოდა თურმე ვალში. მოდი, მოეუხსინოთ ახლა უკვე ხანდაზმულ ხასანს, რომელიც იხსენებს ბავშვობისდროინდელ თავგადასავლებს:

– **ოქუელიც არ გაგათავე. მუჭელიმი დანით ვაჭენე მექთეფში, ჰამა მეტი მცემდენ. მცემდენ გარგნით, გადავ! შიან შესლიხან ად დანა აქ ჩავდევ (ქუღშიო, გვაჩვენებს – ავტ.), დავკოდე.**

– **სულეიმიან მუჭელიმი კაი ცემვა იცოდა. ადგა იმის უკან დააწვინა, ჩეხნა, ჩეხნა (ფეხით ცემაო – ავტ.)...**

ახლა საუბარში ჩაერთო თაირ სუბაშოღლი.

– **ამან, მის ბაბოს მაუზური ქონდა, აავსობდა, მაჭენებდა, დელი იყო!**

– **ახლა ვაზირობს აქ. ამ ხიდის გაღმა ვერ გამოვდოდენ!** – შეეპასუხა ხასანი.

კარგი სანახავი იყო ბღეზი მოხუცების შესუმრება, ერთმანეთს არ „უთმობდნენ“. ამ გახსენებით შორეულ ახალგაზრდობას ეფერებოდნენ „ცელქი მოხუცები“. აშკარად სიამოვნებდათ, მსმენელი რომ ვყავდი, ინტერესით რომ ვუსმენდით სამოცი და მეტი წლის წინანდელ ამბებს...

და კიდეც, ერთი მნიშვნელოვანი ამბავი:

დაბეჯითებით ვამბობს, რომ შავშეთის წიწვეთი მეთურქულეა. ვყოფილვარ იქ, სოფელს ვიხსენებ „შავშურ ჩანაწერებშიც“, ქართულად მოლაპარაკე იქ არ შეგვხვედრია. სასიამოვნო ფაქტია, რომ არმუთალანელი წიწვეთლები ქართულად ლაპარაკობენ. შესაძლებელია ორი დაშვება:

1. მუჰაჯირობის დროს წიწვეთი ქართულად ლაპარაკობდა და ემიგრაციაში წასულმა წიწვეთლებმა შეინარჩუნეს ქართული ენა.

ბ. შესაძლებელია, არმუთალანში ისწავლეს წიწვეთლებმა ქართული მეზობელი ბორჩხელებისაგან.

მე უფრო პირველისაკენ ვიხრები: მე-19 საუკუნის 80-იან წლებში წიწვეთი მექართულე სოფელი იყო.

– ჩვენ წიწვეთლები ვართ... გვეუბნება ზეპრა აიგუნი, რომელიც მეზობელ ქალბატონებთან ერთად სოფლის მუხუ-უმში დაგვხვდა: ესმა აჩიქი, ნურიე აქბაში, სებაათ აიგუნი, ნაახი აიგუნი – გაგვაცნო ზეპრამ მეზობლები.

რამდენიმე სტროფი ჩავიწერე წიწვეთელი ქალბატონები-საგან:

დაბლიდან ხე მოფჭარე,  
მაღლიდამ ამოიყარა,  
შენი ჯაზი ნენემო  
სევეგულიდან გამყარა!  
სახლის უკან ტეკცებიო  
გოგეებ ანატეკცებიო.  
თაროზე ორი ვაშლი,  
ერთი შენ შეგინახე,  
წუხანდელი სიზმარში,  
ძარო, შენ დიგინახე.  
გაღმა თეთრი მამალი  
გამოღმა მოკაკანავს,  
ჯანო, შენ დიგინახავ,  
ძერზე ამაკანკალავს!

გაეშაირნენ ერთმანეთს წიწვეთელი ქალბატონები. ჩემი ყურადღება იმანაც მიიქცია, რომ უცხო მამაკაცებს არ მოგ-ვერიდნენ, გვესაუბრნენ, სურათებიც გადაიღეს ჩვენთან ერ-თად.

დენი კავაკში ავედით. სოფელი ორადღაა გაყოფილი: არ-ჩვეთი და ჩკაეთი. სოფლის უბნების სახელწოდებები გვეუბ-ნებიან, რომ მისი მცხოვრებნი ართვინიდან მოსული კლარ-ჯების ჩამომავლები არიან.

– აქ თველი გურჯია, ერთი ლაზია. ამის ბაბაა აქ დედ-სვა, აქ გეფხა, აქ იცოცხლა, – გვეუბნება იუსუფ ავჯი.

ბატონი იუსუფის თქმით, სოფელში აშენებენ ცხვარს, ამუშავებენ ყანას, თესვენ პურს, სიმინდს, სილაჯს. პური

და სიმინდი გასაგებია, მაგრამ *სილაჯში* რას გულისხმობდა ინფორმატორი ვერ გავარკვიე.

პურს კალოზე ლეწავდნენ ენი კავაკელებიც: „ორი **საჭრელი მაქვს. წინ ხელით ვჭრიდით, მანგლით. ხარები შეაბავ დუენში** (კევრში – მ.ფ.), **ბონდრულში დაატრიალავ.**“

„**არმუთალანში ჩვენ ვერ ვწორდებით: ამ ყელემს მწერველს ვუძახით**“ – გვიხსნის ოსმან ახინჯი.

ყურადღება მიიქცია ტერმინმა **მწერველი** კალმის გაგებით (შდრ. ძველი ქართული საწერელი – მელან კალამი<sup>29</sup>; საწერელი – კალამი, საწერი იარაღი ან მასალა<sup>30</sup>).

ოსმან ახინჯის „მტკიცებით“ არმუთალანელთა და ბორჩხელთა მეტყველება „განსხვავებულია“; მოსაზრების დასამტკიცებლად „დაკვირვებებიც“ უწარმოებია:

**დულურთი – მაწონი უძახვენ,**

**სულურქუ – ცოცხი,**

**აძრან – დო უძახვენ.**

ჩვენ ქოთანი დასაბურავ **კაფად** ვეტყვით, იგინმა – **პლაკი**---

დაბოლოს დასკვნა: **ჩვენი აქავრული და ჯუმურიე გურჯი არაა ანი.**

ასეა, ბატონო ოსმან, „განსხვავებულია“ არმუთალანელთა და ბორჩხელთა მეტყველება, თქვენ თურქულ ტერმინებს იყენებთ, ბორჩხელები – ქართულს. არმუთალანელებს უფრო მეტი თურქული სიტყვა შემოგპარვიათ მეტყველებაში, ვიდრე ბორჩხელებს; და კიდევ, ისე დამკვიდრებულა თქვენს მეტყველებაში უცხოური, ისე ბუნებრივი გამხდარა, რომ ვეღარც გრძნობთ, მშობლიურად აღიქვამთ...

– ბატონო იუსუფ, ამ სოფლის ლაღაბებიც გვასწავლეთ!

– არჩვეთი: **ჩილოღლი, ჩაუშოღლი, დევრიშოღლი, აიდი-ნოღლი, ღონგროღლი, ავჯოღლი, მესმომოღლი, ოსმანოღლი, საჯოღლი.**

<sup>29</sup> ს.ს. ორბელიანი, სიტყვის კონა, თბ. 1949.

<sup>30</sup> ი. აბულაძე, ძველი ქართული ენის ლექსიკონი, თბ. 1973.

ჩკათი: **მუფთოდლი, ტავშანოდლი, ლაზოდლი, თირაქოდლი, მაზიმოდლი, ყავაზოდლი, მოლალოდლი, აფთურაჰმანოდლი.**

შეიძლება გამორჩა კიდევ ინფორმატორს რომელიმე ლადაბი, რაც გაიხსენეს ის ჩავიწერე...

ღამდება. სასტუმროში ვბრუნდებით.

**19 ივლისს, შაბათს** ექსპედიციის ნაწილი და აჭარის ტელევიზიის თანამშრომლები ბათუმში დაბრუნდნენ. ზაზა შაშიკაძე, მალხაზ ჩოხარაძე, გიორგი მახარაშვილი და მე კიდევ რამდენიმე დღე დავრჩებით. პირველად დუზჯეში გადავვლით, ჩვენი მიზანია, ინფორმაციები შევაგროვოთ აქაურ ქართულ სოფლებზე და განვსაზღვროთ მომავალი ექსპედიციის გეოგრაფია.

**20 ივლისი, კვირა.** დილით, საუზმის შემდეგ დუზჯეს ილის სოფელ **მუსაბაბაში** წავიდით.

მუსაბაბელი გურჯები იაჰია თერძი, ქერიმ თერძი და მურათდინ ილდიზი გავიცანით.

– **ახლა თქვენ ჰაიდან მოხვალთ?** – გვეკითხება იაჰია, სამოცს მიტანებული ენერგიული მამაკაცი.

– გავიგეთ, აქ გურჯები ცხოვრობენო და მოვედით, რომ გავიცნოთ!

– გურჯები არიან **ასარში, აქსუში** (ფინდიკლი აქსუ), **შიმშირში, ჰაჯი აკუფში.**

ჩილიმლის კაზაშია: **ხიზარ დერე, მაჰირ-აღა, ჩიფთლიქ ქომ, ჩაქილდარ** (შერეული სოფელია, გურჯი ცოტაა), **ადენ-ფინარი, მუნჯურლუ, ჯევიზლი.** სხვა ქვეით თერეფში არაა. **სულეიმანბეი** გადარეველია, კულიანია, **მერგოი** – გურჯია, რამდენი არიან არ ვიცი, **ბეიქომ** გარეველია, **ჯივითი** – დაპანტული არიან, ჰამა ბევრია. **ჰამამუსლი** გურჯია თლათ.

**აქჩაკოჯაშიც** არი და ქომ არ ვიცი!

ჩანს, დუზჯეშიც ბევრი ქართული დასახლებაა.

ქერიმ თერძი იტყვის, რომ „ჩემი გვარები ქობულეთში, ციხისძირში ჯდნან, ქარცივაძეები არიან; ჩვენ უკანაები სულ დარჩენილან ბათუმში“.

ქერიმი საქართველოში ყოფილა, ნათესავები უნახავს, იცის ქარცივაძეების განსახლება აჭარაშიც და თურქეთშიც, – ინეგოლშიც არიანო ქარცივაძეები.

**მუჯურლუში** წაგვიყვანეს: „აგერ *მერჯანები არიან, დავითაძეები*“ – გვეუბნება ქერიმი.

კეთილშობილი კაცია ქერიმი, სხვისი გაჭირვების გამზიარებელი. ერთი ამბავი მოგვიყვა, სადაც კარგად ჩანს მისი პიროვნული თვისებები:

„საქართველომ რომ გეძხნა, ერთი ასკერი ათეშე ჰოლანდას ყოფილა, მანქანამ გაფუჭდა, მანქანა აქ გაფუჭულა. კაცი ემე ქნილა, რა'ნა ქნას არ იცის. ორ დღეზე მუათავები-ე ჩემი რაფეთას მანქანადან მოხსენი, აქ დააბი-მეთქი, გუთხარი უსტას.

**ქართველი ბიჭი იყოს, ტალახი იყოს, მაინც კააა“.**

მუჯურლუს 40% ქართველია.

ხუთი მაჰალე ჰქონია მუჯურლუს: „ბესნი, შაფსი, იშიყ მაჰალესი, ელმალიქ მაჰალესი, ესას მერქეზ მაჰალესი. ჩამლის იყო აქაერი, იმან, მუნტარმა გაარიგა“ – გვიხსნის ქერიმი.

ქერიმის ქართულში თვალშისაცემია ც:ს მონაცვლეობა: ესას<ესაც, ჩამლის<ჩამლიც.

მუჯურლუ და მიმდებარე სოფლები ველზეა გაშენებული. უმეტესად თხილის ბაღები ჩანს ირგვლივ.

სახერხი ქარხნის ეზოში მიგვიყვანეს.

თანდათან ავლენს ქერიმი საინტერესო თვისებებს: „ენა თუ არ იცის, იგი თურქია ჩემთვინ!“

ენის ცოდნაა მისთვის ქართველობის მთავარი ნიშანი.

მუჯურლუს ქართველობა ღორჯომიდან, შუახევიდან და ჭვანიდან მოსულთა შთამომავლები არიან. „**აქაური ქართველი ბიჭები სუ ყველა ბათუმის ბიჭები არიან**“ – განმარტავს ქერიმი.

საბჭოთა პერიოდში წერილები მოდიოდაო იქაური ნათესაეებიდან, ჩვენც ვწერდითო.

– ინებ გქონდეთ ძველი წერილები, მაჩვენეთ! – ვთხოვე ქერიმს.

– ჩვენ არ შეგვინახავს, ბათუმელ ქარცივაძეებთან ინახებო, ქერიმმა.

მაშინ ამ კუთხეში ქართული წერა-კითხვის მცოდნე იშვიათობა იყო. „დედამ **მოიარდა ინგოლს, სხვა კუთხეებს და ქართულის მწერალს და მკითხველს მონახავდა**“ და დააწერინებდა ან წააკითხებდა წერილს...

ბარემ ვიტყვი, რომ ქერიმი გადაზიდვის ბიზნესითაა დაკავებული, ბევრს მოგზაურობს, კარგად ლაპარაკობს ქართულად...

მამულ მერჯანი-კობლაძე მოვიდა, სახერხი ქარხნის მეპატრონე. ოფისში მიგვიწვია, ტკბილეულითა და ჩაით გაგვიმასპინძლდა.

ჩვენთვის საინტერესო ინფორმაციები მოგვაწოდა მამულმა:

– **შიმშირში ორმოცი სახლია ქართველები: შირინოლდი, ჯეშტეროლდი, ხილაძე, კოკოლოლდი (ქარცივაძე), ასტანოლდი, კობლაძე, კარაბდიოლდი.**

ყურადღებას მივაქცევთ, რომ აქაურმა აჭარლებმა უმეტესად იციან წინაპართა გვარები.

– **აქ ემე ყოფილა პილაძე, რუმი, მუჯური იქიდან დარჩენილა...**

– **ჩვენი დაბადული სოფელი ფუნდუკლუ ახსუა!**

– **იქ ორდერი (მდრ. ორდელი/ორდუალი) ბევრია...**

კარგა ხანს ვისაუბრეთ მამულ კობლაძის ქარხანაში. შუადღე გადასული იყო **ჩიფთლიქოში** რომ გადავედით.

**ჩიფთლიქო** აჭარლების სოფელია: შუახევი, ახალდაბა, ქედა, ჩვანა (მდრ. ჭვანა), ქობულეთი...

ჯამიკარზე ჩამოვსხედით. ჩიფთლიქოელი აჭარლები შეგროვდნენ ჩვენს გასაცნობად: **მაკარაძე (მაკარაშვილი), ბერიძე, კობლაძე, კირხველა (კირხველი<კირჩხელი?).**

„აქავრობას ლაპარაკი ათასი წლის ძველია, შენი ლაპარაკი ახალია“ – გვეუბნება ბეითულა მაკარაძე-მაკაროდლი. ამაყობს ბატონი ბეითულა „ათასი წლის ძველი“ ქართულით, და აქვს კიდევ საამაყო, მაგრამ ცუდია, რომ „ბაღნებმა ვერ იციან“ წინაპართა ენა, რომ იკარგება „ათასი წლის“ ქართული...

– რატომ წამოვიდნენ თქვენი დედები მუჰაჯირად? – ვეკითხები ჩიფთლიქოელებს.

– **გდავ, მუსლიმანობა რომ უნდა, იქ მუსლიმანობა რაფერდა ქნას? იმისთვის გამოიქცენ.**

მთელი სოფელი საქმობდა: იფთრისთვის ემზადებოდნენ ჩიფთლიქოელები. დიდი კაცები მოდიანო ამელამ სტუმრად. ახალგაზრდები წმენდნენ, რეცხავდნენ, მაგიდებსა და სკამებს ეზიდებოდნენ... გარეთ კი უინუღლაუდა.

– **ოცი ხანე ჩვენებურია, ჰამა ჩვენებურად არ იციან. თლათ ჩვენებური იყვენ, ჰამა გედეფრეცხენ. ჩვენც ვირეცხვით. ჩვენ რომ წევალოთ, აქ გეირეცხება – გვეუბნება ბაირამალი კუბილაი-კობალაძე.**

მწარე რეალობა დაგვიხატა ბაირამალი კობალაძემ; ხედავს, რომ მის თვალწინ კვდება ქართული, ირეცხება ქართული ნაკვალევი და ვერაფერს შევლის.

ბაირამალის ცნობით, ჰაჯი იაკუბში **სარალთი** და **ჰამამი** ქართული უბნებია, ასევე ჩილიმლის ცენტრში – **დეშილ მაჰალე** ქართულია.

ჩვენთვის საყურადღებო ინფორმაციები გვიგროვდება აქაურ ქართულ სოფლებზე.

**21 ივლისი, ორშაბათი.** დილით ჩილიმლიში წავედით, დუზჯეს რაიონში. აქ ორი ქართული დასახლება გვეპოვება: **დეშილ თეფე** და **გურჯი ხუსეინ ალა** მაჰალე.

**დეშილ თეფე** დუზჯედან 15 კილომეტრშია.

**დეშილ თეფე** ქართველებად ვითვლებითო, გვითხრა ადგილობრივმა ქალბატონმა, თუმცა აქაურებმა ქართული არ იციანო.



სოფლის ჯამესთან გავეჩერდით. რამაზანში აქ თუ შეხედება კაცი ვინმეს.

– მე გურჯი ვიცი, მე გუჯი ვარ! – გვეუბნება პირველივე შემხვედრი.

– საიდან ხართ მოსული?

– ბათუმიდან!

სოფელში მეზობლების გადაძახილი ისმის, თურქულად გადასძახებენ ერთმანეთს.

ქართული „იციან“, თურქულად საუბრობენ ერთმანეთში, – ასეთია ზოგადი სურათი.

თახსინ ბირინჯი გავიცანით, რამდენიმე საყურადღებო ინფორმაცია მოგვაწოდა:

– აჭარლები ვართ. დედემ იქიდან მოგდა. ახლა აქ რა იჯებით? ჰაღლა, ჰაღლა! არ ვიცი თუ? ჰიჩ ვინმე არ არიან სახში. ახლა ხანუმი გურჯი არა, ანუ-ბაბა მოკტა, ახლა ზორ ვლაპარიკობ. მაალე თელი გურჯია. ალთი დუზ (69) ხანე, მარა ჰა'ნა ნახო?

გაღმა არი გურჯები, ჯამე არი. დეშილ თეფე გურჯია იქა. ესკი გურჯუ ჰუსეინ-ალა მაჰალესი...

– ქართული გვარი რა არის თქვენი?

– გურჯი სოდადი ა' ვიცი!

ვერაფერს დავიხეებთ, მაგრამ შეიძლება ვარაუდის დაშვება, რომ თახსინ ბირინჯის მეტყველება აჭარულია, უფრო ქედური თქმა.

– თქვენმა შეიღებმა ქართული იციან?

– ჩემი ღარჭები ბილე გურჯი არ იციან. მეც დამბიწყდა.

კიდევ ერთი ინფორმაცია თახსინისაგან: ხიზარ დერე თეელი გურჯია. თელი გურჯია და კად ლაპარიკობენ.

– თქვენი სოფლის გვარები გვითხარით!

– ბირინჯოღლი, სეიდოღლი, კახანჯოღლი, კარაკოშანოღლი, კოშანოღლი, კარაუშლერი, შავშეთელი. აგინი ლაკაბებია, იქიდან მოსული ლაკაბები, – განმარტა თახსინმა.

ჩამოთვლილი სახელები, რა თქმა უნდა, გვარები არაა. ასეთი ლაღაბების სახელდების პრინციპიც გასაგებია. ერთმა სახელმა მიიქცია ყურადღება – შავშეთლი. ბუნებრივია, იგი წარმომავლობის სახელია მეტსახელად ქცეული.

თახსინ ბირინჯის ინფორმაციით, სოფელში **ფუზალთი** (106) ოჯახია: **ღარჭი იქნა, გარიგდა, ხანე იქნა... ფეშილ თეფე გარეელია: ჰემშილი, ლაზი, გურჯი... ჩორბაა!**

ფეშილ თეფედან **ხიზარლი დერეში** ავედით. ვიცით, ქართველების სოფელია. სოფლის მთავარი სამეურნეო კულტურა თხილია, აქა-იქ სიმინდის ყანებიც ჩანს, ხეხილიც სხვადასხვაგვარი...

ჯამესთან გაეჩერდით. ხოჯა ბავშვებს ყურანის კითხვაში ავარჯიშებდა. იმამი ქართველი არაა, თურქულად ელაპარაკა ზაზას.

ხოჯის ცნობით, სოფელში 60 სახლია, აქედან 40-45 ქართული.

ჯაფერ თოსუნი, 75 წლის ხიზარლიდერელი გაგვეცნო. ჩვენთან სასაუბროდ გაჩერდა. ასეთი დიალოგი მოვისმინეთ მოძღვარ იმამსა და მის მოწაფეს შორის:

– ხოჯა, ტელეფონი ჩამართვევინე!

– არა!

– ხოჯა, ყურანის საქმისთვის მჭირდება! – ეუბნება ხოჯას ყურანისკურსელი შემოულაწუნე ბიჭი.

ხოჯა უარზეა, ბიჭი თავისას არ იშლის.

– რა ეტყობა ამას, ყურანის სურები რომ აინტერესებს? – გადმომილაპარაკა ზაზამ.

– სული ერთი აქვს, როდის მორჩება დერსს (გაკვეთილს) და სასალახნოდ წავა!

– სახეზე აწერია, როგორი მორწმუნეცაა! – ამბობს მალხაზი.

– ცოდოა, ვერ მიმხვდარა, რას ახეპირებინებენ და რატომ, ურჩევნია, ბავშვური საქმე აკეთოს! – ვამბობ მე.

ჯაფერ თოსუნისაგან გავიგეთ, რომ ამ სოფელში აჭარელ მუჰაჯირთა შთამომავლები ცხოვრობენ. თავად ჯაფერ-

მა ჩხავერა ყურძენიცა და ხეჭუჭყურიც იცის: ხეხილის ორივე სახეობა, განსაკუთრებით პირველი, კიდევ ერთი დასტურია, რომ ხიზარდერელი გურჯები აჭარელ მუჰაჯირთა შთამომავლები არიან...

**მახირაღაში** (ჩილიმლის უბანი) გადავედით. სოფელში 70 ოჯახია, აქედან 20% ქართული.

მუხტართან, ხუსეინ ქურტთან (გელაძე) ვისაუბრეთ.

– საიდან მოვიდნენ თქვენი წინაპრები?

– ბათუმიდან წამოსულებს ამბობენ ჩვენზე, აჭარადან!

– სოფელში რა გვარები ცხოვრობთ?

– გელოღლი, ოღაბაშოღლი, ჯემტეროღლი, ჰელიმოღლი, ბაირაქი. მეტი ლაყაბი არაა.

წუხს ჰუსეინი, რომ ბევრი არაფერი იცის, რომ „დიდი კაცები მოკტა, ჩემფერ კაცები არ იცის“.

მახირაღელ აჭარლებს უჭირთ ქართული!

**ჩიჩქეფინარში** (აქჩაქოჯას ილჩე, დუზჯეს ილი) წავედით. სოფელში 80-მდე ოჯახია, ქართული არ იცინა.

– თქვენი გურჯიჯე, ჩვენი გურჯიჯე აინი არ არის. შენ მიხტები, ჰამა მე ვერ მივხტები.

– სადაურები ცხოვრობთ აქ?

– დაბლა აჭარლები არიან. აქ ართვინი, ბათუმ, რუსიადან არეველი არიან.

**ჩიჩქეფინარი** დუზჯედან ჩრდილოეთით 30 კილომეტრშია. თხილის ბაღები, მშენიერი აგურის სახლები, ძველი თუ ახალი, დასტურია, რომ სოფელი შექმლებულად ცხოვრობს.

ფადიმე კოჯამა და მისი შვილი ჰაირი გააცივანით. იქამდე რამდენიმესთან ვცადეთ საუბარი, მაგრამ ამოდ, რამდენიმე ფრაზის მეტი ვერაფერი ვატქმევინეთ, საკუთარი სახელებიც კი დაგვიმალეს.

– დაბლა აჭარა ქოღ ვარ. აგზე ხანუმი არი, ჩვენზე კად ლაპარიკოფს. ჰამა სახშია თუ არა, ისიც არ ვიცი. თქვენ რა გინდებიან ახლა? – გვეკითხება ფადიმე კოჯამა.

– თქვენი გაცნობა გვსურს, ბათუმიდან ჩამოვედით, რომ გვენახეთ, – ვეუბნები ქალბატონს.

– **სომ დეგენახვეთ!**

„ქართული არ ვიცითო“ ქალბატონმა, თუმცა თავად ლაპარაკობს ქართულად. დაბლააო სოფელი „აჭარა“. ჩვენი ინფორმაციით, აქ აჭარა სოფელი არ უნდა იყოს, ეგებ ჩიჩეკ ფინარის უბანია აჭარლებით დასახლებული. გარეთ არავინ იხედება, რომ მოვიკითხოთ, „რემეზანია და რა ქნან“.

დუხჯედან რომ გამოვედით, დილით, საშინელი წვიმა წამოვიდა, სულხან-საბას კვალიფიკაციით „ისხარი – წვიმა სწრაფი და ადრე მომდარებელი“, ჩვენებურად **დლოფო** – „წვიმა დიდი და დამაბნელებელი და დვაროვანი“<sup>31</sup>... აჭარაში (დოღანჯის უბანია) მზეა, მწველი და ცხელი.

„აჭარაში“ ქართულის მცოდნე არ ჩანს. 100 კაცზე მეტი ცხოვრობსო სოფელში, მაგრამ ქალაქში არიანო. ქართულის მცოდნეებიც არიან, მე არ ვიციო ქართული, – გვეუბნება შემხვედრი, რომელიც რატომღაც სახელს არ გვეუბნება.

– **გურჯი ჰამან, ჰამან გაგაგდეთ, ახლებმა ჰიჩ ა’ იციან,** – გვეუბნება ფადიმე კოჯამა, რომელიც გაჭირვებით ლაპარაკობს ქართულად.

– **დიდვანებმა ჰიჩ არ მითხრენ ჩვენ, რა სომ იქნა, ა’ დამაწავლეს მე... რაიფ ამჯამ იცოდა, ბორჩხა გურჯილერი იბახდენ ჩემი ბაბამ... ჩემი ბაბას ბაბამ ჰარფ ზამანი იქ დარჩენილა,** – მოგვითხრობს ქ-ნი ფადიმე.

ფადიმე კოჯამას ქართული ტიპური კლარჯული მეტყველებბაა, დასტურად სხვა ფრაზებსაც მოვიხმოთ:

– **ასე პაწად ბახჩიები ვიქავთ!**

– **უღურლუშიც მეღენახსავეფ ილაპარიკებენ.**

– **ა’ გიმიგონია!**

– **ჩვენ ნარი მითხრენ, ჩვენ სახელები ა’ ვიცით!**

---

<sup>31</sup> ს.ს. ორბელიანი, სიტყვის კონა, თბ. 1949.

– თურქე – ბაგენი, გურჯიჯე – ნალია, იყო, დავანგრი-  
ეთ!

საუბარში რესპონდენტმა ახსენა *ნარი*, ეკლის მნიშვნე-  
ლობით. კლარჯებმა კლარჯეთში *ნარი ეკლის* მნიშვნელო-  
ბით არ იციან.

ილიჯას რაიონი (დუზჯეს ილი) გავიარეთ და დუზჯეში  
დავბრუნდით.

ზოგადი სურათი ასეთია: დუზჯეს ილში ქართული და-  
სახლებები არის. აქაურებს მეტ-ნაკლებად შეუნარჩუნებიათ  
ეროვნული მეობა. ვფიქრობ, ღირს, მოვიდეთ აქ და საგულ-  
დაგულოდ ვიმუშაოთ დიალექტოლოგებმა, ეთნოლოგებმა,  
ფოლკლორისტებმა...

**22 ივლისი, სამშაბათი.** დუზჯედან სინოპში ჩამოვედით.  
გრძელი გზა გამოვიარეთ. სინოპში შევხვდით კულტურის  
სახოგადოების ხელმძღვანელს, სელამეთინ აიდინს.

ბატონი სელამეთინის მეცადინეობით დავბინავდით სას-  
ტუმრო „დიოგენში“. იგი ქალაქის გარეუბანში, ზღვისპირას  
დგას. მშენიერი გარემოა დასასვენებლად და სამუშაოდ.  
გარშემო მდიდრული ვილები და ღამაზი ეზოები დასტურია  
იმისა, რომ პრესტიჟულ უბანში დგას ჩვენი სასტუმრო.

სელამეთინის წინაპარი, გვარად ბასილაძე, ქობულეთი-  
დან წამოსულა მუჰაჯირად. თავად სელამეთინი ყოფილა  
თავის ისტორიულ სამშობლოში, ჩურუქსუში, კიდევ უნდა  
ჩამოსვლა.

ვეპატიუებით, მასპინძლობას ვთავაზობთ.

ბარემ ვიტყვი, რომ ჩვენი მასპინძელი სამოცდაათს გა-  
დაცილებული კაცია, ენერგიული, განათლებული... ერთი კი-  
ა, ქართულად ვერ ლაპარაკობს, თუმცა ჩვენს საუბარს  
ხვდება.

პირველად სოფელ **ღაღა**ში წავგიძღვა სელამეთინი,  
**ფირენჯი მაჰალეში**. თან ამ კუთხის კარგი მცოდნე შაინ გუ-  
ლი იახლა.

შაინი ხებადანაა, შუბნიდან. მისი ძველი გვარი დელქენ-  
ჯია. აღმოჩნდა, შაინი იმავე ოჯახის შვილია, რომლისაც ჩე-

მი მეუღლის, ნარგულის ბებია. ასე რომ, სინოპში მოყვარე გავიცანი...

ფირენჯი მაჰალეს სახელს ერმენ ფერენქს უკავშირებენ.

ბუნებრივია, ჩვენ ქართული სოფლები და უბნები გვანტერესებს. ფირენჯი მაჰალეში ქართველები ცხოვრობენ. ქვემოთაც ყოფილა ქართველი, **თაუქჩი მაჰალეში**. ესაა მთლად ამ სოფლის ქართველობა.

დაბოლოს, ლალაში ხებალები და ნაჯვიელები ცხოვრობენ.

ასმედ ოზჯიჰანი ნაჯვიელია, ქართულად კარგად ლაპარაკობს.

**ცნობისათვის:** კლარჯეთში ნაჯვია არაა მექართულე, მეთურქულეა. მექართულე მუჰაჯირი ნაჯვიელი საინტერესო ფაქტია, რომელიც გვავარაუდებინებს, რომ ამ 130 წლის წინ ნაჯვიაში ქართული იცოდნენ.

ბატონი ასმედი მოგვითხრობს მისი წინაპრების მუჰაჯირად წამოსვლის შესახებ:

– აქ **ლაპარიკობენ** (ქართულად – ავტ.), **პაწაღ დარჭები** არ იციან. ჩემი დედეა, ალი რედსი (რეიზი – ავტ.) წამოსულა. ასმედი და ხასანი მისი დარჭები არიან. ბაბა ანეს ძმა ედირნეს მოკტა. ჩემი დედეა, ამის დედეა აქ მოადნენ. ორი დარჭი ქონდა, ხუთი – გოგო. გოგო ქალები აქ გეზდნენ. თელი ქართველი არიან, დამბიწყდა ქართველი. ღობიოს ვარგებთ, პურის ვთესავთ, ფათლიჯანს ვექცევით, ტომათესი, სადამოზე ჭვამთ (ახლა რამაზანია და მორწმუნე მუსულმანი დღისით მარხულობს, თმენს, ითმენს – ავტ.).

ეზოში ხილი ჩანს:

**მსხალი:** პანტა, დანისტარაღ, ვირი სხალი...

**ვაშლი:** წითელი, ბათუმის ვაშლი, გოლდენი...

კაკალიც არის...

„კაკალი“ ვერ გაიგო იქვე მდგომმა ქობულეთელმა: „კაკალი“ **„ერთი“ და...** ერთი ცალი, ვაშლი ან მსხალი იგულისხმა, გაუკვირდა რა ხილიაო ასეთი...

აუუხსენით, ნიგოზზე ვლაპარაკობთო!

შავი ქლიავიც ხარობს სოფელში, ჭანჭურიც...

ეზოში ვსხედვართ. ჩვენს დანახვაზე მეზობლები შეიკრიბნენ: ახმედ გუნდოღლუ, ომერ ქეა, რამი ჩელიქი, ადი ერჯანი...

ახმედ ოზჯიჰანი ხედავს განსხვავებას აქაურთა ქართულსა და მემლექეთის ქართულს შორის. სახელდახელოდ მაგალითსაც მოიტანს:

**გურჯი:** როგორი ხარ?

**ჩენ:** რა სოფ ხარ?

განსხვავება, ბუნებრივია, არის, მაგრამ ამას ჩვენებური რომ ხედავს, ესაა საინტერესო.

თაუქჩი მაჰალეში ჩავედით. „ყველა ხებაიდან არიან მოსული“: ხოჯიოღლი, ალიეფენდოღლი.

ორივე უბანში უჭირთ ქართული. წვალობს აქაური ქართული, სულს ებრძვის!

**აქქირაჩიცა და თანგალი მაჰალე, დევრანთი ნაჯვიელეხის უბანია**, „აინი **გურჯულათ ჩვენებურად ვერ ლაპარაკობენ**“, – გეიხსნის ალი ერჯანი.

გაიგვს რა ჩვენი დაინტერესება, კიდევ ერთი ინფორმაცია მოგვაწოდეს: **ელფელექ ილჩეში** – ქლასქურიდან მოსული არიან;

**ყარასუში** – დევსქელიდან.

უფიქრობთ, საყურადღებო ინფორმაციები შევაგროვეთ სინოპელი ქართველების შესახებ. ბარემ ვიტყვი, რომ ამ რეგიონში მუჰაჯირთა სოფლები სხვაცაა, ყველგან მისვლა და შემკერებლობითი მუშაობაა საჭირო.

**23 ივლისი, ოთხშაბათი. ერფელიკის ილჩეში** ჩავედით. რაიონულ ცენტრში, ერფელიკში ჩაიხანაში დავსხედით. დღესაც მეგზურად შაინ გული-დელქენჯი და სელამეთინ აიღინი-ბასილაძე გვახლავან.

ბატონი შაინი საინტერესო კაცია, მთელს სინოპს იცნობს, განსაკუთრებით აქაურ ქართველობას, მუჰაჯირთა შთამომავლებს. იცის სინოპის რომელ კუთხეში სახლობენ გურჯები და საიდან არიან მოსული. ერფელიკში ბევრი

დოსტი ყავს შაინს. საერთოდ, ადამიანებთან მისასვლელი გზების გამონახვა ელქენჯების თანდაყოლილი ნიჭია. გამონაკლისი არც ჩვენი მხლებელია.

ჩაიხანაში ვსაუბრობთ: ნუსრეთ კოტანოღლი, სელამეთინი, შაინი და ჩვენ, ექსპედიციის წევრები.

უპირველესად აქაური ქართული დასახლებები გვანტერესებს. მასპინძლები მსჯელობენ, გარკვეული განსჯის შემდეგ გვაწვდიან ჩვენთვის საინტერესო ინფორმაციას:

**კეისელი** – 200 კომლი ქლასქურელი ცხოვრობს. იციან ქართული.

**დერმანჯილი** – 80-90 კომლი ბორჩხალი და დევსქელელი ცხოვრობს.

**ინჯე შეიდანი** – 30-40 ოჯახი ქლასქურელი, ბორჩხალი და დევსქელელი სახლობს. სოფელში რამდენიმე ოჯახი აბაზიცაა.

**აფთურაჰმან ფაშა** – 70-80 ოჯახი ბორჩხალი.

**დენიჩამი** – 40 ოჯახი, გარეულია.

**ბაშარანი** – შერეულია, ნახევარი გურჯია, ნახევარი – სხვა.

**ჰასან დერე** – შერეულია. 20 ოჯახი ჩვენებურია.

**ჰამიდიე** – თველი გურჯია, ბორჩხალები არიან.

**ჰათუნქოღ** – 40-50 სახლი გურჯია.

**ვეისელი** – ქლასკურიდან არიან.

**დერმანჯილი** – ქართული დასახლებაა. ახლებმა არ იციან, უფროსებმა იციან ქართული.

**ინჯე შეიდანი** – უფროსები ლაპარაკობენ ქართულად.

**აფთურაჰმან ფაშა** – ბორჩხალია.

ცხრა ილჩეა სინოპში. ცხრავეში მეტ-ნაკლები ოდენობით ქართველი ცხოვრობს.

**ბოდაბადი, დურაანი, სარაიდუზი, გითმენი** – ამ რაიონებში ქართული სოფელი არაა, შეიძლება ერთი-ორი სახლი იყოსო.



**ოსმანიეში**, თოსუმბეი მაჰალეში 20 ოჯახი ჩურუქსული მუჰაჯირი ცხოვრობს. **თეფნელიქ** მაჰალეშიც ცხოვრობენ ჩვენებურები.

**ოსმანიელი** ჩვენებურები ქართულად გაჭირვებით ლაპარაკობენ. თავად თვლიან, რომ იციან ქართული. ორიოდ ფრაზა ოსმანიელთა დიალოგიდან:

– **დათვი’ნა იყო, გააჩენიო!**

– **შენ დათვი არ ხარ თუ!**

შემდეგ სოფელ **დეირმანჯილში** ავედით, ვეისელთან ახლოს. ჰიქმეთ დეშილი-გეგიძე გვეტყვის: „თხილნარიდან **ბორჩხას მოვსულვართ**, იქიდან **დოქსან უჩ წამოვსულვართ**. ჩვენ **დეგიძე|გეგიძე ვართ**. **ქლასქურში ათანოღლი მაჰალეში მოსულან**, იქიდან **აქ – წამოსულან**.“

უჭირს ჰიქმეთ გეგიძეს სიარული. სხვებთან შედარებით კარგად იცის ქართული, თუმცა უჭირს ქართულად ლაპარაკს გადაჩვეულს.

ჰიქმეთ დეშილის ეზოში ვსხედვართ. ვსაუბრობთ სინოპის ქართულ სოფლებზე. ვფიქრობ, მნიშვნელოვან ინფორმაციას ვღებულობთ:

**ლალა** – გურჯია.

**ავდალი** – გურჯია.

**თანგალი** – გარეველია. კაცები სინკოთიდან მოსული არიან, გურჯული არ იციან. თანგალში ცოტა ნაჯველია. ასდანახევარი ხანე იქნება. ორი ხანე რუმელი მააჯირი არი.

**ოსმანიე** – გადარეველია, ჩურუქსულები ცხოვრობენ.

**ქილიჩელი** – ნაჯველია.

**აჰმეთი დერი** – მაჭახელი.

**ორდუქოღში, ჩიფთლიქლიში, მელექშაში, ალიოღლუში, ქაბალში, სინეჯშა, ერიკლიში** არიან გურჯები.

ქართული სოფლებია გურზეს რაიონშიც:

**აქყირაჯი** – თეელი ქართველია, ართვინი, ნაჯვია.

**დუვალი** – ორმოცი ხანე იქნება.

**მახადიბი** – ორი მაჰალე გურჯია, 20 სახლი იქნება.

**ლომანიე** – მაჭახლელები.

**ახნა ჩამი** (ხასან დერე) – ორი-სამი ხანეა (სხვაგან დაგვაწერინეს 20 სახლიაო – ავტ.).

**ხიზარ ჩაი** – ათი ხანე, ათ და ხუთი ხანე იქნება იშტე. გერზეზე ახლოსაა, მისი მაჰალეა, *იხის* არ ვიცი იშტე.

**დაქილში** – არ არი იშტე.

**ამანჯუქი** – არ არი.

**ნესტანი** – ერთი მაჰალეა. აქიდან შორაა, ადგილიც არ ვიცი იშტე.

**ფაზარჯი** – ქასაბას მაჰალეა. თეელი არაა გურჯი. 4-5 ხანე და არიან, და არ არიან იშტე.

ბატონი შაინ გული-ფელქენჯი და ჰიქმეთ ფეშილი მსჯელობდნენ სინოპის ქართულ დასახლებებზე. ვგრძნობთ, ორივე კარგად იცნობს აწ უკვე მშობლიურ მხარეს, ზედმიწევნით იციან სოფლები, მათი მოსახლეობის შედგენილობა.

..

შუადღე გადასული იყო, დერნეში რომ მივედი. ჩვენს შესახვედრად თავი მოეყარა სინოპის ქართველობის ნაწილს. გაგვეცნო თითოეული:

– მე **შარაშიძე** ვარ, ნენედ კომახიძე არი. ავინები ჩაქველია (სელამეთინ ბასილაძეზე გვეუბნება - ავტ.)...

ირკვევა: ქობულეთელმა და ბათუმელმა იცის ქართული გვარი, ბორჩხელმა – არა.

ჩვენთან ორდღიანი ურთიერთობის შემდეგ სელამეთინ ბასილაძე იტყვის: „მომკლან და გურჯი ვარ, დამკლან და გურჯი ვარ...”

ჩვენც დაფუდასტურებთ, ჭეშმარიტი გურჯია სელამეთინი. უცხო ცის ქვეშ ქართული კულტურის დარაჯი...

**ორჰან დორგუნ** – ახისხადან მოსულა ბაბუამისი ბათუმში, იქედან მუჰაჯირად წამოსულა. ქართული არ იცის, თუმცა ამტკიცებს, ფესვით ქართველი ვარო, მაგრამ ქართული არ ვიციო. საუბარში მესხეთიც ახსენა, შარაშიძეაო ჩვენი ძველი გვარი.

საბრი იღმაზი – შარაშიძე ქობულეთიდან.

დურმუშ ავჯი...

კარგა ხანს ვისაუბრეთ, სურათები გადავიღეთ. დერნევის აქტივისტები ცდილობდნენ, ჩვენთვის საინტერესო ამბები მოეთხროთ.

დავემშვიდობეთ სინოპელ ქართველებს. დავემშვიდობეთ კიდევ შეხვედრის იმედით. მუჰაჯირთა შთამომავლებთან საუბარში ერთი რამ იკვეთება: ყველა ფიქრობს ბათუმში ჩამოვიდეს, წინაპართა სოფელი ნახოს, წინაპართა საფლავებზე ილოცოს, ნათესავები გაიცნოს...

დერნეგიდან წამოსულები სადილზე მიგვიწვიეს. უარს ვამბობდი, რამაზანია, თქვენ მარხულობთ, უხერხულია-მეთქი.

– რემეზანი ჩემთვისაა, მეუბნება შინ დელქენჯი, მე ვმარხულობ, შენ ხომ არა? მე ვმარხულობ, მე უნდა ვითმინო, შენ რატომ არ’და ჭამო?

ასეთ დამოკიდებულებას სხვაგან ვერ შეხვდებით, სინოპი გამორჩეულია...

სადილის შემდეგ სინოპის კონცხზე წაგვიყვანეს: ძველ საფორთეფიკაციო ნაგებობასთან გაგჩერდით. XV საუკუნეში აგებული ციხე მთლიანად აკონტროლებდა შავ ზღვაზე მოძრავ გემებს. თავად ფორტე გარედან უჩინარია. ახლა მუზეუმში მოუწყვიათ ციხის ტერიტორიაზე...

სინოპი ამაცობს, რომ დიოგენე, ელინისტური სამყაროს გამორჩეული მოაზროვნე, აქაური იყო. ქალაქის ცენტრში კასრზე მდგომი დიოგენეს ძეგლიც დაუდგამთ.

დიოგენეს ძეგლი დღევანდელი სინოპის სიმბოლოა.

გზა გავაგრძელებთ. კონცხის ქიმზე ავედით, სინოპის შუქურის თავზე. ულამაზესი ხედი გადაიშალა ჩვენ თვალწინ. თუ კონცხის ერთ მხარეს ზღვა დელავს, მეორე მხარეს წყნარია. თურმე ზღვა რომ აღელდება, გემები აქ იყრიან თავს და ელოდებიან სტიქიის ჩაცხრომას...

დიდებულია სინოპი!

თურქეთის ყველა ქალაქისაგან განსხვავებული...

დადგა მასპინძლებთან დამშვიდობების დრო.

ჯერ შაინ ელქენჯის დავემშვიდობეთ. მადლობა გადავუხადეთ მასპინძლობისა და ჩვენზე ზრუნვისათვის, ჩვენდამი გამოჩენილი ყურადღებისათვის...

ბატონმა შაინმა მოკითხვა დამაბარა ბათუმელ ნათესავებთან, მახინჯაურელ ასანიძეებთან... ბათუმში ჩამოსვლის სურვილი გამოთქვა.

შემდეგ სელამეთინ ბასილაძეს დავემშვიდობეთ. ბათუმში მოვიწვიეთ, მადლობა გადავუხადეთ ერთად გატარებული ორი დღისათვის...

ცრემლი მოადგა მოხუცს, კიდევ მოდიოთ სინოპში...

ექსპედიცია „მუჰაჯირი 2014" დასრულდა.

ხვალ ბათუმში დაგბრუნდებით!

## თავი IV. თურქეთის შავი ზღვის რეგიონში და სხვაგან, ანუ ჩანაწერი მეოთხე

19 ივლისი, კვირა. მშვენიერი ამინდია ბათუმში. დილის 8 საათზე უნივერსიტეტში შევიკრიბეთ: ასოც. პროფესორი ზაზა შაშიკაძე, პროფესორი თინა შიოშვილი, ასოც. პროფესორი მაია ბარამიძე, პროფესორი ნუგზარ მგელაძე, ნანა ფუტყარაძე (ისტორიის დოქტორანტი) და მე, მამია ფაღავა. ტარიელს ველოდებით, ჩვენს მძღოლს, პროფესორ მაღხაზ ჩოხარაძესა და ისტორიის დოქტორ რუსლან ბარამიძეს სახლში გავეუვლით. მიმიხვდით ალბათ, ექსპედიციაში მივემგზავრებით მუჰაჯირთა შთამომავლებთან მეზობელ ქვეყანაში. ბარემ ვიტყვი, რომ წელს ექსპედიცია გვექნება თურქეთის შავი ზღვის რეგიონში. გირესუნში დაგბანაკდებით, შემდეგ სხვაგანაც გადავინაცვლებთ...

გირესუნის ილჩეში რამდენიმე სოფელი გვეგულება, სადაც აჭარელ მუჰაჯირთა შთამომავლები სახლობენ.

წლევანდელი ექსპედიცია ორ ეტაპად ჩატარდება: კომპლექსურად ვიმუშავებთ 27 ივლისამდე, მეორე ეტაპზე – 4 აგვისტომდე ზაზა შაშიკაძე, რუსლან ბარამიძე, მაღხაზ ჩოხარაძე, ბაქარ ჩოხარაძე და მე დაზვერვით სამუშაოებს ჩავატარებთ სხვა რეგიონებში და მომავალი ექსპედიციებისათვის ნიადაგს მოვამზადებთ. ექსპედიციის სხვა წევრები 27 ივლისს ბათუმში დაბრუნდებიან.

მაღხაზს შევუარეთ ხელვაჩაურში, საექსპედიციო ბარგი ჩავალაგეთ, ტრადიციისამებრ დავილოცეთ და გზას დავადექით. უკვე 11 საათია. გირესუნამდე თითქმის 350 კილომეტრია საზღვრიდან...

კარგად ვიმგზავრეთ. გირესუნში სასტუმრო „ორმანჯილარში“ დავბინავდით. მისაღები პირობებია: ფასი, ოთახები...

ჯერ დიდი დროა საღამომდე, ისედაც გვიან ღამდება წელიწადის ამ დროს. ცოტა დავისვენეთ და ქალაქში გავედით. სასტუმრო ქალაქის ძველ უბანშია. ჩანს, ტურისტებისა

და ფეხით მოსიარულეთათვისაა ჩვენი ქუჩა, სპეციალური მომსახურების მანქანებს თუ დაინახავთ ქუჩაში, ფეხოსანთა ნაკადი კი არ წყდება: ზემო უბნიდან სანაპიროსაკენ ეშვებიან გირესუნელები და გირესუნის სტუმრები. პირველი შთაბეჭდილება ასეთია: გირესუნის ძველი უბნისათვის ვიწრო ქუჩებია დამახასიათებელი, იმდენად ვიწრო, რომ მზე ქვაფენილამდე ვერასოდეს აღწევს...

სასტუმროში დავბრუნდით. ხვალინდელ დღეს ვგეგმავთ, ვმსჯელობთ, რომელ სოფელში ვიმუშავეთ, გამყოლი ვინ გვეყოლება, სხვა წვრილმანებზეც...

საგანგებო მდგომარეობა შეგვექმნა ოჯახში. აუცილებელი გახდა ჩემი ბათუმში დაბრუნება. 20 ივლისს, ორშაბათს, ბათუმში დავბრუნდი. 20-23 ივლისი გამიცდა. ექსპედიციამ გირესუნში იმუშავა. ნაცდენი დღეები მაღსახო ჩოხარაძის ჩანაწერებით შევაფასე...

\* \* \*

**20 ივლისი** ექსპედიციამ **დამუდგერეთი** (ბულანჯაქის ილჩე) დაიწყო.

150-მდე აჭარული ოჯახი ცხოვრობს დამუდგერეთში. სოფელი მდებარეობს ბულანჯაქიდან 30 კილომეტრში. სოფლის მცხოვრებთა უმეტესობა წონიარისელ (ქედის რაიონი) მუჰაჯირთა შთამომავალია.

ბულანჯაქის ამავე სექტორშია გაშენებული:

**ეზელდერე**, სოფელი ბულანჯაქიდან 34 კმ.-ში მდებარეობს. მოსახლეობის უმეტესობა წონიარისელ მუჰაჯირთა შთამომავალია.

**გუნეძო** მდებარეობს ბულანჯაქიდან 30 კმ.-ში. სოფელში 50 აჭარული ოჯახი ცხოვრობს.

გუნეძო ქედელ (წონიარისი), შუახეველ და ხულოელ მუჰაჯირთა შთამომავლების სოფელია.

**პაჯეთი** – მდებარეობს ბულანჯაქიდან 13 კილომეტრში, მოსახლეობის უმეტესობა ჯოჭოელ (ხელვაჩაურის რ-ნი) მუჰაჯირთა შთამომავალია.

**ქარაღაჩი** – შერეული სოფელია სამასამდე კომლით, აქედან 100-მდე ოჯახი ზემოაჭარელ (ზეგნელი – ასე უწოდებენ საკუთარ თავს – ავტ.) მუჰაჯირთა შთამომავალია.

**ქააბაში** – ზემოაჭარელ (ზეგნელ – ავტ.) მუჰაჯირთა სოფელია ბულანჯაქიდან 29 კილომეტრში 150-მდე ოჯახით.

**ქიშლა** – მცირე სოფელი ბულანჯაქიდან 29 კილომეტრში ჯოჭოელ (ხელვაჩაურის რ-ნი) მუჰაჯირთა შთამომავლების 20-მდე ოჯახით.

**ქუჩუქდერე** – მოზრდილი სოფელი ბულანჯაქიდან 18 კილომეტრში ჭვანელ (შუახევის რაიონი) მუჰაჯირთა შთამომავლების 50-მდე ოჯახით.

**ოღადუზუ** – სოფელი ბულანჯაქიდან 32 კილომეტრში აჭარელ მუჰაჯირთა შთამომავლების 60-მდე ოჯახით.

**თეფეორენი** – ბულანჯაქიდან 37 კილომეტრში შუახეველ (ჭვანა, წყაროთა, ნადვარევი) და ხულოელ (თხილვანა, ცხემლნარა) მუჰაჯირთა შთამომავლების სოფელი 80-მდე ოჯახით.

**თოქმაღინი** – (თეფეორენის განაყოფია) ბულანჯაქიდან 39 კილომეტრში შუახეველ და ხულოელ მუჰაჯირთა შთამომავლების სოფელი 20-მდე ოჯახით.

**ენიქო** – (თეფეორენის განაყოფი) აჭარელ მუჰაჯირთა შთამომავლების სოფელი 40-მდე ოჯახით.

**21 ივლისს** (სამშაბათს) ექსპედიციამ იმუშავა:

**ამბარალანში** (გირესუნის ცენტრალური რაიონი), სოფელი მდებარეობს გირესუნიდან 26 კილომეტრში.

ამბარალანი ქედელ (წინიარისი) და ზემოაჭარელ (შუახევი, ხულო) მუჰაჯირთა შთამომავლების სოფელია 40-მდე კომლით.

(ამავე სექტორში გაშენებულია მუჰაჯირთა კიდევ რამდენიმე სოფელი, კერძოდ:

**ინმესუ** – გირესუნიდან 43 კილომეტრში, სახლობენ ქედელ და შუახეველ მუჰაჯირთა შთამომავლები.

**ააიქინლიქი** – გირესუნიდან 13 კილომეტრში, სახლობს ჯოჭოელ მუჰაჯირთა შთამომავლების 60-მდე კომლი).

**აქქადაში** (დერელის ილჩე), სოფელი მდებარეობს გირესუნიდან 42 კილომეტრში, სახლობენ შუახვეველ მუჰაჯირთა შთამომავლები.

**22 ივლისს**, ოთხშაბათს, ექსპედიციამ იმუშავა **აქინლიქში** (გირესუნის ცენტრალურ რაიონში), **ქიშლაში**, **ქუჩუქდერესა** (ორივე ბულანჯაქის რაიონი) და **თეფექოში** (ფირაზიზის ილჩე).

პირველი სამი დასახლების შესახებ ზემოთ ვწერდი, **თეფექო** კი მდებარეობს გირესუნიდან 38 კილომეტრში, სახლობს ქედელ (უმეტესად ცხმორისელ) მუჰაჯირთა შთამომავლების 300-მდე ოჯახი.

ბარემ ვიტყვი, რომ ამავე სექტორშია გაშენებული სოფელი **აუნუსემრე**, სადაც ცხოვრობს აჭარელ მუჰაჯირთა შთამომავლების 50-მდე ოჯახი, მდებარეობს გირესუნიდან 41 კილომეტრში.

**23 ივლისს**, **ხუთშაბათს**, ექსპედიციამ იმუშავა ბულანჯიქის ილჩეს სამ სოფელში – **დამუდერეში**, **გუნეაქოზა** და **თეფეორენში** (ინფორმაცია იხ. ზემოთ).

გული დამწყდა, რომ ძალიან მნიშვნელოვანი დღეები გამიცდა. ვინ იცის, მოვახერხებ კი ოდესმე დასახლებულ აჭარულ სოფლებში სტუმრობას? ამჯერად ამ მშრალი ინფორმაციით დაგეგმავოფილდები და თუ ოდესმე მომიხდება ამ მხარეში მუშაობა, მაშინ ვისაუბრებ ვრცლად აქაურ აჭარლებზე, მათ ყოფაზე, მეტყველებასა და ფოლკლორზე...

**24 ივლისი**, **პარასკევი**. დღეს შევეუერთდი ექსპედიციას. საუზმის შემდეგ **თოქათში წავედით**, ნიქსარის ილჩეში. ქალაქ ნიქსარში გავჩერდით, სასტუმრო „ნური პარკ ოტელში“.

ზღვის დონიდან 500 მეტრზე მეტზეა გაშენებული ნიქსარი. საშინლად ცხელა. ვფიქრობთ, ერთი სოფელი მაინც ვნახოთ დღეს.



**უსტაჰასანში** წავედით, იმერხეველების (შავშელების) სოფელია, მთის ფერდობებზე გაშენებული. ალი ბაღჯის ოჯახში მივედით. ბიძაშვილი დაღუპვია, გლოვობს ოჯახი.

კარგად მივიღეს!

პირველი შთაბეჭდილება ასეთია: უჭირს ქართულს უსტაჰასანში. ცუდად ლაპარაკობენ, უფრო ვერ ლაპარაკობენ ქართულად უსტაჰასანელი შავშელები. „გურჯული **ბაშქა დოხ არი, დეილია,**“ გვეუბნება ალი ბაღჯი, უსტაჰასანელი იმერხეველი. უფროსი თაობის ნაწილი ვერ ახერხებს ქართულად საუბარს, ვინც ლაპარაკობს, აზრის დასამთავრებლად ხშირად თურქულს იშველიებს.

ნაცნობი სურათია!

ალი ბაღჯის ცნობით, უსტაჰასანში ართვინიდან, მეიდანჯიქიდან, დიობანიდან (იმერხევი) მოსულები ცხოვრობენ. ბარემ აღვნიშნავთ, რომ ქართული დიობანშიც უჭირთ.

ბედრეთდინ დიქმენის ცნობით, უსტაჰასანში ობა'დან (უბედან) მოსულები ცხოვრობენ.

მთავარი ისაა, რომ ორივე ცნობით უსტაჰასანის მოსახლეობა იმერხეველი შავშელებია. აღვანიშნავთ ისიც, რომ უსტაჰასანელები არ არიან მუჰაჯირთა შთამომავლები. აქაურთა წინაპრები ამ მხარეში XX საუკუნის ათიან წლებში მოსულან. ამდენად, სოფელი უსტაჰასანი შიგა მიგრანტთა დაფუძნებული სოფელია.

სოფლის უბნები ჩავიწერეთ:

**ჭიკიენთი, ტაშქოფრუ, კოვიენთი** (უბელები), **ფიქლოენთი, დენჩაროღლი**. ფიქლოენთისა და დენჩაროღლის მცხოვრებლებმა არ იციან, საიდან მოვიდნენ.

ყურადღება მიიქცია სოფლის მაჰალეების ქართულმა სახელწოდებებმა: *ჭიკიენთი, კოვიენთი, ფიქლოენთი...*

მოტანილი ინფორმაციიდან მნიშვნელოვანია:

– შავშეთის (იმერხევის) სოფლებიდან მოსულებს ახალ საცხოვრისში საკუთარი უბნები შეუქმნიათ. შესაძლებელია, უსტაჰასანის დღევანდელი მაჰალეები თავდაპირველად ცალ-

კე სოფლები იყო, შემდეგ გააერთიანეს ისინი ერთ სოფლად ერთი სამამასახლისოს (სამუხტროს) ფარგლებში.

– -ენტ სუფიქსიანი წარმოება: ჭიკიენთი, კოვიენთი, ფიქლოენთი. აჭარაშიც გვხვდება -ენტ და პარალელურად –სან სუფიქსიანი წარმოება: კოვიენთი – კოვისანი, ფიქლოენთი – ფიქლოსანი... კლარჯეთში –ეთ სუფიქსიანი წარმოებაა გავრცელებული. –ენტ და –ეთ სუფიქსები გარკვეული ოჯახის (ჭიკისჭიკას ოჯახის, კოვის ოჯახის, ფიქლოს(<ფიქროს) ოჯახის) საცხოვრისს აღნიშნავს.

საღამო მოახლოვდა. სასტუმროში დაბრუნების დროა.

**25 ივლისი, შაბათი.** საუზმის შემდეგ **მუსაფინარში** წავედით, წინასწარი ინფორმაციით ქართული სოფელია, ძველი შავშელების შთამომავლებით დასახლებული.

მთის სოფელია მუსაფინარი, ზღვის დონიდან 900 მეტრზე გაშენებული. აქაურები, ჩანს, მძიმე პირობებში ცხოვრობენ, უჭირთ სარწყავი (ზოგჯერ სასმელიც) წყალი, შესაბამისად, მიწაც მოუსავლიანია, მეურნეობა – სუსტი. სოფელი თესავს პურს, სიმინდს, არ მოდის კარტოფილი. ეზოებში ჩანს თუთა, ბალი, ფიშნა (<\*ვიშნა), მსხალი, ვაშლი... დღეს ცხელა. როგორც აგვისსნეს, ზამთარი დიდი არ იცის, ბევრი (დიდი) თოვლი არ მოდის, იშვიათად წვიმს. ხოჯას ხშირად აწუხებენ სოფლელები, მუსაფინარელი შავშები, შევედროს ღმერთს (დუა ქნას), რომ გაწვიმდეს. „ხოჯა ილოცებს, ხან გაწვიმდება, ხან არა“ – გვეუბნებიან აქაურები.

ამინდის მართვის ტრადიცია მოვიკითხე, ლაზარობა, რომელიც ესოდენ გავრცელებულია საქართველოში სხვადასხვა ვარიაციით. აქ არ იციან, „**უწინ ბელქი იცოდენ**“, – გვეუბნებიან, „**რაცხაევს აგროვებდენ, მერე სოფელში დადიოდენ...**“ „ლაზარობის“ რაღაც ელემენტები ახსოვთ, მაგრამ მათი მონათხრობით ვერ მთლიანდება ხალხური რიტუალი.

ტრადიციული „ლაზარობა“ დაივიწყეს, დარჩა სოფელი ხოჯის იმედად. ხოჯის ლოცვა კი ხშირად არ ჭრის, არ წვიმდება, გვალვა აწუხებს სოფელს...

ქართული თითქმის არ ახსოვთ მუსაფინარელ შავშებს. 30 კომლიდან შვიდილა ცხოვრობს სოფელში, დანარჩენი სხვაგან წასულა სამუშაოს საძებნელად. მიგრაციის მიზეზი ძნელი მისახვედრი არ არის.

თენზილე დოღანთან მიგვიყვანეს შვილიშვილებმა და შვილმა, როგორც ქართულის კარგ მცოდნესთან.

– ასეთ ადგილებში რატომ დასახლდნენ თქვენი ძველები?

– **რა ვიცი, მე მაშინ ხომ არ ვყოფილვარ!**

– თქვენ, რა თქმა უნდა, არ იქნებოდით, მაგრამ ხომ შეიძლება უკეთესი ადგილი შეერჩიათ სამოსახლოდ, ამხელა ქვეყანაში სხვა ადგილის შერჩევა არ გაუჭირდებოდათ.

რომელი სოფლიდან მოვიდნენ თქვენი დედეები?

– **ოთხილდე, დუთლუ, მისირლი – იმერხვეიდან. იქიდან მოვდენ იშტე და მათ მოკდენ, მიწა უყიდიან და აქ დამუდარან.**

– რატომ მოსულან, რა მოხდა?

– **გამოქცევლან, გადავრები მოსულან, მიეკლენდა მეგერ. გადაგორვებულან და ისე გამოქცევლან. ქალები ლამაზები ყოფილან, უურთმევიან... ისენიც გამოქცევლან. დედე იტყოდა, ჩემი ქალი ისე ლამაზი იყო, ანათებდა ღამეში... ზოგი მუუკლიან, ზოგი – გამოქცევლან.**

დრამატულად დაგვიხატა ქალბატონმა თენზილემ ემიგრაციის მიზეზი, – რუსების მოსვლა და ძალადობა, გაქრისტიანების შიში...

– მემდექეთის შესახებ არაფერს იტყოდნენ დედეები?

– **იტყოდენ, მე დამაბიწყდა!**

უჭირს თენზილე დოღანს ქართული. შვილიშვილები ცდილობენ, ათქმეინონ რამე. ჩანს, ქართულის პასიური მცოდნეა ქალბატონი თენზილე, აღარავინ ჰყავს ქართულად დამლაპარაკე, ავიწყდება მასაც.

– რომ გათხოვდი, როგორი ქორწილი გადაგიხადეს? – ეკითხება ნანი ფუტკარაძე, ჩვენი ექსპედიციის ახალი წევრი, დოქტორანტი.

– ცხენზე შეგაუღუმლებდენ, წივიყვანდენ... სოფლებ დუ-  
ჟძახებდენ, ჩვერე დიდი გაქ, დიდი ქორწილი იქნება... საქმედ-  
დან, საქმიდან გამოვბერდით...

*ჩვერე* – აქ *ეზო-კარის* მნიშვნელობით იხმარება. *ეზო-კა-  
რი* დიდი თუ გაქვს, ნიშნავს, შეძლებული ხარ, შესაბამისად,  
ქორწილსაც დიდს გადაიხდი.

– დედები რომ წამოვიდნენ, რამე არ წამოიდეს?

– ასე ლაპააკობდენ მეგერ: ასე მოვეკლათ, ისე მოვეკლათ,  
ისე დავეკლათ... შიშისგან რამე გახსოვს? გამოქცევლან, დუ-  
ჟყრიან ყველაფერი. იქ (გულისხმობს ოთხკილდეს შავშეთში  
– ავტ) წენვიდე'და, თლათ დემსწავლი.

– ოთხკილდეში ვიყავით, დუთლუშიც ვიყავით და მი-  
სირლიშიც, არც იმათ ახსოვთ თქვენი დედების წამოსვლის  
ამბავი.

დუმილის შემდეგ ქალბატონი თენზილე ხმამაღლა იტყ-  
ვის: „ძველებმა წეიდეს ძველი ამბავები!“

ეგრეა, ძველებმა საფლავში ჩაიტანეს ძველი ამბავი,  
ქართულიც გაიყოლეს თან. ახალთაობა ახალ გარემოში და-  
ტოვეს, სადაც ქართულის საჭიროება აღარ იყო. თენზილე  
დოდანიდა დარჩა წარსულის ანარეკლად თავისი ფრაგმენ-  
ტული ცოდნით. ისტორიული მეხსიერების ჯაჭვი ჩაიშალა,  
ჩაწყდა. ემიგრანტთა შთამომავლობა ახალ ვითარებას შეე-  
გუა, სხვა კულტურის ნაწილად იქცა. სანამ თენზილე დო-  
დანი ცოცხალია, მის შთამომავლებს ემახსოვრებათ, რომ  
გურჯები არიან, შემდეგ ამასაც დაივიწყებენ...

თენზილე დოდანის შეფასებით, „გურჯი ბლაცყია,  
ჟკითხავი სოა ბლაცყია, დაწერავდა ეცოდინებოდა... არ ქნა,  
ბლაცყია...“

*ბლაცყი* აქ გაუნათლებელის, უცოდინარის მნიშვნელო-  
ბითაა ნახმარი.

მართალს ბრძანებს მოხუცი ქალბატონი. ხომ შეიძლე-  
ბოდა, ვილაცას აღეწერა გადასახლებულთა თავგადასავალი,  
მძიმე და ძნელი და შთამომავლობისათვის დაეტოვებინა.  
არავინ გამოჩნდა ასეთი. შთამომავლობამ დაივიწყა ვინაობა,

მეობა დაივიწყა, იდენტობა დაკარგა. განათლებული ასე არ მოიქცეოდა, ეს სწორედაც ბლაცვის საქციელია, ამიტომაც ვეთანხმები თენხილვე დოდანს, წარსულსა და მომავალს შორის წინაპართაგან დატოვებულ ხიდს, შეფასებაში, „გურჯი ბლაცვია“.

მუსაფინარს ზემოთ **ერენქოდში** ავედით. სოფლის ცენტრში გავჩერდით.

მშვენიერი სოფელია ერენქოდ, მოვლილი, ძველი ორღობეებით, ახლა ფილებით მოგებული, კრამიტით გადახურული სახლები, უმეტესად ახალი, ძველი და ახალი შენობებია აქ ერთმანეთს, – აგურის სახლების გვერდით ტალახით შელესილი ქოხები...

პური აუღიათ ერენქოელებს, ხვათი ჯერ კიდევ ყანაშია. წვიმის არ ეშინიათ, ამ დროს გვალვა დამახასიათებელია ამ კუთხისათვის. სოფელში ხილი ჩანს მრავალგვარი – კაკალი, ვაშლი, თუთა...

ერენქოდ შავში ემიგრანტთა სოფელია, კერძოდ, **ვერხნა-ლიდან, უსტამისიდან და ჩივისხევიდან** გადმოსახლებულთა დასახლება. არ იციან ერენქოელმა შავშებმა ქართული, არადა ინფორმაციით, სოფელი მექართულეა. ადგილზე თუ არ შეამოწმე, სხვაზე დაყრდნობით შეიძლება შეცდე: გეტყვიან, ამ სოფელში იციან ქართულიო, ძველი ამბები იმათ უნდა მოჰკითხოლო, მიხვალ და ქართულის მცოდნეს საერთოდ ვერ ნახავ სოფელში, „გირჯიჯა **ნამცოდნი ბერები, დიდი ხანია გვედენ გაღმა**“.

ასე მოხდა დღესაც, ერენქოდში ქართული მცოდნე ვერ ვნახეთ.

აჰმედ თოფჩი, 81 წლის ერენქოელი გავიცანით. ჩივისხევიდან წამოსულა მისი დედე.

– ამ სოფელში ყველა ჩვენებური ცხოვრობს?

– **ჩვენებური ვართ, გადარეველი არ ვართ, ჰამა არ იციან გურჯული.**

– ამ მხარეში ქართულის მცოდნე სოფლები არის?

**ექინჯილიქში** გურჯები არიან, ჰამა გურჯულა არ იციან, შევეითიდან ბევრი არიან, ჰამა გურჯული არ იციან...

– სხვა სოფლებიც ვნახოთ ამ სექტორში გაშენებული, ვნახოთ, რა მდგომარეობაა იქ, – ამბობს მალხაზი.

– უნდა ვნახოთ, აქ მეორედ როდის მოვალოთ? – ეთანხმება ზაზა.

– უნდა ვნახოთ, ვფიქრობ მე, თუმცა ხმამაღლა არაფერს ვამბობ, დუმილიც ხომ თანხმობის ნიშანია.

**დალქადაში** ავედით. საინტერესო სოფელია. ქართულად მოლაპარაკე ერთი ქალბატონი ვნახეთ, ისიც სხვა სოფელში, დედუღეთში გაზრდილი, *დურდანე ქოჩაქი*. იგი 70 წლისაა. ეზოში შეგვიპატიუა ქალბატონი დურდანეს ვაჟმა, რომელმაც ქართული არ იცის. ეზოში ახალგაზრდა შემოვიდა, ხონჩით ახალგამომცხვარი პური მოიტანა.

– **პური დაფინო და მოვალ!** – გვითხრა ქალბატონმა დურდანემ, ხონჩა გამოართვა ახალმოსულს და სახლში შეიტანა.

ვიდრე ქალბატონი გამოვიდოდა, „მსჯელობა“ გაიმართა, თუ რას ნიშნავს „პურის დაფენა“.

ამ ფრიად ძნელ საგანზე მსჯელობის დეტალებით თავს არ შეგაწყენთ, ვიტყვი მხოლოდ, რომ „პურის დაფენა“ ახალგამომცხვარი ცხელი პურის დაცალკეებაა, რომ არ გაფუჭდეს.

– ქალბატონო დურდანე, საიდან მოვიდნენ თქვენი დედები?

– **ეჰ, იმდენი არ ვიცი. მე ხოშ არ მოვსულვარ. ჭკვა მქონდეს არა! დაბერდა, დაბერდა თავი. ვერ ვამბობ, არ მახსენდება. აჭარული არ ვარ, ჰელბეთ მომაგონდება.**

– **რადსთვინ წერთ, რა ზორი გაქვან?** – კითხვას გვიბრუნებს მასპინძელი.

– დავდივართ ჩვენებურების სოფლებში, ვეცნობით ჩვენებურებს, ვსწავლობთ როგორ ცხოვრობენ, რას აკეთებენ... წიგნს ვწერთ თქვენზე!

– რომელ სოფელში გაიზარდეთ?

– ოლუქლუში, წინ-წინ ფორექლი ერქვა. ჩემ ნენემ მოკტა, ტადას უთხრობია, ეს'და წევეყანო, იქ'და გაგზარდო. ძმებმა აქ დეიზდენ. თლათ მოკტენ ძმებმა. ანაღუდიდან (დედინაცველიდან – ავტ.) მყავს ძმები, დაჩეჩებული არიან. ტადასაც ერთი ბიჭი ყავდა, მოკტა.

– ქართული სოფელში არ იციან?

– კომში გურჯი არაა, წყალი მომიტაღო რომ უთხრა, ა' იცის.

– შენმა შეილებმაც რომ არ იციან?

– პური, წყალი... იმეცა ა' იცის. ბაბაჲ, ემიად... იმათმა ლაპარაკობდენ. ამის ნენემაც ლამაზათ იცოდა. ჩემმა ბაბა-ნამ ეხავისება, ქითაბი იყიდა, დევწავლოდა.

– ამ სოფელში ლაზები ცხოვრობენ?

– ლაზები ა' ვიცი და ქურთი არი!

– სხვა სოფელში ქართულად ლაპარაკობენ?

– ერბაას ზეიდანაა ზავალი ჩუქური, იქ გოგვები მივეციით, იმიდან ვიცი, დიდვანებმა იციან, ბაღნები, ქალები არ იციან.

– ქართულად სახლში არ ილაპარაკებ?

– მინდა ვილაკაიბო (შდრ. გელაკაიკო – ავტ.), ჰამა ვინმეს ვერ ვპოულობ.

დალქაელებმა არ იციან, საიდან მოვიდნენ მათი წინაპრები. ქალბატონი დურდანე ქოჩაქის მეტყველების მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, კლარჯები უნდა იყვნენ დალქაელთა წინაპრები. კონსტრუქციები: „ჩემმა ბაღანამ ეხავისება“, „ბაღნები, ქალები არ იციან“... გვაფიქრებინებს ქნი დურდანეს წინაპრების კლარჯობას. თუმცა არის ერთი წინააღმდეგობა: ოლუქლუ, სადაც დაობლებული ქალბატონი გაიზარდა, აჭარელ მუჰაჯირთა სოფელია

ოლუქლუ აჭარული სოფელია, მთის ველზე გაშენებული. ჩანს, საკმაოდ მდიდარია ოლუქლუ. ძველი და ახალი თანაარსებობს აქ: აგურის თანამედროვე სახლებს გვერდით ტალახით შეღესილი ქოხები უდგას.

ადემ სუმბული, 85 წლის ოლუქლუელი გავიცანი. მისი ცნობით, სოფელში 20 სახლია, ზამთარში – 10 რჩება.

(სახლი აქ ოჯახის მნიშვნელობითაა ნახმარი – ავტ.).

– მემღებქეთში რომელია თქვენი დედების სოფელი?

– **ბათუმ, აჭარა, ქოძ – საღორეთ!**

ბატონი ადემის წინაპრები ხაჯიოღლები ყოფილან, აჭარაში ნათესავები არ ჰყავთ, ყველა ემიგრაციაში წამოსულა.

– რატომ წამოვიდნენ მუჰაჯირად?

– **რუს გამუჰებია. თურქს უთქმია, ად დერი თუ მოგწონდებათ, იყავითო.**

– სოფელში ქართული იციან?

– **არეინ არ ღაპარიკობს, არ იციან!**

– აქ, ახლომახლო ქართული სოფელი არის?

– **თეფედათალი ბოლოკია, არ არიან გურჯი, არტანუჯია, გურჯი იტყვიან, ჰამა ჰინ არ იციან!**

ღიას, ქართველი ვარო, რომ ამბობ, ქართული უნდა იცოდე, – ასეთია ბატონი ადემის ლოგიკა. ქართველის არმცოდნე მისთვის „ბოლოკია“, „თურქია“.

– თქვენს სოფელში რა გვარები ცხოვრობენ?

– **წულუკიძე ვარ, მუფთიოღლი ვარ, დვალიოღლი, წურწყაბელოღლი ვარ, ხოჯიოღლი ვარ.**

საყურადღებოა, რომ *ძე'ზე* დამთავრებული გვარი ახსოვთ, თუნდაც ერთი, – *წულუკიძე. მუფთიოღლი* ალბათ – *მუფთიშვილია*, კარგად ცნობილი გვარი აჭარაში, *დვალიოღლი* – *დვალიძე*. საინტერესოდ მეჩვენება გვარ-სახელი *წურწყაბელოღლი*. ჩანს, მათი წინაპარი წურწყაბიდან მოვიდა აჭარაში (შდრ. წურწყაბელი) და ოსმალობის დროს *წურწყაბელოღლი* უწოდეს (შდრ. *კირნათელოღლი* – კირნათიდან მოსულის შვილი), აჭარიდან მუჰაჯირად წამოვიდნენ.

ადემ ხოჯიოღლის საუბარში ყურადღება მიიქცია ფორმებმა: *თავდა[ღ]მა, თავა[ღ]მა*, – *ღ'ს* დაკარგვის საინტერესო შემთხვევებმა.

სალამოს **სორპუნში** ავედით. ჩვენი ინფორმაციით მექართულე სოფელია.



გადაჭარბებული აღმოჩნდა ცნობა სორპუნელთა ქართულის ცოდნის შესახებ, – სოფელში ქართული აღარავინ იცის.

დღეს მოვიარეთ თოქათის ილის ნიქსარის ილჩეს ერთ სექტორში გაშენებული მუჰაჯირთა სოფლები: *მუსაფინარი, ერენქო, დალქადა, ორუქლუ, სორპუნი*; ყველა სოფელში ძალიან უჭირს ქართულს...

**26 ივლისი, კვირა.** საუზმის შემდეგ **მუხტარდუზში** წავედით. ჯამის უბანში გაჩერდით. ცხელა, თუმცა ნიავი ქრის.

ფერდობებზე შეფენილია სოფელი მუხტარდუზი. ჩანს სიმინდის ყანები, უკვე მომკილი პური. ეზოებში ბლომადაა ხეხილი... ეზო-კარში არავინ ჩანს. ბოლოს ბებია და შევილიშვილი გამოჩნდნენ.

საათიე ერშიში ვარო, გაგვეცნო ქალბატონი.

– საიდან მოსულეები ხართ ამ სოფელში?

– ართვინელები ვართ, არტანუჯიდან!

– სოფელში ქართულად ლაპარაკობენ?

– არა, ქართული არავინ იცის. ერთი ნენე ლაპარაკობდა, ისიც ცოცხალი აღარ არის, მოკვდა. ის ნენედ სოფლის რძალი იყო. ისე *გურჯი ქოდა მუხტარდუზი*.

– რამდენი სახლია სოფელში?

– ხუთი-ექვსი!

– ქლიავი ჭამეთ, არ მოგერიდოთ, სოფელში ხართ! – გეტავაზობს ქალბატონი საათიე ახლადდაკრეფილ ქლიავს.

ჩვენც მივირთმევთ მორთმეულს მოურიდებლად, თან ვსაუბრობთ. ამასობაში ორი მამაკაცი მოგვიახლოვდა.

მაღე ნუგზარმა მიტოვებული სათავსოდან გოდორი მოიტანა, სურათები გადაუღო, რაც ეძახითო ამას?

– ეს სეფეთიანო, უთხრეს.

– გოდორი არ იცით?

– გოდორი არა, გიდელი ვიცითო, ქალბატონმა.

კარგია, გიდელი რომ მაინც იციან მუხტარდუზში.

შემდეგ ნუგზარი აბდურაჰმან ექმიშს მიუბრუნდა და გოდორზე ჰკითხა, რას ეძახითო.

– ეს სეფეთია! – იყო პასუხი.

დღეს გოდორის ინტერესი კლავს ნუგზარს-მეთქი, გადა-  
ვულაპარაკე ზაზას.

– არ იცის ამ ხალხმა გოდორი, სეფეთი იციან, ასე ეძა-  
ხიან გოდორს და... მეუბნება ზაზა.

ქალბატონმა საათიემ მუხტარს დაურეკა.

ყანაში მუშაობს, პურს მკიან, მალე მოვაო, გვითხრა.

სანამ ნუგზარი „არკვევდა“ მსგავსებასა და განსხვავე-  
ბას გოდორსა და გიდელს შორის, მუხტარიც მოვიდა, ილ-  
მაზ იშიქი, 55 წლის შავგრემანი მამაკაცი.

გაგვეცნო, სათითოდ მოგვესალმა ხელის ჩამორთმე-  
ვით, მამაკაცებს შუბლის შუბლზე ორგზის მიღებით, რო-  
გორც ამ კუთხეში იციან.

– საიდან ხართ მოსული? – ახლა ილმაზს ვეკითხებით.

– მამის მხრიდან ახისხელი თურქი ვარ, გვითხრა ილ-  
მაზმა.

– რამდენი სახლია სოფელში?

– რეგისტრირებული 30 კომლია, ისე ხუთი-ექვსი იქნება.

შერეული სოფელია მუხტარდუზი – ართვინიდან, არტა-  
ნუჯიდან, იუსუფელიდანაც არიანო აქ. მამისაგან გამიგონია,  
ანაჩლი ქოღდან (ანჩა – ავტ.) მოსულა ჩვენი დედებიო, გვე-  
უბნება ილმაზ იშიქი.

ჩანს, მამასახლისის წინაპრებმა გაიარეს გზა: ახისხა (ა-  
ხალციხე – ავტ.) – ანაჩლი – ნიქსარი (მუხტარდუზი).

სოფელს წარსულის იერი აქვს: ძველი, ტალახით შეღე-  
სილი სახლები, მოუფლელი გზები და ეზოები არქაულ იერს  
აძლევს სოფელს და იმაზეც მიანიშნებს, რომ დაღმწეული  
ცხოვრება არ აქვთ მუხტარდუზელებს.

მუხტარმა გაიგო რა ჩვენი მოსვლის მიზანი, გამოგვე-  
ბითო ქართველთა სოფლებში, შემოგვთავაზა.

მადლობა გადავუხადეთ. კარგია, რომ მეგზური გვეყო-  
ლება უცხო მხარეში, ამ კუთხის მცოდნე და მიღებული კა-  
ცი.

ჯერ **ასარში** წავიდეთ, აქვეა, მაღლა, იქედან სხვა სოფლებშიც გადავაღოთ, – გეთავაზობს ილმაზი.

მაღე ასარში ვიყავით. სოფელი საკმაო სიმაღლეზეა გაშენებული.

მუჰაჯირებს უმეტესად მაღლობზე უშენებიათ სოფლები, – გეიხსნის მუხტარდუხის მუხტარი.

ტიპური მთის სოფელია ასარი. ადგილზე ვაკეა. გზის ორივე მხარეს უშენებიათ სახლები.

ნევზათ ქოროღლუ, 73 წლის მამაკაცი გაგვაცნო ილმაზმა.

– **ჰიდევრი ხართ?** – გვეკითხება ნევზათი.

– ბათუმიდან მოვედით თქვენს სანახავად, – ვუპასუხებ მე.

– თქვენ საიდან მოსულხართ აქ?

– **ართვინდა გელმა, შავშეთ!**

– შავშეთის რომელი სოფლიდან მოვიდნენ ძველები?

– **ხევტრულ (თუთლუ ქოე)!**

– აქ ყველა ქართველია თუ შერეული სოფელია ასარი?

– **ბაბოე გურჯი იყო, ანამ არ იცოდა გურჯიჯა. ჩვენებური არიან სოფელში.**

– **გარეული არ ვართ, სუფთა გურჯები ვართ, მაგრამ გურჯიჯა არ ვიცით,** – საუბარში ჩაგვეერთო ქერიმ ილმაზი, ახალგაზრდა ასარელი.

ბარემ ვიტყვი, რომ ქერიმმა ზოგიერთი სიტყვა იცის, ქართულად ფრაზებსაც წარმოთქვამს. ქართულის ცოდნა მინდოა, გაგვენდო.

მაღსაზმა ახლადგამოცემული ქართული ენის სახელმძღვანელო (უცხოელთათვის) აჩუქა.

გაიხარა ქერიმმა, რამდენიმე თვეში ქართული მეცოდინებაო, დაგვიპირდა.

გადაწყვეტილება მოვუწონეთ ქერიმს, ელექტრონული ფოსტის მისამართიც დავუტოვეთ, წერილები მოგვწერეო ქართულად...

ჩემი შთაბეჭდილება ასეთია: ასარელთა უფროსმა თაობამ ქართული ენა პასიურად იცის. რამდენადაც ქართულს საურთიერთოდ აღარ იყენებენ, არავის ესაუბრებიან ქართულად, დაკარგეს ენის პრაქტიკულად გამოყენების უნარი. ჩვენთან საუბარში მათ გამოამჟღავნეს ქართული ლექსიკის ცოდნა, ზოგიერთი ფრაზაც წარმოთქვეს. თვალსაჩინოებისათვის მოვიყვან ჩემ მიერ ჩაწერილ მეტყველების ნიმუშებს: მამალი, დათვი, ღორი, ქათამი, ჩორჩხი, ცოცხი, მაწონი, ძროხა, პატიტაჲ ხობო, ღარჭი, ქვა, ვაშლი, დანა, ფიშტო, ქორე (სამანღულიო – განმარტეს), წყალი, ჩვენებური, პური მოიტანე, წყალი მეიტანე, თიბილი სუ მეიტანე, პური ჭამეთ...

თავს ძალას ატანებენ ასარელი შავშები, ქართულ სიტყვებს იგონებენ: კაკალი, ჯარი, ლეკვი – პატიტაჲ ქოფაკი, განმარტა ილმაზმა.

ჩემთვის მნიშვნელოვანი იყო, რომ ასარელებმა იციან *ქორი* – საბძელის მნიშვნელობით და წარმოთქვამენ *ჯარს*, ისევე როგორც იმერხევის სოფლებში.

ბარემ ვიტყვი, ჩანს, ასარელ შავშებს ახალდავიწყებული აქვთ ქართული. ბაბუები ლაპარაკობდნენ, მამებმა პასიურად იციან ქართული, შვილები დაგვიპირდნენ ვისწავლითო.

კარგია, რომ ახალთაობას სურვილი აქვს ისწავლოს წინაპართა ენა, დაიბრუნოს ნაციონალური იდენტობა.

ასარიდან **ოსმანიეში** გავედით. გავედით-მეთქი იმიტომ ვამბობ, რომ სოფელი მიხტარდუზისა და ასარის გაღმითაა, ცენტრალური გზის მეორე მხარეს.

ოსმანიეში ამჟამად თხუთმეტი ოჯახია. მათგან ბევრი ქალაქში ცხოვრობს. შავშეთიდან, ქოქლიეთიდან, გაღმოსახლებულან მათი წინაპრები.

მეჰმეთ აქსუ გავიცანით.

– ქართული, გურჯული იცით?

– **ქალმა არ იცის, მე ცოტაჲ ვიციო**, – გვეუბნება მეჰმეთი.

სხვებიც შემოგვიერთდნენ: სოფლის მამასახლისი, მისი მამა, ბათლინ ყავეჯი (ახლა დაშქესანი) და სხვები.

ოჯახში მიგვიწვიეს ყაჭვეჯებმა. ოჯახის უფროსი 81 წლისაა, უჭირს, მაგრამ ლაპარაკობს ქართულად. აღარავინ მყავს დამლაპარაკე, დამავიწყდაო, თავი იმართლა მოხუცმა.

– საიდან ხართ მოსული?

– **ძაღლიქოიდან, ობადან** (<უბედან) **მოვდა დედემ, შავ-შეთიდამ.**

– სოფელში ყანები ჩანს, მიწას რით ხნავდით?

– **ჯარებ ვაბემდით, მთოთრი არ იყო ქი მაშინ!**

– უბეში იყავით? ნათესავეები ნახეთ?

– **მე არ წივედი, ართვინ ასკერი ვქენი!**

– რამდენი ძმა გყავთ?

– **ორი თანე ისტამბულ არიან, სამი თანე აქ ვართ!**

– თურქები ცხოვრობენ თქვენს სოფელში?

– **ბოლოკები არა! თურქებ ბოლოკებს ვეტყვით ჩვენ.**

– ისინი რას გეტყვიან?

– **ისინი? „დეზიდი“ გვეტყვიან.**

– დეზიდს რატომ?

– **გვეტყვიან და რა ვიცი იშტე. ბოლოკები იტყვიან, ქართველის ჭკვა შუადღემდე ისაქმებსო!**

– ვითომ რატომ? შავშეთში მაგას ლაზებზე იტყვიან! – ვეუბნები მე. აქ თქვენს მოსვლამდე ცხოვრობდა ვინმე?

– **აქ ახალი სოფლებია, არავინ ცხოვრობდა.**

სადილი შემოგვთავაზეს ყაჭვეჯებმა. მადლობა გადავუხადეთ, სადილად აღარ დავრჩენილვართ.

– **ჩვენი სახლიდან უჭმელი არავინ წესულა, მე გეგბუკე-პური არ ჭამეთ, წყალი არ სვით, – გვეუბნება ნაწყენი დია-სახლისი.**

მანქანამდე მიგვაცილეს ბაჰდინმა და მისმა ოჯახმა. გზაში თინას თხოვნით ერთი ლექსი გაიხსენა მასპინძელმა:

**მეფარენით გონოღლებო,**

**რაღნა იქნას თქვენი ჰალი,**

**დაბიზეში გადავლაში**

**ატრინკულა დოღოფალი.**

შე მუხსინევ, შე პირშავო,  
შენ გემიქელე დოდოფალი.

ვალადა მე არ ვიცი,

ბილადა მე არ ვიცი,

მაითოს კითხეთ ჩემი ჰალი...

მემლექეთიდან ყასიმა იყო და იმიდან გეგონეო,  
გვითხრა ბათინ ყაჰვეჯიმ.

ოსმანიელ მასპინძლებს დავემშვიდობეთ და აქინჯიში  
წავედით.

ლამაზი სოფელია აქინჯი. სომხებიდან და რუმებიდან  
(ბერძნებიდან) იყიდეს თურმე იგი ოთხმა აღამ და ახლობ-  
ლები დაასახლეს.

სოფელში ქართული ბევრმა არ იცის. უფროსი თაობის  
რამდენიმე ქალბატონი ლაპარაკობს ქართულად, მათ შორის  
ჩვენი მასპინძელი ფიქნეთ თაქშინი. იგი 85 წლისაა, ცნობი-  
მოყვარე, აინტერესებს ჩვენი ვინაობაც.

– ახლა თქვენ ჰადან მომთ? – გაცნობისთანავე შეგვე-  
კითხა ქალბატონი ფიქნეთი.

– ბათუმიდან მოვედით! თქვენ საიდან მოხვედით, საი-  
დან მოვიდნენ თქვენი დედები?

– შავშეთიდან!

– შავშეთში ყოფილხართ? იცნობთ იქაურ ნათესაებს?

– შავშეთში ერთი წაველ... მე ოსმანიდან აქ გამუველ  
(ოსმანიდან ვარ გამოთხოვილი, ქალბატონმა – ავტ.).

– ქართული იციან ამ სოფელში?

– იმის ნენე (მუხტარზე გვეუბნება – ავტ.) ჩვენი სოფ-  
ლიდამ იყო, ფენა იცოდა, მოკტა.

– რომელი სოფლიდან მოვიდნენ ძველები?

– ჩემი დედე ზიოსიდან მოსულა. ბენიმ სულაფე ბაი-  
რახტაროვლი! ჩვენ გაღმიეთიდან ვართ. თქვენ ყოფილხართ  
თუ ზიოსში?

– ვყოფილვართ, ვიარეთ იქ, კარგი სოფელია! შვილები  
რას აკეთებენ, სად საქმობენ?

– მე, ჰო! ორი გოგო მყავს, სამიც ბიჭი. ორი ბიჭი აღმანიას არი, ერთი ემექლია შვერში. მე ზამთარში წავდივარ, არ მაგდებენ აქ, გოგვებთან ვარ, გოგოსთან წვევალ ახლა.

მორწმუნე ქალია ქალბატონი ფიქნეთი. მას ვერ წარმოდგენია ბაგეებიდან წყევლის წარმოთქმა, თუნდაც უბრალოდ, ჰაერში, სტუმრის თხოვნით და არა ვინმეს მისამართით. არ გაჭრა ქალბატონი თინას თხოვნამ, ამდენწლიანმა რესპონდენტებთან მუშაობის გამოცდილებამ, ცოდვად წყველა, გაგვიცხადა მასპინძელმა, სამაგიეროდ ლოცვაზე არ უთქვამს უარი, ლოცავდა ყველას და ყველაფერს.

კარგა ხანი ვისხედით ფიქნეთ თაქშინის ეზოში. შვილი, რძალი და შვილიშვილები ჰყავდა სტუმრად გერმანიიდან. კარგა ხანს ვისაუბრეთ, ჩაი მოგვართვა გერმანელ შავშელთა ახალთაობამ, ქნი ფიქნეთის შვილიშვილებმა, რომელთაც საერთოდ არ იციან ქართული, აინტერესებთ კი ბაბანეს (/ბაბა ანეს) ენა...

ეზოში კერა მოუწყვიათ თაქშანებს, ბაქმაზის მოხარშვას აპირებენ, თუთა შეუგროვებიათ, კიდევ ასხია თუთის ძველ ხეს:

– ის თუთა დასარხევია. ქვებში ჩაყვრით, ცეცხლზე დავდგამ სადამოს. დილაზე მეხარშვის, ჯვალში ჩავასხამთ, ჩავწურავთ, მემრე დუღვა-დუღვაში ბექმეზი განდება, – გვიხსნის ქალბატონი ბაქმაზის მომზადების მთელ პროცესს თუთის დარხვიდან ბაქმაზის მომზადებამდე.

იქინდის ნამაზის დრო მოვიდა. მასპინძელი სალოცავად უნდა წავიდეს, ჩვენი წამოსვლის დროა.

დავემშვიდობეთ აქინჯელ შავშებს...

დღეს დასრულდა ექსპედიციის პირველი ეტაპი. ხვალ ნაწილი ბათუმში დაბრუნდება, ნაწილი კიდევ გაავარძლებთ დაზვერვით სამუშაოებს სხვა რეგიონებში და მომავალი ექსპედიციის დასაგეგმად მასალებს მოვიპოვებთ.

**27 ივლისი, ორშაბათი.** დილით ექსპედიციის ნაწილი ბათუმში გამოვისტუმრეთ, ზაზა შაშიკაძე, მალხაზ ჩოხარაძე, რუსლან ბარამიძე, ბაქარ ჩოხარაძე და მე დავრჩით. ჩვენი

მიზანია თურქეთის სხვა რეგიონებში მუჰაჯირთა შთამომავლების დასახლებების მოძებნა და მომავალი ექსპედიციების დაგეგმვა. ჩვენი ექსპედიცია ვთანხმდებით ერთ საკითხში, რომ საველე სამუშაოები (ზოგადად პროექტი) უნდა გაგრძელდეს, საჭიროა, მივიდეთ მუჰაჯირთა ყველა სოფელში, იქაც კი, სადაც ქართული აღარ იციან. და რაც ყველაზე მთავარია, ქართულმა მეცნიერებამ, ზოგადად ქართულმა საზოგადოებამ, უნდა იცოდეს ქართველ მუჰაჯირთა ყველა დასახლება თურქეთის ქვეყანაში, უნდა ჰქონდეს ერთიანი სურათი, რომ გაიაზროს მუჰაჯირობის, როგორც პროცესის, არსი და შედეგები, მუჰაჯირთა შთამომავლების თანამედროვე ყოფა, ქართველთმცოდნეობამ კი უნდა მიიღოს ახალი მასალები ისტორიული სამხრეთ საქართველოს ქვეყნების ყოფისა და კულტურის შესასწავლად. სხვაგვარად, უნდა შეიქმნას მუჰაჯირთა განსახლებისა და ყოფის სრული სურათი, რომელმაც უნდა განსაზღვროს მომავალი კვლევები...

10 საათზე გეზი ამასიისაკენ ავიდეთ. პირველად ამასიის ილის თაშოვას ილჩეს სოფელ **ტათლიფინარს** ვეწვიეთ.

ტათლიფინარი მაჭახლელთა სოფელია.

სოფლის ასავალზე შუა ხნის მამაკაცი იჯდა აივანზე. გამოველაპარაკეთ:

– ქართველი ხარ?

– **ჰო!**

– **თქვენ გურჯები ხართ?** – კითხვა შემოგვიბრუნა დამხედურმა.

– გურჯები ვართ, ბათუმიდან მოვედით თქვენს სანახავად, – მიუგო ზაზამ.

– **მოდით, სახში შევდეთ!** – მიგვიწვია.

**სულეიმან ონათი** (მურადოღლი) გაგვეცნო და თითოეულა მოგვესალმა ისე, თურქეთში რომ იციან.

აივანზე დავსხედით.

– **მალე მოვერი აქ ჩვენებურებს და ვილაპარაკოთ,** – დაგვიპირდა სულეიმანი.

– სოფელში ყველა ლაპარაკობს ქართულად?



– ყველა! ახლა ჩემი ემიაშვილი მოვა, იმან ჩემზე მეტი იცის. წვიტმა ბაღნებმაც იციან. გარიდან გელინებს რომ მოგყვანთ, იგინიც ისწავლიან.

– მაჭახლის რომელი სოფლიდან ხართ მოსული ტათლიფინარელი მაჭახლელები?

– ზედვაკე, ეფრატო, ჩხუტუნეთი, – გვეუბნება ომარ ინათი (ქობულაძე).

– ბარემ თქვენი და თქვენი სოფლელების ძველი გვარებიც გვითხარით!

– ქავთარაძე, ჟარდანიძე (<\*ჟორდანიძე), ქობულაძე, მუთიოღლი (შდრ. მუთიძე), ონბაშოღლი, ვაცაძე (შდრ. ვასაძე), გუნდარიძე (კოსიოღლი).

– ონბაშოღლი ხომ გვარი არაა. მისი ძველი გვარი არ იცით?

– ძველი არ აქ. მაგია სულ.

ომარ ქობულაძე 34 წლისაა, სტამბოლში ცხოვრობს, თურქულ ენას ასწავლის სკოლაში. ქართული წერა კითხვა უსწავლია. ჩანს, თავადაც დაინტერესებულია თურქეთში მცხოვრები ქართველების ყოველდღიურობით. ბევრი რამ იცის თავის სოფელზე, სხვა სოფლებზეც.

– წამოდი, ვიართ სოფელში, მე წიგნიყვანთ, – შემოგვთავაზა ომარმა.

– ახლა დრო არ გვაქვს, კიდევ მოვალთ და მაშინ წავიყვანე აქაურ სოფლებში, ვეუბნებით ჩვენ.

ლამაზი სოფელია ტათლიფინარი, მთის ფერდობებზე შეფენილი, ახალი სახლები, კოხტად და გემოვნებით მოწყობილი ეზო-კარი მიგვანიშნებს, რომ სოფელი შეძლებულია.

– ომარ, ამ კუთხეში სხვა ქართული სოფლებიც იქნება!

– არის, ბევრია. თაშოვას ქართული სოფლებია:

ალთინლი (ძვ. თენექე) – ცხემლარადან მოსული მაჭახლელების სოფელია. ალთინლელები კარგად ლაპარაკობენ ქართულად.

ილიფინარი (ძვ. ჩერმუქი) – მაჭახლელთა სოფელია, ყველა ლაპარაკობს ქართულად.

**ჩათმა** – მაჭახლელოთა სოფელია. ჩათმელებმა ქართული არ იციან, გათურქდენ.

ამასიაშიცაა ქართული სოფლები:

**ბელდადი** – აჭარელთა და მაჭახლელოთა სოფელია.

**ფუფა** – მაჭახლელოთა სოფელია.

**აქაზი** – აჭარელთა (უფრო ხულოელთა) სოფელია.

**ჩივიქო** და **ელიქეთქეზი** – ამ სოფლებში საიდან მოსულები ცხოვრობენ არ ვიცი.

სულოვას ილჩეშიცაა გურჯის ორი სოფელი: **გურჯილი** – **რი ალი** და **მინდოური**, არ ვიცი საიდან არიან აქაურები მოსული.

– 10 ქართული სოფელი „აღმოჩნდა“ ამასიის გუბერნიაში, იეშოვას, სულოვას და ამასიის ილჩეებში. ინფორმაციით, უმეტესი მათგანი მექართველა. ერთი ექსპედიცია მაინც დაგვჭირდება ამ სოფლების შესასწავლად, – ვეუბნები ზახასა და მალხაზს.

– დავეგემოთ და ერთი ექსპედიცია ამ მხარეში მოვაწყოთ. ნუ დავივიწყებთ, რომ ჩვენ მოსავლელი გვაქვს სინოპის მხარე (სამუშაო გვაქვს დუზჯეშიც), იქაც საკმაოდაა მუჭაჯირთა სოფლები, – გვეთანხმება და თან გვახსენებს მალხაზი შარშანდელ გემას სინოპში ცალკე ექსპედიციის მოწყობის შესახებ.

– მინიმუმ ორი ექსპედიცია გვჭირდება სინოპსა და ამასიაში, ინფორმაციით საკმაოდ ბევრი სოფელია ამ ილებში, – ამბობს ზახა.

ჩვენს მსჯელობას რუსლანი უსმენს, გვეთანხმება და ამბობს, ჩვენი პროექტის აქ განერება არ შეიძლება, პროექტი უნდა გაგრძელდეს ქართული სოფლების ამოწურვამდე.

კარგა ხანს გაჩერდით ტათლიფინარში, მურადოღლეს უბანში. შუადღე გახდა. ჩაი მოგვართვეს მასპინძლებმა სახელდახელო სადილთან ერთად...

წინ გრძელი გზა გვაქვს, დროა, გზას დავადგეთ, ვამბობ მე და ვდგები.

გვემშვიდობებიან ტათლიფინარელი მაჭახლელები, გვთხოვენ, კიდევ ვესტუმროთ ამ მხარეს...

რამდენიმე საათის შემდეგ ამასიაში ჩავვედით.

მშვენიერი ქალაქია ამასია, მდინარის ორივე მხარეს გაშენებული. ცხელა.

– აქ ვართ, ბარემ და უფლისწულების მუზეუმი ვნახოთ, – გვთავაზობს ზაზა.

მდინარის მარცხენა სანაპირო, სადაც უფლისწულების მუზეუმია განთავსებული, ახლადრესტავრირებულია და ტურისტულ ზონადაა ქცეული. აქ ყველაფერი ტურისტისათვისაა: რესტორნები, სასტუმროები, მაღაზიები ათასგვარი სუვენირით...

მუზეუმში შევედით. პირველ სართულზე იმ უფლისწულთა ქანდაკებებია, რომელნიც ამასიის სანჯჯაყს მართავდნენ, მაგრამ ოსმალეთის სულთანი ვერ გახდნენ, მათ შორისაა მუსტაფა, სულეიმან ხანის შვილი, კარგად „ცნობილი“ ჩვენში „დიდებული საუკუნიდან“. მეორე სართულზე ამასიის იმ მმართველთა ქანდაკებებია, რომლებიც ამასიის შემდეგ ოსმალეთს მართავდნენ. მუზეუმი საინტერესოა იმიტაც, რომ ვიდეორგოლებით უფლისწულები თავად „მოგვითხოვენ“ თავიანთი ხვედრის შესახებ...

საღამოს უკვე ჩორუმში ვიყავით.

მოზრდილი ქალაქია ჩორუმი, 22000 მცხოვრებით. ღამის გასათევად სასტუმრო „ხათუშილში“ გაეჩერდით.

**28 ივლისი, სამშაბათი.** დილით ალაჯა პოიქში (ხათუში) წავედით ხათების მუზეუმის სანახავად. მუზეუმის ნაწილი ღია ცის ქვეშაა, ნაწილიც – შენობაში. ყურადღებას იქცევს თიხის ნაკეთობანი: ვეებერთელა ქვევრები, მათარა (წყლის ჭურჭელი ზურგზე მოსაკიდო), სხვა მრავალგვარი თიხის ნაწარმი ქრისტემდე 1650-1200 წლის წინანდელი.

გამოფენილი მასალის შესახებ ვკითხულობთ, რომ ქრისტემდე 3000-2000 წლის წინ ჩნდება შავი საღებავით დამუშავებული ჭურჭლები. ჩანს, ამ კუთხეში ისტორიულად

თიხის წარმოება ხელოსნობის დაწინაურებული დარგი ყოვილა.

ხათების პერიოდში (1650-1200 წწ ჩვ. წ. აღ.-მდე) ჩანს, აქაური კულტურა აღმავლობას განიცდის. დასტურად მუზეუმში გამოფენილი მრავალფეროვანი მასალაც კმარა: იარაღები, ყალიბები, კვირისთავები, ძვლის სადგისები, ქურა, თიხის ჯამები სატუჩეთი... ხოლო ფრიგიულ ხანაში (1150-500 წწ ქრისტემდე) ჩნდება ირმის ტოტემი, მოზაიკა დამუშავებული ქვებით, თიხის დარები, კედლის მხატვრობა...

ხათები ღვინოსა და ღუდს ამზადებდნენ. ჯერ ღუდი, შემდეგ ღვინოც სახალხო ზემის თუ რელიგიური რიტუალის აუცილებელი ატრიბუტი იყო. ღმერთების გულის მოსაგებად წესი იყო სასმელის დაღვევა და დაღვრა. ამასთან ვასცემდნენ სურსათს: ხორცი, პური, თაფლი, ზეთისხილი...

ღმერთებს სწირავდნენ მსხვერპლსაც.

შესაწირავებით, სიმღერებითა და სარიტუალო ცეკვებით ხათები ღმერთებს თხოვდნენ შემწეობასა და ბედნიერ ცხოვრებას...

მუზეუმიდან „მეფეთა საძვალეში“ გადავედით. ჭიშკართან სფინქსის ქანდაკებებია. ქალაქს მონოლითური ქვებით ნაგები გაღვანი არტყია. თვალში საცემია ხარებისა და ირმების გამოსახულებანი. ანალოგიური გვხვდება ხეთებთანაც.

ქრისტემდე 2500-2000 წლის წინანდელი ცამეტი აკლდამა გაუხსნიათ არქეოლოგებს, აქედან ექვსის რესტავრაცია-კონსერვაცია მოხერხდა.

აკლდამაში მიცვალებულს თავი დასავლეთისაკენ აქვს, სახე შებრუნებული – სამხრეთისაკენ. მიცვალებულისათვის ჩაუტანებიათ სხვადასხვა სამკაული, კერპები, იარაღები, ჭურჭელი, შეუწირავთ მზის დისკოები... ყველაფერი მიცვალებულის გვერდით ალაგია.

ჩანს, ხათები თაყვანს სცემდნენ მზეს, როგორც ღვთაებას.

აკლდამები ქვებით შემოუზღუდავთ, ზემოდან ხის მორებით გადაუხურავთ.

აკლამებს ზემოდან მეფეთა სასახლე დაჰყურებს. სასახლეს აქვს გვირაბი, რომელსაც 22 საფეხურით დაბლა ჩაყვავართ. იქვე ტაძარია, ღმერთებისა და ქურუმების სენაკებით. ტაძარშიც მზის დისკო გამორჩეულ ადგილასაა.

მზეს ეთაყვანებოდნენ მზის ქვეყნის შვილები. მზით გადარუჯული ველების მკვიდრმა ხათებმა კარგად იციან მზის ფასი, ამიტომაც თაყვანს სცემენ მას...

ხათუმას მუზეუმის დათვალიერების შემდეგ ხათუმაში წავედით. ესაა რამდენიმე ათეულ ჰექტარზე გაშენებული ძველი ქალაქი. მანქანით შევედით ხათუმაში. ქალაქის შემოვლა ქვემოქალაქით დავიწყეთ. აქ ქრისტემდე III ათასწლეულში ხათების, მეორე ათასწლეულში კი ასურელების სავაჭრო ადგილები ყოფილა. ქალაქში ყველაფერი მოკრძალებით გაგაწყობს მნახველს: ჭიშკარი, ერთიანი ქვისაგან გამოთლილი წყლის აუზი, ვეება ქვებით ნაგები მაღალი კედლები, ქვაფენილები და შენობათა საძირკვლები გვანიშნებენ, რომ ხათუმა მდიდარი და კეთილმოწყობილი ქალაქი იყო, კულტურული და სავაჭრო ცენტრი ხათების ქვეყნისა.

ქალაქის კარიბჭესთან ორი ჯარისკაცი დგას ხათუმას სიმშვიდის დარაჯად.

იქვე სასახლეა, რომლის ეზოშიც სარიტუალო მოედანია. მოედანზე მზის ღვთაების საკულტო ოთახია. იგი ცხოველის დამუშავებული ტყავით ყოფილა გადახურული, მზის სხივებს (სინათლეს) რომ შეეღწია შიგ. გასულ წელს აღმოუჩენიათ მზისა და ქარიშხლის ღვთაებათა ქანდაკებები, კაცისთავიანი ღომის ტანი, არწივის ფრთები, გველის კუდი...

ნახულით მოხიბლულები მეორე უბანზე, მეორე გაჩერებაზე მივიღვართ. აქაც ჭიშკარია, რომელსაც ორი ღომი იცავს. ჩანს, ეს ზემო ქალაქში შესასვლელი კარი იყო. კედლები ქვისაა, მშრალი წყობით ნაგები.

მესამე გაჩერება *დერკაფია* (ადგილის კარი), იქვე სამკუთხა გვირაბია, რომლის შესასვლელში კარია ვეება ქვის თადით.

ბარემ ვიტყვი, რომ ქალაქი კარგადაა დაცული, შემოზღუდულია მაღალი ქვის გალანით, რომლის სიმაღლე ზოგიერთ ადგილას 35 მეტრს არწევს. გალანის ორიარუსიანია, მისი სისქე სამი მეტრი მაინცაა.

ზემოთ კიდევ ერთი კარია, რომელსაც სფინქსის ქანდაკებები იცავს, ვუწოდოთ მას „სფინქსის კარიბჭე“.

შემდეგია *კრალ კაფი* (მეფეთა კარი), ვეება ბჭის ქვებით, ერთ მხარეს მარმალილოს ქანდაკებაა, ალბათ, კარის გუშავისა.

ქალაქის სამხრეთ-აღმოსავლეთი ყველაზე დაცულია. ფორმით იგი ღომებიან კარიბჭეს გვაგონებს: ორმაგი კარი, ხუთმეტრიანი ქვის თაღით. კარი ხისა ყოფილა, ქვის სვეტებზე დამაგრებული. შიგა კარის მარცხენა ბლოკში მამაკაცის ქანდაკებაა ხელში ცულითა და ქამარში ხანჯლით.

ბარემ ვიტყვით, რომ ამ სკულპტურის ორიგინალი, და სხვაც მრავალი ნივთი, ხათუშადან ანკარაში წაუღიათ, აქ მხოლოდ ასლია მისი...

დაბლა კედელზე ღურსმული წარწერაა, რომელშიც ხათუშას უკანასკნელი მეფის, სუფილულიამა მეორის მმართველობაზეა საუბარი.

აქაც ყოფილა სფინქსის კარიბჭის მსგავსი კარი, ანკარაში წაუღიათ ისიც.

ზემოთ, ნიშაში, რკინის გისოსებს მიღმა, სუფილულიამა მეფის კიდევ ერთი წარწერაა.

მეფის სასახლე მაღლობზეა. ქვის საფეხურებით აველით ნანგრევებამდე. სასახლე დიდია, ძალზე დიდი, მდიდარი და ძლიერი სახელმწიფოს მეფის სადარი.

ვიტყვით, რომ ციხე-ქალაქი ბოლომდე შესწავლილი არ არის. ჯერ კიდევ მაღავს ბევრ საიდუმლოს ხათუშას მზით გადახანძული მიწა...

აქ დროის სვლას ვერ გრძნობს კაცი. რამდენიმე საათია ვტრიალებთ ხათების უბველეს ქალაქში, ემოციებით ვიტვირთებით; ვფიქრობთ, რამდენი ადამიანის შრომაა ჩადებული დროს გადარჩენილი ამ სასწაულის შესაქმნელად; არავინ

საუბრობს ქალაქის მშენებლებზე, ქვითხუროებისა თუ ხითხუროების, უბრალო მონების შესახებ, აღარავის ახსოვს და არც აინტერესებს მათი სახელები, არადა აქაურ მიწას მათი ოფლი ჯერაც არ შეშრობია, მათი კენესა დღესაც ესმით ხათების ჩამომავლებს, რომლებიც აირივნენ უცხოებში და ისე განაგრძობენ არსებობას... ჩვენამდე მოღწეული წარწერები თუ სხვა ისტორიული ცნობები მხოლოდ მეფეთა შესახებ მოგვითხობენ: მავანმა მეფემ ააშენა, ომი მოიგო, ამოკვეთა...

მზე აცხუნებს ხათუშას მიწას, ეფერება მასზე მლოცველი ხათების აკლდამებს. ხათები ისტორიის სიდრმეში გაუჩინარდნენ, სხვა კულტურაში აირივნენ თავად დიდი კულტურის შემქმნელები. ასეთი იყო მათი ბედისწერა, რომელმაც შეიწირა ისინი. მზის მაღიდებელი ხათების მიწას სხვები დაეპატრონენ, სხვა კულტურის მატარებელი ტომები...

ხათუშადან კაპადოკიაში წავედით. შორია აქედან, 250 კილომეტრზე მეტი.

ძველი კაპადოკია ახლანდელი ადმინისტრაციული დაყოფით შედის ნევშეჰირის ილში (გუბერნიაში).

მშვენიერი ამინდია. გზად ვათვალიერებთ ბუნებას: თვალუწვდენელი ველები, პურის ყანები, სხვა სავარგულები... ახლა პურის ალების დროა, – ყანას მკიან, იქვე ლეწავენ, ხვავს მინდორში ტოვებენ, ჩანს, არ ჩქარობენ დაბინავებას...

შუადღე გადასული იყო კაპადოკიაში რომ ჩავედით. დიდი „ქვეყანა“ კაპადოკია, ძველი ისტორიის მუზეუმი. სოფელ **ჩაუშიმში**, **გორემედან** 3 კილომეტრში, საოჯახო სასტუმროში, – „**ანიტა მუშკარა**“ გაეჩერდით. მისი პატრონი ზაზას ძველი ნაცნობია; შინაურულად მიგივლო უღურმა.

გორემეში გავისეირნეთ, საოცრებაა!

დღეს სხვას ვერაფერს მოვასწრებთ, ხვალ დავიწყებთ კაპადოკიის დათვალიერებას.

**29 ივლისი, ოთხშაბათი.** დილა საოცარი სანახაობით დაიწყო: ახლადგადვიძებულებს ტკაცანის ხმა მოგვესმა ჩვენს ფანჯრებთან ახლოს; გარეთ გავიხედეთ და ვხედავთ,

რამდენიმე ათეული საჰაერო ბურთით ასეულობით ტურისტის ნელ-ნელა მიიწევს მაღლა, რომ ზემოდან ნახოს ბუნების ეს ქმნილებები. დიდებულია კაპადოკია. სხვაა, წაიკითხო მის შესახებ თუნდაც საუკეთესო ჩანაწერები, სხვა შეგრძნებაა, უშუალოდ ნახო, თავად შეიგრძნო და განიცადო წმ. ნინოსა და წმ. გიორგის სამშობლო.

ძნელია კაპადოკიის აღწერა. აქ ხომ ყველაფერი ისტორიულია, აქ ხომ დრო გაჩერებულია, აქ ხომ ყველაფერი წარსულით სუნთქავს. და, რაც მთავარია, კაპადოკიაზე ხომ ბევრზე ბევრი დაწერილა, მიუხედავად ამისა, მეც გამიჩნდა სურვილი დავწერო მასზე, თუნდაც იმიტომ, რომ მკითხველი დავაინტერესო თავადაც წავიდეს და ნახოს კაპადოკია...

უნხითარით დავიწყეთ მხარის დათვალიერება.

უნხითარი **წვეტიანს** ნიშნავს. გაჩერდით იქ, სადაც ძველი „ციხე-სიმაგრე და ქარვასლაა“, ახლა ძვირადღირებული სასტუმრო რომ გაუმართავთ.

აქ ყველაფერი ტურისტისთვისაა განკუთვნილი, ტურიზმით ცხოვრობს კაპადოკიის ძველი ქვეყანა. მილეთის ხალხი ირევა უნხითარში: ვის არ შეხვდება აქ კაცი, აღმოსავლელსა თუ დასავლელს, განსაკუთრებით აღმოსავლელები ჭარბობენ... ზემოთ ავედით. ზემოდან დავყურებთ უნხითარს. მშვენიერია...

ქვაბების თავზე უნდა ავიდეთ. შუაწელამდე გვირახს მივყავართ, შემდეგ გარე კიბეებით ავდივართ მაღლა, საკმაო სიმაღლეზე.

თაკარა მზე აცხუნებს, მწველი, თუმცა არა გაუსაძლისი.

ხელისგულივით მოჩანს უნხითარის სანახები. აქ ყველაფერს სიძველის სუნი ასდის: ბუნებრივი კოშკები, კოშკებში განდევნილ ბერთა კელიები და სამტრედეები... ახლა სასტუმროები, ზოგი საერთოდაც ცარიელი.

უნხითარის (გუწოდოთ მეორე – ავტ.) კიდევ ერთი გადასახელი, – მტრედების ხეობაა. ეს სახელი იმიტომაც უწოდებიათ, რომ მტრედებს აშენებდნენ თურმე აქ: სკორეს სასუ-



ქად იყენებდნენ კაპადოკიელები, კვერცხს კიდევ ხატწერაში ხმარობდნენ, საღებავებში ურევდნენ ხატმწერნი.

გალმა ბერთა ქვაბებია მთელს ხეობაში გაბნეული...

თაკარა მზის ქვეშ ხარბად ვათვალიერებთ ყველაფერს, რაზეც თვალი მიგვიწვდება.

დერინქოღში წავიდეთო ზაზამ, ბარემ მიწისქვეშა სოფელიც ვნახოთ.

აქედან 20 კილომეტრია დერინქოღმდე.

20 ლირად შეგვიშვეს თითოეული დერინქოღს რვასართულიან „სოფელში“: კიბეებით დავეშვით ქვემოთ. პირველი საწნახელმა მიიქცია ყურადღება; 4000 წელს ითვლის მისი ასაკი, ხეთ ქვითხუროებს ამოუკვეთავთ იგი. რამდენადაც საწნახელი შიშიანობისათვის განკუთვნილ სამალავშია და არა მუდმივ საცხოვრებელში, უნდა ვიფიქროთ, რომ ღვინოს ხეთების ყოველდღიურ ცხოვრებაში მნიშვნელოვანი ადგილი ეჭირა...

გვირაბით კიდევ უფრო დაბლა ვეშვებით: ერჯიესი, სასანდალი, გულინდალი, მელენდიზი... სოფლის ყოველ „უბანს“ თავისი სახელი აქვს... მესამე სართული სურსათის საწყობია. მესამე და მეოთხე სართულს შორის გვირაბი საჭირო დროს იკეტებოდა მრგვალი, წისქვილის ქვის მსგავსი ღოდით. ასეთი „საკეტი“ კიდევ ყოფილა დაბლა. თუ მომხედური ზემო სართულებში შეაღწევდა, მეოთხე სართულთან გზა ჩახერგილი ხედებოდა და შეღწევას ვეღარ ახერხებდა. საყურადღებოა, რომ სოფელს მთელ სიმაღლეზე სავენტილაციო მილი აქვს.

55 მეტრია მთელი სოფლის სიმაღლე.

ყველაფერი გაუთვალისწინებიათ სოფლის მაშენებლებს, რაც ყოველდღიური ცხოვრებისათვის არის საჭირო და აუცილებელი: ჭა, საცხოვრებელი ოთახები, საძინებლები, საქონლის სადგომი, საწნახელი, სურსათის საწყობი... ქვაში ნაკვეთ სოფელში ტემპერატურაც შესაბამისია: ზემო სართულებში 12 გრადუსი ცელსიუსით, ქვემოთ – 8.

გარეთ გამოვედით. სული მოვიბრუნეთ. დახურული სივრცეა მაინც დერინქო, არცთუ სასიამოვნო და იოლად ასატანი.

დიდებულია დერინქო, მაგრამ ახლოსაც ვერ მივა ჩვენს ვარძიასთან. ამიტომაც ვარძია ქალაქია, დერინქო – სოფელი.

დერინქოს შემდეგ იქვე ახლოს მდგომი ბერძნული ეკლესია დავათვალიერეთ, XIX საუკუნეში აგებული და დღეს გაუქმებული.

შვეისგანეთ დაღლილებმა, ჩაი დაველით იქვე, მოედნის კუთხეში მდგარ აღმოსავლურად მოწყობილ საჩაიეში და იხლარაში წავედით. თავს გაჩერების უფლებას არ ვაძლევთ. ბევრი რამაა სანახავი ამ კუთხეში, დროის ფუჭად დაკარგვას ვერ შევეგუებით, ვცდილობთ, ბევრი ვნახოთ...

იხლარა ღრმა ხევია, სიგრძით 17 კილომეტრამდე. ხეობაში ასეულობით მონასტერია, სხვადასხვა მონაცემით 750 თუ 2000. ბუნებრივია, ჩვენ ხეობაში მონასტრები არ დავგითვლია და ვერც დავითვლიდით, ძალიანაც რომ მოგვენდომებინა, მაგრამ ვინც „დაითვალა“, იმათ ვეთანხმებით, რომ ბევრია, ძალზე ბევრი. მანქანა ავტოსადგომზე გავაჩერეთ და კიბეებით ხევში ჩავედით იქ, სადაც პატარა დეღე, მელენდიზი, სავსე მსოფლიოს სხვადასხვა კუთხიდან მოსული ტურისტებით, მიედინება. საოცარი განცდა გეუფლება დაბლა ჩასულს, თითქოს სადღაც სხვა სამყაროში, სხვა განზომილებაში მოხვდი. ირგვლივ ტურისტები ირევიან, თვალებგაფართოებულნი და გაკვირვებულნი ჩვენსავე. მივუყვებით მდინარისპირა უცნობ ბილიკებს, მივდივართ მდინარის დინების მიმართულებით.

ვათვალიერებთ ხეობას: ჩვენს გაღმა ჩამოქცეული ტაძარი ჩანს, კლდეში ნაკვეთი. გაღმა აღარ გავსულვართ. გადაწყვეტილი გვქონდა მდინარის მარცხენა ნაპირს გავყოლოდით და რამდენიმე ტაძარი გვენახა. ბარემ ვიტყვი, რომ ტაძრები ბილიკიდან საკმაოდ მაღლაა კლდეში გამოკვეთი-

ლი და მისასვლელად არცთუ იოლი დაღლილი მგზავრი-სათვის.

უჭირდა ყველას, გვიჭირდა ჩვენც.

აქ მოსულებს უპირველესად ალან ალთის ეკლესია გვანტერესებს, რომლის მოხატვაც ქართველი დედოფლის სახელთანაა დაკავშირებული: ბასილევსის ცოლის, ქართული წარმომავლობის დედოფლის დაკვეთით, სულთან მესუდ მეორისა და იმპერატორ ანდრონიკოს მეორის ზეობის ხანაში, 1283-1295 წლებში მოუხატავთ ტაძარი.

მრავალი ფერსკაა ამ მცირე ეკლესიის კედლებზე ბიბლიურ თუ სხვა თემებზე შექმნილი. ერთგან თამარა დედოფლის ხატია, ეკლესიის მაკეტი უჭირავს ხელში... „მე, ცოდვილ თამარა დედოფალს ჩემ მიერ აშენებული ეკლესიისათვის შემიწირავს ვენახი, რომელიც შიარა ფათენოსისგან ვიყიდე...“ გვამცნობს ტურისტებისათვის გაკეთებული დაფა.

ტაძრის კედლებზე ბევრი წარწერაა, მაგრამ მხოლოდ ბერძნული. დიდხანს ვუყურებდი მოხატულ კედლებს, წარწერებს, ეგებ ქართულის კვალი გამერჩია, მაგრამ ამოდ. ასეთი აქ არაფერია. ჩანს, ქართველ დედოფალს ქართული წარწერა არ შეუკეთავს, ბერძნულიც საკმარისად მიუჩნევია...

ხეობაში ჩამოვედით. ბილიკებს გაუფყვეით, მალე ქვემო ავტოსადგომს მივალწიეთ. ჩვენი მანქანა მალლა სადგომზე დარჩა, აქედან საკმაოდ შორს. ზაზა და რუსლანი ტაქსით წავიდნენ მანქანის მოსაყვანად, მალხაზი, ბაქარი და მე ხეობაში დაველოდეთ...

**30 ივლისი, ხუთშაბათი.** დილა „სიყვარულის ველით“ დავიწყეთ. მალლიდან დავყურებთ ველს, ირგვლივ უამრავი „სოკოა“.

**„სიყვარულის ველი“** უწოდებიან აქაურობისათვის. საიდან სადაო, იკითხავს მკითხველი. გადმოგვცემენ, აქ მოდიოდნენო უშვილო ქალები და შვილიერებას შესთხოვდნენ უფალს. სახელიც აქედანააო შერქმეული.

ლამაზი ლეგენდაა!

ჯერ დილაა, მაგრამ უკვე ცხელა. გზისპირას მაღაზიებია, სუვენირებითა და თიხის ნაწარმით, სხვა ათასი თვალსატყუარათი სავსე. ზაზა ჭილოვის ქუდს ყიდულობს, ბაქარი – ტყავის ცილინდრს, მოსწონს, კოვბოის რომ ჰგავს ამ თავსაბურავით... მაღსაზი და რუსლანიც არჩევენ სუვენირებს კაპადოკიის მოსაგონებლად, მე ვიწერ რაღაცებს, სხვებსაც რომ მოვუყვე აქ ნახული და განცდილი. ვნახეთ კი ბევრი, ძალზე ბევრი. აქ ხომ ყველაფერი იზიდავს მნახველს: წარსულით სუნთქავს კაბადოკია, წარსულში მოგზაურობს კაპადოკიის სტუმარიც...

„სიყვარულის ველიდან“ „ღია ცის ქვეშ“ მუზეუმში მივედით.

კაპადოკიის ამ საოცრების დათვალიერება დავიწყეთ იმით, რომ ბაქარი დრომედზე, ერთკუხიან აქლემზე, ამხედრდა და მუზეუმს შემოუარა. მაღსაზმა კამერით დააფიქსირა ისტორიული მომენტი, – ბაქარი აქლემზე.

ბევრი საინტერესო ვნახეთ მუზეუმში, მარტო ჩამოთვლაც საკმარისია თქმულის სამტკიცად:

- ა. ქალთა მონასტერი;
- ბ. გაღმით მტრედების საშენი;

გ. წმინდა ბასილის მონასტერი დეთისმშობლის, წმ. ეკატერინეს, წმ. დემეტრეს, წმ. გიორგის, წმ. ბასილის, წმ. თეოდორეს XI საუკუნის ხატებით შემკული. თავად ტაძარი III-IV საუკუნეს განეკუთვნება. მონასტერში ყურადღებას იქცევს დარბაზი აკლდამებით, წინ საკურთხეველია იესოს ფრესკით;

დ. ელმალი ქილისა ოცამდე ფრესკით, რომლებზეც უმეტესად ბიბლიური სცენებია გამოსახული. აქვეა ბერძნული წარწერები და ჯვარი, რომელიც ბოლნურს გვაგონებს. ჯვარი ძველია, მასზე ახალი ფრესკები დაუხატავთ...

- ე. ბარბარეს ეკლესია XI საუკუნის მხატვრობით:

1. იესო ქრისტე ტახტზე;
2. წმ. გიორგი;
3. წმ. ბარბარე;

4. ღვთისმშობელი.

ეკლესიის მხატვრობა პრიმიტიულია, უბრალო სახეებით შესრულებული.

ვ. გველებიანი მონასტერი, წმ. ონოფრეს ეკლესია 10 ხატი:

1. იესო;
2. წმ. ბასილი;
3. წმ. თომასი;
4. წმ. ონოფრე;
5. წმ. ონისიმე;
6. წმ. გიორგი;
7. წმ. თეოდორე;
8. წმ. ელენა;
9. წმ. კონსტანტინე;
10. სხვა კაპადოკიელი წმინდანები.

ზ. საოსტიგენე ტრაპეზითა და ორიარუსიანი სატრაპეზოთი.

თ. მცირე სატრაპეზო: ქვის მაგიდა ქვისავე ძელსკამებით, გვერდით ქვაბია.

ი. სვეტებიანი ეკლესია საკურთხევლითა და ადრეული მოხატულობით. ეკლესია გუმბათიანია.

კ. ბნელი ეკლესია, მოხატული, ვიწრო შესასვლელით, მზის შუქი ძნელად აღწევს, ამიტომაცაა ბნელი, აქედანაა მისი სახელწოდებაც.

ერთი რამ თვალში საცემია: აქაურ ეკლესია-მონასტრების მოხატულობებზე ამბობენ, XI საუკუნისააო. ბუნებრივია, მათ მნახველს ეჭვი უნდებოდა, არცთუ უსაფუძვლო: ნუთუ აქ ყველა ფრესკა XI საუკუნისაა? რა, ყველა ეკლესია ერთდროულად მოხატეს? მეორეცაა და ბევრგან განსხვავებული მხატვრობა: ზოგიერთი მარტივადაა მოხატული (რასაც სიძველის იერი აქვს), ზოგიც გვიანდელია, ზეთის საღებავებით შესრულებული რთული ბიბლიური სცენები თუ წმინდანთა სახეები...

კიბეებით ავლივართ მადლა, მეორე იარუსზე. ხატები კარგადაა მოღწეული. დარბაზს ორი გუმბათი ადგას იესო ქრისტეს ფრესკებით, წინ საკურთხეველია... გუმბათები ოთხ სვეტს ეყრდნობა. დაბლა სატრაპეზოა, რომლის უკანა კედელი მოხატული ყოფილა.

ლ. წმ. ეკატერინეს ჯვრის ტიპის ეკლესია გუმბათითა და ძველი მხატვრობით.

მ. სანდალის (ჩარუხის) ეკლესია(?): შესასვლელში ორი დიდი ფეხის ღრმა ნაკვალევია, ამიტომაც უწოდეს ჩარუხის-სანდალის ეკლესია. ტაძარი ჯვრის ტიპისაა, მოხატული.

ნ. უსახელო ეკლესია, აკლდამებითა და ადრეული მოხატულობით.

ო. თოკალი (თმის სამაგრი?) ქილისა, ჯვრის ტიპის, გუმბათითა და ძველი და ახალი XI საუკუნის(?) მხატვრობით.

თმის სამაგრს ჰგავსო ეკლესია, ამიტომაც უწოდეს თოკალი ქილისაო, გადმოგვცემენ.

ეკლესია ორსართულიანია. ქვემო სართულზე მცირე სალოცავია სარკოფაგებით. ჩანს, ქვემო სართული ძველია, ზემო უფრო ახალი. ეკლესია უკავშირდება იმპერატორ კონსტანტინესა (პირველი ქრისტიანი იმპერატორი) და მისი დედის, ელენეს სახელს. გადმოცემით, წმ. ელენემ იერუსალიმში აღმოაჩინა ჯვარი, რომელზეც ქრისტე გააკრესო.

რამდენიმე საათი დაეყავით „მუზეუმში“. თხუთმეტამდე ეკლესია ვნახეთ ერთ უბანში. ჩანს, ეს კუთხე სამონასტრო მოღვაწეობისათვის მიმზიდველი იყო. სხვაგვარად ვერ აიხსნება ამდენი მონასტრისა და ეკლესიის არსებობა ამ „ქვეყანაში“.

გამოვლივართ „მუზეუმიდან“ დაღლილები და დასიცხულები, მაგრამ კმაყოფილები.

„მუზეუმიდან“ ფაშაბადში წავედით, იმავე სექტორში მდებარეობს. აქაც ნაცნობი სურათია: სოკოები, სავაჭროები ათასი წვრილმანით და, რა თქმა უნდა, ტურისტები.

მნახველს იზიდავს რამდენიმესართულიანი ქვაბები, ბუნებრივი თუ ხელით ნაკვეთი. ფაშამ იყიდაო ეს ბალი და ცოლს უსახსოვრაო...

მთელი დღე ვისეტიალეთ ბუნებისა და ადამიანის ხელით შექმნილ საოცარ სამყაროში. აქაურ მიწას ჯერაც ატყვია წმინდა ბერების ნაკვალევი, აქ ჯერ კიდევ ისმის წმინდა მოწამეების ჩურჩული, უფლისადმი აღვლენილი ღოცვა, მათი ხელოვნება კი, ქვითხურობა და კედლის მხატვრობა, დღესაც აოცებს მნახველს. აქ დრო შეუქმნევლად გადის, უფრო სწორად, საერთოდ არ გადის.

წარსულით სუნთქავს კაპადოკია...

სასტუმროში დაბრუნებულები აივანზე დიდხანს ვსაუბრობდით კაპადოკიასა და კაპადოკიელებზე...

**31 ივლისი, პარასკევი.** დილით საპაერო ბურთების ტკაცუნმა გამოგვაღვიძა. ვისაუზმეთ და დევრენთის (წარმოსახვების) ველზე წავედით. მთელი „ველი“ ბუნებრივი ფიგურებითაა მოფენილი. მხილველნი სხვადასხვა საგნად აღიქვამენ მათ: აქლემი, ნაპოლეონის ქუდი, გაღმით სალამანდრაა, დიდ ველზე – ღვთისმშობელი, სუფიები – ქალი და მამაკაცი სპილოზე... კიდევ მრავალი „ფიგურაა“, მნახველები მათ მათთვის ცნობილ ფიგურებს ამსგავსებენ.

კარგა ხანს ვიტრიალეთ დევრენთის ველზე, შემდეგ ურგუფში (მცირე ქალაქია იქვე ახლოს) წავედით.

ძველი კაპადოკია მევენახეობითა და მეღვინეობითაცაა ცნობილი. მეურნეობის ეს დარგი, დღეს არცთუ პოპულარული თურქეთის ქვეყანაში, შენარჩუნებულია ახლანდელ კაპადოკიაში. ურგუფში ჩვენ ვეწვიეთ ოჯახური ღვინის სახლს, მცირე სუვენირები და რამდენიმე ბოთლი ღვინოც შევიძინეთ, ისიც სუვენირად...

ღვინის სახლის შემდეგ რამდენიმე ძველი ვნახეთ:

– უჩუხელი (სამი ღამაზმანი) – ბუნებრივი „ქანდაკება“: დედ-მამა და შვილი, უკან ბებია და ბაბუა.

უჩუხელს კაპადოკიის სიმბოლოდაც მიიჩნევენ.

– ორთაჰისარის ციხე, ბუნებრივი და ხელით ნაკვეთი რამდენიმესართულიანი სიმაგრე.

ძნელადასასვლელია ორთაჰისარი, მაგრამ მაინც აგეღით გარკვეულ სიმაღლემდე, ზემოთ აღდგენითი სამუშაოები მიმდინარეობს და ასვლა იკრძალება.

ციხიდან კარგად ჩანს მთელი ურგუფი და მიმდებარე ველები. აქედან კარგად მოჩანს ძველი ქალაქიც, თეთრი, ბუნებრივ ქვაბებში გაშენებული, დღეს უკვე მიტოვებული. ახალი ურგუფიც თეთრია, თითქოს იმეორებს ძველს. ამ მხარეში ბუნებრივად ერწყმის ერთმანეთს ისტორიული და თანამედროვე.

– ზემოთ აღენიშნე, რომ კაპადოკია მეთუნეობითაა ცნობილი ისტორიულად. აქვე დაწინაურებულია ქვის წარმოებაც, კერძოდ, ონიქსის (მინერალია) დამუშავებაც. ონიქსის ერთერთ, საკმაოდ დიდ საწარმოს ვეწვიეთ, რომელსაც თავისი სალონი-მაღაზიაც აქვს.

რა აღარ დაუმზადებიათ ონიქსის ქვისაგან: ძვირადღირებული საათები, მაგიდები, ღარნაკები, ჭადრაკი, ჩიბუხები... სხვა ათასი სუვენირი.

– კაპადოკიური კერამიკის საამქროც დავათვალიერეთ. აქაური მეთუნეების ნახელავი პოპულარულია არა მარტო თურქეთში. ძვირადღირებულ ნივთებს იძენენ სხვადასხვა ქვეყნიდან მოსული ტურისტები. კიდევ ერთი მომენტი იქცევს ჩვენს ყურადღებას: კაპადოკიელი მეთუნეები უმეტესად ამზადებენ ძველებური, ისტორიული ნივთების ასლებს: მზის დისკოები, ფიალები, ღარნაკები... ახალი კაპადოკიელები ცდილობენ გააცოცხლონ ძველი კაპადოკიური მეთუნეობის ტრადიცია...

– დაბოლოს, ხავანოსს ვეწვიეთ, ჰალისისპირა მცირე ქალაქს, ჩაი დაველიეთ ძვირადღირებული, სურათები გადავიღეთ, აკაკის „თორნიკე ერისთავიც“ გავიხსენეთ, აქ იბრძოდაო ქართველთ ღაშქარი ბარდა სკლიაროსის წინააღმდეგ... ახსოვთ ჰალისის ველებს ბარდა სკლიაროსის ააჯანყებაცა და ქართველ-ბერძენთა ბრძოლაც მის წინააღმდეგ, ახლან-



დელმა ხავანოსელებმა არც ბარდა სკლიაროსი იციან, არც მოჯანყენი და არც მათ წინააღმდეგ მებრძოლნი, „სხვა ხალხის ისმის აქ ურიაშული“.

ამით დავასრულეთ ჩვენი ექსპედიციის კაპადოკიური ნაწილი. ხვალ სამსუნში გადავალთ...

**1 აგვისტო, შაბათი.** დილით დავტოვეთ კაპადოკია. დღეს სამსუნის იღში გადავალთ, რამდენიმე ფაქტს გადავამოწმებთ მუჰაჯირთა შთამომავლების სოფლების შესახებ.

**ვეზირ ქოფრუს** რაიონში, სოფელ იურთდაღში შევიარეთ.

**იურთდაღი** ებრიკელთა სოფელია, ისტორიული კლარჯეთიდან გადმოსახლებულების.

სოფელი საკმაოდ მაღალზეა გაშენებული, მთის ველზე. ეზოებში ჩანს ტყემალი, ლეღვი, კომში, მაღლარი ვაზი...მინდვრებში უთესიათ პური, სიმინდი, „ჭადი და ლახანა არ გვამიწყდებო“, – გაგვიმხილა საიდუმლო ახალგაზრდა იურთდაღელმა.

ერთი რამ თვალშისაცემია: მუჰაჯირთა შთამომავლების ერთმა ნაწილმა წინაპართა ენა დაივიწყა, ბევრი ტრადიცია, ყოფის სხვა ელემენტებიც, მაგრამ წინაპართა სამზარეულო – „ჭადი და ლახანა“, „ფხალლობიო თუ ლობიოფხალა და მაღახტო“... ყველას ახსოვს. სამზარეულოც ხომ ეროვნული მეობის ერთი ნიშანია.

მემედ იღმაზის ოჯახში მიგვიწვიეს. ბატონი მემედი 95 წლისაა. ეზოში რომ შევედით, მოხუცი სახლის კედელთან, ძელსკამზე იჯდა და მზეს ეფიცებოდა. ძინავსო, იფიქრებდა კაცი. დაგვინახა თუ არა, წამოდგა, შეგვეგება, მოგვესალმა. ამასობაში ოჯახის რძალმა, ახალგაზრდა ქალბატონმა ეზოში ხალიჩა დაფინა, ბალიშები დააწყო და მიგვიწვია.

მემედ იღმაზი, მალხაზი და მე ჩამოვსხედით. გამიჭირდა ხალიჩაზე ისე დაჯდომა, რომ წერა მომეხერხებინა, ბოლოს მაინც შევძელი. მალე ეზოში მემედის ვაჟიც შემოვიდა,

მინდორში იყო, პურს მკიდა, ახლო მეზობლებიც შემოგვიერთდნენ.

ღურთღალში ქართული იციან, თუმცა უჭირთ!

– ამ კუთხეში საიდან მოსულები ცხოვრობთ?

– **იუსუფელი ვარ, არტანუჯი ვარ... სხვა არ ვიცი!**

– თქვენს სოფელში თქვენი დედები საიდან მოვიდნენ?

– **ვალაშიდან იყვენ, არტანუჯიდან არიან, ბაგინიდან იყვენ...**

– ჩანს, ქართული იცით აქაურებმა.

– **გურჯული ვიცი და კარგათ ვერ ვლაპარაკოვთ!**

– თქვენ რომელი სოფლიდან ხართ?

– **შუახევი ჩვენი სოფელი ძერია, ბორჩხა.**

– აქ, ამ კუთხეში გურჯები კიდევ რომელ სოფლებში ცხოვრობენ?

– **ჰავზასას არიან გურჯი, ჰამა სოფელი არ ვიცი! ღადიქ ბევრი არიან გურჯები, ღადიქ ალვალი სოხახ გურჯია. ამასია, ახაზი (აქაზი?) ძერი გურჯია.**

– თქვენ ყოფილხართ ბორჩხაში?

– **არ მეცოდინებიან ჩვენ იქავრობა.**

– იურთღალი დიდი სოფელია?

– **ჰატინაჲ, დიდი არაა, ოზდაათი ხანეა.**

– თქვენი დედების მოსვლამდე აქ ვინმე ცხოვრობდა თუ ცარიელი ადგილები იყო?

– **აქოვრობაში ტყე ყოფილა, გუშტეხიან ტყე, ყანები გუშკეთებიან, აქ სიმინდი კაი იქნებაო.**

ბატონი მემედი ტიპურ ისტორიას მოგვითხრობს: რუსეთ-ოსმალეთის ომის შემდეგ მის წინაპრებს „იქავრობა გუშგდიან“, „ძროხები ტყეში გუშდიან“, იქ „გუშგდიან“, და აქით წამოსულან. აქ მოსულებს ბერძნები დახვედრიათ, „ღუშბეჩეხიან ძუნანები გურჯებ, წესულან...“

ანალოგიურ მოთხრობებს სხვაგანაც მოისმენს კაცი. ერთი რამ საგრძნობია: მუჰაჯირთა შთამომავლების ხსოვნაში ინახვება ეს ისტორიები, თანდათან დავიწყებას ეძლევა მუჰაჯირთა გადმოსახლება და მისი თანმდევი სიძნელეები...

დავღალეთ მოხუცი. დროა დავემშვიდობოთ.

დარჩითო, ბატონმა მემედმა.

მადლობა გადაუხადეთ, წინ გრძელი გზა გვიდევსო, მოვიმიზეზებო.

გზას დავადექით. სამსუნში აღარ გაეჩერებულვართ, გადავწყვიტეთ, დამე უნიეში, ჩვენთვის ცნობილ სასტუმრო „ანკარაში“ გაგვეთია. გაწვიმდა. ჯერ საკმაო გზაა უნიემდე. საშინელი თავსხმაა. საშიში გახდა მოძრაობა. ბენზინგასამართ სადგურთან გაეჩერდით, შეწყდა მოძრაობა ავტობანზე, წვიმის გადაღებას ელოდება ყველა. კარგა ხნის შემდეგ მოძრაობა აღდგა. გვიან ღამით სასტუმროში მივედით.

**2-3 აგვისტო, კვირა-ორშაბათი.** დღეს იქიზდერეს ხეობით სპერში გადავედით. გამოვცდით რა ოფს, ტრაბიზონს აქეთ, დაილაჯილართან მარჯვნივ შევუხვიეთ და ხეობაში შევედით. ჟინჯღლაეს. გუშინდელი წვიმის (წვიმაც არ ერქვა, რადაც საშინელი დელგმა იყო) შემდეგ დღევანდელი მცირე წვიმა სასიამოვნოდ გვეჩვენება. ვისადილეთ და გზას დავადექით. გზა ხეობას მიუყვება. მაღლა-მაღლა მივიწვეთ. ნისლი ჩამოწვა, გზა აღარ ჩანს... გადავიარეთ ოვითის უღელტეხილი (2640 მეტრი მაღსახის ალტმეტრით). თანდათან აიკრიბა ნისლი. კარგა ხნის შემდეგ სპერში ჩავედით, იქედან ისპირ-არზრუმის, შეიძლება ითქვას, შემოვლითი გზით – იუსუფელში. მეორე გზაცაა ისპირიდან იუსუფელამდე. ჭოროხის ხეობაში, შედარებით მოკლე, მაგრამ გაუმართავი, ამიტომაც შორი გზა ვარჩიეთ. სასტუმრო „ბარსელონაში“ დავბინავდით, ახალი სასტუმროა პარხლისწყლის მარჯვენა ნაპირზე. მზე აცხუნებს იუსუფელში, ისტორიული ტაოს ახლანდელ „დედაქალაქში“...

3 აგვისტოს გვიან ღამით ხოფაში ჩამოვედით, 4 აგვისტოს ადრე დილით ბათუმში დავბრუნდით.

## დასკვნები

2012, 2013, 2014 და 2015 წლებში ბსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ქართველოლოგიის ცენტრმა ოთხი კომპლექსური ექსპედიცია მოაწყო თურქეთის რესპუბლიკაში, მუჰაჯირთა შთამომავლების დასახლებებში. ექსპედიციის მიზანი იყო, შეეკრიბა ფოლკლორული, ეთნოლოგიური და დიალექტოლოგიური მასალები, აინტერესებდა მუჰაჯირთა ცხოვრების ყველა მხარე, დაწყებული მუჰაჯირობის, როგორც მოვლენის არსით, დასრულებული მუჰაჯირთა ეროვნული იდენტობით, ასევე, „კულტურათა დიალოგის“ პროცესი და შედეგი;

– ექსპედიცია სწავლობდა, თუ რა მიზნდათ მუჰაჯირთა შთამომავლებს გადასახლების მიზეზებად. ირკვევა, რომ ემიგრანტები არსებითად სწორად ხედავენ მიზეზებს, რომელმაც განაპირობა ისტორიული საქართველოს პროვინციებიდან ადგილობრივი მუსულმანი მოსახლეობის აყრა და გადასახლება, კერძოდ, სახელდება:

ა. რელიგიური ფაქტორი: რუსეთ-თურქეთის 1977-1878 წლების ომის შემდეგ ჭოროხის ხეობის ავტოქტონური მოსახლეობის რწმენას, მუსულმანობას, „საფრთხე“ შეექმნა და იძულებული გახდნენ სულის გადასარჩენად გახიზნულიყვნენ უცხო მხარეში, ერთმორწმუნე ოსმალეთში.

ბ. პოლიტიკური საფუძველი: ომის შემდეგ როგორც გამარჯვებულ რუსეთს, ისე ოსმალეთს ხელს არ აძლევდათ საზღვრისპირა რეგიონებში მკვიდრი მისახლეობის დარჩენა, ამიტომაც ორივე მხარემ შეუწყო ხელი მუჰაჯირობას. ერთი რესპონდენტის მოსწრებული თქმით, მოსახლეობა „გამოდენეს მემღეჭეთიდან“.

გ. ეკონომიკური საფუძველი: მცირემიწიანობა აიძულებდა მოსახლეობას ახალი სამოსახლო ედია თურქეთის შიგა პროვინციებში. ოსმალო მქადაგებლები ჭოროხისხეობელ მუსლიმანებს პირდებოდნენ ნაყოფიერ მიწებს. სხვაგვარად ვერ აიხსნება, რომ ოჯახში ერთი ძმა დარჩა, სხვები მუჰა-

ჯირად წავიდნენ. თუმცა ჩანს შემთხვევები, როცა მთელი შტო-გვარი დედა-წულიანად წასულა ემიგრაციაში. იყო სხვა წვრილმანი მიზეზები, რამაც ხელი შეუწყო მუჰაჯირობას.

– მუჰაჯირთა მოთხრობებიდან ცხადდება, რომ ძნელი და მტკივნეული იყო გადასახლებისა და ახალ სამკვიდრებელში დამკვიდრების პროცესი. ჩანს, დიდი გაჭირვებით მიღწიეს გადასახლებულებმა „აღთქმულ მიწამდე“, ნაწილმა ვერც მიღწია, გზაში დაიღუპა... ახალმოსულები პირველად დაბლობში დაასახლეს, სადაც ციება (ცხრო) და კოლო-ბუზი ბატონობდა. ვერ გაძლეს მუჰაჯირებმა ზღვისპირეთში, ახალი მიწების ძიება დაიწყეს მაღლობ ადგილებში, იქ, სადაც ცივი წყალი და ჯანსაღი ჰაერი იყო, სადაც არ იყო ცხრო და „სივრი-სირელი;“ ადგილმონაცვლეობა ეკონომიკური და ტრადიციული ფაქტორითაც იყო განპირობებული: მოახალშენეები „ახალ სამშობლოში“ ეძებდნენ ისტორიული სამშობლოს მსგავს მიწებს, სადაც შეძლებდნენ მოეწყოთ მათთვის ტრადიციული მეურნეობა, – სადაც იყოლიებდნენ პირუტყვს, ექნებოდათ საძოვრები და სათიბები, დათესავდნენ ყანას, მოიყვანდნენ ბახჩეულსა და ბოსტნეულს, გააშენებდნენ ხეხილს... გულუბრყვილობა იქნებოდა, მხოლოდ „ციებისაგან“ და „ბუზისაგან“ გაქცევა ჩაგვეთვალა ადგილმონაცვლეობის მიზეზად. მუჰაჯირი სამშობლოს მსგავს ადგილებს არჩევდა, სახლდებოდა და აშენებდა სოფელს.

მოახალშენებმა მოაწყვეს საკარ-მიდამო იმავე წესით, როგორც სამშობლოში ჰქონდათ: „ხიზარზე“ ფიცარი დახერხეს, ააგეს ძელური სახლები, ოთახებად დაყოფილი, ფანჯრებითა და ბუხრით, ნაგებობა ყავრით გადახურეს. სახლი უმეტესად ორსართულიანი იყო, ქვემო სართულზე შინაური ცხოველის სადგომი გამართეს (მოგვიანებით ცხოველთა სადგომი, ახორი, სახლიდან ეზოში გაიტანეს), ზემოთ – ადამიანთა. ეზოში ნალია და საბძელი ააგეს, სხვებმა ქორიცი. ჩანს, მუჰაჯირთა შორის იყვნენ ქვითხუროები და ხითხუროები. მოაწყვეს მომთაბარე დამხვდურთაგან სრულიად განსხვავებული საკარ-მიდამო...

– ჩანს, მუჰაჯირებმა სამშობლოდან წაიღეს მსხლის, ვაშლის, ვაზის, თხილის, ზოგადად ხეხილის ნერგებიც. სხვაგვარად ვერ აიხსნება მუჰაჯირთა სოფლებში ხეჭექურის, დემირ ალმას, თავრეჯულის, ჩხავერის, ბათუმურას... არსებობა. მუჰაჯირთა პირველი თაობა ცდილობდა, ახალ სამკვიდრებელში მშობლიური კუთხე მოეწყო: ახალ სოფელსა და სოფლის შიგნით ადგილებს ქართული სახელები უწოდა, უმეტესად ის, ისტორიულ სამშობლოში სოფელსა და წყალ-ჭაღას რომ ერქვა. ასე გაჩნდა თურქეთის შიგა რეგიონებში ბორჩხა, ქართლა, ხატილა, თხილაზორი, ცოცხობა, აჭარა, გველი, ზემო ყანა, ქომო ყანა და სხვა მრავალი.

– ძნელი იყო მოახალშენეების ახალ მიწაზე დამკვიდრების პროცესი. ყველგან ფათერაკი იყო ჩასაფრებული: აწუხებდათ შიმშილი, დამხვეური მოსახლეობა, რომელიც ყოველთვის არ იყო კეთილად განწყობილი... მუჰაჯირი მკაცრი რეალობის წინაშე აღმოჩნდა, თავად უნდა გამკლავებოდა ყველა დაბრკოლებას, პასუხი უნდა გაეცა მტერ-მოყვარისათვის, უნდა მოეპოვებინა „პური არსობისა“.

ემიგრანტი ჩაერთო „კულტურათა დიალოგის“ რთულ პროცესში.

– მუჰაჯირები „ახალ სამშობლოში“ დასახლდნენ კუთხეების, ხეობებისა და სოფლების მიხედვით. ასე შეიქმნა ოსმალების პროვინციებში ქობულეთელთა (ჩურუქსუელთა), აჭარელთა (აჭარისწყლის ხეობელთა), ბათუმელთა, შავშთა (და მაჭახლელთა), კლარჯთა (ძალზე იშვიათად შერეულიც) სოფლები.

მუჰაჯირობამ „გააფართოვა“ აჭარის, შავშეთის (მაჭახლეთურთ), კლარჯეთის საზღვრები, კერძოდ:

ა. აჭარლები (ქობულეთელებთან ერთად) თურქეთის რესპუბლიკაში ცხოვრობენ:

**ორდუს ილი** (გუბერნია) **უნიეს ილჩე** (რაიონი):

**ჩათაღფინარი** (ჩურუქსუქობულეთი), **ქუშჩა** (აჭარა<sup>32</sup>), **მეტროპოლი** (აჭარა, ქობულეთი), **გუზეღდაილა** (აჭარა), **თეფექო** (ჩურუქსუ), **ბაშქო** (აჭარა), **გოლიანი** (აჭარა), **ჩუბუქლუ** (აჭარა), **დივანე** (აჭარა), **კუმარლი** (აჭარა), **ჩათაღთეფე** (აჭარა), **ეკინჯული** (აჭარა, სახლობენ მაჭახლელებიც. შერეული სოფელია, დასახლებაში აჭარლებს თავიანთი უბანი აქვთ).

**ყორღანის ილჩე** (ქობულეთი).

**ფაცის ილჩე:**

**ბაჯანადი** (ჩურუქსუ), **ტახტაბაში//თახთაბაში** (ჩურუქსუ), **კაპადღალი** (ჩურუქსუ), **დუაერი** (ჩურუქსუ), **კონაბაში** (ჩურუქსუ), **ჭაპრანი** (ქობულეთი), **სამჯიღარი** (ქობულეთი).

**სამსუნის ილი, სალიბაზარის ილჩე:**

**ფიდენჯული** (აჭარა).

**ორღუს ილი, ორღუს ილჩე:**

**ბურჰანეთინი** (ქობულეთი), **საიჯა** (ნარევი: აჭარა, ქობულეთი, მაჭახელი, სამივეს აქვს საკუთარი უბანი), **შირინქო** (ქობულეთი).

**ორღუს ილი, კაპადღუზის ილჩე:**

**ქირაზღერე** (ქობულეთი), **ოქუშმიბი** (ქობულეთი), **ბაჰარიე** (ქობულეთი, ჩაქვი), **თონგელღუზი** (ქობულეთი. ცუდად ლაპარაკობენ ქართულად), **აზიზიე** (ძვ. ჩაქა. ქობულეთი, ცუდად ლაპარაკობენ ქართულად).

**ბურსის ილი, იზნიქის ილჩე:**

**კირხ ხარმანი** (აჭარა, ღორჯომი), **სარი სუ** (აჭარა), **ჰაჯი ოსმანი** (აჭარა), **ქირიმიტი** (აჭარა), **ფაშა მაჰალე** (აჭარა), **ელმალი** (აჭარა).

**საქარიას ილი, ქოჯაელის ილჩე:**

**კოზლუქო** (აჭარა), **დემირ აჩმა** (აჭარა. შერეული სოფელია).

---

<sup>32</sup> აჭარაში ვგულისხმობთ აჭარისწყლის ხეობას, სხვაგვარად აჭარას ისტორიული გაგებით.

**საქარიას ილი, დაბა ყარაფურჩეკი** (ცხოვრობენ აჭარლები), **მეფიდიე** (აჭარა. შერეული სოფელიაო: ზეგნელი, აჭარელი... თუმცა მაჰალეებად ცხოვრობენ), **ახმედიე** (აჭარა).

**საქარიას ილი, აქმაზის ილჩე:**

**ქუჩუჯეკი** (შერეული დასახლებაა, აჭარა), **შერეფიე** (ბათუმი).

**საქარიას ილი, ხენდეკის ილჩე:**

**დეშირ აჩმა** (შერეული სოფელია, ცხოვრობენ ერგელები).

**ბურსის ილი, ინეგოლის ილჩე:**

**მურათბე** (ჩაქველებსაც ეძახიან, ჩურუქსუელები), **ჰასანფაშა** (ჩაქვი, ქობულეთი), **ჰილმიე** (აჭარა. აქვთ ქართული ტოპონიმები: ვაკე, გვერდი ყანა, ევლეთის დელე), **დოლათ დერე** (აჭარა), **საადეთი** (აჭარა), **მესრულიე** (აჭარა, შუახევი), **თოფაქჩი ქონაკი** (აჭარა, შუახევი), **სულჰიე** (აჭარა, შუახევი), **გუნეძ ქესტანე** (შერეული სოფელია, აჭარლებს საკუთარი უბანი აქვთ), **გაზელლი** (აჭარა, ღორჯომი), **გულბახჩე** (აჭარა, ხულო), **ჩაილიჯა** (ძვ. ბათაქლი. აჭარა), **ფეგზიე/ფეიზიე** (აჭარა, სოფლის ლაღაბია ტომაშეთი), **ჩიფთლიკი** (აჭარა), **მერზუკი** (აჭარა), **მესარიე** (აჭარა), **დენიჯა** (აჭარა).

**ბურსის ილი, გემლიკის ილჩე:**

**ჰაიდარიე** (ძვ. ელჯივა. აჭარა: მახინჯაური, ქობულეთი).

**დუზჯეს ილი:**

**მუსაბაბა** (აჭარა), **მუჯურლუ** (აჭარა), **შიმშირი** (აჭარა), **ფუნდუქლუ ახსუ** (აჭარა), **ჩიფთლი ქოა** (აჭარა).

**დუზჯეს ილი, ჩილიმლის ილჩე:**

**დეშილ თეფე** (აჭარა. ქართული არ იციან, სოფელს კი „ქართველებს“ ეძახიან), **გურჯი ჰუსეინ ალა** (აჭარა), **ხიზარ დერე** (აჭარა), **მაჰირაღა** (აჭარა).

**დუზჯეს ილი, აქნაკონას ილჩე:**

**ჩიჩექფინარი** (აჭარა).

**სინოპის ილი, ერფელექის ილჩე:**

**ოსმანიე** (ჩურუქსუ).



**გირესუნის ილი (?), ბულანჯიქის ილჩე:**

**დემუდერე** (აჭარა), **ეზელდერე** (აჭარა), **გუნეაქო** (აჭარა), **ჰაჯეთი** (აჭარა), **ქარააღაჩი** (შერეული სოფელია, 100-მდე აჭარული ოჯახი ცხოვრობს), **ქადაბაში** (აჭარა), **ქიშლა** (აჭარა), **ქურუქ დერე** (აჭარა), **ოდაღუზუ** (აჭარა), **თეფეორენი** (აჭარა), **თოქმაღინი** (აჭარა), **ენიქო** (აჭარა).

**გირესუნის რაიონი:**

**ამბარალანი** (ქედა, აჭარა), **მაიქინლიქი** (ფოჭო, აჭარა), **თეფექო** (აჭარა), **ფუნუსემრე** (აჭარა).

**დერელის ილჩე:**

**აქქადა** (აჭარა).

**თოქათის ილი, ნიქსარის ილჩე:**

**ოლუქლუ** (აჭარა).

**ამასიის ილი, ამასია:**

**ბელდადი** (შერეული სოფელია, ცხოვრობენ აჭარლები და მაჭახლელები თავიანთ უბნებში), **აქდაზი** (აჭარა).

აჭარელ მუჰაჯირთა სოფლებიდან მხოლოდ რამდენიმეში არ იციან ქართული. შევნიშნავთ: ქართული იციანო, რომ ვამბობთ, ვგულისხმობთ, რომ წინაპართა ენა იცის უფროსმა და საშუალო თაობამ, ახალთაობამ აბსოლუტურ უმრავლეს შემთხვევაში ქართული არ იცის. აჭარელ მუჰაჯირთა მეტყველება ტიპური აჭარულია, თავისუფალი სალიტერატურო ქართულის გავლენისაგან, მუჰაჯირებს შენარჩუნებული აქვთ აჭარის რეგიონების მკვიდრთა მეტყველებისათვის დამახასიათებელი აქცენტიც. უფრო მეტიც, აჭარელ მუჰაჯირთა შთამომავლების მეტყველებამ შეინახა აჭარულის ის თავისებურებანი, რომელიც ახასიათებდა საუკუნე-ნახევრის წინ და რომელიც „დაივიწყა“ აჭარულმა აჭარაში. ამდენად, მუჰაჯირთა მეტყველება საყურადღებოა ენის ისტორიისთვისაც.

ბ. თურქეთის პროვინციებში შავშური (უმეტესად მაჭახლური) სოფლებია:

**ორდუს ილი, უნიეს ილჩე:**

ახბაბა (მაჭახელი), აქჩაბ (მაჭახელი), თექქირაზი (მაჭახელი), ფენიკენთი (მაჭახელი), იქინჯუქი (მაჭახელი), ესენტეფე (ძვ. ქაბაქულაქი, მაჭახელი), ქადნართაში (მაჭახელი).

**ორღუ:**

საიჯა (მაჭახელი), რაფაიე (მაჭახელი), ჯიჰადიე (მაჭახელი), ფაშაფუნარი (მაჭახელი).

**ორღუს ილი, გოლქომს ილჩე:**

ჯიჰადიე (მაჭახელი), უაფუნარი (მაჭახელი).

**სამსუნის ილი, ჩარშამბას ილჩე:**

მუსლიბეა (მაჭახელი), ქესტანე ფინარი (მაჭახელი), ყარა დერე (მაჭახელი), ააზმა (მაჭახელი), ჩათახი (მაჭახელი), დერეჩათი (მაჭახელი), გოლჩუხური (მაჭახელი), კავღალი (მაჭახელი).

**იზნიქის ილი, ჩაინარჯის ილჩე:**

თეშვიქიე (მაჭახელი), ესენქომ (მაჭახელი), თერმალი (მაჭახელი).

**იზნიქის ილი, არმუთის ილჩე:**

ჰამზალი (მაჭახელი).

**საქარიას ილი, კარასუს ილჩე:**

აზიზიე (ქალაქ კარასუს უბანია. ჩანს, წინათ ცალკე სოფელი იყო. მაჭახელი. აქვთ ქართული ტოპონიმები: თვალ-წყარო, წისქვილი კარი, ვაკე, კაკლიძირი, გოდორაჲ, ნაწყვეტი), დემირ აჩმა (შერეული სოფელია, სახლობენ მაჭახელებიც, აქვთ ცალკე უბანი), ქომ დერი (მაჭახელი), მენენაზი (მაჭახელი).

**ბურსის ილი, ინეგოლის ილჩე:**

ჰაირიე (მაჭახელი).

**ბურსის ილი, ბურსა:**

სულეიმანიე (შავშები. ცხოვრობენ კლარჯებიც. ორივეს საკუთარი უბანი აქვთ).

**ბურსის ილი, გემლიქის ილჩე:**

ხამიდიე (მაჭახელი. ნარევი სოფელია. ცხოვრობენ კლარჯებიც. სოფელში არის ქართული ტოპონიმები: მომწვა-

რი, საკანაფო, ბელენგური, ვაკე, მაღლაყანა, ზეგნები, სამე-  
ბი, ოვები, მოკაფული ყანა).

**ბურსის ილი, ქარაჯაბეს ილჩე:**

**ბოლაზქოა** (შავშეთი, იმერხევი. სოფელი 1964 წელს და-  
უარსებიათ).

**დალოვას ილი, არმუთლუს ილჩე:**

**მეჯიდიე** (ბელქეჩეს უბანი. მაჭახელი).

**დალოვას ილი, ორჰანგაზის ილჩე:**

**ჰამზალი** (მაჭახელი).

**ბალიქესირის ილი, შამლის ილჩე:**

**არმუთალანი** (სელიმიე მაჰალე, შავშეთი – წიწვეთი).

**სინოპის ილი:**

**არმუთ დერი** (მაჭახელი).

**სინოპის ილი, გურზეს ილჩე:**

**ლომანიე** (მაჭახელი).

**თოქათის ილი, ნიქსარის ილჩე:**

**უსტაჰასანი** (შავშეთი, იმერხევი. აქეთ ქართული ტოპო-  
ნიმები: ჭიკიენთი, კოვიენთი, ფიქლოენთი), **მუსაფინარი** (შავ-  
შეთი), **ერენქოა** (შავშეთი), **ეჰინჯილიქი** (შავშეთი. ქართული  
არ იცინან), **ასარი** (შავშეთი, ხევწრული), **ოსმანიე** (შავშეთი,  
ქოქლიეთი), **აჰინჯი** (შავშეთი).

**ამასიის ილი, თაშოვას ილჩე:**

**თათლიფინარი** (მაჭახელი), **ალთინლი** (მაჭახელი), **ილი-**  
**ფინარი** (ძვ. ჩერმუქი, მაჭახელი), **ჩათმა** (მაჭახელი).

**ამასია:**

**დუვა** (მაჭახელი).

მნიშვნელოვანია, რომ ემიგრანტ მაჭახელეთა აბსოლუ-  
ტურ უმრავლეს სოფელში ზოგჯერ ცუდად, მაგრამ მაინც  
იცინან წინაპართა ენა, რასაც ვერ ვიტყვით შავშელებზე.

გ. მუჰაჯირობისა (1877-1978 წლების რუსეთ-თურქეთის  
ომის შემდეგ) და ახალი მიგრაციების შედეგად კლარჯებს  
სოფლები დაუარსებიათ თურქეთის რესპუბლიკის პროვინცი-  
ებშიც, კერძოდ:

**ქოჯაელის ილი, გოლჯიქის რაიონი:**

**ჰამიდიე** (ბორჩხა. ასე უწოდებენ სოფელს აქაური კლარჯები. აქვთ ქართული ტოპონიმები: გაღმა ყანა, ღელე ყანა), **აივაზფინარი** (ძვ. ჩათალთაში. ართვინი), **სიჭრეთიე** (მურღული), **მამურიე** (ძვ. ჩუბუქ ბადერი), **იჯაადიე** (ძვ. ალი მეზარი), **ირშადიე** (ძვ. ბეილი, კატაფხია), **ნუსრეთიე** (ძვ. დოშამე), **ლუთბიე** (ძვ. ბეგოღლი), **სოფულარი** (მამანეთი//მამანათი. კლარჯებისა და ჩხალელი ღაზების სოფელია), **დენი ფერადიე** (ცოცხობა. კლაჯეთის ცოცხობაში ქართული არ იციან, დენი ფერადიელმა ცოცხობელებმა იციან ქართული), **ესკი ფერადიე**.

**იზმითის ილი:**

**ბილაბილი** (ბორჩხა), **ნუსრეთიე** (მარადიდი, ბორჩხა, მურღული. ცხოვრობენ თურქებიც. ყველას თავისი უბანი აქვს), **შირინ სულიე** (ბორჩხა), **ჩუბუქლუბალა** (მარადიდი), **აუზლუ** (ბორჩხა).

**ბურსის ილი, არმუთის ილჩე:**

**ჰაირიე** (ბორჩხა), **მეჯიდიე** (ბორჩხა), **სელიმიე** (ბორჩხა), **გემლიქი** (ძვ. ელჯივა, ბორჩხა), **ჰაიდარიე** (ბორჩხა).

**საქარიას ილი, ხენდეკის ილჩე:**

**ნურუსმანიე** (ძვ. მიჩქიდერე. მარადიდი. აქვთ ქართული ტოპონიმები: შავყანა, ჭალა, ვაკე, პაწაღ ბახჩა, ბათუმი, ნაპურავი, ნასახლევი).

**საქარიას ილი, საფანჯეს ილჩე:**

**ისტამბულ დერე** (ძვ. ერდემლი. ბორჩხა), **გულდიბი/გოლდიბი** (კირნათი), **მამმულიე** (მარადიდი).

**დუზჯეს ილი, აქნაკორჩას ილჩე:**

**მელანააზი** (მირვეთი. აქვთ ქართული ტოპონიმი: მელენი პირი...).

**ბურსის ილი, ქესტელის ილჩე:**

**საიფიე** (ძვ. ბაიღინი. მურღული; აქვთ ქართული ტოპონიმები: ნაქერავი, წისკვილიკარი, ჭანები, ბოლოყანა, ვაშლოვანი), **ალაჩამი** (ძვ. თეშეიქიე. მურღული), **ორჰანიე** (ხატილა.

შედარებით კარგად იციან ქართული), **ოსმანიე** (ხატილა. ცუდად, უფრო არ იციან, ქართული).

აღვნიშნავთ, რომ ართვინის ხატილაში ქართული არ იციან, მუჰაჯირმა ხატილელებმა შეინარჩუნეს მშობლიური ენა. ჩანს, მუჰაჯირობის პერიოდში ხატილას ხეობა მექართულე იყო...

**ბურსის ილი:**

**სულეიმანიე** (ტანძოთი, დოლისყანა), **სოუთფუნარი** (ჯმერკი, დაბა, ბერთა. ქართული არ იციან), **კარაისლაჰი** (ართვინი, ქართული არ იციან).

**ბურსის ილი, გემლიქის ილჩე:**

**ადლიე** (ირსა, სინკოთი, ბეშაგი. სოფელში ასოცი სახლია, აქედან რვა ირსულმა ოჯახმა იცის ქართული, სხვებმა – არა. **ცნობისათვის:** კლარჯეთის ირსაში ქართული არ იციან), **სამიდიე** (ნარევი სოფელია, ცალკე უბნებში ცხოვრობენ მაჭახლელები და კლარჯები), **სელიმიე** (ბერთა. ქართული არ იციან), **დერიყალანი** (ქართული არ იციან), **ჰაირიე** (ძვ. ჩიფთლიკი. ადაგული, დევსქელი. აქეთ ქართული ტოპონიმები: კორდები, დიდი ყანა, ბელქენები, ფალიოში კარები, დიშბუდაები...), **სელიმიე** (ბორჩხა), **თეშვიქიე** (ბორჩხა).

**ბურსის ილი, მუსტაფა ქემალ ფაშას ილჩე:**

**კარაფინარი** (ბორჩხა), **ქომურჯი ქადი ქოა** (ბორჩხა. ძვ. აქიმი).

**ბალიქესირის ილი, გონენის ილჩე:**

**ბალჯი დედე, ექში დერე, კონზაირი, სუნიქთეში, დოჰანჯი** (ბორჩხა), **ჯუმურიე** (ძვ. სულთანიე. გველი – ასე ეძახიან კლარჯები).

**ბალიქესირის ილი, შამლის ილჩე:**

**არმუთალანი** (ოსმანიე მაჰალე – ბორჩხა).

**სინოპის ილი:**

**ლალა** (ფირენქი მაჰალე, თაუქი მაჰალე – ხეობა, ნაჯვია. **ცნობისათვის:** კლარჯეთის ნაჯვია მეთურქულეა, სინოპელი ნაჯვიელები ლაპარაკობენ ქართულად). **აქქირაჩის მაჰალე,**

**თანგალის მაჰალე, ლევრანთი** ნაჯვიელების უბანია, ოღონდ არ იციან ქართული.

**სინოპის ილი, ერფელეკის ილჩე:**

**ენინჩამი** (შერეული სოფელია, კლარჯები ცალკე უბნად ცხოვრობენ), **ჰასან დერე** (შერეული სოფელია), **ჰამიდიე** (ბორჩხა), **ჰათუქოი** (ბორჩხა. შერეული სოფელია, ბორჩხელები ცალკე უბანში ცხოვრობენ).

**სინოპის ილი, გურზეს ილჩე:**

**აქიერაჯი** (ართვინი, ნაჯვია), **იუვალი** (ართვინი), **იანა-დიბი**, **იანა ჩამი** (ძვ. ხასანდერე).

**თოქათის ილი, ნიქსარის ილჩე:**

**თეფე იათალი** (არტანუჯი, ქართული არ იციან).

**სამსუნი ილი, ვეზირქოფურუს ილჩე:**

**იურთდალი** (ებრიკა).

ეურადლებას მივაქცევთ ერთ საინტერესო ფაქტს, კერძოდ, ისტორიული კლარჯეთის ზოგიერთ სოფელში ქართული აღარ იციან, ქართულად ლაპარაკობენ ამავე სოფლიდან თუ ხეობიდან მუჰაჯირად წასულთა შთამომავლები, რაც კიდევ უფრო ზრდის მუჰაჯირ კლარჯთა მეტყველების ლინგვისტურ ღირებულებას.

– გადასახლებული ცდილობდა, შეენახა თავისი კუთხისათვის დამახასიათებელი ცხოვრების წესი, მეტყველება, ფოლკლორი; ცდილობდა, არ არეულიყო სხვებში, უპირველესად უცხოტომელებში, თავგამოდებით იცავდა ნაციონალურ იდენტობას. რწმენის ერთობა ვერ გახდა საკმარისი დამხვედურ კულტურასთან საურთიერთოდ. მუჰაჯირი თავისთავში ჩაიკეტა, არ ათხოვებს ქალს უცხოტომელზე, არც – თხოულობს მათგან. მიზეზი „მარტივია“, „ადეთებია განსხვავებული“. ამით მოახალშენე იცავს, ერთის მხრივ, „რასის სიწმინდეს“, მეორეს მხრივ, იმედს იტოვებს, რომ ოდესღაც სამშობლოში დაბრუნდება, თვითონ თუ არა, შთამომავალი მაინც (სამშობლოში დაბრუნების იდეა მუჰაჯირთა პირველ თაობაში არსებობს, მომდევნო თაობებში თანდათან ნეღდება), ამიტომაც იგი ცხოვრობს ისტორიული სამშობ-

ლოს ადათ-წესებით: სათუთად ინახავს ქორწინებისა და დაკრძალვის წესებს, საკარმიდამოს მოწოდებისა და მეურნეობის გაძღოლის მამა-პაპურ ტრადიციებს; განსაკუთრებით გამძლე გამოდგა ეროვნული სამზარეულო. ასოციალური წლის შემდეგაც მუჰაჯირთა შთამომავალი ოჯახში იმავე კერძებს ამზადებს, რასაც მისი წინაპარი: ფხალი, ლობიო, ფხალ-ლობიო, ჩირბული, ზეთიანი ქათამი, მაღახტო, ზეთიანი თევზი, შეჭრილი ფხალი, დო, მაწონი, დაპწნილი ყველი, ბორანი...

„ჩაკეტილ თემში“ მცხოვრები მუჰაჯირი ინახავს ისტორიული კუთხის მეტყველებას, ფოლკლორს და შთამომავლობას გადასცემს. დღეს ჩვენ თურქეთის ქვეყანაში ვხვდებით აჭარული, ქობულეთური, მაჭახლური, შავშური, კლარჯული ტაოური მეტყველების, ფოლკლორის, ყოფის კუნძულებს, რომელიც სანდო წყაროა აჭარული, შავშური, კლარჯული, ტაოური დიალექტების, ფოლკლორისა და ყოფის შესასწავლად. ქართული მეცნიერებისათვის ასევე მნიშვნელოვანია ისტორიული მესხიერების ფრაგმენტები, რომელიც მუჰაჯირთა შთამომავლობამ შეინახა.

– დრო გადიოდა. ყოველდღიურობა ახალ მოთხოვნებს უყენებდა სამშობლოდან გადახვეწილს. მუჰაჯირი ქალაქში წავიდა სამუშაოს საძიებლად, შვილი სკოლაში შეიყვანა, სკოლამ სახელმწიფო ენის ცოდნა მოითხოვა... თანდათან მუჰაჯირი ორენოვანი გახდა. დროის მდინარეა ამჟამად კულტურათა დიალოგს. თანდათან გაიხსნა ჩაკეტილი თემი, გაჩნდა შერეული ოჯახები, შედეგად, საოჯახო ურთიერთობიდან ქართული ენა თურქულმა გამოდევნა. დღეს სურათი ასეთია: უფროსმა და საშუალო თაობამ წინაპართა ენა უმეტეს შემთხვევაში იცის, პასიურად მაინც, ახალმა თაობამ – არა. შესაბამისად, დავიწყებას ეძლევა ფოლკლორი, ტრადიციები. ასიმილაციის პროცესი ღრმავდება. ძნელი არაა, კულტურათა დიალოგის შედეგის დანახვა, თუმცა ისტორიას ახსოვს შემთხვევები, როდესაც მომაკვდავი კულტურა გაჯანსაღებულა და არსებობა გაუგრძელებია.

## შინაარსი

<b>წინასიტყვაობა-</b>	<b>4</b>
<b>თავი I.</b> ექსპედიცია თურქეთის შავი ზღვის რეგიონში, ანუ ჩანაწერი პირველი	12
<b>თავი II.</b> მუჰაჯირთა შთამომავლები საქარიასა და ქოჯაელის გუბერნიებში, ანუ ჩანაწერი მეორე	216
<b>თავი III.</b> ჩვიდმეტი დღე ბურსის, ძალოვას, ბალიქესირის, დუზჯესა და სინოპის გუბერნიებში, ანუ ჩანაწერი მესამე	311
<b>თავი IV.</b> თურქეთის შავი ზღვის რეგიონში და სხვაგან, ანუ ჩანაწერი მეოთხე	441
<b>დასკვნები</b>	<b>480</b>



გამომცემლობის რედაქტორი:

ლალი კონცელიძე

ტექნიკური რედაქტორი:

ედუარდ ანანიძე